



Partnership for Good Governance  
პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



ევროპის საბჭო

## კრებული

ამონარიდები ადამიანის უფლებათა ევროპული  
სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან

აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს არცერთი მხარის ოფიციალურ პოზიციას.

კრებულის მთავარი რედაქტორი  
მარინა კვაჭაძე  
სამართლის დოქტორი, პროფესორი  
საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განვითარების განყოფილების უფროსი

სტილისტ-რედაქტორი  
გულიკო მჭედლიშვილი  
საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განვითარების განყოფილების  
კვლევისა და ანალიზის ცენტრის  
კონსულტანტი

ევროპის საბჭო, 2017 წელი

# სარჩევი

საქმე „მუსტაფა კამალ მუსტაფა (აბუ ჰამზა) (No. 1)	1
საქმე „არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“	4
საქმე „ მიშა ელიასი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“	25
საქმე „ვასილევსკა და კალუცკა პოლონეთის წინააღმდეგ“	29
საქმე „გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“	40
საქმე „ოჩელკოვი რუსეთის წინააღმდეგ“	45
საქმე „ჰენვორთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“	64
საქმე „ნეკდეტ ბულუტი თურქეთის წინააღმდეგ“	67
საქმე „ბუზადჯი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ“	72
საქმე „ჰორნკასტლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“	86
საქმე „ადრეი ანატოლიევიჩ კლემენტიევი რუსეთის წინააღმდეგ „	89
საქმე „იდალოვი რუსეთის წინააღმდეგ“	91
საქმე „დუბინსკი რუსეთის წინააღმდეგ“	104
საქმე „კრისტიანსენი ნორვეგიის წინააღმდეგ“	115
საქმე „ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ“	124
საქმე „ლეგილონი საფრანგეთის წინააღმდეგ“	136
საქმე „ზაკა უნგრეთის წინააღმდეგ“	139
საქმე „ლერმიტე ბელგიის წინააღმდეგ“	157
საქმე „მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ“	166
საქმე „პიჩუგინი რუსეთის წინააღმდეგ“	189
საქმე „რობერტ პლანკა ავსტრიის წინააღმდეგ“	199
საქმე „იბრაჰიმი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“	201
საქმე „ხანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“	231
საქმე „პულარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“	236
საქმე „ჰუსეინლი და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ“	242
საქმე „სანდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“	247
საქმე „ნატალია კუზმისკაია ლიტვის წინააღმდეგ“	254
საქმე „სუტიაგინი რუსეთის წინააღმდეგ“	258
საქმე „ილბეი ქემალოლუსა და მერიე ქემალოლუს თურქეთის წინააღმდეგ“	267
საქმე „სზიპუსზი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“	270
საქმე „ბიაო დანიის წინააღმდეგ“	276
საქმე „ფ.ჯ. შვედეთის წინააღმდეგ“	294
საქმე „ლუჰსა რუმინეთის წინააღმდეგ“	311
საქმე „კარაქსონი და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ“	319
საქმე „შუვალოვი ესტონეთის წინააღმდეგ“	336
საქმე „მიურსელ ერენი თურქეთის წინააღმდეგ“	341
საქმე „ჯ.ბ. ლიტვის წინააღმდეგ“	345
საქმე „ფერარი რუმინეთის წინააღმდეგ“	355
საქმე „კრაპივინი რუსეთის წინააღმდეგ“	364
საქმე „ჯინეტიენე ლიტვის წინააღმდეგ“	371
საქმე „სკოცარი და ჯუნტა იტალიის წინააღმდეგ“	380
საქმე „ს.ლ. და ჯ.ლ. ხორვატიის წინააღმდეგ“	397
საქმე „კურა პოლონეთის წინააღმდეგ“	409
საქმე „კნიატი პოლონეთის წინააღმდეგ“	413
საქმე „დენისოვა და მოისევა რუსეთის წინააღმდეგ“	417

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის განჩინება სარჩელის დასაშვებად ცნობის შესახებ. შეურაცხმყოფელი მედია კამპანია ძირს უთხრის სასამართლო პროცესის სამართლიანობას საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენის გზით და შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობასაც, რომელმაც ბრალდებულის ბრალეულობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს: ცნობილი იქნა დაუშვებლად.

**საქმე „მუსტაფა კამალ მუსტაფა (აბუ ჰამზა) (No. 1)  
CASE OF Mustafa Kamal MUSTAFA (ABU HAMZA) (No. 1)**

**განაცხადი N31411/07**

**განჩინება**

**დასაშვებად ცნობის შესახებ**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

1996-2000 წლებში განმცხადებელი ლონდონის მეჩეთის იმამი, ატარებდა ქადაგებებს და გამოდიოდა სიტყვით, რითაც გაერთიანებული სამეფოს უშიშროების სამსახურის ყურადღება მიიქცია. 1997-1998 წლებში იგი რამდენჯერმე შეხვდა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, მას ასევე შეხვედრები ჰქონდა პოლიციასთან, რომელმაც 1999 წელს დააპატიმრა და დაკითხა, რაც წარმოადგენდა გამოძიების ნაწილს იემენში მძევლების აყვანასთან დაკავშირებით ბრალის წაყენების გარეშე გათავისუფლებამდე. 2002-2004 წლებში მან მასმედიის ყურადღება მიიპყრო მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატების პრეზიდენტმა იგი გლობალურ ტერორისტად დაასახელა. პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ მას უნდა ჩამორთმეოდა ბრიტანეთის მოქალაქეობა, მისი საქმიანობიდან გამომდინარე და იემენში ადამიანის გატაცებასთან დაკავშირებული ფაქტის გამო მოითხოვა მისი შეერთებული შტატებისთვის გადაცემა. 2004 წლის ოქტომბერში მას გაერთიანებულ სამეფოში ბრალი წაუყენეს 1997-2000 წლებში ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის, მათ შორის მკვლელობისა და ეროვნული შუღლის გაღვივებისათვის. მან განაცხადა, რომ მის ირგვლივ საზოგადოების რეზონანსი იმდენად გაიზარდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა სამართლიანი სასამართლო პროცესის არსებობა და საქმის გაჭიანურების გამო მისთვის შეუძლებელს გახდიდა დაეცვა საკუთარი თავი. მიუხედავად ამისა, მას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა და იგი დამნაშავედ სცნეს არაერთ დანაშაულზე. მისი ბრალდება გასაჩივრების შემდეგ ძალაში დარჩა.

### **სამართალი**

#### **უარყოფითი რეზონანსი**

37. განმცხადებლის წერილობითი არგუმენტები უარყოფით რეზონანსთან დაკავშირებით, არსობრივად წარმოადგენს საჩივარს იმის შესახებ, რომ შეუძლებელი იქნება მისი საქმის

მიუკერძოებლად განხილვა, რადგან ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაზე შეუძლებელია ზეგავლენა არ მოეხდინა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებს ან მის რეპუტაციაზე მტრული მედია პროპაგანდით გამოწვეულ უარყოფით ზეგავლენას. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ტრიბუნალი, ნაფიცი მსაჯულთა შემადგენლობის ჩათვლით უნდა იყვნენ მიუკერძოებელნი როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური თვალსაზრისით. მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად ითვლება სანამ ამის საპირისპირო არ დამტკიცდება. იგივე შეეხება ნაფიც მსაჯულებსაც.

38. მიმდინარე საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ ნაფიცი მსაჯულების მიმართ, რომლებიც აღნიშნულ საქმეს განიხილავდნენ, სუბიექტურ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული არც ერთი ბრალდება არ გამოთქმულა. პირიქით, როგორც საქმის განხილველმა მოსამართლემ აღნიშნა, 2006 წლის 7 თებერვლის სამართალწარმოების შეჩერებაზე უარისას ყველაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ნაფიცი მსაჯულები მათ წინაშე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე მუშაობდნენ. როგორც სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, გამამართლებელი ვერდიქტი საბრალდებო დასკვნის გარკვეულ პუნქტებს დაუბრუნდა და ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებაში აისახა „რაციონალური დიფერენციაცია“ სუსტ და ძლიერ პუნქტებს შორის. ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებამ ასევე აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი სანაღმდეგოს ამტკიცებს, 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგაც კი, ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, რომ განმცხადებელს აეხსნა თავისი ქმედებები ნაფიცი მსაჯულების წინაშე; აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, ნაფიცი მსაჯულები მის ზოგიერთ ბრალდებას ვერ გაამართლებდნენ.

39. რაც შეეხება ნაფიცი მსაჯულების ობიექტურ მიუკერძოებლობას, სასამართლოს აზრით არსებობს იმის რისკი, რომ საზოგადოებაში უარყოფითმა რეზონანსმა სასამართლო პროცესის წინ ნაფიც მსაჯულებს წინასწარ უარყოფითი აზრი ჩამოუყალიბოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განმცხადებლის შემთხვევაში პროპაგანდა უწყვეტი და სენსაციურია. როგორც სააპელაციო სასამართლოს და საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტის პრეცედენტული სამართლიდან ჩანს, გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებს კარგად აქვთ გაცნობიერებული აღნიშნული რისკი. სასამართლოა აზრით სამართლიანი სასამართლო პროცესის ჩატარება შესაძლებელია ინტენსიური უარყოფითი რეზონანსის შემდეგაც. დემოკრატიის პირობებში გარდაუვალია, რომ რეზონანსულმა საქმეებმა არ მიიპყრონ მედიის ყურადღება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი მედია გამოხმაურება აუცილებლად ზიანს მიაყენებს ბრალდებულის სამართლიანი პროცესის უფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც უფრო გახმაურებული იქნება დანაშაული, უფრო ნაკლები ალბათობა იქნება, იმისა რომ დანაშაულის ჩამდენებს გაასამართლებენ და დამნაშავედ სცნობენ. როგორც ლორდი ჰოუფი აცხადებდა *მონტგომერის საქმეში* (*Montgomery v. HM Advocate*; [2003] 1 AC 641) მე-6 მუხლის მიზანს არ წარმოადგენს პასუხისგებაში იმ პირების მიცემაზე ხელის შეშლა, რომლებსაც დანაშაულის ჩადენაში ედებათ ბრალი. ნაცვლად ამისა, სასამართლოს მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ შეისწავლოს, არსებობს თუ არა საკმარისი გარანტიები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში იყოს სამართლიანი. პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სასამართლომ უნდა მოითხოვოს ობიექტურად დასაბუთებული უტყუარი მტკიცებულებები ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, თუ არ დადგინდება მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.



სასამართლო აღიარებს, რომ შეურაცხმყოფელმა მედია კამპანიამ გარკვეულ ვითარებაში შესაძლოა ჩრდილი მიაყენოს სასამართლო პროცესის სამართლიანობას საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენის გზით და შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაზეც, რომლებიც მონვეული არიან, ბრალდებულის ბრალეულობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა, საქმეების უმრავლესობაში სასამართლო პროცესის ბუნება, განსაკუთრებით კი საქმის განმხილველი მოსამართლის როლი ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ხელმძღვანელობაში უზრუნველყოფს სამართალწარმოების სამართლიანობას. გარდა ამისა, ამგვარი გამოწვევის გარემოებების არსებობის გადაწყვეტისას ადგილობრივ სასამართლოს ამგვარი შეფასების გაკეთების უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ინგლისსა და უელსში სასამართლოები სარგებლობენ დიდი უფლებამოსილებით, რათა თავიდან აიცილონ უარყოფითი ინფორმაციის მედიასაშუალებების მიერ გაშუქება სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლიათ შეაჩერონ სამართალწარმოება პროცესის ბოროტად გამოყენების საფუძველზე. როგორც *მონტგომერის საქმეში* იყო აღნიშნული, ასეთი მიდგომა ასახავს არა მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოების პრაქტიკას, არამედ სისხლის სამართლის სისტემის გამოცდილებას მთლიანად საერთო სამართლის სამყაროში. სასამართლოს აზრით, აღნიშნული პრაქტიკა პატივისცემას იმსახურებს.

40. მიმდინარე საქმეში, საქმის განმხილველმა მოსამართლემ სრულყოფილი და ცალსახა მითითება მისცა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას განმცხადებლის უარყოფითი რეზონანსის უგულებელყოფის შესახებ და ამის ნაცვლად ყურადღება გაემახვილებინათ მათ წინაშე არსებულ მტკიცებულებებზე. ნაფიც მსაჯულებს კიდევ ერთხელ მიეცათ მითითება განხილვის დაწყების შემდეგ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მითითება „ფრთხილ და ჭკვიანურ“ მითითებად მიიჩნია. სასამართლო იზიარებს შემდეგ მოსაზრებას: ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაზე მიცემული მითითება, როდესაც საქმის განმხილველი მოსამართლე საქმის განხილვის მსვლელობისას მედიას აძლევს განმეორებით გაფრთხილებას, წარმოადგენს საკმარის გარანტიას, რომ გამოირიცხოს ობიექტურად დასაბუთებული ან ლეგიტიმური ეჭვი ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის არავითარი ნიშნები არ არსებობს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება სიცოცხლის უფლების, ძალის გამოყენებისა და ეფექტური გამოძიების შესახებ.

შეცდომით ტერორისტად მიჩნეული ადამიანის ცეცხლსასროლი იარაღის მეშვეობით მკვლელობის საქმის არაეფექტური გამოძიება: დარღვევად არ მიიჩნევა.

შეცდომით ტერორისტად მიჩნეული ადამიანის მკვლელობისთვის არაფინ დასჯილა.

დიდმა პალატამ განიხილა გამოძიების ადეკვატურობა: (ა) შეეძლო თუ არა საგამოძიებო ორგანოს სწორად შეფასებინა, რამდენად გამართლებული იყო ძალის გამოყენება ; (ბ) შეეძლო თუ არა გამოძიებას დაედგინა და საჭიროების შემთხვევაში, დაესაჯა პასუხისმგებელი პირები.

**დიდი პალატა**  
**საქმე „არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“**  
**CASE OF ARMANI DA SILVA**  
**განაცხადი N 5878/08**  
**გადაწყვეტილება**  
**სტრასბურგი**  
**30 მარტი, 2016 წ.**

**ფაქტობრივი გარემოებები**

### **I. საქმის გარემოებები**

12. განმცხადებელი დაიბადა 1974 წელს და ცხოვრობს ქ. ლონდონში. ის 2005 წლის 22 ივლისს პოლიციელების მიერ მოკლული ჟან შარლ დე მენემესის ბიძაშვილია.

#### **ა. საფუძველი**

13. 2005 წლის 7 ივლისს ოთხმა თვითმკვლელმა-ტერორისტმა აფეთქებები მოაწყო ლონდონის ავტომავისტრალზე. სამი მათგანი მეტროს ვაგონში იყო, ხოლო მეოთხე - ავტობუსში. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ორმოცდათექვსმეტი ადამიანი, მათ შორის, ოთხი კამიკაძეც; ასევე დაშავდა უამრავი ადამიანი.

14. თავდასხმის მონაწილეთა და აფეთქებებთან დაკავშირებული პირების ვინაობის დასადგენად მეტროპოლიტენის პოლიციის სამსახურმა („MPS“) ფართომასშტაბიანი გამოძიება დაიწყო. სადაზვერვო ინფორმაციის თანახმად, ტერორისტები აქტიურად გეგმავდნენ მორიგ თავდასხმას. საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის დონე გაერთიანებულ სამეფოში აინია მე-3 დონიდან 1-ლ დონემდე.

15. 2005 წლის 21 ივლისს, პირველი აფეთქებებიდან ზუსტად ორი კვირის თავზე, აღმოჩენილ იქნა ოთხი ასაფეთქებელი მონყობილობა მეტროს სამ ვაგონსა და ავტობუსში დატოვებულ ზურგჩანთებში. ვინაიდან არსებობდა საშიშროება, რომ მეორე დღის დილას კამიკაძეები



გადაჯგუფდებოდნენ აფეთქებების მოსაწყობად, დედაქალაქის პოლიციის სამსახურმა დაუყოვნებლივ დაიწყო მათი ძებნის ოპერაცია (ოპერაცია „თეზეუსი 2“). მოცემულ ოპერაციას ხელმძღვანელობდა პოლიციის მეთაური ბ-ნი ჯონ მაკდაუელი.

16. 2005 წლის 22 ივლისს, დილის 4:20 საათზე პოლიციის მეთაურმა, ჯონ მაკდაუელმა მიიღო ინფორმაცია, რომ დაზვერვის სამსახურმა დაადგინა 21 ივლისს არშემდგარი აფეთქებების საქმეში ერთ-ერთი ეჭვმიტანილის ვინაობა, რომელიც აღმოჩნდა ვინმე ჰუსეინ ოსმანი. სავარაუდოდ, ბ-ნი ოსმანი და მეორე ეჭვმიტანილი ცხოვრობდნენ ლონდონში, სკოტია როუდის № 21-ში მდებარე ბინაში.

#### **4. მოვლენები, რომლებმაც გამოიწვია უან შარლ დე მენეზისის გარდაცვალება**

29. ბრაზილიის მოქალაქე უან შარლ დე მენეზისი, რომელიც ცხოვრობდა სკოტია როუდის №17-ში, საცხოვრებელი კორპუსის საერთო შესასვლელიდან გამოვიდა დილის 9 საათსა და 33 წუთზე, რათა სამსახურში წასულიყო. სათვალთვალო ფურგონში მყოფმა ოფიცერმა დაინახა ბ-ნი დე მენეზისი, დაახასიათა იგი და აღნიშნა, რომ „უკეთესი იქნებოდა სხვასაც შეეხედა მისთვის“, მაგრამ იმ დროს SO19 ერთეული ჯერ არ იყო მისული სკოტია როუდზე და შეუძლებელი იყო ბ-ნი დე მენეზისის შეჩერება. ამიტომ, მას სათვალთვალოდ ოფიცრები გაჰყვნენ.

30. ბ-ნი დე მენეზისი გასცდა სკოტია როუდის ქუჩას, მცირე მანძილი გაიარა ავტობუსის გაჩერებამდე და ავიდა ბრიქსტონისკენ მიმავალ ავტობუსში. ვიბრაციის გამო ავტობუსის ვიდეოკამერამ სრულყოფილად ვერ დააფიქსირა მისი მგზავრობა, სამაგიეროდ, დაფიქსირდა ბ-ნი დე მენეზისის ავტობუსში ყოფნის დრო - 9 საათი და 39 წუთი. სათვალთვალო ჯგუფის წევრებმა ივარაუდეს, რომ ის „საკმაოდ ჰგავდა“ ჰუსეინ ოსმანს მაგრამ 9 საათსა და 46 წუთზე პიროვნება შეფასდა, როგორც „არაიდენტიური“.

31. 9 საათსა და 47 წუთზე ბ-ნი დე მენეზისი ჩამოვიდა ავტობუსიდან და სანამ უკან გაჩერებისკენ გაიქცეოდა ხელახლა ავტობუსში ჩასაჯდომად, გამოიყენა მობილური ტელეფონი.

32. არსებობს ურთიერთსაინანაღმდეგო ცნობები იმის თაობაზე, იყო თუ არა ბ-ნი დე მენეზისი იმ დროისათვის იდენტიფიცირებული, როგორც ეჭვმიტანილი. პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევების შემსწავლელი დამოუკიდებელი კომისიის (IPCC), სტოკველ ერთის ანგარიშის თანახმად, სათვალთვალო ჯგუფის წევრებმა ვერ შეძლეს ბ-ნი დე მენეზისის იდენტიფიცირება ჰუსეინ ოსმანთან. ის ფაქტი, რომ სათვალთვალო პროტოკოლის ყველა ჩანაწერში ის მოიხსენიება, როგორც „U/I [დაუდგენელი] მამაკაცი“ გარკვეულწილად ამყარებს აღნიშნულ პოზიციას. მიუხედავად ამისა, საკონტროლო ოთახ N1600-ში მყოფმა თანამშრომლებმა მიიჩნიეს, რომ ის იდენტიფიცირებულ იქნა როგორც ჰუსეინ ოსმანი.

33. დაახლოებით იმ დროს, როცა ბ-ნი დე მენეზისი თავიდან ავიდა ავტობუსში, ერთეული SO19 დაიძრა ბრიქსტონის მიმართულებით. მოგვიანებით, სპეცდანიშნულების ჯგუფის (SFO) ხელმძღვანელმა შეატყობინა პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევების შემსწავლელ დამოუკიდებელ კომისიას (IPCC), რომ რადიოკავშირის საშუალებით დაადგინა, რომ „ეჭვმიტანილი ნამდვილად ის იყო, ვისაც ეძებდნენ, რადგან ნერვიულობდა და გაღიზიანებული იყო“.

34. 9 საათსა და 59 წუთზე თვალთვალის ჯგუფებს მოსთხოვეს პროცენტული მაჩვენებლის დასახელება, რომლის თანახმად, ექვმიტანილი ბ-ნი დე მენეჯესი იყო, რაზედაც უპასუხეს, რომ ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. მათი აზრით, აღნიშნული ადამიანი იყო ექვმიტანილი“.

35. ბ-ნი დე მენეჯესი ჩამოვიდა ავტობუსიდან სტოკველის გაჩერებაზე და გაემართა სტოკველის მეტროსადგურისაკენ. იქვე იყო სათვალთვალო სამსახურის რამდენიმე ოფიცერი. ბ-ნი დე მენეჯესი შეაჩერეს იქამდე, სანამ ის სადგურზე შევიდოდა. თავდაპირველად, ექვმიტანილის დაკავების ბრძანება სათვალთვალო ჯგუფის ხელმძღვანელმა (DSO) გასცა, როცა მიიღო ინფორმაცია, რომ SO19 ერთეულს იმ მომენტისათვის ჯერ არ შეეძლო საქმეში ჩართვა. თუმცა მაშინვე მიიღო შეტყობინება, რომ ერთეული ადგილს მიუახლოვდა, რის გამოც გააუქმა თავისი პირველი განკარგულება და უბრძანა სპეცდანიშნულების ჯგუფს, შეეჩერებინა ბ-ნი დე მენეჯესი. ამ დროს ბ-ნი დე მენეჯესი უკვე ჩასული იყო მეტროსადგურში. „ტროიან 84-მა“ სპეცდანიშნულების ჯგუფს გადასცა შემდეგი ბრძანება: „ჩვენ უნდა გავაჩეროთ ობიექტი, რომელიც მატარებელში ჯდება“. სპეცდანიშნულების ჯგუფს უთხრეს, რომ ეს იყო საგანგებო სიტუაცია, მათ ვითარება სრულად უნდა ეკონტროლებინათ და ამიტომ შეიარაღებული დაკავება გარდაუვალი იყო.

36. სადგურზე დამონტაჟებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერებში ჩანს, რომ ბ-ნი დე მენეჯესი სადგურზე შევიდა 10 საათსა და 03 წუთზე, მას ჯინსის თხელი ქურთუკი, მაისური და ჯინსის შარვალი ეცვა, მშვიდად მიდიოდა და ხელში არაფერი ეჭირა, ესკალატორით ჩავიდა სადგურზე და გაემართა პლატფორმისაკენ. ესკალატორის ქვედა მხარეს და პლატფორმაზე დამონტაჟებული კამერებიდან გაკეთებული ვიდეოჩანაწერები არ არსებობს, რადგან პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევების შემსწავლელი დამოუკიდებელი კომისიის (IPCC) - სტოკველ ერთის ანგარიშისა და პროკურატურის სახელმწიფო სამსახურის (CPS) თვალსაზრისით, კამერის კაბელები ბოლოს ჩატარებული სარემონტო სამუშაოების დროს დაზიანდა.

37. 10 საათსა და 05 წუთზე სპეცდანიშნულების რაზმის რამდენიმე ოფიცერი შევიდა სტოკველის მეტროსადგურზე. მათ ესკალატორები ჩაირბინეს. 10 საათსა და 06 წუთზე ისინი უკვე მისდევდნენ ბ-ნი დე მენეჯესს პლატფორმაზე. თვითმხილველთა ჩვენებები, როგორ განვითარდა შემდგომში მოვლენები, ურთიერთსაწინააღმდეგოა, რამდენიმე მოწმის ჩვენება შეუძლებელია ზუსტი იყოს. პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევების შემსწავლელი დამოუკიდებელი კომისიის (IPCC) - სტოკველ ერთის ანგარიშში შემავალი მტკიცებულებების თანახმად: ბ-ნი დე მენეჯესი შევიდა მატარებლის მესამე ვაგონში და თავისუფალი ადგილი დაიკავა; სათვალთვალო სამსახურის ერთ-ერთმა ოფიცერმა სპეცდანიშნულების რაზმის ოფიცრებს დაუყვირა, რომ ბ-ნი დე მენეჯესი იქ იყო; ბ-ნი დე მენეჯესი წამოდგა; ხელები დაშვებული ჰქონდა; იგი ხელისკვრით დააბრუნეს სკამზე და ორმა პოლიციელმა გააკავა; ერთ-ერთი მოწმის ჩვენებით, შესაძლოა მან ამ დროს, ხელი მარცხნივ თავისი შარვლის ქამრისაკენ წაიღო; სპეცდანიშნულების რაზმის ორმა ოფიცერმა (ჩარლი 2 და ჩარლი 12) რამდენჯერმე ესროლა ბ-ნი დე მენეჯესს და მოკლა.

38. შემთხვევიდან რამდენიმე დღეში, როდესაც გაირკვა, რომ ბ-ნი დე მენეჯესი არ იყო დაკავშირებული 21 ივლისის ტერორისტული აქტების განხორციელების მცდელობასთან, დედაქალაქის პოლიციის კომისარმა, პრემიერ მინისტრმა და საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ღრმა მწუხარება გამოხატეს ბ-ნი დე მენეჯესის გარდაცვალების გამო. დედაქალაქის პოლიციის სამსახურის წარმომადგენელი ბრაზილიაში გაემგზავრა მისი

ოჯახის სანახავად და პოლიციის სახელით მისი ოჯახის წევრებს ბოლიში მოუხადა. გადანწყდა, თინანსური დახმარება გაენიათ ოჯახისთვის. მათ შესთავაზეს გაერთიანებული სამეფოს ადვოკატის დამოუკიდებელი იურიდიული კონსულტაცია მიეღოთ და დაჰპირდნენ ამ საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ანაზღაურებას.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-2 მუხლის საგარეულო დარღვევა

186. განმცხადებელი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ გადანწყვეტილება - არც ერთი პირი არ დასჯილიყო მისი ბიძაშვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით, არღვევდა კონვენციის მეორე მუხლის პროცედურულ ასპექტს.

187. მე-2 მუხლი ითვალისწინებს:

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის უფლება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

(a) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;

(b) კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

(c) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად“.

188. მთავრობამ გაასაჩივრა განმცხადებლის არგუმენტი.

### 2. სასამართლოს შეფასება

(ა) საპროცესო მოთხოვნა სახელმწიფოს თანამდებობის პირების მიერ ლეტალური ძალის გამოყენების საქმეებთან დაკავშირებით

229. კონვენციის მეორე მუხლის ფუნდამენტური ხასიათის გათვალისწინებით, სავალდებულოა განხორციელდეს არსებითი ასპექტის შესაძლო დარღვევების ეფექტური გამოძიება (იხ. *ერვი თურქეთის წინააღმდეგ*, 28 ივლისი, 1998 წ., §82, დადგენილებებისა და გადანწყვეტილებების ანგარიშები 1998-IV; *მასტრომატეო იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N37703/97, § 89, ECHR, 2002-VIII; *ჯულიანა და გაჯჯიო*, §298; *მუსტაფა თუნჩი და ფესირე თუნჩი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N24014/05, §69, 14 აპრილი, 2015 წ.).

230. სახელმწიფოს თანამდებობის პირთა მიერ სიცოცხლის თვითნებური მოსპობის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა არაეფექტური იქნება, პრაქტიკაში თუ არ იარსებებს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ლეიტალური ძალის გამოყენების კანონიერების განხილვის პროცედურა. სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება, მოცემული დებულებით და კონვენციის პირველი მუხლით განსაზღვრული სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულებით „[თავისი] უფლებამოსილების ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოს [მოცემული] კონვენციით დადგენილი უფლებები და თავისუფლებები“ გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს ეფექტური ოფიციალური გამოძიების გარკვეული ფორმა, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ ადამიანების მკვლელობას ძალის გამოყენების შედეგად (იხ. *მაკკანნი და სხვები*, §161). შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მის ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით - სასამართლოს ან სხვა გზით, ადამიანის სიცოცხლის უფლების დასაცავად არსებული სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩოები სათანადოდ იყოს განხორციელებული და ამ უფლების რაიმე ტიპის დარღვევა იქნეს აღკვეთილი (იხ. *ზავოლოკა ლატვიის წინააღმდეგ* N58447/00, §34, 7 ივლისი, 2009 წ. და *ჯულიანა და გაჯჯიო*, §298).

231. სახელმწიფოს ვალდებულება - განახორციელოს ეფექტური გამოძიება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, განიხილება მეორე მუხლისთვის დამახასიათებელ ვალდებულებად, რომელიც მოითხოვს, რომ სიცოცხლის უფლება „კანონით იყოს დაცული“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ვალდებულების შეუსრულებლობას შესაძლოა, შედეგად მოჰყვეს მე-13 მუხლით დაცული უფლების დარღვევა, მეორე მუხლის პროცედურული ვალდებულება განიხილება როგორც ცალკე ვალდებულება (იხ. *ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N22277/93, §§91-92, ECHR, 2000-VII; *ონარიელდიში*, §148 და *ჩილიხი სლოვენის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N71463/01, §§153-154, 9 აპრილი, 2009 წ.). ამან შეიძლება გამოიწვიოს განცალკევებული და დამოუკიდებელი „ჩარევა“. ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს ის ფაქტი, რომ სასამართლომ თანმიმდევრულად შეისწავლა პროცედურული ვალდებულებების საკითხი, არსებითი ვალდებულების შესაბამისობის საკითხისგან განცალკევებულად (საჭიროების შემთხვევაში, ამასთან დაკავშირებით დაადგინა მეორე მუხლის ცალკეული დარღვევა), აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პროცედურული ვალდებულების დარღვევა მეორე მუხლის თანახმად, არ იქნა დასაბუთებული საჩივრების არარსებობის გამო მის არსებით ასპექტთან მიმართებით (იხ. *ჩილიხი*, §§ 158-159).

232. იმისათვის, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ მკვლელობა ეფექტურად გამოძიებულიყო, აუცილებელია, რომ პასუხისმგებელი პირები და პირები რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას, იყვნენ დამოუკიდებელი მოვლენებში მონაწილე პირებისაგან (იხ. *ოვიური თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N21594/93, §§ 91-92, ECHR, 1999-III; *ჯულიანა და გაჯჯიო*, §300; *მუსტაფა თუნჩი და ფესირე თუნჩი*, §177). რაც არა მხოლოდ იერარქიულ ან ინსტიტუციურ კავშირს, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობასაც ნიშნავს (იხ. *ვიულერი თურქეთის წინააღმდეგ*, 27 ივლისი, 1998 წ., §§81-82, დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების ანგარიშები 1998-IV; *ჯულიანა და გაჯჯიო*, §300; *მუსტაფა თუნჩი და ფესირე თუნჩი*, §177). ამ შემთხვევაში, სასწორზე დევს საზოგადოების ნდობა სახელმწიფოს მონოპოლიის მიმართ ძალის გამოყენების თვალსაზრისით (იხ. *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N24746/94, § 106, 4 მაისი, 2001 წ.; *რამსაჰი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N 52391/99, §325, ECHR, 2007-II; *ჯულიანა და გაჯჯიო*).

233. იმისათვის, რომ გამოძიება ეფექტური იყოს კონვენციის მეორე მუხლის კონტექსტის გაგებით, ის ადეკვატური უნდა იყოს (იხ. *რამსაჰი*, §324 და *მუსტაფა თუნჩი და ფესირე თუნჩი*,



§172). ეს იმას ნიშნავს, რომ გამოძიებას უნდა შეეძლოს ფაქტების დადგენა, იყო თუ არა ძალის გამოყენება გამართლებული არსებულ გარემოებებში და საჭიროების შემთხვევაში - დასაჯოს პასუხისმგებელი პირები (იხ. *ჯულიანა და გაჯიო*, §301 და *მუსტაფა თუნჩი და ფესირე თუნჩი*, §172). ეს არა შედეგის, არამედ საშუალებების ვალდებულებაა (იხ. *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N43577/98 და 43579/98, §160, ECHR, 2005-VII); *იალოუდი ნიდერლანდების წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N47708/08, §186, ECHR, 2014 და *მუსტაფა თუნჩი და ფესირე თუნჩი*, §173). ხელისუფლებამ რაც შეიძლება მეტად გონივრული ზომები უნდა გაატაროს, რათა უზრუნველყოს ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებები, კერძოდ, თვითმხილველის ჩვენება, სასამართლო მტკიცებულებები საჭიროების შემთხვევაში, გაკვეთის შედეგები, რომელიც უზრუნველყოფს დაზიანების სრულ და ზუსტ აღწერილობას და კლინიკური გამოკვლევების ობიექტური ანალიზი, მათ შორის, სიკვდილის მიზეზი (იხ. *სალმანი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N21986/93, §106, ECHR, 2000-VII; იხ. *თანრიკულუ თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N23763/94, §109, ECHR, 1999-IV; იხ. *გიული თურქეთის წინააღმდეგ*, N22676/93, § 89, 14 დეკემბერი, 2000 წ.). გარდა ამისა, სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან ძალის გამოყენება ეფექტურია თუ აღნიშნული გამართლებულია კონკრეტულ გარემოებებში (იხ. *კაია თურქეთის წინააღმდეგ*, 19 თებერვალი, 1998 წ., §87, ანგარიშები 1998-I). გამოძიების ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ხელს შეუშლის სიკვდილის მიზეზის ან პასუხისმგებელი პირის ვინაობის დადგენას, რისკის ქვეშ დააყენებს არსებული სტანდარტის დარღვევას (იხ. *აშარი თურქეთის წინააღმდეგ*, N25657/94, §§393-395, ECHR, 2001-VII (ამონარიდები); *ჯულიანა და გაჯიო*, §301 და *მუსტაფა თუნჩი და ფესირე თუნჩი*, §174).

234. კერძოდ, გამოძიების დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს ყველა შესაბამისი ელემენტის ამომწურავ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. გამოძიების მკაფიო ხაზიდან გადახრა არსებითად ხელს უშლის გამოძიების შესაძლებლობას, დაადგინოს საქმის გარემოებანი და პასუხისმგებელი პირების ვინაობა (იხ. *კოლევი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N1108/02, §201, 5 ნოემბერი, 2009 წ. და *მუსტაფა თუნჩი და ფესირე თუნჩი*, §175). მიუხედავად ამისა, მოკვლევის ბუნება და ხარისხი, რომელიც აკმაყოფილებს გამოძიების ეფექტურობას და შედეგიანობას მინიმალურ დონეზე, დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე. მოკვლევის ბუნება და ხარისხი უნდა შეფასდეს ყველა სათანადო ფაქტის საფუძველსა და პრაქტიკულ საგამოძიებო სამუშაოსთან მიმართებით (იხ. *ველჩა და მაზარე რუმინეთის წინააღმდეგ* N64301/01, §105, 1 დეკემბერი, 2009 წ. და *მუსტაფა თუნჩი და ფესირე თუნჩი*, §175). იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობის პირმა, საეჭვო ვითარებაში მოკლა ადამიანი, შესაბამისმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ მაქსიმალურად მკაცრად უნდა შეამოწმოს მომდევნო გამოძიების პროცესი (იხ. *ენუქიძე და გირგვლიანი*, § 277).

235. გარდა ამისა, გამოძიება უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაზარალებულის ოჯახისთვის, რამდენადაც ეს აუცილებელია, მათი კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ასევე, უნდა არსებობდეს გამოძიებაზე კონტროლის შესაძლებლობა საზოგადოების მხრიდან, რომლის ხარისხიც შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტულ შემთხვევებში (იხ. *ჰიუ ჯორდანი*, § 109; *ჯულიანა და გაჯიო*, § 303; და *მუსტაფა თუნჩი და ფესირე თუნჩი*, § 179; ასევე, *გიულერი*, § 82, როდესაც დაზარალებულის მამას არ შეატყობინეს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და *ოგიური*, როდესაც დაზარალებულის ოჯახს გამოძიების მასალებსა და სასამართლოს დოკუმენტებზე ხელი არ მიუწვდებოდა).

236. პოლიციის ანგარიშებისა და გამოძიების მასალების გამოქვეყნება შესაძლოა, ისეთ სენსიტიურ საკითხებთან იყოს დაკავშირებული, რომლებიც ზიანს მიაყენებენ კერძო პირებს ან

სხვა გამოძიებებს, აქედან გამომდინარე, ვერ იქნება განხილული მეორე მუხლით დადგენილ ავტომატურ მოთხოვნად. შესაბამისად, საზოგადოებისთვის ან დაზარალებულის ნათესავებისთვის აუცილებელი წვდომა საქმის წარმოების სხვა ეტაპებზე უნდა იქნეს უზრუნველყოფილი (იხ. *მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N 28883/95, § 129, ECHR, 2001-III და *ჯულიანა და გაჯიო*, § 304). მეტიც, მეორე მუხლი არ აკისრებს ვალდებულებას საგამოძიებო ორგანოებს დააკმაყოფილონ ნათესავების მიერ გამოძიების პროცესში გაკეთებული ყველა მოთხოვნა კონკრეტული საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების თაობაზე (იხ. *ველჩა და მაზარე რუმინეთის წინააღმდეგ* §113 და *რამსაჰი და სხვები*, § 348).

237. ამ კონტექსტში ნაგულისხმევია მოთხოვნა საქმის გამოძიების სწრაფ და გონივრულ ვადებთან დაკავშირებით (იხ. *იამა თურქეთის წინააღმდეგ*, 2 სექტემბერი, 1998 წ., §§ 102-104, ანგარიშები 1998-VI და *კაია*, §§ 106-107). უნდა დავეუვათ, რომ შესაძლებელია არსებობდეს დაბრკოლებები ან სირთულეები, რომლებიც ხელს უშლიან გამოძიების მსვლელობას კონკრეტულ სიტუაციაში. თუმცა, ხელისუფლების სწრაფი რეაგირება ლეტალური ძალის გამოყენების გამოძიების საქმეში შეიძლება მიჩნეულ იქნეს ძალიან მნიშვნელოვნად იმისათვის, რომ საზოგადოებას ჰქონდეს ხელისუფლების ნდობა, რომ დაიცავს კანონის უზენაესობას, აღმოფხვრის შეთქმულების ნებისმიერ მცდელობას და არ დაუშვებს რაიმე უკანონო ქმედებებს (იხ. *მაკკერი*, §§ 111 და 114 და *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ*, N 33401/02, § 150, ECHR, 2009).

238. ზემოთქმულიდან არ უნდა ვაკეთდეს დასკვნა, რომ მეორე მუხლი გულისხმობს უფლებას - აღიძრას დევნა ან დაისაჯოს მესამე მხარე სისხლის სამართლის დანაშაულისთვის (იხ. *მასტრომატეო*, § 90; *ჩილიბი*, § 194 და *ჯულიანა და გაჯიო*, § 306) ან აბსოლუტურ ვალდებულებას ყველა სისხლისსამართლებრივი დევნა დასრულდეს გამამტყუნებელი განაჩენით ან გარკვეული სასჯელით (იხ. *ზავოლოკა*, § 34 (c)). სასამართლო ნამდვილად პატივისცემით ეპყრობა ეროვნული სასამართლოების გადანაცვეტილებას - შეარჩიოს შესაბამისი სანქციები სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილი მკვლელობის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც უნდა განახორციელოს ზედამხედველობის გარკვეული უფლებამოსილებანი და ჩაერიოს იმ საქმეებში, რომლებშიც ადგილი აქვს აშკარა არაპროპორციულობას ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და სასამართლოს მიერ დაკისრებულ სასჯელს შორის (იხ. *კასაპი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, N 8656/10, § 59, 14 იანვარი, 2014 წ.; ა. *ხორვატიის წინააღმდეგ*, N 55164/08, § 66, 14 ოქტომბერი, 2010 წ. და *ალი და აიშე დურანი თურქეთის წინააღმდეგ*, N 42942/02, § 66, 8 აპრილი, 2008 წ.).

239. იმ შემთხვევაში, როდესაც ოფიციალური გამოძიების შედეგად იწყება სამართალწარმოება ეროვნულ სასამართლოებში, სამართალწარმოება მთლიანობაში, სასამართლო განხილვის ეტაპის ჩათვლით, უნდა აკმაყოფილებდეს პოზიტიური ვალდებულების მოთხოვნებს კანონის მეშვეობით სიცოცხლის უფლების დაცვასთან დაკავშირებით. ამ მხრივ, ეროვნულმა სასამართლოებმა არ უნდა დატოვონ სიცოცხლისათვის საშიში დანაშაულები სასჯელის გარეშე (იხ. *ონარიელდიზი*, § 95 და *ჯულიანა და გაჯიო*, § 306). ამიტომ, სასამართლოს ამოცანაა განიხილოს, შეუძლიათ თუ არა და რა მასშტაბით სასამართლოებს, დასკვნების გაკეთებისას, წარადგინონ საქმე უფრო დეტალური შესწავლისათვის კონვენციის მეორე მუხლის მოთხოვნის თანახმად, რათა არ დაირღვეს არსებული მართლმსაჯულების სისტემის შემაკავებელი ეფექტი და მისი როლის მნიშვნელობა, რომელიც სასამართლომ უნდა შეასრულოს სიცოცხლის უფლების დარღვევის პრევენციის კუთხით (*მილეუშნიჩი და მილეუშნიჩ-ესპენჰეიმი ხორვატიის წინააღმდეგ*, N 66953/09, § 66, 19 თებერვალი, 2015 წ. და *ონარიელდიზი*, § 96).



## (ბ) განაცხადი წინამდებარე საქმეზე

240. ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სახელმწიფოს თანამდებობის პირების მიერ ძალის გამოყენების შედეგად ლეტალური შემთხვევების გამოძიება ეფექტური და შედეგიანი იყოს, სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში მთელი რიგი გარკვეული მოთხოვნები დააწესა. შესაბამისად, პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გამოძიების წარმოებაზე, დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ მოვლენებში მონაწილე პირებისაგან; გამოძიება უნდა იყოს „ადეკვატური“ და საზოგადოებისათვის საჭარო ; მისი დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს ყველა შესაბამისი ელემენტის ამომწურავ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს; ის უნდა იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი დაზარალებულის ოჯახისათვის; გამოძიება უნდა განხორციელდეს სწრაფად და გონივრულ ვადებში.

241. მოცემულ საქმეში განმცხადებელი არ ასაჩივრებდა გამოძიების წარმოების პროცესს, რომელიც ჩაატარა დამოუკიდებელმა ორგანომ (IPCC). გამოძიების პროცესში IPCC-ს მიერ მოპოვებულ იქნა შესაბამისი ფიზიკური და სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულებები (800-ზე მეტი ნივთიერი მტკიცებულება იქნა შენახული), გამოვლინდა სათანადო მოწმეები (დაახლოებით მოპოვებულ იქნა 890 მონმის ჩვენება), ამის შემდეგ გამოძიება ჩატარდა ყველა გამოკვეთილი მიმართულებით და ყველა სათანადო მტკიცებულება ობიექტურად შეფასდა. ამასთან ერთად, გარდაცვლილის ოჯახს ზეპირი ფორმით რეგულარულად აწვდიდნენ დეტალურ ინფორმაციას გამოძიების მსვლელობის შესახებ და მათ იურიდიულ წარმომადგენლებთან ერთად გააცნეს IPCC-ის მიერ შემუშავებული დასკვნები. ასევე სრულად მიანოდეს ინფორმაცია პროკურატურის სახელმწიფო სამსახურის (CPS) დასკვნების შესახებ (კერძოდ, ეს იყო ორმოცდაათგვერდიანი განხილვის მოკლე და შემაჯამებელი ანგარიშები, მათ შეძლეს სასამართლო განხილვის მეშვეობით გადაეხედათ გადანყვეტილებისთვის დევნის არალძვრის თაობაზე. გამოძიებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება სახელმწიფოს დაეკისრა, რომლის პროცესში ჩაატარეს გამოძახებული 71 მონმის ჯვარედინი დაკითხვა და გააკეთეს ახსნა-განმარტებანი).

242. მიუხედავად იმისა, რომ შეყოვნდა შემთხვევის ადგილის გადაცემა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევების შემსწავლელი დამოუკიდებელი კომისიისთვის (IPCC), რაც IPCC-მ გააკრიტიკა, განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია ეს შეყოვნება და არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ შეყოვნებამ გამოიწვია გამოძიების მთლიანობის რაიმე სახით დარღვევა, რომელიც საერთო ჯამში სწრაფად და გონივრულ ვადებში ჩატარდა. DPS, დედაქალაქის პოლიციის სამსახურის დამოუკიდებელ განყოფილებას შეატყობინეს სროლის ფაქტის შესახებ შემთხვევიდან ერთი საათის მანძილზე და განყოფილების თანამშრომლებმა გამოძიების საწყის ეტაპზე შეძლეს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობის დაცვა. გარდა ამისა, IPCC-მ დაადგინა ის საკითხები, რომლებისთვისაც პირველ რიგში უნდა მიექციათ ყურადღება, ინფორმაციის დაუყოვნებლად მიღების შემთხვევაში (მაგალითად, ფაქტი, რომ ვერ მოიძიეს CCTV-ს ვიდეოჩანაწერები სტოკველის მეტროს სადგურზე, მყარი დისკების არარსებობა მატარებელზე და სათვალთვალო ჟურნალის შესაძლო ცვლილება - მომდევნო გამოძიებისთვის არც ერთი ამ საკითხთან არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი).

243. სასამართლოს აზრით, მნიშვნელოვანია აღნიშნული მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნეს მთლიანად საქმის განხილვის პროცესში განმცხადებლის კონკრეტული საჩივრების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება მხოლოდ და მხოლოდ გამოძიების ადეკვატურობის გარკვეულ ასპექტებს. როგორც ეს ზემოთ ზოგად ასპექტებშია განსაზღვრული, გამოძიების „ადეკვატურობისთვის“, შესაძლებელი უნდა იყოს იმის დადგენა, გამოყენებული ძალა გამართლებულია თუ არა არსებულ გარემოებებში, გამოვლინდნენ და საჭიროების შემთხვევაში, დაისაჯონ პასუხისმგებელი პირები. მოცემული საქმის ფაქტების გათვალისწინებით, განმცხადებელი აცხადებს, რომ (ა) საგამოძიებო ორგანოებს არ შეეძლოთ დაედგინათ, იყო თუ არა ძალის გამოყენება გამართლებული, რადგან არ მიეცათ საშუალება ემსჯელათ ჩარლი 2-ის და ჩარლი 12-ის კეთილსინდისიერი ვარაუდი ძალის გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით, იყო თუ არა გონივრული; (ბ) ინგლისის და უელსის სისხლის სამართლის სისტემაში არსებული ხარვეზების გამო დაირღვა გამოძიების ემედიოუნარიანობა, რომელსაც შედეგად მოჰყვებოდა პასუხისმგებელი პირების დასჯა.

**(i) გამოძიების ადეკვატურობა: შეეძლო თუ არა ხელისუფლებას სათანადოდ განეხილა ძალის გამოყენების გამართლებულობის საკითხი**

**(α) სასამართლოს მიერ გამოყენებული ტესტი**

244. სასამართლოს მიერ თანმიმდევრულად გამოყენებული ტესტი იმის დასადგენად, იყო თუ არა ლეტალური ძალის გამოყენება გამართლებული განმარტებულია საქმეში *მაკკენი და სხვები*, § 200:

„სახელმწიფოს თანამდებობის პირების მიერ ძალის გამოყენება კონვენციის მეორე მუხლის მეორე პარაგრაფით განსაზღვრული ერთ-ერთი მიზნის მისაღწევად შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ ის ეფუძნება კეთილსინდისიერ ვარაუდს, რომელიც მართებულად აღიქმება იმ მომენტში, მაგრამ შემდგომში აღმოჩნდება მცდარი. ამის სხვაგვარად გაგება ტვირთად დაანგება სახელმწიფოს და შესაძლოა საზიანო იყოს, როგორც სამართალდამცავებისათვის მოვალეობების შესრულებისას, ასევე სხვა ადამიანებისათვის.“

245. მთავრობა ამტკიცებს, რომ ლეტალური ძალის გამოყენების რწმენის გონივრულობა უნდა განისაზღვროს სუბიექტურად. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელმა მიიღო ეს მტკიცებულება, მესამე მხარის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ კეთილსინდისიერი ვარაუდი უნდა შეფასდეს მიზანშეწონილობის ობიექტურობის სტანდარტის საწინააღმდეგოდ. თუმცა, აღნიშნული ტესტის გამოყენების შემთხვევაში *მაკკენი და სხვების* საქმის, ასევე შემდგომი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ამკარად აუცილებელი გახდა — „შესაბამისი საფუძვლების“ სუბიექტურად განსაზღვრა. რიგ შემთხვევებში, სასამართლომ ღიად განაცხადა, რომ ვინაიდან ის დაშორებულია განსახილველ მოვლენებს, არ შეუძლია სიტუაციის მისეული შეფასება შეცვალოს პოლიციელის მიერ გაკეთებული შეფასებით, რომელიც იძულებული იყო საჭირო რეაგირება მოეხდინა მოვლენათა ეპიცენტრის დროს, რათა თავიდან აეცილებინა თავისი და სხვა ადამიანების სიცოცხლის საფრთხე; უფრო სწორად, სასამართლომ მოვლენები უნდა განიხილოს საქმეში მონაწილე პირის(ების) თვალთახედვით, რომელიც მოქმედებდა საკუთარი თავის დასაცავად აღნიშნული მოვლენების დროს (იხ. *ბაბბინსი*, § 139 და *ჯულიანა და გაჯიო*, §§ 179 და 188). შესაბამისად, მეორე მუხლით განსაზღვრულ საქმეებში, როდესაც სასამართლო კონკრეტულად განიხილავდა იმ საკითხს, იყო თუ არა ეს ვარაუდი აღქმული კარგი მიზნებისთვის, რომელიც მართებული იყო იმ მომენტისათვის, მან არ გაითვალისწინა

მიუკერძოებელი დამკვირვებლის აზრი; ამის ნაცვლად, სასამართლო შეეცადა თავი წარმოედგინა იმ ადამიანის ადგილზე, რომელმაც გამოიყენა ლეტალური ძალა, დაედგინა, ჰქონდა თუ არა სათანადო ვარაუდი და შეეფასებინა გამოყენებული ძალის აუცილებლობის ხარისხი (იხ. *მაკარატზისი საბერძნეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N 50385/99, §§ 65-66, ECHR, 2004-XI; *ოლაპი უნგრეთის წინააღმდეგ* (განჩინება), 56558/00, 14 სექტემბერი, 2004 წ. და *ჯულიანა და გაჯიო*, § 189 ).

246. გარდა ამისა, ამ ტექსტის გამოყენებისას სასამართლომ განიხილა გონივრულობა არა როგორც ცალკეული მოთხოვნა, არამედ შესაბამისი ფაქტორი - განმარტებისთვის, იყო თუ არა ოფიცრის (პოლიციელის) ვარაუდი კეთილსინდისიერი. *მაკკენის და სხვების* საქმეში სასამართლომ დაადგინა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებზე არარეალისტური ტვირთის დაკისრების საფრთხის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ვერ აღმოაჩინა მეორე მუხლის დარღვევის ფაქტი, რადგან ოფიცრებს „გულწრფელად სჯეროდათ, მათთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, რომ საჭირო იყო ეჭვმიტანილების განადგურება, რათა მათ არ აეფეთქებინათ ბომბი და არ გამოეწვიათ ბევრი ადამიანის სიკვდილი“ ( *მაკკენი და სხვები*, § 200). ანალოგიური მიდგომა კეთილსინდისიერებაზე, შეიძლება შეგვხვდეს უამრავ სხვა საქმეში, მათ შორისაა *ანდრონიკუ და კონსტანტინუ*, § 192; *ბაბინსი*, § 140; *გოლუბევა რუსეთის წინააღმდეგ*, N1062/03, § 102, 17 დეკემბერი, 2009 წ.; *ვასილევსკა და კალუცკა პოლონეთის წინააღმდეგ*, N 28975/04 და 33406/04, § 52, 23 თებერვალი, 2010 წ. და *ჯულიანა და გაჯიო*, § 189.

247. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სავარაუდოდ, პირი თავდაცვის მიზნით მოქმედებდა და გულწრფელად სწამდა ძალის გამოყენების აუცილებლობა, ამიტომ საქმე წარმართა მე-2 მუხლის დარღვევის კუთხით, რადგან აღნიშნული მომენტისთვის, რწმენა არ იყო აღქმული მართებულად და გამოყენებული ძალა გაგებული იყო სრულიად არაპროპორციულად. სასამართლომ არ გაიზიარა ის თვალსაზრისი, რომ ვარაუდი კეთილსინდისიერი იყო და მე-2 მუხლის დარღვევა დაადგინა.

248. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ *მაკკენის და სხვების* საქმეში ტექსტის გამოყენების მიზანი იყო დაედგინათ, ჰქონდა თუ არა ადამიანს გულწრფელი და ჭეშმარიტი რწმენა იმისა, რომ ძალის გამოყენება აუცილებელი იყო. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, სასამართლომ უნდა დაადგინოს, იყო თუ არა რწმენა სუბიექტურად გონივრული ყველა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომელიც იმ მომენტში დაფიქსირდა. იმ შემთხვევაში, თუ რწმენა სუბიექტურად არ იყო გონივრული (რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ ემყარებოდა საკმარის საფუძვლებს), სასამართლოს გაუჭირდება იმ ფაქტის აღიარება, რომ რწმენა გულწრფელი და ჭეშმარიტი იყო.

### **(β) ინგლისსა და უელსში გამოყენებული ტექსტის თავსებადობა**

249. წინამდებარე საქმეში კორონერის (საგანგებო გამომძიებლის) მიერ აღწერილი ტექსტის გამოყენება უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

„ნუთუ ოფიცერს (პოლიციელს) ჭეშმარიტად და გულწრფელად სჯეროდა, რომ მისთვის აუცილებელი იყო საკუთარი თავის და/ან სხვების დასაცავად ძალა გამოეყენებინა? ეს არის კითხვა სუბიექტური რწმენის შესახებ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რწმენა მცდარი და შეცდომა არაგონივრული იყო, დაცვას მაინც შეიძლება ჰქონდეს ადგილი. რწმენის გონივრულობა

რელევანტურია მხოლოდ სასამართლოს დასახმარებლად რწმენის გულწრფელობის დასადგენად.”

250. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ადრე უკვე განიხილა ტესტის თავსებადობა კონვენციის მეორე მუხლთან, ეს საქმეები არ ეხმარება სასამართლოს წინამდებარე საქმის გადაწყვეტაში. მართალია, *ბენეტის* შემთხვევაში, სასამართლომ პირდაპირ დაადგინა, რომ არ არსებობდა „ დიდი სხვაობა ინგლისის კანონმდებლობაში თავდაცვის განმარტებასა და მეორე მუხლით განსაზღვრულ „აბსოლუტური აუცილებლობის“ ტესტს შორის“. თუმცა, *ბენეტის* საქმეში გადასაწყვეტი იყო, კორონერის (საგანგებო გამომძიებლის) მიერ გამოყენებული ტესტი, კერძოდ კი, ლეტალური ძალის გამოყენების „გონივრული გამართლება“ კონვენციის მეორე მუხლის „აბსოლუტური აუცილებლობის“ მოთხოვნასთან იყო თუ არა თავსებადი. მაშასადამე, სასამართლოს არ მოეთხოვებოდა ადგილობრივი კანონმდებლობის თავსებადობის დადგენა მოთხოვნასთან, რომ უნდა არსებობდეს იმ მომენტისათვის მართებული გულწრფელი რწმენა, საკმარისი დასაბუთებით. ეს საკითხი წამოიჭრა საქმეში *კარაჰერის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება), N 24520/94, ECHR, 2000-I. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილობრივი მოსამართლის მიდგომა *კარაჰერის* საქმეში გარკვეულწილად განსხვავდება იმ მიდგომისაგან, რომელიც წინამდებარე საქმეშია გამოყენებული და მთავრობამ მიიღო ეს უკანასკნელი როგორც ადგილობრივი კანონმდებლობის ზუსტი ანარეკლი.

251. როგორც მხარეთა არგუმენტების, ისე ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებებიდან ჩანს, რომ მოცემულ საქმეში თავდაცვის ტესტის მთავარი ამოცანაა ინგლისსა და უელსში გამოვლინდეს, იყო თუ არა ძალის გამოყენების აუცილებლობის რწმენა გულწრფელი და ჭეშმარიტი. ამ რწმენის სუბიექტური გონივრულობა (ან შესაბამისი საფუძვლის არსებობა) პრინციპულად ეხება იმ საკითხს, იყო ეს თუ არა რეალურად ჭეშმარიტი და გულწრფელი. როგორც კი ეს საკითხი განიხილება, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა დასვას კითხვა, იყო თუ არა გამოყენებული ძალა „აბსოლუტურად აუცილებელი“. ეს კითხვა არსებითად ეხება პროპორციულობას, რაც აიძულებს ხელისუფლებას კვლავ განიხილოს გონივრულობის საკითხი, ანუ იყო თუ არა გამოყენებული ძალის დონე გონივრული, ადამიანის გულწრფელი და ჭეშმარიტი რწმენის გათვალისწინებით.

252. ამ ფორმულირებით, შეუძლებელია ვთქვათ, რომ ინგლისსა და უელსში გამოყენებული ტესტი მნიშვნელოვნად განსხვავდება სასამართლოს მიერ გამოყენებული სტანდარტისაგან *მაკკერის* და *სხვების* საქმის განხილვისას და *მაკკერის* და *სხვების* შემდგომ პრეცედენტულ სამართალში. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ ადრე უარი თქვა ადგილობრივ საკანონმდებლო ჩარჩოში დაედგინა ნაკლოვანება მხოლოდ და მხოლოდ ფორმულირებაში სხვაობის გამო, რომელიც შეიძლება დაძლეულ იქნეს ეროვნული სასამართლოების ინტერპრეტაციის გზით (იხ. *პერკი თურქეთის წინააღმდეგ*, N 50739/99, § 60, 28 მარტი, 2006 წ. და *ჯულიანა და გაჯიო*, §§ 214 და 215), შეუძლებელია ითქვას, რომ ინგლისსა და უელსში თავდაცვის მიღებული განმარტება ჩამორჩება კონვენციის მეორე მუხლით განსაზღვრულ სტანდარტს.

253. ასევე აშკარაა, რომ მოცემულ საქმეში ყველა დამოუკიდებელმა ორგანომ განიხილა ჩარლი 2-ის და ჩარლი 12-ის ქმედებები და დეტალურად შეისწავლა მათი რწმენის სუბიექტური გონივრულობა იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა უან შარლ დე მენგესი კამიკაძე , რომელსაც შეეძლო ბომბის აფეთქება ნებისმიერ წამს. სტოკველ ერთის ანგარიშში IPCC-მ აღნიშნა, რომ ჩარლი 2-ისა და ჩარლი 12-ის ქმედებები განხილულ უნდა იქნეს იმ დღის და ორი



კვირის წინანდელი მოვლენების ჭრილში. კერძოდ კი, იგი შეეხო SFO-ს ბრიფინგს, სათვალთვალო ჯგუფების მიერ ბ-ნი დე მენეჯის იდენტიფიკაციას, „State Red-ის“ გადაწყვეტილებას, როდესაც SFO მივიდა სტოკველში და DSO-ს ბრძანებას - „გაეჩერებინათ“ ბ-ნი დე მენეჯისი.

254. სამეფო პროკურატურამ (CPS) ასევე გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სტოკველზე მოვლენები „განვითარდა წამებში“ და არსებობდა „რამდენიმე დამოუკიდებელი მტკიცებულება ოფიცრების (პოლიციელების) სასარგებლოდ იმასთან დაკავშირებით, რომ მათ შეეშინდათ უან შარლს არ აეფეთქებინა ბომბი“. მოგვიანებით, სამეფო პროკურატურამ (CPS) აღნიშნა, რომ თუკი ჩარლი 2 და ჩარლი 12 ნამდვილად ფიქრობდნენ, რომ მოქმედებდნენ თავდაცვის ფარგლებში, მაშინ მათი ქმედებები, რომლებიც დასრულდა ბ-ნი დე მენეჯისის მკვლელობით, გონივრული იქნებოდა და არა უკანონო.

255. ანალოგიურად, კორონერმა (საგანგებო გამომძიებელმა) განმარტა, რომ მას უნდა გაეთვალისწინებინა ჩარლი 2-ის და ჩარლი 12-ის რწმენის გონივრულობა ძალის გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით, რათა გადაეწყვიტა, იყო თუ არა ის კეთილსინდისიერი და გულწრფელი.

256. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა არ განიხილეს, კონვენციის მეორე მუხლის მოთხოვნებთან თავსებადი გზით, იყო თუ არა ჩარლი 2-ისა და ჩარლი 12-ის მიერ ძალის გამოყენება გამართლებული არსებულ გარემოებებში.

(ii) გამოძიების ადეკვატურობა: შესაძლებელი იყო თუ არა პასუხისმგებელი პირების დადგენა და საჭიროების შემთხვევაში - დასჯა.

257. მართალია, ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას, რომ სიცოცხლისათვის საშიში დანაშაულები დარჩეს დაუსჯელი, სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ კონვენციის მეორე მუხლით დადგენილი საგამოძიებო ვალდებულება არის ერთ-ერთი საშუალება და არა შედეგი. ადრინდელ საქმეებში სასამართლომ განაცხადა, რომ „გამოძიებას უნდა შეეძლოს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიკაცია და დასჯა“ (იხ. *ოკიური*, §88). თუმცა პრეცედენტული სამართლის ბოლო საქმეებში აღნიშნული მოთხოვნა დაიხვეწა და ასე იკითხება „გამოძიების შედეგად შესაძლებელი უნდა იყოს განისაზღვროს, იყო თუ არა გამოყენებული ძალა გამართლებული არსებულ გარემოებებში... და საჭიროების შემთხვევაში, დაისაჯონ პასუხისმგებელი პირები (იხ. *ჯულიანა და გაჯჯიო*, §301; *მუსტაფა თუნჩი და ფესირე თუნჩი თურქეთის წინააღმდეგ*, § 172). აქედან გამომდინარეობს, რომ მეორე მუხლი არ იწვევს მესამე მხარის გასამართლების ან დასჯის უფლებას სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის (იხ. *მასტრომატეო*, § 90 და *ჩილიხი*, § 194). უფრო მეტიც, სასამართლოს ამოცანაა მთელი სამართალწარმოების გათვალისწინებით, დაადგინოს კონვენციის მეორე მუხლის მოთხოვნის მიხედვით ადგილობრივმა ხელისუფლებამ წარადგინა თუ არა საქმე განსახილველად და რა მასშტაბით (*ონარიელდობი*, § 95).

258. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს არ აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ მოცემულ საქმეში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო სათანადო ფიზიკური ან სამედიცინო მტკიცებულებების მოპოვება, სათანადო მონშეების ან სათანადო ინფორმაციის მოძიება. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი მტკიცებულებები დეტალურად განალომდა და შეფასდა დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს, IPCC-ის მიერ, რომელმაც 890 მონშეს ჩამოართვა

ჩვენება და შეაგროვა 800-ზე მეტი მტკიცებულება; CPS-ის მიერ; მოსამართლის და ნათიკ მსაჯულთა მიერ - OCPM სისხლის სამართლის სასამართლო პროცესის დროს, როდესაც 47 მონზე იქნა გამოძახებული ჩვენებების მიცემის მიზნით; კორონერის (საგანგებო გამომძიებლის) და ნათიკ მსაჯულების მიერ გამოძიების დროს, როდესაც 71 მონზე იყო გამოძახებული. განმცხადებელი არ ცდილობდა საპირისპიროს დამტკიცებას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, წარმოადგენს თუ არა - კონკრეტული ოფიცრების (პოლიციელების) მიმართ არ აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა და დევნა აღიძრას მხოლოდ OCPM-ის, როგორც პოლიციის ოფიცრების დამქირავებლის მიმართ - კონვენციის მეორე მუხლის პროცედურულ დარღვევას.

259. დღემდე სასამართლომ არ შეცვალა პროკურორის გადაწყვეტილება, რომელიც გამოძიების შედეგებიდან გამომდინარეობს და სხვა დანარჩენ ასპექტში შეესაბამება მეორე მუხლს. ფაქტობრივად, სასამართლომ გამოხატა პატივისცემა ხელშემკვრელი მხარეების მიმართ როგორც მათი პროკურატურის სისტემების ორგანიზების, ისე პროკურატურის ინდივიდუალური გადაწყვეტილებების გამოტანის კუთხით. *კოლევის* საქმეში სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

„[იმ] ფაქტის მიუხედავად, რომ არსებობს პროკურატურის ბევრი სხვადასხვა სახელმწიფო სისტემა და განსხვავებული პროცესუალური ნორმა სისხლის სამართლის საქმის გამოსაძიებლად, შესაძლოა, ისინი არ იყოს კონვენციასთან თავსებადი, რომელიც არ ითვალისწინებს რომელიმე ერთიან მოდელს ამ თვალსაზრისით... დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა იმ საქმეებში, რომლებშიც მონაწილეობენ მაღალი რანგის პროკურორები და სხვა თანამდებობის პირები, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა გზით, როგორცაა გამოძიება და დევნა პროკურატურის სისტემის გარეთ მყოფი ცალკე ორგანოს მიერ, სპეციალური გარანტიები გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მისაღებად, იერარქიული დამოკიდებულების, საზოგადოებრივი კონტროლის, სასამართლო კონტროლის და სხვა ღონისძიებების მიუხედავად. სასამართლოს ამოცანაში არ შედის დაადგინოს, რომელი სისტემა აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს. თუმცა, შესაბამისი წევრი ქვეყნის მიერ არჩეული სისტემა უნდა იძლეოდეს გარანტიას როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის დონეზე, რომ გამოძიება დამოუკიდებელი და ობიექტური იქნება ყველა გარემოებაში მიუხედავად იმისა, საქმეში ჩართულნი არიან თუ არა საჯარო პირები” (§ 208).

260. ანალოგიურადაა, *ბრეჩნელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ საქმეში*, N32457/04, §81, 27 ნოემბერი, 2007 წ., მიუხედავად სასამართლოს დადგენილებისა, თავდაპირველ საგამოძიებო ქმედებას აკლდა აუცილებელი დამოუკიდებლობა (შესაბამისად, ის არღვევდა მეორე მუხლის პროცედურულ ასპექტს), მან ვერ მოიძია საკმარისი საფუძველი გადაეხედა გადაწყვეტილებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის აღუძვრელობასთან დაკავშირებით, როდესაც „არ იყო ცალსახა, რომ დევნა წარმატებით დამთავრდებოდა“ და სასამართლოს არ შეეძლო „დაედანაშაულებინა ხელისუფლება აშკარა არაკეთილსინდისიერების ან ნების უქონლობის გამო“. *ბლეჩნელის* საქმეში საჩივარი წარდგენილ იქნა შესაბამისი პიროვნების გარდაცვალებიდან თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ; მიუხედავად ამისა, ეს ნათლად მტყვევლებს სასამართლოს თავშეკავებულობაზე - ჩაერიოს პროკურატურის მიერ კეთილსინდისიერად მიღებულ გადაწყვეტილებაში სხვაგვარად ჩატარებული ეფექტიანი გამოძიების შემდგომ.



261. როგორც ითქვა, სასამართლომ, მოცემულ საქმეში დაადგინა, რომ „ინსტიტუციურ ხარვეზებს“ სისხლის სამართალში ან პროკურატურის სისტემაში შეუძლიათ კონვენციის მეორე მუხლის დარღვევა. კოლეჯის საქმეში (§209) სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურატურის სისტემის ასეთმა ხარვეზებმა გამოიწვიეს საკმარისი გარანტიების ნაკლებობა, რათა დამოუკიდებლად გამოძიებულიყო მთავარი პროკურორის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულები. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურატურის ცენტრალიზებულმა სტრუქტურამ „პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა ჩატარებულიყო დამოუკიდებელი გამოძიება [მთავარი პროკურორის] კავშირის დასადგენად“. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საქმის ეფექტიანად გამოსაძიებლად არ არსებობდა არანაირი მსგავსი დაბრკოლება, განმცხადებელი აცხადებდა, რომ არსებობდა ეფექტიანი სისხლის სამართლის დევნის ხელისშემშლელი სხვა მნიშვნელოვანი დაბრკოლებები. ასეთი დაბრკოლებების არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა, დაუსჯელი დარჩეს სიცოცხლისათვის საშიში დანაშაულები და გამოიწვიოს სახელმწიფოს მხრიდან ტოლერანტობა ან შეთქმულება - უკანონო ქმედებებთან მიმართებაში. საპასუხოდ სასამართლოს მოუწევს განიხილოს განმცხადებლის თითოეული საჩივარი იმისათვის, რომ დაადგინოს არსებობდა თუ არა „ინსტიტუციური ხარვეზები“, რომლებმაც გამოიწვიეს კონვენციის მეორე მუხლის პროცედურული დარღვევა.

#### (α) სამეფო პროკურატურა (CPS)

262. ინგლისსა და უელსში გადანყვეტილებას სისხლის სამართლის დევნის აღძვრის შესახებ იღებს სამეფო პროკურატურის პროკურორი. მთავრობა ამტკიცებდა, რასაც განმცხადებელი არ ასაჩივრებდა, რომ სამეფო პროკურატურა დამოუკიდებელი იყო კონვენციის მეორე მუხლის თანახმად. ისეთ მძიმე შემთხვევებში, როგორც წინამდებარე საქმეა, დამოუკიდებელი იურიდიული კონსულტაციის გავლის შემდეგ, გადანყვეტილებას ზემდგომი პროკურორი იღებს. სასამართლოს არასოდეს განუცხადებია, რომ გადანყვეტილება დევნის აღძვრის თაობაზე სასამართლომ უნდა მიიღოს (იხ. *ჰიუ ჯორდანი*, §§ 122-124, რომელშიც სასამართლო არ დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ საქმის აღძვრის გადანყვეტილება სახელმწიფო თანამდებობის პირმა მიიღო). მართლაც, სულ მცირე 25 ხელშემკვრელ სახელმწიფოში გადანყვეტილებას სისხლის სამართლის დევნის აღძვრის შესახებ სახელმწიფო პროკურორი იღებს. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ გადანყვეტილებას იღებს საჯარო მოხელე თავისთავად პრობლემას არ წარმოადგენს იმ პირობით, თუ არსებობს საკმარისი გარანტიები იმისათვის, რომ დამოუკიდებლობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილი იქნება.

263. გარდა ამისა, სასამართლოს თვალსაზრისით, *მაქსიმოვის* საქმეში გაკეთებული შეთავაზება - პროკურორებმა უნდა მოისმინონ მოწმეების ზეპირი ჩვენებები გადანყვეტილებების გამოტანამდე, არ შეიძლება ავტორიტეტულად მივიჩნიოთ. *მაქსიმოვის* საქმეში, ბრალმდებელმა გადანყვეტილება მიიღო ისე, რომ დამოუკიდებელ საგამოძიებო უწყებას არ მოუსმენია მთავარი მოწმეების ზეპირი ჩვენებებისათვის. სიტუაცია მოცემულ საქმეში საკმაოდ განსხვავდება IPCC-სგან, დამოუკიდებელმა საგამოძიებო ორგანომ ამომწურავი გამოძიება ჩაატარა, რომელიც ყველა შესაბამისი მოწმის დაკითხვას მოიცავდა; CPS-სთვის ხელმისაწვდომი იყო გამოძიების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ბრალმდებლის მიერ გადანყვეტილების მიღების პროცესში. მოწმეების დაკითხვა და ჯვარედინი დაკითხვა კორონერის (საგანგებო გამოძიებლის) თანდასწრებით ჩატარდა. მან დაასკვნა, რომ არ არსებობდა არანაირი მტკიცებულება, რომელსაც ნაფიც მსაჯულებს წარუდგენდნენ და შეძლებდნენ პოლიციის რომელიმე ცალკეული ოფიცრის მიერ მკვლელობის ჩადენის ფაქტის დადგენას. მოკვლევის შედეგად, CPS-მ გადახედა თავის პირველ გადანყვეტილებას და დაასკვნა, რომ მტკიცებულება

კვლავ არასაკმარისი იყო რომელიმე პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში არ არის არანაირი ნორმა, რომელიც დამოუკიდებელ პროკურორს ზეპირი ჩვენებების მოსმენას დაავალდებულებს, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე გადანწყვეტილების მიღებამდე.

264. შესაბამისად, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ განმცხადებლის საჩივრებმა CPS-ს როლსა და ორგანიზაციასთან დაკავშირებით ისეთი „ინსტიტუციური ხარვეზები“ გამოავლინა, რომლებმაც ხელისუფლებას ხელი შეუშალეს ბ-ნი დე მენეზის გარდაცვალებაში დამნაშავე პირების ანგარიშვალდებულების ადეკვატურად უზრუნველყოფას.

### **(β) მტკიცებულებათა ზღვრის დასადგენი ტესტი**

265. მთავრობის განმარტებით, სისხლის სამართლის დევნის აღძვრასთან დაკავშირებით გადანწყვეტილების მისაღებად, ინგლისისა და უელსის პროკურორებმა ორსაფეხურიანი ტესტი უნდა გამოიყენონ: პირველი, უნდა დასვან კითხვა, არსებობს თუ არა საკმარისი მტკიცებულებები „გასამართლების რეალისტური პერსპექტივის“ უზრუნველსაყოფად თითოეული ბრალდებულის წინააღმდეგ თითოეულ ბრალდებაზე (მტკიცებულებათა ზღვრის დასადგენი ტესტი); მეორე, უნდა გადანწყვიტონ, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული საქმე საზოგადოების ინტერესს. გადანწყვეტილების მიღებისას მსჯავრის დადების რეალისტურ პერსპექტივასთან დაკავშირებით, მათ არ მოეთხოვებათ არითმეტიკული „51%-იანი წესის“ გამოყენება; ამის მაგივრად, უნდა გაარკვიონ, არსებობს თუ არა საკმარისი მტკიცებულება, რომელიც მსჯავრის დადების საფუძველს მისცემს.

266. სადავო არ არის, რომ სახელმწიფოებს მტკიცებულებათა ზღვრის დასადგენი ტესტის, გამოყენების უფლება უნდა ჰქონდეთ, რათა სასამართლო პროცესის მსვლელობისას, რომლის წარმატებით დასრულება მეტად სათუთაა, არ წარმოიშვას ფინანსური და მორალური დანახარჯები, საქმეში *გიურთეკინის და სხვები კვიპროსის წინააღმდეგ*, N 60441/13, 68206/13 და 68667/13 (განჩინება), 11 მარტი, 2014 წ., სასამართლომ იმპლიციტურად აღიარა შემდეგი:

„სისხლისსამართლებრივი დევნა, განსაკუთრებით ისეთი მძიმე ბრალდების საფუძველზე, როგორცაა მასობრივ უკანონო მკვლელობებში მონაწილეობა, ყოველთვის სერიოზულ მიდგომას მოითხოვს ვინაიდან, ბრალდებული, რომელიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის წნეხის ქვეშაა, დიდ ზემოქმედებას განიცდის საზოგადოების მხრიდან და ეს უარყოფითად აისახება, როგორც მის რეპუტაციაზე, ისე პირად, ოჯახურ და პროფესიულ ცხოვრებაზე. კონვენციის მეექვსე მუხლის § 2-ში განმარტებული უდანაშაულობის პრეზუმციის გათვალისწინებით, დაუშვებელია ვარაუდი, რომ კონკრეტული ადამიანის მიმართ ეჭვები იმდენად დიდია, რომ გამოსაყენებელ მტკიცებულებათა სტანდარტი შეესაბამოა. მითქმა-მოთქმა და ჭორები იმდენად სახიფათო საფუძველს წარმოადგენს, რომ მათზე დაყრდნობამ შეიძლება ადამიანის ცხოვრება დაუნგრიოს.“ (§ 27)

267. უფრო მეტიც, შემდეგი მიზეზების გამო, სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა აღნიშნული ზღვრის დაწესებისას დისკრეციის კონკრეტული ზღვარი უნდა შეათანხმონ.

268. პირველი, მტკიცებულებათა ზღვრის დასადგენი ტესტის შემოღებისას, ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტი დააბალანსოს, მათ შორის, დაზარალებულების, პოტენციური ბრალდებულების და ზოგადად საზოგადოების; აღნიშნული ხელისუფლება ამგვარი შეფასების გასაკეთებლად, სასამართლოსთან შედარებით უფრო ინფორმირებულია. ამასთან დაკავშირებით, აშკარაა, რომ მტკიცებულებათა ზღვრის ტესტი, რომელსაც ინგლისისა და უელსის პროკურორები იყენებენ, არ არის თვითნებური გადაწყვეტილება. პირიქით, ის ხშირად განხილვების, საზოგადოებასთან კონსულტაციების და პოლიტიკური დებატების საგანი იყო. კერძოდ, კოდექსის დეტალური განხილვა მოხდა 2003, 2010 და 2012 წლებში. ეს არის ზღვარი, რომელიც ყველა მიმართულებაზე ვრცელდება, ანუ ყველა ტიპის დანაშაულებზე, მიუხედავად იმისა, თუ პოტენციურად ვინ ჩაიდინა დანაშაული.

269. მეორე, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის არ არსებობს ერთიანი მიდგომა მტკიცებულებათა ზღვრის დასადგენ ტესტთან მიმართებით, რომელიც მათ სამართლებრივ სისტემებში გამოიყენება. წერილობით მტკიცებულებათა ტესტი სულ მცირე 24 ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებობს. ამ სახელმწიფოთაგან ოცში ზღვრის დასადგენი ტესტი ორიენტირებულია ეჭვმიტანილის წინააღმდეგ მტკიცებულებათა საკმარისი ოდენობის მისაღებად; თუმცა, პრაქტიკაში შეუძლებელია დაზუსტებით იმის მტკიცება, რომ სისხლის სამართლებრივ დევნაზე გადაწყვეტილების მიმღებები ამ სახელმწიფოებში ასევე არ ითვალისწინებენ ბრალდების უზრუნველყოფის პერსპექტივას. ტესტები განსხვავებულია იმ ოთხ ქვეყანაში, სადაც ტესტი მკაფიოდაა ფოკუსირებული ბრალდების პერსპექტივაზე. ავსტრიაში ტესტი წარმოადგენს „ბრალდების ალბათობას“; ისლანდიაში, მნიშვნელოვანია, არის თუ არა მტკიცებულება „ბრალდებისთვის საკმარისი ან საჯარაუდო“; „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში“ საკითხი ასე დგას: არსებობს თუ არა „საკმარისი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზე პროკურორი შეძლებს ბრალდების წაყენებას“; პორტუგალიაში კი არსებითაა „გონივრული შესაძლებლობა პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის სასამართლო პროცესის დროს“.

270. ნებისმიერ შემთხვევაში, მტკიცებულებათა ზღვრის დასადგენი ტესტი უნდა განიხილებოდეს მთლიანად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის კონტექსტში. ინგლისისა და უელსში დაწესებული ზღვარი შესაძლოა, უფრო მაღალი იყოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, სადაც დანერგულია ეს ტესტი და ასახავს ამ ქვეყნების ნაფიც მსაჯულთა სისტემას. მას შემდეგ, რაც ბრალდება წაყენებულია, მოსამართლე ვალდებულია გადასცეს საქმე ნაფიც მსაჯულებს განსახილველად, სანამ არსებობს „გარკვეული მტკიცებულებები“, რომელთა საფუძველზე სწორად მართულ ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ ადამიანის გასამართლება, თუნდაც ეს მტკიცებულებები „მყიფე ბუნების“ იყოს (ეს ე.წ. გელბრეითის ტესტია). ვინაიდან პირველი ინსტანციის მოსამართლეს არ შეუძლია სუსტი ან უსაფუძვლო საქმეების გაფილტვრა, მტკიცებულებათა ზღვრის დასადგენი ტესტი სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის მიზნით შესაძლოა უფრო მკაცრი აღმოჩნდეს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთო სამართლის მქონე ქვეყნებმა, ინგლისისა და უელსის პროკურორების მიერ გამოყენებული ანალოგიური ზღვარი შემოიღეს.

271. ამ ვითარებაში არ შეიძლება ითქვას, რომ მტკიცებულებათა ზღვრის დასადგენი ტესტის დონე ინგლისისა და უელსში იმდენად მაღალი იყო, რომ გასცდა სახელმწიფოს დისკრეციის ზღვარს. *ბრექსიტის* საქმეში, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიას ეხებოდა, სასამართლომ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ მეორე მუხლი არ ავალდებულებს სახელმწიფოებს აწარმოონ სასამართლო საქმე, მაშინ როდესაც წარმატების პერსპექტივა გამოკვეთილი არ არის. ეს

ძალიან ჰგავს ტესტს - „ბრალდების რეალისტური პერსპექტივა“, რომელიც ინგლისსა და უელსში გამოიყენება. ის ფაქტი, რომ ტესტი შემდგომში ინტერპრეტირებულ იქნა ეროვნული სასამართლოებისა და ხელისუფლების მიერ იმგვარად, რომ ბრალდება „უფრო სავარაუდოა, ვიდრე არა“, სასამართლოს აზრით, არ არის საკმარისი მისი სახელმწიფოს შეფასების საზღვრებს მიღმა დასაყენებლად. ნებისმიერ შემთხვევაში, არ შეიძლება დარწმუნებით იმის თქმა, რომ ინგლისისა და უელსის ტესტი უფრო მაღლა დგას ოთხ წევრ სახელმწიფოში მიღებულ ტესტზე, სადაც ზღვარი ბრალდების პერსპექტივაზეა ფოკუსირებული.

272. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ იმ საქმეებში, სადაც სახელმწიფოს თანამდებობის პირების მხრიდან ძალა ლეტალური შედეგით იქნა გამოყენებული, ზღვარი უფრო დაბალი უნდა იყოს. თუმცა, სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ამ პოზიციის მხარდაჭერა არ მოხდა. მართალია, *გიურთეინის* საქმე არ ეხებოდა სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ უკანონო მკვლელობას, სასამართლომ განმარტა, მართალია, დანაშაული კონვენციის მეორე მუხლის თანახმად, განსაკუთრებით „სერიოზულის“ კატეგორიაში ხვდებოდა (ამ შემთხვევაში, მასობრივი მკვლელობა), არ წამოადგინდა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ კონკრეტული პირების წინააღმდეგ აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა ძლიერი მტკიცებულებები. პირიქით, სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან დევნის შედეგები ასეთი სერიოზული ბრალდებების პირობებში განსაკუთრებით მკაცრი იქნებოდა ნებისმიერი ბრალდებულისთვის, დაუშვებელია საქმის ზედაპირულად განხილვა.

273. იგივე მოსაზრებები მართებულია სახელმწიფოს თანამდებობის პირთა მიერ ლეტალური ძალის გამოყენების საქმეებში. საზოგადოების ნდობა როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ისე პროკურატურის სამსახურის მიმართ შეიძლება შეირყეს, თუ სახელმწიფოს წარმომადგენლები არ იქნებიან ანგარიშვალდებულნი ლეტალური ძალის გაუმართლებელი გამოყენების შემთხვევაში. ასეთი ნდობა ასევე შეირყევა, თუ სახელმწიფოებს დაეკისრებათ სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ფინანსური და მორალური ხარჯების ანაზღაურება ბრალდების რეალისტური პერსპექტივის არარსებობის პირობებში. ამიტომ, მოჰასუხე სახელმწიფოს ხელისუფლებას უფლება აქვს აღიაროს ის მოსაზრება, რომ საზოგადოების ნდობა პროკურატურის სისტემის მიმართ ყველაზე მყარად არის განმტკიცებული, თუკი სამართალწარმოება იწყება მაშინ, როდესაც მტკიცებულება იძლევა ამის საფუძველს და არ იწყება, როდესაც მტკიცებულება ამის საფუძველს არ იძლევა.

274. ნებისმიერ შემთხვევაში, ნათელია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ დეტალურად განიხილა ზღვრის დანევის საკითხი იმ საქმეებში, რომელზეც სახელმწიფოს აქვს პასუხისმგებლობა, ასევე დაადგინა, რომ აღნიშნულ შემთხვევებში პოტენციურ ბრალდებულებზე გაზრდილი ტვირთის დანეხება უსამართლო და არათანმიმდევრული იქნება. მიუხედავად ამისა, მათ უზრუნველყვეს, რომ სისტემაში არსებობდეს გარკვეული გარანტიები პოლიციის მიერ განხორციელებული გასროლის და საპატიმროებში სიკვდილიანობის საქმეებში: გენერალური პროკურორი პირადად იხილავს ყველა საბრალდებო გადანყვეტილებას; ყველა საქმეში, გარდა ყველაზე მარტივისა, გადანყვეტილება საქმის აღუძვრელობის შესახებ უნდა განიხილოს დამოუკიდებელმა ადვოკატმა; პროკურორი ვალდებულია მისწეროს დაზარალებულის ოჯახს და აუხსნას მისი გადანყვეტილება; ოჯახს უნდა შესთავაზონ შეხვედეს პროკურორს იმისათვის, რომ აუხსნან გადანყვეტილება. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებულ სამეფოში არცთუ ისე ხშირად ხდება პოლიციის მხრიდან მკვლელობის ფაქტზე საქმის აღძვრა, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქვეყანაში სახელმწიფოს თანამდებობის პირების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მეტად მკაცრი პოლიტიკაა. მთავრობის ინფორმაციით, 2003/4-2012/13 წლებში,



პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციების რიცხვი, რომლის დროსაც მოხდა გასროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, წლის განმავლობაში გამოიხატება ერთნიშნა ციფრებში, მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა, რომელთა დროს იარაღის გამოყენება ავტორიზებული იყო, 10 000-დან 20 000-მდე მერყეობს.

275. გარდა ამისა, მოცემულ საქმეში არც აშკარაა და სავარაუდო ის ფაქტი, რომ პოლიციის ცალკეული ოფიცრების წინააღმდეგ შესაძლებელია აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე, მაშინაც კი გელბრეითის ტესტი, მტკიცებულებების ზღვრის დასადგენი ტესტი რომ ყოფილიყო, რათა მათ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულიყო (ანუ რაიმე მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, თუნდაც ის მყიდვე ხასიათის ყოფილიყო). მართლაც, საწინააღმდეგო გამომდინარეობს მოცემული საქმის ფაქტებიდან. დამოუკიდებელმა სასამართლო ოფიცერმა - კორონერმა (საგანგებო გამომძიებელმა) გამოიყენა ზემოხსენებული ტესტი, რათა გადაეწყვიტა, მკვლელობის ვერდიქტი დაეტოვებინა თუ არა ნაფიც მსაჯულებისთვის და 71 მოწმის ჩვენებების მოსმენის შემდეგ, მან დაასკვნა, რომ ტესტის შედეგები საქმეში მონაწილე თითოეულ პოლიციელთან მიმართებით არ იყო დამაკმაყოფილებელი. ცალკეული სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევაშიც კი, მტკიცებულებების ზღვრის დასადგენი ტესტი გელბრეითის ტესტი რომ ყოფილიყო, სასამართლო მაინც არ მიიჩნევდა, რომ ასეთი ზღვარი ინგლისსა და უელსში იმდენად მაღალია, რომ ამით ირღვეოდეს მეორე მუხლი.

276. ზემოთ ხსენებულის ფონზე, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ მტკიცებულებების ზღვრის დასადგენი ტესტი, რომელიც გამოიყენება ინგლისსა და უელსში, წარმოადგენდა „ინსტიტუციურ ხარვეზს“ ან მისი გამოყენება წარუმატებელი იყო პროკურატურის სისტემაში და ამან ხელი შეუშალა ბ-ნი დე მენეზის სიკვდილში პასუხისმგებელი პირების პასუხისგებაში მიცემას.

#### **(γ) პროკურატურის გადანყვეტილებათა გადახედვა**

277. როგორც ზემოთ აღინიშნა, გადანყვეტილება, რომ ინგლისსა და უელსში არ აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა, ექვემდებარება სასამართლოს მიერ გადასინჯვას, თუმცა უფლებამოსილება გადასინჯვის თაობაზეზომიერად უნდა იყოს გამოყენებული; სასამართლოებს შეუძლიათ ჩაერიონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურის გადანყვეტილება არასწორია კანონთან მიმართებაში.

278. განმცხადებელმა ვერ წარმოუდგინა სასამართლოს დამარწმუნებელი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ გადახედვის მოცულობის ფარგლები ძალზე შეზღუდულია. *გიურთეინის* საქმეში, § 28, სასამართლომ აღნიშნა, რომ მეორე მუხლის პროცედურული ვალდებულებით საგამომძიებო გადანყვეტილებების სასამართლოს მიერ გადახედვა არ არის აუცილებელი, თუმცა ამგვარი გადასინჯვები უდავოდ ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის ერთგვარ გარანტიას წარმოადგენდა. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მის ფუნქციებში არ შედიოდა ხელშემკვრელი სახელმწიფოების სისხლის სამართლის საგამომძიებო და მართლმსაჯულების სისტემების, შესაბამისი პროცედურების, ფუნქციონირების მიკრო დონეზე მართვა, რომლებიც შესაძლოა საკმაოდ განსხვავებული იყოს საკუთარი მიდგომებით და პოლიტიკით აგრეთვე, საქმეში *მუსტაფა თუნჩი* და *ფესირე თუნჩი თურქეთის წინააღმდეგ*, §233, სასამართლომ დაადგინა, რომ დამოუკიდებლობის საკმარისი ნორმატიული გარანტიების მქონე სასამართლოს ან მოსამართლის დამატებით ჩარევა იმისათვის, რომ გარანტირებული

ყოფილიყო გამოძიების მთლიანად დამოუკიდებლად ჩატარება, თავისთავად არ წარმოადგენდა აბსოლუტურ მოთხოვნას.

279. სასამართლოსათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად, გადანაცვტილება სისხლის სამართლის დევნის არ დაწყებასთან დაკავშირებით გარკვეულ დონეზე ექვემდებარება სასამართლოს მიერ გადახედვას ან აპელაციას სულ მცირე 25 ხელშემკვერელ სახელმწიფოში და ამ ქვეყნებში საქმეთა გადასინჯვის სტანდარტი მნიშვნელოვნად განსხვავდება. აქედან შვიდ ქვეყანაში გადანაცვტილება გასაჩივრებული უნდა იყოს მანამ, სანამ იგი გადაეცემა იერარქიულად ზემდგომ სატეხურზე მდგომ პროკურატურის უწყებას. თორმეტ ქვეყანაში პროკურორის გადანაცვტილების გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ იერარქიულად ზემდგომ უწყებაში. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ითქვას, რომ წევრ ქვეყნებში არსებობს ერთიანი მიდგომა როგორც გასაჩივრებასთან, ისე ასეთის არსებობის შემთხვევაში, გასაჩივრების მასშტაბთან დაკავშირებით.

280. ინგლისსა და უელსში, არსებობდა პროკურატურის გადანაცვტილების გადახედვის უფლება დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ. მოცემულ საქმეში გადანაცვტილება მიღებულ იქნა დამოუკიდებელი უფროსი პროკურორის მიერ, რომელმაც წინასწარ გაიარა დამოუკიდებელი იურიდიული კონსულტაცია და ამ გადანაცვტილების მიღების საფუძვლები დეტალურად აუხსნეს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს. სასამართლომ ვერ მოიძია თავის პრეცედენტულ სამართალში ნორმა, რომელიც გაამყარებდა განმცხადებლის მტკიცებას, რომ მეორე მუხლი მოითხოვდა ადმინისტრაციული სასამართლოს მხრიდან გადანაცვტილების გადახედვის უფრო ფართო უფლებამოსილებას. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში ადმინისტრაციულმა სასამართლომ გაითვალისწინა აღნიშნული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოთხოვნა, კერძოდ, *ონარიელდის* საქმეში დაფიქსირებული „დეტალური განხილვის“ მოთხოვნა. მეტიც, სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურორის გადანაცვტილება რაციონალური იყო და პირდაპირ და მკაფიოდ მიუთითა, რომ ეთანხმება პროკურატურის დასკვნებს.

281. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ პროკურატურის გადანაცვტილებების სასამართლოს მიერ გადახედვა ინგლისსა და უელსში შეიძლება მიჩნეულ იქნეს „ინსტიტუციურ ხარვეზად“, რომელმაც გავლენა იქონია ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობაზე, უზრუნველყო ბ-ნი დე მენგესის სიკვდილში პასუხისმგებელი პირების პასუხისგებაში მიცემა.

### **(ბ) ნაწილობრივი დასკვნა**

282. შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესის მთლიანობაში გათვალისწინებით, განმცხადებელმა ვერ დაამტკიცა, რომ არსებობდა რაიმე „ინსტიტუციური ხარვეზები“ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ან პროკურატურის სისტემაში, რომლებმაც გამოიწვია ან შეეძლო გამოეწვია კონვენციის მეორე მუხლის პროცედურული დარღვევა მოცემული საქმის ფაქტებთან დაკავშირებით.

### **(iii) საერთო (სრული) დასკვნა განმცხადებლის საჩივარზე მეორე მუხლთან დაკავშირებით**

283. წინამდებარე საქმის გარემოებანი უდავოდ ტრაგიკულია და სავსებით გასაგებია ბ-ნი დე მენგესის ოჯახის იმედგაცრუება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სისხლის სამართლის საქმე



არავის წინააღმდეგ არ აღძრულა. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ „ადამიანის სიკვდილის საქმეზე ხელისუფლების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი....რეაგირების გარეშე დარჩა“ (შეადარეთ *ონარიელდობი*, § 116, რომელშიც არ დადასტურდა საჯარო მოხელეების პასუხისმგებლობა განმცხადებლის ნათესავების გარდაცვალების საქმეში). როგორც კი დადასტურდა, რომ ბ-ნ დე მენეზესს არ ჰქონდა კავშირი 2005 წლის 21 ივლისს აფეთქების მოწყობის მცდელობასთან, დედაქალაქის პოლიციის სამსახურმა (MPS) საჯაროდ აღიარა, რომ ის შეცდომით იქნა მოკლული სპეცდანიშნულების ჯგუფის ოფიცრების მიერ. MPS წარმომადგენელი გაფრინდა ბრაზილიაში, რათა დაზარალებულის ოჯახისთვის პირადად მოეხადა ბოდიში და შეეთავაზებინა ფინანსური დახმარება. მათ ასევე რჩევა მისცეს ოჯახს გაეარათ დამოუკიდებელი იურიდიული კონსულტაცია და დაჰპირდნენ, რომ იურიდიულ ხარჯებს MPS-ი აანაზღაურებდა. აღნიშნული პოლიციის ოფიცრების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და OCPM-ის ინსტიტუციური პასუხისმგებლობა შემდგომში სიღრმისეულად განიხილეს IPCC-მ, CPS-მ, სისხლის სამართლის სასამართლომ, კორონერმა (საგანგებო გამომძიებელმა) და ნაფიცმა მსაჯულებმა. მას შემდეგ, რაც ოჯახმა შეიტანა სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, დედაქალაქის პოლიციის სამსახური (MPS) დაეთანხმა კომპენსაციის სახით ოჯახისთვის გადაეხადა თანხა, რომლის ოდენობა არ იყო გამჟღავნებული და ამგვარად გადაეწყვიტა საკითხი.

284. როგორც მთავრობამ აღნიშნა, ზოგჯერ ადამიანების სიცოცხლე ეწირება სისტემის გაუმართაობას და არა ცალკეული პიროვნების შეცდომას, რასაც მოჰყვება სისხლის სამართლის ან დისციპლინური პასუხისმგებლობა. მაკკენის და სხვების საქმეში სასამართლომ პირდაპირ არ აღიარა, მაგრამ იგულისხმა, რომ რთულ საპოლიციო ოპერაციებში შეიძლება არსებობდეს როგორც ინსტიტუციური, ისე ინდივიდუალური ხარვეზები ან ორივე ერთად. მოცემულ საქმეში, IPCC-მ, CPS-მ, სისხლის სამართლის სასამართლომ, კორონერმა (საგანგებო გამომძიებელმა) და ნაფიც მსაჯულებმა სიღრმისეულად შეისწავლეს პოლიციის ინსტიტუციური პასუხისმგებლობა და ყველა შესაბამისი თანამდებობის პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. OCPM-ის როგორც პოლიციის ოფიცრების დამსაქმებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის აღძვრის გადანაცვებულება არ გამოირიცხავდა, არც კანონში და არც პრაქტიკაში, სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის შესაძლებლობას პოლიციის ცალკეული ოფიცრების წინააღმდეგ. გადანაცვებულება არ გამოირიცხავდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესაძლებლობას; რომელიმე ოფიცრის წინააღმდეგ გამოძიებაში, რაიმე ხარვეზის, სახელმწიფოს მხრიდან ტოლერანტობის, ან უკანონო ქმედებების განხორციელებაში შეთქმულების გამო; ეს უფრო იმ ფაქტის გამო მოხდა, რომ დეტალური გამოძიების დასრულების შემდეგ, პროკურორმა შეისწავლა საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება და დაასკვნა, რომ მტკიცებულებები ცალკეული ოფიცრების წინააღმდეგ არასაკმარისი აღმოჩნდა, ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა ზღვრის დასადგენი ტესტის მიხედვით. თუმცა სასამართლომ ინსტიტუციური და ფუნქციონალური ხარვეზები გამოავლინა და შეიმუშავა საგანგებო რეკომენდაციები, რათა მომავალში არ განმეორებულიყო შეცდომა, რომელმაც ბ-ნ დე მენეზესის სიკვდილი გამოიწვია. CPS-ს თავის მიმოხილვაში გარკვევით აქვს დაფიქსირებული, რომ ოპერაცია „თეზესი 2“ არასათანადო დონეზე იმართებოდა იმ მომენტიდან, როდესაც ის გადავიდა მეთაური მაკდაუელისგან მეთაურ დიქსის განკარგულებაში; არასათანადო დაგეგმვამ გამოიწვია უან შარლ დე მენეზესის სიკვდილი; ინსტიტუციური და ოპერაციული ხარვეზები „სერიოზული იყო, შესაძლებელი იყო მათი თავიდან აცილება და სწორედ მათ გამოიწვიეს უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი“.

285. აღნიშნულმა ინსტიტუციურმა ხარვეზებმა გამოიწვია OCPM-ის მსჯავრდება სამართალდარღვევებისათვის 1974 აქტის საფუძველზე, რომლებიც განმცხადებელმა არ მიიჩნია საკმარისად მძიმე დანაშაულად კონვენციის მეორე მუხლის პროცედურული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თუმცა ეს არ წარმოადგენს „აშკარა არაპროპორციულობის“ შემთხვევას კანონდარღვევის ჩადენასა და დაკისრებულ სანქციას შორის (იხ. *კასაპი და სხვები*, § 59; *ა. ხორვატიის წინააღმდეგ*, § 66 და *ალი და აიშე დურანები*, § 66). იმ საქმეებში, რომლებშიც სასამართლომ დაადგინა ამგვარი „აშკარა არაპროპორციულობა“, პირები დამნაშავედ ცნეს სერიოზული დანაშაულების ჩადენაში, მაგრამ ზედმეტად მსუბუქი სასჯელი მიუსაჯეს. მოცემულ საქმეში დამოუკიდებელმა პროკურორმა შეაფასა ყველა მტკიცებულება და მივიდა გადანყვეტილებამდე, რომ არსებობდა მხოლოდ ერთი საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ აღძრულიყო სისხლის სამართლის დევნა OCPM-ს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის 1974 აქტის საფუძველზე. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც OCPM დამნაშავედ ცნეს, სასამართლოს წინაშე არ წარმოდგენილა არანაირი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, რომ ამ ტიპის დანაშაულებისათვის, „სასჯელი“ (GBP 175,000 ოდენობის ჯარიმა და GBP 385,000 ოდენობის ხარჯები) ზედმეტად მსუბუქი იყო.

286. შესაბამისად, სამართალწარმოების მთლიანობაში გათვალისწინებით, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ შეასრულა პროცედურული ვალდებულება, კონვენციის მეორე მუხლის შესაბამისად ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება ბ-ნი დე მენგესის მკვლელობის საქმეზე, რომლის შედეგადაც შესაძლებელი იყო ფაქტების დადგენა, განსაზღვრა, იყო თუ არა გამოყენებული ძალა გამართლებული არსებულ გარემოებებში, პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში - დასჯა.

287. აღნიშნული დასკვნის გათვალისწინებით, სასამართლოსთვის არ არის აუცილებელი, განიხილოს ცალკეული სისხლისსამართლებრივი დევნა ან დისციპლინური სამართალწარმოების როლი კონვენციის მეორე მუხლთან მიმართებით სახელმწიფოს პროცესუალური ვალდებულებების შესრულების პროცესში.

288. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეში კონვენციის მეორე მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის განჩინება დასაშვებად ცნობის შესახებ მიუკერძოებელ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობასთან დაკავშირებით. სადავო რეპლიკა წამოვიდა ბრალდების მხრიდან და არა მოსამართლის ან ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობისგან. ის, თუ როგორ განიხილავდნენ აღნიშნულ რეპლიკას, არ არის განმცხადებლის სამართლიან სასამართლო განხილვაზე უარის ტოლფასი: დაუშვებელია.

## **საქმე „ მიშა ელიასი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“**

**CASE OF Misha ELIAS against the United Kingdom**

**განაცხადი N48905/99**

**განჩინება**

**დასაშვებად ცნობის შესახებ**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელი ბრიტანეთის მოქალაქე, დაბადებულია 1960 წელს.

განმცხადებელს ბრალად ედება მოპარული ნივთების მიღებასა და განკარგვაზე შეთანხმება. ბრალმდებელმა თავის დასკვნით სიტყვაში განმცხადებელი მოიხსენია შემდეგი ფრაზებით:

„სრულიად, უკიდურესად და ზედმიწევნით არაკეთილსინდისიერი გულით, გარწმუნებთ. ყველაზე ეგოისტი, უკიდურესად ცინიკოსი, ხარბი და ცხოვრებისაგან დაღლილი (როგორც მისმა ერთ-ერთმა დამკვეთმა აღნიშნა) კაცი. გარწმუნებთ, არც ერთი მისი სიტყვა არ არის დასაჯერებელი.

როდესაც ის ფაქტობრივად არ იტყუება, მაშინ არაპირდაპირია, უსინდისოდ ზუსტი, რომელიც სიმართლეს გაურბის. სიცრუის დიდოსტატი.

განმცხადებლის მიმდინარე ანგარიშები მისი გარიგებებისა და აქტივების შესახებ თავისებურად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგანაც იგი ავლენს ამ მამაკაცის ქცევის ფსიქოლოგიას. ნაფიც მსაჯულებო ეს გახლავთ დოკუმენტი, რომელშიც იგი აღრიცხავს ფულს. თუ გადაშლით ერთ ფურცელს, მასში ბოლო ცვლილება გაკეთებულია მის დაპატიმრებამდე - დილის 8 სთ. 34 წთ.-მდე. პოლიცია მის ასაყვანად 20 ივლისს მეტისმეტად ადრე მივიდა, რათა აღნიშნული სიის შეცვლა და განახლება მოესწრო, მაგრამ წარმოგიდგინთ მისი ყველა აქტივის ჩამონათვალს, რომელიც მატერიალური სახით შეადგენს: £141,000-ს. ნაფიც მსაჯულებო რატომ ასახლებს ეს მამაკაცი თავისი აქტივების სიას ასე ხშირად? შედარებას მოვიყვან მიუზიკლიდან „ოლივერ ტვისტი“, სადაც ფაგინი თავის ყუთს იღებს იატაკის ფიცრის ქვემოდას და როდესაც ფიქრობს რომ საქმე ცუდადაა იწყებს მთელი ფულის, ძვირფასეულობის და ნივთების გადათვლას, რაც იატაკის ფიცრის ქვეშ აქვს გადამალული, რადგანაც ფაგინის მსგავსად გარწმუნებთ, რომ მასაც აღარ მიუწვდება ხელი საკუთარ ნივთებზე, ამ შემთხვევაში ეს გახლავთ მისი ანგარიში. რა თქმა უნდა, ფაგინის მსგავსად, მასაც აღარ აქვს ყუთი. მან ის ყუთი ჯერსიში გადამალა ამ დღეებში.

ნაფიც მსაჯულებო ის არასოდეს გადის დანაშაულის ჩასადენად და პირდაპირ არ ისერის ხელებს მძარცველებთან ერთად. ის ხომ ყოველთვის ერთ ნაბიჯზეა, მტკიცებულებებს თუ დავეყრდნობით.“

ნაფიც მსაჯულთა არყოფნისას, განმცხადებლის ადვოკატმა აღნიშნული რეპლიკა სხდომის თავმჯდომარესთან გაასაჩივრა. ადვოკატთან აზრის გაცვლის შემდეგ, მოსამართლემ განაცხადა, რომ მისი აზრით რეპლიკის წარმოთქმის აღნიშნული შედარება წარუმატებელი იყო და გასაგები იყო განმცხადებლის გრძნობები. თუმცა, იგი დარწმუნებული იყო, რომ აღნიშნული განზრახ არ მომხდარა და იმედი გამოთქვა, რომ აღარ განმეორდებოდა.

შესვენების შემდეგ, კვლავ ნაფიც მსაჯულთა არყოფნის პერიოდში, განმცხადებლის ადვოკატმა განაცხადა, რომ შედარება შეურაცხმყოფელი და ანტისემიტური იყო, შესაძლებელი იყო ზეგავლენა მოეხდინა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაზე და რასობრივი ნიშნით მტრულად განეწყობა განმცხადებლის მიმართ. განმცხადებელი, პერსონაჟ ფაგინის მსგავსად, ებრაელი იყო. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა შეეძლოთ დაეთხოვათ და ხელახალი სასამართლო პროცესი გამართულიყო. ბრალდების მხარის ადვოკატმა გაიმეორა, რომ ფაგინზე მითითება მიზნად ისახავდა ნაქურდალი ნივთების ცნობილ მიმღებზე მითითებას და განაცხადა, რომ თუ ამით შეურაცხყოფა მიაყენა განმცხადებელს. პასუხად, განმცხადებლის ადვოკატმა აღნიშნა, რომ ფაგინთან შედარება სერიოზული საკითხი იყო და თუ სასამართლო პროცესი უნდა გაგრძელებულიყო, განმცხადებლისთვის მსჯავრის დადების შემთხვევაში, დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ განმცხადებელმა ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით. საქმის განხილველმა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა აღნიშნული განცხადება და აღნიშნა რომ ბრალდების მხარის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც შეეხებოდა განმცხადებლის ხასიათს, ჯდებოდა იმ ფარგლებში რაც შეიძლებოდა ეთქვა ბრალდების მხარეს. რაც შეეხება ფაგინთან შედარებას, იმის აღებათობა, რომ ნაფიცი მსაჯულები გავლენის ქვეშ მოექცევიან და რასობრივი ნიშნით უარყოფითად განეწყობიან განმცხადებლის მიმართ ასეთი შედარების შედეგად, ძალიან დიდ უკიდურესობას წარმოადგენს.

რეპლიკის დასასრულს, დათხოვნაზე განცხადებასთან დაკავშირებით, მოსამართლემ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარემ ბოდიში მოიხადა შეურაცხმყოფელი სიტყვების გამო და რომ განმცხადებლის ადვოკატს ამ დროს შესაძლებლობა ჰქონდა მისთვის ეპასუხა. მოსამართლემ აღნიშნა, საკითხის განხილვამდე იგი მიზნად ისახავდა მიეთითებინა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობისთვის გადაწყვეტილება მიეღოთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ინციდენტისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის გარეშე.

ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დაბრუნებისას, ბრალმდებელმა სასამართლოს წინაშე ბოდიში მოიხადა, ასევე ბოდიში მოუხადა განმცხადებელს და აღნიშნა, რომ არ უნდოდა მას თავი შეურაცხყოფილად ეგრძნო და რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ გადაწყვეტილება განმცხადებლის ებრაული წარმომავლობის საფუძველზე არ უნდა მიიღოს. მან ასევე შეახსენა

ნათიცი მსაჯულთა შემადგენლობას, რომ მათ გადანყვეტილება უნდა მიიღონ მტკიცებულებების და არა შედარებების საფუძველზე.

განმცხადებელი დამნაშავედ სცნეს.

მან გაასაჩივრა საბრალდებო განაჩენი და ვერდიქტი. საჩივარი ვერდიქტის წინააღმდეგ დაკმაყოფილდა იმ ზომით, რომ პატიმრობის სამწლიანი პერიოდი შემცირდა ორ წლამდე. საბრალდებო განაჩენის წინააღმდეგ საჩივრის საფუძველს წარმოადგენდა საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ ნათიცი მსაჯულთა შემადგენლობის არდათხოვნა, გამომდინარე რასობრივი სახის შეურაცხყოფიდან, როდესაც განმცხადებელი ფაგინს შეადარეს.

## სამართალი

განმცხადებელი პრეტენზიას გამოთქვამს, რომ მას უარი ეთქვა სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლო პროცესზე კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევით.

სასამართლო შეგვახსენებს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, რომ სასამართლომ რწმენა შთაუწერგოს საზოგადოებას და ასევე ბრალდებულს რამდენადაც საქმე ეხება სისხლის სამართლის პროცესს. ყურადღება ყოველთვის მახვილდება იმაზე, რომ სასამართლო, ნათიცი მსაჯულთა შემადგენლობის ჩათვლით უნდა იყოს მიუკერძოებელი როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური თვალსაზრისით.

წინამდებარე საქმეში სადავო სიტყვები არ მიეკუთვნება მოსამართლეს ან ნათიცი მსაჯულთა შემადგენლობას.

შესაბამისად, არ არსებობს კითხვები თავად სასამართლოს მიუკერძოებლობის თაობაზე. კითხვის ნიშნები არსებობს პროკურორის განცხადებაში, სადაც მან შედარება მოიყვანა განმცხადებლისა და ჩარლზ დიკენსის რომანის „ოლივერ ტვისტის“ პერსონაჟ - ფაგინს შორის და ასევე იმ საკითხზე თუ როგორ გადანყვეტეს პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა აღნიშნული საკითხი და რამდენად იყო იგი მიმართული განმცხადებლის სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლებაზე უარისკენ.

საქმის განმხილველმა მოსამართლემ თავად მოისმინა აღნიშნული სიტყვები, და მაშინ როდესაც ებრაული წარმოშობის ბრალდებულისთვის განზრახ შეურაცხმყოფელ რეპლიკას შესაძლოა გამოეწვია ნათიცი მსაჯულთა შემადგენლობის დათხოვნა მიიჩნია, რომ ბრალმდებელის სიტყვებს ეს განზრახვა არ ჰქონია. სასამართლო ეთანხმება საქმის განმხილველ მოსამართლეს. დებატების ოქმიდან ირკვევა, რომ ბრალმდებელმა სრული მნიშვნელობით არ იცოდა რას ნიშნავდა ტერმინ „ფაგინის“ გამოყენება ებრაელ ბრალდებულთან მიმართებაში. საქმის განმხილველმა მოსამართლემ ასევე ჩათვალა, რომ



ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ აღნიშნულ განცხადებას გავლენა მოეხდინა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაზე.

სასამართლოს წინაშე განსახილველ მომდევნო საკითხს წარმოადგენდა ბრალმდებელის ბოდიში. ბოდიშის მოხდა მაქსიმალურად შესაძლებელი ხარისხით ხაზს უსვამს, რომ ნებისმიერი შედარება, რაც ბრალმდებელმა მოიყვანა არ შეადგენს საქმის ნაწილს. სააპელაციო სასამართლოს წინაშე სამართლის ლორდმა - პოტერმა უკმაყოფილება გამოხატა იმ სიტყვების გამო, რომელიც ბრალმდებელმა გამოიყენა და დაადგინა, რომ არ არსებობდა რეალური საფრთხე იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას ან რომელიმე მათგანს შეეძლო უსამართლოდ მოპყრობოდნენ საქმეს რასობრივი შეხედულებების, ტენდენციურობის ან პროკურორის სიტყვების გამო. აღნიშნული დასკვნები ნათლად ასახავს იმ კითხვის ნაწილს, რომელზე პასუხის გაცემასაც ითხოვს სასამართლო: უარი ეთქვა თუ არა განმცხადებელს „სამართლიან პროცესზე“ ბრალმდებელის სიტყვების გამო. აღნიშნული დასკვნების ფონზე, რომელსაც სასამართლო იზიარებს, არ არსებობს მტკიცების საჭიროება, რომ კონვენციის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეეძლო გადაეჭრა საკითხი, რამეთუ, პირველი ინსტანციის სასამართლომ საფუძველი დაუდო უსამართლობას. სააპელაციო სასამართლოში სამართლიანობასთან დაკავშირებული საჩივარი არ წარუდგენიათ.

განმცხადებლის საჩივართან დაკავშირებით, რომ ბრალმდებელის რეპლიკა შესაძლოა გავებული ყოფილიყო როგორც ფარული დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამოვლინება ბრალმდებლის მხრიდან, კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე მე-14 მუხლთან ერთად სასამართლო ასკვნის, რომ სასამართლოების ქმედებაში ისეთი არაფერი შეინიშნება, რაც აღნიშნულ რეპლიკებს პასუხისმგებლობას არ დააკისრებდა.

სასამართლო ასკვნის, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საჩივარი არ ყოფილა წარდგენილი.

აქედან გამომდინარე, საჩივარი აშკარად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება ეხება სიცოცხლის უფლებას, ძალის გამოყენებასა და ეფექტურ გამოძიებას.

პოლიციის რეაგირების ფორმა და გამოყენებული ძალის ხარისხი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ მიზნის თანაზომიერად, რომელიც პირის გაქცევის თავიდან აცილებას, მის დაკავებას ან მისგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილებას ემსახურებოდა; ოპერაცია არ იყო დაგეგმილი ისე, რომ მინიმუმამდე შეემცირებინათ სასიკვდილო ძალის გამოყენება: დარღვევა

პიროვნების გარდაცვალების ყოვლისმომცველი და ეფექტური გამოძიების არარსებობა, როდესაც ეჭვქვეშ არ დამდგარა სასიკვდილო ძალის გამოყენების აუცილებლობა: დარღვევა

### **საქმე „ვასილევსკა და კალუცკა პოლონეთის წინააღმდეგ“**

WASILEWSKA AND KAŁUCKA v. POLAND

განაცხადები N 28975/04 და N 33406/04

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2010 წლის 23 თებერვალი

### **პროცედურა**

3. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, პირველი განმცხადებლის მეგობარი და მეორე განმცხადებლის ვაჟი, ბ-ნი კალუცკი უსათუძვლოდ მოკლა პოლიციამ. ხელისუფლებამ ვერ ჩაატარა მისი სიკვდილის გამომწვევი გარემოებების ეფექტური და საფუძვლიანი გამოძიება.

### **ფაქტები**

#### **I. საქმის გარემოებები**

ა. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები 2002 წლის 23 აგვისტოს მოვლენებზე.

6. 2002 წლის 23 აგვისტოს ბ-ნი პრუემისლავ კალუცკი, რომელიც იმ დროისთვის 26 წლის იყო, ორ თანმხლებ პირთან - გ.ბ. და ტ.ნ-სთან ერთად „სპალას“ სპორტულ ცენტრში მივიდა. მათ ავტომანქანა - ფოლკსვაგენ პასატი ცენტრის ლობის გასწვრივ გააჩერეს.

7. მოულოდნელად, ოთხი ავტომანქანისგან შემდგარი კოლონა, სამი მიკროავტობუსი და ერთი ავტომობილი შემოვიდა. შეიარაღებული მამაკაცები მანქანებიდან გადმოხტნენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ისინი ლოძის და ტომაზოვ

მაზოვიეცკის პოლიციის განყოფილებებისა და სპეციალური ანტიტერორისტული ჯგუფის თანამშრომლები იყვნენ.

8. ზოგიერთ პოლიციელს სამოქალაქო ტანსაცმელი, ზოგს კი ჯავშანშილეთიანი და ჩაფხუტიანი უნიფორმა ეცვა. ყველას არ ეცვა ამრეკლი/ლუმინესცენციური ფილეთი და არ ჰქონდა რაიმე განმასხვავებელი ნიშანი, რაც მიუთითებდა, რომ ისინი პოლიციიდან იყვნენ. როგორც კერძო ტელეკომპანია „TVN-ის“ კამერით გადაღებულ ჩანაწერში ჩანს, ერთ პოლიციელს, რომელიც მოგვიანებით მოხსენიებულია, როგორც მონმე N2, არ ეცვა ასეთი ფილეთი. ტელეკომპანია „TVN“ დოკუმენტურ ფილმს ამზადებდა პოლიციის მუშაობის შესახებ და კამერები პოლიციის მანქანებში ჰქონდა დამონტაჟებული. ოპერაციის შემდეგ მომზადდა მოკლე დოკუმენტური ფილმი, სახელწოდებით „კრიმინალური თამაშები“.

9. ბ-ნმა კალუცკიმ და მანქანაში მყოფმა ორმა ადამიანმა იფიქრეს, რომ ისინი უნდა გაეძარცვათ და შეეცადნენ მანქანით გაქცევას საცურაო აუზის მიმართულებით, რამაც სასიკვდილო შედეგი გამოიწვია. გ.ბ-მ მძღოლის სავარძელი დაიკავა, ბ-ნი კალუცკი კი მის უკან სავარძელზე დაჯდა. მესამე პიროვნებამ - ტ.ნ-მ ვერ მოახერხა მანქანაში ჩაჯდომა და გაქცევას შეეცადა.

10. ბ-ნი კალუცკის და გ.ბ-ს მანქანები პოლიციის მეორე და მესამე ავტომანქანებს შორის გადაადგილდებოდნენ, როდესაც პოლიციამ მათ ცეცხლი გაუხსნა, რამდენჯერმე ესროლა მძღოლსა და მანქანაში მყოფ პირს. პოლიციელებმა მეთაურის ბრძანებები არ შეასრულეს. მან გასცა ბრძანება, რომ ბოლო ავტომანქანაში მსხდომ პოლიციელებს დაეკავებინათ ბრალდებულები. ამის ნაცვლად, პოლიციის სხვა თანამშრომლები გადმოვიდნენ თავიანთი მანქანებიდან და ბრალდებულების მანქანის შეჩერებას ავტომატური იარაღიდან გასროლით შეეცადნენ.

11. მთელი ოპერაცია თხუთმეტ წამს გაგრძელდა, პოლიციელებმა, სანამ ტერიტორიას დატოვებდნენ, დაახლოებით 40 ტყვია ესროლეს მანქანას, რომელიც ექსპერტის თქმით, არა უმეტეს 20 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა. მიუხედავად პოლიციელების მტკიცებისა, რომ ისინი საბურავებს უმიზნებდნენ, არც ერთი საბურავი არ დაზიანებულა.

12. მძღოლმა მანქანის კონტროლი დაკარგა და ღობეს შეეჯახა. ბ-ნი კალუცკი მძიმედ დაიჭრა და ის პოლიციის ერთ-ერთმა ოფიცერმა მანქანიდან თავით გადმოათრია. პირველი განმცხადებლის ჩვენებით, ბ-ნი კალუცკი ტანმოსული მამაკაცი იყო (120 კგ-ს იწონიდა) , აღნიშნული მოვლენების შედეგად მას ხუთი ცეცხლსასროლი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

13. სასწრაფო დახმარება არ იქნა დროულად გამოძახებული. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის თანამშრომლები ჩვენებაში აცხადებდნენ, რომ სცადეს ბ-ნი

კალუცკის გრძობაზე მოყვანა და სისხლდენის შეჩერება, გვამის გაკვეთის თაობაზე ანგარიშში არათუ იყო აღნიშნული. ბ-ნი კალუცკი გარდაიცვალა სასწრაფო დახმარების მოსვლამდე, სროლიდან ოცი წუთის შემდეგ. ავტომანქანის მძღოლი - გ.ბ. მძიმედ დაიჭრა.

## სამართალი

32. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-ნი კალუცკის სიკვდილთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ ანგარიში განმცხადებლებმა წარმოადგინეს. მათ მიერ სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტები ეხებოდა განმცხადებლების ბრალდებებზე დაწყებულ გამოძიებას. ასევე წარდგენილ იქნა ის დოკუმენტები, რომლებიც სამართალწარმოების მეორე ეტაპს უკავშირდებოდა.

33. მთავრობამ არ წამოადგინა თავისი მოსაზრებები განმცხადებლების განაცხადის დასაშვებობისა და არსებითი მხარის შესახებ. მთავრობამ ასევე ვერ უზრუნველყო სისხლის სამართალწარმოების დამადასტურებელი იმ დოკუმენტების წარმოდგენა ზოგიერთ ბრალდებულთან დაკავშირებით, რომლებიც სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ფაქტების დადგენისა და გამოძიების საფუძვლიანობის შეფასების თვალსაზრისით. გარდა ამისა, მათ არ მიუციათ განმარტებები სასამართლოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობასთან დაკავშირებით.

34. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო განიხილავს განმცხადებლების განაცხადის დასაშვებობისა და არსებითი მხარის საკითხს მხოლოდ მათ მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და დოკუმენტების საფუძველზე შიდა სამართალწარმოებასთან დაკავშირებით (იხ. *ფედოტოვი რუსეთის წინააღმდეგ*, N5140/02, § 61, 2005 წლის 25 ოქტომბერი და *კოსტადინოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N55712/00, §50, 2008 წლის 7 თებერვალი).

## I. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

35. განმცხადებლების თქმით, ბ-ნი კალუცკის მკვლელობისას დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ავტომატი და სხვა იარაღი ძალიან ახლო მანძილიდან გამოიყენეს უიარაღო მამაკაცების წინააღმდეგ, რომლებიც შემინებულები იყვნენ, რადგან ეგონათ, რომ ძარცვავდნენ. ამგვარად, პოლიციამ სასიკვდილო ძალა გადაჭარბებულად და ისეთ ვითარებაში გამოიყენა, სადაც ეს აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ისინი ასევე დავობდნენ, რომ პოლიციის ოპერაცია, რომელიც დაუდგენელი, ანონიმური ზარის საფუძველზე დაიწყო, არ იყო სათანადოდ მომზადებული და ცუდად იყო ჩატარებული.

განმცხადებლები ასევე აცხადებდნენ, რომ მთავრობამ ვერ შეძლო ბ-ნი კალუცკის გარდაცვალების ფაქტზე ეფექტური გამოძიების ჩატარება. მაგალითად, არ ყოფილა გამორკვეული, რატომ ვერ იქნა ნაპოვნი სისხლის კვალი მანქანაში, მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი კალუცკი ძლიერი სისხლდენით გარდაიცვალა. მოვლენათა თანმიმდევრობა არ ყოფილა დადგენილი პროკურორის მიერ, ხოლო ზოგიერთი მტკიცებულება სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი. კერძოდ, სათვალთვალ კამერები და კომპანია „TVN-ის“ ჩანაწერები გაურკვეველ ვითარებაში იქნა განადგურებული.

36. კონვენციის მე-2 მუხლი ადგენს:

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ ხელყოფა, თუ არა სიკვდილის სასჯელის აღსრულების შედეგად, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ განიხილება ამ მუხლის დარღვევად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

(a) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისგან;

(b) კანონიერი დაკავებისათვის, ანდა კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

(c) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისათვის აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.“

37. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე კომენტარი საქმის დასაშვებობისა და არსებითი მხარის თაობაზე.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (ა) ბ-ნი კალუცკის გარდაცვალების შესახებ

41. მე-2 მუხლი, რომელიც სიცოცხლის უფლებას იცავს, კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ დებულებას წარმოადგენს და ევროპის საბჭოს შემადგენელი, დემოკრატიული საზოგადოების მთავარ ღირებულებებს ასახავს. სასამართლომ ამ დებულების დარღვევის შესახებ ბრალდებები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეისწავლოს. სახელმწიფო მოხელეების მიერ ძალის გამოყენების შემთხვევებში, მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლთა ქმედებები, რომელთაც უშუალოდ გამოიყენეს ძალა, არამედ ყველა თანმდევნი გარემოება, მათ შორის ისეთი საკითხები,



როგორცაა შესაბამისი საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ჩარჩო, ასევე სადავო მოქმედებათა დაგეგმვა და კონტროლი (იხ. *მაკკენი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1995 წლის 27 სექტემბერი, § 150, სერია „A“, N 324 და *მაკარაცისი საბერძნეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N50385/99, §§ 56-59, ECHR, 2004-XI).

42. მე-2 მუხლის ტექსტის თანახმად, ის მოიცავს არა მხოლოდ განზრახ მკვლელობას, არამედ სიტუაციებს, სადაც დასაშვებია „ძალის გამოყენება“, რამაც შესაძლოა უნებლიე/გაუფრთხილებელი შედეგი, კერძოდ, სიცოცხლის მოსპობა გამოიწვიოს. სასიკვდილო ძალის განზრახი ან მიზანმიმართული გამოყენება მხოლოდ ერთი ფაქტორია, რომელიც მხედველობაშია მისაღები მისი აუცილებლობის შეფასებისას. ნებისმიერი ძალის გამოყენება უნდა იყოს, არა უმეტეს, „აბსოლუტური აუცილებლობით“ განპირობებული, მე-2 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ და „ც“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ერთი ან მეტი მიზნის მისაღწევად. ეს ტერმინი მიუთითებს, რომ აუცილებლობის უფრო მკაცრი და უდავო ტესტი უნდა იქნეს გამოყენებული, ვიდრე ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება იმის განსაზღვრისას, არის თუ არა სახელმწიფოს ქმედება „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, კონვენციის მე-8 და მე-11 მუხლების მე-2 პუნქტების შესაბამისად. კერძოდ, გამოყენებული ძალა მკაცრად პროპორციული უნდა იყოს დასაშვები მიზნების მისაღწევად (იხ. *მაკკენი და სხვები*, §§ 148-149).

ამასთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ძალის გამოყენება, კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ერთ-ერთი მიზნის შესაბამისად, გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ღონისძიება ეფუძნება კარგი მიზნების კეთილსინდისიერ რწმენას, რომელთა ჭეშმარიტებაც მოცემულ მომენტში ეჭვს არ იწვევს და მხოლოდ მოგვიანებით აღმოჩნდება მცდარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს და სამართალდამცავ ორგანოებს დაეკისრებოდა არარეალური ტვირთი თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, შესაძლოა თავიანთი სიცოცხლისა და სხვათა სიცოცხლის ფასად (იხ. *მაკარაცისი*, § 66 და *მაკკენი და სხვები*, § 200).

43. გარდა ამისა, სასამართლომ არაერთგზის დაადგინა, რომ ასეთი აუცილებლობა არ შეიძლება არსებობდეს, როდესაც დასაკავებელი პირი არ წარმოადგენს საფრთხეს სხვისი სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისთვის და არ არის ბრალდებული ძალადობრივი ქმედების ჩადენაში, თუნდაც სასიკვდილო ძალის გამოყენებლობას შედეგად მოჰყვეს დაკავების შესაძლებლობის დაკარგვა (იხ. *ნაჩოვა და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N43577/98 და N43579/98, § 95, ECHR 2005-VII ).

44. კონვენციის მე-2 მუხლის „ხ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, კანონიერი დაპატიმრების ლეგიტიმურმა მიზანმა ადამიანის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ

დაყენება მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობისას შეიძლება გაამართლოს (იქვე).

45. გარდა ამისა, იმ გარემოებების დადგენისას, როდესაც სიცოცხლის მოსპობა შეიძლება გამართლებული იყოს, მე-2 მუხლი სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობად სიცოცხლის უფლების დაცვას აკისრებს შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს შემოღების გზით, რომლის ფარგლებშიც, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სამართალდამცავ პირებს შეეძლებათ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება (იხ. *მაკარაკისი*, §§ 57-59 და გაეროს ზოგადი პრინციპები სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ შესაბამისი დებულებები, რომლებიც *მაკარაკისის* საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაშია მოცემული). მე-2 მუხლისთვის დამახასიათებელი მკაცრი პროპორციულობის ზემოხსენებული პრინციპის შესაბამისად (იხ. *მაკკენი და სხვები*, §149), შიდა საკანონმდებლო ჩარჩომ, რომელიც პირის დაპატიმრების ოპერაციებს არეგულირებს, საფუძვლიანად უნდა შეათვასოს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თანმდევი გარემოებები, კერძოდ კი, გაქცეული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ბუნება და მის მიერ გამოწვეული საფრთხე. როგორც მე-2 მუხლის შინაარსიდან ჩანს, პოლიციელების მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენება გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება გამართლებული იყოს. მიუხედავად ამისა, მე-2 მუხლი განუსაზღვრელ თავისუფლებას არ იძლევა. სახელმწიფო მოხელეების არაკონტროლირებადი და თვითნებური ქმედება შეუთავსებელია ადამიანის უფლებების პატივისცემასთან. ეს ნიშნავს, რომ საპოლიციო ღონისძიებები, რომლებიც ასევე სანქცირებულია ეროვნული კანონმდებლობით, სათანადოდ უნდა რეგულირდებოდეს თვითნებობისა და ძალის გადამეტების წინააღმდეგ ადეკვატური და ეფექტური გარანტიების ფარგლებში (იხ. *მაკარაკისი*, § 58 და *ანდრეუ თურქეთის წინააღმდეგ*, N45653/99, § 50, 2009 წლის 27 ოქტომბერი).

46. იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად თავსებადია გამოყენებული ძალა მე-2 მუხლთან, შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს იმ გარემოებას, იყო თუ არა სამართალდამცავი ორგანოს მიერ ჩატარებული ოპერაცია დაგეგმილი და წარმართული ისე, რომ მაქსიმალურად შეემცირობინათ სასიკვდილო ძალის გამოყენების ან სიცოცხლის შემთხვევით მოსპობის შესაძლებლობა (იხ. *ბუბინსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N50196/99, § 136, ECHR 2005-II , § 79).

47. გარდა ამისა, პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა სათანადოდ და ეფექტური გარანტიების სისტემას უნდა უზრუნველყოფდეს თვითნებობის, ძალის ბოროტად გამოყენებისა და ინციდენტების თავიდან აცილების წინააღმდეგ (იხ. *მაკარაკისი*, §58). კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა სასწავლო კურსი უნდა გაიარონ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევების აბსოლუტური

აუცილებლობის შესაფასებლად, არა მარტო შესაბამისი დებულებების სიტყვასიტყვით გათვალისწინების საფუძველზე, არამედ ადამიანის სიცოცხლის, როგორც უპირატესი ფუნდამენტური ღირებულების გათვალისწინებით.

48. ამ ფონზე სასამართლომ მოცემულ საქმეზე უნდა განიხილოს არა მარტო ბ-ნი კალუცკის წინააღმდეგ გამოყენებული სასიკვდილო ძალის კანონიერება, არამედ ის, თუ რამდენად იყო ჩატარებული ოპერაცია დაგეგმილი და იმგვარად ორგანიზებული, რომ მაქსიმალურად შეემცირობინა ნებისმიერი რისკი სიცოცხლის ხელყოფისა (იხ. *მაკარაცისი*, § 60).

49. მოცემული საქმის ფაქტებთან დაკავშირებით სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიციელები ოპერაციაში ჩაერთვნენ დამნაშავე პირების დაკავების მიზნით, რომლებიც ბანდის წევრობასა და იარაღის ქონაში იყვნენ ბრალდებულები, მათ შორის, ბ-ნი კალუცკი. ცეცხლსასროლი იარაღი ნამდვილად იქნა ნაპოვნი ბ-ნი კალუცკის მანქანაში, თუმცა არ არსებობს მტკიცებულება, რომ ბ-ნი კალუცკი და ნებისმიერი სხვა ბრალდებული მის გამოყენებას აპირებდა. უფრო მეტიც, ბრალდებულები მანქანით გაქცევას შეეცადნენ და აღნიშნული გარემოებით პოლიციელებს მანქანის დაჯახების საშიშროება შეექმნათ.

სავარაუდოდ, პოლიციის თანამშრომლებმა ცეცხლი გახსნეს გაქცეული ბრალდებულების შეჩერების მიზნით, რომლებიც ხელისუფლების ორგანოების მტკიცებით, პოლიციელების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფას შეეცადნენ.

50. შესაბამისად, სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციამ საჭიროდ მიიჩნია იარაღის გამოყენება მანქანის მძღოლისგან მომდინარე საფრთხის გაუნებელყოფის და ავტომანქანის გაჩერების მიზნით, რათა ბრალდებულების

დაკავება შესძლებოდათ (იხ. *მაკარაცისი*, § 66).

51. მაშასადამე, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს იმ მოსაზრებების თავსებადობა კონვენციის მე-2 მუხლთან, რისთვისაც პოლიციამ ცეცხლი გახსნა, ასევე განიხილოს, იყო თუ არა გამოყენებული ძალა აბსოლუტურად აუცილებელი.

52. სასამართლო ეთანხმება, რომ იარაღის გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს, როგორც აბსოლუტურად აუცილებელი და გამართლებული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით, რამდენადაც შესაძლებელია, რომ პოლიციის ოპერაციაში მონაწილე პირებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ პოლიციელი ამკარა და უშუალო საფრთხის წინაშე იდგა. მოცემული საქმის გარემოებების საფუძველზე შეიძლება იმის მტკიცება, რომ ასეთი საშიშროება არსებობდა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლებოდა ჩათვლილიყო აბსოლუტურად აუცილებლად, ვიდრე ბრალდებულების მანქანა პოლიციელს გასცდებოდა.

53. მოცემულ საქმეში სროლა გაქცეული მანქანის მიმართულებით განხორციელდა მას შემდეგ, როცა იგი პოლიციის თანამშრომელს გასცდა, რომელსაც სავარაუდოდ, დაეჭაბა. იმ მომენტში პოლიციელს პირდაპირი საფრთხე არ ემუქრებოდა და პოლიციის თანამშრომლების ერთადერთ მიზანს ბრალდებულების გაქცევის აღკვეთა წარმოადგენდა.

შემდეგი ფაქტორები ასახავს მოცემულ საქმეში სასიკვდილო ძალის გამოყენების შემთხვევებს:

(i) დროის ძალიან მოკლე მონაკვეთში ხუთმა პოლიციელმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან თორმეტ გასროლამდე განახორციელა მანქანის მიმართულებით, რომლითაც ორი მამაკაცი ცდილობდა გაქცევას. იმ დროს არ შეიძლებოდა თქმა, რომ ბრალდებულები საფრთხეს უქმნიდნენ პოლიციის თანამშრომელს (მონმე N2). მანქანა, ექსპერტის აზრით, მოძრაობდა არა უმეტეს 20 კმ/სთ სიჩქარით საცურაო აუზის მიმართულებით, საიდანაც გასასვლელი აღარ იყო.

(ii) პოლიციელები ძირითადად მანქანის გვერდით მხარეს ან უკნიდან წინა მხარის მიმართულებით ისროდნენ. კერძოდ, ანონიმური მონმე N18, რომელმაც სასიკვდილოდ ესროლა ბ-ნ კალუცკის, გაქცეულ მანქანას გაევიდა და კალაშნიკოვის ავტომატიდან მანქანას ცეცხლი უკანა მხრიდან გაუხსნა.

(iii) პოლიციელების მტკიცებით, ისინი საბურავებს უმიზნებდნენ; თუმცა, ეროვნული გამოძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ საბურავებს ტყვია არ ჰქონდა მოხვედრილი. ბ-ნ კალუცკის, გარდა სასიკვდილო ჭრილობისა, მიყენებული ჰქონდა ხუთამდე სხვა ზედაპირული ჭრილობა ტანის ან თავის არეში. ავტომანქანის უკანა ბამპერი, ასევე უკანა ნაწილში მდებარე საბარგული, მანქანის კარი სახელურის სიმალღებზე, მძლოლისა და უკანა სავარძლები სერიოზულად იყო ტყვიებისგან დაზიანებული.

54. მნიშვნელოვანი კითხვები წამოიჭრა ასევე ოპერაციის ჩატარებასა და ორგანიზებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნი კალუცკი არ მოუკლავთ დაუგეგმავი ოპერაციის მიმდინარეობისას, რა დროსაც განვითარებულ მოვლენებზე რეაგირების მიზნით პოლიცია იქნა გამოძახებული (შედარება და კონტრასტი, *მაკარაკისი*, § 69). ეს იყო დაგეგმილი ოპერაცია, სადაც პოლიციის მნიშვნელოვანი ძალები იყო მობილიზებული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ანონიმური და საკმაოდ ბუნდოვანი ინფორმაციის საფუძველზე მოქმედებდნენ, თითქოს ორი კრიმინალური ბანდა დაუპირისპირდა ერთმანეთს. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ პოლიციამ არ იცოდა ოპერაციაში რამდენი ბრალდებული იქნებოდა ან რეალურად იქნებოდნენ თუ არა ისინი შეიარაღებულები.

55. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ ბრალდებულების წინააღმდეგ განხორციელებული შემდგომი მოქმედებები ეჭვს იწვევს ოპერაციაში ჩართულ



თანამშრომლებთან დაკავშირებით, თუ რამდენად შესაძლებელი იყო მათი იდენტიფიცირება, როგორც პოლიციელებისა (კერძოდ, მონმე N2-ს, რომლის მოკვლასაც სავარაუდოდ შეეცადნენ ბრალდებულები, ეცვა თუ არა სინათლის ამრეკლი ჟილეტი). ასევე ირკვევა, რომ ოპერაციის მეთაურის ბრძანება, რომ ბ-ნი კალუცკი ბოლო ავტომანქანაში მსხდომ თანამშრომლებს დაეპატიმრებინათ, შეიცვალა - პოლიციელები მანქანებიდან გადმოხტნენ და მანქანის გაჩერებას სროლით შეეცადნენ. გარდა ამისა, ოპერაციაში ჩართული უამრავი თანამშრომლის და ბრალდებულების დაუდგენელი რაოდენობის გამო პოლიციამ ვერ შეძლო სასწრაფო დახმარების უზრუნველყოფა. შედეგად, დაზარალებულები დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში ელოდნენ სასწრაფოს მისვლას.

56. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა რაიმე კომენტარი/მოსაზრება პოლიციის მიერ გამოყენებული ძალის თანაბომიერებისა და პოლიციის ქმედებების ორგანიზაციული მხარის შესახებ. ასევე, ამოქმედდა თუ არა ადეკვატური საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო მოქალაქეების დასაცავად ძალის თვითნებური და ბოროტად გამოყენებისგან.

კერძოდ, მთავრობა არ შეეცადა იმის არგუმენტირებას, რომ გამოყენებული ძალა არ აღემატებოდა აბსოლუტურ აუცილებლობას კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ერთი ან მეტი კანონიერი მიზნების შესაბამისად. სასამართლო იმეორებს, რომ ეს მთავრობისთვის იმთავითვე ამოსავალი წერტილი უნდა ყოფილიყო და მოცემული არგუმენტის დაუსაბუთებლობას შეიძლება გამოეწვია სასამართლოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი მხარის დარღვევის დადგენა, იმის განხილვის გარეშე, იყო თუ არა ბ-ნი კალუცკის მკვლელობა გამართლებული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მუხლის თანახმად (იხ. *აკუმი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, N 21894/93, § 239, ECHR 2005-II (ამონარიდები)).

57. ზემოთ გაანალიზებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიციის საპასუხო ქმედების ფორმა და გამოყენებული ძალის ხარისხი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ მიზნების მკაცრად პროპორციულად, რასაც ბ-ნი კალუცკის გაქცევის ხელშეშლა და დაპატიმრება ან მისგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილება წარმოადგენდა. გარდა ამისა, ოპერაცია არ იყო იმგვარად დაგეგმილი, რომ მინიმუმამდე შეემცირებინათ სასიკვდილო ძალის გამოყენება.

58. ასეთ ვითარებაში, სასამართლომ დაადგინა, რომ ბ-ნი კალუცკის გარდაცვალების საკითხთან მიმართებაში დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი მისი არსებითი/მატერიალური ნაწილის შესაბამისად.

**(ბ) ბ-ნი კალუცკის გარდაცვალების გამოძიებასთან დაკავშირებით**

59. კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლის უფლება, რომელიც იკითხება ამავე კონვენციის პირველ

მუხლთან ერთობლიობაში „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“, ასევე გულისხმობს, რომ ძალის გამოყენების შემთხვევაში, პიროვნების გარდაცვალების დროს, უნდა ჩატარდეს საქმის ეფექტური გამოძიება (იხ. *კაია თურქეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 19 თებერვლის განჩინება, ანგარიშები 1998-I, გვ. 324, § 86). ამგვარი გამოძიების არსებითი მიზანია იმ შიდა კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველყოფა, რომელიც იცავს სიცოცხლის უფლებას, ასევე ისეთ საქმეებზე, სადაც მონაწილე მხარეები სახელმწიფო მოხელეები ან ორგანოები არიან, უზრუნველყოფილი იქნეს მათი ანგარიშვალდებულება, იმ ადამიანების გარდაცვალების შემთხვევებზე, რომელთა მიმართაც აღნიშნული მხარეები აგებენ პასუხს. ეს გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი, მსხვერპლის ოჯახისთვის ხელმისაწვდომი, განხორციელდეს გონივრული სისწრაფით, იყოს ეფექტური იმ გაგებით, რომ გამოძიებით შესაძლებელი იყოს იმის განსაზღვრა, მოცემულ ვითარებაში, ძალის გამოყენება იყო თუ არა გამართლებული ან უკანონო და მოიცავს თუ არა საზოგადოების მხრიდან გამოძიების ან მისი შედეგების კონტროლის აუცილებელ ელემენტს (იხ. *ჭიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N 24746/94, §§ 105-109, 2001 წლის 4 მაისი და *ბუბინსი*, § 137).

60. სასამართლომ უნდა შეაფასოს, აკმაყოფილებდა თუ არა გამოძიება კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი ინფორმირებულობა საქმის წარმოების შესახებ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი გამოძიების მასალებით შემოიფარგლება. მთავრობამ ვერ წარმოადგინა მასალები/დოკუმენტები შემდგომი სისხლის სამართალწარმოების შესახებ, რომელსაც სასამართლოს აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს/ჰქონდა ფაქტების დადგენისა და გამოძიების საფუძვლიანობის შეფასებისთვის. სასამართლო არსებული დოკუმენტების საფუძველზე შეაფასებს განაცხადის არსებით მხარეს .

61. წინამდებარე საქმეში, „სპალას“ სპორტულ ცენტრში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, პროკურორმა საქმის გამოძიება დაიწყო. გამოძიება შეწყდა პროკურორის მიერ, წარმოდგენილი დასკვნების თანახმად, რომელიც რაიონულმა სასამართლომ გაითვალისწინა 2004 წლის 24 თებერვალს. პროკურორმა დაადგინა, რომ პოლიციის თანამშრომლების ერთადერთი მიზანი გაქცეული ბრალდებულების შეჩერება იყო, რომლებიც პოლიციელის მოკვლას მანქანის დაჯახებით შეეცადნენ. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციელებს სჯეროდათ, რომ ბ-ნი კალუკვი და მისი თანამზრახველები ბანდის წევრები და შეიარაღებულები იყვნენ. ამდენად, როდესაც სცადეს მანქანით გაქცევა, ერთ-ერთ პოლიციელს დაეჯახნენ, მათი გაჩერების მიზნით პოლიციის თანამშრომლებმა სწორად გახსნეს ცეცხლი. აღნიშნული არგუმენტები საკმარისი იყო ხელისუფლებისთვის, რომ გამოძიება შეწყვიტათ.

62. სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ასეთი მიდგომა დამაკმაყოფილებელია და აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ ვერ გამოიყენა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სტანდარტები. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც პოლიციამ გადანყვითა პოტენციურად სასიკვდილო ძალის გამოყენება, ამგვარი ძალა არ შეიძლებოდა ყოფილიყო აბსოლუტურად აუცილებელ ძალაზე მეტი, ვიდრე ის მიზნის მისაღწევად იყო საჭირო. ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. არ ყოფილა გამოკვლეული, იქნებოდა თუ არა საკმარისი ნაკლები ინტენსივობის ძალა გაქცეული ავტომანქანის შესაჩერებლად, ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სროლა მაშინ განხორციელდა, როდესაც პოლიციელის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრებოდა. იმ პირობებში, როდესაც ხუთმა პოლიციის თანამშრომელმა ავტომატები და ტყვიამფრქვევები გამოიყენეს და ცეცხლი გახსნეს გაქცეული ბრალდებულების „დევისას“, პროკურატურა და სასამართლო ვალდებული იყო შეეფასებინა, თუ რამდენად გამართლებული იყო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება და ამასთან, რამდენად პროპორციული იყო პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა ნებადართული მიზნების მისაღწევად.

გარდა ამისა, არ განხილულა ოპერაციის ჩატარების წესი და ხელისუფლებამ უპირობოდ გაიზიარა პოლიციის თანამშრომლების განცხადებები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საბურავებს უმიზნებდნენ, რათა მანქანა გაეჩერებინათ, მიუხედავად იმისა, რომ საბურავები ხელუხლებელი დარჩა და ყველა ტყვია მგზავრებს და მანქანის ზედა ნაწილს მოხვდა.

63. ბ-ნი კალუცკის გარდაცვალების ფაქტზე საფუძვლიანი და ეფექტური გამოძიების ჩატარებლობის შემთხვევაში, სადაც ეჭვქვეშ არ დამდგარა სასიკვდილო ძალის გამოყენების აუცილებლობა, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. მოსამართლის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში რასისტულ განცხადებას და რომლებიც განიხილავდნენ შავკანიანი ბრალდებულის საქმეს: დარღვევა არ დადგინდა

### **საქმე „გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“**

**CASE OF GREGORY v. THE UNITED KINGDOM**

**განაცხადი N22299/93**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**1997 წლის 25 თებერვალი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

7. 1966 წელს დაბადებული განმცხადებელი, რომელიც არის შავკანიანი, ბრიტანეთის მოქალაქეა და ამჟამად ცხოვრობს ინგლისის ქ. მანჩესტერში.

### **სასამართლო პროცესი**

8. 1991 წლის 26-28 ნოემბერს, ჩადენილი ძარცვისათვის, განმცხადებლის საქმე იხილებოდა მანჩესტერის სამეფო სასამართლოში. მას სასამართლო პროცესზე წარმოადგენდა კანონიერი წარმომადგენელი.

9. სასამართლო პროცესის ბოლო დღეს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა გავიდა ვერდიქტის გამოსატანად. 3 საათისა და 45 წუთის შემდეგ ნაფიცი მსაჯულებისაგან მოსამართლეს გადაეცა ბარათი. მასში იკითხებოდა შემდეგი:

„ნაფიცი მსაჯულთა შემადგენლობაში შეინიშნება რასობრივი მინიშნებები. მისი ერთი წევრი უნდა გათავისუფლდეს დაკისრებული მოვალეობისგან.

10. ნაფიც მსაჯულთა არყოფნისას საქმის განმხილველმა მოსამართლემ აჩვენა ბრალმდებელს და დაკვის მხარეს აღნიშნული ბარათი და გაიარა კონსულტაციები რათა შემდგომში ამ საკითხზე მოეხდინა რეაგირება.

13. 12 სთ. 47 წთ-ზე, როდესაც ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა დაბრუნდა მოსამართლემ სათანადო პაუზა გააკეთა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მისი განმარტება გასაგები იყო და მიმართა ნაფიც მსაჯულებს შემდეგი სიტყვებით:

„თორმეტი პირი მოწვეული ხართ საზოგადოების სხვადასხვა ფენიდან, სხვადასხვა ბიოგრაფიული მონაცემებით. ყველას აქვს ჩამოყალიბებული აზრი და იდეა, მაგრამ აქ მოწვეული ხართ თორმეტი ადამიანი ერთმანეთისგან განსხვავებული ბიოგრაფიით, რათა თორმეტი განსხვავებული აზრი მივმართოთ პრობლემისაკენ, რომელიც ჩვენს



წინაშე დგას... თქვენ წყვეტთ ამ საქმეს მტკიცებულებებზე დაყრდნობით და არავითარ შემთხვევაში რაიმე სხვა პრინციპით. ნებისმიერი აზრი ან შეხედულება რაიმე ფორმით, ვინმეს სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ უნდა ამოიღოთ თქვენი გონებიდან. თქვენ წყვეტთ ამ საქმეს მტკიცებულებებზე დაყრდნობით. მხოლოდ და მხოლოდ მტკიცებულებები გადანყვეტს საქმეს. გესმით ეს ნათეს მსაჯულებო? თქვენ მსაჯულები ხართ და გადანყვეტილებას იღებთ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, ადამიანებს აფასებთ ისე როგორც ხედავთ და სხვა დანარჩენ ფაქტორებს არ აძლევთ თქვენს გადანყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის უფლებას, მაგრამ თქვენი გადანყვეტილება უნდა იყოს მტკიცებულების ხარისხსა და ინდივიდუალურ პიროვნებაზე უნდა იყოს დაყრდნობილი, მოექცეთ ყველას ერთნაირად, ყოველგვარი განსხვავების გარეშე, არ აქვს მნიშვნელობა ეს პიროვნება განსასჯელია თუ არა, სად ცხოვრობს ან საიდანაა წარმოშობით. თქვენთვის ეს გასაგებია? რა თქმა უნდა, არც ერთი ნათეს მსაჯულის დათხოვნას არ ვაპირებ, რადგან მავანი შესაძლოა ისურვებდა კიდევ რომ ასე მოექცეულიყავი, რადგან მათ არ მოსწონთ გარკვეული მინიმუმები ამ საუბარში. გადანყვეტილება ამ საქმეზე მიიღეთ მტკიცებულებების მიხედვით. ნათეს მსაჯულებო, მე არ ვამბობ, რომ თქვენ ვინმეს სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ იყოთ ტენდენციური. შეხედეთ ისე, როგორც ეს მოცემულია. მხოლოდ ამგვარად მიიღეთ საქმეზე გადანყვეტილება. ეს არის თქვენი ფიცის ქვეშ ნაკისრი მოვალეობა. ვიმედოვნებ, რომ დაემორჩილებით თქვენს ფიცის ქვეშ ნაკისრ მოვალეობას“.

14. 12 სთ. 50 წთ-ზე ნათეს მსაჯულთა შემადგენლობა გავიდა დარბაზიდან. 14 სთ. 41 წთ.-ზე ისინი, ერთპიროვანი ვერდიქტის გამოტანის გარეშე მოიწვია მოსამართლემ დარბაზში და ამცნო მათ, რომ დრო იყო მოესმინა, სულ ცოტა 10 ნათესი მსაჯულის მიერ მიღებული ვერდიქტი. ნათეს მსაჯულთა შემადგენლობა კვლავ გავიდა 14 სთ. 24 წთ.-ზე. 15 სთ. 27 წთ.-ზე, მაშინ როცა ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გადანყვეტილება მიღებული მათ კვლავ უხმეს დარბაზში. მოსამართლემ შემდეგი მითითება მისცა ნათეს მსაჯულთა შემადგენლობას:

„ნათეს მსაჯულებო, თითოეულმა თქვენგანმა დადო ფიცი, რომ გამოიტანდა სწორ ვერდიქტს მტკიცებულებაზე დაყრდნობით. გახსოვდეთ, რომ აღნიშნული ფიცი ორი დღის წინ დადეთ. არც ერთმა თქვენგანმა არ უნდა დაარღვიოს დადებული ფიცი. თქვენ გაკისრიათ მოვალეობა არა მხოლოდ როგორც ცალკეულ პიროვნებებს, არამედ როგორც მთლიანად ნათეს მსაჯულთა შემადგენლობას. ეს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ნათეს მსაჯულთა სისტემის ძლიერ მხარეს. ასე, რომ თითოეული თქვენგანი, როდესაც შეხვალთ ნათეს მსაჯულთა განკუთვნილ ოთახში, მიმართეთ თქვენს პირად გამოცდილებას და სიბრძნეს .... თქვენი ამოცანაა, გააერთიანოთ ეს გამოცდილება და სიბრძნე. თქვენ ეს უნდა გააკეთოთ თქვენი აზრის გამოთქმით და სხვათა აზრის მოსმენით. საჭიროების შემთხვევაში, კამათიც იქნება ... საჭირო იქნება არგუმენტები და ისინი უნდა მიიღოთ და გასცეთ იმ ფიცის ფარგლებში, რომელიც ყველამ დადეთ. ამგვარად თქვენ მიაღწევთ შეთანხმებას.“

15. 16 სთ. 06 წთ.-ზე ნათეს მსაჯულთა შემადგენლობა დაბრუნდა ვერდიქტით ათი ორის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც განმცხადებელი დამნაშავედ სცნეს. განმცხადებელს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

## სამართალი

### კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

38. განმცხადებელი ირწმუნებოდა, რომ მას უარი ეთქვა სამართლიან პროცესზე კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევით, რომლის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

„...წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...“

### სასამართლოს შეფასება

43. სასამართლო დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ რწმენა რომელსაც უნდა უნერგავდნენ მოსამართლეები დემოკრატიულ საზოგადოებას და პირველ რიგში, ბრალდებულებს რამდენადაც საუბარია სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნით, სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ სასამართლო, ნათუც მსაჯულთა ჩათვლით უნდა იყოს მიუკერძოებელი როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური თვალსაზრისით.

44. სადავო არ გამხდარა, რომ არ არსებობდა რაიმე ფაქტობრივი და სუბიექტური მიკერძოების მტკიცებულება არც ერთი ნათუცი მსაჯულის მხრიდან. ასევე, განმცხადებელიც და ხელისუფლებაც თანხმდება იმაზე, რომ ინგლისის კანონმდებლობის თანახმად, საქმის განმხილველ მოსამართლეს უფლება არ აქვს დაკითხოს ნათუცი მსაჯულები იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც საფუძველი დაუდო აღნიშნულ ბარათის დაწერას. სასამართლო აღიარებს, რომ წესი, რომელიც არეგულირებს ნათუც მსაჯულთა სხდომის ფარულობას გადამწყვეტია და სამართლებრივი ფუნქციაა ინგლისის სასამართლო კანონმდებლობისთვის, რომლის ვალია გააძლიეროს ნათუც მსაჯულთა, როგორც უმაღლესი მსაჯულის როლი და უზრუნველყოს ღია და გულწრფელი განხილვა ნათუც მსაჯულთა შორის მოსმენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

გადა ამისა, ნათუც მსაჯულთა შემადგენლობის წევრებს ფიცით ან ხელწერილით ჰქონდათ ნაკისრი ვალდებულება, რომ კეთილსინდისიერად წარემართათ განმცხადებლის სასამართლო პროცესი და გამოეტანათ სწორი ვერდიქტი მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

45. აქედან გამომდინარე, სასამართლომ უნდა განხილოს მოცემულ ვითარებაში იყო თუ არა საკმარისი გარანტიები რათა გამოერიცხათ ობიექტურად დასაბუთებული ან ლეგიტიმური ეჭვი ნათუც მსაჯულთა შემადგენლობის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულის პოზიცია არ შეიძლება გადამწყვეტი იყოს აღნიშნულის განსაზღვრისას.

46. რაც შეეხება სიტუაციას, რომელიც წარმოიშვა სასამართლო პროცესზე, სასამართლომ განსახილველი ფაქტების ობიექტური შეფასების გამოყენებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ნათუც მსაჯულთა შემადგენლობისგან ბარათის მიღებასთან დაკავშირებით. სასამართლოს მყისიერი რეაქცია იყო ბრალდების და დაცვის მხარის მოსაზრებების

მოსმენა და არა დაუსაბუთებელ განცხადებაზე პირდაპირ უარის თქმა. როგორც გამოცდილი მოსამართლისთვის, რომელიც აკვირდებოდა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას სასამართლო პროცესის განმავლობაში, ეჭვგარეშეა იყოდა შესაძლებელი იყო თუ არა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დათხოვნა ან ღია სასამართლოს წინაშე კითხვის დასმა - შეეძლოთ თუ არა სხდომის გაგრძელება და ვერდიქტის გამოტანა მხოლოდ მტკიცებულებების საფუძველზე. მან აღნიშნული ქმედებებიდან არც ერთი გამოიყენა და საყურადღებოა, რომ დაცვის მხარის ადვოკატს არ მოუთხოვია აღნიშნული ქმედების განხორციელება. სავარაუდოა, რომ ადვოკატი თავადაც თვლიდა, რომ აღნიშნულ ვითარებაში ეს გამართლებული იყო. ადვოკატთა უმეტესობა სავარაუდოდ, მოსთხოვდა მოსამართლეს გამოეძიებინა ის გარემოებები, რამაც ბარათის დანერის საფუძველი შექმნა. თუმცა, ინგლისის კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი გამოძიების ჩატარება არ იქნებოდა შესაძლებელი.

47. საქმის განმხილველმა მოსამართლემ გადაწყვიტა აღნიშნული განცხადებისთვის პასუხი გაეცა მკაცრად ჩამოყალიბებული მითითებების მიცემით ნაფიც მსაჯულთა კოლეგიისათვის, მას შემდეგ რაც ორივე მხარისგან მიიღო არგუმენტები. მისი განცხადება იყო მკაფიო, დეტალური და დამაჯერებელი. მას სურდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ყველასთვის გასაგები იყო მისი სიტყვები და შეგნებულად წყვეტდა საუბარს, რათა დარწმუნებულიყო აღნიშნულის სინამდვილეში. მისი მიზანი იყო, ნაფიც მსაჯულებს გაეთავისებინათ, რომ მათი ფიცის ქვეშ ნაკისრი ვალდებულება იყო მხოლოდ მტკიცებულებაზე დაფუძნებული საქმის განხილვა და რომ მათ უფლება არ ჰქონდათ, მათ გადაწყვეტილებაზე სხვა რაიმე ფაქტორს მოეხდინა ზეგავლენა.

მოსამართლეს თავის მითითებაში არც ერთხელ უხსენებია სიტყვები „რასობრივი შეხედულებები“. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მან ნაფიც მსაჯულებს მითითება მისცა, რომ გონებიდან ამოეღოთ „ნებისმიერი შეხედულება რაიმე ფორმით“. ამ სიტყვების მნიშვნელობა ნათელი უნდა ყოფილიყო ნებისმიერი ნაფიცი მსაჯულისთვის, რომელთა ქცევამაც, შესაძლოა საფუძველი შეუქმნა რასობრივი მინიშნებების გაკეთებას. საგულისხმოა, რომ შემდგომში არც ერთი რასობრივი ხასიათის კომენტარი არ გაკეთებულა. მოსამართლეს შეეძლო გონივრული დასკვნა გაეკეთებინა, რომ ნაფიცი მსაჯულები დაემორჩილნენ მის მიერ მიცემული მითითებების პირობებს და რაიმე ხასიათის შეხედულებების არსებობის რისკი ეფექტურად განეიტრალდა.

48. სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასებას მივყავართ დასკვნამდე, რომ წინამდებარე საქმეში აღარ გახდა საჭირო მოსამართლის გარდა სხვასაც გაეთანტა ობიექტური შიში ან მოსაზრება ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობის შესახებ რასაც ითვალისწინებს კონვენციის მე-6 მუხლის. სამართლიანი პროცესის გარანტიები შესაძლოა გარკვეულ გარემოებებში მოითხოვდეს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დათხოვნას, მაგრამ ასევე უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნული ყოველთვის არ წარმოადგენს მიზნის მიღწევის საშუალებას. სხვა სახის გარანტიები, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა მისამართით მკაცრად ჩამოყალიბებული მითითებები, საკმარისად შეიძლება ჩაითვალოს. სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ დასკვნაში დადასტურებულია სააპელაციო მოსამართლეების მიერ ბარათთან დაკავშირებული საკითხის მოსამართლის მიერ გადაწყვეტა, სამართლებრივი პრინციპების გამოყენებისას, რომელიც შესაბამეა მათსავე პრეცედენტულ სამართალს მიუკერძოებლობის ობიექტურ მოთხოვნებთან მიმართებით.

49. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განსახილველი ფაქტები უნდა განვასხვაოთ იმ ფაქტებისგან, რომელიც გამოყენებული იყო *რემლის საქმეში* და რომელთა დარღვევის შესახებაც გაკეთდა დასკვნა (*Remli v. France*, N16839/90, 1996 წლის 23 აპრილი). აღნიშნულ საქმეში საქმის განმხილველმა მოსამართლეებმა ნაფიცი მსაჯულისგან, რომლის ვინაობაც ცნობილი იყო, გაგონილ სიტყვებზე - რომ ის რასისტი იყო - ვერ მოახდინეს რეაგირება. წინამდებარე საქმეში, მოსამართლე დაუპირისპირდა ნაფიცი მსაჯულის რასისტულ განცხადებას, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ბუნდოვანი და ორაზროვანია, არ შეიძლება ჩაითვალოს არსს მოკლებულად. იმ ვითარებაში მან მიიღო საკმარისი ზომები, იმისათვის, რომ შეემონებინა სასამართლო შექმნილი იყო თუ არა, როგორც მიუკერძოებელი ტრიბუნალი კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და მან წარმოადგინა საკმარისი გარანტიები ამ კუთხით ყველა ეჭვის გასაფანტად.

50. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ აღნიშნულ საქმესთან მიმართებაში არ დარღვეულა მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის, პოლიციის განცხადებათა მტკიცებულებითი ღირებულებისა და ეფექტური გამოძიების შესახებ.

პოლიციის მიერ განმცხადებლისთვის მიყენებული დაზიანების ხასიათი და ხარისხი: დარღვევა.

არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის განცხადებებთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიება არ იყო სრულყოფილი, დროული, სათანადო და ეფექტური: დარღვევა.

სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეასრულეს საფუძვლიანი, დროული და ეფექტური გამოძიების მოთხოვნები: დარღვევა.

**საქმე „ოჩელკოვი რუსეთის წინააღმდეგ“**

**CASE OF OCHELKOV v. RUSSIA**

**განცხადება N17828/05**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2013 წლის 11 აპრილი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელი - დიმიტრი ოჩელკოვი, რუსეთის მოქალაქეა, დაბადებული 1979 წელს, ამჟამად მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრის მიერ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ყაჩაღობისა და ქურდობისთვის. დაპატიმრებამდე იგი ცხოვრობდა ნიჟნი ნოვგოროდის ოლქში, ქალაქ ბავოლჟიეში (რუსეთი). კონვენციის მესამე მუხლზე დაყრდნობით (წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), მან განაცხადა, რომ დაპატიმრების შემდეგ იგი პოლიციამ აწამა ორჯერ - 2002 წლის იანვარსა და 2003 წლის თებერვალში. პირველად მანქანის გატაცების ეჭვის საფუძველზე დაპატიმრების შემთხვევაში იგი ამტკიცებდა, რომ დაადეს ხელბორკილები, დააბეს თოკით, თავში ჩაარტყეს სკამის ფეხი და ურტყამდნენ წიხლებს მთელ სხეულზე, სანამ საბოლოოდ ხელი არ მოაწერა აღიარებას. მეორედ იგი დაპატიმრეს ტელევიზორის ქურდობის ეჭვის საფუძველზე და ამტკიცებდა, რომ იგი ხელბორკილებით მიაბეს რკინის სეიფზე, სცემეს, ურტყამდნენ წიხლებს, გამოიყენეს ელექტროშოკი, სახეზე გაუკეთეს ნიღაბი და გადაუკეტეს ჰაერი, სანამ გონება არ დაკარგა. ბატონი ოჩელკოვი ასევე აცხადებდა განაცხადში, რომ წამების შესახებ მის განცხადებებთან დაკავშირებით რუსეთის ორგანოების მიერ განხორციელებული გამოძიება არასათანადო იყო.

## II. კონვენციის მე-3 მუხლის საგარეუდო დარღვევა 2002 წლის 16 და 17 იანვრის შემთხვევებზე

### (ა) ზოგადი პრინციპები

80. როგორც სასამართლომ სხვა შემთხვევებში დაადგინა, კონვენციის მე-3 მუხლი ითვალისწინებს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. ყველაზე რთულ შემთხვევებშიც კი, როგორცაა ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენცია -მისი სრული გაგებით, კრძალავს წამებასა და არაადამიანურ, ან ღირსების შემლახველ მოპყრობას და დასჯას, დანაშაულის მსხვერპლის ქცევის მიუხედავად (იხ. *ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N26772/95, §119, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2000-IV და *ჩალალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1996 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, კრებული განჩინებებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1996-V, გვ. 1855, § 79). კონვენციის მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს გამონაკლისებს და დაუშვებელია ამ მუხლის მოთხოვნებიდან გადახვევა კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივი საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაშიც კი, როდესაც საფრთხე ემუქრება ხალხის სიცოცხლეს (იხ. *სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N25803/94, § 95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 1999-V და *ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1998-VIII, გვ. 3288, § 93).

81. სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ მიყენებული ტანჯვა და დამცირება ნებისმიერ შემთხვევაში არ უნდა სცდებოდეს ტანჯვის ან დამცირების იმ აუცილებელი ელემენტების ფარგლებს, რომლებიც უკავშირდება ლეგიტიმური მოპყრობის ან დასჯის მოცემულ ფორმას. ის ღონისძიებები, რომლებიც ართმევს პირს თავისუფლებას, ხშირად შესაძლებელია მოიცავდეს ზემოთ აღნიშნულ ასეთ ელემენტს. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პირი დაკავებულია იმ პირობების შესაბამისად, რომლებიც თავსებადია მის ადამიანურ ღირსებასთან და გამოყენებული ზომების ფორმა და მეთოდი მას არ უნდა აყენებდეს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც აღემატება დაპატიმრებისთვის დამახასიათებელი ტანჯვის გარდაუვალ დონეს (იხ. *კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N30210/96, §§92-94, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2000-XI).

82. დაპატიმრებულებთან მიმართებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ პირები, რომლებიც არიან პატიმრობაში და მონყვლად მდგომარეობაში, სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან, დაიცვან მათი ფიზიკური ჯანმრთელობა (იხ. *ტარარიევა რუსეთის წინააღმდეგ* N4353/03, §73, ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლო ECHR, 2006 წ. (ამონარიდები); *სარბანი მოლდოვას წინააღმდეგ*, N3456/05, § 77, 2005 წლის 4 ოქტომბერი და *მუიშელი საფრანგეთის წინააღმდეგ*, N67263/01, §40, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2002-IX). იმ პირთან დაკავშირებით, რომელსაც აღეკვეთა თავისუფლება, ნებისმიერი ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც არ განხორციელებულა მკაცრად აუცილებელი საჭიროებით, ლახავს ადამიანურ ღირსებას და წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლით განსაზღვრული უფლების დარღვევას (იხ. *შეიდაიევი რუსეთის წინააღმდეგ*, N65859/01, § 59, 2006 წლის 7 დეკემბერი; *რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ*, 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერიები A, N336, §38 და *კრასტანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N50222/99, § 53, 2004 წლის 30 სექტემბერი).

83. სასამართლომ აღნიშნა, რომ არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებები, უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი მტკიცებულებით. მათი შეფასებისას, სასამართლომ ზოგადად გამოიყენა „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების სტანდარტი (იხ. *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, სერიები A, N25, გვ. 64-65, § 161). თუმცა ასეთი მტკიცებულება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად მტკიცე, ამკარა და შეთანხმებული დასკვნებიდან ან ფაქტის მსგავსი უტყუარი პრეზუმფციიდან. როდესაც შემთხვევები სრულად ან ძირითადი ნაწილით ხვდება სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებული ცოდნის ფარგლებში, როგორც მათი კონტროლის ქვეშ დაპატიმრებული პირების შემთხვევაში, დაზიანებებთან დაკავშირებით იქმნება ფაქტის მყარი პრეზუმფცია, მათი დაპატიმრებისას განხორციელების შესახებ. მართლაც, მტკიცების ტვირთი შეიძლება დაეკისროს სახელმწიფო ორგანოებს, რათა უზრუნველყონ დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტების წარდგენა (იხ. *სალმანი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N21986/93, § 100, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2000-VII).

84. როდესაც მიმდინარეობს ეროვნული სამართალწარმოება, სასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს, ჩაანაცვლოს ეროვნული სასამართლოების მიერ გაკეთებული შეფასებები ფაქტების შესახებ საკუთარი შეფასებით და როგორც ზოგადი წესი, სწორედ ამ სასამართლოებმა უნდა შეაფასონ წარდგენილი მტკიცებულებები (იხ. *კლაას გერმანიის წინააღმდეგ*, 1993 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერიები A, N269, გვ. 17, § 29). თუმცა სასამართლო არაა შებოჭილი ეროვნული სასამართლოების დასკვნებით, ჩვეულებრივ გარემოებებში იგი ითხოვს დამაჯერებელ ელემენტებს, რათა გადაუხვიოს ფაქტების შესახებ დასკვნებს, რომლებიც დადგენილია ამ სასამართლოების მიერ (იხ. *მატკო სლოვენის წინააღმდეგ*, N43393/98, § 100, 2006 წლის 2 ნოემბერი). როდესაც განცხადებები გაკეთებულია კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, სასამართლომ განსაკუთრებულად საფუძვლიანად უნდა შეამოწმოს იგი (იხ. *(mutatis mutandis)*, *რიბიჩი*, § 32).

## (ბ) არსებულ საქმეში ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება

### (i) ფაქტების დადგენა

85. არსებულ საქმეში მხარეების მიერ სადავო არ გამხდარა და სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2002 წლის 16 იანვარს, გვიან საღამოს, განმცხადებელი დააპატიმრეს და წაიყვანეს ზავოლუიეს პოლიციის განყოფილებაში. მომდევნო დღის საღამოს იგი გამოუშვეს განყოფილებიდან, რის შემდეგაც საავადმყოფოში მივიდა, სადაც დაუდგინეს ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, გონების დაკარგვა და მრავლობითი დაზიანებები თავის, ზურგის, მკლავებისა და გულმკერდის არეში. განმცხადებელი 2002 წლის 29 იანვრამდე საავადმყოფოში დარჩა, სადაც ქირურგიის განყოფილებაში სტაციონალური მკურნალობა ჩაუტარდა.

86. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობამ წარადგინა მოვლენების ორი ვერსია, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია, განმცხადებელს ზოგიერთი დაზიანება მაინც მიეღო.

87. კერძოდ, არასათანადო მოპყრობის შესახებ მისი საჩივრების განხილვის განმავლობაში განმცხადებლის 2002 წლის 8 ივნისს გაკეთებულ განცხადებებზე დაყრდნობით, სასამართლო ამტკიცებდა, რომ 2002 წლის 17 იანვარს, დაკითხვის პერიოდში სკამიდან წამოდგომისას მან რამდენჯერმე მიარტყა თავი წიგნის თაროს. თუმცა, სასამართლო ამ ახსნა-განმარტებაში დარწმუნებული არ არის. იგი აღნიშნავს, რომ მოვლენათა ის ვერსიები, რომლებიც მოცემულია განმცხადებლის მიერ პირველად წარმოთქმულ განცხადებებში, სავარაუდოდ, არასათანადო მოპყრობის შესახებ გამოძიების დაწყებიდან ხუთი თვის შემდეგ გაკეთდა. პოლიციელებს, რომლებსაც განმცხადებელი არასათანადო მოპყრობაში აღნაშაულებდა, არასოდეს აღუნიშნავთ, რომ დაინახეს, როგორ მიარტყა თავი განმცხადებელმა. სასამართლოს მხედველობიდან არ გამორჩენია ასევე ის, რომ განმცხადებლის თავის დაზიანების შესახებ ახსნა-განმარტება წარადგინა თავად განმცხადებელმა მხოლოდ საპოლიციო გამოძიებლებთან, ქალბატონ ს-სთან შეხვედრის შემდეგ, რომელიც იმავე პოლიციის განყოფილებიდან იყო, სადაც არასათანადო მოპყრობა დათქმულია. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა შეცვალა, როგორც თავისი განცხადებები, ისე მისი დაზიანებების გამომწვევი ნამდვილი მიზეზი, განსახილველ შემთხვევაში ჩართულ ოფიციალურ წარმომადგენელთან შეხვედრის შემდეგ. სასამართლო ვერ გამოიყვანა შესაძლებლობას, რომ განმცხადებელი დააშინეს იმ პირებმა, რომლებსაც იგი არასათანადო მოპყრობაში აღნაშაულებდა (იხ. *კოლიბაბა მოლდოვას წინააღმდეგ*, N29089/06, § 49, წლის 23 ოქტომბერი და *ბათი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ* N33097/96 და N57834/00, § 100, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2004-IV (ამონარიდები)). აღნიშნული დასკვნა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, თუ სასამართლო დაეთანხმება მთავრობის მოსაზრებას, რომ 2002 წლის 8 ივნისის დაკითხვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, განმცხადებელმა



სცადა გამოეთხოვა საკუთარი საჩივარი არასათანადო მოპყრობის შესახებ და თხოვნით მიმართა გამომძიებლებს, დაესრულებინათ გამოძიება. სასამართლომ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ განმცხადებელი პროკურატურის ორგანოებსა და შემდეგ სასამართლოში წარდგენილ საჩივრებში ცალსახად ათქიქირებდა მოსაზრებას, რომ პატიმრობაში მას არასათანადოდ მოეპყრნენ პოლიციელები. განმცხადებელმა არაერთხელ უარყო იმ განცხადების სიზუსტე, რომელიც 2002 წლის 8 ივნისს გამომძიებელთან გააკეთა.

88. უფრო მეტიც, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის ახსნა-განმარტებები არ შეესაბამება განმცხადებლის მიერ მიღებულ თავის ტრავმების ხასიათს, როგორც დაფიქსირებულია საავადმყოფოს 2002 წლის 17 იანვრის ანგარიშსა და ექსპერტთა მოსაზრებებში. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო არ გამორიცხავს პატიმრობაში მომხდარი ინციდენტების შესაძლებლობას, იგი არ გულისხმობს მხედველობიდან იმ ფაქტის გამორჩენას, რომ ქალა-ტვინის დახურულ ტრავმასა და გონების დაკარგვასთან ერთად, ექიმებმა განმცხადებლის თავზე სხვადასხვა ადგილას არსებული დაღურჯებები აღწერეს. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული აღწერილობა შეესაბამება იმ ფიზიკურ შედეგებს, რომლებიც გამონვეულია მტკიცე ზედაპირით ან ბლავვი საგნით მრავალჯერადი და არა ერთჯერადი ზემოქმედებით. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე განამტკიცებს ექსპერტების უმოქმედობა - დაედგინათ, შეიძლებოდა თუ არა დაზიანებები განმცხადებლის მიერ თაროზე თავის მირტყმის შედეგი ყოფილიყო.

89. გარდა ამისა, სასამართლო ითვალისწინებს განმცხადებლის მოსაზრებას, რომელიც არ გაუხდია სადავოდ მთავრობას და დადასტურებულია რუსეთის საგამომძიებო ორგანოების გადანყვეტილებებში. კერძოდ, სახელმწიფო ორგანოებმა განიხილეს ის შესაძლებლობაც, რომ განმცხადებელმა თავის დაზიანებები მიიღო, საკუთარი უყურადღებო ქმედებების შედეგად. მათ საგამომძიებო ექსპერიმენტის მეშვეობით, ხელახლა აღადგინეს პოლიციის განყოფილებაში განხორციელებული მოვლენები. განმცხადებლის თანახმად, ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ის თავისი სიმალლის გამო, სკამიდან ადგომისას თაროს თავს ვერ მიატყამდა. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მან მთავრობას სთხოვა, წარმოედგინა გამოძიების სრული დოკუმენტაცია 2002 წლის 16 და 17 თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებით, თუმცა მთავრობამ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მასალები შერჩევით წარადგინა დოკუმენტაციიდან. ზემოაღნიშნული საგამომძიებო ექსპერიმენტის შესახებ ჩანაწერი მათ შორის არ იყო. მისი მოთხოვნის შეუსრულებლობის თაობაზე ნებისმიერი სახის ახსნა-განმარტების არარსებობის გათვალისწინებით, სასამართლო მზადაა გააკეთოს დასკვნა მთავრობის ქმედებიდან გამომდინარე. იგი ასევე აღნიშნავს, რომ 2004 წლის 30 ნოემბრის გადანყვეტილებიდან ჩანს, რომ განმცხადებლის მიერ თაროზე თავის მირტყმით თავის დაზიანების მიღების ალბათობა იყო ძალიან მცირე, თუ მთლიანად შეუძლებელი არა, რადგან განმცხადებელი კონკრეტულ

მდგომარეობაში რამდენჯერმე უნდა ამდგარიყო და ყოველ ჯერზე მიერთყა თავი თაროსთვის. უფრო მეტიც, მთავრობის მოსაზრების არადამაჯერებლობის მიუხედავად, სასამართლოს თვალსაზრისით, საჭიროა აღნიშნოს, რომ ხელისუფლებამ არ გააკეთა ახსნა-განმარტება მის მიერ აღწერილ გარემოებებში, რატომ არ გამოიძახეს დაუყოვნებლივ ექიმი განმცხადებლისთვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად და თავის დაზიანების აღსაწერად, რომელიც საკმაოდ სერიოზული იყო.

90. განმცხადებლის დაზიანებებთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობა, პოლიციელების განცხადებებზე დაყრდნობით, დაუინებით ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი დაპატიმრებამდე მონაწილეობდა ჩხუბში. ამასთან დაკავშირებით სასამართლო ეთანხმება განმცხადებლის მოსაზრებას, რომ პოლიციელების განცხადებები უმნიშვნელოა, რადგან არაა გამყარებული არანაირი მტკიცებულებით. არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის საჩივართან დაკავშირებული გამოძიების ეფექტურობის გამოკვლევამდე, სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოძიებლებს არ შეუძლებიათ, მონაწილეობდა თუ არა განმცხადებელი ჩხუბში. უფრო მეტიც, სამედიცინო ექსპერტებმა, რომლებმაც გასინჯეს განმცხადებელი გამოძიებისას, დაადგინეს, რომ დაზიანებები საავადმყოფოში მისვლამდე ოცდაათხი საათით ადრე იყო მიყენებული. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი დააპატიმრეს 2002 წლის 16 იანვარს, დაახლოებით საღამოს 9 საათზე და შეამოწმეს საავადმყოფოში მომდევნო დღის საღამოს 6 საათის შემდეგ, მთავრობის მტკიცება, რომ განმცხადებელმა მიიღო დაზიანებები უცნობ პირებთან ჩხუბის დროს, არ იყო დამაჯერებელი.

91. გარდა ამისა, სასამართლოს მხედველობიდან არ გამორჩენია განმცხადებლის დაკავებასა და დაპატიმრებასთან დაკავშირებული გარემოებები. იგი იზიარებს მთავრობის მოსაზრებას, რომ განმცხადებელი დააკავეს მანქანის გატაცების ეჭვის საფუძველზე. ამავედროულად, ოფიციალური ჩანაწერი ჩამოთვლის მისი თავისუფლების აღკვეთის სრულიად განსხვავებულ საფუძველებს: თითქოს განმცხადებელი იყო მთვრალი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას და მისი შესახედაობა მიჩნეულ იქნა ადამიანური ღირსებისა და საზოგადოებრივი მორალის შელახვად. შესაბამისად, მას ბრალი წაუყენეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის და დაატარა 10 რუბლით. სადავო არაა მხარეებს შორის ის, რომ განმცხადებელი განყოფილებაში იყო თხუთმეტ საათზე მეტი ხნით მას შემდეგ, რაც შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ღამე მანქანის მოპარვაში მისი მონაწილეობის შესახებ დაკითხეს ადვოკატის გარეშე. ასევე უდავოა, რომ განმცხადებელი გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც მან აღიარა სისხლის სამართლის დანაშაული. ვინაიდან სასამართლო არაა უფლებამოსილი არსებულ საქმეში შეათასოს განმცხადებლის დაკავების კანონიერება ან განიხილოს მის მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოების ნაკლოვანება. იგი მზადაა, დაადგინოს,

რომ განმცხადებლის დაკავების გარემოებები უფრო დამაჯერებელს ხდის მის განცხადებას იმის შესახებ, რომ პოლიციელებმა გამოიყენეს ძალა მისგან აღიარების მისაღებად.

92. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა დეტალურად აღწერა არასათანადო მოპყრობის შესახებ და მიუთითა ადგილი, დრო და ხანგრძლივობა. სასამართლომ ასევე მიუთითა იმის შესახებ, რომ განმცხადებელი მუდმივად აცხადებდა პოლიციელების მხრიდან მისი პატიმრობაში ყოფნის დროს არასათანადო მოპყრობის შესახებ. მან მაშინაც დაადანაშაულა პოლიციელები, როდესაც შესაძლებლობა მიეცა თავისუფლად გაეკეთებინა განცხადებები საგამოძიებო ორგანოების ან შიდა სასამართლოების წინაშე. ამავდროულად, სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობისთვის შესაძლებელი იყო, გაებათილებინა განმცხადებლის მოსაზრებები სადავო მოვლენის შესახებ საკუთარი დამაჯერებელი ვერსიისა და მათი ვერსიის საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარდგენით. მართლაც, მთავრობას არ წარუდგენია რაიმე დამაჯერებელი ახსნა-განმარტება იმაზე, როგორ მიიღო განმცხადებელმა დაზიანებები.

93. ასეთ შემთხვევებში, პატიმრობაში მყოფი პირისთვის მიყენებული დაზიანებების თაობაზე სახელისუფლებო ორგანოების პასუხისმგებლობისა და ამ კონკრეტულ საქმეში მთავრობის დამაჯერებელი ახსნა-განმარტების არარსებობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მას შეუძლია გააკეთოს დასკვნები მთავრობის ქმედებიდან გამომდინარე და ადასტურებს კონვენციით მოთხოვნილი მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით იმას, რომ განმცხადებლისთვის მიყენებული დაზიანებები იყო იმ მოპყრობის შედეგი, რომელზეც იგი დავობდა და რისთვისაც პასუხისმგებლობა მთავრობას ეკისრებოდა (იხ. *სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N25803/94](#), § 88, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 1999-V; *მეჰმეთ ემინ იუკსელი თურქეთის წინააღმდეგ*, [N40154/98](#), § 30, 2004 წლის 20 ივლისი; *მიხეივი რუსეთის წინააღმდეგ*, [N77617/01](#), §§ 104-105, 2006 წლის 26 იანვარი; *დედოვსკი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*, [N7178/03](#), §§ 78-79, 2008 წლის 15 მაისი). ამიტომ სასამართლო გამოიკვლევს იმ მოპყრობის სიმძიმეს, რომელსაც განმცხადებელი დაექვემდებარა მის განცხადებებსა და საქმეში არსებულ ელემენტებზე დაყრდნობით.

## (ii) არასათანადო მოპყრობის სიმძიმის შეფასება

94. იმის დასადგენად, შეიძლება თუ არა არასათანადო მოპყრობის კონკრეტული ფორმის კვალიფიკაცია წამებად, ყურადღება უნდა გამახვილდეს კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე არსებულ იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს ამ ცნებასა და არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას შორის. სასამართლომ უკვე მიუთითა წინა საქმეებში, რომ აღნიშნული განსხვავებით განზრახული იყო არაადამიანური მოპყრობისთვის სპეციალური სტიგმის მინიჭება, რომელიც ძალიან მძიმე და სასტიკ ტანჯვას იწვევს. მოპყრობის სიმძიმის გარდა,

არსებობს გადამწყვეტი ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს წამებას მწვავე ტკივილის ან ტანჯვის განზრახ მიყენების თვალსაზრისით, მათ შორის, ინფორმაციის მიღების, სასჯელის დაკისრების ან დაშინების მიზნით (იხ. *სალმანი თურქეთის წინააღმდეგ*, [დიდი პალატა], N21986/93, §114, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2000-VII). სასამართლოს თანმიმდევრული მიდგომის თანახმად, მოპყრობა ითვლება „არაადამიანურად“ თუ ის არის წინასწარ განზრახული, გამოიყენება საათების განმავლობაში უწყვეტად და ინვეს ან სხეულის რეალურ დაზიანებას, ან ფიზიკურ, ან ფსიქიკურ ტანჯვას. ის მიჩნეული იქნება „დამამცირებლად“, თუ ინვეს მსხვერპლის ისეთ გრძობებს, როგორცაა შიში, ტკივილი და შეურაცხყოფის უფრო მაღალი ხარისხი და ამცირებს მათ (იხ. *კუდლა*, §92). მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, იყო თუ არა მოპყრობის მიზანი მსხვერპლის შეურაცხყოფა ან დამცირება, მაგრამ ნებისმიერი ასეთი მიზნის არარსებობა გამოირიცხავს მე-3 მუხლის დარღვევას (იხ. *პირსი საბერძნეთის წინააღმდეგ*, N28524/95, §74, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2001-III და *კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, N47095/99, § 101, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2002-VI).

95. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის, რომ განმცხადებელი სცემეს პოლიციელებმა და ამ ცემის შედეგად მან მიიღო დაზიანებები. სასამართლო არ აღიარებს არც ერთ გარემოებას, რომელსაც შეეძლო აუცილებლობად ექცია განმცხადებლის მიმართ ძალადობის გამოყენება. არ დამტკიცებულა, რომ განმცხადებელმა წინააღმდეგობა განია დაპატიმრებისას, სცადა გაქცევა ან არ შეასრულა პოლიციელების კანონიერი ბრძანებები. უფრო მეტიც, არ არსებობს მითითება, რომ განმცხადებელმა დაკავებისას ან შემდგომ პოლიციის განყოფილებაში დაპატიმრებისას საფრთხე შეუქმნა პოლიციის თანამშრომლებს, მაგალითად, ღიად იარაღის ტარებით ან მათზე თავდასხმით (იხ. *ნეჩდეტ ბულუტი თურქეთის წინააღმდეგ*, N77092/01, §25, 2007 წლის 20 ნოემბერი, და *ბერლიისკი პოლონეთის წინააღმდეგ*, N27715/95 და N30209/96, §62, 2002 წლის 20 ივნისი). ამასთან, ჩანს, რომ ძალის გამოყენება იყო რეპრესიული ხასიათის და მიზნად ისახავდა განმცხადებლის დამცირებასა და ჩვენების მიცემის იძულებას. გარდა ამისა, იმ მოპყრობას, რომელიც განხორციელდა განმცხადებლის წინააღმდეგ, უნდა გამოეწვია მისი ფსიქიკური და ფიზიკური ტანჯვა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულს აშკარად არ გამოუწვევია მისი ჯანმრთელობის ხანგრძლივი დაზიანება.

96. შესაბამისად, განმცხადებლის დაზიანებების ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობაზე, რაც განხორციელდა განმცხადებლის მიმართ პოლიციის მიერ, რითაც დაირღვა ეს დებულება.

**(გ) გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობა**



97. სასამართლოს თვალსაზრისით, როდესაც პირი აცხადებს არასათანადო მოპყრობის შესახებ მე-3 მუხლის დარღვევის კონტექსტში, კონვენციის პირველი მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფოს ძირითად ვალდებულებებთან ერთად - „უზრუნველყონ თავიანთი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირისათვის კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“, გამოძიების ვალდებულება „არის არა შედეგის მიღების ვალდებულება, არამედ საშუალების გამოყენების ვალდებულება“: ყველა გამოძიება არ უნდა იყოს აუცილებლად წარმატებული ან არ უნდა ადგენდეს იმას, რაც თანხვედრაშია მოვლენები განმცხადებლის განცხადებასთან. თუმცა, უნდა შეძლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და თუ განცხადებები ადასტურებენ მის სიმართლეს, პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირება და დასჯა. ამგვარად, არასათანადო მოპყრობის შესახებ მნიშვნელოვანი განცხადებების შესახებ გამოძიება უნდა იყოს საფუძვლიანი. აღნიშნული გულისხმობს, რომ სახელისუფლებო ორგანოებმა ყოველთვის უნდა გამოიკვლიონ, რა მოხდა და არ უნდა დაეყრდნონ ნაჩქარევ ან დაუსაბუთებელ დასკვნებს, რათა დაასრულონ გამოძიება ან დააფუძნონ თავიანთი გადანყვეტილებები აღნიშნულ დასკვნებს. მათ უნდა გადადგან ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა დაიცვან ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულება, მათ შორის, თვითმხილველის ჩვენება და ნივთმტკიცება. გამოძიების პროცესის ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ხელს უშლის, დაადგინოს დაზიანების მიზეზი ან განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი, რისკის ქვეშ დააყენებს ამ სტანდარტს, დროულობისა და გონივრული სისწრაფის შესახებ მოთხოვნებს, რომლებიც იგულისხმება ამ კონტექსტში (იხ. *მიხეივეი*, § 107 და შემდგომი პარაგრაფები, *ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადანყვეტილება, ანგარიშები 1998-VIII, § 102 ; *ტიაგუნოვა რუსეთის წინააღმდეგ*, N19433/07, § 65, 2012 წლის 31 ივლისი).

98. არსებულ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი მე-3 მუხლის თანხმად, განმცხადებლის მიმართ ცუდ მოპყრობაზე. ამიტომ, ამასთან დაკავშირებული განმცხადებლის საჩივარი „სადავოა“. ამგვარად, სახელისუფლებო ორგანოებს აქვთ ვალდებულება, განახორციელონ იმ გარემოებების ეფექტური გამოძიება, როდესაც განმცხადებელმა დაზიანებები მიიღო (იხ. *კრაცანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N50222/99, § 58, 2004 წლის 30 სექტემბერი).

99. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სასამართლო მიუთითებს, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოებმა, რომლებმაც შეიტყვეს განმცხადებლის ცემის შესახებ, ჩაატარეს წინასწარი გამოძიება, რომელსაც შედეგად არ მოჰყოლია სისხლისსამართლებრივი დევნა ცემაში დამნაშავე პირებისთვის. არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის საჩივარი ასევე დაექვემდებარა შიდა სასამართლოს მოკვლევას. სასამართლოს აზრით, საკითხი ეხება არა იმას, ჩატარდა თუ არა გამოძიება, ვინაიდან მხარეები არ დავობდნენ მის არსებობაზე,

არამედ განხორციელდა თუ არა იგი გულმოდგინედ, განზრახული ჰქონდათ თუ არა სახელისუფლებო ორგანოებს ამ პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და მათი სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაბამისად, იყო თუ არა გამოძიება „ეფექტური“.

100. სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ განმცხადებელი სრულად ეყრდნობოდა გამოძიებას, რომ იგი მოიძიებდა მისი საჩივრის გამამყარებელ მტკიცებულებებს. გამომძიებლებს ჰქონდათ სამართლებრივი უფლებამოსილება, დაეკითხათ პოლიციელები, გამოეძახებინათ მონმეები, მისულიყვნენ დანაშაულის ადგილზე, შეეგროვებინათ ნივთმტკიცებები და გადაედგათ მნიშვნელოვანი ნაბიჯი განმცხადებლის მოსაზრების ჭეშმარიტების დასადგენად. მათი როლი გადამწყვეტი იყო არა მარტო დანაშაულის ჩამდენთა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის სანარმოებლად, არამედ განმცხადებლის მიერ სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოსაყენებლად, რათა მიეღო კომპენსაცია იმ ზიანისთვის, რომელიც მას მიაღვა (იხ. *ბარაბანშიკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, N36220/02, §57, 2009 წლის 8 იანვარი).

101. შესაბამისად, სასამართლო პირველ რიგში შეათვასებს გამოძიების დროულობას, რომელიც ითვლება სახელისუფლებო ორგანოების მიზანდასახულობის კრიტერიუმად, განახორციელონ განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობაში პასუხისმგებელი პირების სისხლისსამართლებრივი დევნა (იხ. *სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N25803/94, §§78 და 79, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 1999-V). 2002 წლის 18 იანვარს არსებულ საქმეში განმცხადებლის მშობლები დავობდნენ არასათანადო მოპყრობაზე ქალაქ გოროდეტსის სახელმწიფო ბრალმდებლის წინაშე. პროკურატურამ დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება ცემის შესახებ ინფორმაციის მოპოვების შემდეგ და მიიღო პირველი გადაწყვეტილება, რომელიც უარს ამბობდა პოლიციელების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების დაწყებაზე საჩივრის შეტანიდან მხოლოდ ათი დღის გასვლის შემდეგ.

102. სასამართლომ აღნიშნა რამდენიმე სერიოზული შეუსაბამობა, რომელიც ხელს უშლიდა გამოძიების სანდოობასა და ეფექტურობას და ყურადღება გაამახვილა გამოძიების საფუძვლიანობის შეფასებაზე. პირველ რიგში, სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი გადაწყვეტილება, რომელიც უარს ამბობდა სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოების დაწყების თაობაზე წინამდებარე შემთხვევებთან დაკავშირებით, მიღებული იყო განმცხადებლის მშობლების მიერ საჩივრის შემოტანის დღეს. გადაწყვეტილება დაფუძნებული იყო პოლიციელებისა და იმ საავადმყოფოს ორი წარმომადგენლის განცხადებებზე, სადაც განმცხადებელი გადაიყვანეს 2002 წლის 17 იანვარს და ავადმყოფობის ისტორიას, რომელშიც ჩამოთვლილი იყო მისი დაზიანებები. სასამართლო ვერ ხსნის იმ გარემოებას, რომ გამომძიებელმა დაასრულა გამოძიება აღნიშნული დაზიანებების

გამომწვევი მიზეზების ახსნა-განმარტების მოძიების მცდელობის გარეშე ავადმყოფის ისტორიის მიუხედავად, რომელიც ადასტურებს ძალიან სერიოზულ დაზიანებებს განმცხადებლის სხეულზე. ასევე, გამომძიებელი ინფორმირებული იყო განმცხადებლის საავადმყოფოში გადაყვანასთან დაკავშირებით სტაციონარული მკურნალობისთვის. სასამართლო უფრო მეტად შეშფოთებულია იმით, რომ გამომძიებელმა ხელახლა გაიმეორა საავადმყოფოს პერსონალის განცხადებები, თითქოს არ დაუნახავთ განმცხადებლის სხეულზე არსებული ან ახალი დაზიანებები, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ განმცხადებელი დაზიანებების გამო გადაიყვანეს სტაციონარული მკურნალობისთვის. სასამართლო შეშფოთებულია მოწმის ჩვენების განმეორებითი გადახედვის შესახებ გამომძიებლის მიდგომით, განსაკუთრებით განმცხადებლის მოსაზრებების გათვალისწინებით, საიდანაც ირკვევა, რომ საავადმყოფოს პერსონალის ერთი განცხადებაც არ ყოფილა ზუსტად ასახული გამომძიებლის გადანყვეტილებაში.

103. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2002 წლის 5 თებერვლამდე არ ჩატარებულა საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება განმცხადებლის დაზიანებების რაოდენობასა და ხარისხთან დაკავშირებით. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სათანადო სამედიცინო შემოწმება არსებითი დაცვის მექანიზმია არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. სასამართლოს ექიმს უნდა ჰქონდეს ოფიციალური და დე-ფაქტო დამოუკიდებლობა, უნდა იყოს უზრუნველყოფილი სპეციალური ცოდნით და მინიჭებული უნდა ჰქონდეს ფართო უფლებამოსილება (იხ. *აკქოჩი თურქეთის წინააღმდეგ*, N22947/93 და N22948/93, § 55 და § 118, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2000-X). როდესაც ექიმი წერს ანგარიშს იმ პირის სამედიცინო შემოწმების შემდეგ, რომელიც დავობს, რომ აწამეს, მნიშვნელოვანია, ექიმმა დაადგინოს დაზიანებების შესაბამისობის ხარისხი. დასკვნა, რომელიც წამების ფაქტს ადასტურებს უნდა ეფუძნებოდეს შესაძლო დიფერენციალური დიაგნოსტიკის ანალიზს (დაზიანებები, რომლებიც არ უკავშირდება წამებას - მათ შორის, თვითდაზიანება და დაავადებები). სასამართლო არაა დარწმუნებული, რომ აღნიშნული განხორციელებულ იქნა არსებულ საქმეში. 2002 წლის 5 თებერვლის ანგარიშში ექსპერტმა არ მიუთითა განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ განმამტკიცებელ განცხადებებზე. მისი დასკვნები დაყვანილი იყო ძალიან ზოგად და ბუნდოვან დაკვირვებამდე, როგორცაა ობიექტის ბლაგვი ზედაპირი და მყარი სტრუქტურა, რითაც განმცხადებელი იყო ნაცემი. პირველი ექსპერტის ანგარიშის ხარვეზების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს იმას, რომ დამატებითი ექსპერტიზა არ განხორციელებულა 2003 წლის იანვრამდე, ანუ განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობიდან ერთი წლის განმავლობაში. სასამართლო დარწმუნებულია, რომ დამატებითი ექსპერტის მოსაზრების მოთხოვნის გაჭიანურებამ გამოიწვია ექსპერტების უუნარობა, მისულიყვნენ უტყუარ დასკვნამდე განმცხადებლის დაზიანებების საფუძველთან დაკავშირებით.

104. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ საგამოძიებო ორგანოებმა მტკიცებულების შეფასების შერჩევითი და გარკვეულწილად შეუსაბამო მიდგომა აირჩიეს. სასამართლოსთვის წარდგენილი გადანწყვეტილებიდან აშკარაა, რომ გამოძიებლებმა საკუთარი დასკვნები ძირითადად იმ პოლიციელების ჩვენებებზე დაამყარეს, რომლებიც აღნიშნულ ინციდენტში მონაწილეობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის ჩვენებიდან ამონარიდი გათვალისწინებული იყო გამოძიების დასრულების შესახებ გადანწყვეტილებაში, გამოძიებლებს არ მიუჩნევიათ აღნიშნული ჩვენება სანდოდ, რადგან ის პირად მოსაზრებას ასახავდა და განმცხადებლის მხრიდან ბრალდების შემცველ ტაქტიკას წარმოადგენდა. გამოძიებლები დაეთანხმნენ პოლიციელების ჩვენებების სანდოობას, მიუხედავად იმისა, რომ მათი განცხადებები წინააღმდეგობრივი იყო და აღნიშნული შეიძლებოდა ყოფილიყო თავდაცვის ტაქტიკა და განმცხადებლის სანდოობისათვის ზიანის მიყენებას ისახავდა მიზნად. სასამართლოს აზრით, ბრალდების მხარის მიერ განხორციელებულმა გამოძიებამ ჩვენებების შეფასებისას განსხვავებული სტანდარტები გამოიყენა: განმცხადებლის მიერ მიცემული ჩვენება ჩაითვალია სუბიექტურად მაშინ, როცა პოლიციელების მიერ მიცემული ჩვენება ასეთად არ იქნა მიჩნეული. ამ უკანასკნელის ჩვენებების სანდოობა ასევე სადავო უნდა იყოს, რადგან ბრალმდებლის მიერ განხორციელებული გამოძიება მიზნად ისახავდა დაედგინა, ეკისრებოდათ თუ არა პასუხისმგებლობა პოლიციელებს დისციპლინური გადაცდომის ან დანაშაულის ჩადენის ბრალდების საფუძველზე (იხ. *ოვნიანოვა და ჩობანი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N46317/99, §99, 2006 წლის 23 თებერვალი). უფრო მეტიც, სასამართლო უცნაურად მიიჩნევს იმას, რომ გამოძიებლებს არასოდეს გამოუძიებიათ, რატომ გახდა განმცხადებელი იძულებული, შეეცვალა თავისი 2002 წლის 8 ივნისის ჩვენება და მოგვიანებით გამოეთხოვა კიდევ თავისი საჩივარი არასათანადო მოპყრობის შესახებ. მათ ასევე არ უცდიათ უამრავი შეუსაბამობების აღმოფხვრა პოლიციელების განცხადებებში, დაწყებული განმცხადებლის სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერით, დამთავრებული მათი ვერსიით, თუ როგორ მიიღო განმცხადებელმა დაზიანებები.

105. სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოძიებელთა გადანწყვეტილებების უმრავლესობა არ ეყრდნობა მონმე პოლიციელების არც ერთ განცხადებას. სადავო შემთხვევიდან რამდენიმე წელი არ იყო გასული, რომ მათ განმცხადებლის თანამოპასუხე - ბატონი თ. დაკითხეს, რომელთანაც ამ უკანასკნელმა აღიარა, რომ თავისი საჩივრით არასათანადო მოპყრობის შესახებ, ცილი დასწამა პოლიციელებს. სასამართლო არ მიიჩნევს ამ განცხადებებს სანდოდ სადავო შემთხვევების ხანდაზმულობის გათვალისწინებით. სასამართლო ასევე ითვალისწინებს იმ მოწყვლად პოზიციას, რომელშიც აღმოჩნდა ბატონი თ. გამოძიებლების წინაშე ჩვენების მიცემისას იმის გათვალისწინებით, რომ იგი გრძელვადიან პატიმრობაში იყო.



106. განმცხადებლის არასათანადო მოპყრობის შესაძლო მონშეებთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ ვინაიდან საგამოძიებო ორგანოებს შეიძლებოდა არ ჰქონოდათ ინფორმაცია იმ პირების ვინაობის თაობაზე, რომლებმაც სავარაუდოდ დაინახეს განმცხადებელი პოლიციის განყოფილებაში ან შეესწრნენ მისი სავარაუდო ცემის ფაქტს, მათ საკუთარი ინიციატივით უნდა გადაედგათ ნაბიჯები შესაძლო თვითმხილველების იდენტიფიცირებისათვის. სასამართლო შეშფოთებულია გამომძიებელთა განსაკუთრებული სურვილით, გადამონშების გარეშე სარწმუნოდ მიეჩნიათ, განმცხადებლის დაზიანების ნებისმიერი ახსნა-განმარტება იმდენად, რამდენადაც იგი არ გულისხმობდა პოლიციელების ქმედებებს. სასამართლო კიდევ ერთხელ გაკვირვებულია იმ დასკვნით, რომლის თანახმად, განმცხადებელმა დაზიანებები ჩხუბში მიიღო და განმცხადებლის მიერ სხვა მესამე პირების წინააღმდეგ საჩივრების არარსებობის აღნიშვნით, გამომძიებელმა დაასრულა გამოძიება ყოველგვარი მტკიცებულების მოძიების გარეშე, რომ ჩხუბი რეალურად მოხდა. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საგამოძიებო ორგანოების მიერ დამადასტურებელი მტკიცებულების მოუძიებლობა და მათი მოკრძალებული დამოკიდებულება პოლიციელების მიმართ, გამოძიების სერიოზულ ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული (იხ. *აილინი თურქეთის წინააღმდეგ*, 1997 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1997-VI, § 106). სასამართლოს დასკვნა ამ შედეგთან დაკავშირებით განმტკიცებულია რაიონული სასამართლოს დასკვნებით, რომ გამომძიებლებმა ვერ შეასრულეს ბრძანებები, მოეძებნათ დამატებითი მტკიცებულება, რომელიც ნათელს მოჰყენდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

107. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის უფლება - ეფექტური მონაწილეობა მიიღოს გამოძიებაში, არ იყო დაცული. გამომძიებლების გადაწყვეტილებებიდან ირკვევა, რომ განმცხადებელს მხოლოდ მიაწიჭეს მონშის საპროცესო სტატუსი და ამგვარად წაართვეს მას უფრო ფართო უფლებები, რომელიც მას მსხვერპლის სტატუსით შეეძლო გამოეყენებინა (იხ. *ალექსანდრ სოკოლოვი რუსეთის წინააღმდეგ*, [N20364/05](#), § 59, 2010 წლის 4 ნოემბერი). განმცხადებლის ნათესავები, როგორც სწორედ იქნა აღნიშნული რაიონული სასამართლოს მიერ, დატოვეს სამართალწარმოების მიღმა, გამომძიებლების მიერ მათი დაკითხვის გაჭიანურებით. სასამართლო ასევე აღნიშნავს გამომძიებლების მიერ რამდენიმე შემთხვევაში გადაწყვეტილების განმცხადებლისთვის დროულად გადაცემის შეუსრულებლობას. ამიტომ, სახელისუფლებო ორგანოებს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა საქმის წარმოების პროცესის სერიოზული გადაცდომებისთვის, რომელიც გამონწვეულია მათ მიერ საქმის არასათანადო შესრულებით.

108. რუსეთის სახელისუფლებო ორგანოების ზემოაღნიშნული უმოქმედობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოძიება, რომელიც არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის საჩივართან დაკავშირებით 2002

წლის 16 და 17 თებერვალს განხორციელდა, არ იყო საფუძვლიანი, დროული, ადეკვატური ან ეფექტური. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი მისი საპროცესო ნაწილის თანახმად.

### III. კონვენციის მე-3 მუხლის საგარეულო დარღვევა 2003 წლის 14 და 15 თებერვლის შემთხვევებში

#### (ა) საგარეულო არასათანადო მოპყრობა

113. მხარეთა მოსაზრებებისა და მათ მიერ წარდგენილი ყველა მასალის გამოკვლევის შედეგად, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2003 წლის 14 თებერვალს განმცხადებელი დააპატიმრეს და წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც იგი პატიმრობაში იყო 2003 წლის 17 თებერვლამდე, როდესაც მას სისხლისსამართლებრივი ბრალდება წაეყენა. განმცხადებლის სამედიცინო შემოწმების შემდეგ, 2003 წლის 22 მარტს სამედიცინო ექსპერტმა გამოსცა ანგარიში, რომელშიც დათუქსირებული იყო რამდენიმე დალურჯება განმცხადებლის მკლავზე, მხრებზე, გულმკერდსა და ზურგზე და ორი დალურჯება ნიკაპსა და ლოყაზე.

114. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობა ეროვნული საგამოძიებო ორგანოების დასკვნებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ განმცხადებელმა დაზიანებები მიიღო დაპატიმრებისას, როდესაც მან წინააღმდეგობა გაუწია პოლიციელების კანონიერ ბრძანებას, უარი თქვა პოლიციის მანქანაში ჩაჯდომაზე და მიეჯახა მანქანას, როდესაც პოლიციელები ცდილობდნენ მის შეჩერებას. განმცხადებელმა წარადგინა 2003 წლის 14 და 15 აპრილის დეტალური აღწერილობა, სადაც ამტკიცებდა, რომ პოლიციელებმა სცემეს, სული შეუხუთეს და ელექტროშოკით აწამეს. სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ 2006 წლის თებერვალში გამომძიებელთან გასაუბრებისას, განმცხადებელმა მიუთითა კიბზე წაქცევაზე, როგორც დაზიანებების შესაძლო მიზეზზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ არც ერთი მხარე არ დავობდა შემთხვევის ამ ვერსიას, სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ მის გამოკვლევას.

115. სასამართლოს თვალსაზრისით, როდესაც საკითხთან დაკავშირებული სადავო მოვლენების შესახებ სრულად ან ნაწილობრივ ექსკლუზიურად ეცნობებათ ხელისუფლების წარმომადგენლებს, როგორც ეს ხდება პატიმრობაში მყოფ პირთა საქმეებთან მიმართებით, წარმოიშობა ფაქტის დასაბუთებული პრეზუმფცია იმ დაზიანებებთან დაკავშირებით, რომელიც მირებულია პატიმრობის დროს (იხ. *სალმანი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N21986/93, § 100, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო ECHR, 2000-VII). მისთვის წარდგენილი მტკიცებულების გათვალისწინებით, სასამართლო არაა დარწმუნებული, რომ განმცხადებელმა მიიღო ექსპერტის 2003 წლის 22 მარტის ანგარიშში ჩამოთვლილი დაზიანებები იმ გარემოებებში, რომლებიც მთავრობის მიერაა აღწერილი. ის

აღნიშნავს სერიოზულ ხარვეზებს, რაც ასუსტებს მთავრობის ვერსიას. სასამართლო უყურადღებოდ ვერ დატოვებს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი პოლიციაში სამი დღის განმავლობაში იყო პატიმრობაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, მისთვის დანაშაულის ჩადენაში ბრალის წაყენების გარეშე. ამ სამი დღის განმავლობაში მას არ შეეძლო ადვოკატის ნახვა და ოჯახის წევრებს არ აცნობეს მისი დაკავების შესახებ. განმცხადებლის დაკავების უჩვეულო გარემოებები, ასევე მთავრობის მიერ ნაწილობრივ აღიარება, რომ სამი დღის განმავლობაში დაკავების საფუძველები არასაკმარისი იყო, ამყარებს განმცხადებლის მტკიცებას, რომ იგი დაკავებულ იქნა ძალის გამოყენებით მისგან აღიარების მიღების მიზნით. სასამართლომ მისი თანმიმდევრული მიდგომის კიდევ ერთხელ გამეორებით, რომ აღიარებული ან თვითნებური დაკავების შემთხვევები, როგორც ეს მოხდა განმცხადებლის საქმეში, დაკავებულს განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის, სასამართლო მზადაა, დააკისროს სახელმწიფოს უფრო მძიმე მტკიცების ტვირთი, რათა მან წარადგინოს მტკიცებულება, რომ უარყოს დაკავების განმავლობაში ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევის, განსაკუთრებით კი არაადამიანური მოპყრობის შესახებ სასამართლო განცხადებებში არსებული ეჭვი. იგი არ მიიჩნევს, რომ მთავრობამ დააკმაყოფილა ასეთი მტკიცების ტვირთი არსებულ საქმეში.

116. უპირველესად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ განმცხადებელს სამედიცინო შემოწმება ან გამოკვლევა დაპატიმრების შემდეგ არ ჩატარებია, რაც გაკვირვებას იწვევს, მით უფრო, რომ მთავრობის მტკიცებით განმცხადებელმა დაპატიმრებისას წინააღმდეგობა გაწია, რის შემდეგაც მიაღვა დაზიანებები. მხოლოდ 2003 წლის 18 თებერვალს, ანუ დაპატიმრებიდან ოთხი დღის შემდეგ, როდესაც განმცხადებელს საშუალება მიეცა ენახა საკუთარი ადვოკატი, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამედიცინო შემოწმების ჩატარების თაობაზე. სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან თავის შეკავება - შემოწმებინათ განმცხადებელი დაუყოვნებლივ მისი პოლიციის განყოფილებაში მიყვანისთანავე, წარმოადგენს დამატებით არგუმენტს მოვლენების შესახებ მისი ვერსიის გასამყარებლად. ასევე იკვეთება, რომ კიდევ ერთ დაყოვნებას ჰქონდა ადგილი სამედიცინო შემოწმების ავტორიზაციასა და მის ჩატარებას შორის. ამასთან დაკავშირებით სასამართლოს გარკვეული ეჭვები აქვს განმცხადებლის დაზიანებების თაობაზე 2003 წლის 22 მარტს ექსპერტის მიერ მომზადებული ანგარიშის ხარისხთან დაკავშირებით. სასამართლო მიუთითებს ანგარიშის გამოუსწორებელ ნაკლებზე, რომელიც შეუძლებელს ხდის, რომ უტყუარობის საკმარისი ხარისხით დადგინდეს განმცხადებლის სამედიცინო შემოწმების თარიღი და დაადასტუროს ან უარყოს მისი განცხადებები ორი დღის მანძილზე პოლიციის განყოფილებაში არასათანადო მოპყრობის შესახებ.

117. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ არც ერთ თვითმხილველს, რომელიც განმცხადებლის დაკავებას ესწრებოდა, არ მიუცია ჩვენება, რომ მან

პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია. ფაქტობრივად, პოლიციელების ვერსია წინააღმდეგობაშია ორი მოწმის, ბატონი თ-ს და ქალბატონი ფ-ს მიერ მოვლენების აღწერასთან. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ყურადღებას აქცევს ორი მოწმის კავშირს განმცხადებელთან, მათი ჩვენების დეტალური ხასიათი, ასევე ის ფაქტი, რომ ისინი იმეორებდნენ თავიანთ ჩვენებას მთლიანი გამოძიების ფარგლებში, იძლევა კონკრეტული ეჭვის გაფანტვის შესაძლებლობას მათ განცხადებებთან დაკავშირებით. განმცხადებლის თანმიმდევრული ჩვენება მისი დაზიანებების ხასიათისა და წარმომავლობის შესახებ სასამართლოსთვის ჯერჯერობით არის ის საფუძველი, რომ არ დააკმაყოფილოს მოვლენების შესახებ მთავრობის ვერსია, როგორც არადაზარალებელი. ის ერთადერთი ეპიზოდი, როდესაც განმცხადებელმა შეცვალა თავისი განცხადება და სცადა თავისი საჩივრის უკან გამოთხოვა 2006 წლის თებერვალში, არ ცვლის აღნიშნულ დასკვნას. სასამართლო არაა მზად, განმარტოს განმცხადებლის ქცევა სხვაგვარად, გარდა იმისა, რომ მას ჰქონდა იმედგაცრუება არასათანადო მოპყრობის შესახებ მის საჩივართან დაკავშირებით სახელისუფლებო ორგანოების ზედაპირული და დაგვიანებული რეაგირების გამო.

118. საბოლოოდ, 2003 წლის 22 მარტს შედგენილი ხარვეზიანი საექსპერტო ანგარიშის მიუხედავად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ არც ერთი მხარე არ დავობს იმის თაობაზე, რომ ექსპერტმა არ აღრიცხა გარკვეული დაზიანებები, ან არასწორად ჩაწერა მათი მდებარეობა (განმცხადებლის სხეულზე). მიუხედავად იმისა, რომ დაზიანებების ხასიათი ეჭვქვეშ აყენებს პოლიციელების მიერ სავარაუდოდ გამოყენებული „წამების“ ზოგიერთი ხერხის შესახებ განმცხადებლის აღწერილობას, მათი მდებარეობა, განსაკუთრებით ის ფაქტი, რომ დაზიანებები აღმოჩენილია ზურგზე, მხრებზე და მკლავებზე, ამყარებს განმცხადებლის განცხადებას, რომ იგი იწვა იატაკზე, ხელები ხელბორკილით ჰქონდა შეკრული და ზურგზე დადებული, ერთი პოლიციელი მის ზურგზე იჯდა და მეორე პოლიციელი კი სცემდა და წიხლებს ურტყამდა.

119. ასეთ შემთხვევებში სასამართლო მიიჩნევს, რომ მისთვის წარდგენილი მასალა საკმარისი მტკიცებულებაა განმცხადებლის ვერსიის დასამტკიცებლად და გონივრულ ეჭვს მიღმა მიიჩნევს, რომ მას პოლიციელები 2003 წლის 14 და 15 თებერვალს არასათანადოდ მოექცნენ. სასამართლო ვერ ხედავს განმცხადებლის წინააღმდეგ ძალის გამოყენების აუცილებლობას. ძალადობა, რომელსაც პოლიციელებმა განზრახ მიმართეს, განმცხადებლის შეშინებას, დამცირებასა და მისი ფიზიკური ან მორალური წინააღმდეგობის შესუსტებას ისახავდა მიზნად. გარდა ამისა, განმცხადებლის დაზიანებების რაოდენობისა და ხარისხის შეფასებისას, იმ მოპყრობას - როდესაც ის სცემეს, ძლიერი ფსიქიკური და ფიზიკური ტანჯვა უნდა გამოეწვია.



120. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან 2003 წლის 14 და 15 თებერვალს რუსეთის სახელისუფლებო ორგანოები განმცხადებელს არაადამიანურად მოეპყრნენ და აღნიშნული დებულება დაარღვიეს.

#### (ბ) გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობა

121. სასამართლო მიიჩნევს, რომ სამედიცინო მტკიცებულება, არასათანადო მოპყრობის შესახებ განმცხადებლის საჩივარი და ის ფაქტი, რომ იგი მანამდე დავობდა პოლიციელების მხრიდან შეურაცხყოფაზე, წარმოშობს გონივრულ ეჭვს, რომ იგი შეიძლება კვლავ ყოფილიყო პოლიციის სისასტიკის მსხვერპლი. ამიტომ განმცხადებლის საჩივარი ამ საკითხთან დაკავშირებით „სადავოა“. სახელისუფლებო ორგანოებს ჰქონდათ ვალდებულება, განეხორციელებინათ ეფექტური გამოძიება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, როდესაც განმცხადებელმა დაზიანებები მიიღო (იხ. *კრასტანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N50222/99, § 58, 2004 წლის 30 სექტემბერი).

122. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2003 წლის 14 და 15 თებერვლის მოვლენების გამოძიება ისეთივე ხარვეზებით ხასიათდებოდა, როგორი ხარვეზების იდენტიფიცირებაც სასამართლომ 2002 წლის 16 და 17 თებერვალს მოახდინა პოლიციის სისასტიკის შესახებ განმცხადებლის განცხადებების გამოძიებისას. 2003 წლის 18 თებერვალს განმცხადებლის საჩივრის შეტანის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება, საგამოძიებო ორგანოებს სამ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ჰქონდათ შესაძლებლობა დაეწყოთ და დაესრულებინათ გამოძიება, საბოლოო გადაწყვეტილება კი 2006 წლის 5 მაისს მიიღეს. საქმის წარმოება შეწყდა და ოთხჯერ განახლდა, რადგან გამოძიება არასრულად და არაადეკვატურად ჩაითვადა. სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ საქმის განმეორებით განხილვას შემდგომი გამოძიებისთვის შეუძლია, გამოამუღავნოს შიდა საბრალდებო სისტემის ნაკლოვანებები (იხ. *ფილატოვი რუსეთის წინააღმდეგ*, N22485/05, § 50, 2011 წლის 8 ნოემბერი; *გლადიშევი რუსეთის წინააღმდეგ*, N2807/04, § 62, 2009 წლის 30 ივლისი და *ალიბეკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, N8413/02, § 61, 2009 წლის 14 მაისი). გამომძიებლებმა დიდი მონდომებით დაასრულეს საქმის წარმოება მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა უარი თქვა თავის საჩივარზე არასათანადო მოპყრობის შესახებ ისე, რომ არ გამოიძიეს განმცხადებლის პირადი მოტივი ან არ დაადგინეს, იყო თუ არა მისი ეს გადაწყვეტილება ნებაყოფლობითი. ასეთმა ნაკლოვანებებმა და ორგანოების მხრიდან გულგრილმა დამოკიდებულებამ, სასამართლოს აზრით, გამოიწვია მნიშვნელოვანი (ძვირფასი) დროის დაკარგვა და გაართულა განმცხადებლის განცხადებების გამოძიება (იხ. *აბლიაშოვი რუსეთის წინააღმდეგ*, N22867/05, § 58, 2012 წლის 30 ოქტომბერი).

123. წლების მანძილზე გამომძიებლები ამყარებდნენ საკუთარ გადანყვეტილებებს განსაკუთრებით პოლიციელების განცხადებებზე, მათი ჩვენებების სანდოობის ეჭვქვეშ დაყენების გარეშე, რათა გამოეკვლიათ შეუსაბამობები მათ განცხადებებში და მოეძებნათ ინფორმაციის სხვა დამოუკიდებელი წყარო, რომელიც მხარს დაუჭერდა ან უარყოფდა მოვლენების შესახებ მათ ვერსიას. მაშინაც კი, როდესაც საბოლოოდ განცხადებები იქნა მიღებული ორი მონშისგან - განმცხადებლის თანამგზავრებისგან, გამომძიებელმა გამოიყენა განსხვავებული დამოკიდებულება მათი სიზუსტისა და სანდოობის შეფასებისადმი, რომელთაგანაც ერთ-ერთი გამოიყენეს პოლიციელების განცხადებათა შეფასებისას. თუმცა სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ მონშის ჩვენების დამამტკიცებელი მნიშვნელობა არ უნდა იქნეს ავტომატურად წარდგენილი ან გასაჩივრებული მონშის სახელმწიფო ორგანოებთან, ან ეჭვმიტანილთან, ან მსხვერპლთან კავშირის გათვალისწინებით. უფრო მეტიც, სასამართლოს აუხსნელად მიაჩნია ის, რომ გამომძიებლებმა არ დაკითხეს დანარჩენი მგზავრები, ვინც განმცხადებლის მანქანაში იყვნენ ან არ სცადეს მოეძებნათ სადავო მოვლენის ნებისმიერი სხვა თვითმხილველი.

124. სასამართლო უკმაყოფილოა სამედიცინო ექსპერტის მტკიცებულების ხარისხით, რომელიც შეგროვებული იყო სამართალწარმოების პროცესში. სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებლებმა გასცეს ბრძანება განმცხადებლის სამედიცინო შემოწმების შესახებ 2003 წლის თებერვალში და შემდეგ გაესაუბრნენ ექსპერტს, რომელმაც ანგარიში შეადგინა, უყურადღებოდ არ ტოვებს იმ ფაქტს, რომ მათ არასოდეს მოუთხოვიათ ექსპერტისთვის, მოეხდინა განმცხადებლის დაზიანებების გამომწვევი მიზეზის იდენტიფიცირება. მაშინ, როცა ისინი იძიებდნენ, შეიძლებოდა თუ არა მიეღო განმცხადებელს დაზიანებები პოლიციის მანქანასთან შეჯახების შედეგად. გამომძიებლებს არ უკითხავთ ექსპერტისთვის, მსგავსი დაზიანებების მიღება შეიძლებოდა, თუ არა იმ გარემოებებში, რომლებსაც განმცხადებელი აღწერდა. ამიტომ სასამართლო ადგენს, რომ გამომძიებელთა ძალისხმევა მიმართული იყო უფრო მეტად განმცხადებლის საჩივრის უარყოფაზე ნაჩქარევი და ფორმალური (ზერელე) გზით, ვიდრე მისი განცხადებების შინაარსის საფუძვლიან შემოწმებაზე.

125. არ შეიძლება სასამართლომ უყურადღებოდ დატოვოს განმცხადებლის შეზღუდული მონაწილეობა გამოძიებაში და გამომძიებლების მცდელობები, არ ჩაერთო განმცხადებელი და მისი ადვოკატი საქმის წარმოებაში მათთვის გადანყვეტილების გადაცემის დაგვიანებით ან საქმის დოკუმენტაციაზე წვდომაზე უკანონოდ უარის თქმით. შესაბამისად, არ შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებლის უფლება, ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა გამოძიებაში, დაცული იყო (იხ. *დენის ვასილიევი რუსეთის წინააღმდეგ*, N32704/04, § 126, 2009 წლის 17 დეკემბერი).

126. ამგვარად, სასამართლო მიიჩნევს, რომ გამომძიებლის ინერტულობამ და ყოყმანმა, მოეძებნას დამადასტურებელი მტკიცებულება, ხელს უშლის 2003 წლის 14 და 15 თებერვლის მოვლენების სწორი, სანდო და ზუსტი ჩანაწერის შექმნას.

127. ზემოთ იდენტიფიცირებული ხარვეზების გათვალისწინებით, სასამართლო აღგენს, რომ სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ შეასრულეს დროული, საფუძვლიანი და ეფექტური გამოძიების მოთხოვნები (იხ. *ქიშმირი თურქეთს წინააღმდეგ*, N27306/95, § 117, 2005 წლის 31 მაისი; *ანგელოვა და ილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N55523/00, § 103, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2007-IX და *ვლადიმერ ფედოროვი*, § 70). შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი მისი საპროცესო ნაწილის თანახმად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისობის თაობაზე სისხლის სამართლის საქმისწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, როდესაც ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ ვერ გამოიტანა ვერდიქტი ორი მიზეზით: დადგინდა დარღვევა.

**საქმე „ჰენვორთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“**

**CASE OF HENWORTH v. THE UNITED KINGDOM**

**განაცხადი N515/02**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2004 წლის 2 ნოემბერი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელი, ფრენკ ჰენვორთი ბრიტანეთის მოქალაქეა. მოცემულ დროს, ის სასჯელს იხდის მუდმივი პატიმრობის ვერდიქტით გაერთიანებულ სამეფოში. მისი განაცხადი, რომელიც ეფუძნება მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, შეეხება მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის ხანგრძლივობას, რომელიც ექვს წელს გაგრძელდა და დასრულდა მკვლელობის ჩადენისთვის ვერდიქტის გამოტანით. სასამართლომ ერთპიროვნულად დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

### **სამართალი**

#### **კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა**

16. განმცხადებლის განაცხადი შეეხება სასამართლო პროცესის ხანგრძლივობას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით. განსახილველი საქმის ნაწილში მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მდგომარეობს შემდეგში:

„...წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... საქმის... განხილვის უფლება ... გონივრულ ვადაში ... სასამართლოს მიერ...“

#### **სასამართლოს შეფასება**

24. სასამართლო შეგვახსენებს, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის ვითარებიდან გამომდინარე და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გათვალისწინებული კრიტერიუმები, კერძოდ საქმის კომპლექსურობა, განმცხადებლის და შესაბამისი



ორგანოების მოქმედება და რა რისკების წინაშე შეიძლება დადგეს განმცხადებელი სადავო საქმეში სამართალწარმოებისას.

25. ეჭვგარეშეა, რომ სისხლისსამართლებრივი დანაშაული და სამუდამო პატიმრობის ვერდიქტი, განმცხადებლისთვის მნიშვნელოვანი როლის მატარებელია.

26. რაც შეეხება სამართალწარმოების კომპლექსურობას, ხელისუფლებამ მიუთითა არაერთ მონმეზე, ბრალის სერიოზულობასა და მკვლელობის სისასტიკეზე, როგორც კომპლექსურობის მაჩვენებელზე. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ საქმეს თან ახლდა გარკვეული სირთულეები. მართალია განმცხადებელმა აღიარა, რომ ბრალდების სიმძიმე მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ სამართალწარმოება მკვლელობის საქმეზე შედარებით მარტივი იყო.

27. ხელისუფლება ასევე ეყრდნობოდა პროცესუალურ კონტექსტს, რამდენადაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ დიდი ალბათობით პროფესიონალ მოსამართლეთა შემადგენლობა უფრო დაეთანხმებოდა, ვიდრე ნაფიცი მსაჯულთა შემადგენლობა. მათ ვერ დაასაბუთეს ეს მტკიცება, თუმცა აღნიშნული არ ათავისუფლებდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობისაგან თავისი სასამართლო სისტემა ისე მოეწყობა, რომ უზრუნველყოფილიყო მისი შესაბამისობა კონვენციასთან, როგორც ეს განმცხადებელმა აღნიშნა.

28. სასამართლო მიიჩნევს, რომ პერიოდი განმცხადებლის პირველი ბრალდებიდან - 1996 წლის ივლისიდან 1998 წლის თებერვლის სააპელაციო გადაწყვეტილებამდე - რომელიც დაახლოებით 19 თვეს შეადგენს, ზედმეტად ხანგრძლივია რაიმე კონკრეტული ახსნა-განმარტების არარსებობის პირობებში. მთავრობამ ვერ წარმოადგინა რეალური ახსნა-განმარტება საქმის გაჭიანურებასთან დაკავშირებით. გარდა იმისა, რომ გაჭიანურება განმცხადებლის მიერ სააპელაციო განაცხადის ორი თვის დაგვიანებით შეტანით აიხსნებოდა. თუმცა, აღნიშნულის გარდა მაინც არსებობს 17-თვიანი გაუთვალისწინებელი პერიოდი.

29. შესაძლოა არ ყოფილიყო სადავო ის ხუთ თვიანი პერიოდი, 1998 წლის თებერვალიდან როდესაც გაუქმდა ბრალდება 1998 წლის ივლისამდე, განმცხადებლის პირველ განმეორებით სასამართლო პროცესამდე, მაგრამ ამის შემდგომ იყო 12-თვიანი შეფერხება საქმის ხელახალ გადასინჯვამდე, რომელიც პრობლემის უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა. ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ ექვსთვიანი შეფერხება, 1999 წლის იანვარსა და ივლისს შორის განმცხადებლის ადვოკატის არყოფნით აიხსნებოდა. თუმცა განმცხადებელი აცხადებდა, რომ აღნიშნულ საკითხს იგი ვერ გააკონტროლებდა, მაგრამ აღნიშნული მიზეზით საქმის გაჭიანურება მაინც განმცხადებელს უნდა მიენეროს და არა მოპასუხე სახელმწიფოს. დარჩენილი ექვსთვიანი პერიოდი, რომელიც სახელმწიფოს მიზეზით გაჭიანურდა, თავისთავად არ წარმოადგენდა ზედმეტად ხანგრძლივ დროს. ასევე, ხანმოკლე გაჭიანურება წარუმატებელ საქმის გადასინჯვასა და საბოლოო სასამართლო პროცესს შორის განმცხადებელს მიენერებოდა. როგორც ჩანს, ის 16-თვიანი პერიოდიც განმცხადებლის 1999 წლის სექტემბრის განაჩენიდან 2001 წლის იანვრის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, ზედმეტად ხანგრძლივი არ იყო. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს იმ დროისათვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა სამართალწარმოება განსაკუთრებული სიფრთხილით წარემართა. განმცხადებელი არა

მართო პატიმრობაში იმყოფებოდა, არამედ სამეფო სასამართლომ გადაწყვიტა საქმის გადასინჯვა და ამგვარ ვითარებაში, ხელისუფლებისთვის ვალდებულებას წარმოადგენდა ნებისმიერი საქმის გაჭიანურების მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველყოფა. სიმართლეს შეესაბამება ის ფაქტი, რომ არსებობდა საზოგადოებრივი ინტერესი, თუ როგორ გადაწყვეტდა საქმეს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა, წაუყენებდნენ თუ არა ბრალს განმცხადებელს, ასევე დაინტერესება იყო სათანადო მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით როცა სერიოზული დანაშაული იყო ჩადენილი. თუმცა, ეს არ ამცირებს სამართალწარმოებისას განსაკუთრებული ძალისხმევის გამოჩენის საჭიროებას.

30. მხარეები ამჯერად თანხმდებიან, რომ განმცხადებელმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 1999 წლის 29 ოქტომბერს, მსჯავრის დადებიდან და დამნაშავედ ცნობიდან ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ. თუმცა, 2001 წლის 19 იანვრამდე სააპელაციო სასამართლომ შეაჩერა მისი განხილვა 14 თვის და 20 დღის ვადით. სამართალწარმოების დასკვნით პერიოდში, რომელიც ლორდთა პალატაში წარიმართა, გაუმართლებელ გაჭიანურებას ადგილი არ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დაახლოებით ერთთვიან პერიოდს, რომელიც განმცხადებელს მიენერებოდა.

31. ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს უმოქმედობის განსაკუთრებულად ხანგრძლივი პერიოდი, არსებობს არაერთი გაჭიანურება, რომელიც საქმის გადასინჯვასთან ერთად აღებული, 1998 წლის ივლისის შემდეგ, ნათლად გვაჩვენებს, რომ სამართალწარმოება საჭირო ტემპით არ წარიმართა და ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნა გონივრულ ვადასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება დაპატიმრების დროს არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და ძალის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

განმცხადებლის დაპატიმრების დროს გამოყენებული ძალა, რამაც გამოიწვია მისი მუხლის დაზიანება, იყო გადამეტებული: დარღვევა.

## საქმე „ნეკდეტ ბულუტი თურქეთის წინააღმდეგ“

CASE OF NECDET BULUT v. TURKEY

განაცხადი N [77092/01](#)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 20 ნოემბერი

### ფაქტობრივი გარემოებები

#### I. საქმის გარემოებები

6. 2000 წლის 15 ივლისს, დილით ადრე, განმცხადებელი დაიჭრა დაპატიმრების დროს სროლის შედეგად. მას მოხვდა ერთი ტყვია მარცხენა ფეხის ქვედა ნაწილში. ის იყო თეექვსმეტი წლის.

7. ანგარიში მომზადდა იმავე დღეს, დილის 4.30 საათზე, პოლიციის ოფიცრების მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ ინციდენტში. მას ხელი მოაწერა ყველა ეჭვმიტანილმა, გარდა განმცხადებლისა, რომელიც წაიყვანეს საავადმყოფოში. ანგარიშის მიხედვით, დაახლოებით დილის 2.30 საათზე პოლიციის ოფიცრებმა მიიღეს ინფორმაცია პოლიციის მთავარი განყოფილებიდან იმის შესახებ, რომ ნიღბიანი პირები შემჩნეულნი იყვნენ კედლების მოხატვისა და მანქანების დაზიანების ფაქტზე ტუფანის ქუჩაზე, კარტალის რაიონში. შემთხვევის ადგილზე მისვლისას, პოლიციის ოფიცრებმა დაინახეს უხამსი ხასიათის ნახატები კედლებზე. ამ მომენტში, ვილასამ დაიწყო სროლა მათი მიმართულებით, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდებარე შესახვევიდან. პოლიციის ოფიცრები და პოლიციის გაძლიერებული შემადგენლობა, რომლებიც მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, ახორციელებდნენ ეჭვმიტანილთა დევნის ოპერაციას დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში. ბოლოს ეჭვმიტანილები კუთხეში მოაქციეს, სპორის ქუჩის N6-თან მდებარე ცარიელ სამშენებლო მოედანზე. მიუხედავად ბრძანებისა დანებების შესახებ, ეჭვმიტანილები აგრძელებდნენ სროლას, სანამ შევიდოდნენ კარავში. შეტაკების შედეგად დაიჭრა განმცხადებელი, რომელიც დაუყოვნებლივ გადაიყვანეს სამკურნალოდ კარტალის კლინიკაში. დანარჩენი ეჭვმიტანილები წინააღმდეგობას უწევდნენ პოლიციელებს დაპატიმრების დროს. ინციდენტის

შესახებ გაკეთებულ ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ კარავში პოლიციის ოფიცრებმა იპოვეს ნიღბები, ყალბი საბუთები, დანები და შესასხურებელი საღებავები. მასში აგრეთვე ნათქვამია, რომ განმცხადებელს აღმოაჩნდა ყალბი ცეცხლსასროლი იარაღი (სათამაშო პისტოლეტი, რომელიც გამოსცემს გასროლის მსგავს ხმას და ბოლს უშვებს სასხლეტის გამონევისას).

8. 2000 წლის 15-17 ივლისს განმცხადებელი მკურნალობდა კარტალის სახელმწიფო კლინიკაში. 2000 წლის 17 ივლისის სამედიცინო დასკვნის მიხედვით, განმცხადებელს აღენიშნებოდა მცირე წვივის ძვლის მოტეხილობა (წვრილი ძვალი, რომელიც მდებარეობს ფეხის ქვედა ნაწილის გარეთა მხრიდან). ტყვიის ტრაექტორიის მიხედვით დადგინდა, რომ ტყვია ფეხის უკანა მხრიდან შევიდა და გამოვიდა წინა მხრიდან.

9. 2000 წლის 17 ივლისს, განმცხადებლის გასინჯვის შემდეგ, ექიმმა აღნიშნა, რომ პიროვნებას არ აღმოაჩნდა სასტიკი მოპყრობის ფიზიკური ნიშნები, გარდა ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობისა.

10. 2000 წლის 16 ივლისს სტამბოლის კრიმინალური პოლიციის ლაბორატორიაში ჩატარდა ყალბი ცეცხლსასროლი იარაღისა და რვა ვაზნის ბალისტიკური ექსპერტიზა. ექსპერტების თქმით, 99 მილიმეტრიანი, ნახევრად ავტომატური ყალბი ცეცხლსასროლი იარაღი ისროდა ვაზნის კავსულებს და ვაზნები შეესაბამებოდა იარაღს. თუმცა მათ აღნიშნეს, რომ გადაკეთების შედეგად, იარაღს შეეძლო ნამდვილი ვაზნებით სროლა. ასევე განაცხადეს, რომ აღნიშნული ყალბი იარაღი არ განსხვავდებოდა ნამდვილი იარაღისაგან როგორც თავისი ზომით, ისე მექანიკურით სტრუქტურით და ერთი შეხედვით შეუძლებელი იყო მისი გარჩევა ნამდვილისაგან მათთვისაც კი, ვინც ცეცხლსასროლ იარაღში ერკვეოდა.

11. 2000 წლის 17 ივლისს სტამბოლის კრიმინალური პოლიციის ლაბორატორიაში სასამართლო ექსპერტებმა ჩაუტარეს ექსპერტიზა ნიმუშებს, რომლებიც აღებული იყო განმცხადებლისა და სხვა ეჭვმიტანილების ხელებიდან და ხელის გულებიდან. მათ არ აღმოაჩინეს დენტის კვალი, თუმცა აღნიშნეს, რომ ზოგ შემთხვევაში ხელიდან და ხელის გულიდან აღებულ ნიმუშებში შესაძლოა არ აღმოჩნდეს დენტის კვალი, ეს დამოკიდებულია იარაღისა და დენტის ტიპზე, იმაზე თუ როგორ იყო იარაღი გამოყენებული და ჰქონდათ თუ არა ეჭვმიტანილებს ხელები დაბანილი.

12. იმავე დღეს, სტამბოლის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოში პროკურორმა მოისმინა განმცხადებლის ჩვენება, რომელმაც უარყო ის, რომ იცნობდა დანარჩენ ეჭვმიტანილებს და მონაწილეობდა კედლებზე უხამსი ნახატების გაკეთებაში. მისი განცხადებით, გაიქცა იმიტომ, რომ შეეშინდა, როცა გაიგო სროლის ხმა. განმცხადებლის თქმით, პოლიციის ოფიცრებმა დაიჭირეს და სცემეს, მისი თქმით, პოლიციელები მას აქეთ-იქით ისვროდნენ.



13. ამავე დროს, სტამბოლის სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ მოისმინა ექვმიტანილების ჩვენებები, რომლებიც დააპატიმრეს განმცხადებელთან ერთად. თანაბრადღებულებმა - ბ-ნმა ა.უ-მ და ბ-ნმა მ.ბ-მ, რომელთა მოსმენა მოხდა 2000 წლის 15 ივლისს და ბ-ნმა დ. ს. ა-მ, რომლის მოსმენა მოხდა 2000 წლის 18 ივლისს, აღიარეს, რომ გამოსახეს უხამსი ხასიათის ნახატები კედლებზე. მათი მტკიცებით, არც ერთ მათგანს არ უსვრია პოლიციის ოფიცრებისთვის, მათ შორის, არც განმცხადებელს. გარდა ამისა, მათი ვარაუდით, განმცხადებელი დაიჭრა იმის შემდეგ, რაც ყველანი გამოიყვანეს კარვიდან და მინაზე დაანვინეს. ზოგმა ბრალდებულმა მიუთითა იმ ფაქტზე, რომ გაიგონეს სროლის ხმა მახლობლად მიმდინარე ქორწილიდან.

14. დაუდგენელ დღეს, კარტალის პროკურორმა დაიწყო აღნიშნული ინციდენტის გამოძიება. 2001 წლის 23 მარტს მან მიიღო გადაწყვეტილება, არ ეწარმოებინა სასამართლო წესით დევნა ინციდენტში მონაწილე რვა პოლიციის ოფიცრის მიმართ, იმ საფუძველით, რომ არ არსებობდა მათ მიერ ექვმიტანილთა მიმართ დაპატიმრების დროს სასტიკი მოპყრობის მტკიცებულება, როგორც ამას ექვმიტანილები აცხადებდნენ. პროკურორმა მიიჩნია, რომ მომჩივანი დაიჭრა პოლიციის ოფიცერთა და ექვმიტანილთა შორის შეტაკების შედეგად იმის შემდეგ, რაც პოლიციის მოთხოვნას დანებების შესახებ მოჰყვა კარვიდან სროლა. 2001 წლის 17 მაისს კადიკოსის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის პროტესტი გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

## 2. სასამართლოს შეფასება

23. სასამართლომ დაადასტურა, რომ მე-3 მუხლი არ კრძალავს ძალის გამოყენებას მკათიოდ განსაზღვრულ ვითარებაში, მაგ., დაპატიმრებისას. თუმცა ასეთი ძალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და არ უნდა იყოს გადამეტებული (იხ. *ივან ვასილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ* N48130/99, § 63, 12 აპრილი, 2007 წ.; *რეჰბოკი სლოვენის წინააღმდეგ*, N29462/95, §§ 68-78, ECHR, *კრასტანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N50222/99, §§ 52 და 53, 30 სექტემბერი, 2004 წ. და *გიუნაიღინი თურქეთის წინააღმდეგ*, N27526/95, §§ 30-32, 13 ოქტომბერი, 2005 წ.).

24. აღნიშნულ შემთხვევაში განმცხადებელი ერთი გასროლით მარცხენა მუხლში დაიჭრა. სასამართლო მოცემულ დაზიანებას მიიჩნევს საკმაოდ სერიოზულად იმისთვის, რომ ის მიესადაგოს მე-3 მუხლს. უდავოა ის ფაქტი, რომ განმცხადებელი დაიჭრა პოლიციის ოფიცრების მიერ ძალის გამოყენების შედეგად, მათი მოვალეობის შესრულების დროს, კერძოდ, დაპატიმრებისას. თუმცა მხარეებმა წარმოადგინეს განსხვავებული ვერსიები - სინამდვილეში როგორ მიიღო განმცხადებელმა აღნიშნული დაზიანება.

25. დასაწყისში სასამართლომ ვერ უგულებელყო ის ფაქტი, რომ პოლიცია გამოიძახეს ინციდენტის ადგილზე წინასწარი მომზადების გარეშე (იხ. საპირისპიროდ, *რეჰბოკი სლოვენის წინააღმდეგ*, N29462/95, § 72, ECHR, 2000-XII). შემდგომში სასამართლომ აღნიშნა, რომ ინციდენტი მოხდა გვიან ღამით საცხოვრებელ რაიონში, სადაც გაიგეს სროლის ხმა. გარდა ამისა, ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, მომჩივანს აღმოაჩნდა ყალბი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც შეეძლო შეეჭმნა შთაბეჭდილება, თითქოს მას ნამდვილი იარაღი ეკავა. თუმცა სასამართლომ არ დატოვა უყურადღებოდ ის ფაქტი, რომ პოლიციის ოფიცრები, რომელთა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა ეჭვმიტანილთა რიცხვს, ერთი საათის განმავლობაში დევნიდნენ ეჭვმიტანილებს, სანამ არ მოიმწყვდიეს ისინი განმცხადებელთან ერთად კარავში, სადაც ეს უკანასკნელი დაჭრეს და დააპატიმრეს. ამგვარად, უსაფრთხოების ძალებს შეეძლოთ ვითარების სათანადოდ შეფასება და თავიანთი მოქმედებების შესაბამისად ორგანიზება და კოორდინირება. იმის გათვალისწინებით, თუ რა ტიპის ძალა იქნა გამოყენებული, კერძოდ, ცეცხლსასროლი იარაღი, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ეკისრება დამატებითი არგუმენტების წარდგენის ვალდებულება, რომ ძალის გამოყენება, რის შედეგადაც დაიჭრა განმცხადებელი, არ იყო გადამეტებული (იხ. *მატკო სლოვენის წინააღმდეგ*, N 43393/98, §104, 2 ნოემბერი, 2006 წ. და *გელილოვ საბერძნეთის წინააღმდეგ* N 17060/03, § 47, 24 მაისი, 2007 წ.).

26. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, სახელმწიფომ მხოლოდ განაცხადა, რომ პოლიციის ოფიცრებმა მას შემდეგ გახსნეს ცეცხლი, რაც განმცხადებელმა ესროლა მათ, არ წარმოადგინეს არანაირი განმარტება ან დოკუმენტი, რომელიც ნათელს მოჰქვენდა არსებულ ვითარებას განმცხადებლის დაპატიმრებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებში არ არის ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ ჩატარდა პოლიციის ოპერაცია. მაგალითად, არ ჩანს, როგორ დაიჭრა მომჩივანი - ორმხრივი სროლის დროს თუ იმ პოლიციის ოფიცრის მიერ, რომელმაც ეს ბრძანება მიიღო და მიზანში ამოიღო იგი. არ არის ინფორმაცია იმის შესახებ, რამდენჯერ ისროლეს მხარეებმა, საქმის მასალები არც იმას მიუთითებს, მოხდა თუ არა გასროლა ყალბი იარაღიდან, რომელიც განმცხადებელს უპოვეს და იყო თუ არა ადგილზე ნაპოვნი ცარიელი ვაზნები. ბოლოს, სასამართლო საყურადღებოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი არ იდგა პოლიციის ოფიცრების პირისპირ, როდესაც მას ესროლეს. შესაბამისად, ვერ შეძლებდა პოლიციელების მიმართულებით სროლას, განსაკუთრებით იმ მომენტში, რომელიც მითითებულია მთავრობის მიერ. ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა სარწმუნო ან დამატებითი არგუმენტები, რომლებიც გაამართლებდა განმცხადებლის დაპატიმრების მიზნით მის წინააღმდეგ გამოყენებულ ძალას.

27. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს ერთი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღენიშნება და დაჭრილია არასასიცოცხლო

მნიშვნელობის მქონე ორგანოში, რამაც არ მიაყენა სერიოზული ზიანი მის ჯანმრთელობას, სასამართლო მიიჩნევს, რომ მან აშკარად გამოიწვია ძლიერი ტკივილი და ტანჯვა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ განმცხადებლის ახალგაზრდა ასაკს აღნიშნული მოვლენების დროს.

28. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის დაპატიმრების დროს მის მიმართ გამოყენებული ძალა გადამეტებული იყო. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა, კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, იმ ზიანისთვის, რომელიც განმცხადებელს მიაღება აღნიშნულ დღეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება წინასწარი დაკავების გონივრულობის შესახებ.

წინასწარი დაკავების შესაბამისი და საკმარისი საფუძვლების არარსებობა, გარდა დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვისა: დარღვევა

**დიდი პალატა**

**საქმე „ბუზადჯი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ“  
CASE OF BUZADJI v. THE REPUBLIC OF MOLDOVA**

**განცხადება N23755/07**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2016 წლის 5 ივლისი**

**ფაქტობრივი გარემოებები**

ბიზნესმენი განმცხადებელი დააკავეს 2007 წლის მაისში და ოფიციალურად წაუყენეს ბრალი იმ ღია სააქციო კომპანიის მიმართ თაღლითობაში, რომლის დირექტორიც თვითონ იყო. მას წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს წაყენებული ბრალის სიმძიმის, საქმის სირთულისა და შეთქმულების რისკის გათვალისწინებით. მისი წინასწარი პატიმრობა გარკვეული მიზეზების გამო 2007 წლის ივლისამდე გაგრძელდა, შემდეგ ეროვნული სასამართლოები დაეთანხმნენ მის მოთხოვნას, გამოეყენებინათ შინაპატიმრობა, რომელმაც 2008 წლის მარტამდე გასტანა, ბოლოს გირაოს საფუძველზე გაათავისუფლეს.

**სამართალი**

61. განმცხადებელი თავის განცხადებაში კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დავობდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მისი დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილებაში არასაკმარისი საფუძველი მიუთითეს. სასამართლო უფრო შესაფერისად მიიჩნევს, განიხილოს საჩივარი კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რომელშიც ნათქვამია:

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს. მას უფლება აქვს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.



## გ. სასამართლოს შეფასება

### 1. ზოგადი პრინციპები

84. კონვენციის მე-5 მუხლი, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებთან ერთობლიობაში, მიეკუთვნება იმ ძირითადი უფლებების კატეგორიას, რომელიც პირის ფიზიკურ უსაფრთხოებას იცავს (იხ. მისი კავშირი მე-2 და მე-3 მუხლებთან „გაუჩინარების საქმეებში“, როგორცაა *ქურთი თურქეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 25 მაისი, § 123, განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ ანგარიშები, 1998-III) და მისი მნიშვნელობა გადამწყვეტია. ძირითადი მიზანი თავისუფლების თვითნებური ან გაუმართლებელი აღკვეთის პრევენციაა (იხ. *ლუკანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, 1997 წლის 20 მარტი, § 41, ანგარიშები 1997-II; *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N71503/01](#), § 171, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2004-II და *ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N48787/99](#), § 461, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2004-VII). სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში დადგენილია დასაბუთების სამი ძირითადი სტანდარტი: გამონაკლისების ყოვლისმომცველი ბუნება, რომელიც მკაცრად უნდა განიმარტოს (იხ. *კულა იტალიის წინააღმდეგ*, 1989 წლის 22 თებერვალი, § 41, სერიები A, N148). აღსანიშნავია, რომ მოცემული დებულებები არ იძლევა გამამართლებელი არგუმენტების ფართო სპექტრის გამოყენების საშუალებას (განსაკუთრებით კონვენციის მე-8 მუხლიდან მე-11 მუხლამდე); ასევე არსებითი თვალსაზრისით დაკავების კანონიერების მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს კანონის უზენაესობის დაცვას (იხ. *ვინტერვერეპი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, 1979 წლის 24 ოქტომბერი, § 39, სერიები A, N33) და სავალდებულო სასამართლო კონტროლის დროულობის მნიშვნელობა (მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად) (იხ. *მაკეფი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N543/03](#), § 34, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2006-X).

85. თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახე, სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, არის წინასასამართლო პატიმრობა. ასეთი პატიმრობა მე-5 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ზოგადი წესიდან გამონაკლისია, რომლის შესაბამისადაც ყველას აქვს თავისუფლების უფლება, აღნიშნული მოცემულია კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტში. მხედველობაში მისაღები ვადის ათვლა იწყება პირის დაკავებიდან (იხ. *ტომაში საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1992 წლის 27 აგვისტო, § 83, სერიები A, N241-A) ან დაპატიმრებიდან (იხ. *ლეტელიე საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1991 წლის 26 ივნისი, § 34, სერიები A, N 207) და სრულდება მაშინ, როდესაც იგი გათავისუფლდება ან მსჯავრი დაედება, თუნდაც მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ (იხ. *ვემპოფი გერმანიის წინააღმდეგ*, 1968 წლის 27

იენისი, გვ. 23, § 9, სერიები A, N7; *ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N26772/95, § 147, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2000-IV; *კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, N47095/99, § 110, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2002-VI და *სოლმაში თურქეთის წინააღმდეგ*, N27561/02, §§ 23-24, 2007 წლის 16 იანვარი).

86. მიუხედავად იმისა, რომ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტი იმ საფუძვლებს ადგენს, როდის შეიძლება დასაშვები იყოს წინასწარი პატიმრობა (იხ. *დე იონგი და ვან დენ ბრინკი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, 1984 წლის 22 მაისი, §44, სერიები A, N77), პუნქტი 3, რომელიც წინა დებულებასთან ერთობლიობაში უნდა მოიაზრებოდეს, ასევე ადგენს კონკრეტულ საპროცესო გარანტიებს, მათ შორის იმას, რომ წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს გონივრულ ვადას, ანუ მოცემული დებულება არეგულირებს მის ხანგრძლივობას.

87. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თაობაზე სასამართლოს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, გონივრული ეჭვის არსებობა ხანგრძლივი პატიმრობის დასაშვებობის წინაპირობაა, მაგრამ ეს საფუძველი არ არის საკმარისი გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ: სასამართლომ შემდეგ უნდა დაადგინოს: (1) რამდენად ამართლებს სასამართლო ორგანოების მიერ დასახელებული სხვა საფუძვლები თავისუფლების აღკვეთის გაგრძელებას და (2) იყო თუ არა ეს საფუძვლები „შესაბამისი“ და „საკმარისი“ , გამოიჩინეს თუ არა ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა „განსაკუთრებული გულმოდგინება“ საქმისწარმოებისას (იხ. *ლეთელიე, § 35 და იდალოვი რუსეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N5826/03, § 140, 2012 წლის 22 მაისი). სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ თავისუფლების ნებისმიერი პერიოდით აღკვეთის დასაბუთება, დამოუკიდებლად იმისა, თუ რამდენად ხანმოკლეა ეს ვადა, დამაჯერებლად უნდა იყოს წარმოდგენილი სახელისუფლებო ორგანოების მიერ. პირის გათავისუფლების თუ დაკავების გადაწყვეტილების მიღებისას სახელისუფლებო ორგანოები ვალდებული არიან განიხილონ მისი სასამართლოზე გამოცხადების უზრუნველყოფის ალტერნატიული საშუალებები .

88. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის „შესაბამის“ და „საკმარის“ საფუძვლებად (გონივრული ეჭვის არსებობის გარდა) მიჩნეულია ისეთი საფუძვლები, როგორცაა მიმალვის საშიშროება, მოწმეებზე ზეწოლის რისკი ან მტკიცებულების გაყალბების რისკი, შეთქმულების რისკი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის რისკი და დაკავებულის დაცვის საჭიროება (იხ. *შტოგმულერი ავსტრიის წინააღმდეგ*, 1969 წლის 10 ნოემბერი, § 15, სერიები A, N9; ვემჰოფი, § 14; ტომაში, § 95; *ტორთი ავსტრიის წინააღმდეგ*, 1991 წლის 12 დეკემბერი, § 70, სერიები A, N224; *ლეთელიე*, § 51 და *ი.ა. საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 23 სექტემბერი, § 108, განაჩენებისა და გადაწყვეტილების შესახებ ანგარიშები 1998-VII).

89. პრეზუმცია ყოველთვის გათავისუფლების სასარგებლოდ უნდა იყოს დაშვებული. როგორც დადგენილია საქმეში *ნოიმაისტერი ავსტრიის წინააღმდეგ* (1968 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, სერიები A, N8, გვ. 37, § 4), მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს გათავისუფლებას სასამართლო განხილვამდე, არ აძლევს სასამართლო ორგანოებს არჩევანს, უზრუნველყონ ბრალდებულის პროცესზე გამოცხადება გონივრულ ვადაში ან გაათავისუფლონ იგი სასამართლო განხილვამდე. აღნიშნული ითვალისწინებს ბრალდებულის დაკავებას, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა გასცდეს გონივრული ვადის ფარგლებს (იხ. *გემპოფი*, § 5); თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც წინასწარი გამოძიების ხანგრძლივობა არაა სადავო, ასეთი დაკავების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს გონივრულ ვადას (იხ. *შტოგმულერი*, §5). გადაწყვეტილების მიღებამდე, იგი უნდა ითვლებოდეს უდანაშაულოდ. მოცემული დებულების მიზანია პირის პირობითი განთავისუფლება მაშინვე, როგორც კი დაკავების გაგრძელება აღარ იქნება მიჩნეული გონივრულად (იხ. *მაკეი*, § 41).

90. შეკითხვა იმის შესახებ, არის თუ არა წინასწარი დაკავების ვადა გონივრული, არ უნდა შეფასდეს აბსტრაქტულად, ანუ არის თუ არა ბრალდებულისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება გონივრული, უნდა შეფასდეს თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე და კონკრეტული მახასიათებლების გათვალისწინებით. ხანგრძლივი ვადით დაკავება შეიძლება იქნეს გამართლებული მოცემულ საქმეში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურად არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმციის მიუხედავად, გადაწონის კონვენციის მე-5 მუხლში მოცემულ პირის თავისუფლების მნიშვნელობასთან დაკავშირებულ წესს (იხ. *ლაბიტა*, § 152, და *კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N30210/96, §§ 110 და მომდევნო პარაგრაფები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2000-XI). განსაკუთრებით მიმალვის რისკთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა გამახვილდეს შესაბამისი პირის ხასიათზე, მის მორალზე, აქტივებზე, იმ სახელმწიფოსთან კავშირზე, სადაც ხორციელდება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და პირის საერთაშორისო კონტაქტებზე (იხ. *ნოიმაისტერი*, § 10).

91. თავდაპირველად ეროვნული სასამართლო ორგანოების ვალდებულებაში ექცევა იმის უზრუნველყოფა, რომ მოცემულ საქმეში ბრალდებული პირის წინასწარი დაკავების ვადა არ აღემატებოდეს გონივრულ ვადას. შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპის გათვალისწინებით, მათ უნდა გამოიკვლიონ ყველა ფაქტი, რომელიც ადასტურებს ან ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ინტერესის ზემოაღნიშნული მოთხოვნის არსებობას ან ამართლებს მე-5 მუხლით დადგენილი წესიდან გადახვევას. სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ და ასახონ აღნიშნული გარემოებები განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებაში. სასამართლომ სწორედ გადაწყვეტილებებში ასახულ საფუძვლებსა და განმცხადებლის მიერ თავის საჩივარში კარგად

დოკუმენტირებულ ფაქტებზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს, დაირღვა თუ არა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი (იხ. კუდლა, § 110 და იდალოვი, § 141).

## 2. არსებობს თუ არა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარების საჭიროება

### (ა) დაკავების სანჯისი პერიოდი და „კონკრეტული ვადის გასვლასთან“ დაკავშირებული პრობლემა

92. როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. 87-ე აბზაცი), გონივრული ეჭვის არსებობა არის ხანგრძლივი პატიმრობის დასაშვებობის წინაპირობა, მაგრამ ეს საფუძველი არაა საკმარისი გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული დათქმა პირველად *შტოგმულერის* საქმეში დადგინდა (იხ. § 4). მოგვიანებით მოცემული მიდგომა ცნობილი გახდა, როგორც „ლეტელიეს პრინციპი“, რომელიც არაერთგზის დადასტურდა დიდი პალატის რამდენიმე მომდევნო გადაწყვეტილებაში (იხ. *ლაბიტა*, § 153; *კუდლა*, § 111; *მაკეი*, § 44; *ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N4378/02, § 64, 2009 წლის 10 მარტი; *იდალოვის საქმეში*, § 140). აღნიშნულმა პრინციპმა შესაძლებელი გახადა განგვესხვავენა პირველი ეტაპი, როდესაც გონივრული ეჭვის არსებობა საკმარისი საფუძველია დაკავებისთვის და მეორე ეტაპი, რომელიც „კონკრეტული ვადის გასვლის შემდეგ“ დგება და მხოლოდ გონივრული ეჭვი არ არის საკმარისი, ამ დროს სხვა „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძვლებია საჭირო ეჭვმიტანილის დასაკავებლად.

93. ვინაიდან განმცხადებელი სამართალწარმოებისას სასამართლოში არ დავობდა იმაზე, რომ არ არსებობდა გონივრული ეჭვი, რომლის თანახმად, მან ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ, რომ გამოიკვლიოს ეს საკითხი. თუმცა დამატებითი საფუძვლების გათვალისწინებით (გარდა ეჭვის გონივრულობისა), რომლებსაც ეყრდნობიან ეროვნული სასამართლოები, ჩნდება კითხვა დროის იმ მონაკვეთთან დაკავშირებით, როდესაც მოითხოვებოდა ასეთი დამატებითი საფუძვლები. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ეფუძნება „კონკრეტული ვადის გასვლის“ მნიშვნელობას.

94. სასამართლოს აქამდე არ განუსაზღვრავს საკუთარ პრეცედენტულ სამართალში „კონკრეტული ვადის გასვლის“ მნიშვნელობა და არ დაუდგენია მასთან დაკავშირებით ზოგადი კრიტერიუმები. ახლახან განხილულ *მავი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (N26289/12, N29062/12 და N29891/12, 2015 წლის 12 მაისი) სასამართლომ აღიარა, რომ არ არსებობდა ფიქსირებული ვადა, რომელიც გამოიყენება „კონკრეტული ვადის გასვლის“ განსამარტად. მან აღნიშნა:

88. იმ გონივრული ეჭვის არსებობა, რომ დაპატიმრებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, წინასწარი დაკავება არის კანონიერი, მაგრამ ამ ვადის ამოწურვასთან ერთად აღარ იარსებებს საკმარისი საფუძველი პატიმრობის გაგრძელებისთვის.



სასამართლოს არ უცდია ამ კონცეფციის ფიქსირებულ დღეებში, კვირებში, თვეებში ან წლებში ან სხვადასხვა პერიოდში გადაყვანა დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით (იხ. *შტოგმულერი ავსტრიის წინააღმდეგ*, N1602/62, § 4, 1969 წლის 10 ნოემბერი).”

95. მიუხედავად ამისა, რამდენიმე საქმეში (იხ. *ტურკანი და ტურკანი მოლდოვას წინააღმდეგ*, N39835/05, § 54, 2007 წლის 23 ოქტომბერი; *ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ*, N30779/04, § 67, 2007 წლის 6 ნოემბერი; *ოსმანოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*, N67604/10, §§ 40-41, 2012 წლის 6 ნოემბერი და *ზაიდოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ*, N11948/08, §62, 2014 წლის 20 თებერვალი), სასამართლომ მიიჩნია, რომ რამდენიმედღიანი პატიმრობის შემდეგ მხოლოდ გონივრული ეჭვის არსებობა თავისთავად ვერ გაამართლებს წინასწარ პატიმრობას და საჭიროა დამატებითი საფუძვლების არსებობა.

96. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარგებლო იქნებოდა თავისი პრეცედენტული სამართლის შემდგომი განვითარება ეროვნულ სასამართლო ორგანოების ვალდებულებებთან დაკავშირებით, რათა მათ დაასაბუთონ წინასწარი პატიმრობის გავრძელება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე ნაწილის მიზნებისთვის.

97. ხელახლა უნდა იქნეს განმეორებული, რომ დაკავების ვადის გონივრულობის შეფასებისას გასათვალისწინებელი პერიოდის ათვლა იწყება პირის თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან.

98. პირს იმავე პერიოდიდან აქვს უფლება მე-3 პუნქტის პირველი ნაწილის თანახმად, „დაუყოვნებლივ იქნეს წარდგენილი მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელის წინაშე“, რომელიც სთავაზობს დამოუკიდებლობის აუცილებელ გარანტიებს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მხარეებისგან. დებულება მოიცავს საპროცესო მოთხოვნას მოსამართლისთვის ან კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელისათვის, მოუსმინონ მის წინაშე წარდგენილ პირს, ასევე მოიცავს არსებით მოთხოვნას იმავე მოხელისთვის, განიხილოს დაკავების დამადასტურებელი ან საწინააღმდეგო გარემოებები, ან არსებობს თუ არა საფუძვლები დაკავების გასამართლებლად და გასათავისუფლებლად ასეთი საფუძვლების არსებობისას (იხ. *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1978 წლის 18 იანვარი, § 199, სერიები A, N25; *მისერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1979 წლის 4 დეკემბერი, § 31, სერიები A, N34 და *მაკეი*, § 35). მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით სასამართლო მოხელისგან მოითხოვს, განიხილოს დაკავების არსი (იხ. *ტ.ვ. მალტას წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N 25644/94, § 41, 1999 წლის 29 აპრილი; *აკუალინა მალტას წინააღმდეგ*, [დიდი პალატა], N25642/94, § 47, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 1999-III და *მაკეი*, § 35).

99. დაპატიმრებისა და დაკავების პირველადი შესწავლა მიზნად ისახავს კანონთან შესაბამისობის გამოკვლევას და იმის დადგენას, არსებობს თუ არა გონივრული ეჭვი, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. ანუ დაკავება ექცევა ნებადართული გამონაკლისის ფარგლებში, რომლებიც დადგენილია მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტით. როდესაც მიჩნეულია, რომ დაკავება არ ექცევა ნებადართული გამონაკლისების ფარგლებში, სასამართლო მოხელეს უნდა ჰქონდეს უფლება გაათავისუფლოს პირი (*მაკეი*, § 40). უბრალო ეჭვის არსებობა საკმარისია, თუ არა კანონიერი დაკავების ვადის გაგრძელების უზრუნველსაყოფად, მოცემულია არა პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტში, არამედ მე-3 პუნქტში: ეს უკანასკნელი დებულება პირველ დებულებასთან ერთობლიობაში, მოითხოვს პირის დაუყოვნებელ განთავისუფლებას, როდესაც მისი დაკავება აღარ იქნება გონივრული (იხ. *დე იონგი*, *ბალიეტი* და *ვან დენ ბრინკი*, § 44).

100. პრეცედენტული სამართლის შემდგომი განვითარების საჭიროება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გონივრული ეჭვის არსებობა შეიძლება საკმარისი იყოს, როგორც დაკავების გაგრძელების საფუძველი, მეორე ასპექტის თანახმად, ექვემდებარება განსხვავებულ და ნაკლებად ზუსტ მოთხოვნას ვადასთან დაკავშირებით, განსხვავებით მუხლის პირველი ასპექტისგან, რომელიც შეიცავს მოთხოვნას, „დაუყოვნებელი“ (როგორც მოცემულია კონვენციის ტექსტში), „გარკვეული ვადის გასვლის“ შემდეგ პირის დაკავება დასაბუთებული უნდა იქნეს დამატებითი, შესაბამისი და საკმარისი საფუძვლებით. სასამართლომ ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნა, რომ „ორივე ნაწილი ანიჭებს განსაზღვრულ უფლებებს და ისინი არ არიან დაკავშირებული ლოგიკური, ან დროის თვალსაზრისით“ (იხ. *მაკეი*, § 31 და *მედვედევი* და *სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N3394/03, § 119, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2010 – ეს უკანასკნელი შეეხება მუხლის მხოლოდ პირველ მხარეს). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ კონტექსტში ვადის ათვლა დაიწყება დაკავებიდან და უფლებამოსილ სასამართლო ორგანოს მოეთხოვება დაადგინოს, არსებობს თუ არა დაკავების გამამართლებელი საფუძვლები, ასეთის არარსებობისას, გაათავისუფლოს პირი. ამგვარად, პრაქტიკაში ხშირად მეორე ნაწილის თანახმად, გარანტიების გავრცელება გარკვეულწილად გადაფარავდა პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გარანტიებს, რაც იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც სასამართლო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დაკავებაზე პირველი ნაწილის თანახმად, იმავდროულად გასცემს ბრძანებას წინასწარი პატიმრობის თაობაზე, რომელიც ექვემდებარება მეორე ნაწილით განსაზღვრულ გარანტიებს. ასეთ დროს ეჭვმიტანილის სასამართლოს წინაშე პირველად წარდგენა წარმოადგენს „გზაჯვარედინს“, როდესაც გარანტიების ორივე წყება ამოქმედდება და ამ გარანტიების მეორე წყება გადაწონის. ამის მიუხედავად საკითხი, თუ როდის გამოიყენება გარანტიების მეორე წყება სრული მოცულობით, იმ გავებით, რომ დამატებითი, შესაბამისი და საკმარისი საფუძვლების არსებობაა სავალდებულო

გონივრულ ეჭვთან ერთად, კვლავ ეფუძნება „გარკვეული ვადის გასვლის“ საკმაოდ ბუნდოვან ცნებას.

101. უფრო მეტიც, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის ოცდათერთმეტი მაღალი ხელშემკვერელი მხარის უმრავლესობის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, რომელიც მოცემულია შედარებითი სამართლის გამოკითხვაში, შესაბამისი სასამართლო ორგანოები ვალდებულნი არიან, დაასახელონ „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძვლები განგრძობითი დაკავებისთვის, თუ დაუყოვნებლივ არა, მაშინ დაკავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მოსამართლე პირველად იკვლევს ეჭვმიტანილის წინასწარი დაკავების საჭიროებას. ასეთი მიდგომა, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არა მარტო გაამართლებდა და უფრო მეტად აშკარა და ცხადს გახდიდა კონვენციის პრეცედენტულ სამართალს ამ სფეროში, არამედ ასევე გააძლიერებდა დაცვას გონივრული ვადის გასვლის შემდეგ დაკავებასთან დაკავშირებით.

102. ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა არსებობდეს მყარი არგუმენტები გარანტიების მეორე წყების პირველ წყებასთან „სინქრონიზაციისთვის“. აღნიშნული გულისხმობს, რომ სასამართლო მოხელის ვალდებულება, წარადგინოს პატიმრობის მიზანშეწონილობის დამადასტურებელი შესაბამისი და საკმარისი საფუძვლები გონივრული ეჭვის არსებობასთან ერთად, უკვე ვრცელდება პატიმრობის შესახებ პირველ გადანაცვებილებზე, „დაუყოვნებლივ“ დაპატიმრების შემდეგ .

### **(ბ) შინაპატიმრობასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემები**

**(i) არის თუ არა შინაპატიმრობა თავისუფლების აღკვეთა და განაცხადა თუ არა განმცხადებელმა უარი თავისუფლების უფლებაზე**

103. როგორც სხვა ბევრ საკითხში, სასამართლო საკუთარ პრეცედენტულ სამართალში ითხოვს თავისუფლების აღკვეთის ცნების ავტონომიურ განმარტებას. კონვენციის სისტემატური წაკითხვა აჩვენებს, რომ მე-5 მუხლი არ ვრცელდება გადაადგილების თავისუფლების უბრალო შეზღუდვებზე, მაგრამ ხვდება მე-4 ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების სფეროში. თუმცა, გადაადგილების შეზღუდვასა და თავისუფლების აღკვეთას შორის განსხვავება მხოლოდ ხარისხის ან სიმძიმის ასპექტს შეეხება და არა ხასიათის ან შინაარსის ასპექტს. იმის დასადგენად, პირს „აღეკვთა თავისუფლება“ თუ არა მე-5 მუხლის თანახმად, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს კონკრეტული სიტუაცია და ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ კრიტერიუმებზე, როგორიცაა სადავო ზომის სახე, ხანგრძლივობა, განხორციელების შედეგები და ფორმები (იხ. *გუზარდი იტალიის წინააღმდეგ*, 1980 წლის 6 ნოემბერი, §§ 92-93, სერიები A, N39).

104. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით (იხ. *მანჩინი იტალიის წინააღმდეგ*, N44955/98, §17, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2001-IX; *ლავენტი ლატვიის წინააღმდეგ*, N58442/00, §§ 64-66, 2002 წლის 28 ნოემბერი; *ნიკოლოვა ბულგარეთის წინააღმდეგ* (N2), N40896/98, § 60, 2004 წლის 30 სექტემბერი; *ნინესჩუ მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ*, N47306/07, § 53, 2014 წლის 15 ივლისი და *დელიჯორჯი ალბანეთის წინააღმდეგ*, N6858/11, § 75, 2015 წლის 28 აპრილი), შინაპატიმრობა მისი ხარისხისა და სიძლიერის გათვალისწინებით, მიჩნეულია კონვენციის მე-5 მუხლში მითითებული თავისუფლების აღკვეთად.

105. სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზს ამ პრეცედენტული სამართლიდან გადახვევისათვის. განმცხადებლის შინაპატიმრობის მეთოდების გათვალისწინებით, იგი მიიჩნევს, რომ მის მიმართ ამ ზომის გამოყენება 2007 წლის 26 ივნისიდან 29 ივნისამდე და 2007 წლის 20 ივლისიდან 2008 წლის 12 მარტამდე, ე.ი. შვიდ თვენახევრის პერიოდის განმავლობაში, წარმოადგენდა კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ თავისუფლების აღკვეთას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პირველ შემთხვევაში შინაპატიმრობა ასევე მიჩნეულ იქნა თავისუფლების აღკვეთად შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად და მთავრობა თვითონ დაეთანხმა იმას, რომ განმცხადებლის შინაპატიმრობა წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას.

106. ერთი საკითხი, რომელიც წამოჭრა მთავრობამ, იყო ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა თვითონ მოითხოვა შინაპატიმრობა და არ გაუსაჩივრებია სასამართლოს გადაწყვეტილებები ამ ზომის გამოყენების შესახებ. ეს ბაღებს მნიშვნელოვან კითხვას, კონკრეტულად, თქვა თუ არა განმცხადებელმა უარი თავისუფლების უფლებაზე.

107. საქმეში *შტროკი გერმანიის წინააღმდეგ* (N61603/00, § 75, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2005-V), სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისუფლების უფლება კონვენციაში მითითებული გაგებით მეტისმეტად მნიშვნელოვანია „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ იმისთვის, რომ პირმა ვერ ისარგებლოს კონვენციით დადგენილი გარანტიებით მხოლოდ იმ საფუძველით, რომ თანხმობას აცხადებს პატიმრობაზე. დაკავებამ შეიძლება დაარღვიოს მე-5 მუხლი, მაშინაც კი, როდესაც შესაბამისი პირი შეიძლება დაეთანხმოს მას (იხ. *დე ვილდე, ოომსი და ვერსიპი ბელგიის წინააღმდეგ*, 1971 წლის 18 ივნისი, § 65, სერიები A, N12).

108. მთავრობის მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, განმცხადებელმა თვითონ მოითხოვა შინაპატიმრობა, სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებულ საქმეში, ასეთი ზომის ამ სახით გამოყენებისას, იძულების აშკარა ელემენტი იყო. კერძოდ, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან აშკარად იკვეთება, რომ განმცხადებლის თანხმობა შინაპატიმრობაზე განპირობებული იყო იმით, რომ



აერიდებინა პატიმრობის გაგრძელება მას შემდეგ, რაც სასამართლომ რამდენიმე შემთხვევაში არ დააკმაყოფილა მისი მრავალი *habeas corpus* მოთხოვნა. ასევე ნათელი ხდება, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა პატიმრობის განმავლობაში და მზად იყო დათმობებზე წასულიყო, რათა მალე დასრულებულიყო ეს პროცესები. აღნიშნული ქცევა გასაგებია იმ პირისგან, რომელსაც მანამდე გადატანილი აქვს გულის შეტევა, ინსულტი და ხედავს, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება. სასამართლოს აზრით, განმცხადებელი იყო აშკარა ზეწოლის ქვეშ, როდესაც იგი გადაიყვანეს შინაპატიმრობაში. ასეთ შემთხვევებში, გონივრულია დავასკვნათ, რომ განმცხადებელი არ გაასაჩივრებდა შინაპატიმრობის შესახებ სასამართლოს გადანყვეტილებებს.

109. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო არაა მზად დაეთანხმოს განმცხადებლის დამოკიდებულებას შინაპატიმრობასთან დაკავშირებით და გასაჩივრებასთან დაკავშირებულ უმოქმედობის ზომას, რომელმაც თავისუფლების უფლებაზე უარის თქმას გამოიწვია.

110. ასეთი ვითარება, მაშინაც კი თუ დავუშვებთ, რომ განმცხადებელი დაეთანხმა შინაპატიმრობას, არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს დაკავების შემდეგ გათავისუფლებასთან, როგორც ამას მთავრობა ამტკიცებდა. ასევე, შეუძლებელია ეს მიჩნეულ იქნეს როგორც კომპენსაციის ფორმა, რომელიც შეესაბამება მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს კომპენსაციის მიღების უფლებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, განმცხადებლისთვის მსხვერპლის სტატუსის არარსებობასთან დაკავშირებით მთავრობის პროტესტი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

## (ii) შინაპატიმრობის შეფარდების საფუძვლები

111. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ შინაპატიმრობის გასამართლებლად უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი საფუძვლები იყო საჭირო, ვიდრე ჩვეულებრივ საპატიმრო დანესებულებაში დასაკავებლად, რადგან პირველი ზომა უფრო მსუბუქი (შემწყნარებელი) იყო, ვიდრე უკანასკნელი.

112. შინაპატიმრობა უმეტეს შემთხვევაში დაკავებულისათვის ნაკლებად შემზღვეველი ზომაა და ნაკლებ ტანჯვას ან უხერხულობას აყენებს მას, ვიდრე ჩვეულებრივი პატიმრობა ციხეში. ეს გამომწვეულია იმით, რომ პატიმრობაში ყოფნა მოითხოვს პირის ინტეგრაციას ახალ და ზოგჯერ მტრულ გარემოში ასევე სხვა პატიმრებთან ერთად აქტივობების განხორციელებას, ან რესურსების გაზიარებას, დისციპლინის დაცვას, ადმინისტრაციის მხრიდან ყოველდღიურად, ოცდაათხი საათის განმავლობაში ზედამხედველობას და კონტროლს. მაგალითად, დაკავებულს არ შეუძლია თავისუფლად აირჩიოს, როდის წავიდეს დასაძინებლად, მიიღოს საკვები, დაიკმაყოფილოს პირადი ჰიგიენის საჭიროებები, გავიდეს სუფთა

ჰაერზე ან განახორციელოს სხვა აქტივობები. შესაბამისად, საპატიმრო დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთასა და შინაპატიმრობას შორის არჩევანის გაკეთებისას, არსებულ საქმეში, პირების უმეტესობა, უკანასკნელს აირჩევდა.

113. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ დაკავების სხვადასხვა სახეს შორის რეჟიმი არ განუსხვავებიათ *ლატელიეს* საქმის შემთხვევაში (იხ. ზემოთ 92-ე აბზაცი). უფრო მეტიც, ის კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ *ლავერტის* შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს უნდა გამოეკვლია განმცხადებლისთვის ხანგრძლივი პერიოდით წინასწარი პატიმრობის მისჯისთვის საფუძვლების შესაბამისობა და საფუძვლიანობა, მოპასუხე მთავრობა წარუმატებლად ამტკიცებდა, რომ უნდა გამოყენებულიყო სხვა კრიტერიუმი გასაჩივრებული თავისუფლების აღკვეთის საფუძვლების შესაფასებლად, რადგანაც განმცხადებელი საავადმყოფოსა და შინაპატიმრობაში იყო. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მთავრობის ის არგუმენტი, რომლის შესაბამისადაც მე-5 მუხლი არ არეგულირებდა დაკავების პირობებს, რომელსაც მთავრობა ასაბუთებდა იმ მიდგომებით, რომლებიც მანამდე გამოყენებულ იქნა *მანჩინის* საქმეში და მასში მითითებულ სხვა საქმეებში. სასამართლომ დააკონკრეტა, რომ „ხარისხისა“ და „ინტენსიურობის“ ცნებები პრეცედენტულ სამართალში, როგორც მე-5 მუხლის გამოყენების კრიტერიუმი, ეხება მხოლოდ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის ხარისხს და არა განსხვავებას კომფორტის დონეს, ან სხვადასხვა საპატიმროებში არსებულ შიდა რეჟიმებს შორის. ამგვარად, სასამართლომ განაგრძო იმავე კრიტერიუმის გამოყენება თავისუფლების აღკვეთის მთლიანი პერიოდისთვის, მიუხედავად, იმისა თუ სად იყო განმცხადებელი დაკავებული.

114. სასამართლო მიიჩნევს, რომ სხვა მიდგომის გამოყენების საფუძველი აღნიშნულ საქმეში არ არსებობს. რთულად განხორციელებადი იქნებოდა პრაქტიკაში, თუ ვინმე სხვადასხვა კრიტერიუმის შესაბამისად, წინასწარ შეაფასებდა დაკავების გამამართლებელ საფუძვლებს, იმ განსხვავებებზე დაყრდნობით, რომელიც არსებობს დაკავების პირობებსა და დაკავებულის მიერ განცდილი (დის)კომფორტის დონეს შორის. ასეთი გამამართლებელი საფუძვლები პირიქით უნდა შეფასდეს იმ კრიტერიუმის შესაბამისად, რომელიც პრაქტიკული და ეფექტურია მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაცვის მნიშვნელობის დაკნინების გარეშე. საბოლოოდ, სასამართლო სათანადოდ მიიჩნევს არსებული საქმის გამოკვლევისას იმავე მიდგომის გამოყენებას, როგორც ეს *ლავერტის* საქმეში მოხდა.

### **3. არსებობდა თუ არა მოცემულ საქმეში შესაბამისი და საკმარისი საფუძვლები**

115. სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნულ საქმეში განმცხადებლის დროებითი დაკავების გამამართლებელი საფუძვლების გათვალისწინებით, ეროვნული სასამართლოები, რომლებმაც გამოსცეს პირველადი ბრძანება 2007 წლის 5 მაისს განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის შესახებ, დაეყრდნენ მხოლოდ მის

ვაჟიშვილებთან შეთქმულების რისკს და მისთვის წაყენებული დანაშაულის სიმძიმეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი საფუძველი, როგორც წესი, მითითებულია ხოლმე მიმალვის რისკის კონტექსტში, ეროვნულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მიმალვის რისკი მონმეებზე ზენოლისა და განმცხადებლის მიერ მტკიცებულების გაყალბების რისკთან ერთად არ იყო დამტკიცებული ბრალმდებლის მიერ და მტკიცებულებები არ იყო სარწმუნო.

116. განმცხადებელმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება და ამტკიცებდა, რომ შეთქმულების რისკი არ ყოფილა ბრალმდებლის მიერ მითითებული და ნებისმიერ შემთხვევაში, მას უამრავი დრო ჰქონდა საკუთარ შვილებთან შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ასეთი განზრახვის შემთხვევაში. თუმცა მისი საჩივარი სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა და მის პროტესტზე რეაგირება არ ჰქონია.

117. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მითითებით ბრალმდებელი არ დაეყრდნო ისეთ მიზეზს, როგორცაა საკუთარ შვილებთან შეთქმულებაში მონაწილეობის საფრთხე. გარდა ამისა, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ნათელი ხდება, რომ განმცხადებლისა და მისი შვილების წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო 2006 წლის ივლისში, ანუ განმცხადებლის დაპატიმრებამდე ათი თვით ადრე, აქედან გამომდინარე, მას მართლაც, ექნებოდა საკმარისი დრო შეთქმულებაში მონაწილეობის მისაღებად, ასეთი განზრახვა რომ ჰქონოდა. ასეთ გარემოებებში სასამართლოს არ მიაჩნია ეს არგუმენტი სარწმუნოდ. უფრო მეტიც, იგი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონია რეაგირება განმცხადებლის მიერ გამოთქმულ საწინააღმდეგო არგუმენტებზე. გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, რომ სასამართლოებმა მხედველობაში მიიღეს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა განმცხადებლის ქცევა, 2006 წლის ივლისში დაწყებულ გამოძიებასა და იმ პერიოდს შორის, როდესაც პირველად გაიცა ბრძანება მისი დაკავების შესახებ.

118. განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადის პირველად და მეორედ გაგრძელებისას, 2007 წლის 16 მაისსა და 5 ივნისს სასამართლოები არ დაეყრდნენ შეთქმულების რისკს, რომელიც ერთადერთი დამატებითი საფუძველი იყო, რაზე დაყრდნობითაც სასამართლოებმა პირველად გასცეს მისი დაპატიმრების ბრძანება. ამ შემთხვევაში სასამართლოებმა სხვა დამატებით მიზეზებზე მიუთითეს, კონკრეტულად კი - მიმალვის საფრთხეზე, მონმეებზე ზენოლის რისკსა და მტკიცებულების გაყალბების რისკზე. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს იგივე საფუძვლები იყო, რომელიც მიუთითა ბრალმდებელმა პირველ მოთხოვნაში განმცხადებლის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების შესახებ, მაგრამ როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული, როგორც დაუსაბუთებელი მოთხოვნა. განმცხადებლის დაკავების ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლოს

გადანყვეტილებაში არ არის მოცემული ახსნა-განმარტება, რატომ გახდა ეს საფუძვლები რელევანტური და საკმარისი მხოლოდ მოგვიანებით (იხ. *კუტალიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ*, N18785/13, §51, 2014 წლის 27 ნოემბერი), ისეთი მიზეზით, როგორცაა განმცხადებლის ქცევა. როგორც პირველი დაკავების ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, შეფასება არ გაკეთებულა სასამართლოების მიერ განმცხადებლის ხასიათის, მისი მორალის, მისი ქონების, ქვეყანასთან კავშირისა და სისხლისსამართლებრივი გამოძიების პირველი ათი თვის განმავლობაში მისი ქცევის შესახებ.

119. ვადის მესამედ გაგრძელების თაობაზე ბრალმდებლის განცხადების განხილვისას, 2007 წლის 26 ივნისს პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალმდებლის მოსაზრება დაკავებასთან დაკავშირებით და არსებითად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მისი დაკავების ვადის გაგრძელების მიზანშეწონილობის დამადასტურებელი საფუძვლები. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებლის შინაპატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ.

120. შინაპატიმრობიდან სამი დღის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა 2007 წლის 29 ივნისის ბრძანება დაკავების შესახებ, ვინაიდან კიდევ ერთხელ მიიჩნია, რომ განმცხადებელი შეიძლება მიმალულიყო, მოეხდინა ზენოლა მონმეებზე, გაეყალბებინა მტკიცებულება და შეთქმულებაში მიეღო მონაწილეობა საკუთარ შვილებთან, თუ შინაპატიმრობაში იქნებოდა. შესაბამისად, მან გამოსცა ბრძანება მისი წინასწარი პატიმრობის შესახებ საპატიმრო დაწესებულებაში. სასამართლოს არ განუმარტავს ის საფუძვლები, რის გამოც არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც შეეხებოდა მისი დაკავების საფუძვლის არარსებობას და ასევე არ განუმარტავს მისი ვარაუდის საფუძველი, რომ ეჭვმიტანილი შეიძლება მიმალულიყო, მოეხდინა ზენოლა მონმეებზე და გაეყალბებინა მტკიცებულებები.

121. ვადის მესამედ გაგრძელების შესახებ ბრალმდებლის შუამდგომლობის განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ყველა ის საფუძველი, რომელიც მითითებული იყო ბრალმდებლის მიერ და დაადგინა, რომ არ არსებობდა ეჭვის საფუძველი, რომლის თანახმად, განმცხადებელი მიმალვობდა ან ხელს შეუშლიდა გამოძიებას. მიუხედავად ამისა, სასამართლომ გამოსცა ბრძანება მისი შინაპატიმრობის შესახებ, რომელიც მოგვიანებით 2008 წლის მარტამდე გაგრძელდა. შინაპატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებები არ ეფუძნებოდა ასეთი ზომების გამოყენების მხარდამჭერ არც ერთ საფუძველს, გარდა მომჩივნის მიმართ წაყენებული დანაშაულის სიმძიმისა.

122. ზემოაღნიშნული პრობლემების გარდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მოყვანილი საფუძვლები განმცხადებლის დაკავებისა და დაკავების ვადის გაგრძელების შესახებ ტრაფარეტული და



აბსტრაქტული იყო. მათ გადანწყვეტილებებში უბრალოდ მითითებული იყო დაკავების საფუძვლები ყველანაირი მცდელობის გარეშე დაესაბუთებინათ, თუ კონკრეტულად განმცხადებლის საქმის რომელი გარემოებების გათვალისწინებით იქნა მიღებული ასეთი გადანწყვეტილებები. გარდა ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული სასამართლოების მიდგომა თანმიმდევრული იყო. განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოები არ დაეთანხმნენ ბრალმდებლის განცხადებას განმცხადებლის მიმალვის, მონმეებზე ზეწოლისა და მტკიცებულების გაყალბების საფრთხის შესახებ, როგორც უსაფუძვლოს და ნაკლებად სარწმუნოს, მაშინ როდესაც სხვა შემთხვევებში ისინი დაეთანხმნენ იმავე მიზეზებს გარემოებების ნებისმიერი აშკარა ცვლილებების მითითებისა და ახსნა-განმარტებების გარეშე. სასამართლოს თვალსაზრისით, როდესაც სასწორზე დგას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა თავისუფლების უფლება, ეროვნული ორგანოები ვალდებული არიან დამატებლად აჩვენონ, რომ დაკავება საჭიროა. აღნიშნული ამ შემთხვევაში ნამდვილად არ მომხდარა.

123. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობდა შესაბამისი და საკმარისი საფუძვლები, რომ მიეღოთ გადანწყვეტილება განმცხადებლის წინასწარი დაკავებისა და დაკავების ვადის გაგრძელების შესახებ. აქედან გამომდინარე, არსებულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიერ გამოტანილ ვერდიქტზე, რომელიც ეფუძნება იმ მონმის ჩვენებას, რომელიც პროცესს არ ესწრებოდა. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ მოახდინა სამართლიანი და სწორი შეფასება განცხადების კეთილსაიმედოობასთან დაკავშირებით: დარღვევა არ დადგინდა

**საქმე „ჰორნკასტლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“**

**CASE OF HORNCastle AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM**

**განაცხადი N4184/10**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2014 წლის 16 დეკემბერი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

2007 წლის ნოემბერში, პირველ და მეორე განმცხადებლებს ბ-ნ ჰორნკასტლსა და ბ-ნ ბლექმორს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ ერთხმად გამოუტანა ვერდიქტი სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების გამო. მათ მიერ დაზარალებულმა პირმა პოლიციას მისცა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელშიც ასახელებდა თავდამსხმელებს, მაგრამ სასამართლო პროცესის გამართვამდე გარდაიცვალა. ახსნა-განმარტება გამოყენებულ იქნა მტკიცებულებებში ორივე განმცხადებლის წინააღმდეგ.

### **სამართალი**

#### **კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევა**

108. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ეროვნული სამართალწარმოებით დაირღვა მათი უფლება, და ჯვარედინად არ დაიკითხა ის მონმე, რომელმაც ერთადერთი და გადამწყვეტი მტკიცებულება მისცა მათ წინააღმდეგ. ისინი ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს და მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტს, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

1. „...სისხლისსამართლებრივი ბრალის წაყენებისას ნებისმიერ ადამიანს აქვს სამართლიანი... სასამართლო განხილვის უფლება...“

3. ყველას, სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

...

(დ) დაიკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მონმეები და გამოაძახებინოს და დააკითხინოს დაცვის მონმეები, ბრალდების მონმეთა თანაბარ პირობებში;“

## სასამართლოს შეფასება

### ბ-ნ ჰორნკასტლი და ბ-ნ ბლექმორი

141. რაც შეეხება პ.რ.-ს მოწმის ჩვენებას, ის იყო ერთადერთი და გადამწყვეტი. სასამართლოსთვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ადგილობრივი სასამართლოს გადანყვეტილება. საქმის განმხილველმა მოსამართლემ დასკვნით სიტყვაში აღნიშნა, რომ ბრალდება დამოკიდებული იყო პ.რ.-ს მტკიცებულებაზე. სააპელაციო სასამართლომ გამოავლინა პ.რ.-ს ახსნა-განმარტებისგან დამოუკიდებელი არსებითი მტკიცებულება. თუმცა, მან ასევე დაუშვა, რომ საქმის ვითარებაში, საქმის განმხილველი მოსამართლის შემეჯამებელი სიტყვის და ნაფიც მსაჯულთა მიერ აღნიშნული ახსნა-განმარტების საგანგებო მოთხოვნის ფაქტის ჩათვლით, მას შემდეგ, რაც ისინი გავიდნენ საკითხის განსახილველად, ახსნა-განმარტება „გადამწყვეტ ღონებზე“ წარმოადგენდა განმცხადებელთა განაჩენის გამოტანის საფუძველს. სიმართლეს შეესაბამება ის ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასება ახსნა-განმარტების „გადამწყვეტი“ ბუნების შესახებ გაკეთდა, სანამ დიდი პალატა დააკონკრეტებდა, რომ აღნიშნული ტერმინი უნდა განიმარტოს ვიწრო გაგებით და სხვა თანმხლები მამხილებელი მტკიცებულებების ხარისხის გათვალისწინებით. დასაბუთებას ექვემდებარება ის ფაქტი, რომ აღნიშნული მამხილებელი მტკიცებულების ძალა საქმეში და კონკრეტულად ბ-ნ ჰორნკასტლის და ბ-ნ ბლექმორის აღიარება, რომ ისინი იმყოფებოდნენ პ.რ.-ს ბინაში იმ ღამით, რათა დაებრუნებინათ მოპარული საკუთრება და მეცნიერული სამხილი - დაბრუნებულ საკუთრებაზე სისხლის კვალი და რაც შეეხება თავდასხმის ადგილს, იგულისხმება, რომ პ.რ.-ს ახსნა-განმარტება არ იყო „გადამწყვეტი“ საქმის შედეგის განსაზღვრის თვალსაზრისით,

142. თუ ვივარაუდებთ, რომ პ.რ.-ს მტკიცებულება მიღებულ იქნა როგორც „გადამწყვეტი“, სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობდა საკმარისი ურთიერთდამაბალანსებელი ფაქტორები დაცვის მხარისთვის წერილობითი მტკიცებულებით მიყენებული სირთულეების კომპენსაციისთვის. გარანტიები, რომელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს, სათანადოდ იქნა გამოყენებული. კერძოდ, საქმის განმხილველმა მოსამართლემ განიხილა პ.რ.-ს წერილობითი განმარტების დასაშვებობის აცილების საკითხი მის წაკითხვამდე და მოიყვანა დეტალური მიზეზები აცილების ძალაში დატოვებაზე უარის თქმის შესახებ. მან დაადგინა საჭიროება ნაფიც მსაჯულთათვის მიეცა მითითება, თუ რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აღნიშნულ წერილობით განმარტებას. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას, საქმის განმხილველმა მოსამართლემ სათანადო წესით მისცა მითითებები დასკვნითი სიტყვით გამოსვლისას და გააფრთხილა რომ წერილობით განმარტებას სიფრთხილით მოჰყრობოდნენ, ასევე განუმარტა სხვადასხვა აკრძალვა დაცვის მხარესთან მიმართებაში, რომელიც გამოწვეული იყო პ.რ.-ს სასამართლო პროცესზე არყოფნით. მათ არ უნდა დაეტოვებინათ რაიმე ეჭვი ნაფიც მსაჯულთათვის პ.რ.-ს ჩვენების შემლუდებთან დაკავშირებით, ასევე განუმარტა, თუ რა დოზით შეეძლოთ აღნიშნულ ჩვენებაზე დაყრდნობა. განმცხადებლებს არ უდავიათ რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას არასწორი მითითებები მიეცათ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პ.რ.-ს ვინაობა, რომელიც ანონიმურია წინამდებარე გადანყვეტილების მიზნებისათვის, ცნობილი იყო განმცხადებელთათვის. მათ მოიყვანეს მტკიცებულება, რომ ეჭვქვეშ დაყენებინათ ახსნა-განმარტების საიმედოობა და პ.რ.-ს სანდოობა. პ.რ.-ს საავადმყოფოში ყოფნის სრული დეტალები მათთვის გასაჯაროვდა და მათ პ.რ.-ს წერილობითი განმარტება მოიგერიეს მისი

ალკოჰოლის მიმართ დამოკიდებულების აღიარებით. ასევე იმით, რომ აღნიშნულ დღეს ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და შესაბამისი აღიარებით, რომ მისი მესხიერება „ბუნდოვანი“ იყო. პ.რ.-ს წერილობითი განმარტების სხვადასხვა ნიშნები გაამყარა საქმის დამოუკიდებელმა მტკიცებულებამ, განმცხადებელთა აღიარების ჩათვლით, რომ ისინი, დ.-სთან ერთად იმყოფებოდნენ პ.რ.-ს ბინაში, რათა დაებრუნებინათ ნივთები, რომლებიც მოპარულ იქნა ძარცვის შედეგად და ასევე მეცნიერულმა მტკიცებულებამაც. დაცვის მხარეს არ დაუყენებია შუამდგომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა ირიბი ჩვენება, რომელიც იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ ნებისმიერი განაჩენი საფრთხილო იქნებოდა მათთვის. ამასთანავე, განმცხადებლებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაემყარებინათ დაცვა იმასთან დაკავშირებით, რომ მ. იყო მოძალადე, მათ ასევე მიეცათ უფლება, წარმოედგინათ მტკიცებულების სახით მ.-ს წარსულში ნასამართლეობის დეტალები.

143. და ბოლოს, თუ საქმეს სხვა საბრალდებო მტკიცებულებით გავამყარებთ, კანონმდებლობის დებულებებით და საერთო სამართლით, როგორც ეს გამოყენებული იყო განმცხადებელთა საქმეში, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას საშუალება მიეცემა სამართლიანად და სათანადოდ შეეფასებინათ პ.რ.-ს წერილობითი განმარტება. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის დარღვევას.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის შუალედური გადაწყვეტილება განაცხადზე, რომელიც შეეხება მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი პროცესის უფლების დარღვევას, რადგან განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნაზე მისი საქმე განხილულიყო ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიერ: დაუშვებელია.

**საქმე „ადრეი ანატოლიევიჩ კლიმენტიევი რუსეთის წინააღმდეგ „**

**CASE OF Andrey Anatolyevitch KLIMENTYEV against Russia**

**განაცხადი N46503/99**

**შუალედური გადაწყვეტილება**

**განაცხადის დასაშვებად ცნობა**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელი აცხადებს, რომ საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით - დაირღვა, რადგან მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ არ განიხილა.

### **სამართალი**

განმცხადებელი ირწმუნება, რომ აღნიშნული უფლება გარანტირებულია ეროვნული კანონმდებლობით და უარი, რომ მისი საქმე განხილულიყო ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიერ, წარმოადგენს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევას, რაც თავის მხრივ წარმოადგენს საქმის სამართლიანი განხილვის მოთხოვნის ნაწილს.

სასამართლო შეგვახსენებს, რომ ზოგიერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოშიც კი, სასამართლო პროცესის ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიერ განხილვა სამართლიანობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ელემენტია სისხლის სამართლის სისტემაში. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას არ წარმოადგენს სამართლიანი საქმის განხილვის ძირითად ასპექტს. აქედან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მხოლოდ კონვენციაზე ან ყოფილი კომისიის პრეცედენტულ სამართალზე ვერ იქნება დაფუძნებული.

რაც შეეხება განმცხადებლის მტკიცებას, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიერ სასამართლო განხილვის უფლება ეროვნული კანონმდებლობითაა გარანტირებული, სასამართლო აღნიშნავს, რომ რუსეთის კონსტიტუციის 47-ე მუხლი, ყველას ვისაც ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულში, ანიჭებს სასამართლო პროცესის ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიერ განხილვის უფლებას ფედერალური კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. თუმცა, 47-ე მუხლის შესაბამისი ნაწილი ძალაში სრულად არ არის შესული.

აღნიშნულის ძალაში შესვლამდე გამოიყენება წინა სასამართლო პრაქტიკა. ამიტომ შეუძლებელია აღნიშნული უფლება მომდინარეობდეს ეროვნული კანონმდებლობიდან.

აქედან გამომდინარე, განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის ექვსთვიანი პერიოდისა და მისი გონივრულობის შესახებ.

წინასწარი პატიმრობის არათანმიმდევრული პერიოდები განიხილება ცალ-ცალკე ექვსთვიანი ვადის მიზნებისთვის: ნაწილობრივ დაუშვებელი.

წინასწარი პატიმრობა ემყარებოდა იმ საფუძვლებს, რომლებიც მიუხედავად მათი შესაბამისობისა, არ შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც „საკმარისი“ წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის დასასაბუთებლად: დარღვევა

**დიდი პალატა**

**საქმე „იდალოვი რუსეთის წინააღმდეგ“**

CASE OF IDALOV v. RUSSIA

**განცხადება N5826/03**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**22 მაისი 2012**

#### **ა. სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოება განმცხადებლის წინააღმდეგ**

9. 1999 წლის 11 ივნისს განმცხადებელი დააპატიმრეს გატაცების ბრალდების საფუძველზე, რომელშიც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი მონაწილეობდა. სამი დღის შემდეგ შესაბამისმა ბრალმდებელმა გამოსცა ბრძანება მისი დაკავების შესახებ. განმცხადებელს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს 1999 წლის 18 ივნისს.

10. 2000 წლის 6 იანვარს მას ასევე წაუყენეს ბრალი გატაცებაში, ფულის გამოძალვაში, ცეცხლსასროლი იარაღის და ნარკოტიკების უკანონო შექენასა და ფლობაში.

#### **II. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა**

109. განმცხადებელი დავობდა, რომ მისი წინასწარი პატიმრობა არაგონივრულად ხანგრძლივი იყო და არ ეფუძნებოდა შესაბამის და საკმარის საფუძვლებს. იგი თავის მოსაზრებას ამყარებდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომელშიც ნათქვამია:

„ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებების თანახმად, ყველა დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს . . . უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის

განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.“

## ა. დასაშვებობა

### 1. მხარეთა არგუმენტები

#### (ა) მთავრობა

110. სასამართლოს კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად (*იხ. ნოიმაისტერი ავსტრიის წინააღმდეგ*, 1968 წლის 27 ივნისი, § 6, სერია A, N8; *ბორდიკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, N921/03, 2009 წლის 8 ოქტომბერი და *ვლადიმირ კრივონსოვი რუსეთის წინააღმდეგ* N7772/04, 2010 წლის 15 ივლისი), მთავრობამ მიუთითა, რომ განმცხადებელმა განაცხადა 2003 წლის 6 თებერვალს შეიტანა, შესაბამისად გაუშვა კონვენციის 35-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 6-თვიანი ვადა, 1996 წლის 11 ივნისიდან 2001 წლის 6 ივლისამდე მისი წინასწარი პატიმრობის პერიოდთან მიმართებით. სახელისუფლებლო ორგანოები დაეთანხმნენ, რომ 2001 წლის 6 ივლისს განმცხადებლის გათავისუფლების შემდეგ, ის კვლავ დააპატიმრეს 2002 წლის 29 ოქტომბრიდან 2003 წლის 24 ნოემბრამდე პერიოდში. თითქმის ერთი წელი და ოთხი თვე იყო გასული განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ორ პერიოდს შორის, რის შედეგადაც, მისი განაცხადი - პატიმრობის პირველი პერიოდის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, დაუშვებლად უნდა გამოცხადდეს, რადგან ის ვადის დარღვევითაა წარდგენილი. მთავრობის მოსაზრებით, აღნიშნული ორი პერიოდი ერთ მთლიან თანმიმდევრულ პერიოდად არ უნდა იქნეს განხილული.

#### (ბ) განმცხადებელი

111. განმცხადებელმა მიუთითა, რომ სახელისუფლებლო ორგანოების მიზანი განმცხადებლის ნებისმიერ შემთხვევაში დაპატიმრება (სავარაუდოდ მისი ჩეჩნური წარმომავლობის გამო), სამართალწარმოების გაჭიანურება და მისი პატიმრობაში შეძლებისდაგვარად ხანგრძლივი ვადით დატოვება იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით პატიმრობის ორი პერიოდი კუმულაციურად უნდა იქნეს შეფასებული. ორივე შემთხვევაში განმცხადებელი პატიმრობაში მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი საქმის სამართალწარმოების დროს იყო.

### 2. სასამართლოს შეფასება

112. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის განსაზღვრისას,



გასათვალისწინებელი პერიოდი იწყება ბრალდების წაყენების დღიდან და მთავრდება მაშინ, როცა მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოება მიმდინარეობს, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერაა წაყენებული, ან სავარაუდოდ მაშინ, როდესაც განმცხადებელი გათავისუფლებულია პატიმრობიდან (იხ. *ვემპოფი გერმანიის წინააღმდეგ*, 1968 წლის 27 ივნისი, § 9, სერია A, N7; *ლაბიტა*, §§ 145 და 147 და *ჯეკიუსი ლიტვის წინააღმდეგ*, N34578/97; § 44, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ECHR, 2000-IX).

113. აღნიშნულ შემთხვევაში განმცხადებელი, რომელიც დაპატიმრებული იყო დაახლოებით ორი წლის განმავლობაში, გაათავისუფლეს სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და თავისუფალი იყო დაახლოებით ერთი წლისა და ოთხი თვის განმავლობაში, სანამ 2002 წლის 29 ოქტომბერს ხელახლა არ დააპატიმრეს. შესაბამისად, მისი წინასწარი პატიმრობა ორ ერთმანეთისაგან განცალკევებულ და განსაზღვრულ პერიოდს მოიცავს: 1. 1999 წლის 11 ივნისიდან 2001 წლის 6 ივლისამდე პერიოდს (იხ. 29-ე პარაგრაფი) და 2. 2002 წლის 29 ოქტომბრიდან 2003 წლის 24 ნოემბრამდე პერიოდს, როდესაც იგი საბოლოოდ იქნა ცნობილი დამნაშავედ კომპეტენტური სასამართლოს მიერ (იხ.19-ე პარაგრაფი). ჩნდება კითხვა, მოეთხოვებოდა თუ არა მას კონვენციის თანახმად, წინასწარი პატიმრობის პირველი პერიოდის გასვლის შემდეგ, გათავისუფლებიდან ექვსი თვის განმავლობაში წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შეეტანა საჩივარი.

114. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა 2003 წლის 6 თებერვალს, ე.ი. მისი პატიმრობის პირველი პერიოდის დასრულებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ. საქმის გარემოებებისა და მხარეთა არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლოს ამოცანაა დაადგინოს, შეფასდეს თუ არა განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ორი პერიოდი კუმულაციურად, ან ჰქონდა თუ არა მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში სასამართლო პროცესამდე განმცხადებლის გათავისუფლებას ექვსთვიანი ვადის დაწყებაზე გავლენა, როგორც მითითებულია 35-ე მუხლის პირველ პუნქტში განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ამ ნაწილთან დაკავშირებით.

#### (ა) სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

115. სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ასახულია ორი სახის მიდგომა წინასწარი პატიმრობის არათანმიმდევრული (ცალ-ცალკე) პერიოდების შეკრების მიზნით ექვსთვიანი წესის გამოყენებასთან დაკავშირებით.

#### (i) *ნოიმისტერის* საქმეში ასახული მიდგომა

116. საკითხი პირველად წამოიჭრა *ნოიმაისტერის* საქმის განხილვისას, როდესაც განმცხადებელი წინასწარ პატიმრობაში ორი პერიოდის განმავლობაში იყო, პირველად - 1961 წლის 24 თებერვლიდან 1961 წლის 12 მაისამდე პერიოდში და მეორედ - 1962 წლის 12 ივლისიდან 1964 წლის 16 სექტემბრამდე. კომისიამ მიიჩნია, რომ ექვსთვიანი ვადა ხელს უშლიდა მას გამოეთქვა მოსაზრება, იყო თუ არა განმცხადებლის პატიმრობის პირველი პერიოდის ხანგრძლივობა „გონივრული“. სასამართლო დაეთანხმა ამ მიდგომას, თუმცა დამატებით აღნიშნა, რომ მეორე პერიოდის გონივრულობის შეფასებისას პირველი პერიოდი „მხედველობაში მიღებული“ არ უნდა იქნეს. სასამართლომ დაადგინა:

„6. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს არ შეუძლია განიხილოს, იყო თუ არა პირველი პერიოდი კონვენციის შესაბამისი; თუნდაც იმ ვარაუდით, რომ 1961 წელს *ნოიმაისტერმა* ისარგებლა ზოგიერთი სამართლებრივი დაცვის საშუალებით და არ მიმართა კომისიას 1963 წლის 12 ივლისამდე, ე.ი. გავიდა კონვენციის 26-ე მუხლით განსაზღვრული ექვსთვიანი ვადა.

მიუხედავად ამისა, პატიმრობის აღნიშნული პერიოდი თავისუფლებასთან დაკავშირებულ პირველ გადახვევას წარმოადგენდა, რომელთან მიმართებითაც, *ნოიმაისტერს* შეეძლო ედავა. დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, წინასწარი პატიმრობის პირველი პერიოდი, როგორც წესი, გამოაკლდებოდა თავისუფლების აღკვეთის ვადას, რომელსაც მიუსჯიდნენ (ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 55 (ა) ნაწილი); ამგვარად ის შეამცირებდა თავისუფლების აღკვეთის სავარაუდო ხანგრძლივობას. შესაბამისად, აღნიშნული მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი შემდგომი პატიმრობის გონივრულობის შეფასებისას.“

#### (იი) ზოგადი მიდგომა

117. შემდგომ შემთხვევებში სასამართლომ შესაბამისი ვადის გაანგარიშებისთვის განსხვავებული მიდგომა გამოიყენა. თუმცა აღნიშნული *ნოიმაისტერის* მეთოდიდან გადახვევის საფუძვლების მითითების გარეშე განახორციელა. *კემპში საფრანგეთის წინააღმდეგ* საქმეში (N1 და N2; 1991 წლის 27 ნოემბერი, სერია A, N218) სასამართლომ მარტივად გამოიანგარიშა დროის რამდენიმე პერიოდი, როგორც მთლიანი ვადა და არ განიხილა ექვსთვიანი წესის გამოყენების საკითხი, როგორც ეს თავდაპირველად *ნოიმაისტერის* საქმეში მოხდა. ექვსთვიანი წესის გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნული უდავოდ გამორიცხავდა პირველი პერიოდის შესწავლას, რადგანაც საჩივრები შეტანილია მხოლოდ 1986 წლის 1 აგვისტოსა და 1989 წლის 28 აპრილს. სასამართლომ დაადგინა:

„44. განმცხადებელმა წინასწარ პატიმრობაში ოთხი პერიოდი დაჰყო: 1983 წლის 16 თებერვლიდან 29 მარტამდე . . . , 1984 წლის 22 მარტიდან 1986 წლის 19 დეკემბრამდე . . . , 1990 წლის 11 ივნისიდან 10 აგვისტომდე . . . და 1991 წლის 14 მარტიდან 25 აპრილამდე. . .

ამ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ პირველი ორი პერიოდი, რომელიც გაგრძელდა ორი წლის, ათი თვისა და ათი დღის მანძილზე: სხვა დროის პერიოდები 1990 წლის 8 ივნისის შემდგომ პერიოდს მოიცავდა, როდესაც მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევის შესახებ კომისიის ანგარიში იქნა მიღებული, რომელიც განხილვის პროცესში მყოფ ახალი განაცხადების საგანს წარმოადგენს . . .“

118. სასამართლომ მიუთითა განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის პირველი ორი პერიოდის მთლიან ხანგრძლივობაზე, თუმცა თითოეული განსაზღვრული პერიოდის ხანგრძლივობა განცალკევებულად შეამოწმა. რაც შეეხება პირველ პერიოდს, რომელიც დაახლოებით ექვს კვირას გაგრძელდა, განმცხადებლის პატიმრობა გამართლებულად იქნა მიჩნეული მაშინ, როცა მეორე პერიოდის ხანგრძლივობა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევად ჩაითვალა.

119. *კემაში* შემდგომ საქმეებში, სასამართლომ განაგრძო იმავე მიდგომის გამოყენება და არაფერი უთქვამს ექვსთვიანი წესის გამოყენების შესახებ. *მიტევი ბულგარეთის წინააღმდეგ* საქმეში (N40063/98, 2004 წლის 22 დეკემბერი) სასამართლომ დაადგინა:

„102. როდესაც ბრალდებული წინასწარ პატიმრობაშია ორი ან მეტი განცალკევებული დროის პერიოდით, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გონივრული ვადის გარანტია მოითხოვს კუმულაციური პერიოდის გლობალურ შეფასებას (*კემაში საფრანგეთის წინააღმდეგ* (N1 და N2), 1991 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A, N218, 44-ე პუნქტი; *მირონოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N30381/96, კომისიის 1998 წლის 1 დეკემბრის ანგარიში, 67-ე პუნქტი და *ვაკარო იტალიის წინააღმდეგ*, N41852/98, 2000 წლის 16 ნოემბერი, 31-33-ე პუნქტები).“

120. *მიტევის* საქმის შემთხვევაში განმცხადებელი ცალ-ცალკე, სამი ვადის განმავლობაში იყო წინასწარ პატიმრობაში: 1992 წლის 26 ნოემბრიდან 1993 წლის 11 იანვრამდე; 1993 წლის 26 ოქტომბრიდან 1994 წლის 8 აპრილამდე და 1994 წლის 5 აგვისტოდან 1997 წლის 23 ოქტომბრამდე პერიოდში. თუმცა საქმე აღიძრა 1997 წლის 23 ოქტომბერს და განმცხადებელი მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში თავისუფალი იყო, ექვსთვიანი წესი გამოყენებული არ ყოფილა:

„103. მოცემული საქმის განსაკუთრებულ გარემოებებში სასამართლოს არ უნდა გადაეწყვიტა, მხედველობაში მიეღო თუ არა თვენახევრიანი პერიოდის ხანგრძლივობის პირველი ვადა (1992 წლის 26 ნოემბერი - 1993 წლის 11 იანვარი), როდესაც განმცხადებელი სხვადასხვა ბრალდებით იქნა დაპატიმრებული. . . სასამართლო ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ შესაბამისი პერიოდი სულ ცოტა სამი წელი და რვა თვე იყო (1993 წლის 26 ოქტომბერი - 1994 წლის 8 აპრილი და 1994 წლის 5 აგვისტო - 1997 წლის 23 ოქტომბერი).“

121. სასამართლომ ეს მიდგომა ასევე გამოიყენა კოლექტიური ბულგარეთის წინააღმდეგ საქმეში (N [50326/99](#), 2005 წლის 28 აპრილი), სადაც მან წინასწარი პატიმრობის 4 განცალკევებული ვადა ერთობლიობაში შეაფასა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ვადა გავიდა სასამართლოში სამართალწარმოების დაწყებამდე ექვს თვეზე მეტი ხნით ადრე.

### (iii) ნოიმაისტერის საქმეში გამოყენებულ მიდგომაზე დაბრუნება

122. ამჟამად, სასამართლო დაუბრუნდა ნოიმაისტერის შემთხვევაზე გამოყენებულ მიდგომას. რამდენიმე საქმეში სასამართლომ გაითვალისწინა წინასწარი პატიმრობის ექვსთვიანი წესი. ეს საკითხი სასამართლომ გარკვეულწილად ბორდიკოვის საქმეში განიხილა.

123. აღნიშნულ შემთხვევაში განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა მოიცავდა ოთხ ვადას: 1. 1995 წლის 20 მარტს მისი დაპატიმრებიდან 1995 წლის 23 მარტამდე პერიოდს, როდესაც ის განთავისუფლდა; 2. 1998 წლის 29 აპრილს მისი ხელახლა დაპატიმრებიდან 1999 წლის 24 ივლისამდე პერიოდს, როდესაც ის გაათავისუფლეს გამოძიებამდე მისი პატიმრობის მაქსიმალური დასაშვები ვადის ამოწურვის გამო; 3. 1999 წლის 24 ივლისიდან, როდესაც ის ხელახლა დააპატიმრეს, 2000 წლის 24 იანვრამდე პერიოდს, როდესაც მას სასამართლომ მსჯავრი დაადო და დაუნესა პრობაციის ვადა და 4. 2001 წლის 13 სექტემბრიდან, როდესაც განმცხადებელი კვალავ იქნა წინასწარ დაპატიმრებული, 2003 წლის 1 ივლისამდე პერიოდს, სანამ მას მსჯავრი დაედებოდა.

124. პირველი პერიოდი არ შედიოდა სასამართლოს *ratione temporis* (კანონის მოქმედება დროში) კომპეტენციაში. ამ ექვსი თვის საკითხი განმცხადებლის პატიმრობის მეორე და მესამე ვადასთან მიმართებით წამოიჭრა. აღნიშნული 1999 წლის 24 ივლისსა და 2000 წლის 29 ნოემბერს დასრულდა. საქმე არ აღძრულა 2002 წლის 29 ნოემბრამდე.

125. სასამართლომ დაადგინა, რომ წინა საქმეების შემთხვევაში, პატიმრობის რამდენიმე ცალკე ვადის კუმულაციურად მხედველობაში მიღების მიზნით არ არსებობდა და განსაზღვრა, რომ ექვსთვიანი წესი ნოიმაისტერის მიდგომის გამოყენებას მოითხოვდა.

„80. იმ შემთხვევებში, როდესაც განმცხადებლებს შეეზღუდათ თავისუფლება სისხლის სამართლის საქმის წარმოებამდე გასაჩივრების ეტაპზე, სასამართლო ყოველთვის ერთობლიობაში განიხილავდა წინასწარი პატიმრობის რამდენიმე ცალკე პერიოდს და მიიჩნევდა, რომ ექვსთვიანი წესის ვადის დინება წინასწარი პატიმრობის ბოლო ვადის დასრულების შემდგომ უნდა დაწყებულიყო (იხ. სოლმანი თურქეთის წინააღმდეგ, N[27561/02](#), §§ 34-37, 2007 წლის 16 იანვარი).



81. სასამართლომ უკვე გამოიყენა ეს მიდგომა რამდენიმე საქმეში, როდესაც განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე არ იყო უწყვეტი, თუმცა მკაფიოდ არ მიუთითებია მიზეზები, რატომ გაითვალისწინა ეს პერიოდები კუმულაციურად (იხ. *ლეთელიე საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1991 წლის 26 ივნისი, § 34, სერია A N207; *სმირნოვა რუსეთის წინააღმდეგ*, N46133/99 და N48183/99, §66, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2003-IX (ამონარიდები) და *მიტევი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N40063/98, §102, 2004 წლის 22 დეკემბერი).

82. სასამართლო აღგენს, რომ წინა საქმეში მან განსხვავებული მიდგომა გამოიყენა (იხ. *ნოიმისტერი ავსტრიის წინააღმდეგ*, 1968 წლის 27 ივნისი, § 6, სერია A, N8). *ნოიმისტერის* საქმეში სასამართლოს არ დაუჯამებია, ან ერთიან ვადად არ მიუჩნევია განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ორი განცალკევებული ვადა, მათი ხანგრძლივობის გამოანგარიშების მიზნით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ვერ შეამოწმებდა, შეესაბამებოდა თუ არა განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის პირველი ვადა კონვენციას, იმის გათვალისწინებით, რომ მას საქმე არ აღუძრავს ექვსთვიანი ვადის ამონურვამდე იმ ვადის მხედველობაში მიღებით, რომელიც უკვე გასული იყო. სასამართლომ უბრალოდ აღნიშნა, რომ ის მხედველობაში მიიღებდა აღნიშნულ ვადას განმცხადებლის შემდგომი პატიმრობის მიზანშეწონილობის შესაფასებლად, რადგან პირველი ვადა ჩვეულებრივ გამოაკლდებოდა თავისუფლების აღკვეთის მომდევნო ვადას, თუ განმცხადებელს დამნაშავედ სცნობდნენ და თავისუფლების აღკვეთას შეუფარდებდნენ.

83. მოცემულ საქმეში ისევე, როგორც *ნოიმისტერის* საქმეში, განმცხადებლის პატიმრობა რამდენიმე არათანმიმდევრულ პერიოდად დაიყო. ის ორჯერ გაათავისუფლეს სასამართლო პროცესის განმავლობაში და თავისუფლებაში მყოფი მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ ბრალდებას ელოდებოდა. დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო გასული მისი წინასწარი პატიმრობის ვადებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის ვადები საბოლოოდ გამოაკლდა განმცხადებლის თავისუფლების აღკვეთის ვადას, განყენებულად ეს ფაქტი უფლებას არ აძლევს სასამართლოს, მისი პატიმრობა თანმიმდევრულად მიიჩნიოს. საპირისპიროს დადგენა ექვსთვიანი ვადის წესს მნიშვნელობას დაუკარგავდა.

84. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის საჩივრის ნაწილი, რომელიც მისი წინასწარი პატიმრობის მეორე და მესამე ვადებს შეეხებოდა (რომელიც დასრულდა 1999 წლის 24 ივლისსა და 2000 წლის 24 იანვარს), აღნიშნულ შემთხვევაში ვერ იქნებოდა განხილული.“

ამდენად, ექვსთვიანი ვადის წესის თანახმად, განმცხადებლის განაცხადის შეფასებისას, მისი წინასწარი პატიმრობის მხოლოდ მეოთხე პერიოდი იქნა სასამართლოს მიერ შესწავლილი კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიედვით.

126. ბორდიკოვის შემდეგ, სასამართლომ რამდენიმე საქმეში დაადგინა, რომ ის ვერ გაითვალისწინებდა წინასწარი პატიმრობის ვადებს, რომლებიც საქმის აღძვრამდე ექვს თვეზე მეტი ხნით ადრე დასრულდა (იხ. *ვლადიმირ კრივონოსოვი*, §127; *კოვალევა რუსეთის წინააღმდეგ*, N7782/04, §71, 2010 წლის 2 დეკემბერი და *სვეტლანა კაზმინა*, §85).

#### (iv) გამოსაყენებელი მიდგომის ჰარმონიზება

127. ზემოხსენებულის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ეხება ექვსთვიანი წესის გამოყენებისას არსებულ განსხვავებებს, წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის მიზანშეწონილობის შეფასების კონტექსტში, საჭიროებს გადანყვეტილების მიღებას იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა საქმეში გამოყენებულ იქნეს ერთიანი და პროგნოზირებადი მიდგომა, რომელიც მართლმსაჯულების მოთხოვნებს უკეთ ემსახურება.

128. იმთავითვე, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ექვსთვიანი ვადის წესი, რომლის საფუძველზეც ხელშემკვრელი მხარეები ცდილობენ, თავიდან აიცილონ წარსულში მიღებული გადანყვეტილებების გასაჩივრება განუსაზღვრელი ვადის გასვლის შემდეგ, ემსახურება სამართლებრივი სიცხადის ინტერესებს. ის გამოყოფს ზედამხედველობის დროებით ზომებს, რომლებიც კონვენციის ორგანოების მიერ ხორციელდება და როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე სახელმწიფო ორგანოებს ატყობინებს, რომ ამ სახის ზედამხედველობა ხელმისაწვდომი აღარ არის (იხ. *ვოლკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N34979/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-I).

129. იმ შემთხვევებში, როცა ბრალდებული პირის წინასწარი პატიმრობა დაყოფილია ცალ-ცალკე ვადებად და განმცხადებლებს უფლება აქვთ, გაასაჩივრონ წინასწარი პატიმრობა, ვიდრე თავისუფლები არიან, სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული ვადები არ უნდა იქნეს განხილული ერთობლიობაში, როგორც ეს *კემაშის* საქმეში მოხდა, არამედ განხილულ უნდა იქნეს ცალ-ცალკე, *ნოიმაისტერის* საქმეში გამოყენებული მიდგომის თანახმად, რომელიც შემდგომში *ბორდიკოვის* საქმეში განვითარდა. აღნიშნული მიდგომა, სასამართლოს შეხედულებისამებრ, უფრო სრულად შეესაბამება ზემოთ აღნიშნული ექვსთვიანი წესის მიზნებს.

130. ამიტომ, თავისუფლების პერიოდში, განმცხადებელი ვალდებულია საქმე აღძვრას წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით ფაქტობრივი გათავისუფლებიდან ექვსი თვის განმავლობაში. იქედან გამომდინარეობს, რომ წინასწარი პატიმრობის ვადები, რომელიც განმცხადებლის მიერ საქმის აღძვრამდე ექვსი თვით ადრე დასრულდა, ვერ იქნება შესწავლილი კონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით. თუმცა, როდესაც ასეთი პერიოდები წარმოადგენს

განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრული იმავე სისხლისსამართლებრივი საქმის შემადგენელ ნაწილს, სასამართლომ პატიმრობის საერთო მიზანშეწონილობის შეფასებისას, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის, უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა სასამართლო პროცესის ჩატარებამდე გარკვეული დრო წინასწარ პატიმრობაში გაატარა.

131. სასამართლო მიიჩნევს, რომ *ნოიმისტერის* მიდგომა კეთილსინდისიერად აუვასებს ხელშემკვრელი მხარეების განზრახვას ექვსთვიან წესთან მიმართებაში, თუმცა იმავედროულად მას ნებადართულად აცხადებს მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, რათა წინასწარი პატიმრობის მიზანშეწონილობის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნეს პატიმრობაში გატარებული დრო (ერთსა და იმავე სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებით). სასამართლო იმავე მიდგომას ირჩევს მე-6 მუხლით მოთხოვნილი „გონივრული ვადის“ შესახებ წარდგენილი საჩივრების შეფასების არგუმენტაციისას. ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი საჩივრის ნაწილი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული *ratione temporis* (კანონის მოქმედება დროში) და სასამართლოს უფლება არა აქვს, შეაფასოს ვადა, რომელიც მის კომპეტენციაში არ შედის. მიუხედავად მის კომპეტენციაში შემავალი ვადის შეფასებისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ სასამართლო საქმის განხილვა შესაბამისი მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის რატიფიცირებამდე იყო დაწყებული (იხ. *კუდლა*, § 123).

132. ამასთან, *ნოიმისტერის* მიდგომა სასამართლოს ანიჭებს მოქნილობის აუცილებელ ხარისხს განსხვავებული სიტუაციების სამართავად, რომლებიც წინასწარი პატიმრობის კონტექსტში შეიძლება წარმოიშვას. მაგალითად, თუ განმცხადებელი არაერთხელ იქნება წინასწარ დაპატიმრებული, თუნდაც დროის შედარებით მცირე პერიოდებით, სასამართლოს ხელი არ შეეშლება, დაადგინოს პატიმრობის წინა რამდენიმე ვადასთან მიმართებით საბოლოო ვადის ხანგრძლივობა - როგორი ხანმოკლეც არ უნდა იყოს იგი, არაგონივრულად.

133. საბოლოოდ, *ნოიმისტერის* მიდგომამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეროვნულ დონეზე სისხლის სამართლის პროცესების ოპერატიულად ჩატარებას. თუ წინასწარი პატიმრობის შესახებ საჩივარი წარდგენილია ისეთ ვითარებებთან მიმართებაში, როდესაც ამ პატიმრობის წინა ვადები წარმოადგენს სასამართლოში შეტანილი საჩივრის საგანს, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება იმ დროს, რომელიც პროკურატურის ორგანოებს სჭირდებათ ბრალდებულის სასამართლო პროცესზე მისაყვანად. კიდევ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევებში, ისინი უზრუნველყოფენ დეტალურ და გულმოდგინე განხილვის ჩატარებას და სათანადო და საკმარისი საფუძვლის არსებობას წინასწარი პატიმრობის ნებისმიერი ბრძანების გაცემამდე.

(v) მოცემულ საქმეზე წარდგენილი საჩივარი

134. მოცემულ საქმეში განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა დაიყო ორ ცალკე ვადად. თავდაპირველად, ის დააკავეს დაახლოებით ორი წლით და ერთი თვით გამოძიების დასრულებამდე. შემდეგ სახელისუფლებო ორგანოებმა გადაწყვიტეს, რომ გამოძიების დასრულებამდე მისი დაპატიმრება აუცილებელი აღარ იყო და გაათავისუფლეს. განმცხადებელი თავისუფალი იყო დაახლოებით წელიწადი და ოთხი თვე. ნებისმიერი საჩივარი მისი პატიმრობის პირველ ვადასთან დაკავშირებით შეტანილი უნდა ყოფილიყო მისი განთავისუფლებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

135. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს და ადგენს, რომ ექვსთვიანი წესი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ცალკე წინასწარი პატიმრობის თითოეული პერიოდისათვის. შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია განსაზღვროს, შეესაბამებოდა, თუ არა პირველი ვადა კონვენციას. განმცხადებლის საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, რადგან ვადის დარღვევითაა შეტანილი. თუმცა ფაქტი, რომ განმცხადებელმა უკვე დაჰყო დრო წინასწარ პატიმრობაში, სასამართლოს მიერ იქნება გათვალისწინებული წინასწარი პატიმრობის (2002 წლის 29 ოქტომბრიდან 2003 წლის 24 ნოემბრამდე) შესაბამისი ვადის გამამართლებელი, საკმარისი და შესაბამისი საფუძვლების შეფასებისას.

136. სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებლის მიერ შეტანილი საჩივარი 2002 წლის 29 ოქტომბრიდან 2003 წლის 24 ოქტომბრამდე მისი პატიმრობის შესახებ არ შეიძლება კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის მნიშვნელობით აშკარად უსაფუძვლოდ იქნეს მიჩნეული. ასევე აღნიშნავს, რომ იგი სხვა საფუძვლითაც არ არის დაუშვებელი, ამიტომაც დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (ა) ზოგადი პრინციპები

139. სასამართლო აღნიშნავს, რომ აბსტრაქტულად ვერ იქნება განხილული, გონივრულია თუ არა წინასწარი პატიმრობის ვადის ხანგრძლივობა და ბრალდებულის პატიმრობაში დარჩენა. აღნიშნული გარემოება უნდა შეფასდეს თითოეული საქმის ფაქტებზე დაყრდნობით და მათი სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. პატიმრობის გაგრძელება მოცემულ საქმეში შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჭეშმარიტად არსებობს საჭარო ინტერესი, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმციის მიუხედავად, გადაწონის ადამიანის თავისუფლების პატივისცემის წესს, რომელიც მოცემულია კონვენციის მე-5 მუხლში (იხ. კუდლა, §§ 110 და სხვ.).

140. გონივრული ეჭვის არსებობა, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა, წარმოადგენს პატიმრობის გაგრძელების კანონიერების



აუცილებელ პირობას. თუმცა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, აღნიშნული საკმარისი არ არის. ასეთ შემთხვევებში, სასამართლომ უნდა დაადგინოს, ასაბუთებს თუ არა თავისუფლების აღკვეთის გაგრძელებას სასამართლო ორგანოების მიერ მოყვანილი საფუძვლები. როდესაც ასეთი საფუძვლები „შესაბამისი“ და „საკმარისი“, სასამართლომ უნდა დაადგინოს, გამოიჩინეს თუ არა კომპეტენტურმა ეროვნულმა ორგანოებმა სამართალწარმოების პროცესის წარმართვისას „საკმარისი გულმოდგინება“ (იხ. *ლაბიტა*, §§ 152 და 153). სახელისუფლებო ორგანოებმა უნდა დაასაბუთონ პატიმრობის ნებისმიერი ვადა, მიუხედავად იმისა, რამდენად მოკლეა იგი (იხ. *შიშკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N38822/97, §66, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2003-I). იმ საკითხის გადასაწყვეტად, უნდა გათავისუფლდეს პირი თუ დარჩეს პატიმრობაში, სახელისუფლებო ორგანოები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ალტერნატიული ზომები მისი სასამართლო პროცესზე დასწრების უზრუნველსაყოფად (იხ. *იაბლონსკი პოლონეთის წინააღმდეგ*, N33492/96, § 83, 2000 წლის 21 დეკემბერი).

141. პირველ რიგში, პასუხისმგებლობა ეკისრებათ ეროვნულ სასამართლო ორგანოებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ გადააჭარბოს გონივრულ ვადას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპის გათვალისწინებით, საჯარო ინტერესის არსებობის სასარგებლო ან საწინააღმდეგო ფაქტები უნდა იქნეს შესწავლილი, რომელიც ამართლებს მე-5 მუხლში მოცემული წესიდან გადახვევას და მათი ასახვა უნდა მოხდეს გათავისუფლების განცხადებების შესახებ გადაწყვეტილებებში. სასამართლო, ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მოცემულ საფუძვლებსა და განმცხადებლის მიერ გასაჩივრებისას მოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით ადგენს, დაირღვა თუ არა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი (იხ. *მაქვი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N543/03, § 43, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2006-X).

### **(ბ) მოცემულ საქმეზე ამ პრინციპების გავრცელება**

142. განმცხადებელი 2002 წლის 29 ოქტომბერს პატიმრობაში იყო. მას სასამართლომ მსჯავრი დაადო 2003 წლის 24 ნოემბერს. თუმცა მხედველობაში მისაღებმა ვადამ გასტანა დაახლოებით წელიწადი და ერთი თვე.

143. სასამართლო ადგენს, რომ სასამართლო ორგანოებმა გააუქმეს განმცხადებელს გირაო, რათა გაეჭიანურებინათ სამართალწარმოება, რომელიც ეროვნული სასამართლოს მიერ იქნა აღქმული, როგორც სიმართლის დადგენისათვის ხელის შეშლის მცდელობა და წარმოადგენდა უპატივცემულობას სასამართლოს მიმართ (იხ. 30-ე პუნქტი). ამასთან დაკავშირებით, ისინი ასევე ეყრდნობოდნენ ბრალდებების სერიოზულობას (იხ. 32-36-ე პუნქტები).

144. სასამართლო ეჭვობს, რომ განმცხადებელმა სერიოზული სამართალდარღვევები ჩაიდინა, რომელთა გამოც წაუყენეს ბრალი; ეროვნულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მან სცადა მართლმსაჯულების აღსრულებაში ჩარევა თავისუფლებაში ყოფნის დროს. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით თავიდანვე შეიძლებოდა მისი დაპატიმრების დასაბუთება. თუმცა, სასამართლო დარწმუნებული არ არის, რომ ისინი წარმოადგენდნენ „შესაბამის და საკმარის“ საფუძვლებს განმცხადებლის პატიმრობის გაგრძელებისთვის, რადგან განმცხადებელი აღრეულ ეტაპზე უკვე დაპატიმრებული იყო დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთის განმავლობაში.

145. რაც შეეხება განმცხადებლის დაპატიმრების ვადის გაგრძელებას, აღმოჩნდა, რომ ეროვნული სასამართლოების თვალსაზრისით, ბრალდებების სიმძიმეს იმდენად პრიორიტეტული ძალა ჰქონდა, რომ არც ერთი სხვა გარემოება გარანტირებულად არ გამოიწვევდა განმცხადებლის გათავისუფლებას. სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ მართალია, განაჩენის სიმკაცრე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია იმის შეფასებისას, რამდენად არსებობს ბრალდებულის მიერ მიმალვის ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, თავისუფლების აღკვეთის გაგრძელების საჭიროება მხოლოდ აბსტრაქტული ვარაუდის გათვალისწინებით ვერ შეფასდება, სამართალდარღვევის სიმძიმედან გამომდინარე. გარდა ამისა, პირს პატიმრობა არ უნდა გაუგრძელდეს იმის გამო, რომ არსებობს საპატიმრო სასჯელის დაკისრების ალბათობა (იხ. *ლეთელიე საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1991 წლის 26 ივნისი, §51, სერია A, N207; ასევე *პანჩენკო რუსეთის წინააღმდეგ*, N45100/98, §102, 2005 წლის 8 თებერვალი; *გორალი პოლონეთის წინააღმდეგ*, N38654/97, §68, 2003 წლის 30 ოქტომბერი და *ილიკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ* N33977/96, § 81, 2001 წლის 26 ივლისი).

146. ამასთანავე, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნული სასამართლოები გამუდმებით არ ითვალისწინებდნენ განმცხადებლის არგუმენტებს, რომ მას გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მოსკოვში და ჰქონდა მყარი ოჯახური ურთიერთობა, არ გაქცევია მართლმსაჯულებას და სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ჭიანურდებოდა.

147. სასამართლომ არაერთხელ აღმოაჩინა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა, როდესაც ადგილობრივი სასამართლოები განმცხადებლის პატიმრობის ვადას აგრძელებდნენ მხოლოდ ბრალდებების სიმძიმეზე დაყრდნობით, იყენებდნენ სტერეოტიპულ ფორმულას მნიშვნელოვან ფაქტებზე მითითებების გარეშე და არ განიხილავდნენ ალტერნატიულ აღმკვეთ ზომებს (იხ. *ხუდობინი რუსეთის წინააღმდეგ*, N59696/00, 103-ე და შემდეგი პუნქტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2006- XII; *ხუდოიოროვი*, 172-ე და შემდეგი პუნქტები; *დოლგოვა რუსეთის წინააღმდეგ*, N11886/05, 38-ე და შემდეგი პუნქტები, 2006 წლის 2 მარტი; *როხლინა რუსეთის წინააღმდეგ*, N54071/00, 63-ე და შემდეგი პუნქტები,

2005 წლის 7 აპრილი; *პანჩენკო*, 91-ე და შემდეგი პუნქტები; *სმირნოვა რუსეთის წინააღმდეგ*, N46133/99 და N48183/99, 56-ე და შემდეგი პუნქტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2003-IX; *ტრეტიაკოვი უკრაინის წინააღმდეგ*, N16698/05, 59-ე პუნქტი, 2011 წლის 29 სექტემბერი და *ვასილკოსკი და სხვები ყოფილი იუგოსლავიის მაკედონიის რესპუბლიკის წინააღმდეგ* N28169/08, 64-ე პუნქტი, 2010 წლის 28 ოქტომბერი).

148. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტული ფაქტების მითითების ან ალტერნატიული „აღმკვეთი ზომების“ მიზანშეწონილობის განხილვის გარეშე, მხოლოდ ბრალდებების სიმძიმის თანახმად, სახელისუფლებო ორგანოებმა გაზარდეს განმცხადებლის წინასასამართლო პატიმრობის ვადა ისეთ საფუძვლებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუხედავად მათი შესაბამისობისა, ვერ იქნება მიჩნეული საკმარის ფაქტორად პატიმრობის ხანგრძლივობის გასამართლებლად.

149. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება დაპატიმრების კანონიერების, „თვითნებობისა“ და წინასწარი პატიმრობის მიზანშეწონილობის შესახებ. ხელახალი დაკავება და დაპატიმრება ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ კანონმდებლობას და თვითნებური იყო: დარღვევა.

წინასწარი პატიმრობა ემყარებოდა თითქოს შესაბამის საფუძვლებს, მაგრამ ვერ იქნებოდა მიჩნეული „საკმარისად“ აღნიშნულის ხანგრძლივობის დასასაბუთებლად: დარღვევა.

### საქმე „დუბინსკი რუსეთის წინააღმდეგ“

CASE OF DUBINSKIY v. RUSSIA

განაცხადი N48929/08

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2014 წლის 3 ივლისი

### სამართალი

#### I. კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

34. განმცხადებელი ჩიოდა, რომ 2008 წლის 1 აპრილს მისი ხელახალი დაკავება და დაპატიმრება ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის ეროვნულ საპროცესო წესებს, რომლებიც აშკარად კრძალავდა ერთი და იმავე პირის განმეორებით დაპატიმრებას სისხლის სამართლის იმავე საქმეზე ახალი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში. ის ეყრდნობოდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტს, რომელიც ამბობს:

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია:

(c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.

35. მთავრობამ გააპროტესტა აღნიშნული არგუმენტი. მათი აზრით, განმცხადებელი დააკავეს 2008 წლის 30 მარტს და დააპატიმრეს 2008 წლის 1 აპრილს სხვადასხვა სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფარგლებში. იმ დროს განმცხადებელს ბრალად ედებოდა უფრო სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა.



იგი ეხებოდა ასევე სხვა მსხვერპლსაც და აღნიშნული გამოძიებულ იქნა პოლიციის სხვა დეპარტამენტის მიერ.

36. განმცხადებელი ასაბუთებდა თავის პრეტენზიას. კერძოდ, იგი ამტკიცებდა, რომ ის პატიმრობაში პატიმრობის საფუძვლის გარეშე იყო. გამომძიებლის მიერ წარდგენილი ინფორმაცია, რომლითაც ასაბუთებდა განმცხადებლის პატიმრობაში დატოვების მიზანშეწონილობას, არ იქნა გადამოწმებული, და სასამართლოს მიერ ვერ იქნება გათვალისწინებული ამ საკითხის გადანყვეტისას.

## ბ. საქმის არსებითი გარემოებები

### 1. ზოგადი პრინციპები

38. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლი, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას იცავს. კონვენციის თანახმად, ამ უფლებას „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება (იხ. *დე ვილდე, ომსი და ვერსიპი ბელგიის წინააღმდეგ*, 1971 წლის 18 ივნისი, § 65, სერია ა, N12; *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ*, [N71503/01](#), § 169, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2004-II და *ლადენტი პოლონეთის წინააღმდეგ*, [N11036/03](#), § 45, 12008 წლის 18 მარტი).

39. ყველა პირს გააჩნია უფლება, არ შეეზღუდოს თავისუფლება ან არ გაუგრძელდეს თავისუფლების აღკვეთა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მე-5 მუხლის პირველ პუნქტშია ასახული (იხ. *მედვედევი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, [N3394/03](#), § 77, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2010). როდესაც დაპატიმრების „კანონიერება“ განსახილველი, იმ საკითხის ჩათვლით, დაცულია, თუ არა „კანონით გათვალისწინებული პროცედურა“, კონვენცია ძირითადად ეროვნულ სამართალზე მიუთითებს. იგი იმავდროულად მოითხოვს, რომ თავისუფლების ნებისმიერი აღკვეთა ემსახურობდეს მე-5 მუხლის მიზანს, კერძოდ, დაიცვას პირი თვითნებობისგან (იხ. *ბოზანო საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1986 წლის 18 დეკემბერი, §54, სერია ა, N111 და *კაფკარისი კვიპროსის წინააღმდეგ*, [N21906/04](#), §116, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2008 წ.).

40. არც ერთი თვითნებური დაპატიმრება არ შეესაბამება მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს და ამ კონტექსტში „თვითნებობის“ ცნება ცდება ეროვნულ სამართალთან შეუსაბამობის ფარგლებს, რადგან სასამართლოს მანამდე არ ჩამოუყალიბებია ყოვლისმომცველი განმარტება, რომლის თანახმად, სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან რა სახის ქმედებები შეიძლება იქნეს მიჩნეული „თვითნებობად“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის. ძირითადი პრინციპები ყოველი კონკრეტული საქმის საფუძველზე ჩამოყალიბდა. უფრო მეტიც, მე-5 მუხლის კონტექსტში თვითნებობის ცნება კონკრეტული პატიმრობის ტიპის მიხედვით გარკვეულწილად განსხვავდება. სასამართლოს პრეცედენტულ

სამართალში არსებული ზოგადი პრინციპის მიხედვით, რომ დაპატიმრება ჩაითვლება „თვითნებურად“, როდესაც ეროვნულ სამართალთან შესაბამისობის მიუხედავად, სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან სახეზეა არაკეთილსინდისიერება ან ტყუილი (იხ. *მოორენი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N11364/03, §§ 77-78, 2009 წლის 9 ივლისი).

## 2. აღნიშნულ საქმეზე მოცემული პრინციპების გავრცელება

41. მოცემული საქმის მიხედვით, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებელი დააკავეს 2008 წლის 28 მარტს, როდესაც მის ავტოფარეხში მოპარული მანქანა იპოვეს. 2008 წლის 30 მარტს ოპოჩკას რაიონულმა სასამართლომ უარი თქვა განმცხადებლის დაპატიმრებაზე მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში და უარყო გამოძიების არგუმენტი, რომ განმცხადებელი შეიძლება მიმალულიყო, გაეგრძელებინა დანაშაულებრივი საქმიანობა, ზენოლა განეხორციელებინა მონშეებზე ან სხვაგვარად ჩარეულიყო სამართალწარმოების განხორციელების პროცესში. სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, განმცხადებელი არ გათავისუფლებულა. აღნიშნულის ნაცვლად, პოლიციის სხვა დეპარტამენტის გამოძიებელმა ის დააპატიმრა სხვა მანქანის ქურდობაში მონაწილეობის ეჭვის საფუძველზე და თავისუფლების აღკვეთის მოთხოვნა ძირითადად დააფუძნა იმავე საფუძველებზე, რასაც მანამდე მისი კოლეგა ამტკიცებდა და განმცხადებლის დაპატიმრების თხოვნით სხვა სასამართლოს მიმართა. 2008 წლის 1 აპრილს დედოვიჩის საოლქო სასამართლომ მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. საქმეები, რომლებიც ორი მანქანის ქურდობას ეხებოდა, 2008 წლის ივლისში გაერთიანდა.

42. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ განმცხადებლით დაინტერესებულნი იყვნენ რუსეთის სახელისუფლებო ორგანოები პოლიციის რეგიონული დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ კომპლექსურ გამოძიებასთან დაკავშირებით, რომელიც თსკოვის რეგიონში ძარცვასა და მანქანის ქურდობაში მონაწილე ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლას ეხებოდა. განმცხადებელი ეჭვმიტანილი იყო დაჯგუფების კოორდინირებასა და დაჯგუფების წევრებს შორის შუამავლობაში. ჯერ კიდევ 2007 წელს, განმცხადებლის პირველ დაპატიმრებამდე რვა თვით ადრე, რომელიც 2008 წლის 28 მარტს განხორციელდა, რეგიონულმა სასამართლომ მისი ტელეფონის მოსმენა, სახლის გაჩხრეკა და მისი საკომუნიკაციო საშუალებების მოსმენა კანონიერად მიიჩნია. ფაქტობრივად, ორი მანქანის ქურდობის ჩადენისას განმცხადებელზე პოლიცია საგულდაგულო მეთვალყურეობას ახორციელებდა. ქურდობის ჩადენის მომენტში მისი მობილური ტელეფონის მოსმენა ხდებოდა. ასეთი გზით მოპოვებული ინფორმაცია მოგვიანებით სასამართლო პროცესზე მის წინააღმდეგ მტკიცებულებად იქნა გამოყენებული.

43. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ 2008 წელს განმცხადებლის დაპატიმრებისას, მის წინააღმდეგ არსებობდა დე-ფაქტო, მხოლოდ ერთი, თუმცა კომპლექსური ხასიათის სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც კოორდინირებას რეგიონული პოლიციის დეპარტამენტის სპეციალიზებული განყოფილება უწევდა. მართალია, განმცხადებელს ბრალად დაედო ორი მანქანის ქურდობა, რომელიც ჩადენილ იქნა ფსკოვის რეგიონის სხვადასხვა ქალაქში და აღნიშნული ინფორმაცია წარედგინა პოლიციის შესაბამის ადგილობრივ განყოფილებებს, სასამართლო ვერ დაეთანხმება მთავრობის არგუმენტს, რომ განმცხადებლის ხელახალი დაკავება და დაპატიმრება 2008 წლის 1 აპრილს სრულიად დამოუკიდებელი სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფარგლებში განხორციელდა, რასაც განმცხადებლის თავდაპირველ დაპატიმრებასა და გათავისუფლებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. სასამართლოს თვალსაზრისით, სახელისუფლებო ორგანოების ძალისხმევა გამიზნული იყო მანქანების ქურდობის გამოსაძიებლად იმავე გამოძიების განმავლობაში, რაც საწინააღმდეგოს ადასტურებს.

44. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელი 2008 წლის 1 აპრილს იმავე სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფარგლებში დააპატიმრეს, რომელიც საფუძვლად დაედო უფლებამოსილი სასამართლოს 2008 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად განმცხადებლის პატიმრობიდან აღრე განთავისუფლებას.

45. ეროვნული სისხლის სამართლის საპროცესო წესების თანახმად, საგამოძიებო ორგანოებს უფლება არა აქვთ, დააპატიმრონ ეჭვმიტანილი ახალი გარემოებების დამამტკიცებელი საფუძვლების არარსებობისას, წარადგინონ განმეორებითი შუამდგომლობა მისი დაპატიმრების შესახებ, რადგან სასამართლომ არ ცნო მათი პირველი შუამდგომლობა; სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის მონაწილეობა ორი მანქანის ქურდობაში ცნობილი იყო სახელისუფლებო ორგანოებისათვის მათ მიერ 2008 წლის 30 მარტს განმცხადებლის დაპატიმრების შესახებ პირველად გაკეთებულ შუამდგომლობამდე. უცნობი მიზეზების გამო, მთავრობას ამ საკითხთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება არ წარუდგენია, საგამოძიებო ორგანოებმა არჩიეს, არ გაემუღავნებინათ ეს ინფორმაცია ოპოჩკას საოლქო სასამართლოს მოსამართლისთვის. ფაქტების გაუმუღავნებლობამ უფლებამოსილება მიანიჭა ორგანოებს, რომ შეედგინათ „ახალი საქმე“ განმცხადებლის წინააღმდეგ, რათა მისი წინასწარი პატიმრობის უფლება სხვა სასამართლოს წინაშე მოეპოვებინათ.

46. სასამართლოს მოვალეობა არ არის პროკურატურის ორგანოების მიერ არჩეული სტრატეგიის შეფასება. თუმცა მოცემულ საქმეში სიტუაცია ქმნის მყარ შთაბეჭდილებას, რომ სახელისუფლებო ორგანოებმა ნებისმიერ ფასად გამოიყენეს სასამართლოსათვის 2008 წლის 1 აპრილს წარდგენილი მეორე შუამდგომლობა

განმცხადებლის წინასწარი დაპატიმრების უზრუნველსაყოფად, თავი აარიდეს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც მათ გათავისუფლების უფლებამოსილებას ანიჭებდა და თავიდან აიცილეს გამოსაყენებელი სამართლის დებულებებთან შესაბამისობა.

47. განმცხადებლის სიტუაცია 2008 წლის 30 მარტს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ იქნა განხილული, რომელმაც ვერ მონახა საფუძვლები განმცხადებლის თავისუფლების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი გამოძიების დროს. სასამართლოს აზრით, აშკარაა, რომ სიტუაცია არ შეცვლილა ორი დღის განმავლობაში, როცა განმცხადებელი პატიმრობაში იყო. შესაბამისად, სასამართლო აღგენს, რომ საგამოძიებო ორგანოების მიერ სხვა სასამართლოსათვის წარდგენილი მეორე შეამდგომლობა განმცხადებლის დაპატიმრების თაობაზე სხვა არაფერი იყო, თუ არა სასამართლოს შერჩევის მცდელობა, რომელმაც მართლმსაჯულების აღსრულება გააუარესა. ასეთი ქმედებები მკაფიოდაა აკრძალული ეროვნული სამართლით და შესაბამისად, ასაბუთებენ იმ დასკვნას, რომ 2008 წლის 1 აპრილს განმცხადებლის დაპატიმრება არ იყო „კანონიერი“ ან „კანონით გათვალისწინებულ პროცედურასთან შესაბამისი“. ფაქტი, რომ დედოვიჩის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ იცოდა აღნიშნული სიტუაციის შესახებ და არაფერი მოიმოქმედა მის გამოსასწორებლად, სასამართლოს სერიოზული შეშფოთების საგანია.

48. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო აღგენს, რომ ფორმა, რომლითაც ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა უზრუნველყვეს განმცხადებლის დაპატიმრება 2008 წლის 1 აპრილს განმცხადებლის განთავისუფლების შესახებ სასამართლოს 2008 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების მიუხედავად, ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ კანონმდებლობას და იყო თვითნებური. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

## II. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საგარეულო დარღვევა

49. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი წინასწარი პატიმრობა არაგონივრულად ხანგრძლივი იყო. ის ეყრდნობოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ:

„ამ მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ ყველა პირს . . . უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით“.

50. მთავრობამ გააპროტესტა ეს არგუმენტი. მან განაცხადა, რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-



3 პუნქტს მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის სირთულის გათვალისწინებით.

51. განმცხადებელი ასაბუთებდა თავის საჩივარს. ის აცხადებდა, რომ ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ დაასაბუთეს ხანგრძლივი წინასწარი პატიმრობის მიზანშეწონილობა. მისი წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივებისას, ისინი ეყრდნობოდნენ სტანდარტულ და ტრაფარეტულ მსჯელობას სიტუაციის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინების გარეშე.

## ბ. საქმის არსებითი გარემოებები

### 1. მხედველობაში მისაღები პერიოდი

53. სასამართლო, აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წინასწარი პატიმრობის განსაზღვრისას, მხედველობაში მისაღები ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც ეჭვმიტანილს აპატიმრებენ და სრულდება იმ დღეს, როდესაც მას ბრალი შეეფარდება, თუნდაც მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ან როდესაც განმცხადებელი თავისუფლდება პატიმრობიდან მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას (იხ. *ვემპოფი ვერმანიის წინააღმდეგ*, 1968 წლის 27 ივნისი, § 9, სერია A, N 7; *ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ*, N26772/95, §§ 145 და 147, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2000-IV და *ჯესიუსი ლიტვის წინააღმდეგ*, N34578/97, §44, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2000-IX).

54. უფრო მეტიც, კონვენციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტსა და იმავე მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტს შორის არსებითი კავშირის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირი ვერ ჩაითვლება დაპატიმრებულად „მისი უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით სამართალდარღვევის ჩადენის გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში“, ის არის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „a“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პოზიციაში, რომელიც იძლევა თავისუფლების აღკვეთის უფლებას „უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრის დადების შემდეგ“ (იხ. *პანჩენკო რუსეთის წინააღმდეგ*, N45100/98, §§ 91 და 93, 2005 წლის 8 თებერვალი).

55. წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის შეფასებისას, როდესაც განმცხადებლები დაპატიმრებულნი იყვნენ გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და აღკვეთილი ჰქონდათ თავისუფლება სააპელაციო ინსტანციაში სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისას, სასამართლო წინასწარი პატიმრობის ამ სახის რამდენიმე ვადას მუდმივად ერთობლიობაში განიხილავდა და მიიჩნევდა, რომ ექვსთვიანი წესის გამოყენება უნდა დაწყებულიყო მხოლოდ წინასწარი პატიმრობის ბოლო პერიოდის დასრულებიდან (იხ. *სოლმაზი*

თურქეთის წინააღმდეგ, N27561/02, §§ 34-37, 2007 წლის 16 იანვარი და იტალიის წინააღმდეგ, N5826/03, § 125, 2012 წლის 22 მაისი).

56. შესაბამისად, მოცემულ საქმეში გასათვალისწინებელი პერიოდი მოიცავს ორ ვადას: 1. 2008 წლის 28 მარტიდან, როდესაც განმცხადებელი დააკავეს, 2009 წლის 3 ივნისამდე პერიოდს, როდესაც მას მსჯავრი დაედო სისხლის სამართლის პირველი ინსტანციის სასამართლოში; 2. 2009 წლის 26 აგვისტოდან, როდესაც განმცხადებელს მსჯავრი მოეხსნა სააპელაციო სასამართლოში, 2009 წლის 21 სექტემბრამდე პერიოდს, როდესაც განმცხადებელი გაათავისუფლეს ხელმეორე სასამართლო პროცესამდე.

57. აქედან გამომდინარე, მოცემულ საქმეში მხედველობაში მისაღებმა პატიმრობის ვადამ ერთად, დაახლოებით, წელიწადი და სამი თვე შეადგინა.

## 2. ზოგადი პრინციპები

58. სასამართლო აღნიშნავს, რომ აბსტრაქტულად ვერ შეფასდება, არის თუ არა წინასწარი პატიმრობის ვადაში გატარებული დრო გონივრული. არის თუ არა გონივრული ბრალდებულისათვის პატიმრობაში დარჩენა, უნდა შეფასდეს საქმის ფაქტებისა და სპეციფიკური გარემოებების საფუძველზე. უწყვეტი პატიმრობა მოცემულ საქმეში გამართლებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჭეშმარიტად არსებობს საჯარო ინტერესი, რომელიც მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმეციისა, გადაწონის პირადი თავისუფლების პატივისცემას, რაც მოთხოვნილია კონვენციის მე-5 მუხლით (იხ. *კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ*, N30210/96, §§ 110 და სხვა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2000-XI).

59. გონივრული ეჭვის არსებობა, რომ დაპატიმრებულმა პირმა სამართალდარღვევა ჩაიდინა აუცილებელი პირობაა უწყვეტი დაპატიმრების კანონიერებისთვის. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ეს საკმარისი არ არის. ასეთ შემთხვევებში, სასამართლომ უნდა დაადგინოს, ამართლებს თუ არა თავისუფლების აღკვეთას სასამართლო ორგანოების მიერ დასახელებული სხვა საფუძვლები. როდესაც ასეთი საფუძვლები „შესაბამისი“ და „საკმარისია“, სასამართლომ ასევე უნდა დაადგინოს, გამოიჩინეს თუ არა უფლებამოსილმა ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა „სათანადო გულმოდგინება“ პროცესის წარმოებისას (იხ. *ლაბიტა*, §§ 152 და 153). პატიმრობის ნებისმიერი ვადის დასაბუთება, რამდენად მოკლეც არ უნდა იყოს, დამატურებლად უნდა იქნეს დამტკიცებული სახელისუფლებო ორგანოების მიერ (იხ. *შიშკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N38822/97, § 66, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2003-I (ამონარიდები)). როდესაც ეროვნული სახელისუფლებო ორგანოები გადანწყვეტილებას იღებენ იმის თაობაზე, უნდა გათავისუფლდეს თუ პატიმრობაში დარჩეს პირი, სახელისუფლებო ორგანოები ვალდებული არიან,

გაითვალისწინონ ალტერნატიული ზომების მიზანშეწონილობა მის სასამართლო პროცესზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად (იხ. *იაბლონსკი პოლონეთის წინააღმდეგ*, N33492/96, § 83, 2000 წლის 21 დეკემბერი).

60. პირველ რიგში, ეროვნულ სასამართლო ორგანოებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ უზრუნველყონ, მოცემულ საქმეში ბრალდებულის წინასწარმა პატიმრობამ არ გადააჭარბოს გონივრულ ხანგრძლივობას. ამ მიზნით მათ უდანაშაულობის პრეზუმეციის პრინციპის სათანადოდ გათვალისწინებით, უნდა შეათვასონ საჯარო ინტერესის არსებობის სასარგებლო ან საწინააღმდეგო ფაქტები, რომლებიც გაამართლებდნენ მე-5 მუხლში მოცემული წესიდან გადახვევას და მათ ასეთი საფუძვლები უნდა ასახონ განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებაში. სასამართლო სწორედ გადაწყვეტილებებში ასახულ არგუმენტებსა და განმცხადებლის სარჩელში მოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით ადგენს, ჰქონდა თუ არა ადგილი მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას (იხ. *მაკეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N543/03, § 43, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2006-X).

### 3. მოცემულ საქმეზე ამ პრინციპების გავრცელება

61. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის დაპატიმრება 2008 წლის 1 აპრილს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საწინააღმდეგოდ მოხდა. შესაბამისად, საკითხი შეიძლება დაისვას, საჭიროა თუ არა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განმცხადებლის მიერ აღძრული საჩივრების შემოწმება (იხ. *პალადი მოლდოვას წინააღმდეგ*, N39806/05, §§ 76-77, 2009 წლის 10 მარტი, იხ. შესაბამისი ცვლილებებით (*mutatis mutandis*), *ლევინტა მოლდოვას წინააღმდეგ* (N2), N50717/09, §41, 2012 წლის 17 იანვარი). მხედველობაში იქნა მიღებული: 1) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის აღმოჩენის განსაკუთრებული მიზეზები, კერძოდ, თვითნებური ქცევა, რომლითაც ეროვნული ორგანოები უზრუნველყოფდნენ დაპატიმრებას და 2) ფაქტი, რომ განმცხადებელმა წელიწადი და სამი თვე პატიმრობაში გაატარა მის წინააღმდეგ ბრალდებების განსაზღვრის მოლოდინში; სასამართლო აღნიშნულ საკითხს დადებითად პასუხობს.

62. შესაბამისად, სასამართლო შეისწავლის, ეყრდნობოდნენ თუ არა სასამართლო ორგანოები „შესაბამის“ და „საკმარის“ საფუძვლებს განმცხადებლის დაპატიმრების დასასაბუთებლად და გამოიჩინეს, თუ არა „სათანადო გულმოდგინება“ სასამართლო პროცესის წარმართვისას.

63. განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა მოიშველიეს მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების სერიოზულობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიუთითებდნენ მის მიერ სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენისა და მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის რისკზე. ასევე აღნიშნეს, რომ მას

შეძლო მოწმეებსა და სასამართლო პროცესის სხვა მხარეებზე ზეწოლის მოხდენა, მტკიცებულების განადგურება ან მართლმსაჯულების აღსრულებაში სხვაგვარად ჩარევა. და ბოლოს, მათ დაასახელეს რისკი, რომ ის გაიქცეოდა ან განაგრძობდა დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობას.

64. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია, შესატარებელი სასჯელის სიმძიმე გათვალისწინებული უნდა იქნეს განმცხადებლის მიმალვის ან სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის რისკის შეფასებისას, თავისუფლების აღკვეთის გაგრძელების საჭიროება ვერ შეფასდება მხოლოდ აბსტრაქტული თვალსაზრისით, ანუ მხოლოდ სამართალდარღვევის სერიოზულობის მხედველობაში მიღებით. ვერც საპატიმრო სასჯელის დაკისრების ალბათობა ვერ იქნება გამოყენებული თავისუფლების აღმკვეთი ზომის ვადის გაგრძელების დასაბუთებად (იხ. *ლეთელიე საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1991 წლის 26 ივნისი, § 51, სერია A, N207; *პანჩენკო*, § 102; *ილიაკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N33977/96, § 81, 2001 წლის 26 ივლისი და *გორალი პოლონეთის წინააღმდეგ* N38654/97, § 68, 2003 წლის 30 ოქტომბერი).

65. სასამართლო ეთანხმება, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებში, რისკი იმისა, რომ დაპატიმრებული ზეწოლას განახორციელებს მოწმეებზე ან სხვაგვარად შეუშლის ხელს სამართალწარმოებას თუ გათავისუფლებული იქნება, ხშირად საკმაოდ მაღალია. ყველა ამ ფაქტორმა შეიძლება გაამართლოს წინასწარი პატიმრობის შედარებით გრძელი ვადის არსებობა, თუმცა სახელისუფლებო ორგანოებს არ აძლევს შეუზღუდავ უფლებამოსილებას, გაახანგრძლივონ ეს აღმკვეთი ზომა (იხ. *ოსუჩი პოლონეთის წინააღმდეგ*, N31246/02, § 26, 2006 წლის 14 ნოემბერი და *სელეიევსკი პოლონეთის წინააღმდეგ*, N17584/04, §§ 37-38, 2006 წლის 4 მაისი). ფაქტი, რომ პირს ბრალად ედება შეთქმულების მოწყობა სამართალდარღვევის ჩასადენად, თავისთავად საკმარისი არ არის ასეთი ხანგრძლივი ვადით პატიმრობის გასამართლებლად. მისი პირადი გარემოებები და ქცევა ყოველთვის უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული (იხ. *სიზოვი რუსეთის წინააღმდეგ*, N33123/08, § 53, 2011 წლის 15 მარტი).

66. რაც შეეხება ეროვნული სასამართლო ორგანოების მიერ წამოჭრილ არგუმენტს, რომ განმცხადებელს შეიძლება ზეწოლა მოეხდინა მოწმეებზე, ან სხვა სახით შეეშალა ხელი მართლმსაჯულების მიმდინარეობისთვის, სასამართლო მოცემულ საქმეში ვერ ხედავს ვერანაირ ნიშნებს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა რაიმე სახით გადაამოწმეს, განმცხადებელმა სცადა თუ არა მოწმეების დაშინება ან სასამართლო პროცესში სხვაგვარად ჩარევა. ამ შემთხვევებში სასამართლო ვერ გაიზიარებს იმ არგუმენტს, რომ მართლმსაჯულების აღსრულებაში ჩარევის რისკი არსებობდა. უფრო მეტიც, ასეთი რისკი თანდათან მცირდებოდა, რადგან მიმდინარეობდა მოწმეების დაკითხვა და სასამართლო პროცესი გრძელდებოდა



(იხ. მიგურკა პოლონეთის წინააღმდეგ, N39437/03, § 51, 2006 წლის 4 მაისი). ამიტომ, სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ განმცხადებლის პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში არსებობდა უტყუარი მიზეზები, რომელთა გამო შეიძლება მიჩნეულიყო, რომ იგი ზენოლას განახორციელებდა მოწმეებზე, ან სხვაგვარად შეუშლიდა ხელს საქმის გამოძიებას; დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობდა იმგვარი მიზეზები, რომლებიც გადანონიდა განმცხადებლის უფლებას მისი საქმის გონივრულ ვადაში სასამართლოს მიერ განხილვაზე, ან სასამართლო პროცესის ჩატარებამდე განთავისუფლებაზე.

67. რაც შეეხება იმ რისკის არსებობას, რომ განმცხადებელი შეიძლება მიმალვას, სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთი საფრთხე ვერ შეფასდება მხოლოდ შესაფარდებელი სასჯელის სიმძიმის საფუძველზე. ის უნდა შეფასდეს სხვა შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებმაც ან უნდა დაადასტურონ მიმალვის საფრთხის არსებობა, ან იმდენად ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნიონ ასეთი საფრთხე, რომ ამან ვერ გაამართლოს წინასწარი პატიმრობა (იხ. პანჩენკო, § 106 და ლეტელიე , § 43). მოცემულ საქმეში ეროვნულ სახელისუფლებო ორგანოებს არ დაუსაბუთებიათ, რატომ მიიჩნიეს განმცხადებლის მიმალვის რისკი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ. სასამართლო ვერ დაეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ამ რისკის არსებობა ნამდვილად დადგინდა.

68. მსგავსად ზემოხსენებულისა, სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ ვარაუდი, თითქოს განმცხადებელი გააგრძელებდა დანაშაულებრივ საქმიანობას, დასაბუთებული იყო. სასამართლომ მთავრობის მიერ წარდგენილ მასალებში ვერ მოიძია მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ ამ მოსაზრებას.

69. აგრეთვე, სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ ვადაში ეროვნული სასამართლოების მიერ განმცხადებლის დაპატიმრებასთან დაკავშირებით მიღებული გადანწყვეტილებები ჩამოყალიბებულია ერთნაირი სტანდარტული და შეჯამებული ფორმით.

70. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელისუფლებო ორგანოებმა მხოლოდ ბრალდების სიმძიმეზე დაყრდნობითა და საქმის სპეციფიკური გარემოებებით გადანწყვეტილებების დასაბუთების გარეშე, ან ალტერნატიული პრევენციული ზომების მიზანშეწონილობის განხილვის გარეშე გააგრძელეს განმცხადებლის პატიმრობა იმ საფუძველით, რომელიც მიუხედავად მათი შესაბამისობისა, ვერ იქნება მიჩნეული საკმარის მიზეზად, რათა სასამართლომ ერთი წლისა და სამი თვის ხანგრძლივობით თავისუფლების შეზღუდვა გაამართლოს. ამ შემთხვევებში, სასამართლოს არ მიაჩნია აუცილებლად შეაფასოს, იქცეოდნენ თუ არა ეროვნული სახელისუფლებო ორგანოები „სათანადო გულმოდგინებით“. გამოიჩინეს თუ არა ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა „სათანადო ყურადღება“.

71. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიუკერძოებლობის თაობაზე.  
ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში ისეთი ნაფიცი მსაჯულის ყოფნა, რომელიც იცნობდა დაზარალებულს და დაახასიათა იგი: დადგინდა დარღვევა.

**საქმე „კრისტიანსენი ნორვეგიის წინააღმდეგ“**

**CASE OF KRISTIANSEN v. NORWAY**

**განაცხადი N1176/10**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2015 წლის 17 დეკემბერი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ განაცხადში განმცხადებელი გამოთქვამს პრეტენზიას კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, რომ სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში, რომლის მიხედვითაც მას ბრალად ედება გაუპატიურების მცდელობა, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ერთ-ერთი წევრი მიუკერძოებელი იყო. სამართალწარმოების დროს, აღნიშნულმა ნაფიცმა მსაჯულმა სხდომის თავმჯდომარეს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ის წარსულში იცნობდა დაზარალებულს. მიუხედავად იმისა, რომ მას „ჩამოუყალიბდა დაზარალებულის მიმართ აზრი მრავალი წლის წინ, და იმ პერიოდში იცნობდა მას, როგორც წყნარ და მშვიდ პიროვნებას“. უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნულს არ შეეძლო მისი ბრალეულობის შეფასებაზე გავლენის მოხდენა.

### **სამართალი**

#### **კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საგარაუდო დარღვევა**

25. განაცხადი ეფუძნებოდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, რომ უმაღლესი სასამართლოს საქმის განხილვაში ჯ.-ს მონაწილეობის და შემდგომში უზენაესი სასამართლოს მიერ მისი სააპელაციო საჩივარის არდაკმაყოფილების გამო, მან ვერ ისარგებლა მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ ჩატარებული სამართლიანი საქმის განხილვის უფლებით. განსახილველი საქმის ნაწილში, აღნიშნული დებულება იკითხება შემდეგნაირად:

„...წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...“

26. ხელისუფლება დაუპირისპირდა აღნიშნულ არგუმენტს.

## საქმის არსებითი გარემოებები

### 1. მხარეთა არგუმენტები

#### (ა) განმცხადებელი

28. განმცხადებლის აზრით, ის ფაქტი, რომ დაზარალებული და ნაფიც მსაჯულ ჯ.-ს შვილობილი კლასელები იყვნენ ასევე ის ფაქტი, რომ ის ხშირად სტუმრობდა ჯ.-ს სახლში დაბადების დღის წვეულებებზე და დაზარალებული დადიოდა კლასის ექსკურსიებზე რომელზეც ჯ.-ც იმყოფებოდა მშობლის რანგში აჩვენებს, რომ ჯ.-ს და დაზარალებულს ურთიერთიერთობა ჰქონდათ წლების მანძილზე და აღნიშნული დადებით მოვლენებთან იყო დაკავშირებული. მათ ბოლო კონტაქტი რამოდენიმე წლის წინ ჰქონდათ. ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი, ასევე ჯ.-ს განცხადების შინაარსი და დათარიღება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ლეგიტიმურ საფუძველს იძლეოდა მის მიუკერძოებლობაში ეჭვის შესატანად. ამასთან დაკავშირებით, განმცხადებელი ძირითადად უზენაესი სასამართლოს უმცირესობას ეთანხმებოდა. საკითხი არ მდგომარეობდა იმაში, თუ რას გულისხმობდა რეალურად ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის წევრი ფაქტობრივი განცხადებით, არამედ რამდენად გონივრულად იქნებოდა აღქმული იგი ბრალდებულის და სხვა დამსწრეების მიერ. როგორც უმცირესობა აღნიშნავს, დროს, თუ როდის გაკეთდა აღნიშნული განცხადება, დიდი მნიშვნელობა აქვს. დაზარალებულისა და ბრალდებულის მიერ ზეპირი ჩვენების მიცემის შემდგომ ჯ.-მ აცნობა სხდომის თავმჯდომარეს თავისი და დაზარალებულის წარსული ნაცნობობის შესახებ. მან განაცხადა, რომ დაზარალებულის მიმართ აზრი მრავალი წლის წინ ჩამოუყალიბდა და იმ პერიოდში მას იცნობდა, როგორც „წყნარ და მშვიდ პიროვნებას“.

29. განმცხადებელი დაეთანხმა უზენაესი სასამართლოს უმცირესობას, ე-ნ ჯ.-ს მიერ დაზარალებულზე წარმოთქმული მოსაზრების აღქმასთან დაკავშირებით.

30. განმცხადებელმა დაამატა, რომ თუ მისი აზრი აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით სიმართლეს შეესაბამებოდა (რომ სექსუალური ხასიათის კონტაქტი ნებაყოფლობითი იყო), ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ დაზარალებული საკუთარი მეგობარი მამაკაცის ერთგული არ იყო. ჯ.-ს კომენტარი დაზარალებულთან მიმართებით („წყნარი და მშვიდი პიროვნება“) ადვილი შესაძლებელია, იმ მომენტის დახასიათებად აღქმულიყო მათთვის, ვინც შეესწრო ამ დახასიათებას, და შესაძლოა ეფიქრათ, რომ იგი შეუძლებელია, ყოფილიყო მოღალატე, ხოლო განმცხადებლის ვერსია შესაბამისად, არ იქნებოდა სიმართლე.

31. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ არა მხოლოდ დაცვის მხარის ადვოკატი, არამედ ადვოკატის თანამემწეც რომელიც დაზარალებულს წარმოადგენდა შიშობდნენ, რომ ჯ. მიუკერძოებელი არ იყო. ხსენებულმა ადვოკატის თანამემწემ მხარი დაუჭირა ადვოკატის შუამდგომლობას ჯ.-ს დათხოვნის შესახებ. პროკურორი გაგებით მოეკიდა შუამდგომლობას. მიუხედავად იმისა, რომ მას საკუთარი პოზიცია არ გამოუხატავს, უმაღლესმა სასამართლომ აღნიშნა მხარდაჭერა შუამდგომლობაზე. ფაქტი, რომ პროფესიონალი მხარეები რომლებიც სამართლებრივი პროცედურების ძირეულად



საპირისპირო ინტერესებს წარმოადგენდნენ, ჯ.-ს მიკერძოებულობასთან დაკავშირებით საერთო აზრი ჰქონდათ, რომელიც ნათლად წარმოაჩინდა, თუ როგორ აღიქვამდნენ დამსწრეები აზრს მთავარი მოწმის შესახებ.

32. როგორც უზენაესი სასამართლოს უმცირესობამ აღნიშნა, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ დაზარალებულის სანდოობა გადამწყვეტი მტკიცებულება იყო საქმეში, რადგანაც დაზარალებული და განმცხადებელი მარტოები იყვნენ როდესაც გაუპატიურების მცდელობას უნდა ჰქონოდა სავარაუდოდ ადგილი. თუ კი იგი სანდო აღამიანად იქნებოდა მიჩნეული, განმცხადებელს სცნობდნენ დამნაშავედ. ფაქტი, რომ დაზარალებულის სანდოობა გადამწყვეტი იყო, ინფორმაცია ჯ.-ს წარსული ურთიერთობის შესახებ და დაზარალებულის დადებითი დახასიათება რომელიც გაკეთდა კრიტიკულ მომენტში, იყო ფაქტორები, რომლებმაც შექმნეს ლეგიტიმური მიუკერძოებლობის ნაკლებობის საფრთხე ობიექტური დამკვირვებლების თვალსაზრისით.

33. ასევე გასათვალისწინებელია განმცხადებელთან დაკავშირებული ბრალდებების სერიოზულობა და ხასიათის სტიგმატიზაცია, როგორც ეს უზენაესი სასამართლოს ორივე ფრაქციამ გააკეთა. გარდა ამისა, უმცირესობის აზრით, ბევრი რამ იდო სასწორზე დაზარალებულისთვის, რაც შეიძლებოდა, აღქმული ყოფილიყო როგორც გამამართლებელი განაჩენი რადგან შეიძლება ეფიქრათ, რომ ბრალდებულს დაუსაბუთებელი და სერიოზული ბრალი წაეყენა. რადგანაც ჯ.-ს შვილი დაზარალებულის კლასელი იყო და დაზარალებული იმ დროისთვის მხოლოდ 17 წლის იყო, არსებობდა ლეგიტიმური შიში იმისა, რომ ჯ.-სთვის რთული იქნებოდა გამამართლებელი განაჩენის სასარგებლოდ მიეცა ხმა, რადგან იცოდა შესაძლო უარყოფითი შედეგების შესახებ, რომელიც შეიძლებოდა დამდგარიყო დაზარალებულისთვის.

34. უზენაესი სასამართლოს უმცირესობა აღნიშნავს, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიერ მათ განაჩენთან დაკავშირებით არ იყო მოყვანილი რაიმე მიზეზი დამნაშავედ ცნობის საკითხთან მიმართებით და ხმების რაოდენობაც არ იყო მითითებული.

35. ამ ვითარებაში, ერთადერთი გარანტია, რომელიც შეიძლებოდა შეეთავაზებინა უმაღლეს სასამართლოს, ჯ.-ს დათხოვნა იქნებოდა.

## **(ბ) ხელისუფლება**

36. ხელისუფლებამ მიუთითა, რომ მთავარი საკითხის შეფასებისას ჯ.-ს წარსულში ნაცნობობასა და მის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, აღნიშნული ნაცნობობის საფუძველზე უზენაესი სასამართლოს ორივე ფრაქციამ დაასკვნა, რომ ჯ.-ს წარსული ნაცნობობა მოწმესთან თავისთავად არ შეიძლება გახდეს მისი ობიექტური მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დაყენების საგანი. გარდა ამისა, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებას და არა უბრალოდ ნაცნობობის არსებობას.

37. უზენაესი სასამართლო შეგვახსენებს, რომ უმაღლესი სასამართლოს განჩინება, რომლის თანახმადაც „ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის წევრს აქვს დაზარალებულთან

მრავალწლიანი ნაცნობობა და იმ დროისთვის მას იცნობდა როგორც წყნარ და მშვიდ პიროვნებას“. ხელისუფლებამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ჯ.-ს მონწილესთან პირადი ახლო ნაცნობობა არ ჰქონია. ჯ.-ს შვილობილის ნაცნობობა ჩვეულებრივისგან ოდნავ განსხვავებული ჩანდა, იმის ფონზე, რომ ისინი კლასელები იყვნენ. ჯ.-მ იმაზე მეტი არაფერი იცოდა დაზარალებულის შესახებ, რაც სხვა დანარჩენმა მშობლებმა, რომლის შვილებიც იმავე კლასში სწავლობდნენ, რომელშიც მისი შვილი. ჯ. -ს მიერ გოგონას დახასიათება უკავშირდებოდა რამდენიმე წლის წინანდელ პერიოდს. ნაცნობობის ხარისხს, რომელიც ზოგად პრინციპებს განეკუთვნებოდა *საქმეში პულარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* და რომელ საქმეებზეც იხელმძღვანელა შემდგომში სასამართლომ, ნამდვილად უფრო ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე იმ საქმეში, რომელიც მიმდინარე მომენტში განიხილებოდა.

38. ჯ.-ს მიერ მოწმის დახასიათების შესახებ დასმულ კითხვას, შეეძლო თუ არა გაემართლებინა სხვაგვარი დასკვნა, უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს შემდეგი მიზეზების გამო:

39. ყურადღება უნდა გამახვილდეს უფრო შინაარსზე ვიდრე დახასიათების ხარისხზე, რადგანაც ნებისმიერს შეიძლება ჰქონდეს პირადი მოგონებები ადამიანზე, რომლსაც შორიდან იცნობს. როგორც უზენაესი სასამართლოს უმრავლესობა თვლის, ჯ.-ს განცხადება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ მან დახასიათა მოწმე როგორც შეუმჩნეველი გოგონა მათი ნაცნობობის პერიოდში. განცხადება არ უნდა იქნეს აღქმული როგორც მოსაზრება მისი სანდოობის შესახებ, რომელსაც უმცირესობაც იზიარებს, აღნიშნულს „დადებითი მუხტის“ დახასიათებაც რომ მიეცეთ. ეს იყო არსებითად სემანტიკური საკითხი. მაშინ, როცა ის შესაძლოა ყოფილიყო საერთო საფუძველი, რომ უარყოფითი კონოტაცია არ არსებობდა, დადებითი კონოტაციის არსებობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ძალიან შეზღუდული იყო და მისი გამოხატვა შეუძლებელი იყო.

40. ცნობილი არ იყო ჯ.-მ აღნიშნული განცხადება უნებურად გააკეთა თუ კითხვის პასუხად სხდომის თავმჯდომარესთან საუბრისას, სანამ ეს უკანასკნელი წარმომადგენლებს მოიწვევდა. უკანასკნელ შემთხვევაში, არ არსებობდა მიზეზი, რომ ასეთი მნიშვნელობა მიგვენიჭებინა განცხადების გაკეთების მომენტისთვის, როგორც ეს უმცირესობამ გააკეთა.

41. შეუძლებელია განვასხვაოთ ერთის მხრივ ჯ.-ს და მეორეს მხრივ, სასამართლოს, მიუკერძოებლობა. ჯ.-მ განცხადება გააკეთა იმ დროს, როდესაც ნებისმიერი სუბიექტური დახასიათება, რომელიც წარსულს ეხება, მისი მოსაზრებით დაზარალებულისთვის მხარდაჭერას წარმოადგენდა სასამართლოში და რა დროსაც სხვა ნაფიც მსაჯულებს ჩამოუყალიბებოდათ საკუთარი შთაბეჭდილება დაზარალებულზე.

42. ხელისუფლებამ მოიწვია სასამართლო რათა განეხილათ ნაფიცი მსაჯულის დათხოვნის ალტერნატიული გარანტიები, რათა შეემცილებინათ ნებისმიერი ეჭვი მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნულის მაგალითი არსებობს საქმეში *გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, როდესაც სასამართლომ მიუკერძოებლობის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც გაკეთდა ნაფიც მსაჯულთა თათბირის დროს, გაცილებით სერიოზულ განცხადებაზე დარღვევა ვერ დაადგინა. შესაბამისად, რომელსაც შესაძლოა გაცილებით დიდი ზეგავლენა მოეხდინა შედეგზე, რა დროსაც სასამართლომ მოიწვია

ნაფიცი მსაჯულთა შემადგენლობა და შეახსენა მათ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ ისე, რომ არც ერთი ნაფიცი მსაჯული არ დაუთხოვია. ამის საპირისპიროდ, ჯ-ს განცხადებას ძალიან შეზღუდული კონოტაცია ჰქონდა, თუკი შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ ჰქონდა რაიმე კონოტაცია და გაკეთებული იყო განსხვავებულ დროს. *გრეგორის საქმის* გადაწყვეტილებაში გაამყარა მოსაზრება ჯ-ს არდათხოვნის შესახებ, რომელიც ნებისმიერ ვითარებაში შესაბამებოდა მე-6 მუხლის პირველ პუნქტს.

43. თუმცა, სასამართლოს მიაჩნია, რომ მათსავე პრეცედენტულ სამართალში სასჯელის სიმძიმე მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული მე-6 მუხლის მიუკერძოებლობის მოთხოვნის გამოყენებისას. არა მხოლოდ უმცირესობა, არამედ უზენაესი სასამართლოს უმრავლესობაც ამგვარად მოიქცა მიუკერძოებლობის მკაცრი ნორმის გამოყენებისას და უმრავლესობამ დაასკვნა, რომ აღნიშნული ნორმა იყო დაცული.

44. ხელისუფლებამ შემდეგ მიუთითა არაერთ ზოგად საპროცესო გარანტიაზე რომელიც სათანადო ფაქტორი იყო საქმეებში *პულარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N22399/93, 1996 წლის 10 ივნისი; *გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* N22299/93, 1997 წლის 25 თებერვალი და *სიპუსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* N8400/07, 2010 წლის 21 სექტემბერი ნორვეგიის კანონმდებლობის მიხედვით. განსაკუთრებით კი, სუბიექტური და ობიექტური მიუკერძოებლობის მკაცრი მოთხოვნები, სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა უზრუნველყონ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების მიერ მიუკერძოებლობის აუცილებელი პირობის შესრულება (ე.ი. ჩართული პირების გაცნობის პრაქტიკა, მათ შორის მონმეებისაც, რათა მოხდეს ნებისმიერი წარსული ნაცნობობის გახსენების უზრუნველყოფა) და მიაწოდონ ინფორმაცია ნაფიცი მსაჯულებს მათი ვალდებულების შესახებ, რათა პატივი სცენ ფარულობას და მათ როლს საქმის ფაქტების შეფასებისას. უზენაესი სასამართლოს ჩანაწერებმა, აჩვენა, რომ სხდომის თავმჯდომარემ მიაწოდა ინფორმაცია და კონსულტაცია გაუწია ნაფიცი მსაჯულებს, რათა უზრუნველყონ აღნიშნულ დებულებებთან შესაბამისობა. ასევე, სხდომის თავმჯდომარეს გააჩნდა დისკრეციული უფლებამოსილება მიემართა პროცესუალური საკითხებისთვის სამართალწარმოების მსვლელობისას, მაგრამ ნაფიცი მსაჯულებისთვის მითითების მიცემა, *გრეგორის საქმის* მსგავსად, არ იყო აუცილებელი წინამდებარე საქმეში.

45. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პროფესიონალ მოსამართლეს შეეძლო გაეუქმებინა განაჩენი დამნაშავედ ცნობის შესახებ, ნაფიცი მსაჯულების მიერ დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო, მაგალითად, როდესაც ნაფიცი მსაჯულთა შემადგენლობამ განაჩენი გამოიტანა მთლიანად ან ნაწილობრივ არასათანადო ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, როგორცაა ტენდენციურობა ან დაზარალებულის დახასიათება.

46. ხელისუფლება შეგვახსენებს, რომ სასამართლოების ადმინისტრირების აქტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ ჩამოაყალიბა საკუთარი ხედვა მიუკერძოებლობის საკითხთან დაკავშირებით დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც იკითხება სამართალწარმოების დროს და გვთავაზობს გამჭვირვალობას და უზენაეს სასამართლოში საპროცესო საჩივრის წარდგენის საფუძველს. განმცხადებელმა ისარგებლა აღნიშნული შესაძლებლობით, მაგრამ წარუმატებლად.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (ა) ზოგადი პრინციპები

47. წინამდებარე საქმის განსახილველი საკითხია არსებითად მიუკერძოებლობის მოთხოვნა. აღნიშნული საკითხის განსაზღვრისას სასამართლო გაითვალისწინებს თავის პრეცედენტული სამართლის პრინციპებს, რომლებიც გამოიყენება ნაფიც მსაჯულებთან და პროფესიონალ და არაპროფესიონალ მოსამართლეებთან. „მიუკერძოებლობის“ არსებობა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის უნდა განისაზღვროს სუბიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით ანუ კონკრეტული მოსამართლის სუბიექტურ მოსაზრებაზე დაყრდნობით მოცემულ საქმეში და ასევე ობიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით ანუ იმის დადგენის საფუძველზე - მოსამართლემ საკმარისი გარანტიები შესთავაზა თუ არა ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვის გამოსარიცხად აღნიშნულთან მიმართებაში.

48. რაც შეეხება სუბიექტურ შეფასებას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად ითვლება, სანამ ამის საპირისპირო არ დამტკიცდება.

49. ობიექტური შეფასებით უნდა გაირკვეს მოსამართლეთა ქცევისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს თუ არა სარწმუნო ფაქტები, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მათი მიუკერძოებლობა. აღნიშნული გულისხმობს, რომ იმის დადგენისას, არის თუ არა შეშფოთება ლეგიტიმური, რომ რომელიმე კონკრეტული მოსამართლე ან პირი, რომელიც სასამართლოს შემადგენლობაშია - მიკერძოებულია, დაინტერესებული პირის მოსაზრება მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის შესაძლებელია თუ არა ეს საფრთხე ობიექტურად იქნეს დასაბუთებული.

50. ობიექტური შეფასება ძირითადად ეხება იერარქიულ ან სხვა სახის კავშირს მოსამართლესა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს შორის. თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში უნდა გადანყდეს აღნიშნული ურთიერთობა ატარებს თუ არა ისეთ ხასიათს ან ხარისხს, რომელმაც შეიძლება მიუთითოს მიუკერძოებლობის არარსებობაზე სასამართლოს მხრიდან.

51. ამასთან დაკავშირებით, შესაძლოა გარეგნულ მხარესაც ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა ანუ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, „სამართალი არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა ჩანდეს კიდევ, რომ აღსრულებულია“. ნდობა, რომელსაც უნდა შთააგონებდნენ სასამართლოები დემოკრატიულ საზოგადოებას, რისკის ქვეშაა. შესაბამისად, უნდა მოხდეს ნებისმიერი მოსამართლის აცილება, რომელთან მიმართებაშიც არსებობს მიუკერძოებლობის საფრთხის ლეგიტიმური საფუძველი.

### (ბ) პრინციპების გამოყენება



52. სასამართლო აღნიშნავს, რომ ჯ. წარსულში იცნობდა ქ-ნ ა-ს და ჯ-მ განაცხადა, რომ “ჩამოუყალიბდა დაზარალებულის მიმართ აზრი მრავალი წლის წინ, როდესაც მას იმ დროისათვის წყნარ და მშვიდ პიროვნებად იცნობდა“. უზენაესი სასამართლოს უმცირესობა დაეთანხმა უმრავლესობის მოსაზრებას, რომ წარსული ურთიერთობა მსხვერპლსა და ჯ-ს შორის თავისთავად ვერ გამოიწვევდა ამ უკანასკნელის დისკვალიფიკაციას. ამ თვალსაზრისით, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ თავად ფაქტი, რომ ჯ-ს დაზარალებული დაბადების დღის წვეულებებიდან და კლასის ექსკურსიებიდან იცნობდა, თავისთავად არ მიუთითებს დაზარალებულის იდენტიფიცირებას ან სხვა გზით ჯ-ს მიუკერძოებლობის ნდობის შესუსტებას. იგი მოიცავს არარეგულარულ ურთიერთობას და არა პირად ნაცნობობას და აღნიშნული ურთიერთობა თარიღდება რამდენიმე წლის წინანდელი პერიოდით. დაცვის მხარის ადვოკატსაც არ განუცხადებია უზენაესი სასამართლოს წინაშე, რომ აღნიშნული საკმარისი საფუძველი იყო დისკვალიფიკაციისათვის. სასამართლო ვერ ხედავს რაიმე საფუძველს, რომ სხვაგვარად იფიქროს.

53. გაცილებით პრობლემატურია ის ფაქტი, რომ ჯ-მ ქ-ნ ა. წარმოაჩინა „წყნარ და მშვიდ პიროვნებად“. აღნიშნული, როგორც მისივე სიტყვებიდან ირკვევა, არ იყო უბრალოდ შთაბეჭდილება, არამედ მისი „პორტრეტი“, რომელიც მას „ჩამოუყალიბდა ქ-ნ ა-ს იმდროინდელი ნაცნობობის „გამოცდილების“ საფუძველზე. გამოთქმული არ ყოფილა მოსაზრება, რომ ჯ-ს განცხადება შესაძლოა გავებული ყოფილიყო ისე, რომ აღნიშნული „პორტრეტი“ უარყოფითად შეიცვალა განმცხადებლისა და ქ-ნ ა-ს ჩვენების მოსმენის შემდეგ. პირიქით, მხარეთა საერთო მოსაზრებაა, რომ ა-ს დახასიათებას უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია, თუმცა მოსაზრებები განსხვავდება მისი შინაარსისა და მიუკერძოებლობის საკითხის შეფასების მნიშვნელობასთან მიმართებით.

54. სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს უმრავლესობის აზრით, ნაკლებსავარაუდოა ჯ-ს განცხადება აღქმული ყოფილიყო, როგორც პიროვნების სანდოობის შეფასების გამოხატვა ან შეეჭმნა მისი იდენტიფიკაციის ან მის მიმართ განსაკუთრებული სიმპათიის შთაბეჭდილება. უმრავლესობის აზრით, აღნიშნული იყო ნეიტრალური შეფასება და წარმოდგენდა ბავშვის შეუმჩნეველ ქცევაზე დაკვირვებას. შესაძლებელი იყო იმის მტკიცება, რომ ვინმეს შეეძლო დასკვნა გამოეტანა, რომ წყნარი გოგონა უმიზეზოდ ასეთ აურზაურს არ გამოიწვევდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ა-ს ტირილი და სასონარკვეთილება ავტომობილით გასეირნების შემდეგ მისი გაუპატიურების მცდელობაზე მიანიშნებდა. თუმცა, ისევ უმრავლესობის აზრით, არ არსებობდა რაიმე საფუძველი ისეთი დასკვნისთვის, რომ არსებობდა რაიმე გარემოება ან მიზეზი, რომ ასეთი ალბათობისთვის მნიშვნელობა მიენიჭებინათ.

55. უმცირესობის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „წყნარი და მშვიდი პიროვნების“ პირდაპირი მნიშვნელობით განმარტება არ იყო პირდაპირ დაკავშირებული სანდოობის შეფასებასთან, დახასიათება დადებით კონტექსტში იყო წარმოთქმული და როდესაც იგი გამოითქვა, დაზარალებულის ჩვენების მიცემიდან ცოტა ხნის შემდეგ, ჯ-ს მოსაზრებაზე დაყრდნობით, შეიძლებოდა, სულ მცირე, აღქმული ყოფილიყო ისეთ პიროვნებად, რომელსაც აურზაურის გამოწვევა არ შეეძლო და შესაბამისად, იგი ტყუილად არ დაადანაშაულებდა ადამიანს გაუპატიურების მცდელობაში. ჯ-ს აზრი, თუ როგორად აღიქვამდა მას „იმ პერიოდში“ - მეორეხარისხოვანია. ეს ნიუანსია, რომელიც შესაძლოა იოლად ვერ შეამჩნიოს ადამიანმა, რომელმაც შემთხვევით გაიგონა განცხადება, სადაც,

დროის გათვალისწინებით, ძნელი აღსაქმელი იქნებოდა, როგორც შენიშვნა ა-ს ახლანდელ ხასიათთან დაკავშირებით.

56. სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ, განსაზღვროს ჯ-ს მსჯელობის ზუსტი მნიშვნელობა, რომელიც ბუნდოვანი და არაზუსტი იყო, მაგრამ იგი ეთანხმება უმცირესობას, რომ განცხადების გაკეთების მომენტი აუცილებლად გასათვალისწინებელია.

57. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეფასების მქონე მსჯელობა, რომელიც ასახავდა ე-ნ ა-ზე წინასწარშექმნილ აზრს. მიუხედავად იმისა, რომ მისი განცხადების შინაარსს და მიუკერძოებლობის საკითხის მნიშვნელობას იოლად შეიძლებოდა არაერთგვაროვანი შეფასება ჰქონოდა, იგი არ იყო უარყოფითი. სავსებით გონივრული იქნებოდა ვარაუდი, რომ ე-ნ ა-სთან მიმართებაში არსებობდა გარკვეული დადებითი კონოტაციები, რომლებსაც გავლენის მოხდენა შეეძლო ჯ-ს შეფასებაზე და/ან ნათიყ მსაჯულთა შემადგენლობის სხვა წევრებზე განსასჯელის საწინააღმდეგოდ. აღნიშნული შესაძლებლობა გამყარდა იმ ფაქტით, რომ ჯ-მ გააკეთა შეფასება, იმ დროს, როდესაც იგი შეიძლებოდა აღქმული ყოფილიყო, როგორც კომენტარი ან ერთის მხრივ რეაქცია. ე-ნ ა-ს, და მეორეს მხრივ, განმცხადებლის მიერ მიცემულ ზეპირ ჩვენებებზე. ასევე საყურადღებოა, რომ უზენაესი სასამართლო განმცხადებლის ვერსიას დაეყრდნობოდა თუ დაზარალებულის ვერსიას, სადავო საკითხებთან დაკავშირებით დამნაშავედ ცნობის საკითხში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

58. აღნიშნულ ვითარებაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის შიშს ლეგიტიმური საფუძველი ჰქონდა, რომ შესაძლოა, ჯ-ს წინასწარშექმნილ აზრს გავლენის მოხდენა შეეძლო მის უდანაშაულოდ ან დამნაშავედ ცნობაზე.

59. გარდა ამისა, დროული იყო, რომ ჯ-ს დისკვალიფიკაციის მოთხოვნა მიუკერძოებლობის საფუძველზე არა მხოლოდ დაცვის მხარის ადვოკატმა მოითხოვა, არამედ ა-ს დამხმარე ადვოკატმაც დაუჭირა მხარი მის შუამდგომლობას და პროკურორიც გაგებით მოეკიდა შუამდგომლობას საკუთარი პოზიციის გამოხატვის გარეშე. სასამართლოს მოსაზრებით, როდესაც არც ერთი საწინააღმდეგო აზრი და კომენტარი თავისთავად გადამწყვეტი არ არის, ერთად განხილვისას იგი წამოადგენს ალბათობის მნიშვნელობის ინდიკატორს წინამდებარე საქმეში.

60. თუმცა, ჯ-ს მიერ გაკეთებული განცხადების შინაარსისა და მისი გაკეთების მომენტის, ასევე და მისი ე-ნ ა-სთან წარსული ნაცნობობის და ჯ-ს ნათიყ მსაჯულთა შემადგენლობის წევრობასთან დაკავშირებული უარყოფითი აზრისა და კომენტარის მიუხედავად, რომელიც გაკეთდა სასამართლო პროცესის ყველა მხარის კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან, უმაღლესმა სასამართლომ გადანყვიტა, რომ იგი ნათიყ მსაჯულთა შემადგენლობაში დარჩენილიყო. შედეგად მან განაგრძო საქმის განხილვაზე დასწრება და აღარ მიბრუნებია აღნიშნულ საკითხს, უპირველეს ყოვლისა, ნათიყ მსაჯულთა შემადგენლობის წევრობის გამო. არ არსებობს ინფორმაცია, რომ ვინმემ განცხადება გააკეთა, რომ სხდომის თავმჯდომარეს მითითება მიეცა ნათიყ მსაჯულთა შემადგენლობისგან, მაგალითად, ნათიყი მსაჯულებისთვის შთაეგონებინა, რომ ეხელმძღვანელათ მხოლოდ სასამართლოზე წარმოდგენილი მტკიცებულებით და რომ უფლება არ ჰქონდათ, მათ გადანყვიტალებაზე სხვა რაიმე ფაქტორს მოეხდინა ზეგავლენა. ნათიყ მსაჯულთა დადებითი პასუხიდან

გამომდინარე გაუპატიურების ბრალდებასთან დაკავშირებით (და სხვა ბრალდებებზეც), ჯ-მ მონაწილეობა მიიღო ფორმირებაში, რომელიც შედგენილი იყო (კენჭისყრის საფუძველზე შერჩეული) პროფესიონალი მოსამართლეებისა და ნაფიცო მსაჯულებისაგან, რომლებმაც სასჯელის შეფარდების საკითხი გადაწყვიტეს.

61. ზემოხსენებული ფაქტორების კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით, როგორცაა განცხადების შინაარსი, მისი გაკეთების მომენტი, გადაწყვეტილება ჯ არ დაეთხოვათ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან და ნაფიც მსაჯულთათვის მითითების მიცემა, არსებობდა დასაბუთებული საფუძველი, რომელიც უზენაესი სასამართლოს მიუკერძოებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა, აღნიშნული ხარვეზის შემცირება შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი დაცვის საშუალებით, რომელზეც ხელისუფლება მიუთითებდა.

აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ დაეირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება პოლიციის ფარული ოპერაციის გზით მოპოვებული მტკიცებულებების შესაბამისი საპროცესო გარანტიების გამოყენების გარეშე და წინასწარი პატიმრობის მიზანშეწონილობის შესახებ.

საპროცესო გარანტიები, რომლებიც დაკავშირებულია მტკიცებულებების დასაშვებობასა და სანდობასთან; სავარაუდო იძულების ხასიათი და ხარისხი; ფარული ოპერაციის გზით მოპოვებული მასალების გამოყენება: არ არის დარღვევა.

სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ წარმოადგინეს სათანადო და საკმარისი მიზეზები განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების დასასაბუთებლად: დარღვევა.

**დიდი პალატა**  
**საქმე „ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ“**  
**CASE OF BYKOV v. RUSSIA**  
**განცხადება N4378/02**  
**გადაწყვეტილება**  
**სტრასბურგი**  
**2009 წლის 10 მარტი**

#### **ა. ფარული ოპერაცია**

10. 2000 წლის სექტემბერში განმცხადებელმა მისი ჯგუფის წევრს - ვ-ს, ყოფილი ბიზნეს პარტნიორი ს-ს მოკვლა დაავალა. განმცხადებლის ვ-მ ბრძანება არ შეასრულა, სამაგიეროდ 2000 წლის 18 სექტემბერს მან განმცხადებლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა რუსეთის ფედერაციის ფედერალური უშიშროების სამსახურს („FSB”). მომდევნო დღეს ვ-მ განმცხადებლისგან მიღებული იარაღი ჩააბარა.

11. 2000 წლის 21 სექტემბერს მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთ ოლქის პროკურორმა განმცხადებლის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება მკვლელობის ორგანიზების ეჭვის საფუძველზე.

12. 2000 წლის 26 და 27 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის ფედერალური უშიშროების სამსახურმა („FSB”) და პოლიციამ გადაწყვიტეს, ჩაეტარებინათ ფარული ოპერაცია ს-ს



მკვლევლობასთან დაკავშირებით განმცხადებლის განზრახვის შესახებ მტკიცებულებების მოპოვების მიზნით.

13. 2000 წლის 29 პოლიციამ ს-ს სახლში განახორციელა ორი ადამიანის გვამის აღმოჩენის ინსცენირება. მათ მედია საშუალებებში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მოკლულთაგან ერთ-ერთი - ს. , მეორე - მისი საქმიანი პარტნიორი ი. იყო.

14. 2000 წლის 3 ოქტომბერს, მოქმედებდა რა პოლიციის მითითებების შესაბამისად, ვ. მივიდა განმცხადებლის სანახავად მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. სხეულზე ფარული რადიოგადამცემი მოწყობილობა ჰქონდა დამაგრებული, გარეთ მყოფი პოლიციის თანამშრომელი კი იღებდა და ინერდა ინფორმაციას. იგი განმცხადებელმა საკუთარ „საოჯახო სასტუმროში“ მიიღო, რომელიც მიერთებულია მის პირად რეზიდენციასთან. მითითებების შესაბამისად, ვ-მ განმცხადებელი საუბარში ჩააბა, შეატყობინა, რომ მან ჩაიდინა მკვლელობა. განხორციელებული ქმედების დასადასტურებლად კი მან განმცხადებელს ს-სა და ი-სგან წამოღებული რამდენიმე საგანი გადასცა: სამთო-მოპოვებითი პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის დამოწმებული ასლი, რომელზეც დატანილი იყო სპეციალური ქიმიური რეაგენტი, ს-სა და ი-ს კუთვნილი ორი საათი და 20,000 ამერიკული დოლარის (აშშ დოლარი) ოდენობის ნაღდი ფული. საუბრის ბოლოს, განმცხადებლის შეთავაზების შესაბამისად, ვ-მ ნაღდი ფული აიღო. პოლიციამ მოიპოვა ვ-სა და განმცხადებელს შორის თქვესმეტწუთიანი საუბრის ჩანაწერი.

15. 2000 წლის 4 ოქტომბერს განმცხადებლის საცხოვრებელი გაჩხრიკეს. ამოღებულ იქნა რამდენიმე საათი, მათ შორის, ს-სა და ი-ს კუთვნილი საათები. ჩატარდა ქიმიური ანალიზი და განმცხადებლის ხელებზე აღმოჩნდა იმ ქიმიური ნივთიერების კვალი, რომელიც გამოყენებულ იქნა ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების მარკირებისათვის. განმცხადებელი დააპატიმრეს.

16. 2001 წლის 27 თებერვალს განმცხადებელმა მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთ ოლქის პროკურორის სახელზე საჩივარი შეიტანა, რომლის თანახმადაც, მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე უკანონო იყო, რადგანაც ის მისი უფლებების საპროცესო დარღვევას შეიცავდა, მათ შორის, მის სახლში უკანონოდ შეჭრასა და რადიოგადამცემი მოწყობილობის გამოყენებას. 2001 წლის 2 მარტს პროკურორმა უარყო მისი საჩივარი იმ საფუძველზე, რომ განმცხადებელმა ვ. ნებაყოფლობით შეუშვა სახლში და შესაბამისად, შეჭრას ადგილი არ ჰქონია. ასევე დადგინდა, რომ სასამართლოს მიერ უფლებამოსილების მინიჭება საჭირო არ არის რადიოგადამცემი მოწყობილობის გამოყენებისათვის, რადგანაც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობების შესახებ კანონის შესაბამისად, ის საჭირო იყო მხოლოდ საკაბელო არხების ან საფოსტო მომსახურებების მეშვეობით გადაცემული ინფორმაციის მისაყურადებლად,

რომელთაგანაც მოცემული ფარული ოპერაციისას არც ერთი არ ყოფილა გამოყენებული.

## ბ. წინასწარი პატიმრობა

17. განმცხადებლის დაპატიმრების შემდეგ, 2000 წლის 6 ოქტომბერს მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთ ოლქის პროკურორის მოადგილემ გამოძიების მსვლელობისას მისი დაკავების ბრძანება გასცა, რადგანაც ბრალის სიმძიმისა და რისკიდან გამომდინარე მიიჩნევდა, რომ აღნიშნული „შეესაბამებოდა კანონს“, ასევე განმცხადებელს შესაძლოა ზეწოლა მოეხდინა მოწმეებზე. ვადის შემდგომი გაგრძელება მოთხოვნილ იქნა უფლებამოსილი პროკურორის მიერ 2000 წლის 17 ნოემბერს (2000 წლის 21 დეკემბრამდე) და 2000 წლის 15 დეკემბერს (2001 წლის 21 მარტამდე). განმცხადებლის პატიმრობის გაგრძელების საფუძველს ბრალის სიმძიმე და მოწმეებზე ზეწოლის მოხდენისა და გამოძიებისათვის ხელის შეშლის რისკი წარმოადგენდა.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

58. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი წინასწარი პატიმრობა ზედმეტად ხანგრძლივი იყო და პატიმრობის ვადის გაგრძელება წარმატებით ხორციელდებოდა შესაბამისი და საკმარისი საფუძვლების მითითების გარეშე. ის დაეყრდნო კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს:

„ამ მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ ყველა პირს, უნდა ჰქონდეს... გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის ან სასამართლო პროცესის მსვლელობისას განთავისუფლების უფლება. განთავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლოზე გამოცხადების გარანტიებით.“

59. მთავრობამ მიუთითა, რომ განმცხადებლის პატიმრობა არ იყო ზედმეტად ხანგრძლივი და ასაბუთებდა, რომ მისი საქმის გამოძიებას დიდი დრო დასჭირდა სირთულისა და მოცულობის გამო. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ მისი პიროვნებიდან გამომდინარე, არსებობდა აშკარა რისკი, რომ განმცხადებელი გაექცეოდა სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოებას, ზემოქმედებას მოახდენდა მოწმეებზე და ხელს შეუშლიდა მართლმსაჯულებას, რაც ასაბუთებდა მის ხანგრძლივ პატიმრობას.

60. განმცხადებელი ამტკიცებდა თავის საჩივარში, რომ მისი დაპატიმრების საფუძვლები და ვადის განმეორებით გაგრძელება არ იყო გამყარებული რაიმე სახის დასაბუთებით ან ფაქტობრივი ინფორმაციით.

61. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით მე-5 მუხლით გათვალისწინებული პრეზუმაცია ყოველთვის გათავისუფლების სასარგებლოდ გადაიხრება. როგორც „*ნოიმაისტერი ავსტრიის წინააღმდეგ*“ საქმეში დადგინდა ( 1968 წლის 27 ივნისი, § 4, სერია A, N8) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მეორე მხარე სასამართლო ორგანოებს არ აძლევს ბრალდებულის გონივრულ ვადაში სასამართლო პროცესზე წარდგენასა და სასამართლო პროცესის მსვლელობისას მის პირობით გათავისუფლებას შორის არჩევანის გაკეთების საშუალებას. განაჩენის გამოტანამდე ის უდანაშაულოდ ითვლება და განსახილველი დებულების არსებით მიზანს წარმოადგენს მისი პირობითი გათავისუფლების მოთხოვნა მას შემდეგ, რაც პატიმრობის გაგრძელება აღარ იქნება გონივრული.

62. მოცემულ შემთხვევაში პატიმრობის გაგრძელების დასაბუთება შესაძლებელია, მხოლოდ იმ პირობებში, თუ არსებობს კონკრეტული მითითება საჯარო ინტერესის არსებობაზე, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმაციის მიუხედავად გადაწონის კონვენციის მე-5 მუხლში მოცემულ პიროვნების თავისუფლების პატივისცემის წესს (იხ. *კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N30210/96, §§ 110 და სხვა, ECHR, 2000-XI).

63. პირველ რიგში, ეროვნულ სასამართლო ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა უზრუნველყონ, რომ მოცემულ საქმეში ბრალდებული პირის წინასწარი პატიმრობა არ აღემატებოდეს გონივრულ ვადას. ამ თვალსაზრისით, უდანაშაულობის პრეზუმაციისათვის სათანადო ყურადღების დათმობით, სასამართლო ორგანოებმა უნდა შეამოწმონ საჯარო ინტერესის ზემოთხსენებული მოთხოვნის სასარგებლოდ, ან მის საწინააღმდეგოდ არსებული ყველა არგუმენტი, რომელიც ასაბუთებს მე-5 მუხლში მოცემული წესისაგან გადახვევას და უნდა ასახონ ეს მიზეზები გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში. სასამართლომ ამ გადაწყვეტილებებში მოცემული მიზეზებისა და განმცხადებლის მიერ თავის საჩივარში მითითებული უტყუარი ფაქტების საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს, დაირღვა თუ არა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი (იხ. *ვაინსკტალი პოლონეთის წინააღმდეგ*, N43748/98, § 50, 2006 წლის 30 მაისი და *მაქვი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N543/03, § 43, ECHR, 2006-X).

64. გონივრული ეჭვის არსებობა, რომ დაპატიმრებულმა პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა, წარმოადგენს პატიმრობის გაგრძელების კანონიერების აუცილებელ წინაპირობას, მაგრამ დროთა განმავლობაში აღნიშნული საკმარისი აღარ

არის და სასამართლომ უნდა დაადგინოს, კვლავ ასაბუთებს თუ არა სასამართლო ორგანოების მიერ წარმოდგენილი სხვა საფუძვლები თავისუფლების აღკვეთას. თუ ასეთი საფუძვლები „შესაბამისი“ და „საკმარისია“, სასამართლო უნდა დაკმაყოფილდეს, რომ ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა სამართალწარმოების პროცესის განმავლობაში „სათანადო გულმოდგინება“ გამოიჩინეს (იხ. *ლეთელიე საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1991 წლის 26 ივნისი, § 35, სერია 1, N207 და *იაკჩი და სარგინი თურქეთის წინააღმდეგ*, 1995 წლის 8 ივნისი, § 50, სერია A, N319-ა). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ასეთ საკითხებზე მტკიცების ტვირთი არ უნდა შებრუნდეს იმგვარად, რომ დაპატიმრებულ პირს დაევალოს მისი გათავისუფლების დასასაბუთებელი საფუძვლების გამოვლენა (იხ. *ილჯიკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, N33977/96, § 85, 2001 წლის 26 ივლისი).

65. სასამართლო ადგენს, რომ სასამართლო პროცესის დაწყებამდე და პროცესის მიმდინარეობისას განმცხადებელი დაპატიმრებული იყო ერთი წლის, 8 თვისა და 15 დღის განმავლობაში. ამ დროს სასამართლო ორგანოებმა სულ მცირე ათჯერ განიხილეს განმცხადებლის შუამდგომლობა მისი გათავისუფლების შესახებ და მას ყოველ ჯერზე უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე ბრალდების სიმძიმის, მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლისა და მისი მიმალვის ალბათობის საფუძველზე. სასამართლოს გადაწყვეტილებები არ სცდებოდა აღნიშნული საფუძვლების ჩამონათვალს, რადგან არ ითვალისწინებდა მისი სათანადო და საკმარისი მიზეზებით დასაბუთებას. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ დროთა განმავლობაში სასამართლოს დასაბუთება არ ჩამოყალიბებულა იმგვარად, რომ აესახა მიმდინარე მდგომარეობა და შეემოწმებინა, კვლავ მოქმედი იყო თუ არა აღნიშნული საფუძვლები საქმის წარმოების შემდგომ ეტაპზე. უფრო მეტიც, 2001 წლის 7 სექტემბრის განმცხადებლის პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილებით აღარ განსაზღვრავდა ვადის რაიმე შეზღუდვას, ამგვარად იგულისხმებოდა, რომ ის დაპატიმრებული იქნებოდა სასამართლო პროცესის დასრულებამდე.

66. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომ თვით საქმის გარემოებები და განმცხადებლის პიროვნება ცხადყოფდა მისი წინასწარი პატიმრობის დასაბუთებას, სასამართლომ არ მიიჩნია, რომ აღნიშნული თავისთავად ათავისუფლებდა სასამართლოებს ამგვარი დასკვნის მიღების მიზეზების ჩამოყალიბებისაგან, განსაკუთრებით მოგვიანებით ეტაპებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში. პირის დაპატიმრების უფლებამოსილების მიმნიჭებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული გარემოებების შესახებ მითითება არ ხდებოდა ეროვნულ გადაწყვეტილებებში, სასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს მათი დადგენა და იმ ეროვნული სახელისუფლებო ორგანოების ფუნქციების შესრულება, რომლებმაც



გადაწყვეტილება მიიღეს განმცხადებლის დაპატიმრების შესახებ (იხ. *პანჩენკო რუსეთის წინააღმდეგ*, N45100/98, §§ 99 და 105, 2005 წლის 8 თებერვალი და *ილიუკოვი*, § 86).

67. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ უფლებამოსილმა სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ წარმოადგინეს განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადის ერთი წლით, 8 თვითა და 15 დღით გაგრძელების სათანადო და საკმარისი მიზეზები.

68. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.

### III. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

84. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ის პოლიციამ მოტყუებით აიძულა ვ-სთან საუბრისას გაეკეთებინა საკუთარი თავის მამხილებელი განცხადებები და სასამართლომ ამ საუბრის ჩანაწერი სასამართლო პროცესზე მტკიცებულებად დაუშვა. ის ამტკიცებდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას, რომელიც ადგენს:

„მის წინააღმდეგ ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების . . . გამორკვევისას ყველას აქვს თავისი საქმის სამართლიანი . . . განხილვის უფლება სასამართლოს მიერ“.

85. მთავრობამ მიუთითა, რომ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება განმცხადებლის მიმართ კანონიერად და ბრალდებულის უფლებების სათანადო პატივისცემით განხორციელდა. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ, რომ განმცხადებლის გასამართლება ეყრდნობოდა საკმარისი რაოდენობის მტკიცებულებებს, რომლის მხოლოდ ნაწილი იქნა მოპოვებული ფარული ოპერაციის გზით. მტკიცებულებები, რომლებსაც ეყრდნობოდნენ სასამართლოები, მოიცავდა ორმოცზე მეტი მონშის ჩვენებას, ექსპერტის დასკვნებსა და ნივთმტკიცებებს, ასევე დოკუმენტურ მტკიცებულებებს, რომლებიც წარმოადგენდნენ საკმარის და მყარ საფუძველს ბრალეულობის დასადგენად. მთავრობამ მიუთითა, რომ განმცხადებელს შეჯიბრებითი პროცესის მსვლელობისას შეეძლო გაესაჩივრებინა ფარული ოპერაციის გზით მოპოვებული მტკიცებულებები, და მან გამოიყენა ეს შესაძლებლობა.

86. მთავრობა კვლავ ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ მტკიცებულებების შეგროვება და მათი გამოყენება არ არღვევდა მისი ღუმლის უფლებას, რადგან ადგილი არ ჰქონია ზენოლას, ან მისი ნების უპატივცემულობას. ისინი მიუთითებდნენ, რომ ჩანაწერის გაკეთების დროისათვის განმცხადებელი არ იყო დაპატიმრებული და მან არ იცოდა გამოძიების შესახებ. ვ-სთან საუბრისას ის თავისუფლად მოქმედებდა და

თანაბარ მდგომარეობაში იყო თავის თანამოსაუბრესთან, რომელსაც მდგომარეობიდან გამომდინარე, არ ჰქონდა მასზე ზენოლის განხორციელების შესაძლებლობა. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ფარული ოპერაციის გზით მოპოვებული მტკიცებულებები სრულიად საიმედო იყო და არ არსებობდა ჩანაწერის ან სხვა დაკავშირებული მტკიცებულების დაუშვებლობის საფუძველი. ამასთან დაკავშირებით, ისინი დავობდნენ, რომ ეს საქმე უნდა განესხვაგვებინათ „*ალენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*“ საქმისაგან (N48539/99, ECHR, 2002-IX), სადაც ფარული ოპერაცია ჩატარდა თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში იმ დროს, როდესაც განმცხადებელი განსაკუთრებით მონყვლადი იყო და სასამართლომ აღნიშნული დაახასიათა როგორც „შემზღუდავი“.

87. ამის საწინააღმდეგოდ, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისთვის მსჯავრის დადება ეფუძნებოდა უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს, დუმის უფლებისა და საკუთარი თავის მხილების საწინააღმდეგო პრივილეგიის დარღვევით. ის ამტკიცებდა, რომ ვ-სთან მისი საუბარი ფაქტობრივად ფარულ დაკითხვას წარმოადგენდა, რომელსაც თან არ ახლდა რაიმე საპროცესო გარანტია. ბოლოს, ის უარყოფდა, რომ მისი საუბრის ჩანაწერს მტკიცებულებითი ღირებულება ჰქონდა და ითხოვდა, რომ ისინი მტკიცებულებების სახით არ დაეშვათ სასამართლო პროცესზე.

#### **ა. სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი ზოგადი პრინციპები**

88. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-19 მუხლის შესაბამისად, მის ერთადერთ ფუნქციას კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს. სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის საჩივრის განხილვა, რომელიც ამტკიცებს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სამართლებრივი ან ფაქტობრივი შეცდომა დაუშვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის მიიჩნევს, რომ ასეთი შეცდომა შესაძლოა კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე უფლებისა და თავისუფლების სავარაუდო დარღვევას მოიცავდეს. როდესაც მე-6 მუხლი უზრუნველყოფს საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, ის არ აყალიბებს მტკიცებულების რაიმე წესს დასაშვებობის შესახებ, რომელიც ძირითადად ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანს წარმოადგენს (იხ. *შენკი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1988 წლის 12 ივლისი, § 45, სერია N 140; *ტექსეირა დე კასტრო პორტუგალიის წინააღმდეგ*, 1998 წლის 9 ივნისი § 34, ანგარიშები 1998-IV და *ჯალოჰი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N 54810/00, §§ 94-96, ECHR, 2006-IX).

89. შესაბამისად, სასამართლოს ფუნქციას პრინციპულად არ წარმოადგენს იმის განსაზღვრა, შეიძლება თუ არა, რომ კონკრეტული სახის მტკიცებულება, მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, დასაშვებად

იქნეს ცნობილი. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას: იყო თუ არა მთლიანად საქმის წარმოება, მათ შორის, მტკიცებულებების მოპოვების გზები სამართლიანი. ეს გულისხმობს „უკანონობის“ გამოკვლევასა და კონვენციის სხვა მუხლის შესაძლებელი დარღვევის დადგენას (იხ. ხანი § 34; პ.გ და ჯ.პ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ N44787/98, § 76, ECHR, 2001-IX; ჰეგლასი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ N5935/02, §§ 89-92, 2007 წლის პირველი მარტი და ალენი § 42).

90. იმის საკითხის განსაზღვრისას, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, ყურადღება უნდა მიექცეს ასევე დაცვითი უფლებების შესრულებას. განსაკუთრებით, უნდა შემოწმდეს, მიეცა თუ არა განმცხადებელს მტკიცებულებების ავთენტურობის გაპროტესტებისა და მათი გამოყენების გაპროტესტების საშუალება. გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მტკიცებულებების ხარისხი, მათ შორის, აყენებდა თუ არა ეჭვის ქვეშ მათ საიმედოობას ან სიზუსტეს ის გარემოებები, რომლებშიც მათი მოპოვება მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებები არ არის გამყარებული სხვა მასალით, მათი სანდოობა შეიძლება ეჭვქვეშ არ დადგეს, რადგან საკმაოდ მყარია და მათი სანდოობა არ არის საეჭვო, ამასთანავე, უფრო ნაკლებია ასეთი მტკიცებულებების სხვა მტკიცებულებებით გამყარების საჭიროება (იხ. ხანი, §§ 35 , 37 და ალენი, § 43).

91. კონვენციის აღმოჩენილი დარღვევის ხასიათის შესწავლასთან დაკავშირებით, კერძოდ კი, საქმეებზე - ხანი (§§ 25-28) და პ.გ. და ჯ.პ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (§§ 37-38) სასამართლო აღნიშნავს, რომ ფარული მიყურადების მონეობილობების გამოყენება მიჩნეულ იქნა მე-8 მუხლის დარღვევად, რადგანაც ასეთი მონეობილობების გამოყენებას არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში და პირადი ცხოვრების პატივისცემის შესახებ განმცხადებლის უფლებაში ჩარევა „კანონს არ შეესაბამებოდა“. თუმცა მისი საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვება, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, არ ეწინააღმდეგებოდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილ სამართლიანობის მოთხოვნებს.

92. რაც შეეხება თვითმამხილებელი ჩვენებისგან დაცვასა და დუმილის უფლებას, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ისინი ზოგადად აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს წარმოადგენენ, რომლებიც საფუძვლად უდევს სამართლიან პროცესს. მათი მიზანია ბრალდებული პირის დაცვა სახელისუფლებო ორგანოების მიერ შეუსაბამო იძულებისაგან, მართლმსაჯულების შეცდომის თავიდან აცილება და მე-6 მუხლის მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა (იხ. ჯონ მურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1996 წლის 8 თებერვალი, § 45, ანგარიშები 1996-I). უფლება, არ ამხილოს საკუთარი თავი, პირდაპირ დაკავშირებულია დუმილის

უფლების გამოყენების შესახებ ბრალდებული პირის ნების პატივისცემასთან და გულისხმობს, რომ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება მონოდებულია დაამტკიცოს საქმე ბრალდებულის ნების უგულვებელყოფის გზით და იძულების ან ჩაგვრის მეთოდების გამოყენებით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების გარეშე (იხ. *საუნდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1996 წლის 17 დეკემბერი, §§ 68-69, ანგარიშები 1996-VI; *ალენი*, §44; *ჯალოჰი*, §§ 94-117 და *ო'ჰალორანი და ფრენსისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N15809/02](#) და [25624/02](#), §§ 53-63, ECHR, 2007-...). იმ საკითხის განსაზღვრისას, მოუსპო თუ არა პროცედურამ საკუთარი თავის მხილების საწინააღმდეგო პრივილეგიის უფლება განმცხადებელს, სასამართლომ უნდა შეამოწმოს იძულების ბუნება და ხარისხი, პროცედურების განხორციელების შესაბამისი გარანტიების არსებობა და ის, თუ როგორაა გამოყენებული ამგვარად მოპოვებული მასალები (იხ. *ჰეინი და მკენესი ირლანდიის წინააღმდეგ*, [N34720/97](#), §§ 54-55, ECHR, 2000-XII და *ჯ.ბ. შვეიცარიის წინააღმდეგ* [N31827/96](#), ECHR, 2001-III).

93. მე-6 მუხლში სამართლიანობის ზოგადი მოთხოვნები გამოიყენება ყველა სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოებისას, განსახილველი სამართალდარღვევის ხასიათის მიუხედავად. საჯარო ინტერესი ვერ გაამართლებს ზომებს, რომლებიც აკნინებენ განმცხადებლის დაცვის უფლების ძირითად არსს, მათ შორის, საკუთარი თავის მხილების წინააღმდეგ პრივილეგიას, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლშია განსაზღვრული (იხ. (*mutatis mutandis*) *ჰეინი და მკენესი* §§ 57-58).

## **ბ. ამ პრინციპების მოცემულ საქმეზე გავრცელება**

94. სასამართლო ადგენს, რომ სასამართლო განხილვის პროცესზე „ოპერატიული ექსპერიმენტის“ გზით მოპოვებული მასალების გამოყენების გასაჩივრებისას განმცხადებელმა წარმოადგინა ორი არგუმენტი. პირველ რიგში, ის დავობდა, რომ ფარული ოპერაციის გზით მოპოვებული მტკიცებულება, განსაკუთრებით ვ-სთან მისი საუბრის ჩანაწერი, არ იყო სანდო და აქედან გამომდინარე, მას სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია მიეცა ეროვნული სასამართლოების მიერ. მეორე რიგში, ის ამტკიცებდა, რომ ამგვარი მტკიცებულებების გამოყენება ეწინააღმდეგებოდა საკუთარი თავის მხილების საწინააღმდეგო პრივილეგიასა და დუმილის უფლებას.

95. რაც შეეხება პირველ საკითხს, სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სადავოა მტკიცებულებათა სანდოობა, მეტი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებათა დასაშვებობის შემოწმების სამართლიანი პროცედურების არსებობას (იხ. *ალენი*, § 47). მოცემულ საქმეში, განმცხადებელს შეეძლო ფარული ოპერაციისა და ამგვარად მოპოვებული თითოეული მტკიცებულების გაპროტესტება პირველი ინსტანციის სასამართლოში შეჯიბრებითი პროცესის ეტაპზე და ასევე ამ საფუძვლის



სააპელაციო საჩივარში მითითება. პროტესტის საფუძველს წარმოადგენდა სავარაუდო უკანონობა, მტკიცებულებათა მოსაპოვებლად გამოყენებული მეთოდი და ფირზე ჩანერილი საუბრის სავარაუდოდ არასწორი განმარტება. სასამართლოებმა განიხილეს ყველა ეს საკითხი და არ გაითვალისწინეს ისინი დასაბუთებულ გადანყვეტილებებში. სასამართლო მიუთითებს, რომ განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია ის პროცედურა, რომლის მეშვეობითაც სასამართლოები მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ გადანყვეტილებას იღებდნენ.

96. სასამართლო შემდგომ მიუთითებს, რომ სადავო ჩანაწერი ფარული ოპერაციის გზით მოპოვებულ ნივთმტკიცებებთან ერთად არ წარმოადგენდა იმ ერთადერთ მტკიცებულებას, რომელსაც ეროვნული სასამართლოები ეყრდნობოდნენ, როგორც განმცხადებლისთვის ბრალის წაყენების საფუძველს. ფაქტობრივად, სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების ძირითად მტკიცებულებას ვ-ს თავდაპირველი განცხადება წარმოადგენდა, რომლითაც ვ-მ რუსეთის ფედერაციის ფედერალური უშიშროების სამსახურს („FSB“) აცნობა, რომ განმცხადებელმა მას ს-ს მოკვლა დაავალა და ამისთვის იარაღი გადასცა. ამ განცხადებამ, რომელიც ვ-მ ფარული ოპერაციის ჩატარებამდე გააკეთა, ოპერაციისგან დამოუკიდებლად, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც კერძო პირმა და არა როგორც პოლიციის ინფორმატორმა, საფუძველი დაუდო გამოძიების დაწყებას, უფრო მეტიც, შემდგომი დაკითხვისას ვ-მ ყურადღება გაამახვილა მის მიერ გაკეთებულ მამხილებელ განცხადებებსა და სასამართლოს მოსამზადებელ ეტაპზე მასსა და განმცხადებელს შორის დაპირისპირების ფაქტებზე.

97. მიუხედავად იმისა, რომ არ მომხდარა ვ-ს ჯვარედინი დაკითხვა სასამართლო პროცესზე, ამის განუხორციელებლობა არ იყო სახელისუფლებო ორგანოებს ბრალეულობა, რომლებმაც მიიღეს ყველა საჭირო ზომა მისი ადგილმდებარეობის დასადგენად და მისი სასამართლო პროცესზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად, ინტერპოლის დახმარებისათვის მიმართვის ჩათვლით. პროცესზე სასამართლომ ზედმინწევნით შეამოწმა ვ-ს მიერ მამხილებელ განცხადებებზე უარის თქმის გარემოებები და მივიდა გონივრულ დასკვნამდე, რომ უარის თქმა არ იყო სანდო. უფრო მეტიც, 2000 წლის 10 ოქტომბერს დაკითხვის დროს დაპირისპირებისას განმცხადებელს მიეცა ვ-ს დაკითხვის შესაძლებლობა მისი მამხილებელი განცხადებების შინაარსთან დაკავშირებით. გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ფაქტს, რომ განმცხადებლის ადვოკატი აშკარად ეთანხმებოდა ვ-ს წინასწარი ჩვენებების ხმამაღლა წაკითხვას საჯარო სასამართლო პროცესზე. საბოლოოდ, ვ-ს მამხილებელი განცხადებები დადასტურდა არაპირდაპირი მტკიცებულებებითაც, განსაკუთრებით მოწმეთა მრავალრიცხოვანი ჩვენებებით, რომელიც ამტკიცებდა განმცხადებელსა და ს-ს შორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობას.

98. ზემოაღნიშნული თვალსაზრისით, სასამართლო ადგენს, რომ ფარული ოპერაციის გზით მოპოვებული მტკიცებულებები არ წარმოადგენს განმცხადებლის ბრალდების ერთადერთ საფუძველს და ის გამყარებული იყო სხვა უტყუარი მტკიცებულებებით. არ გამოვლენილა არც ერთი ფაქტი იმ დასკვნის გასამყარებლად, რომ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით განმცხადებლის დაცვის უფლებები სათანადოდ ვერ შესრულდა ან ეროვნული სასამართლოების მიერ მათი შეფასება დაუსაბუთებელი იყო.

99. სასამართლომ უნდა შეამოწმოს, წარმოადგენდა თუ არა ფარული ოპერაცია და მისი მეშვეობით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება საკუთარი თავის მხილებაზე უარისა და ღუმილის შესახებ განმცხადებლის უფლებების დარღვევას. განმცხადებელი დავობდა, რომ პოლიციამ გადააჭარბა დასაშვები ქმედების ზღვარს ვ-სთან მისი საუბრის ფარული ჩანერით, რომელიც მოქმედებდა მათი მითითებების შესაბამისად. ის ჩიოდა, რომ მისი ბრალდება შედეგად მოჰყვა მოტყუებას და მისთვის დაგებულ მახეს, რაც არ შეესაბამებოდა სამართლიანი სასამართლო განხილვის ცნებას.

100. სასამართლომ, მსგავსი განცხადებები *ჰეგლასის* საქმეშიც განიხილა. ამ შემთხვევაში, განმცხადებელი აღიარებდა ძარცვაში მის მონაწილეობას იმ პირთან საუბრისას, რომელსაც პოლიციამ ტანსაცმლის ქვეშ მოსასმენი მონწყობილობა დაუმაგრა. სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია განმცხადებლის საჩივარ<sup>o</sup> კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა ჩანანერის გამოყენებას. დაადგინა, რომ მას ჰქონდა შეჯიბრებითობის ეტაპით სარგებლობის შესაძლებლობა და მისი საუბარი სადავო ჩანანერის გარდა ემყარებოდა სხვა მტკიცებულებებს; გამოყენებული ზომა მიზნად ისახავდა მნიშვნელოვანი დანაშაულის გამოვლენას და ამგვარად ემსახურებოდა საჯარო ინტერესს. ჩანანერის განხორციელებამდე განმცხადებელი ოფიციალურად არ დაუკითხავთ ან დანაშაულის ჩადენისათვის ბრალი არ წაუყენებიათ.

101. *ჰეგლასის* საქმეში ჩატარებული ფარული ოპერაციის გარემოებები არსებითად განსხვავდებოდა *ალენის* საქმის გარემოებებისგან, სადაც მე-6 მუხლის დარღვევა დადგინდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში განმცხადებელი წინასწარ პატიმრობაში იყო და გამომძიებლის მიერ დაკითხვისას აშკარად გამოხატავდა მის სურვილს, გამოეყენებინა ღუმილის უფლება. მიუხედავად ამისა, პოლიციამ განმცხადებლის თანამესაკნეს მისცა მითითებები, ხანგრძლივი დაკითხვის შემდეგ გამოეყენებინა განმცხადებლის მონწყვლადი და მგრძობიარე მდგომარეობა. ამ გარემოებების ერთობლიობაზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელისუფლებო ორგანოების ქმედება მოიცავდა იძულებასა და შეზღუდვას და დაადგინა, რომ ინფორმაცია მოპოვებულ იქნა განმცხადებლის ნების უპატივცემულობის გზით.

102. სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ საქმეში განმცხადებელზე არ განხორციელებულა ზენოლა იმ მიზნით, რომ მას თავის „სტუმრებისთვის განკუთვნილ სახლში“ მიეღო ვ., ესაუბრა მასთან ან გაეკეთებინა რაიმე კომენტარი ვ-ს მიერ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით. ალენის საქმეში მითითებული განმცხადებლისგან განსხვავებით, განმცხადებელი არ დაუკავებიათ, არამედ თავისუფალი იყო და დაცვისა და სხვა პერსონალის თანხლებით თავის კარ-მიდამოში იმყოფებოდა. მისი ვ-სთან ურთიერთობის ხასიათი, კერძოდ, ამ უკანასკნელის განმცხადებლისადმი დაქვემდებარება, არ ავალდებულებდა რაიმე ტიპის ქმედებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განმცხადებელს თავისუფლად შეეძლო, ენახა ვ. და ესაუბრა მასთან ან უარი ეთქვა ამგვარი მოქმედებების განხორციელებაზე. ირკვევა, რომ მას სურდა გაეგრძელებინა ვ-ს მიერ წამოწყებული საუბარი, რადგანაც ეს თემა მის პირად ინტერესს წარმოადგენდა. ამგვარად, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ მტკიცებულებების მოპოვება შეიცავდა იძულების ან შებლუდვის იმ ელემენტს, რომელიც სასამართლოს დადგენილებით ალენის შემთხვევაში არღვევდა განმცხადებლის დუმილის უფლებას.

103. სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შეფასების განხორციელებისას ეროვნული სასამართლოები პირდაპირ არ დაეყრდნენ განმცხადებლის ვ-სთან საუბრის ჩანაწერს ან მის სტენოგრამას და არ უცლიათ განმცხადებლის მიერ საუბრისას გაკეთებული კონკრეტული განცხადებების განმარტება. ამის ნაცვლად, მათ შეისწავლეს ექსპერტის დასკვნა, რომელიც ეხებოდა განმცხადებლისა და ვ-ს ურთიერთობასა და დიალოგში მონაწილეობის მისეულ უფრო მეტიც, სასამართლო პროცესზე ჩანაწერი არ იქნა მიჩნეული ჩვეულებრივ აღიარებად ან ფაქტის ცნობად, რომელიც ბრალის დადგენის საფუძველი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო; მან შებლუდული როლი ითამაშა სასამართლოს მიერ შეფასებული მტკიცებულებების კომპლექსურ ერთობლიობაში.

104. შესაბამისი მტკიცებულებების დასაშვებობისა და სანდოობის გარანტიების, სავარაუდო იძულების ბუნების, ხარისხისა და ფარული ოპერაციის გზით მოპოვებული მასალების გამოყენების შემონგების შემდეგ, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის საქმესთან დაკავშირებული საპროცესო მოქმედებები საერთო ჯამში არ ეწინააღმდეგებოდა სამართლიანი სასამართლო განხილვის მოთხოვნებს.

105. აქედან გამომდინარე, არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება გადაწყვეტილების დასაბუთების შესახებ.

ნათიცი მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს დამნაშავედ ცნობის შესახებ ნათიცი მსაჯულთა შემადგენლობის ვერდიქტზე მოტივის დასაბუთებას: დარღვევა არ დადგინდა.

**საქმე „ლეგილონი საფრანგეთის წინააღმდეგ“**

**CASE OF LEGILLON v. FRANCE**

**განაცხადი N53406/10**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2013 წლის 10 იანვარი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელს, ნათიცი მსაჯულთა სააპელაციო სასამართლომ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა 15 წელს მიუღწეველ არასრულწლოვანთა გაუპატიურებასა და მათთან სექსუალური კავშირის გამო.

განაცხადი შეეხებოდა ნათიცი მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებაში დასაბუთების არარსებობას. განმცხადებელმა სააპელაციო განაცხადი წარუდგინა საკასაციო სასამართლოს, რომელიც არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები.

### **სამართალი**

59. სასამართლო აღნიშნავს, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში ყველა ბრალდებული, ისევე როგორც განმცხადებელი, უზრუნველყოფილია გარკვეული ინფორმაციითა და გარანტიებით: ნათიცი მსაჯულთა სასამართლოს პროცესზე, საგამოძიებო განყოფილების საბრალდებო აქტი ან სააპელაციო საქმეზე გადაწყვეტილება სრულად იკითხება სასამართლოს მდივნის მიერ; ბრალდების წაკითხვის შემდეგ შეჭიბრებითობითი სახის პაექრობას ექვემდებარება, თითოეული მტკიცებულება განიხილება და ბრალდებულს დახმარებას უწევს ადვოკატი; მოსამართლეები და ნათიცი მსაჯულთა შემადგენლობა გადის საკითხის განსახილველად ზეპირი საქმის განხილვის დასრულებისა და კითხვების დასმის შემდეგ. ნათიცი მსაჯულებს მოცემულ მომენტში არ აქვთ საქმის მასალებზე წვდომა, შესაბამისად, შესაძლებელია, რომ მათი გადაწყვეტილება დაფუძნებული იყოს მხოლოდ იმ



მტკიცებულებებზე, რომლებიც განიხილეს მხარეებმა სასამართლო პროცესის დროს; გარდა ამისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადანწყვეტილებები ექვემდებარება გადახედვას გაფართოებული ნაფიც მსაჯულთა სააპელაციო სასამართლოს მიერ.

60. რაც შეეხება საბრალდებო აქტის და ნაფიც მსაჯულთა კითხვების ერთობლივ ზემოქმედებას წინამდებარე საქმეში, სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველ რიგში, განმცხადებელი იყო ერთადერთი ბრალდებული და სავარაუდო სამართალდარღვევები, მიუხედავად მათი სერიოზულობისა, არ იყო კომპლექსური.

61. ამასთან ერთად, როგორც მხარეები თანხმდებიან, საბრალდებო აქტის მოქმედება შეზღუდული იყო რადგან იგი წარდგენილი იყო სასამართლო განხილვამდე, რაც სამართალწარმოების კრიტიკულ ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი განსაკუთრებულად დეტალური იყო და ბრალდებები სამი დღის მანძილზე განიხილებოდა. რაც შეეხება საბრალდებო დასკვნაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ ღირებულებას და დახმარება გაენია განმცხადებლის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენის გაგებაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარ დასკვნებს გავლენა არ მოუხდენია ნაფიც მსაჯულთა განხილვებსა და გადანწყვეტილებაზე, რომელიც მათ საბოლოოდ მიიღეს.

62. სასამართლო მიიჩნევს, რომ ის ფაქტი, რომ სამართალდარღვევების ხელახლა კლასიფიცირება განმცხადებლის სასამართლოსთვის გადაცემის ბრძანების შემდეგ მოხდა და ნაფიცი მსაჯულებისთვის კითხვების დასმამდე, ხაზს უსვამს იმას, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის განაჩენი საბრალდებო აქტისგან განსხვავდებოდა. სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილება, რომელიც სასამართლო პროცესის შედეგად წარმოიშვა, უნდა დაეხმაროს განმცხადებელს ნაფიც მსაჯულთა დასაბუთების ნაწილის გაგებაში.

63. რაც შეეხება კითხვებს, ყველა მათგანი მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ, როგორც თავად მთავრობა აღნიშნავს, მოსამართლეებს და ნაფიც მსაჯულებს ხელი არ მიუწვდებოდათ საქმის მასალებზე საქმის განხილვის დროს და გადანწყვეტილებამდე მივიდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმ მტკიცებულებების საფუძველზე, რომელიც მხარეებმა განიხილეს სასამართლო პროცესზე, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მათ ასევე ხელი მიუწვდებოდათ საბრალდებო აქტზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

64. პროცესზე დასმული თორმეტი კითხვა, რომელიც მთლიანობაში მკაფიო და არაორაზროვანი იყო, შეეხებოდა განმცხადებლის წინააღმდეგ ბრალდებებს.

65. უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ არავითარი განსხვავება არ გაკეთებულა ძალადობას, იძულებას, მუქარას და მოულოდნელად თავს დადგომას შორის, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა ტიპის ქცევას. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელს არ შეუძლია იმის თქმა, რომ აღნიშნულ ფაქტორს შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის ვერდიქტის გაგებაში, განსაკუთრებით კი, იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი

ქმედება ჩადენილი იყო აღმავალი ხაზის ნათესავის მიერ უახლოეს გარემოცვასთან, რომლებიც სრულწლოვანების ასაკს არ იყვნენ მიღწეული.

66. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ არსებობდა კონკრეტული კითხვები, რომელიც ეხებოდა დაზარალებულთა ასაკთან დაკავშირებულ დამამძიმებელ გარემოებებს და განმცხადებლის სტატუსს, რომელიც წარმოადგენდა ნათესავს აღმავალი ხაზით, რომელიც საშუალებას აძლევდა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას ზუსტად განესაზღვრა მისი ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

67. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელს საკმარისი გარანტიები ჰქონდა, რომელიც საშუალებას აძლევდა, გაეგო, თუ რატომ იქნა ცნობილი იგი დამნაშავედ.

68. სასამართლო ითვალისწინებს რეფორმას, რომელიც განხორციელდა იმ ღონისძიების შემდეგ, რასაც 2011 წლის 10 აგვისტოს შესაბამისი კანონის გამოცემა მოჰყვა, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავდა ახალ დებულებებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც ითვალისწინებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების გადმოცემას „მოტივის დასაბუთების ფორმაში“, რომელიც თან უნდა დაერთოს კითხვების ფურცელს. განაჩენის გამოტანისას, კანონი მოითხოვს მოტივის დასაბუთებაში მითითებული იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა განხილვის დროს გადაისინჯება და რომელიც დაარწმუნებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ყოველი წაყენებული ბრალის სისწორეში. სასამართლოს აზრით, აღნიშნული რეფორმა, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვნად აძლიერებს გარანტიებს თვითნებობის წინააღმდეგ და დახმარებას უწევს ბრალდებულებს გაიგონ თუ რატომ არიან ისინი მსჯავრდებულები და ამგვარად იგი პასუხობს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.

69. შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას წინამდებარე საქმეში აღვლილი არ ჰქონია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შესახებ.

განმცხადებლის მანდატის ვადაზე ადრე შეწყვეტა გამოწვეული იყო იმ მოსაზრებების შედეგად, რომლებიც მან საჯაროდ გამოხატა პროფესიული უფლებამოსილების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება გააჩნდათ, ჩარევა მაინც არ იყო გამართლებული: სამართალდარღვევა.

### **დიდი პალატა**

**საქმე „ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ“**

**CASE OF BAKA v. HUNGARY**

**განაცხადი N [20261/12](#)**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2016 წლის 23 ივნისი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, აირჩიეს უნგრეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ექვსი წლის ვადით, რომელიც 2015 წელს იწურებოდა. ამ სასამართლოს თავმჯდომარის და იუსტიციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნის დროს, მან გამოხატა საკუთარი შეხედულება სასამართლო ხელისუფლებაზე გავლენის მქონე სხვადასხვა საკანონმდებლო რეფორმების შესახებ. ახალი კონსტიტუციის გარდამავალი დებულებების შესაბამისად (უნგრეთის 2011 წლის ფუნდამენტური სამართალი), უზენაესი სასამართლოს სამართალმემკვიდრე იქნებოდა Kúria (ახალი უზენაესი სასამართლო) და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მანდატი დასრულდებოდა ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლისას. შედეგად, განმცხადებლის, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მანდატი, დასრულდა 2012 წლის 1 იანვარს. Kúria-ს ახალი თავმჯდომარის არჩევის კრიტერიუმების მიხედვით, კანდიდატებს მოეთხოვებოდათ უნგრეთში მოსამართლედ მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება. საერთაშორისო სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის პერიოდი არ ითვლებოდა. ამის გამო, აღმოჩნდა, რომ განმცხადებელი არ აკმაყოფილებდა ახალი Kúria-ს თავმჯდომარის თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნას.

## სამართალი

### II. კონვენციის მე-10 მუხლის საგარეულო დარღვევა

123. განმცხადებელი აცხადებდა პრეტენზიას, რომ მისი, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მანდატი შეწყდა იმ შეხედულების გამო, რომელიც ეხებოდა სასამართლო სისტემის რეფორმას, რაც საჯაროდ გამოხატა უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის რანგში. მისი თქმით, დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს:

„1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება;

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად.“

### დ. სასამართლოს შეფასება

#### 1. ჩარევის არსებობა

(ა) კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენება სასამართლო ხელისუფლების წევრების წინააღმდეგ გატარებული ზომების მიმართ

140. სასამართლომ, საკუთარ პრეცედენტულ სამართალში აღიარა, რომ მე-10 მუხლი საზოგადოდ საჯარო მოსამსახურეებსა (იხ. *ვოგტი*, §53, და *გუჯა საქართველოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N14277/04, § 52, ECHR, 2008) და სასამართლო ხელისუფლების წევრებზე ვრცელდება (იხ. *ვილი ლინხენშტეინის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N28396/95, §§ 41-42, ECHR, 1999-VII და *პარაბინი*, §149, სლოვაკეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის შესახებ). დისციპლინურ წარმოებებთან დაკავშირებულ საქმეებში, მოსამართლეთა ჩამოცილების ან დანიშვნის, სასამართლოს პირველ რიგში უნდა დაედგინა, გასაჩივრებული ზომა უტოლდებოდა თუ არა ჩარევას განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში - „ფორმალური პროცედურის, პირობის, აკრძალვის ან ჯარიმის“



ფორმით, თუ სადავო ზომამ უბრალოდ გავლენა მოახდინა მართლმსაჯულების სექტორში საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებებზე, რომელიც არ არის დაცული კონვენციით. ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განისაზღვროს ღონისძიებების მასშტაბი, საქმის არსებითი ფაქტობრივი გარემოებებისა და შესაბამისი კანონმდებლობის კონტექსტში (შესაბამისი კაზუსტიკა იხ. ვილი, §§ 42-43; *ჰარაბინი* (განჩინება), *კაიასუ თურქეთის წინააღმდეგ*, N64119/00 და N76292/01, §§ 77-79, 2008 წლის 13 ნოემბერი; *კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ*, N29492/05, § 79, 2009 წლის 26 თებერვალი; *პოირაში თურქეთის წინააღმდეგ*, N15966/06, §§ 55-57, 2010 წლის 7 დეკემბერი და *ჰარაბინი*, § 149).

141. ვილის საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლისათვის (ლიხტენშტეინის ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე) ლიხტენშტეინის უფლისწულის მიერ გავზავნილი წერილი, სადაც აცხადებდა საკუთარ განზრახვას, არ დაენიშნა იგი ხელმეორედ საჯარო თანამდებობაზე, წარმოადგენდა „საყვედურს განმცხადებლის მიერ მანამდე გამოხატვის თავისუფლების გამოყენების გამო“ (იხ. ვილი §50). სასამართლოს შეფასებით, ზემოაღნიშნულ წერილში, უფლისწული აკრიტიკებდა განმცხადებლის საჯარო ლექციის შინაარსს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების თაობაზე და აცხადებდა სანქციების გატარების განზრახვას კონსტიტუციური სამართლის გარკვეულ საკითხებზე მისი მოსაზრების გამო. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ საკითხთან მიმართებით მე-10 მუხლის მოქმედება ვრცელდებოდა და მოხდა განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. ანალოგიურად, *კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ* საქმეზე (*კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ*), სასამართლომ დაადგინა, რომ გადაწყვეტილება - აეკრძალათ განმცხადებლისათვის სასამართლო ხელისუფლებაში თანამდებობის დაკავება, გამონვეული იყო მედიაში მის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო. არც განმცხადებლის მიერ სახელმწიფო სამსახურში თანამდებობისთვის განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება, არც სასამართლოს ფუნქციების განხორციელების მხრივ მისი პროფესიული უნარი, არ წარმოადგენდა ეროვნული ხელისუფლების ორგანოებისათვის არგუმენტებს. შესაბამისად, გასაჩივრებული ზომა, ფაქტობრივად, ეხებოდა გამოხატვის თავისუფლებას და არა მართლმსაჯულების აღსრულებაში საჯარო თანამდებობის დაკავებას, უფლებას, რომელიც არ არის კონვენციით უზრუნველყოფილი (იხ. *კუდეშკინა*, §§ 79-80; აგრეთვე, სახელმწიფო ბრალმდებლის დისციპლინური გადაცდომის გამო განთავისუფლებასთან დაკავშირებით *კაიასუ*, §§ 77-81).

142. ამის საპირისპიროდ, სხვა საქმეების შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული ზომა ექცეოდა მართლმსაჯულების აღსრულების სფეროში საჯარო პოზიციის ფარგლებში და გამოხატვის თავისუფლებასთან არ ჰქონდა კავშირი. *ჰარაბინის* (განჩინება) საქმეში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს წინადადება, განმცხადებელი განთავისუფლებულიყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან (იუსტიციის მინისტრის ანგარიშის საფუძველზე),

ფაქტობრივად, დაკავშირებული იყო განმცხადებლის მიერ საკუთარი ფუნქციების განხორციელების უნართან, მისი პროფესიული კვალიფიკაციისა და პიროვნული თვისებების შეფასებასთან, მისი საქმიანობისა და უზენაესი სასამართლოს სახელმწიფო ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ქმედებებისა და დამოკიდებულების კონტექსტში. იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილ ანგარიშში, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნული იყო, რომ განმცხადებელმა ვერ მოახერხა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განთავისუფლება, რომელიც თავს დაესხა იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირს და არ გამოიყენა პროფესიული კრიტერიუმები უზენაეს სასამართლოში თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატების შეთავაზებისას. მართალია, იგი ეხებოდა განმცხადებლის მიერ გამოხატულ მოსაზრებებს კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით (მან გამოხატა შეშფოთება ხელისუფლების დანაწილებასა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით), სასამართლოს წინაშე არსებული დოკუმენტები არ მიაწოდებდა, რომ განმცხადებლის განთავისუფლების შესახებ წინადადება იყო „ექსკლუზიურად და უპირატესად გამოწვეული ამ მოსაზრებების გამო“. ანალოგიურად, *ჰარაბინის* გადაწყვეტილებაში, განმცხადებლის პროფესიონალური ქცევა მართლმსაჯულების აღსრულების კონტექსტში საქმის არსებით ასპექტს წარმოადგენდა. მის წინააღმდეგ დისციპლინური წარმოება (მას შემდეგ, რაც უარი განაცხადა ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ აუდიტის ჩატარებაზე, ვინაიდან, მიაჩნდა, რომ აუდიტი უნდა ჩატარებინა აუდიტის უმაღლეს სამსახურს) ეხებოდა მისი, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობების განხორციელებას და *ამდენად ექცეოდა საჯარო სამსახურში მისი საქმიანობის/დასაქმების სფეროში*. დისციპლინური დარღვევა, რომელშიც ის ბრალდებულად ცნეს, არ მოიცავდა მის მიერ საჯარო მსჯელობის კონტექსტში ნათქვამ განცხადებას ან გამოხატულ მოსაზრებებს. სასამართლომ, შესაბამისად, გამოიტანა დასკვნა, რომ *სადავო ზომა* არ წარმოადგენდა მე-10 მუხლით განსაზღვრულ უფლებებში ჩარევას და შესაბამისი საჩივარი დაუშვებლად ცნო, როგორც აშკარად უსაფუძვლო (იხ. *ჰარაბინის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, §§ 150-153).

## **(ბ) წინამდებარე საქმეში მოხდა თუ არა ჩარევა**

143. სასამართლომ პირველ რიგში უნდა დაადგინოს, სადავო ზომა წარმოადგენდა თუ არა ჩარევას განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში. ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა დადგინდეს ზომის მოქმედების ფარგლები, აღნიშნული ზომის საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და შესაბამისი კანონმდებლობის კონტექსტში განხილვის გზით (იხ. *ვილი*, § 43). წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და გაუღერებული ბრალდებების ხასიათის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ საკითხის განხილვა, მისი პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე და მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე, ზოგადი პრინციპების ჭრილში უნდა მოხდეს. ამასთან დაკავშირებით სასამართლო

იმეორებს, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას, მან შემოიღო მტკიცების სტანდარტი „კონივრულ ეჭვს მიღმა“. თუმცა, მას არასოდეს დაუსახია მიზნად, გადაეღო ეროვნული სამართლებრივი სისტემების მიდგომა, რომლებიც ამ სტანდარტს იყენებენ. სასამართლოს როლს არ წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება სისხლის სამართლებრივ ბრალეულობას ან სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, არამედ მიზნად ისახავს ხელშემკვრელი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის დადგენას კონვენციასთან მიმართებით. ამ ამოცანის სპეციფიკურობა კონვენციის მე-19 მუხლის საფუძველზე, ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ საკუთარი ვალდებულებების - დაიცვან კონვენციით განმტკიცებული ძირითადი უფლებები, შესრულების უზრუნველყოფა განაპირობებს მის მიდგომას მტკიცებულებისა და მტკიცების საკითხებისადმი (იხ. *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [43577/98](#) და N [43579/98](#), § 147, ECHR, 2005-VII). სასამართლო ამ დასკვნებს იზიარებს და ეს დასკვნები, მისი აზრით, გამყარებულია ყველა მტკიცებულების თავისუფალი შეფასებით, მათ შორის, დასკვნების მეშვეობით, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდნენ ფაქტების ერთობლიობიდან და მხარეთა განცხადებებიდან. პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მტკიცება უნდა გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, მკაფიო და შეთანხმებული დასკვნებიდან ან ფაქტის მსგავსი დამაჯერებელი ვარაუდიდან. სასამართლოს პრაქტიკაში ამ კუთხით მოქნილი მიდგომა აქვს, არსებითი უფლების შესაბამისი ხასიათისა და მტკიცებულებებთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით. გარკვეულ შემთხვევებში, მხოლოდ მოპასუხე სახელმწიფოს აქვს წვდომა ინფორმაციაზე, რომლითაც შეიძლება დადასტურდეს ან უარყოფილ იქნეს განმცხადებლის ბრალდება; შედეგად, შეუძლებელია მტკიცების ტვირთი მამტკიცებელ მხარეზე (*principle affirmanti, non neganti, incumbit probatio*) - პრინციპების ზედმიწევნით გამოყენება (იხ. *ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ*, N[55723/00](#), § 79, ECHR, 2005-IV). მართალია, ეს პრინციპები ძირითადად კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების კონტექსტში გამოიყენებოდა (იხ. *აკტაში თურქეთის წინააღმდეგ*, N [24351/94](#), § 79, ECHR, 2003-V (ამონარიდები) და *ელ-მასრი მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N[39630/09](#), §§ 151-152, ECHR, 2012), თუმცა სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებობს მაგალითები, სადაც ისინი გამოიყენეს კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლებების მიმართ (მე-5 მუხლი, *კრეანვა რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [29226/03](#), §§ 88-90, 2012 წლის 23 თებერვალი; მე-8 მუხლი, *ფადეევა*, მუხლი 11, *მასმუდოვი რუსეთის წინააღმდეგ*, N[35082/04](#), §§ 68-73, 2007 წლის 26 ივლისი და მე-14 მუხლი, *დ.კ. და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [57325/00](#), §§ 177-179, ECHR, 2007-IV).

144. ეს პრინციპები განსაკუთრებით აქტუალურია წინამდებარე საქმეში, სადაც ეროვნულ სასამართლოს საერთოდ არ განუხილავს განმცხადებლის ბრალდება და მისი, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მანდატის შეწყვეტის მიზეზები. სწორედ ამ კონტექსტის პირობებში, დიდი პალატა ეთანხმება პალატის

მიდგომას, რომლის თანახმადაც, უნდა შეფასდეს საქმის ფაქტები და მოვლენათა თანმიმდევრობა და მოხდეს მათი „მოთიანობაში“ გათვალისწინება (მდრ. ივანოვა ბულგარეთის წინააღმდეგ, N [52435/99](#), §§ 83-84, 2007 წლის 12 აპრილი).

145. სასამართლოს აუცილებლად მიაჩნია, გაიხსენოს წინამდებარე საქმეში მოვლენათა თანმიმდევრობა. იგი დასაწყისიდანვე აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და იუსტიციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის რანგში, საჯაროდ გამოხატა საკუთარი მოსაზრება სხვადასხვა საკანონმდებლო რეფორმებზე, რომლებიც სასამართლო სისტემას ეხებოდა. 2011 წლის 12 თებერვალს განმცხადებლის წარმომადგენელმა გაზეთის წარმომადგენელს აუხსნა ის წუხილი, რომელიც განმცხადებელს ჰქონდა ანულირების კანონპროექტთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საბოლოო მსჯავრდების გაუქმების ბრძანება გაიცა. 2011 წლის 24 მარტს იგი პარლამენტში სიტყვით გამოვიდა და ისაუბრა უნგრეთის ახალი ძირითადი კანონის პროექტის გარკვეული ასპექტების შესახებ. 2011 წლის 7 აპრილს განმცხადებელმა, სხვა სასამართლოების თავმჯდომარეებთან ერთად, წერილით მიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს, რომელშიც გაკრიტიკებული იყო უნგრეთის ძირითადი კანონის პროექტით გათვალისწინებული წინადადება, რომელიც მოსამართლეთა პენსიაზე გასვლის სავალდებულო ასაკის დაწევას ითვალისწინებდა. 2011 წლის 11 აპრილს განმცხადებელმა წერილით მიმართა პრემიერ-მინისტრს, რომელშიც მან კვლავ გააკრიტიკა მოსამართლეთა საპენსიო ასაკის შესახებ წინადადება, ხაზი გაუსვა, რომ ეს ინიციატივა დამამცირებელი იყო და არღვევდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და შეუცვლელობის პრინციპებს. 2011 წლის 14 აპრილს განმცხადებელმა, იუსტიციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის რანგში, უზენაესი სასამართლოს სრულ შემადგენლობასა და სხვა სასამართლოების თავმჯდომარეებთან ერთად, გამოსცა საჯარო კომუნიკე (ოფიციალური შეტყობინება), სადაც კვლავ აკრიტიკებდა მოსამართლეთა ახალი საპენსიო ასაკის შემოღების წინადადებას, აგრეთვე იუსტიციის ეროვნულ საბჭოში ცვლილებების შესახებ ინიციატივას. თავიანთ კომუნიკეში ისინი აფიქსირებდნენ თვალსაზრისს, რომ ახალი საპენსიო ასაკი რეგულირდებოდა ძირითადი კანონით იმისათვის, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სასამართლო კონტროლი და აცხადებდნენ, რომ ამ მიდგომის უკან პოლიტიკური მოტივაცია იდგა. 2011 წლის 4 აგვისტოს განმცხადებელმა გაასაჩივრა ახალი კანონმდებლობა სამართალწარმოებებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში. 2011 წლის 3 ნოემბერს განმცხადებელი სიტყვით გამოვიდა პარლამენტის წინაშე, რომელშიც მან გამოხატა წუხილი იმ წინადადების გამო, რომლის მიხედვითაც იუსტიციის ეროვნული საბჭო უნდა შეცვლილიყო გარე ადმინისტრაციით (ეროვნული სასამართლო სამსახური), რომელსაც სასამართლოების მართვა დაეკისრებოდა. საკუთარ გამოსვლაში, განმცხადებელმა მკაცრად გააკრიტიკა წინადადება და აღნიშნა, რომ ახალი ორგანო „მეტისმეტი“, „არაკონსტიტუციური“ და „უკონტროლო“ უფლებამოსილების მქონე იქნებოდა.



განმცხადებელმა კვლავ გააკრიტიკა მოსამართლეთა ახალი საპენსიო ასაკი და განაცხადა, რომ მას უარყოფითი გავლენა ექნებოდა უზენაეს სასამართლოზე.

146. სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ორმა წევრმა, რომელთაგან ერთ-ერთი იუსტიციის სახელმწიფო მდივანი იყო, 2011 წლის 14 აპრილსა და 19 ოქტომბერს მიცემულ ინტერვიუებში განაცხადა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დარჩებოდა Kúria-ს თავმჯდომარე და მხოლოდ დაწესებულების სახელწოდება შეიცვლებოდა. 2011 წლის 6 ივლისს მთავრობამ დაარწმუნა ვენეციის კომისია, რომ ძირითადი კანონის გარდამავალი დებულებების მომზადება არ იქნებოდა გამოყენებული იმისათვის, რომ არასათანადოდ დაესრულებინათ წინა საკანონმდებლო რეჟიმის ფარგლებში არჩეული პირების თანამდებობაზე ყოფნის ვადა. სასამართლოსთვის მიუღებელია სახელმწიფოს არგუმენტი, რომ ეს ორი ინტერვიუ, განმცხადებლის კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვის შემდეგ ადასტურებს, რომ სადავო ზომა არ იყო ამ კრიტიკის შედეგი. ყველა წინადადება მისი, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მანდატის შეწყვეტასთან დაკავშირებით, საჯარო გახდა და პარლამენტს წარედგინა 2011 წლის 19-დან 23 ნოემბრამდე. 2011 წლის 3 ნოემბერს პარლამენტში სიტყვით გამოსვლიდან განმცხადებელს მოკლე დროის განმავლობაში **შეუწყდა მანდატი**, 2012 წლის 1 იანვარს. ძირითადი კანონის ძალაში შესვლასთან ერთად და ახალი Kúria უზენაესი სასამართლოს სამართალმემკვიდრე გახდა.

147. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2011 წლის 9 ნოემბერს სასამართლოების ორგანიზებისა და ადმინისტრირების შესახებ კანონში შევიდა ცვლილებები და დაემატა ახალი კრიტერიუმი, რომელიც ეხება Kúria-ს თავმჯდომარის თანამდებობისათვის აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამ პოსტის დაკავების მსურველი კანდიდატებისათვის დაწესებული იყო შემდეგი მოთხოვნები: ისინი უნდა ყოფილიყვნენ დანიშნულნი უვადოდ და მოეთხოვებოდათ უნგრეთში მოსამართლედ მუშაობის სულ მცირე ხუთწლიანი სტაჟი. საერთაშორისო სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის პერიოდი არ ითვლებოდა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებდა ახალი Kúria-ს თავმჯდომარის თანამდებობისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

148. სასამართლოს მიაჩნია, რომ ცალკეული და კონკრეტული ინციდენტების ნაცვლად, მოვლენათა თანამიმდევრობის გათვალისწინებით, არსებობს *prima facie* (ერთი შეხედვით; ეხება მტკიცებულებებს, რომლებიც თვითკმარია, თუ ისინი არ არის ბათილი ან შეცილებული) მტკიცებულება, რომლის თანახმად, მიზეზობრივი კავშირია განმცხადებლის მიერ გამოხატვის თავისუფლების გამოყენებასა და მისი მანდატის შეწყვეტას შორის. ეს მტკიცდება არაერთი დოკუმენტით, რომლებიც განმცხადებელმა წარადგინა და ეხება ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას მიზეზობრივი კავშირის არსებობის შესახებ. მათ შორისაა არა მხოლოდ უნგრეთის და უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული სტატიები, არამედ ევროპის საბჭოს



დანესებულებების მიერ მიღებული ტექსტები (იხ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის პოზიცია, 62-ე პუნქტსა და ვენეციის კომისიის პოზიცია 59-ე პუნქტში).

149. სასამართლოს აზრით, ვინაიდან არსებობს *prima facie* მტკიცებულება მოვლენების განმცხადებლისეული ვერსიისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობის სასარგებლოდ, მტკიცების ტვირთი უნდა გადავიდეს სახელმწიფოზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემულ ვითარებაში, ვინაიდან განმცხადებლის მანდატის შეწყვეტა მთავრობის მიერ განხორციელდა და არასოდეს დადგენილა ან განხილულა დამოუკიდებელი სასამართლოს ან ორგანოს მიერ, განსხვავებით უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მოადგილის საქმისაგან. სასამართლო აღნიშნავს, რომ შესაბამის დროს წარმოდგენილი განმარტებები კანონპროექტებში, რომლებიც ითვალისწინებდა ცვლილებებს განმცხადებლის მანდატის შეწყვეტასთან დაკავშირებით, არ იყო ძალიან დეტალური. კანონპროექტები ზოგადად ეხებოდა უზენაესი ფუნდამენტურ სამართალს, უზენაესი სასამართლოს სამართალმემკვიდრეობასა და სასამართლო სისტემაში ამ კანონიდან გამომდინარე ცვლილებებს, არ ყოფილა განმარტებული ცვლილებები, რომლებმაც გამოიწვია განმცხადებლის, როგორც თავმჯდომარის მანდატის ვადაზე აღრე შეწყვეტა. წინამდებარე საქმის გარემოებებში, ეს ვერ ჩაითვლება საკმარისად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ წინა კანონპროექტებში, რომლებიც წარდგენილი იყო საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში, საუბარი არ იყო განმცხადებლის მანდატის შეწყვეტაზე. სახელმწიფოს და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლების მიერ მანამდე გაკეთებული განცხადებები მიუთითებდა სწორედ საპირისპიროზე, კერძოდ იმაზე, რომ არ მოხდებოდა განმცხადებლის მანდატის შეწყვეტა ძირითადი კანონის ძალაში შესვლის შედეგად. გარდა ამისა, ეროვნული ხელისუფლების ორგანოები ეჭვქვეშ არ აყენებდნენ არც განმცხადებლის მიერ საკუთარი ფუნქციების, როგორც უმაღლესი სასამართლო ორგანოს თავმჯდომარის შესრულების უნარს, არც მის პროფესიონალიზმს (იხ. *ჰარაბინი* (განჩინება) და *ჰარაბინი* (განჩინებები), § 151).

150. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ წამოყენებულ მიზეზებს, სასამართლოს წინაშე გასაჩივრებული ზომის გასამართლებლად, არ არის აშკარა, რომ უმაღლესი სასამართლო ორგანოს ფუნქციებში ან მისი თავმჯდომარის ამოცანებში შეტანილი ცვლილებები იმდენად ფუნდამენტური ხასიათის იყო, რომ მათ შეეძლოთ ან უნდა გამოეწვიათ განმცხადებლის მანდატის ვადაზე აღრე შეწყვეტა. სახელმწიფომ აღნიშნა, რომ ფუნქციები, რომელთა შესასრულებლად განმცხადებელი იქნა არჩეული, აღარ არსებობდა, ვინაიდან მისი საქმიანობა უპირატესად დაკავშირებული იყო იუსტიციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მენეჯერულ ფუნქციებთან, რომლებიც ძირითადი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, გაიმიჯნა Kúria-ს თავმჯდომარის ფუნქციებისაგან. ამ კუთხით, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იუსტიციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა

აღმოჩნდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ფუნქციების დამხმარე და არა პირიქით. გარდა ამისა, თუ არჩევისას განმცხადებელი კომპეტენტურად ჩაითვალა ორივე ფუნქციის შესასრულებლად, შემდგომში ერთ-ერთი ფუნქციის ამოღებას, გავლენა არ უნდა მოეხდინა მის მიერ მეორე ფუნქციის განხორციელების გაგრძელებისათვის. რაც შეეხება უმაღლესი სასამართლო ორგანოს კომპეტენციებში სავარაუდო ცვლილებებს, ისინი არ არის ფუნდამენტური. მთავარი ახალი კომპეტენცია, რომელიც Kúria-ს მიენიჭა, იყო უფლებამოსილება, განეხილა ადგილობრივი ხელისუფლების რეგულაციების კანონიერება და დაედგინა შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება არ დაიცავდა კანონით განსაზღვრულ სამართლებრივ მოვალეობებს; რაც შეეხება იმ ფუნქციას, რომელიც ითვალისწინებდა პრეცედენტული სამართლის თანამიმდევრულობის დაცვას (იხ. წინა კონსტიტუციის 47.2 მუხლი, რომელშიც აღნიშნული იყო ერთგვაროვანი რეგოლაციები), რომელიც მანამდე არსებობდა, ახალი კანონმდებლობით დაწესდა ამ ამოცანის შესრულების ახალი გზა და უფრო დეტალური რეგულაციები (პრეცედენტული სამართლის ანალიზზე მომუშავე ჯგუფების შექმნა, ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების გამოქვეყნება სახელმძღვანელოდ).

151. შედეგად, სასამართლოს თვალსაზრისით, სახელმწიფომ დამატებლად ვერ დაასაბუთა, რომ სადავო ზომა გამონწვეული იყო უმაღლესი სასამართლო ორგანოს რეფორმის კონტექსტში განმცხადებლის თანამდებობისა და ფუნქციების შემცირებით. შესაბამისად, იგი ეთანხმება განმცხადებელს, რომ მისი მანდატის ვადაზე ადრე შეწყვეტა განპირობებული იყო მის მიერ გამოხატული მოსაზრებებით და კრიტიკით, რომლებიც მან პროფესიული უფლებამოსილების შესრულების დროს საჯაროდ გამოხატა.

152. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მანდატის ვადაზე ადრე შეწყვეტა წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-10 მუხლით (იხ. *mutatis mutandis*, ვილი, § 51 და *კუდეშკინა*, § 80). ამდენად, უნდა მოხდეს შესწავლა, იყო თუ არა ჩარევა გამართლებული 10.2 მუხლის შესაბამისად.

## 2. ჩარევა იყო თუ არა გამართლებული

### (ა) „კანონით დადგენილი წესით“

153. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მანდატის შეწყვეტა გათვალისწინებული იყო უნგრეთის ძირითადი კანონის გარდამავალი დებულებების 11.2 ნაწილით, და სასამართლოების ორგანიზებისა და ადმინისტრირების შესახებ აქტის 185.1 ნაწილით, ორივე მათგანი ძალაში შევიდა 2012 წლის 1 იანვარს. განმცხადებლის

თქმით, ეს დებულებები ვერ ჩაითვლებოდა „კანონად“ კონვენციის მიზნით, მათი ინდივიდუალიზებული, რეტროაქტიული ძალისა და მიკერძოებული ბუნების გათვალისწინებით.

154. რაც შეეხება აღნიშნული კანონმდებლობის ინდივიდუალიზებულ ხასიათს, სასამართლომ უკვე გამოხატა გარკვეული ეჭვი, 117-ე და 121-ე პუნქტებში, იმასთან დაკავშირებით, თუ აღნიშნული კანონმდებლობა რამდენად შეესაბამებოდა კანონის უზენაესობის მოთხოვნებს. სასამართლომ ანალიზი უნდა განაგრძოს იმ ვარაუდით, რომ ჩარევა 10.2 მუხლის მიზნებისათვის, „კანონით იყო განსაზღვრული“ ვინაიდან გასაჩივრებული ჩარევა კონვენციის მე-10 მუხლს სხვა მიზეზებით არღვევს.

### **(ბ) ლეგიტიმური მიზანი**

155. სახელმწიფოს განცხადებით, განმცხადებლის, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მანდატის შეწყვეტა, მიზნად ისახავდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებას 10.2 მუხლის მნიშვნელობით. ისინი აღნიშნავენ 2009 წელს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ განმცხადებლის არჩევის გარემოებებს და ფაქტს, რომ მისი თანამდებობა ზედმეტად ადმინისტრაციული და „სამთავრობო“ ხასიათის იყო, რითაც დასაბუთდა მისი მანდატის შეწყვეტა, სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით.

156. სასამართლო აღიარებს, რომ 10.2 მუხლის შესაბამისად, ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ორგანოს თავმჯდომარის არჩევის წესების ცვლილება აღნიშნულ თანამდებობაზე მყოფი პირის დამოუკიდებლობის ხარისხის გასაძლიერებლად, შეიძლება დაუკავშიროთ „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნების“ ლეგიტიმურ მიზანს. სასამართლოს აზრით, სახელმწიფო მხარე ლეგიტიმურად ვერ მოიხმობს სასამართლოს დამოუკიდებლობას ისეთი ზომის გასამართლებლად, როგორცაა სასამართლოს თავმჯდომარის მანდატის ვადაზე ადრე შეწყვეტა იმ მიზეზებით, რომლებიც არ იყო კანონით განსაზღვრული და რომლებიც არ ეხებოდა კომპეტენტურობის ან სამსახურებრივი ვადაცდომის მიზეზებს. სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს ზომა ვერ მოემსახურებოდა სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის მიზანს, ვინაიდან ის პარალელურად და ზემოთ განსაზღვრული მიზნებით, გამოწვეული იყო განმცხადებლის მიერ გამოხატვის თავისუფლების გამოვლინების შედეგად, რომელსაც სასამართლო ხელისუფლებაში ყველაზე მაღალი თანამდებობა ეკავა. როგორც მე-6 მუხლის კონტექსტში აღინიშნა, ეს აგრეთვე იყო ზომა, რომელმაც გავლენა მოახდინა მის უფლებაზე, ემსახურა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ექვსი წლის ვადით, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ასეთ გარემოებაში, ნაცვლად იმისა, რომ შენარჩუნებულიყო სასამართლოს დამოუკიდებლობა, განმცხადებელს, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ვადაზე ადრე შეუწყვიტეს მანდატი.

157. შესაბამისად, სასამართლო ვერ დაეთანხმება იმ განცხადებას, რომ გასაჩივრებული ჩარევას ჰქონდა კანონიერი მიზანი, რომელიც ხელისუფლებამ გამოიყენა 10.2 მუხლის შესაბამისად. ვინაიდან წარმოჩენილია, რომ ჩარევა არ ემსახურებოდა „ლეგიტიმურ მიზანს“, არ არის აუცილებელი, ჩატარდეს გამოძიება, იყო თუ არ ეს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (იხ. *ხუშინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*, N [13470/02](#), § 117, 2008 წლის 23 ოქტომბერი). წინამდებარე საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, ასევე, მხარეთა განცხადებების გათვალისწინებით, სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ შემონდგეს, იყო თუ არა გასაჩივრებული ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

### (გ) „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

#### (i) გამოხატვის თავისუფლების ზოგადი პრინციპები

158. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობასთან დაკავშირებით ზოგადი პრინციპები, რომლებიც სასამართლომ არაერთხელ გაიმეორა საკუთარ გადაწყვეტილებაში საქმეზე *ჰანდისაიდი ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (7 დეკემბერი, 1976 წ., სერია A, N24), ბოლო დროს კიდევ ერთხელ იყო აღნიშნული საქმეებში *მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N[29369/10](#), §124, 2015 წლის 23 აპრილი; *დელოფი ას ესტონეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N[64569/09](#), § 131, ECHR, 2015 და *პერინჩეკი შვეიცარიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [27510/08](#), §196, ECHR, 2015 (ამონარიდები), სადაც ვკითხულობთ:

„(i) გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთ არსებით საფუძველს და ძირითად პირობას მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის თვითრეალიზაციისათვის. კონვენციის 10.2 მუხლის საფუძველზე, იგი ეხება არა მხოლოდ „ინფორმაციას“ ან „იდებებს“, რომლებიც დადებითია და არ არის შეურაცხმყოფელი, არამედ იმათ, რომლებიც არის შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემამფოთებელი. ასეთია პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის მოთხოვნები, რომელთა გარეშე „დემოკრატიული საზოგადოება“ არ არსებობს. როგორც მე-10 მუხლშია განსაზღვრული, ეს თავისუფლება ექვემდებარება გამონაკლისებს, რომლებიც უნდა იყოს განმარტებული მკაცრად და ნებისმიერი შეზღუდვის საჭიროება დამატურებლად უნდა განისაზღვროს.

(ii) ზედსართავი სახელი „აუცილებელი“, 10.2 მუხლის მნიშვნელობით, გულისხმობს „გადაუდებელი სოციალური საჭიროების“ არსებობას. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ გარკვეული დისკრეციული უფლებამოსილება ამგვარი საჭიროების არსებობის შეფასებისას, ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპულ ზედამხედველობასთან, რომელიც ეხება როგორც კანონმდებლობას, ისე გადაწყვეტილებებს კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე, თუნდაც



დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ იყოს მიღებული. ამდენად, სასამართლო უფლებამოსილია, გამოსცეს საბოლოო განჩინება იმის თაობაზე, „შეზღუდვა“ თავსებადია თუ არა მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასთან.

(iii) საზედამხედველო იურისდიქციის განხორციელებისას სასამართლოს ამოცანა არის არა ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ნაცვლად მოქმედება, არამედ მე-10 მუხლის საფუძველზე, მათი დისკრეციული უფლებამოსილების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებების განხილვა. ეს არ გულისხმობს, რომ ზედამხედველობა შემოიფარგლება იმის დადგენით, მოპასუხე სახელმწიფომ გონივრულად, გულდასმით და კეთილსინდისიერად განახორციელა თუ არა საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილება; სასამართლომ უნდა განიხილოს გასაჩივრებული ჩარევა საქმის მთლიანობაში გათვალისწინებით და დაადგინოს, იყო თუ არა იგი „პროპორციული ლეგიტიმური მიზნის გათვალისწინებით“ და ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ მოყვანილი დასაბუთება - „არასათანადო და საკმარისი“... ამ პროცესში სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენეს სტანდარტები, რომლებიც შესაბამისობაშია მე-10 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს და ემყარებოდა შესაბამისი ფაქტების სათანადო შეფასებას...”

159. რაც შეეხება დაცვის დონეს, კონვენციის 10.2 მუხლი მცირე შესაძლებლობებს იძლევა პოლიტიკური განცხადებების ან საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე დებატების შეზღუდვისათვის (იხ. *სურევი თურქეთის წინააღმდეგ* (N 1) [დიდი პალატა], N [26682/95](#), § 61, ECHR, 1999-IV; *ლინდონი, ოტჩაკოვსკი-ლაურენსი და ჯული საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [21279/02](#) და [36448/02](#), § 46, ECHR, 2007-IV და *აქსელ სპრინგერი ავ გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N. [39954/08](#), §90, 2012 წლის 7 თებერვალი). შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი დონე, როდესაც ხელისუფლების ორგანოების დისკრეციული უფლებამოსილება შეზღუდულია, ჩვეულებრივ ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც კომენტარები ეხება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს, განსაკუთრებით, სასამართლოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კომენტარების შემთხვევაში (იხ. *როლანდ დუმასი საფრანგეთის წინააღმდეგ*, N [34875/07](#), § 43, 2010 წლის 15 ივლისი და *მორისი*, § 125).

160. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას გასათვალისწინებელია ასევე დაკისრებული სანქციების ხასიათი და სიმკაცრე. როგორც სასამართლომ მანამდე აღნიშნა, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ამ თავისუფლებით სარგებლობაზე (იხ. *გუჯა*, § 95 და *მორისი*, § 127).

161. გასაჩივრებული ზომის საფუძვლიანობის შესაფასებლად, გასათვალისწინებელია, რომ მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას უნდა მოხდეს

სამართალწარმოების სამართლიანობისა და განმცხადებლისათვის მინიჭებული პროცესუალური გარანტიების მხედველობაში მიღება (იხ. *mutatis mutandis*, *კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ*, 23 აპრილი 1992, §§ 47-48, სერია A, N 236; *ასოციაცია ეკინი საფრანგეთის წინააღმდეგ*, N39288/98, § 61, ECHR, 2001-VIII; *კოლომბანი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, N51279/99, § 66, ECHR, 2002-V; *სტილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N68416/01, § 95, ECHR, 2005-II; *კიპრიანოუ კვიპროსის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N73797/01, §§ 171 და 181, ECHR, 2005-XIII; *მამერი საფრანგეთის წინააღმდეგ*, N. 12697/03, §§ 23-24, ECHR, 2006-XIII; *კუდეშკინა*, § 83 და *მორისი*, § 155). სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ეფექტური სასამართლო განხილვის არარსებობით შეიძლება დასაბუთდეს მე-10 მუხლის დარღვევა (იხ. *ლომბარდი ვალაური იტალიის წინააღმდეგ*, N39128/05, §§45-56, 20 ოქტომბერი, 2009 წ.). მართლაც, როგორც სასამართლომ მანამდე დაადგინა მე-10 მუხლის კონტექსტში, „სასამართლოს მიერ ზომის აუცილებლობის განხილვა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ, რაც აგრეთვე გულისხმობს შესაბამის დისკრეციულ უფლებამოსილებას (იხ. *ცხოველთა უფლებების დამცველები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N 48876/08 § 108, ECHR, 2013 (ამონარიდები)).

## (ii) მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ზოგადი პრინციპები

162. მართალია, სასამართლომ დაადასტურა, რომ სახელმწიფოს მიერ საჯარო მოსამსახურეებისათვის, მათი სტატუსის საფუძველზე, დისკრეციის ვალდებულების დაკისრება ლეგიტიმური ქმედებაა, საჯარო მოსამსახურეები არიან პიროვნებები და გააჩნიათ კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე დაცვით სარგებლობის უფლება (იხ. *ვოგტი*, §53 და *გუჯა*, § 70) ამდენად, სასამართლომ, თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, უნდა განსაზღვროს, მიღწეული იყო თუ არა სათანადო ბალანსი პიროვნების გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს კანონიერ ინტერესს შორის, რომელიც საჯარო სამსახურის მიერ კონვენციის 10.2 მუხლში მითითებული მიზნების სათანადოდ ხელშეწყობას გულისხმობს. ამგვარი განხილვის პროცესში, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ საჯარო მოხელის გამოხატვის თავისუფლების საკითხზე მსჯელობისას, 10.2 მუხლში აღნიშნული „მოვალეობები და პასუხისმგებლობები“ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რაც ასაბუთებს ეროვნული ხელისუფლების ორგანოებისათვის გარკვეული დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭებას გასაჩივრებული ჩარევის ზემოაღნიშნული მიზნის თანაზომიერების დადგენისას (იხ. *ვოგტი*, § 53, და *ალბაირაკი თურქეთის წინააღმდეგ*, N38406/97, § 41, 2008 წლის 31 იანვარი).

163. დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოს მნიშვნელოვანი ადგილის გათვალისწინებით, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ ეს მიდგომა ეხება აგრეთვე მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევას, მისი

ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით, იმის მიუხედავად, რომ სასამართლო არ წარმოადგენს ჩვეულებრივი საჯარო სამსახურის ნაწილს (იხ. *ალბაირაკი*, § 42 და *პიტკევიჩი*).

164. სასამართლომ აღიარა, რომ სასამართლო სისტემაში მოღვაწე საჯარო თანამდებობის პირებისაგან მოსალოდნელია გამოხატვის თავისუფლების მხრივ თავშეკავების გამოჩენა ყველა შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა (იხ. *ვილი*, §64; *კაიასუ*, § 92; *კუდეშკინა*, § 86 და *დი ჯოვანი*, § 71). ზუსტი ინფორმაციის გავრცელებაც კი უნდა მოხდეს ზომიერად და მართებულად (იხ. *კუდეშკინა*, § 93). სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებული როლის შესახებ; სასამართლო წარმოადგენს მართლმსაჯულების, კანონის უზენაესობის პრინციპით მართულ ქვეყანაში ფუნდამენტური ღირებულების გარანტს; შესაბამისად, საკუთარი მოვალეობების წარმატების განხორციელებისათვის იგი უნდა სარგებლობდეს საზოგადოების ნდობით (იხ. *კუდეშკინა*, §86 და *მორისი*, §128). სწორედ ამ მიზეზის გამო, სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს, მაქსიმალური წინდახედულება მოეთხოვებათ, რათა მიუკერძოებელი მოსამართლეების რეპუტაცია შეინარჩუნონ (იხ. *ოლუჯიკი*, § 59).

165. სასამართლომ აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების დანაწილებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის მნიშვნელობას, ამიტომ განმცხადებლის მსგავს შემთხვევაში მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევა მოითხოვს სასამართლოს მხრიდან დიდი ყურადღებით განხილვას (იხ. *ჰარაბინი* (განჩინება); აგრეთვე *ვილი*, § 64). გარდა ამისა, მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები ექცევა საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში და მის გარშემო მსჯელობაზე, მე-10 მუხლის საფუძველზე, ვრცელდება დაცვის მაღალი დონე (იხ. *კუდეშკინა*, §86 და *მორისი*, §128). იმ შემთხვევაშიც კი, თუ განსახილველ საკითხს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოსამართლემ ვერ შეძლოს ასეთ საკითხთან დაკავშირებით განცხადების გაკეთება (იხ. *ვილი*, § 67). დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლების დანაწილებასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება მოიცავდეს ძალიან მნიშვნელოვან თემებს და საზოგადოებას გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი, ინფორმირებული იყოს ისეთი თემების შესახებ, რომლებიც ექცევა პოლიტიკური მსჯელობის ფარგლებში (იხ. *გუჯა*, § 88).

166. კონვენციის მე-10 მუხლის კონტექსტში, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს გარემოებები და ზოგადი კონტექსტი, რომლის პირობებშიც გაკეთდა შესაბამისი განცხადებები (იხ. *mutatis mutandis*, *მორისი*, §162). მან უნდა განიხილოს გასაჩივრებული ჩარევა მთლიანი საქმის გათვალისწინებით (იხ. *ვილი*, § 63 და

ალბაირაკი, § 40), განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს განმცხადებლის მიერ დაკავებულ თანამდებობას, მის განცხადებებს და კონტექსტს, რომელშიც ეს განცხადებები გაკეთდა.

167. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ სანქციის შიშს „მსუსხავი ეფექტი“, ანუ უარყოფითი ზეგავლენა აქვს გამოხატვის თავისუფლებაზე, განსაკუთრებით სხვა მოსამართლეებზე, რომლებსაც აქვთ მართლმსაჯულების აღსრულება და სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხებზე საჯარო განხილვებში მონაწილეობის სურვილი (იხ. *კუდეშკინა*, §§ 99-100). ეს ეფექტი, რომელიც არასახარბიელოდ აისახება მთლიანად საზოგადოებაზე, წარმოადგენს ისეთ ფაქტორს, რომელიც სანქციის ან დაკისრებული სასჯელის პროპორციულობას ეხება (იხ. *კუდეშკინა*, § 99).

### (iii) ზემოთ აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

168. სასამართლო იმეორებს დასკვნას, რომ გასაჩივრებული ჩარევა მოჰყვა განმცხადებლის მიერ გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას მოსაზრებებისა და კრიტიკის საჯაროდ გამოხატვას. ამ მხრივ სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ საკანონმდებლო რეფორმებთან დაკავშირებით გამოხატა უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის რანგში. მას როგორც იუსტიციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს, ჰქონდა უფლება და უფრო მეტიც ვალდებული იყო გამოეხატა საკუთარი მოსაზრება საკანონმდებლო რეფორმებთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენენ სასამართლო სისტემაზე. განმცხადებელმა აგრეთვე გამოიყენა საკუთარი უფლებამოსილება, რათა საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე ეჭვქვეშ დაეყენებინა გარკვეული შესაბამისი კანონმდებლობა და ორჯერ გამოიყენა უშუალოდ პარლამენტში საკუთარი შეხედულების გამოხატვის შესაძლებლობა, პარლამენტის წესების შესაბამისად. ამდენად, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განმცხადებლის თანამდებობას, რომლის ფუნქციები და მოვალეობები ითვალისწინებდა შეხედულების გამოხატვას საკანონმდებლო რეფორმების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ ზეგავლენას მოახდენდნენ სასამართლო სისტემასა და მის დამოუკიდებლობაზე. ამასთან დაკავშირებით სასამართლო მოიშველიებს ევროპის საბჭოს ინსტრუმენტებს, რომელთა თანახმად, თითოეული მოსამართლე პასუხისმგებელია სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელშეწყობასა და დაცვაზე (იხ. მოსამართლეთა თავისუფლების ქარტიის მე-3 პუნქტი), სასამართლოსა და სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მომზადებაში აუცილებელია მოსამართლეებსა და სასამართლო ორგანოებთან კონსულტაციის გავლა და მათი ჩართვა (იხ. CCJE-ს 34-ე პარაგრაფი, მოსაზრება N3 და მოსამართლეთა დიდი ქარტიის მე-9 და 81-ე პარაგრაფები).



169. სასამართლოსათვის არ არის დამატერებელი სახელმწიფოს არგუმენტი იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ფუნქციები იყო უფრო ადმინისტრაციული, ვიდრე სამოსამართლო ხასიათისა და მისი თანამდებობიდან გადაყენება „უნდა შეფასდეს იმ წესების ჭრილში, რომლებიც არეგულირებს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობიდან გადაყენებას და არა იმ წესების ჭრილში, რომლებიც ეხება მოსამართლეთა გათავისუფლებას“, რა შემთხვევაშიც ხელისუფლების ორგანოებს შეეძლოთ სასამართლო სისტემის რეფორმის შესახებ განმცხადებლის მოსაზრებების ლეგიტიმურად გათვალისწინება.

170. წინამდებარე საქმე უნდა განვასხვავოთ ასევე სხვა საქმეებისაგან, რომლებშიც იდგა სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობისა და დამანგრეველი თავდასხმებისაგან ამ ნდობის დაცვის საკითხი (იხ. *დი ჯოვანი*, §81 და *კუდეშკინა*, § 86). მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა დაეყრდნო მოსამართლეთა ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნების საჭიროებას, განმცხადებლის მიერ საჯაროდ გამოხატული მოსაზრებები და გაკეთებული განცხადებები არ მოიცავდა თავდასხმებს სასამართლოს სხვა წევრების მიმართ (*შდრ. დი ჯოვანი და პოირაზი*); ისინი არც სასამართლოს მიერ მოცემულ სამართალწარმოებებთან დაკავშირებული მოქმედებების კრიტიკას შეიცავდა (იხ. *კუდეშკინა*, § 94).

171. განმცხადებელმა გამოხატა საკუთარი მოსაზრებები და კრიტიკა სასამართლოზე გავლენის მქონე კონსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმების, სასამართლო სისტემის ფუნქციონირების, რეფორმის, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, შეუცვლელობისა და მოსამართლეთათვის საპენსიო ასაკის შემცირების საკითხებზე - ყველა მათგანი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს (იხ. *mutatis mutandis*, *კუდეშკინა*, §§ 86 და 94). მისი განცხადებები მკაცრად პროფესიული თვალსაზრისით უბრალო კრიტიკას არ გასცილებია. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის პოზიცია და განცხადებები, რომლებიც აშკარად ექცეოდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების გარშემო მსჯელობის კონტექსტში, მოითხოვდა მისი გამოხატვის თავისუფლების მაღალ დონეზე დაცვას და ნებისმიერი ჩარევის მკაცრად შეფასებას, შესაბამისად, მოჰასუხე სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებისათვის განსაზღვრული უნდა ყოფილიყო შეზღუდული დისკრეციული უფლებამოსილება.

172. მართალია, განმცხადებელმა შეინარჩუნა მოსამართლის თანამდებობა და ახალი Kúria-ს სამოქალაქო სამმართველოს თავმჯდომარის თანამდებობა, იგი განთავისუფლდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან იმ ვადაზე სამ წელიწად-ნახევრით ადრე, რომელიც მისი არჩევის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით იყო განსაზღვრული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელობა, რაც ენიჭება სასამართლოს, როგორც სახელმწიფოს დამოუკიდებელი შტოს, ბუნებასა და მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპს, რომელიც სასამართლოს კაზუსტიკისა და საერთაშორისო და ევროპის საბჭოს

ინსტრუმენტების შესაბამისად - სასამართლო დამოუკიდებლობის შენარჩუნების ძირითად ელემენტს წარმოადგენს (იხ. მოსამართლეთა შეუცვლელი პრინციპები, სასამართლოს კაზუსტიკიდან გამომდინარე, მე-6 მუხლი, § 1, *ფრუნი სლოვაკეთის წინააღმდეგ*, N8014/07, § 145, 2011 წლის 21 ივნისი და *ჰენრიკ ურბანი და რისზარდ ურბანი პოლონეთის წინააღმდეგ*, N23614/08, § 53, 2010 წლის 30 ნოემბერი; ასევე იხ. საერთაშორისო და ევროპის საბჭოს მასალები 72-79-ე და 81-85-ე პუნქტებში; ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2014 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება და ევროპის საბჭოს მასალები 72-79-ე და 81-85-ე პუნქტებში; ასევე *mutatis mutandis*, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2014 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *ევროკომისია უნგრეთის წინააღმდეგ*, მონაცემთა დაკვირვების ყოფილი ზედამხედველის თანამდებობიდან ვადაზე ადრე განთავისუფლების შესახებ, 70-ე პუნქტი). ამ კონტექსტის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან განმცხადებლის ვადაზე ადრე განთავისუფლებამ ხელშეწყობის ნაცვლად, ზიანი მიაყენა სასამართლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზანს, იმის საპირისპიროდ, რასაც მთავრობა აცხადებდა.

173. განმცხადებლის მანდატის ვადაზე ადრე შეწყვეტას უდავოდ ჰქონდა „მსუსხავი ეფექტი“ ანუ უარყოფითი ზეგავლენა, ვინაიდან იგი გამოიწვევდა არა მხოლოდ მის დემოტივაციას, არამედ სხვა მოსამართლეებსა და სასამართლოების თავმჯდომარეებს დაუკარგავდა სასამართლოსა და უფრო ზოგადად მოსამართლეთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკანონმდებლო რეფორმების გარშემო საჯარო დებატებში მონაწილეობის სურვილს.

174. და ბოლოს, სათანადოდ უნდა მოხდეს მე-10 მუხლის პროცედურული ასპექტის (იხ. 161-ე პუნქტში აღნიშნული პრეცედენტული სამართალი) გათვალისწინება. იმ მოსაზრებების ჭრილში, რომელთა საფუძველზეც დადგინდა კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა. სასამართლოს მიაჩნია, რომ კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე განმცხადებლის მიერ გამოხატვის თავისუფლების განხორციელების გასაჩივრებელი შეზღუდვების პარალელურად არ ჩამოყალიბდა ბოროტად გამოყენებისაგან დაცვისათვის ქმედითი და სათანადო ზომები.

175. შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ მაშინაც კი, თუ მიზეზები, რომელთაც დაეყრდნო მოპასუხე სახელმწიფო იყო შესაბამისი, ვერ იქნება საკმარისი, რომლის თანახმად, გასაჩივრებელი ჩარევა „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“, მიუხედავად ეროვნული ხელისუფლების ორგანოებისათვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ზღვრებისა.

176. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება გადაწყვეტილების დასაბუთების შესახებ.

პროცესუალური გარანტიების სავარაუდო არარსებობა, რათა ბრალდებულს შესძლებოდა ნაფიც მსაჯულთა მიერ დამნაშავედ ცნობის შესახებ გამოტანილი ვერდიქტის მოტივაციის გაგება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში: დარღვევა არ იქნა დადგენილი.

**დიდი პალატა**

**საქმე „ლერმიტე ბელგიის წინააღმდეგ“**

**CASE OF LHERMITTE v. BELGIUM**

**განაცხადი N34238/09**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2016 წლის 29 ნოემბერი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

2008 წელს განმცხადებელი დამნაშავედ იქნა ცნობილი საკუთარი ხუთი შვილის განზრახ მკვლელობაში. სასამართლო პროცესი გაიმართა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. იგი არ დავობს აღნიშნულ ფაქტზე, თუმცა ამტკიცებდა, რომ ვერ აკონტროლებდა საკუთარ ქმედებებს. ხუთ შვილთაგან პასუხის გაცემის შემდეგ, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რომელიც შედგებოდა სამი მოსამართლისა და ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობისგან, ხელი მოაწერეს ვერდიქტს რომლის მიხედვითაც განმცხადებელს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. საკასაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

განმცხადებელმა ადამიანის ევროპული სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ვერდიქტი დამნაშავედ ცნობის შესახებ არ იყო მოტივირებული.

### **სამართალი**

#### **სასამართლოს შეფასება**

##### **1. ზოგადი პრინციპები**



66. სასამართლო შეგვახსენებს, რომ კონვენციის მიხედვით ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას არ ევალება ვერდიქტის დასაბუთება, ასევე, მე-6 მუხლი არ გამოიყენება ბრალდებულის საქმის ნაფიც მსაჯულების მიერ განხილვას, თუნდაც ვერდიქტში მოტივაცია არ იყოს მოცემული. ვერდიქტში მოტივაციის არარსებობა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბრალეულობა დადგინდა ნაფიცმსაჯულთა მიერ, თავისთავად წინააღმდეგობაში არ მოდის კონვენციასთან.

67. მიუხედავად ამისა, საქმის სამართლიანი განხილვის უფლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ბრალდებულსაც და რა თქმა უნდა, საზოგადოებასაც უნდა შეეძლოთ გამოტანილი ვერდიქტის გაგება; რაც მნიშვნელოვანი გარანტიაა თვითნებობის წინააღმდეგ. როგორც სასამართლო ხშირად აღნიშნავდა, კანონის უზენაესობა და თვითნებური ძალის თავიდან აცილება წარმოადგენს კონვენციის ძირეულ პრინციპებს. სასამართლო სფეროში აღნიშნული პრინციპები ემსახურება საზოგადოების ნდობის გამტკიცებას ობიექტურ და გამჭვირვალე სასამართლო სისტემისადმი, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველია.

68. სასამართლო ასევე შეგვახსენებს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მიმდინარე საქმეში რომელსაც ესწრებიან ნაფიცმსაჯულები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალური პროცედურული ნიშნით, რამდენადაც ნაფიცი მსაჯულების არ მოეთხოვებათ ან დაშვებული არაა, დაასაბუთონ პირადი მოსაზრებები. აღნიშნულ ვითარებაში, მე-6 მუხლი მოითხოვს შეფასებას, თუ რამდენად არსებობდა საკმარისი გარანტიები იმისათვის, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული თვითნებობის ნებისმიერი რისკი და ბრალდებულს შესძლებოდა ვერდიქტის დასაბუთების გაგება. ამგვარი პროცედურული გარანტიები შეიძლება მოიცავდეს მაგალითად, სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიც მსაჯულთათვის წარმოდგენილ მითითებებს ან სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელიც შეიძლება წამოიჭრას სამართლებრივ საკითხებთან ან წარმოდგენილ მტკიცებულებებთან მიმართებით ასევე ნაფიცი მსაჯულებისათვის მოსამართლის მიერ დასმულ ზუსტ, არაორაზროვან კითხვებს, რომელიც აყალიბებს სტრუქტურას რომელზეც დაფუძნებულია ვერდიქტი და საკმარისად ახდენს იმ ფაქტის კომპენსაციას, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ გაცემულ პასუხებს არ აქვთ დასაბუთება. გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებულისთვის გასაჩივრების ნებისმიერი საშუალება უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

69. ვინაიდან საქმის სამართლიანი განხილვის უფლების მოთხოვნებთან შესაბამისობა უნდა შეფასდეს მთელი სამართალწარმოების საფუძველზე და მოცემული სამართლებრივი სისტემის კონკრეტულ კონტექსტში, სასამართლოს ამოცანას, მოტივირებული ვერდიქტის არარსებობისას საქმის ყველა გარემოების საფუძველზე, წარმოადგენს იმის განსაზღვრა იძლევა თუ არა სამართალწარმოება საკმარის

გარანტიებს თვითნებობის წინააღმდეგ და რამდენად შესაძლებელს ხდის, რომ ბრალდებულმა გაიგოს რატომ ცნეს იგი დამნაშავედ. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ყველაზე მძიმე სასჯელის შემთხვევაშიც კი, საქმის სამართლიანი განხილვის უფლების პატივისცემა დემოკრატიულ საზოგადოებაში უმაღლესი შესაძლებელი ხარისხით უნდა იქნას უზრუნველყოფილი.

70. *ტაქსკეს* გადანაცვეტილებაში, რომელიც შეეხებოდა განმცხადებელს, რომელიც გაასამართლეს შვიდ თანაბრალდებულთან ერთად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, სასამართლომ განიხილა საბრალდებო აქტისა და ნაფიც მსაჯულთათვის დასმული კითხვების კომპლექსური ზეგავლენა. მიუხედავად იმისა, რომ საბრალდებო აქტი, რომელიც წაიკითხეს სასამართლო პროცესის დაწყებისას მიუთითებდა დანაშაულის ბუნებასა და გარემოებებზე რომლებსაც უნდა განესაზღვრა ვერდიქტი, რომელიც აგრეთვე მოიცავდა საგამოძიებო მოქმედებების ქრონოლოგიურ მიმდევრობასა და ჩვენებებს რომლებიც მტკიცებულების სახით იყო წარმოდგენილი, მასში არ იყო მითითებული კონკრეტულად, ბრალდების რომელი მტკიცებულება შეიძლებოდა ყოფილიყო [განმცხადებლის] წინააღმდეგ გამოყენებული. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ პრაქტიკაში საბრალდებო აქტი წარმოადგენს „შეზღუდული ძალის“ მქონე დოკუმენტს, „რადგან იგი წარდგენილი იყო სასამართლო განხილვამდე, რომელიც უნდა ემსახურობოდა ნაფიც მსაჯულთა პირადი რწმენის ჩამოყალიბების საფუძველს“ (იქვე, § 95).

71. *ტაქსკეს* საქმეზე რვა ბრალდებულისთვის დასმული 32 კითხვიდან მხოლოდ ოთხი მათგანი ეხებოდა ბ-ნ ტაქსკეს. კითხვები იყო მოკლე და ერთნაირი ყველა ბრალდებულისთვის ასევე არ მიუთითებდა რაიმე ზუსტ და კონკრეტულ გარემოებებზე რომლებიც საშუალებას მისცემდა განმცხადებელს გაეგო თუ რატომ ცნეს იგი დამნაშავედ, *პაპონის* საქმისგან განსხვავებით, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ მიუთითა ნაფიც მსაჯულთა პასუხები სასამართლოს თავმჯდომარის 768 კითხვაზე (იქვე, § 96).

72. შეიძლება *ტაქსკეს* გადანაცვეტილებიდან დავასკვნათ, რომ შესაძლებელი იქნებოდა საბრალდებო აქტის კომპლექსური განხილვიდან და ნაფიც მსაჯულთათვის მიცემული კითხვებიდან იმის დადგენა, თუ რომელმა მტკიცებულებებმა და სასამართლო პროცესზე განხილულმა ფაქტობრივმა გარემოებებმა გამოიწვიეს საბოლოო ჯამში ბრალდებულთან დაკავშირებულ კითხვებზე ეპასუხათ დადებითად, რათა შესაძლებელი ყოფილიყო განესხვავებინათ თანაბრალდებულები; გაეგოთ კონკრეტული სასჯელი რატომ შეეფარდა ერთ მათგანს და მეორეს არა; განესაზღვრათ ნაფიცმა მსაჯულებმა რატომ დაასკვნეს, რომ კონკრეტულ თანაბრალდებულს უნდა დაკისრებოდა უფრო ნაკლები პასუხისმგებლობა და

შესაბამისად, შეეფარდა უფრო მსუბუქი სასჯელი; ასევე, გამოერკვიათ თუ რატომ იქნა მიღებული მხედველობაში დამამძიმებელი გარემოებები (იქვე., § 97). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კითხვები უნდა ყოფილიყო ზუსტიც და ცალკეულ ინდივიდზე მორგებულაც.

73. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა არაერთ საქმეში, რომელიც უკავშირდებოდა საფრანგეთს (იხ. *ავნელეტი საფრანგეთის წინააღმდეგ* N61198/08, 2013 წლის 10 იანვარი; *ფრაუმენსი საფრანგეთის წინააღმდეგ* N 30010/10, 2013 წლის 10 იანვარი; და *ოულაჰსენი საფრანგეთის წინააღმდეგ* N44446/10, 2013 წლის 10 იანვარი) და ბელგიას (*კასტელინო ბელგიის წინააღმდეგ* N504/08, 2013 წლის 25 ივლისი; *ვიბელსი ბელგიის წინააღმდეგ* N43305/09, 2014 წლის 18 ნოემბერი; *ჰერტერმანსი ბელგიის წინააღმდეგ* N56280/09, 2014 წლის 18 ნოემბერი; *ხალედიანი ბელგიის წინააღმდეგ* N 42874/09, 2014 წლის 18 ნოემბერი; *იიმამი ბელგიის წინააღმდეგ*, N39781/09, 2014 წლის 18 ნოემბერი; *დევრიენტი ბელგიის წინააღმდეგ* N 32001/07, 2015 წლის 17 თებერვალი; *მაილარდი ბელგიის წინააღმდეგ* N 23530/08, 2015 წლის 17 თებერვალი; *კურტი ბელგიის წინააღმდეგ* N 17663/10, 2015 წლის 17 თებერვალი; და *მევი ბელგიის წინააღმდეგ* N 43137/09, 2015 წლის 24 თებერვალი, სადაც სასამართლო მართავდა სამართალწარმოებას ნათეს მსაჯულთა სასამართლოში დიდი პალატის მიერ *ტაქსკეს* გადაწყვეტილების მიღებამდე და ძალიან მცირე გარანტიებს სთავაზობდა ბრალდების მოტივაციასთან დაკავშირებით), ორი ქვეყანა ნათეს მსაჯულთა სასამართლოს მსგავსი პროცედურებით.

74. გარდა ამისა, სასამართლომ ვერ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა განმცხადებლები უბრუნველყოფილნი იყვნენ საკმარისი გარანტიებით, რაც საშუალებას აძლევდა გაეგოთ მათ წინააღმდეგ გამოტანილი გამამტყუნებელი ვერდიქტის მიზეზი. ამგვარ საქმეებში, სადაც განმცხადებელს კონკრეტული გარემოებების დროს ესაჭიროება დასაბუთება, იმისათვის, რომ გაიგოს თუ რატომ შეეფარდა უფრო მძიმე სასჯელი სააპელაციო განაცხადის განხილვისას, ვიდრე თანაბრადღებულს, იმ ვერდიქტის საპირისპიროდ, რომელიც გამოიტანა ნათეს მსაჯულთა პირველი ინსტანციის სასამართლომ (იხ. *ვოიკა საფრანგეთის წინააღმდეგ* N60995/09, 2013 წლის 10 იანვარი), დიფერენციაციის არარსებობასთან სავარაუდო სამართალდარღვევის გარკვეულ შემადგენელ ელემენტებს შორის (იხ. *ლევილონი საფრანგეთის წინააღმდეგ* N53406/10, 2013 წლის 10 იანვარი), ან ბრალდების დასაბუთებასთან, როდესაც ბრალდებული უარყოფს ჩადენილ დანაშაულს (იხ. *ჯაჯი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება), N35863/10, 2011 წლის 8 თებერვალი; და *ბოდენი საფრანგეთის წინააღმდეგ* N40014/10, 2014 წლის 14 ნოემბერი).

## 2. აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

75. სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ რადგანაც წინამდებარე საქმე შეეხება დასაბუთებას, თუ რატომ დაედო მსჯავრი განმცხადებელს და რატომ შეეფარდა უვადო პატიმრობა საკუთარი ხუთი შვილის განზრახ მკვლელობისთვის, მათ წინაშე დასმული კითხვა არ ეხება იმას, ადგილი ჰქონდა თუ არა და რა ვითარებაში განხორციელდა აღნიშნული ქმედებები - რომელთაგან ორივე მნიშვნელოვანია და აღიარებულია განმცხადებლის მიერ, ასევე კავშირშია თუ არა დანაშაულის სამართლებრივ მახასიათებლებთან თუ ვერდიქტის სიმძიმესთან. აღნიშნულ საქმეში, გადამწყვეტი საკითხი, მდგომარეობს იმაში, შეეძლო თუ არა განმცხადებელს გაეგო ნაფიც მსაჯულთა მოტივი როდესაც მათ დაადგინეს მისი პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე მოცემულ დროს, მიუხედავად მათი ერთსულოვანი დასკვნისა, რომელიც ეწინააღმდეგება ექსპერტი ფსიქიატრების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში სასამართლო პროცესის ბოლოს წარმოდგენილ დასკვნას.

76. სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო პროცესის დაწყებისას სრულად იქნა წაკითხული საბრალდებო დასკვნა, ასევე აღნისნული იყო დანაშაულის ბუნება, რომელიც აყალიბებს ბრალდების საფუძველს და ნებისმიერი გარემოება, რომელმაც შეიძლება დაამძიმოს ან შეამსუბუქოს სასჯელი. განმცხადებლის წინააღმდეგ საქმეზე სასამართლო პროცესის დროს წარმოდგენილი იქნა არგუმენტები, განხილულ იქნა თითოეული მტკიცებულება, ბრალდებულს ადვოკატის დახმარებით, შესაძლებლობა ჰქონდა გამოეძახა მოწმეები და გაეცა პასუხი იმ ჩვენებებზე რომელიც მან მოისმინა. თავმჯდომარის მოსამართლის მიერ 12 ნაფიცი მსაჯულისთვის დასმული კითხვები წაკითხულ იქნა ათდღიანი სასამართლო განხილვის ბოლოს ხოლო მხარეებს გადაეცათ ასლები.

77. საბრალდებო დასკვნის და ნაფიც მსაჯულთათვის დასმული კითხვების კომპლექსური ზეგავლენის გათვალისწინებით წინამდებარე საქმეში, სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ საბრალდებო დასკვნა, რომელიც 51 გვერდისაგან შედგებოდა, იძლეოდა მოვლენების ზუსტი თანამიმდევრობის, მიღებული ზომების, გამოძიების დროს მოპოვებული მტკიცებულებების და სასამართლო სამედიცინო დასკვნების შესახებ ინფორმაციას; მისი არსებითი ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა განმცხადებლის პირად ისტორიაზე და ოჯახურ ცხოვრებაზე, ასევე მოტივებსა და მიზეზებზე - თუ რამ უბიძგა მას მკვლელობების ჩადენისკენ, განსაკუთრებით ექსპერტების შეფასების ფონზე მისი ფსიქოლოგიური და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად ამისა, საბრალდებო აქტს არ ჰქონია დიდი ეფექტი ვერდიქტის



გაგებაში, რომელიც ნათიცი მსაჯულებს უნდა გამოეტანათ, რადგანაც იგი წარდგენილი იყო სასამართლო პროცესის დაწყებამდე, რაც სამართალწარმოების გადამწყვეტ ნაწილს წარმოადგენს ნათიცი მსაჯულთა სასამართლოში. გარდა ამისა, რაც შეეხება დასკვნებს ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელიც მოცემულია საბრალდებო დასკვნაში და მათ მნიშვნელობას - დახმარება გაენია გამოტანილი ვერდიქტის გაგებაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარ დასკვნებს გავლენა არ მოუხდენია განხილვებსა და გადამწყვეტილებებზე, რომელიც ნათიცი მსაჯულებმა საბოლოოდ მიიღეს. მე-6 მუხლის დებულებები ითვალისწინებს არა იმ მიზეზების გაგებას, რომელმაც უკარნახა სასამართლო საგამოძიებო ორგანოებს საქმე განსახილველად გაეგზავნათ ნათიცი მსაჯულთა სასამართლოში, არამედ იმ მიზეზების გამო რომლებმაც დაარწმუნა ნათიცი მსაჯულები, მიეღოთ საბოლოო გადამწყვეტილება.

78. რაც შეეხება ნათიცი მსაჯულთათვის დასმულ ხუთ კითხვას, პირველ ორს დადებითი პასუხი გაეცა და მეხუთეს უარყოფითი. პირველი კითხვა იყო პრინციპული კითხვა, რომელიც შეეხებოდა განმცხადებლის ბრალეულობის საკითხს, მეორე წინასწარგანზრახვის დამამძიმებელ გარემოებებს და მეხუთე, იმის საპირისპიროდ, რასაც განმცხადებელი ირწმუნებოდა, უკავშირდება მის ფსიქიკურ მდგომარეობას; დანარჩენი კითხვები მეორეხარისხოვანი იყო და საბოლოო ჯამში მიზანს მოკლებული.

79. სასამართლო, პირველ რიგში აღნიშნავს, რომ განმცხადებლის ადვოკატს არ გამოუთქვამს საწინააღმდეგო აზრი, არც მათი შეცვლის ან სხვა კითხვების შეთავაზების სურვილი, თავმჯდომარე მოსამართლის მიერ ნათიცი მსაჯულთათვის დასმულ კითხვებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რადგან პირველი კითხვა შეეხებოდა განმცხადებლის ბრალეულობას, დადებითი პასუხი აუცილებლად გულისხმობდა, რომ ნათიცი მსაჯულებმა დაასკვნეს, რომ იგი პასუხისმგებელი იყო საკუთარ ქმედებებზე მოცემულ დროს. აქედან გამომდინარე, განმცხადებელს არ შეეძლო იმის მტკიცება, რომ ვერ იაზრებდა ნათიცი მსაჯულთა პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით.

80. სავარაუდოდ, ნათიცი მსაჯულებმა არ წარადგინეს აღნიშნული დასკვის გამოტანის რაიმე მიზეზი და ეს გახლდათ განმცხადებლის საჩივრის საფუძველი. თუმცა, სასამართლო შეგვახსენებს, რომ საქმის სამართლიანი განხილვის უფლების მოთხოვნებთან შესაბამისობა უნდა შეფასდეს მთელი სამართალწარმოების და საქმის ყველა გარემოების განხილვის საფუძველზე, იძლევა თუ არა სამართალწარმოება შესაძლებლობაა, რომ ბრალდებულმა გააცნობიეროს თუ რატომ იქნა იგი ცნობილი დამნაშავედ. წინამდებარე საქმეში, ამგვარმა განხილვამ შესაძლოა გამოავლინოს არაერთი ფაქტორი, რომელმაც უნდა გაფანტოს განმცხადებლის ნებისმიერი ეჭვი ნათიცი მსაჯულთა ვერდიქტზე მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, მოვლენათა განვითარების მომენტისათვის. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამზადებელ ეტაპზე გამოძიება ყურადღებას ამახვილებდა მკვლევლობის

მომენტისათვის განმცხადებლის პირად ცხოვრებაზე, ხასიათსა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, როგორც ეს ნაჩვენებია საბრალდებო დასკვნაში რომელიც წარმოადგენს არსებით ნაწილს. გარდა ამისა, არა მხოლოდ სამართლო პროცესმა, რომელიც შეჯიბრებითობის პრინციპით წარიმართა და ბრალდებული და მისი ადვოკატი ესწრებოდნენ, არამედ, პირველ რიგში, ახალი მტკიცებულების გამოჩენამ - კერძოდ კი, წერილებმა რომელიც გაასაჯაროვა განმცხადებლის პირადმა ფსიქიატრმა, აიძულა თავმჯდომარე მოსამართლე მოეთხოვა შემდგომი ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება. ექსპერტმა ფსიქიატრებმა ამის შემდეგ შეიცვალეს აზრი და დაბრუნდნენ, რათა წარმოედგინათ მათი ახალი დასკვნები. გასაგებია, რომ თუმცა, სასამართლო სხდომა ყოველთვის სამართალწარმოების კრიტიკული ნაწილია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, წინამდებარე საქმეში განმცხადებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლო სხდომის განმავლობაში ყურადღების ცენტრში იყო.

81. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გამოტანილი ვერდიქტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ, რომელიც ნაფიც მსაჯულთა თორმეტი წევრისაგან და ასევე სამი მოსამართლისაგან შედგებოდა, შეიცავს დასაბუთებას, რომ განმცხადებლისთვის შეიძლებოდა აღნიშნულს დახმარება გაეწია იმის გაგებაში, თუ რატომ ცნო იგი ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ დამნაშავედ სისხლისსამართლებრივ დანაშაულზე. ამგვარად, განმცხადებლის ფსიქოლოგიური პრობლემების და იმ შესაძლო ფაქტორების მითითებისას, რამაც გამოიწვია მისი ქმედება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ პირდაპირ აღწერა თუ როგორ გადაწყვიტა მან მკვლელობების ჩადენა და ის დაუნდობელი და ცივისსხლიანი ფორმა, რომლითაც მან აღნიშნული განახორციელა; ეს გახლდათ ლოგიკური დასკვნა ნაფიცი მსაჯულების მიერ გაცემული კითხვების ფონზე. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლომ სხვა მეთოდით არ განმარტა სასჯელის შეფარდების გადაწყვეტილება, რადგანაც იგი მიიჩნევდა, რომ განმცხადებლის ცივისსხლიანი მეთოდი და მისი გადაწყვეტილება განეხორციელებინა აღნიშნული დანაშაული, წარმოადგენდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოტივაციას შესაბამისი დასკვნისათვის.

82. სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ გამამტყუნებელი განაჩენი შედგენილი იყო მოსამართლეების მიერ, რომლებიც არ დასწრებიან დანაშაულის საკითხის განხილვას, ეჭვქვეშ არ აყენებს განმცხადებლისთვის წარმოდგენილ ახსნა-განმარტებების ხარისხსა და გავლენას. პირველ რიგში, სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული განმარტებები წარმოდგენილი იყო შეფერხების გარეშე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სესიის დამთავრებისას, რამდენადაც ვერდიქტი მიღებულ იქნა 2008 წლის 19 დეკემბერს. იგი ასევე აღნიშნავს, რომ თუმცა, მოსამართლეებმა ფორმალურად შეადგინეს აღნიშნული გადაწყვეტილების პროექტი, მათ

შესაძლებლობა ჰქონდათ, მიეღოთ ნაფიც მსაჯულთა თორმეტი წევრისგან მოსაზრებები რომლებიც, ფაქტობრივად, მათ გვერდით ისხდნენ ვერდიქტის განხილვისას და ვისი სახელებიც ფიგურირებს გადანწყვეტილებაში. და ბოლოს, მოსამართლეები თავად ესწრებოდნენ სასამართლოს სხდომას და შესაბამისად, უნდა ჰქონოდათ შესაძლებლობა აღნიშნული მოსაზრებები მოეციათ შესაბამის კონტექსტში.

83. ფაქტია, რომ განმცხადებელმა გააკრიტიკა ნაფიცმსაჯულთა განსხვავებული მოსაზრებებზე განმარტების ნაკლებობა, რომელთა მიხედვითაც იგი ცნეს დამნაშავედ და სამი ექსპერტი ფსიქიატრი, რომლებიც საბოლოო დასკვნით წარმოადგინეს ერთსულოვანი მოსაზრება, რომ განმცხადებელს „აღნიშნული მოვლენების დროს ტანჯავდა მძიმე ფსიქიკურ აშლილობა რომელიც უძლურს ხდიდა ეკონტროლებინა საკუთარი ქმედებები“. თუმცა, სასამართლო შეგვახსენებს, რომ მტკიცებულების დასაშვებობაც და მათი შეფასებაც ძირითადად ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საქმეა და როგორც წესი, ადგილობრივმა სასამართლოებმა უნდა შეათვასონ მტკიცებულება რომელიც მათ წინაშეა წარდგენილი. სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს იმ შეთანხმების დაცვა, რომელიც ნაკისრი აქვთ კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს. კერძოდ კი, მის ფუნქციებში არ შედის ფაქტებთან ან კანონმდებლობასთან დაკავშირებული შეცდომების გამოსწორება, რომლებიც შეიძლება დაუშვას ეროვნულმა სასამართლომ, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც შეიძლება დაირღვეს კონვენციით დაცული უფლებები და თავისუფლებები - არამედ განსაზღვროს თუ რამდენად სამართლიანი იყო სამართალწარმოება მთლიანობაში, მათ შორის, იმ ნაწილშიც, თუ რა სახით იყო მტკიცებულება წარმოდგენილი. გარდა იმ ფაქტისა, რომ ექსპერტებმა თავისი დასკვნის მნიშვნელობა თავად შეამცირეს, როდესაც განაცხადეს, რომ მათი პასუხები ასახავდა მათსავე რწმუნებას, ამასთანავე აღიარეს, რომ „ეს მხოლოდ ოდესღაც დასაბუთებულად დადასტურებული მოსაზრებაა და არა აბსოლუტური მეცნიერული ჭეშმარიტება“, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ აღნიშნულმა დასკვნამ, რომელიც გაკეთებული იყო ექსპერტი ფსიქიატრების მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, შეადგენს მტკიცებულების მხოლოდ ერთ ნაწილს, რომელიც წარმოდგენილი იყო ნაფიცი მსაჯულების წინაშე. შესაბამისად, ფაქტი, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა არ მიუთითეს მიზეზი, რომლითაც ნაკარნახევი იყო იმ გადანწყვეტილების მიღება, რომელიც განსხვავდებოდა ექსპერტი ფსიქიატრების საბოლოო დასკვნისაგან განმცხადებლის სასარგებლოდ, როგორც ზემოთაა აღნიშნული, არ შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის გაეაზრებინა გადანწყვეტილება, რომლითაც იგი ცნეს დამნაშავედ.

84. ყველა აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელს საკმარისი გარანტიები ჰქონდა, რომელიც საშუალებას აძლევდა, გაეგო, თუ რატომ გამოიტანეს მის წინააღმდეგ ვერდიქტი დამნაშავედ ცნობის შესახებ.

85. აქედან გამომდინარე, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.



მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლებისა და ადვოკატების გამოხატვის თავისუფლების შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება.

სასამართლოს შემადგენლობაში ისეთი მოსამართლის არსებობა, რომელმაც მანამდე და საჯაროდ გამოხატა საკუთარი მხარდაჭერა პროცესის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიმართ: დარღვევა.

ადვოკატის მსჯავრდება\_გამომძიებელ მოსამართლეთა ცილისწამების შესახებ\_გაზეთთან თანამონაწილეობის გამო: დარღვევა.

**დიდი პალატა**  
**საქმე „მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ“**  
**MORICE v. FRANCE**  
**განაცხადი N 29369/10**  
**გადაწყვეტილება**  
**სტრასბურგი**  
**2015 წლის 23 აპრილი**

#### **ფაქტობრივი გარემოებები**

1995 წელს მოსამართლე ბერნარ ბორელი, რომელიც მივლინებული იყო საფრანგეთსა და ჯიბუტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, გარდაცვლილი იპოვეს. მომდევნო დღეებში ჯიბუტის უნდარმერიამ, ჩატარებული გამოძიების შედეგად დაასკვნა, რომ მან თავი მოიკლა. ბორელის ქვრივმა, რომელიც არ ეთანხმებოდა თვითმკვლელობის შესახებ დასკვნას, საჩივარი შეიტანა როგორც სამოქალაქო მხარემ და სამართალწარმოების პროცესში წარმომადგენლად დანიშნა განმცხადებელი. დაიწყო ორი სასამართლო გამოძიება უცნობი პირის ან პირების მიერ წინასწარ განზრახული მკვლელობის მუხლით. სასამართლო გამოძიების ჩატარება დაევაღათ გამომძიებელ მოსამართლეებს - მ-ს და ლ.ლ-ს.

2000 წლის ივნისში სააპელაციო სასამართლოს საბრალდებო სამმართველომ ეს მოსამართლეები ჩამოაშორა საქმეს და საქმე გადასცა ახალ გამომძიებელ მოსამართლეს, პ-ს; ეს მოხდა მოკლე ხანში, მას შემდეგ, რაც იმავე სამმართველომ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა მოსამართლე მ-ისათვის გახმაურებული „საინტელიჯენსის“ საქმის ჩამორთმევის შესახებ.

2000 წლის სექტემბერში განმცხადებელმა და მისმა ერთ-ერთმა კოლეგამ საფრანგეთის იუსტიციის მინისტრს გაუგზავნეს წერილი მოსამართლე ბორელის გარდაცვალების სასამართლო გამოძიებასთან დაკავშირებით. ისინი მინისტრს კიდევ ერთხელ მიმართავდნენ მოსამართლეების - მ-ს და ლ.ლ-ის ქცევასთან დაკავშირებით, რომელიც „საერთოდ არ შეესაბამებოდა მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპებს“ და მოითხოვდნენ სასამართლოს გენერალური ინსპექციის მიერ გამოძიების ჩატარებას „იმ

უამრავი ნაკლოვანების გამოსაძიებლად, რომლებმაც ნათლად იჩინა თავი სასამართლო გამოძიების პროცესში“.

მომდევნო დღეს, გაზეთ „Le Monde-ში“ გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნული იყო, რომ ქ-ნი ბორელის ადვოკატებმა „მკაცრად გააკრიტიკეს“ მოსამართლე მ. იუსტიციის მინისტრის წინაშე, კერძოდ, ბრალი დასდეს ისეთ ქცევაში, რომელიც „სრულიად შეუსაბამო იყო მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპებთან“. სტატიაში აგრეთვე მითითებული იყო, რომ ქ-ნმა ბორელმა, სავარაუდოდ, ვერ უზრუნველყო საქმის მასალების რეგისტრაცია და მისი მომდევნო მოსამართლისათვის გადაცემა, რომელსაც მის ნაცვლად ჩააბარეს მოცემული საქმე.

ორმა მოსამართლემ შეიტანა სისხლის სამართლის საჩივარი, როგორც სამოქალაქო მხარეებმა „Le Monde-ის“ გამოცემის დირექტორის, სტატიის ავტორი ჟურნალისტისა და ბ-ნი მორისის წინააღმდეგ, საჯარო მოხელის საჯაროდ ცილისწამების ბრალდებით. განმცხადებელი სააპელაციო სასამართლომ ბრალდებულად ცნო ზემოაღნიშნულ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის და დააკისრა ჯარიმის სახით 4,000 ევროს გადახდა. თითოეული მოსამართლის სასარგებლოდ განმცხადებელს, დანარჩენ ორ მოპასუხესთან ერთად, დაეკისრათ ზიანის ანაზღაურების სახით 7,500 ევროს გადახდა.

## **სამართალი**

### **I. კონვენციის 6.1 მუხლის სავარაუდო დარღვევა**

65. განმცხადებელი აცხადებდა, რომ საკასაციო სასამართლოში მისი საქმე სამართლიანად არ განუხილავს მიუკერძოებელ სასამართლოს, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდა მოსამართლე მ., რომელმაც წარსულში საჯაროდ გამოხატა საკუთარი მხარდაჭერა ერთ-ერთი სამოქალაქო მხარის მიმართ. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფს, რომლის შესაბამისი ნაწილის მიხედვით:

„... ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

### **გ. სასამართლოს შეფასება**

#### **1. ზოგადი პრინციპები**

73. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ მიუკერძოებლობა, გულისხმობს წინასწარი შეხედულებების ან სუბიექტურობის არარსებობას და მისი არსებობა ან არარსებობა სხვადასხვა გზებით შეიძლება გამოიყადოს. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, 6.1 მუხლის მიზნით მიუკერძოებლობის არსებობა უნდა დადგინდეს სუბიექტურობის ტესტის მიხედვით, რომელიც აფასებს კონკრეტული მოსამართლის შინაგან რწმენას და ქცევას, ანუ მოსამართლეს ჰქონდა თუ არა პირადი წინასწარი განწყობა ან სუბიექტური დამოკიდებულება მოცემულ საქმეში; აგრეთვე, ობიექტური ტესტის გამოყენებით თავად სასამართლო სხვა ასპექტებთან ერთად და მისი შემადგენლობა

უზრუნველყოფდა თუ არა საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ გამორიცხული ყოფილიყო ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (იხ. *კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [73797/01](#), § 118, ECHR, 2005-XIII და *მიკალეფი მალტას წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [17056/06](#), § 93, ECHR, 2009).

74. რაც შეეხება სუბიექტურობის ტესტს, სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში დიდი ხანია დამკვიდრებულია პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს არ გააჩნია წინასწარი შეხედულებები ან სუბიექტური დამოკიდებულება (იხ. *კიპრიანუ* §119 და *მიკალეფი* §94). საწინააღმდეგოს დამადასტურებელი საბუთის არარსებობის პირობებში უნდა მივიჩნიოთ, რომ მოსამართლე მიუკერძოებელია (იხ. *ჰუსსმილდტი დანიის წინააღმდეგ*, 24 მაისი, 1989 წ., § 47, სერია A, N154). რაც შეეხება საჭირო მტკიცებულების სახეობას, სასამართლომ მოითხოვა დადგენა, მოსამართლემ გამოიჩინა თუ არა კეთილგანწყობილი ან მტრული დამოკიდებულება პირადი მიზეზების გამო (იხ. *დე კუბერი ბელგიის წინააღმდეგ*, 1984 წლის 26 ოქტომბერი, § 25, სერია A, N 86).

75. საქმეების დიდ უმრავლესობაში, სადაც წამოჭრილია მიუკერძოებლობის საკითხები, სასამართლომ აქცენტი გააკეთა ობიექტურობის ტესტზე (იხ. *მიკალეფი*, § 95). თუმცა არ არსებობს მკაფიო გამოჯვანა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გამოიწვიოს ობიექტური უნდობლობა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარე დამკვირვებლის თვალში (ობიექტური ტესტი), არამედ შეიძლება შეეხოს მისი შინაგანი რწმენის საკითხს (სუბიექტურობის ტესტი) (იხ. *კიპრიანუ* §119). ამდენად, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა რთული იყოს მტკიცებულების მოპოვება მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის უარყოფისათვის, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა გვთავაზობს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარანტიას (იხ. *პულარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1996 წლის 10 ივნისი, § 32, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების კრებული, 1996-III).

76. რაც შეეხება ობიექტურ ტესტს, უნდა განისაზღვროს, მოსამართლის ქცევის გარდა, არსებობს თუ არა სხვა დამაზუსტებელი ფაქტები, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს მისი მიუკერძოებლობა, რაც გულისხმობს, იმის დადგენას, მოცემულ საქმეში არსებობს თუ არა ლეგიტიმური მიზეზი, კონკრეტული მოსამართლის ან სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი ორგანოს მიუკერძოებლობის ვარაუდთან დაკავშირებით. გადამწყვეტია ის, თუ რამდენად შესაძლებელია ობიექტურად დადასტურდეს ეს ვარაუდი (იხ. *მიკალეფი*, §96).

77. ობიექტური ტესტი ძირითადად ეხება იერარქიულ ან სხვა კავშირებს მოსამართლესა და სამართალწარმოების სხვა მხარეებს შორის (§97). ამდენად, თითოეულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, აღნიშნული ურთიერთობა ატარებს თუ არა ისეთ ხასიათს და ხარისხს, რაც მიანიშნებს სასამართლოს მხრიდან მიუკერძოებლობის ნაკლებობაზე (იხ. *პულარი*, § 38).

78. ამ მხრივ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს თუნდაც გარეგნულ გამოვლინებას ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, „სამართლიანობა უბრალოდ კი არ უნდა აღსრულდეს, არამედ მისი აღსრულება თვალსაჩინო უნდა იყოს (იხ. *დე კუბერი*, § 26). აქ საქმე ეხება იმ ნდობას, რომელიც სასამართლომ დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა აღძრას საზოგადოებაში. ამდენად, ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ის არ არის სრულიად მიუკერძოებელი, უნდა ჩამოსცილდეს საქმეს (იხ.

კასტილო ალვარი ესპანეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 28 ოქტომბერი, § 45, ანგარიშები 1998-VIII და მიკალეფი § 98).

## 2. ამ პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

79. წინამდებარე საქმეში, მიუკერძოებლობის არარსებობის ვარაუდი გამოწვეული იყო იმით, რომ მოსამართლე ჯ.მ-მ, რომელიც შედიოდა საკასაციო სასამართლოს შემადგენლობაში და მიიღო 2009 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, გამოხატა საკუთარი მხარდაჭერა მოსამართლე მ-ისადმი ცხრა წლის წინ, დისციპლინური სამართალწარმოების კონტექსტში, რომელიც აღძრული იყო მ-ის წინააღმდეგ „საინტელოგის“ საქმეზე მისი ქცევის გამო. 2000 წლის 4 ივლისს პარიზის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეთა საერთო შეხვედრის მსვლელობისას, რომელზეც მან საბოლოოდ ხმა მისცა მოსამართლე მ-ის მხარდაჭერის შუამდგომლობის სასარგებლოდ, ჯ.მ-მა განაცხადა: „ჩვენ, როგორც ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს, არ გვეკრძალება, დავაფიქსიროთ, რომ ვემხრობით მოსამართლეს [მ-ს]. აკრძალული არ არის ვთქვათ, რომ მოსამართლე [მ.] სარგებლობს ჩვენი მხარდაჭერითა და ნდობით.“

80. დიდი პალატა დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა საკუთარ დაკვირვებებში აღიარა, რომ არ იყო დადგენილი, მოსამართლე ჯ.მ-მ გამოხატა თუ არა მის მიმართ რაიმე პიროვნული მიკერძოება. იგი უბრალოდ აცხადებდა, რომ მისი პირადი ქცევის მიუხედავად, თავად ჯ.მ-ის ყოფნა სასამართლოს შემადგენლობაში ქმნიდა ვითარებას, რომლის გამოც მისი შიშები ოფიციალურად გამართლებული და ლეგიტიმური იყო.

81. ამდენად, სასამართლოს აზრით, უნდა მომხდარიყო საქმის განხილვა ობიექტური მიუკერძოებლობის ტესტის პოზიციიდან, უფრო კონკრეტულად, უნდა განხილულიყო საკითხი, რომლის თანახმად, განმცხადებლის ეჭვი, რომელიც გამომდინარეობდა კონკრეტული სიტუაციიდან, შეიძლება თუ არა ჩათვლილიყო როგორც ობიექტურად გამართლებული, საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

82. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსამართლე ჯ.მ-ის მიერ გაუღერებულ ტექსტს კოლეგა მოსამართლე მ-ის მხარდასაჭერად, რომელიც პასუხისმგებელი იყო მოცემული საქმის ფარგლებში განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე, ბრალდებულს შეეძლო ეჭვის აღძვრა საქმის განმხილველი სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

83. მთავრობამ საკუთარ შეფასებებში, სხვა საკითხებთან ერთად, განაცხადა, რომ ჯ.მ-ის კომენტარები არ იყო საკმარისი მისი მხრიდან ობიექტური მიუკერძოებლობის ნაკლებობის დასადგენად, ვინაიდან მის მიერ აღნიშნული განცხადება გაკეთდა დიდი ხნის წინ და მის მიერ წარმოთქმული სიტყვები გამოხატავდა პირად თვალსაზრისს, რომელიც შეეხებოდა იმ პირობებს, თუ როგორ იქნა მიწოდებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კოლეგის მიმართ დისციპლინური წარმოება იქნება წამოწყებული.

84. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ შეუძლებელია საქმის უჩვეულო კონტექსტის უგულებელყოფა. იგი, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ საქმე ეხებოდა



ადვოკატს და მოსამართლეს, რომლებიც ამ რანგში მოქმედებდნენ განსაკუთრებით გახმაურებული საქმეების ორ სასამართლო გამოძიებასთან კავშირში: ეს იყო ბორელის საქმე, რომლის კონტექსტში ვაკეთდა განმცხადებლის სადავო კომენტარები და „საინტოლოგიის“ საქმე, რომლის მსვლელობისას ჯ.მ-მ გააკეთა კომენტარი. სასამართლო, პალატის მსგავსად, ასევე აღნიშნავს, რომ მოსამართლე მ. უკვე ატარებდა გამოძიებას ბორელის საქმეზე, რომელიც აქტიურად შექცობდა მედიის მიერ და ჰქონდა პოლიტიკური შედეგები, როდესაც ჯ.მ-მ საჯაროდ გამოხატა მის მიმართ საკუთარი მხარდაჭერა „საინტოლოგიის“ საქმის კონტექსტში (იხ. 29-ე პუნქტი). პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯ.მ-მა მაშინ გამოხატა საკუთარი თვალსაზრისი ოფიციალურ ვითარებაში, პარიზის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეთა საერთო შეხვედრაზე.

85. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი, რომელიც ორივე შემთხვევაში იყო იმ სამოქალაქო მხარეთა ადვოკატი, რომლებმაც გააკრიტიკეს მოსამართლე მ-ის მუშაობა, შემდგომში ბრალდებულად ცნეს ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე; შესაბამისად, პროფესიულმა კონფლიქტმა მიიღო პირადი კონფლიქტის გამოხატულება, ვინაიდან მოსამართლე მ-მა შიდა სასამართლოებს მიმართა იმ ზიანის ანაზღაურებისათვის, რომელიც მას მიაღვა იმ შეურაცხყოფის შედეგად, რომლის ჩადენაშიც იგი განმცხადებელს სდებდა ბრალს.

86. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო ასევე დასძენს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელსაც საქმე გადაეგზავნა, ერთმნიშვნელოვნად დადგინდა კავშირი აღნიშნულ სამართალწარმოებაში განმცხადებლის კომენტარებსა და „საინტოლოგიის“ საქმეს შორის და გამოიტანა დასკვნა, რომ ზემოაღნიშნული მიანიშნებდა, განმცხადებლის მხრიდან „პოსტ-ფაქტუმ ანგარიშის გასწორებას“ და პირად შუღლს მ-ის მიმართ, „რომელთანაც წარსულში კონფლიქტი ჰქონდა“.

87. განმცხადებელმა სააპელაციო სასამართლოს სწორედ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სამართლებრივ საკითხებზე. აღნიშნული განიხილა საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის სამმართველოს შემადგენლობამ, რომელშიც შედიოდა მოსამართლე ჯ.მ.. სასამართლო არ ეთანხმება მთავრობის არგუმენტს, რომ ეს ვითარება არ წარმოშობს რაიმე სირთულეს, ვინაიდან საჩივარი სამართლებრივ საკითხებზე იყო განსაკუთრებული ზომა, ხოლო საკასაციო სასამართლოს მიერ განხილვა შემოიფარგლება მხოლოდ კანონის მოთხოვნების დაცვის განხილვით.

88. საკუთარ პრეცედენტულ სამართალში სასამართლო აღნიშნავს საკასაციო სამართალწარმოების უმნიშვნელოვანეს როლს, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებულ ეტაპს სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში, რომელსაც პოტენციურად გადამწყვეტი შედეგები მოაქვს ბრალდებულისათვის, როგორც წინამდებარე საქმეში, ვინაიდან ბათილად ცნობის შემთხვევაში შეუძლებელი გახდებოდა საქმის სხვა სააპელაციო სასამართლოსათვის განსახილველად გადაცემა, როგორც ფაქტობრივი გარემოებების, ისე სამართლებრივი საკითხების განსახილველად. სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ კონვენციის 6.1 მუხლი არ ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, შექმნან სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოები, თუმცა სახელმწიფო, რომელიც შექმნის ამგვარ სასამართლოებს, ვალდებულია უზრუნველყოს, რომ პირებმა, რომელთაც შეეხება აქვთ სასამართლოსთან, ზემოაღნიშნული სასამართლოების წინაშე ისარგებლონ მე-6

მუხლით განსაზღვრული ძირითადი გარანტიებით (იხ. *დელკური ბელგიის წინააღმდეგ*, 1970 წლის 17 იანვარი 1970, § 25, სერია A, N11; *ომარი საფრანგეთის წინააღმდეგ და გუერინი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 29 ივლისი 1998, §§ 41 და 44, ანგარიშები, 1998-V და *ლუისი საფრანგეთის წინააღმდეგ*, N [44301/02](#), §27, 2006 წლის 14 ნოემბერი), რაც უდავოდ მოიცავს სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნას.

89. სასამართლოს აზრით, მთავრობის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ჯ.მ. იყო ათი მოსამართლისაგან შემდგარი სასამართლოს გაფართოებულ შემადგენლობაში, არ არის გადამწყვეტი კონვენციის 6.1 მუხლის საფუძველზე ობიექტური მიუკერძოებლობის საკითხისათვის. სასამართლო განხილვის საიდუმლო ხასიათის გათვალისწინებით შეუძლებელია დადგინდეს, ფაქტობრივად მოახდინა თუ არა ჯ.მ-მ გავლენა ამ შემთხვევაში. ამდენად, აღწერილ კონტექსტში, მოცემული სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით შესაძლებელი იყო საფუძვლიანი ეჭვის არსებობა.

90. გარდა ამისა, განმცხადებლისათვის არ უცნობებიათ, რომ სასამართლოს შემადგენლობაში იქნებოდა ჯ.მ. და არც ამის შესახებ ფიქრის რაიმე მიზეზი ჰქონდა. სასამართლოს მითითებით, განმცხადებელს აცნობეს, რომ საქმეს განიხილავდა საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა შემცირებული შემადგენლობით, როგორც ეს დასტურდება მოსამართლის ანგარიშიდან, საკასაციო სასამართლოს ელექტრონული დოკუმენტაციით საქმესთან დაკავშირებით და მხარეთათვის გაგზავნილი სამი შეტყობინებით, ამათგან ორი გაიგზავნა სასამართლო სხდომის შემდგომ. შესაბამისად, განმცხადებელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, გაეპროტესტებინა ჯ.მ-ის სასამართლოს შემადგენლობაში ყოფნა ან წარედგინა რაიმე მოსაზრებები მიუკერძოებლობის საკითხთან დაკავშირებით.

91. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო აღგენს, რომ მოცემულ საქმეში განმცხადებლის შიში შეიძლებოდა მიჩნეულიყო როგორც ობიექტურად დასაბუთებული.

92. ამდენად, სასამართლო ასკვნის, რომ დაირღვა კონვენციის 6.1 მუხლი.

## II. კონვენციის მე-10 მუხლის საგარეულო დარღვევა

93. განმცხადებლის მტკიცებით, სისხლის სამართლებრივი წესით მსჯავრდება მოიცავდა მისი გამოხატვის თავისუფლების დარღვევას, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-10 მუხლით, რომლის მიხედვით:

„1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გააფრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება;

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და

აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიღუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.”

## დ. სასამართლოს შეფასება

### 1. ზოგადი პრინციპები

#### (ა) გამოხატვის თავისუფლება

124. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის ზოგადი პრინციპები, რომელიც არაერთხელ აღუნიშნავს სასამართლოს საქმეზე - *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (1976 წლის 7 დეკემბერი, სერია A, N24), გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ შეჯამებულია საქმეში - *სტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ* ([დიდი პალატა] N [69698/01](#), § 101, ECHR 2007-V) და კვლავ დაფიქსირდა საქმეში - *ცხოველთა უფლებების დამცველები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* ([დიდი პალატა] N [48876/08](#), §100, ECHR 2013)) შემდეგი სახით:

„(i) გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს და ერთ-ერთ ძირითად პირობას მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციისათვის. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, იგი ეხება არა მხოლოდ „ინფორმაციას“ ან „იდევს“, რომლებიც დადებითი, არაშეურაცხყოფელი ან უმნიშვნელოა, არამედ შეურაცხყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემანუხებელი ინფორმაციას, ან იდეებს. ასეთია პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ლიბერალური აზროვნების მოთხოვნები, რომელთა გარეშე „დემოკრატიული საზოგადოება“ არ არსებობს. მე-10 მუხლის შესაბამისად, თავისუფლება ექვემდებარება გამონაკლისებს, რომლებიც .... უნდა განიმარტოს მკაცრად, თუმცა რაიმე სახის შეზღუდვის საჭიროება დამაჯერებლად უნდა დასაბუთდეს....

(ii) ზედსართავი სახელი „აუცილებელი“, 10.2 მუხლის მნიშვნელობით, გულისხმობს „გადაუდებელი სოციალური საჭიროების“ არსებობას. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ დისკრეციული უფლებამოსილების გარკვეული ფარგლები ამგვარი საჭიროების არსებობის შესაფასებლად, თუმცა ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპულ ზედამხედველობასთან, რომელიც ეხება როგორც კანონმდებლობას, ისე კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვეტილებებს, თუნდაც ისინი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ იყოს გამოტანილი. ამდენად, სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს საბოლოო დადგენილება იმასთან დაკავშირებით, რომ „შეზღუდვა“ არ არღვევს მე-10 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებას.

(iii) სასამართლოს ამოცანა, ზედამხედველის იურისდიქციის განხორციელებისას, არის არა უფლებამოსილი ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ნაცვლად მოქმედება, არამედ მათ მიერ საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების შესაბამისად გამოტანილი

გადაწყვეტილებების განხილვა მე-10 მუხლის ჭრილში. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ზედამხედველობა შემოიფარგლება იმის დადგენით, მოჰასუხე სახელმწიფომ რამდენად მიზანშეწონილად, გულდასმით და კეთილსინდისიერად განახორციელა საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილება; სასამართლომ უნდა განიხილოს სადავო ჩარევა მთლიანი საქმის კონტექსტის ჭრილში და დაადგინოს, იყო თუ არა ის „ლევგიტიმური მიზნის თანაზომიერი“ და რამდენად „სათანადო და საკმარისია“ ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ აღნიშნული ჩარევის დასაბუთებისათვის მოყვანილი მიზეზები მითითებულ პროცესში, სასამართლომ უნდა გადაამოწმოს და დარწმუნდეს, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენეს სტანდარტები, რომლებიც შეესაბამებოდა მე-10 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს და დაეყრდნენ შესაბამისი ფაქტების მისაღებ შეფასებას...“

125. რაც შეეხება გამოხატვის თავისუფლების დაცვის ხარისხს, კონვენციის 10.2 მუხლი ითვალისწინებს მცირე შეზღუდვას პოლიტიკური გამოსვლის ან საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე დებატებთან მიმართებით (იხ. *სურეკი თურქეთის წინააღმდეგ*, (N 1) [დიდი პალატა], N [26682/95](#), § 61, ECHR, 1999-IV; *ლინდონი, ოჩაკოვსკი-ლაურენსი და უული საფრანგეთის წინააღმდეგ*, [დიდი პალატა], N [21279/02](#) და [36448/02](#), §46, ECHR, 2007-IV და *აქსელ სპრინგერი AG გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [39954/08](#), § 90, ECHR, 2012). შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი დონე, როდესაც ხელისუფლების ორგანოების დისკრეციული უფლებამოსილება განსაკუთრებით ვიწროა, ჩვეულებრივ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც საკითხი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, განსაკუთრებით ისეთი კომენტარების შემთხვევაში, რომლებიც ეხება სასამართლო ხელისუფლების საქმიანობას, თუნდაც ისეთი სამართალწარმოების კონტექსტში, რომელზეც გადაწყვეტილება სხვა მოჰასუხეების მიმართ ჯერ არ არის გამოტანილი (იხ. *როლანდ დუმასი საფრანგეთის წინააღმდეგ*, N [34875/07](#), §43, 2010 წლის 15 ივლისი, და *გუევია გომეს ფერნანდესი და ფრეიტას ე კოსტა პორტუგალიის წინააღმდეგ*, N [1529/08](#), § 47, 2011 წლის 29 მარტი). მტრული დამოკიდებულების ხარისხი (იხ. *ე.კ. თურქეთის წინააღმდეგ*, N [28496/95](#), §§ 79-80, 2002 წლის 7 თებერვალი) და გარკვეული გამონათქვამების პოტენციური სიმძიმე (იხ. *თომას ლუქსემბურგის წინააღმდეგ*, N [38432/97](#), § 57, ECHR, 2001-III) არ გულისხმობს აღნიშნული უფლების დაცვით სარგებლობისგან გათავისუფლებას, საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით (იხ. *პატურელი საფრანგეთის წინააღმდეგ*, N [54968/00](#), § 42, 2005 წლის 22 დეკემბერი).

126. სასამართლომ, გადაწყვეტილებებში *ლინგენსისა* (*ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ*, 1986 წლის 8 ივლისი, § 46, სერია A, N10) და *ობერშლიკის* (*ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ*, (N 1), 1991 წლის 23 მაისი, § 63, სერია A, N 204) საქმეებზე გამოჭნა განცხადებები ფაქტებთან დაკავშირებით და შეფასებითი მსჯელობა. ფაქტების არსებობა შეიძლება დადასტურდეს, ხოლო შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცების შესახებ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და არღვევს თავად გამოხატვის თავისუფლებას, რაც წარმოადგენს მე-10 მუხლით დაცული უფლების ძირითად ნაწილს (იხ. *დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ*, 1997 წლის 24 თებერვალი, §42, ანგარიშები 1997-I). თუმცა, როდესაც განცხადება უტოლდება შეფასებით მსჯელობას, ჩარევის თანაზომიერება შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი „ფაქტობრივი



საფუძველი“ გასაჩივრებული განცხადებისათვის; თუ არ არსებობს, ასეთი შეფასებითი მსჯელობა შეიძლება დადგინდეს, როგორც გადაჭარბებული (იხ. *დე ჰაესი და გიჯსელსი* §47; *ობერშლოკი ავსტრიის წინააღმდეგ* (N2), 1997 წლის 1 ივლისი, §33, ანგარიშები 1997-IV; *ბრასილიერი საფრანგეთის წინააღმდეგ*, N71343/01, § 36, 11/04/2006 და *ლინდონი, ოჩაკოვსკი-ლაურენსი და ყული*, §55). ფაქტობრივი ბრალდებისა და შეფასებითი მსჯელობის გასამიჯნად აუცილებელია საქმის გარემოებებისა და გამონათქვამების ზოგადი ტონის გათვალისწინება (იხ. *ბრასილიერი*, §37), მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ განცხადებები საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების თაობაზე, შესაძლოა, წარმოადგენდეს შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტის დაფიქსირებას (იხ. *პატურელი*, §37).

127. ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას გასათვალისწინებელია დაკისრებული სანქციების ხასიათი და სიმკაცრე. როგორც სასამართლომ მანამდე აღნიშნა, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას შესაძლოა, ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი ამ თავისუფლებით სარგებლობაზე. ჯარიმების შედარებით ზომიერი ხასიათი არ არის საკმარისი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაზე მსუსხავი ეფექტის (ნეგატიური ზეგავლენის) რისკის უკუსაგდებად, რაც კიდევ უფრო მიუღებელია ადვოკატის შემთხვევაში, რომელსაც ევალება საკუთარი კლიენტების ეფექტურად დაცვა (იხ. *მორი*, § 61). მართალია, ლეგიტიმურია, რომ სახელმწიფოს დანესებულებები, როგორც ინსტიტუციური საზოგადოებრივი წესრიგის გარანტები, უნდა სარგებლობდნენ უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან დაცვით, ამ დანესებულებების დომინანტი პოზიციიდან გამომდინარე, უფლებამოსილმა ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ სისხლის სამართალწარმოებისგან (იხ. *კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ*, 1992 წლის 23 აპრილი, §46, სერია A, N236; *ინკალი თურქეთის წინააღმდეგ*, [დიდი პალატა], 1998 წლის 9 ივნისი, §54, ანგარიშები 1998-IV; *ლეიდეუესი და ისორნი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 23 სექტემბერი, § 57, ანგარიშები 1998-VII; *ობთურეი თურქეთის წინააღმდეგ*, [დიდი პალატა], 1999 წლის 28 სექტემბერი, § 66, ECHR, 1999-VI და *ოტევი მონდრაგონი ესპანეთის წინააღმდეგ*, N 2034/07, §58, ECHR, 2011).

#### **(ბ) სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის შენარჩუნება**

128. სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი ინსტიტუციის წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ექცევა საზოგადოებრივ ინტერესში. ამ მხრივ, აუცილებელია საზოგადოებაში სასამართლოს განსაკუთრებული როლის გათვალისწინება. ქვეყანაში, რომელიც იმართება კანონის უზენაესობის პრინციპით, სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების გარანტი, უნდა სარგებლობდეს საზოგადოების ნდობით, იმისათვის, რომ წარმატებით შეძლოს საკუთარი მოვალეობების შესრულება. ამდენად, შესაძლოა, აუცილებელი იყოს აღნიშნული ნდობის დაცვა მეტად საზიანო თავდასხმებისაგან, რომლებიც არსებითად უსაფუძვლოა, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კრიტიკის ადრესატ მოსამართლეებს აკისრიათ წინდახედულების ვალდებულება, შესაბამისად, მათ ეკრძალებათ კრიტიკაზე საპასუხო რეაგირება (იხ. *პრავერი და ობერშლოკი ავსტრიის წინააღმდეგ*, 26 აპრილი, 1995 წელი, §34, სერია A, N 313; *კარპეტასი საბერძნეთის წინააღმდეგ*, N6086/10, §68, 30 ოქტომბერი, 2012 წელი და *დი ჯოვანი იტალიის წინააღმდეგ*, N 51160/06, §71, 9 ივლისი, 2013 წელი).

129. ფრაზა „სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი“ მოიცავს იმ ცნებას, რომ სასამართლოები არიან და საზოგადოების მიერ ზოგადად მიიჩნევიან, როგორც სათანადო ორგანოები სამართლებრივი დავების გადასაჭრელად და ადამიანის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ გადანაცვებების მიმღებად სისხლის სამართლის საქმეებზე; აქ ასევე იგულისხმება საზოგადოების მხრიდან პატივისცემის მაღალი ხარისხი და რწმენა, რომ სასამართლოს შესწევს ამ ფუნქციის შესრულების უნარი (იხ. *ვორმი ავსტრიის წინააღმდეგ*, 29 აგვისტო, 1997, § 40, ანგარიშები 1997-V და *პრავერი და ობერშლიკი*).

130. საქმე ეხება ნდობას, რომელიც სასამართლოებმა დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა აღძრან არა მხოლოდ ბრალდებულში სისხლის სამართალწარმოებისას (იხ. *კიპრიანუ*, §172), არამედ ფართო საზოგადოებაშიც (იხ. *კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ*, N [29492/05](#), § 86, 2009 წლის 26 თებერვალი და *დი ჯიოვანი*).

131. თუ არ ჩავთვლით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხდება მეტად საზიანო და უსაფუძვლო თავდასხმა, მოსამართლეები წარმოადგენენ სახელმწიფოს ფუნდამენტური ინსტიტუციის ნაწილს და შეიძლება დაექვემდებარონ პირად კრიტიკას დასაშვებ ფარგლებში (იხ. *ჟული* და *SARL Libération*, § 74). ამდენად, თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას, მათზე ვრცელდება დასაშვები კრიტიკის უფრო ფართო ფარგლები, ვიდრე რიგითი მოქალაქის შემთხვევაში (იხ. *ჟული* და *SARL Libération*).

### (გ) ადვოკატის სტატუსი და მისი გამოხატვის თავისუფლება

132. ადვოკატების განსაკუთრებული სტატუსი, მათ ანიჭებთ ცენტრალურ პოზიციას მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ამდენად, ისინი თამაშობენ საკვანძო როლს იმის უზრუნველყოფაში, რომ სასამართლოები, რომელთა მისია ფუნდამენტურია კანონის უზენაესობის პრინციპით მართულ სახელმწიფოში, საზოგადოების თვალში ნდობით სარგებლობდნენ (იხ. *შეიკარის წინააღმდეგ*, 20 მაისი, 1998, §§ 29-30, ანგარიშები 1998-III; *ნიკულა ფინეთის წინააღმდეგ*, N [31611/96](#), § 45, ECHR, 2002-II; *ამიჰალაჩიოაიე მოლდოვას წინააღმდეგ*, N რაიმე მიზეზი, § 27, ECHR, 2004-III; *კიპრიანუ*, § 173; *ანდრე და სხვა საფრანგეთის წინააღმდეგ*, N [18603/03](#), § 42, 2008 წლის 24 ივლისი და *მორი*, § 42). თუმცა, იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ ნდობა მართლმსაჯულების მიმართ, მათ აგრეთვე უნდა სჯეროდეთ, რომ ადვოკატებს აქვთ წარმომადგენლობის ეფექტურად უზრუნველყოფის უნარი (იხ. *კიპრიანუ*, § 175).

133. მართლმსაჯულების განხორციელებაში ადვოკატების, როგორც დამოუკიდებელი პროფესიონალების როლი მოიცავს მთელ რიგ მოვალეობებს, განსაკუთრებით მათი ქცევის მხრივ (იხ. *ვან დე მუსელე ბელგიის წინააღმდეგ*, 23 ნოემბერი, 1983, სერია A, N 70; *კასადო კოკა ესპანეთის წინააღმდეგ*, 1994 წლის 24 თებერვალი, § 46, სერია A N 285-A; *სტეური ნიდერლანდების წინააღმდეგ*, N [39657/98](#), §38, ECHR, 2003-XI; *ვერაარტი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, N [10807/04](#), §51, 2006 წლის 30 ნოემბერი და *კუტანტი საფრანგეთის წინააღმდეგ*, (განჩინება), N [17155/03](#), 2008 წლის 24 იანვარი). დამცველების პროფესიული ქცევა ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს - მათ მოეთხოვებათ თავდაჭერილი, პატიოსანი და ღირსეული ქცევა, თუმცა სარგებლობენ ექსკლუზიური უფლებებითა და პრივილეგიებით, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს იურისდიქციების

მიხედვით, მათ შორის, დამცველებს ეძლევათ გარკვეული დისკრეციული უფლებამოსილება სასამართლოში გამოყენებული არგუმენტების თვალსაზრისით (იხ. *სტეური*).

134. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება დამცველებზეც. ეს მოიცავს არა მხოლოდ მათ მიერ გამოთქმული თვალსაზრისის და ინფორმაციის შინაარსს, არამედ მათი გადმოცემის ფორმასაც (იხ. *ფოვილა შვეიცარიის წინააღმდეგ*, N35865/04, §85, 2007 წლის 13 დეკემბერი). ამდენად, ადვოკატებს გააჩნიათ უფლება, რომ საჯაროდ გააკეთონ კომენტარი მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით, თუ მათი კრიტიკა არ სცდება გარკვეულ ზღვარს (იხ. *ამიჰალაჩიოაიე*, §§27-28; *ფოვილა*, §86 და *მორი*, §43). ეს ზღვარი ექცევა ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ჩვეული შეზღუდვების არეალში (იხ. *კიპრიანუ*, §173), როგორც ეს ასახულია ადვოკატთა საბჭოსა და ევროპის სამართლის საზოგადოების (CCBE) მიერ ევროპის ადვოკატებისთვის მოყვანილ ათ ძირითად პრინციპში, სადაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება „ღირსებაზე“, „პატიოსნებასა“ და „კეთილსინდისიერებაზე“, „მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულების ... პატივისცემაზე“. ასეთი წესები ხელს უწყობს მოსამართლეთა დაცვას უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი თავდასხმებისაგან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ და მხოლოდ სურვილით ან სტრატეგიით, რომ მოხდეს მედიაში მოსამართლეთა დებატებში ჩართვა ან კონკრეტულ საქმეზე მომუშავე მოსამართლესთან ანგარიშის გასწორება.

135. გამოხატვის თავისუფლების საკითხი დაკავშირებულია იურისტის პროფესიის დამოუკიდებლობასთან, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სამართლიანად აღსრულების ეფექტური პროცესისათვის (იხ. *სიალკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ*, N8932/05, §111, 2007 წლის 22 მარტი 2007). დემოკრატიულ საზოგადოებაში ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, თუნდაც მსუბუქი სისხლისსამართლებრივი სასჯელის მეშვეობით, შეიძლება აუცილებელი იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. (იხ. *ნიკულა*, §55; *კიპრიანუ*, §174 და *მორი*, § 44).

136. უნდა განვასხვავოთ შემთხვევები, როდესაც დამცველი საკუთარ აზრს აფიქსირებს სასამართლო სხდომათა დარბაზსა და სხვა გარემოში.

137. აღსანიშნავია „სასამართლო სხდომათა დარბაზში ქცევის“ საკითხი, ვინაიდან ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებამ შეიძლება წამოჭრას მისი კლიენტის სამართლიანი განხილვის უფლების საკითხი, სამართლიანობის პრინციპი ასევე მოქმედებს მხარეთა შორის დაუბრკოლებელი და დაძაბული შეპაექრების სასარგებლოდ (იხ. *ნიკულა*, §49 და *სტეური*, §37). ადვოკატებს გააჩნიათ „საკუთარი კლიენტების ინტერესების გულმოდგინედ დაცვის“ ვალდებულება (იხ. *ნიკულა*, §54), რაც ნიშნავს, რომ ზოგჯერ მათ უნდა გადაწყვიტონ, გააპროტესტონ ან გაასაჩივრონ თუ არა სასამართლოს მოქმედება (იხ. *კიპრიანუ*, §175). ასევე, სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ გასაჩივრებული გამონათქვამების გამეორება არ მომხდარა სასამართლო დარბაზის გარეთ. აგრეთვე ითვალისწინებს ადრესატის ვინაობას; ამდენად, პროკურორმა, რომელიც სამართალწარმოებაში „მხარეს“ წარმოადგენს, უნდა „მოითმინოს ძალიან მძიმე კრიტიკა ... დამცველის მხრიდან“, თუნდაც შეუსაბამო ტერმინებით გამოხატული, თუ ეს კრიტიკა არ



ეხება მის ზოგად პროფესიულ ან სხვა თვისებას (იხ. *ნიკულა*, §§ 51-52; *ფოვლია*, §95 და *როლანდ დუმასი*, § 48).

138. დაუბრუნდეთ სასამართლო სხდომათა დარბაზის გარეთ გაკეთებულ კომენტარებს, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ კლიენტის დაცვის განხორციელება შეიძლება ტელევიზიით ახალ ამბებში გამოსვლით ან პრესაში განცხადების მეშვეობით; ასეთი მეთოდით დამცველს შეუძლია საზოგადოებას გააცნოს ის ნაკლოვანებები, რომლებიც სავარაუდოდ ზიანს მიაყენებენ წინასასამართლო საქმისწარმოებას (იხ. *მორი*, §59). სასამართლოს აზრით, ადვოკატს პასუხისმგებლობას ვერ დავაკისრებთ ყველაფერზე, რაც „ინტერვიუს“ ფორმით გამოქვეყნდა, განსაკუთრებით, როდესაც ურუნალისტების მხრიდან მოხდა განცხადებების რედაქტირება და მან უარყო გარკვეული გამონათქვამები (იხ. *ამიჰალაჩიოაიე*, §37). *ფოვლიას* საქმეში სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დამცველებს სამართლიანად ვერ დაეკისრებოდათ პასუხისმგებლობა პრესის მოქმედებებზე (იხ. *ფოვლია*, §97). ანალოგიურად, როდესაც საქმე ფართოდ შექცევა მედიაში, ფაქტების სიმძიმისა და სავარაუდო შემხებლობის მქონე პირების გამო, დამცველი არ უნდა დაისაჯოს სასამართლო გამოძიების საიდუმლოების გამჟღავნების გამო, როდესაც მან უბრალოდ გააკეთა პირადი ხასიათის კომენტარები იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც უკვე ცნობილი იყო ურუნალისტებისათვის და რომლის გაშუქებასაც ისინი აპირებდნენ, ამ კომენტარების გათვალისწინებით თუ მათ გარეშე. ამის მიუხედავად, საჯარო განცხადების გაკეთებისას, დამცველი არ თავისუფლდება კონფიდენციალობის შენარჩუნებისათვის წინდახედულობის მოვალეობისაგან, სასამართლო გამოძიების მიმდინარეობის პერიოდში (იხ. *მორი*, §§ 55 და 56).

139. მეტიც, დამცველებს ეკრძალებათ ისეთი კომენტარების გაკეთება, რომლებიც იმდენად სერიოზულია, რომ ირღვევა აზრის გამოხატვისთვის დასაშვები ზღვარი, მყარი ფაქტობრივი საფუძვლის არარსებობის პირობებში (იხ. *კარპეტასი*, §78; ასევე, *ა. ფინეთის წინააღმდეგ* (განჩინება), [N44998/98](#), 2004 წლის 8 იანვარი). მათ არც შეურაცხყოფის უფლება აქვთ (იხ. *კოუტანტი* (განჩინება)). *გუევია გომეს ფერნანდესი და ფრეიტას ე. კოსტას* საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მოსამართლეების შესახებ გამონათქვამების ტონი, რომელიც არ იყო შეურაცხყოფილი, თუმცა იყო ღვარძლიანი და სარკასტული, მიჩნეულ იქნა როგორც კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისი (იხ. *გუევია გომეს ფერნანდესი და ფრეიტას ე. კოსტა*, §48). სასამართლო გამონათქვამებს აფასებს ზოგად კონტექსტში, განსაკუთრებით იმისათვის, რომ დადგინდეს, შეიძლება თუ არა ისინი ჩაითვალოს შეცდომაში შემყვანად თუ უსაფუძვლო თავდასხმად (იხ. *ორმანი იტალიის წინააღმდეგ*, [N30278/04](#), §73, 2007 წლის 17 ივლისი და *გუევია გომეს ფერნანდესი და ფრეიტას ე. კოსტა* §51), რათა უზრუნველყოს, რომ გამოყენებული ფრაზები საკმარისად მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან (იხ. *ფელდეკი სლოვაკეთის წინააღმდეგ*, [N29032/95](#), §86, ECHR, 2001-VIII და *გუევია გომეს ფერნანდესი და ფრეიტას ე. კოსტა*).

## 2. ამ პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

140. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი დამნაშავედ იქნა ცნობილი და დაეკისრა ზიანისა და ხარჯების ანაზღაურება *ბორელიის* საქმის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით კომენტარების გამო, რომელიც დაიბეჭდა



ყოველდღიურ გაზეთ „Le Monde-ში“ გამოქვეყნებულ სტატიაში. იგი მოიცავდა განმცხადებლისა და მისი კოლეგების მიერ იუსტიციის მინისტრის მიმართ გაგზავნილი წერილის ტექსტს, სადაც მოითხოვდნენ ადმინისტრაციული გამოძიების დაწყებას და განცხადებებს, რომელიც მან გააკეთა ჟურნალისტთან - გასაჩივრებული სტატიის ავტორთან.

141. სასამართლო იმთავითვე აღნიშნავს, რომ მხარეები არ დავობენ იმაზე, რომ განმცხადებლის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება წარმოადგენდა ჩარევას მის გამოხატვის თავისუფლებაში, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-10 მუხლით. სასამართლოც ამ აზრს იზიარებს.

142. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ჩარევა კანონით იყო განსაზღვრული, კერძოდ, 1881 წლის 29 ივლისის კანონის 23-ე, 29-ე და 31-ე ნაწილებით, როგორც განმცხადებელმა აღიარა.

143. მხარეები აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ ჩარევის მიზანი იყო სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვა. სასამართლო ვერ ხედავს სხვაგვარი თვალსაზრისის არსებობის მიზეზს. მართალია, განმცხადებლის მიმართ სამართალწარმოება მიზნად ისახავდა „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებას“, თუმცა ეს საკითხი უკავშირდება ჩარევის „აუცილებლობას“ და ვერ ექნებოდა გავლენა იმ ფაქტზე, რომ იგი მიმართული იყო სულ მცირე ერთი „ლევტიმური მიზნისაკენ“, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით არის განსაზღვრული.

144. ამდენად, უნდა გაანალიზდეს, ჩარევა იყო თუ არა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ამისათვის სასამართლომ უნდა დაადგინოს, იყო თუ არა ჩარევა ლევტიმური მიზნის თანაზომიერი და ეროვნული სასამართლოების მიერ წარმოდგენილი საფუძველი იყო თუ არა შესაბამისი და საკმარისი.

145. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მსჯავრდებით, სააპელაციო სასამართლომ დააფიქსირა თვალსაზრისი, რომ გამოძიებელი მოსამართლის „ქცევა [იყო] სრულიად შეუსაბამო მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპებთან“, რაც განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი ბრალდებაა. სასამართლო დასძენს, რომ განმცხადებლის კომენტარებმა ვიდეოკასეტის გადაგზავნის გაჭიანურებასთან და მისმა მითითებამ ხელნაწერ ბარათზე, რომელიც ჯიბუტის სახელმწიფო პროკურორმა გაუგზავნა მოსამართლე მ-ს, რომელთან დაკავშირებითაც განმცხადებელმა გამოიყენა ტერმინი „მფარველობა“, უბრალოდ დაადასტურა ბრალდების შეურაცხმყოფელი ხასიათი, ბრალდების „უტყუარობა“ არ დადგენილა და განმცხადებელს უარი ეთქვა კეთილსინდისიერ დაცვაზე.

#### **(ა) განმცხადებლის, როგორც დამცველის სტატუსი**

146. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე კომენტარები გამომდინარეობდა სტატიის ავტორი ჟურნალისტის თხოვნის საპასუხოდ გაკეთებული განცხადებიდან და იუსტიციის მინისტრისათვის მიწერილი წერილიდან. განმცხადებელმა კომენტარები გააკეთა

ადვოკატის რანგში, რომელიც იცავდა სამოქალაქო მხარეს და ეხებოდა ბორელის საქმეში სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

147. ამასთან მიმართებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა სასამართლოს სთხოვა, განემარტა პრეცედენტული სამართალი ადვოკატის მიერ გამოხატვის თავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით სასამართლო სხდომათა დარბაზის გარეთ და ადვოკატთა მიერ წარმოთქმული კომენტარები მოქცეულიყო შესაძლო დაცვის ქვეშ. სახელმწიფო მიიჩნევს, რომ მათი, როგორც სასამართლოში მონაწილე მხარეების სტატუსი, ფუნდამენტურად განასხვავებს დამცველებს უურნალისტებისაგან და გამოყოფს სხვადასხვა სიტუაციებს, რომლებშიც გამოხატვის თავისუფლების არეალი იქნებოდა „განსაკუთრებით ფართო“ ან პირიქით, მოქცეოდა „გარკვეულ ფარგლებში“.

148. სასამართლო მხარეებს მიუთითებდა პრეცედენტულ სამართალში განსაზღვრულ პრინციპებზე, განსაკუთრებით დამცველების სტატუსსა და გამოხატვის თავისუფლებზე, იმის ხაზგასმით, რომ უნდა გაიმიჯნოს ადვოკატების მიერ სასამართლო სხდომათა დარბაზში და სხდომათა დარბაზის გარეთ გაკეთებული კომენტარები. ამასთან, ადვოკატების სპეციფიკური სტატუსისა და მართლმსაჯულების აღსრულებაში მათი პოზიციის გათვალისწინებით, სასამართლო, CCBE არგუმენტისაგან განსხვავებით, მიიჩნევს, რომ არ შეიძლება ადვოკატების გათანაბრება უურნალისტებთან. მათი შესაბამისი თანამდებობები და როლი სამართალწარმოებაში თავისი არსით განსხვავებულია. უურნალისტებმა საკუთარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად, უნდა განმარტონ ინფორმაცია და მოსაზრებები საზოგადოებისათვის საინტერესო ყველა საკითხზე, მათ შორის, მართლმსაჯულების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დამცველები ძირითადი ფიგურები არიან მართლმსაჯულების სისტემაში, ისინი უშუალოდ მონაწილეობენ მის ფუნქციონირებაში და მხარის დაცვაში. ამდენად, შეუძლებელია მათი გათანაბრება გარე მხარეებთან, რომელთა ამოცანას საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენს.

149. განმცხადებლის მტკიცებით, გაზეთ „Le Monde-ში“ გამოქვეყნებული მისი განცხადებები, შესასრულებელი ამოცანის - კლიენტის დაცვის მიზანს ემსახურებოდა. სადავო არ არის, რომ გასაჩივრებული კომენტარები მოექცა სამართალწარმოების კონტექსტში, თუმცა, ისინი ეხებოდა გამოძიებელ მოსამართლეებს, რომლებიც საბოლოოდ სამართალწარმოებას ჩამოაშორეს. ამდენად, სასამართლო ვერ ხედავს, როგორ შეიძლებოდა მის განცხადებებს პირდაპირ შეეწყო ხელი მის მიერ კლიენტის დაცვის ამოცანის შესრულებაში, ვინაიდან სასამართლო გამოძიების წარმართვა იმ დროისათვის სხვა მოსამართლეს ჰქონდა დაკისრებული, რომლის მიმართ კრიტიკული შენიშვნები არ იყო.

### **(ბ) საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე მსჯელობაში წვლილის შეტანა**

150. განმცხადებელი აგრეთვე ეყრდნობოდა საკუთარ უფლებას, ეცნობებინა საზოგადოებისათვის მიმდინარე სამართალწარმოებაში ხარვეზების შესახებ და წვლილი შეეტანა საზოგადოებისათვის საინტერესო თემის გარშემო მსჯელობაში.

151. ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის კომენტარები გაკეთდა სასამართლო გამოძიების კონტექსტში, რომელიც დაიწყო ფრანგი

მოსამართლის - ბერნარ ბორელის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც მივლინებული იყო ჯიბუტის იუსტიციის სამინისტროში, ტექნიკურ საკითხებში მრჩევლის რანგში. სასამართლოს უკვე ჰქონდა შესაძლებლობა, აღნიშნა, რომ საქმეზე თავიდანვე იყო მედიის მხრიდან მაღალი ინტერესი (იხ. *ჟული და SARL Libération*, §67), რაც მეტყველებს საზოგადოების თვალში მის მაღალ მნიშვნელობაზე. განმცხადებლის მსგავსად, სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო სისტემამ ხელი შეუწყო საზოგადოების ინფორმირებას ამ საქმის გარშემო, ვინაიდან გამომძიებელმა მოსამართლემ, რომელიც 2007 წელს მუშაობდა საქმეზე, სთხოვა სახელმწიფო ბრალმდებელს პრესრელიზის გამოქვეყნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე და იმ ინფორმაციის გამოცხადება, რომ თვითმკვლელობის ვერსია აღარ განიხილებოდა და საქმის გამოძიება გაგრძელდებოდა წინასწარი განზრახვით მკვლელობის მუხლით.

152. გარდა ამისა, როგორც სასამართლომ მანამდე დაადგინა, საზოგადოება ლეგიტიმურად არის დაინტერესებული სისხლის სამართლის საქმის წარმოების შესახებ ინფორმაციის მიღებით (იხ. *ჟული და SARL Libération*, §66) და სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული კომენტარები საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში ექცევა. სასამართლომ ორ შემთხვევაში - *ფლოჟეუტი და ესმენარდი და ჟული და SARL Libération*, განიხილა ბორელის საქმესა და სასამართლო გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებული კომენტარები, როგორც გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით არსებული პრეტენზიები. ორივე საქმის შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ მსჯელობა მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე.

153. შესაბამისად, სასამართლოს აზრით, განმცხადებლის სადავო კომენტარები, რომლებიც ეხებოდა ზემოაღნიშნულ *ფლოჟეუტი და ესმენარდი და ჟული და SARL Libération* საქმეებს, სასამართლოს ფუნქციონირებასა და ბორელის საქმის განხილვას, მოექცა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხის შესახებ მსჯელობის კონტექსტში. ამდენად, იგი მოითხოვდა გამოხატვის თავისუფლების მაღალ ხარისხს და შესაბამისად, ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდათ განსაკუთრებით ვიწრო დისკრეციული უფლებამოსილება.

### **(გ) სადავო კომენტარების ხასიათი**

154. სასამართლო აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც განმცხადებლის კომენტარები შეფასდა, როგორც „განსაკუთრებით შეურაცხყოფილი“, მან ვერ მოახერხა დაემტკიცებინა მათი უტყუარობა ისეთი მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც სისხლის სამართლის სასამართლოს მიხედვით „იქნებოდა უნაკლო, სრულყოფილი და პირდაპირ კავშირში ცილისმწამებლურ ბრალდებასთან“. მას ასევე არ დაუკმაყოფილდა კეთილსინდისიერების შესახებ არგუმენტი. ამ საკითხზე, სისხლის სამართლის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსამართლეების - მ-სა და ლ.ლ-ის პროფესიონალურ და ზნეობრივ კეთილსინდისიერებაზე თავდასხმები აშკარად გასცდა დასაშვები კრიტიკის ზღვარს. მართალია, სისხლის სამართლის სასამართლოს აზრით, ფუნდამენტური უთანხმოება ქ-ნი ბორელის იურისტებსა და გამომძიებელ მოსამართლეებს შორის ვერ დაასაბუთებდა მათი გამოხატვის აბსოლუტურ წინდაუხედაობას, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ორი მოსამართლის მიერ განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრული წარმოების ამ უკანასკნელის სასარგებლოდ შეჩერების გადაწყვეტილება არ გამოირიცხავდა მისი მხრიდან არაკეთილსინდისიერებას. სააპელაციო სასამართლოს

დასკვნის თანახმად, განმცხადებლის პირადი შუილი და მოსამართლეების, განსაკუთრებით მოსამართლე მ-ის დისკრედიტაციის სურვილი, გამოწვეული იყო მისი გადამეტებული კომენტარების გამო, ამასთან ბორელის საქმეზე სტატია გამოქვეყნდა იმავე დროს, რა დროსაც აღიძრა წარმოება მოსამართლე მ-ის წინააღმდეგ, საბრალოდებლო სამმართველოში, საინტელოჯიის საქმესთან დაკავშირებით.

155. როგორც სასამართლომ მანამდე აღნიშნა, აუცილებელია გაიმიჯნოს ფაქტობრივი გარემოებების შესახებ განცხადებები და შეფასებითი მსჯელობა. ფაქტების არსებობა შეიძლება დადასტურდეს დემონსტრირებით, რაც შეუძლებელია შეფასებითი მსჯელობის შემთხვევაში; შეფასებითი მსჯელობის უტყუარობის დამტკიცება შეუძლებელია და არღვევს თავად გამოხატვის თავისუფლებას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული უფლების ძირითად ნაწილს. გარდა ამისა, ცილისწამების შესახებ სამართალწარმოებაში მოპასუხის სასარგებლოდ პროცესუალური გარანტიების არსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ გასათვალისწინებელ ფაქტორს, მე-10 მუხლის საფუძველზე ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას. კერძოდ, მნიშვნელოვანია, რომ მოპასუხეს მიეცეს რეალური შესაძლებლობა, დაამტკიცოს, რომ თავისი განცხადებები ემყარებოდა საკმარის ფაქტობრივ საფუძველს (იხ. *სტილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N [68416/01](#), § 95, ECHR 2005-II; *ანდრუშკო რუსეთის წინააღმდეგ*, N [4260/04](#), §53, 2010 წლის 14 ოქტომბერი; *დილიპაკი და კარაკაია თურქეთის წინააღმდეგ*, N [7942/05](#) და N [24838/05](#), § 141, 2012 წლის 4 მარტი და *ჰასან იაზიჩი თურქეთის წინააღმდეგ*, N [40877/07](#), § 54, 2014 წლის 15 აპრილი). წინამდებარე საქმეში მისთვის ასეთი შესაძლებლობა არ მიუციათ.

156. სასამართლოს აზრით, საქმის გარემოებებში, გასაჩივრებული განცხადებები წარმოადგენდა უფრო მეტად შეფასებით მსჯელობას, ვიდრე წმინდა ფაქტების დაფიქსირებას, თუ გავითვალისწინებთ კომენტარების ზოგად ტონსა და კონტექსტს, რომლის პირობებშიც ეს კომენტარები გაკეთდა, ვინაიდან ისინი ძირითადად ასახავდნენ გამოძიებელი მოსამართლეების ქცევის ზოგად შეფასებას გამოძიების პროცესში.

**157. საჭიროა შესწავლილ იქნეს, იყო თუ არა საკმარისი აღნიშნული შეფასებითი მსჯელობის „ფაქტობრივი საფუძვლები“.**

158. სასამართლოს აზრით, ეს პირობა წინამდებარე საქმეში შესრულდა. მას შემდეგ, რაც პარიზის სააპელაციო სასამართლოს საბრალოდებლო სამმართველომ საქმე ჩამოართვა მოსამართლეებს - მ-ს და ლ.ლ-ს, აშკარა გახდა, რომ საქალაქო დონეზე არსებული მტკიცებულების მნიშვნელოვანი ელემენტი, კერძოდ, გარდაცვალების ადგილის ექსპერტებთან ერთად მოსამართლეთა ვიზიტის ამსახველი ვიდეოკასეტა, მართალია, მითითებული იყო ამ მოსამართლეთა მიერ გამოტანილ ბოლო გადაწყვეტილებაში, თუმცა არ ყოფილა გადაგზავნილი გამოძიების საქალაქო დონესთან ერთად იმ მოსამართლისათვის, რომელმაც ჩანაცვლა ზემოაღნიშნული მოსამართლეები. ეს ფაქტი მხოლოდ დადგენილი კი არა, არამედ საკმარისად მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ გამოართლებულიყო მოსამართლე მ-ს მიერ იმ ოქმის მომზადება, რომელშიც მან ჩანერა შემდეგი: პირველ რიგში, ვიდეოკასეტა არ ჩანდა გამოძიების საქალაქო დონეზე და იგი არ იყო რეგისტრირებული სამხილის სახით; მეორე, იგი მას გადაეცა კონვერტში, რომელსაც არ ჰქონდა ლუქის ნიშანი. ბარათზე ადრესატის ველში ეწერა მოსამართლე მ. და შეიცავდა ხელნაწერ ბლანკს,



ჯიბუტის სახელმწიფო ბრალმდებლის სატიტულო ფურცლით, რომელიც ამ უკანასკნელის მიერ იყო მიწერილი მოსამართლე მ-ისათვის.

159. ამას გარდა, იმ ფაქტთან ერთად, რომ ბლანკიდან შესამჩნევი იყო ჯიბუტის სახელმწიფო ბრალმდებლის მხრიდან მოსამართლე მ-ის მიმართ მეგობრული დამოკიდებულება, იგი ბრალს სდებდა პროცესის მხარეთა ადვოკატებს „მანიპულაციის ორგანიზებაში“. სასამართლო ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯიბუტის ხელისუფლების ორგანოებმა თვითმკვლევლობის თეორიას არა მხოლოდ მხარი დაუჭირეს თავიდანვე, არამედ სახელმწიფოს მთელი რიგი წარმომადგენლები პირადად იყვნენ ჩარეულნი საფრანგეთში ჩატარებულ სასამართლო გამოძიებაში, რაც ნათელია განსაკუთრებით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადანყვეტილებიდან, ასევე მცდარი მტკიცებულების მოპოვების ბრალდების საფუძველზე აღძრული სამართალწარმოებიდან.

160. ასევე, დადგინდა, რომ განმცხადებელი დამცველის რანგში მოქმედებდა ორ გახმაურებულ საქმეში, რომლებშიც მოსამართლე მ. იყო გამომძიებელი მოსამართლე. ორივე მათგანში განმცხადებელმა წარმატებით მოიპოვა სააპელაციო სასამართლოების დასკვნა, რომ სამართალწარმოებები ხარვეზებით წარიმართა, რის შედეგადაც საქმეები მოსამართლე მ-ს ჩამოერთვა. პირველი საქმის კონტექსტში, რომელიც ცნობილია „საინტოლოგიის“ საქმის სახელით, განმცხადებელმა დამატებით მოიპოვა დადგენილება, რომ საფრანგეთის სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო მართლმსაჯულების სისტემის ხარვეზებზე.

161. სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის მიერ გამოხატული აზრი საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან. ამასთანავე მისი კომენტარები ვერ ჩაითვლებოდა შეცდომაში შემყვანად ან უსაფუძვლო თავდასხმად. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ გამოხატვის თავისუფლება „ეხება არა მხოლოდ „ინფორმაციას“ ან „იდებს“, რომლებიც დადებითად აღიქმება ან არ ითვლება შეურაცხმყოფლად, არამედ იმათაც, რომლებიც არის შეურაცხმყოფელი, შოკისმომოგვრელი ან შემამფოთებელი“. ანალოგიურად, „ღვარძლიანი ტონის“ გამოყენება კომენტარებში, რომელიც მიმართული იყო მოსამართლისაკენ, კონვენციის მე-10 მუხლის დებულებებთან შეუსაბამოა (იხ. *გოუგეია გომეს ფერნანდესი და ფრეიტას ე კოსტა*, § 48).

#### (დ) საქმის კონკრეტული გარემოებები

##### (i) მთლიანი კონტექსტის მხედველობაში მიღების საჭიროება

162. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის კონტექსტში, მან უნდა გაითვალისწინოს გარემოებები და ზოგადი კონტექსტი, რომლის პირობებშიც გაკეთდა აღნიშნული კომენტარები (იხ. *ლინგენსი*, § 40 და *ბლადეტ ტრომსო და სტენსასი ნორვეგიის წინააღმდეგ*, [დიდი პალატა], N. [21980/93](#), § 62, ECHR, 1999-III). წინამდებარე საქმეში, კონტექსტი შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ გამომძიებელი მოსამართლეების ქცევით და განმცხადებლის ურთიერთობით ერთ-ერთ მათგანთან, არამედ სწორედ კონკრეტული საქმის ისტორიით, მისი სახელმწიფოთაშორისი ასპექტით და მედიის მიერ ამ საქმის ძალიან

ფართო გაშუქებით. სასამართლო დასძენს, რომ სააპელაციო სასამართლომ განმცხადებლის გასაჩივრებულ კომენტარს, რომლითაც იგი აკრიტიკებდა გამომძიებელ მოსამართლეს „ისეთი ქცევისათვის, რომელიც [იყო] აბსოლუტურად შეუსაბამოა მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპებთან“, დიდი მნიშვნელობა მიანიჭა და დაასკვნა, რომ თავისთავად ეს იყო ცილისმწამებლური ბრალდება, რომელიც უტოლდებოდა განცხადებას, რომ დაირღვა პროფესიული ეთიკის პრინციპები და აღნიშნული მოსამართლის მხრიდან მოსამართლის ფიცი. ეს ციტატა უნდა შეფასებულიყო საქმის კონკრეტული გარემოებების ჭრილში, განსაკუთრებით იმის გამო, რომ რეალურად ეს არ იყო განცხადება, რომელიც სტატიის ავტორთან გაკეთდა, არამედ ამონარიდი წერილიდან, რომელიც განმცხადებელმა და მისმა კოლეგა ბ-ნმა ლ. დე კაუნესმა გაუგზავნეს იუსტიციის მინისტრს 2000 წლის 6 სექტემბერს. გარდა ამისა, იმ დროს, როდესაც განმცხადებელმა პასუხი გასცა მის შეკითხვებს, ჟურნალისტიკისათვის უკვე ცნობილი იყო იუსტიციის მინისტრისათვის გაგზავნილი წერილის შესახებ, არა თავად განმცხადებლისაგან, არამედ საკუთარი წყაროებიდან, როგორც სისხლის სამართლის სასამართლომ დაადასტურა. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა და სადავო არ იყო, რომ სტატიის ავტორი ერთპიროვნულად პასუხისმგებელი იყო მოსამართლე მ-ის წინააღმდეგ „საინტოლოგიის“ საქმის კონტექსტში დისციპლინურ წარმოებაზე გაკეთებულ მითითებაზე. ამ მხრივ, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ დამცველები ვერ იქნებიან პასუხისმგებელნი ყველაფერზე, რაც გაუღერდება პრესაში გამოქვეყნებულ „ინტერვიუში“ ან პრესის ქმედებების გამო.

163. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული კომენტარები უნდა განეხილა მთლიანობაში, როგორც საქმის კონტექსტის, ისე წერილის შინაარსის, სრულად გათვალისწინებით.

164. ვინაიდან გასაჩივრებული კომენტარები ვერ შეფასდებოდა კონტექსტიდან ამოგლეჯილად, სასამართლო ვერ გაიზიარებს პარიზის სააპელაციო სასამართლოს თვალსაზრისს, რომ ტერმინის - „მფარველობის“ გამოყენება „თავისთავად“ წარმოადგენდა სერიოზულ თავდასხმას მოსამართლე მ-ის და ჯიბუტის სახელმწიფო ბრალმდებლის ღირსებასა და რეპუტაციაზე.

165. რაც შეეხება განმცხადებლის პირად შუღლს მოსამართლე მ-ის მიმართ, *ბორელისა* და „საინტოლოგიის“ საქმეების კონტექსტში კონფლიქტების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს ასპექტი არასაკმარისად აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო განმცხადებლის მსჯავრდებულად ცნობისათვის ნებისმიერ შემთხვევაში, ვინაიდან სასამართლოებმა აღიარეს ორ მონინაალმდევე მხარეს შორის კონფლიქტების არსებობა. წინამდებარე საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, პირად შუღლზე აპელირება შეიძლებოდა გაკეთებულიყო როგორც მოსამართლე მ-ის, ისე განმცხადებლის მიმართ (იხ. *mutatis mutandis*, *პატურელი*, §45), ვინაიდან ცილისმწამებაში მონაწილეობის გამო განმცხადებლის წინააღმდეგ საჩივრის შეტანამდე, მოსამართლე მ-ს უკვე შეტანილი ჰქონდა მის წინააღმდეგ საჩივარი ცრუ ბრალდების გამო, რომელიც არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს მიერ განმცხადებლის პირად შუღლზე აპელირებას, თუ არ ეწინააღმდეგებოდა, ასუსტებდა სხვა ფაქტორები. უპირველეს ყოვლისა, გამონათქვამი „ქცევის შესახებ, რომელიც აბსოლუტურად შეუსაბამო [იყო] მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპებთან“, გამოთქმული იყო არა მხოლოდ

მოსამართლე მ-ის, არამედ მოსამართლე ლ.ლ-ის მისამართითაც, უკანასკნელის მიმართ განმცხადებელს არ ედებოდა ბრალი პირადი შუღლის გამოხატვაში. ამასთან, განმცხადებლის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოება ეხებოდა იუსტიციის მინისტრისათვის გაგზავნილი ზემოთ აღნიშნული წერილიდან ამონარიდს, რომელსაც ხელი ნამდვილად მოაწერა და გაგზავნა ორმა ადვოკატმა, განმცხადებელმა და მისმა კოლეგამ - ბ-ნმა დე კაუნემ. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, იგი არ გასამართლებულა იმ კომენტარების გამო, რომლებიც ისევე შეიძლება მიკუთვნებოდა მას, როგორც განმცხადებელს, ასევე არ დასდეს ბრალი მოსამართლე მ-ის ან მოსამართლე ლ.ლ-ის მიმართ რაიმე შუღლის გამოვლენისთვის.

166. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის განცხადებები ვერ დავიდოდა პირადი შუღლის გამოხატვამდე, ე.ი., ანტაგონისტურ ურთიერთობამდე ორ ადამიანს შორის, განმცხადებელსა და მოსამართლე მ-ს შორის. სადავო კომენტარები რეალურად მოექცა უფრო ფართო კონტექსტში, აგრეთვე ეხებოდა სხვა ადვოკატსა და მოსამართლეს. სასამართლოს აზრით, ამ ფაქტით შეიძლება იმ მოსაზრების დასაბუთება, რომ კომენტარები არ იყო განმცხადებლის მხრიდან რაიმე პიროვნული შურისძიების ნაწილი. აღნიშნული წარმოადგენდა ორი ადვოკატის მიერ ერთობლივი პროფესიული ინიციატივის ნაწილს ახალი და დადასტურებული ფაქტების საფუძველზე, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იყო სერიოზული ხარვეზების გამოვლენა მართლმსაჯულების სისტემაში. კერძოდ, საქმის განმხილველი ორი მოსამართლე მანამდე წარმართავდა გამოძიებას იმ საქმეზე, რომელშიც ორი ადვოკატის კლიენტები სამოქალაქო მხარეებს წარმოადგენდნენ.

167. ვარდა ამისა, განმცხადებლის კომენტარებს აშკარად ჰქონდა უარყოფითი დატვირთვა მიუხედავად მათი არაკეთილგანწყობილი ხასიათისა (იხ. *კ. თურქეთის წინააღმდეგ* N [28496/95](#), §§ 79-80, 2002 წლის 7 თებერვალი) და სერიოზულობისა (იხ. *თომა*). განცხადებებში ძირითადი საკითხი ეხებოდა სასამართლო გამოძიების წარმართვას, რომელიც წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს. ამდენად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისათვის მცირე შესაძლებლობა რჩებოდა. ამასთანავე, ადვოკატს უნდა შეძლებოდა საზოგადოების ყურადღების მიპყრობა მართლმსაჯულების სისტემის პოტენციურ ნაკლოვანებებზე; სასამართლო სისტემისათვის კონსტრუქციული კრიტიკა შესაძლოა სასარგებლოც კი იყოს.

## (ii) სასამართლოს ავტორიტეტის შენარჩუნება

168. მთავრობა დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ სასამართლო ხელისუფლებას არ ჰქონდა შეპასუხების უფლება. საზოგადოებაში სასამართლოს განსაკუთრებული ფუნქციიდან გამომდინარე, მოსამართლეებს მოეთხოვებათ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დაცვა. თუმცა, ეს მოვალეობა ემსახურება კონკრეტულ მიზანს, როგორც აღნიშნულია პროცესში ჩართული მესამე მხარეების მიერ: მოსამართლეების გამოსვლა, ადვოკატებისგან განსხვავებით, აღიქმება, როგორც ობიექტური შეფასების გამოხატულება, რაც სავალდებულოა არა მხოლოდ ასეთი შეფასების გამომხატველი პირისთვის, არამედ, მისი მეშვეობით, მართლმსაჯულების მთელი სისტემისთვის. თავის მხრივ, ადვოკატები უბრალოდ საუბრობენ საკუთარი და თავიანთი კლიენტების სახელით, რაც გამოარჩევთ მათ ჟურნალისტებისაგან, რომელთა როლი და მიზანი სასამართლო დებატებში არსობრივად განსხვავებულია. აუცილებელია სასამართლო სისტემის დაცვა უსაფუძვლო,

ძლიერ საზიანო თავდასხმებისაგან, რადგან მოსამართლეები დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ვერ ახერხებენ რეაგირებას, თუმცა, ეს ვერ იქნება ადამიანებისათვის საკუთარი მოსაზრების (ფაქტებზე დაფუძნებული შეფასებითი მსჯელობები) გამოხატვის აკრძალვის საფუძველი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე, რომელიც ეხება მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებას. ასევე ვერ აიკრძალება ამ უკანასკნელის მიმართ ნებისმიერი სახის კრიტიკა. წინამდებარე საქმეში, მოსამართლეები - მ. და ლ.ლ. იყვნენ სასამართლო სისტემის წევრები და ამდენად, ორივე წარმოადგენდა სახელმწიფოს ფუნდამენტურ ინსტიტუციას: შესაბამისად, მათზე ვრცელდებოდა დასაშვები კრიტიკის უფრო ფართო ფარგლები, ვიდრე რიგით მოქალაქეებზე. შესაბამისად, აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, სადავო კომენტარები შესაძლებელია მათ წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული.

169. მთავრობის განცხადებების მიუხედავად, სასამართლო აგრეთვე ადგენს, რომ განმცხადებლის კომენტარებს არ შეეძლო უარყოფით ზეგავლენის მოხდენა სამართალწარმოების სათანადოდ წარმართვაზე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზემდგომმა სასამართლომ საქმე ჩამოართვა ორ გამომძიებელ მოსამართლეს, რომლებიც კრიტიკის ობიექტები იყვნენ. გასაჩივრებული კომენტარები არ ყოფილა მიმართული არც ახალი გამომძიებელი მოსამართლის, არც ზემდგომი სასამართლოებისაკენ.

170. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განმცხადებლის მსჯავრდება ვერ უზრუნველყოფდა სასამართლოს ავტორიტეტის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კანონის უზენაესობის პრინციპით მართულ სახელმწიფოში და დემოკრატიულ საზოგადოებაში, მოსამართლეთა ავტორიტეტის შენარჩუნების მნიშვნელობას. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოების სათანადო ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა მართლმსაჯულების სისტემაში სხვადასხვა ძირითად მხარეთა შორის ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობის გარეშე.

### **(iii) ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ზომების გამოყენება**

171. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს არსებული სამართლებრივი დაცვის ზომების გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, სასამართლოს, წინამდებარე საქმეში მართებულად, თუმცა არა საკმარისად მიაჩნია განმცხადებლის მსჯავრდების დასაბუთება. სასამართლოს მოსაზრებით, ერთი მხრივ, არსებული სამართლებრივი დაცვის ზომების გამოყენება და მეორე მხრივ, გამოხატვის თავისუფლება, არ ემსახურება ერთსა და იმავე მიზანს და არ არის ურთიერთჩანაცვლებადი. შესაბამისად, სასამართლოს აზრით, დამცველმა საკუთარი კლიენტი უნდა დაიცვას არა მედიაში, ძალიან სპეციფიკური გარემოებების გარდა, არამედ კომპეტენტური იურისდიქციის სასამართლოებში, რაც მოიცავს ნებისმიერი ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ზომის გამოყენებას. იგი დასძენს, რომ წინამდებარე საქმეში პარიზის სააპელაციო სასამართლოს მსჯავრდების სამმართველოსთვის მიმართვამ აშკარად წარმოაჩინა, რომ განმცხადებლის და მისი კოლეგის თავდაპირველი განზრახვა იყო საკითხის მოგვარება ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ზომების გამოყენებით. რეალურად, გასაჩივრებული საკითხი დაფიქსირდა სწორედ სამართლებრივი დაცვის ზომის გამოყენების შემდეგ, როგორც ეს მითითებული აქვს მოსამართლე 3-ს 2000 წლის 1 აგვისტოს ოფიციალურ ანგარიშში. იმ ეტაპზე საბრალდებლო სამმართველოს აღარ შეეძლო განეხილა ამგვარი საჩივრები,



რადგან საქმე ჩამოართვეს მოსამართლეებს - მ-ს და ლ.ლ-ს. სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო გამოძიების დაწყებიდან უკვე ოთხ წელიწად-ნახევარი იყო გასული და ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. სასამართლო აგრეთვე შენიშნავს, რომ სამოქალაქო მხარეებმა და მათმა დამცველებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამართალწარმოებაში და წარმატებას მიაღწიეს. ვერსალის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების შესაბამისად, ბელგიაში შეძლეს მნიშვნელოვანი მონმის დაკითხვა, იმის მიუხედავად, რომ გამომძიებელი მოსამართლეები, მ-ს და ლ.ლ-ს ამ მონმის მოსმენით არ იყვნენ დაინტერესებულნი.

172. ვარდა ამისა, იუსტიციის მინისტრისათვის გამოძიების დაწყების თხოვნით მიმართვა ამ ახალ ფაქტებთან დაკავშირებით, არ წარმოადგენდა სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც დაასაბუთებდა პრესაში ჩარევისაგან თავის შეკავებას. იგი უბრალოდ წარმოადგენდა ადმინისტრაციული გამოძიების ჩატარების თხოვნას, იუსტიციის მინისტრის დისკრეციული გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლო აღნიშნავს, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა აზრით, წერილზე არ ვრცელდებოდა სასამართლო აქტებისათვის განსაზღვრული იმუნიტეტი. სისხლის სამართლის სასამართლომ დაადგინა, რომ მისი შინაარსი იყო წმინდა ინფორმატიული ხასიათის. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ თხოვნაზე რეაგირების საკითხი არ გამხდარა დავის საგანი და ასევე დასძინს, რომ მოსამართლეები - მ. და ლ.ლ. ნამდვილად არ განიხილავდნენ მას, როგორც ხელმისაწვდომ სამართლებრივი დაცვის ზომას ეროვნული სამართლის საფუძველზე, არამედ როგორც აქტს, რომელიც ასაბუთებდა ცრუ ბრალდებისათვის საჩივრის შეტანას.

173. სასამართლო ადგენს, რომ არც მთავარ სახელმწიფო ბრალმდებელს, არც შესაბამის ადვოკატთა საბჭოს ან ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს არ დაუდგენია, რომ აუცილებელი იყო დისციპლინური წარმოების დაწყება განმცხადებლის წინააღმდეგ პრესაში მისი განცხადებების გამო, თუმცა ამგვარი შესაძლებლობა ღია იყო მათთვის (იხ. *მორი*, § 60).

#### **(iv) დასკვნა წინამდებარე საქმის გარემოებებთან დაკავშირებით**

174. სასამართლოს აზრით, განმცხადებლის მიერ გაკეთებული სადავო კომენტარები არ იყო ძლიერ საზიანო და უსაფუძვლო თავდასხმა სასამართლოს ქმედებებზე, არამედ წარმოადგენდა მოსამართლეების - მ-სა და ლ.ლ-ს მიმართ კრიტიკას, მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე მსჯელობის ფარგლებსა და საქმის კონტექსტში, რომელიც მედიაში თავიდანვე ვრცლად შექცებოდა. შესაძლებელია, ეს კომენტარები მკაცრად მიჩნეულიყო, თუმცა მიუხედავად ამისა, ისინი წარმოადგენდნენ შეფასებით მსჯელობას, რომელსაც საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი“ ჰქონდა.

#### **(ე) დაკისრებული სანქციები**

175. რაც შეეხება გამოტანილ განაჩენს, სასამართლო იმეორებს, რომ ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას, მხედველობაში მისაღები ფაქტორებია - დაკისრებული სასჯელის ხასიათი და სიმძიმე (იხ. *სურეკი*, §64; *ჩაუვი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*,

[N64915/01](#), § 78, ECHR, 2004-VI და *მორი*, § 61). წინამდებარე საქმეში, სააპელაციო სასამართლომ განმცხადებელს დააკისრა 4,000 ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდა. ეს თანხა შეესაბამება სწორედ იმას, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, სადაც მოსამართლეებმა ერთმნიშვნელოვნად მიიღეს მხედველობაში განმცხადებლის, როგორც ადვოკატის სტატუსი, რათა დაესაბუთებინათ სიმკაცრე და დაეკისრებინათ მისთვის „საკუთარსად მაღალი ოდენობის თანხა.“ გაზეთ „Le Monde-ში“ განცხადების გამოქვეყნების ბრძანებასთან ერთად, სასამართლომ მას, უურნალისტსა და გამოცემის დირექტორთან ერთად, დააკისრა თითოეული მოსამართლისთვის 7,500 ევროს გადახდა, აგრეთვე 4,000 ევროს გადახდა ლ.ლ-სათვის, ხარჯების ანაზღაურების მიზნით. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ მხოლოდ განმცხადებელს დაეკისრა მოსამართლე მ-ისათვის ხარჯების თანხის გადახდა, რამაც 1,000 ევრო შეადგინა.

176. სასამართლოს მოსაზრებით, მაშინაც კი, როდესაც სანქცია ყველაზე მსუბუქია, როგორცაა სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების გამოუყენებლობა და მხოლოდ „სიმბოლური თანხის“ გადახდის დაკისრება მიყენებული ზიანის გამო (იხ. *მორი*, §61), ეს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ სანქციას და ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ფაქტი არ იქნება, თავისთავად, საკუთარი იმისათვის, რომ გაამართლოს ჩარევა განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაში (იხ. *ბრასილიერი*, §43). სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას შეიძლება ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი აღნიშნული თავისუფლების განხორციელებაზე (იხ. *mutatis mutandis*, *კუმპანა და მაზარე რუმინეთის წინააღმდეგ*, [დიდი პალატა], N [33348/96](#), § 114, ECHR, 2004-XI და *მორი*), ესაა რისკი, რომელსაც ჯარიმის შედარებით ზომიერი ხასიათი ვერ აღმოფხვრის (იხ. *დუჟისი და სხვები*, § 48). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატზე სანქციის დაკისრებას შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი (დისკრიპლინური წარმოება) ან არაპირდაპირი (მაგალითად, იმიჯი ან მათ მიმართ ნდობა საზოგადოების და კლიენტების მხრიდან) შედეგები. ამასთან, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ სახელმწიფო დანესებულებების დომინანტური პოზიციიდან გამომდინარე, ხელისუფლების ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოების გამოყენებისაგან. თუმცა აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში განმცხადებლის სასჯელი არ შემოიფარგლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულში მსჯავრდებით: მასზე დაკისრებული სანქცია არ იყო „მაქსიმალურად რბილი“, არამედ პირიქით, იყო გარკვეული მნიშვნელობის მქონე და მეტიც, მისთვის უფრო მაღალი ჯარიმის დაკისრება განპირობებული იყო მისი, როგორც ადვოკატის სტატუსით.

### 3. დასკვნა

177. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც იგი ბრალდებულად ცნეს ცილისწამებაში თანამონაწილედ, შეიძლება ჩაითვალოს როგორც არაპროპორციული ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში და არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კონვენციის მე-10 მუხლის მნიშვნელობით.

178. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დაკომპლექტებას ეროვნულ კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ და სხდომის თავმჯდომარის მიუკერძოებლობას: მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად; სასარჩელო მოთხოვნები, ბრალდების მოწმის ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის წინაშე დაკითხვის შესახებ: დადგინდა დარღვევა

**საქმე „პიჩუგინი რუსეთის წინააღმდეგ“**

**CASE OF PICHUGIN v. RUSSIA**

**განაცხადი N38623/03**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2012 წლის 23 ოქტომბერი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელი, რუსეთის მოქალაქე ალექსეი პიჩუგინი დაბადებულია 1962 წელს. იგი სასჯელს იხდის ორენბურგის ოლქის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და წარსულში ნავთობკომპანია იუკოსის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი იყო. მისი განაცხადი შეეხება მე-6 მუხლს, კერძოდ, ფაქტს, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა არ იყო დაკომპლექტებული ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე ფაქტს, რომ სხდომის თავმჯდომარე არაობიექტური იყო. მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) იგი ასევე აცხადებდა, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოება მიმდინარეობდა უსამართლოდ, კერძოდ, არ არსებობდა ადეკვატური და ეფექტური შესაძლებლობა, რომ ნაფიც მსაჯულთა წინაშე მის წინააღმდეგ მიცემული მოწმეთა ჩვენებების კანონიერების საკითხი დაეყენებინა.

### **სამართალი**

#### **მხარეთა მოსაზრებები**

**„კანონით დადგენილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო“**

167. განმცხადებელმა განაცხადა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო შემადგენლობა არ იყო შედგენილი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.



ეროვნული კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ნაფიც მსაჯულთა სია გამოქვეყნდეს. სიის გამოქვეყნების მოთხოვნა მიზნად ისახავს არა მხოლოდ მოქალაქეების შესაძლებლობას მოითხოვონ საკუთარი თავის სიიდან ამოღება ან პერსონალური მონაცემების შესწორება, როგორც დადგენილია ადგილობრივი სასამართლოებისა და ხელისუფლების მიერ, არამედ ასევე უზრუნველყონ სამართალწარმოების მხარეებისათვის ოფიციალურ სიაზე ხელმისაწვდომობა, რათა შეამოწმონ შერჩეული ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც ესწრებიან მათი საქმის განხილვას, ნამდვილად იყვნენ თუ არა სიაში. რადგანაც მოსკოვის საქალაქო სასამართლოს იმ ნაფიც მსაჯულთა სია, რომლებიც განმცხადებლის საქმეს განიხილავენ, სრულყოფილად არ იყო გამოქვეყნებული აღნიშნული საქმის განხილვის დაწყებამდე, საქალაქო სასამართლო ვერ ჩაითვლება „კანონის შესაბამისად შექმნილ სასამართლოდ“. აღნიშნული ვითარება უფრო გამწვავავა იმ ფაქტმა, რომ დაცვის მხარე არ ესწრებოდა სხდომის თავმჯდომარის მიერ იმ ნაფიცი მსაჯულების შერჩევას, რომელთაც განმცხადებლის საქმე უნდა განეხილათ. ამასთან ერთად, განმცხადებელი აცხადებდა, რომ სხდომის თავმჯდომარე არაობიექტური იყო და ნაფიცი მსაჯულები ზენოლას განიცდიდნენ.

168. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სიის ნამდვილობა არ არის დამოკიდებული მის წინასწარ გამოქვეყნებაზე. სიის გამოქვეყნების ერთადერთი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა დააყენონ შუამდგომლობა მათი სიიდან ამოღებასა ან პერსონალურ მონაცემებში შესწორების შეტანასთან დაკავშირებით. იმ ფაქტს, რომ ნაფიცი მსაჯულების სია არ გამოქვეყნებულა განმცხადებლის სასამართლო პროცესის გამართვამდე, ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში გავლენა არ მოუხდენია მის კანონიერებასა და ნაფიცი მსაჯულების უფლებამოსილებაზე, რომლებიც შერჩეულ იქნენ განმცხადებლის საქმის განსახილველად. შესაბამისად, ეჭვქვეშ არ იყო ნაფიცი მსაჯულების კანონიერება.

## სასამართლოს შეფასება

### დასაშვებად ცნობა

#### „კანონით დადგენილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო“

177. სასამართლო შეგვახსენებს, რომ ფრაზა „კანონით დადგენილი“ მოიცავს არა მხოლოდ თავად „სასამართლოს“ არსებობის სამართლებრივ საფუძველს, არამედ სასამართლო კოლეგიის შემადგენლობასაც თითოეულ საქმეში. შესაბამისად,

აუცილებელია შესწავლილ იქნას საკითხი იმის თაობაზე, დაირღვა თუ არა ეროვნული კანონმდებლობა სასამართლო მოხელეების დანიშვნისას და მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა შეესაბამებოდა თუ არა კონვენციას, კერძოდ კი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

178. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არასოდეს დაუყენებია ეჭვქვეშ ის ფაქტი, რომ მოსკოვის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სია, რომლებიც მის საქმეს განიხილავდნენ, შედგენილი და დამტკიცებული იყო მოსკოვის ხელისუფლების მიერ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. მისი განცხადების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ნაფიც მსაჯულთა სია სრულყოფილად არ გამოქვეყნდა, როგორც ამას კანონი მოითხოვდა, რამაც ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა არაკანონიერი გახადა. სასამართლოსთვის აღნიშნული არგუმენტი დამატერებელი არ აღმოჩნდა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან რომელმაც რუსეთის კანონმდებლობის მოქმედი დებულებების განმარტება გააკეთა, ირკვევა, რომ ნაფიც მსაჯულთა სიის ნამდვილობის წინაპირობას არ წარმოადგენს მისი წინასწარი გამოქვეყნება. სასამართლოს არ გააჩნია საფუძველი, რომ აღნიშნულ განმარტებას არ დაეთანხმოს. იგი შეგვახსენებს, რომ ადგილობრივი სასამართლოებისთვის უმთავრესია ეროვნული კანონმდებლობის განმარტება, იმ წესების და პროცედურების ჩათვლით, რომელიც ვრცელდება მათსავე დაწესებულებებზე და რომ მისი საზედამხედველო როლი უნდა ამოქმედდეს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევაში.

179. რაც შეეხება განმცხადებლის პრეტენზიას, რომ მას არ ჰქონია შესაძლებლობა შეემონებინა ნამდვილად იყვნენ თუ არა სიაში შეყვანილი ის ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც ესწრებოდნენ მისი საქმის განხილვას. სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ ოფიციალური სია არ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი. იგი შეგვახსენებს, რომ დაინტერესებული მხარე ვალდებულია განსაკუთრებული ძალისხმევა გამოიჩინოს საკუთარი ინტერესების დაცვისათვის. განმცხადებელმა სხდომის თავმჯდომარისგან მოითხოვა სიის ასლი, მაგრამ უშედეგოდ, რადგან როგორც ჩანს, აღნიშნული ორგანო არ იყო სათანადო სიის გაცემაზე პასუხისმგებელი. პროკურორმა აცნობა განმცხადებლის ადვოკატს, რომ აღნიშნული სიის მიღება შესაძლებელი იყო მოსკოვის ადგილობრივი ხელისუფლებისგან. თუმცა, არ არსებობს არავითარი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ განმცხადებელმა ან მისმა დამცველმა სცადეს სიის მიღება მოსკოვის ადგილობრივი ხელისუფლებისგან, რომელიც სიის შედგენასა და დამტკიცებაზე იყო პასუხისმგებელი.

180. რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას, განმცხადებელი არ დავობს იმაზე, რომ მოსამართლის მიერ მათი შერჩევა კანონით გათვალისწინებული წესით მოხდა.

სასამართლო შეგვახსენებს, რომ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მხარეთა მონაწილეობას ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის შერჩევაში. რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, განმცხადებელს ჰქონდა უფლება კითხვები დაესვა ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებისთვის რათა გამოეფლინა მიზეზები რომლებიც შესაძლოა მისი საქმის განხილვაზე არდაშვების საფუძველი გამხდარიყო, ასევე გამოეთქვა მოტივირებული ან არამოტივირებული პროტესტი კანდიდატებისთვის ან ნაფიც მსაჯულთა მთელი შემადგენლობისთვის. განმცხადებელმა გამოიყენა აცილების უფლება იმ კანდიდატების მიმართ ვის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაშიც ეპარებოდა ეჭვი, რომელიც დაკმაყოფილდა. მას ნაფიც მსაჯულთა მთლიანი შემადგენლობის მიმართ აცილება არ გამოუყენებია.

181. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის უფლება ესარგებლა „კანონით დადგენილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოთი“, არ დარღვეულა ნაფიც მსაჯულთა შერჩევითა და შემადგენლობით.

182. სასამართლომ ასევე განიხილა განმცხადებლის საჩივრის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა თავმჯდომარე მოსამართლის არაობიექტურობას და ნაფიცი მსაჯულებზე ზეწოლის მოხდენას. თუმცა, მის ხელთ არსებული ყველა მასალის გათვალისწინებით და ასევე რამდენადაც აღნიშნული საკითხები შედის სასამართლოს კომპეტენციაში, ასკვნის, რომ არსებული ფაქტებით არ ირღვევა კონვენციითა თუ მისი ოქმებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

183. აქედან გამომდინარე, განცხადების აღნიშნული ნაწილი არ უნდა დაკმაყოფილდეს აშკარა დაუსაბუთებლობის გამო. კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად.

### **საქმის სამართლიანი მოსმენა**

193. განმცხადებელმა წამოაყენა მთელი რიგი პრეტენზიები მის წინააღმდეგ გამართულ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში არაერთ პროცესუალურ ხარვეზთან დაკავშირებით. სასამართლო თავდაპირველად განიხილავს განცხადების იმ პუნქტებს, რომელიც ბრალდების მხარის მოწმის დაკითხვას ეხება.

194. სასამართლო შეგვახსენებს, რომ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარანტიები წარმოადგენს საქმის სამართლიანი განხილვის უფლების კონკრეტულ ასპექტებს, რომლებიც მითითებულია აღნიშნული მუხლის

პირველ პუნქტში და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალწარმოების სამართლიანობის ნებისმიერი შეფასებისას. ამასთან ერთად, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს უმთავრესი ამოცანაა სისხლის სამართლის საქმისწარმოების სამართლიანობა. აღნიშნული შეფასების გაკეთებისას, სასამართლო მთლიანობაში განიხილავს სამართალწარმოებას, დაცვის მხარის უფლებების, საზოგადოებისა და აღნიშნული დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა ინტერესების გათვალისწინებით, რათა ჯეროვნად განხორციელდეს სამართლებრივი დევნა და საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებულ იქნეს მოწმეთა უფლებები.

195. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის მიხედვით, ბრალდებულისთვის მსჯავრის დადებამდე ყველა მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულება მისი თანდასწრებით წარდგენილ უნდა იქნეს ღია სასამართლო მოსმენაზე შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის მიზნით. აღნიშნული პრინციპებიდან გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია თუკი არ ირღვევა დაცვის მხარის უფლებები, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულს მიეცეს ადეკვატური და სათანადო შესაძლებლობა - ეჭვქვეშ დააყენოს ჩვენება ან დაკითხოს მოწმე, რომელიც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას. აღნიშნული პრინციპი მოითხოვს, რომ ბრალდებულისთვის ცნობილი იყოს მისი ბრალმდებლების ვინაობა, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს, ეჭვქვეშ დააყენოს მათი უანგარობა და სანდოობა ასევე საშუალება მიეცეს შეაფასოს მათი ჩვენებების ჭეშმარიტება და საიმედოობა მოწმეების ზეპირი დაკითხვის გზით, ბრალდებულის თანდასწრებით; ან მაშინ, როდესაც მოწმეები ჩვენებას აძლევდნენ, სამართალწარმოების შემდგომ სტადიაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ვერდიქტი მთლიანად ან დიდწილად დამოკიდებულია ჩვენებებზე, რომელიც მიცემულია ისეთი პირის მიერ, რომლის დაკითხვის ან დაკითხვის უზრუნველყოფის შესაძლებლობაც ბრალდებულს არ აქვს გამოძიებისას ან სასამართლო პროცესისას, დაცვის უფლებები იმდენად შეზღუდულია, რომ შეუთავსებელია მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებთან.

196. ნათუც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტზე მოტივაციის ან სააპელაციო გადაწყვეტილების დასაბუთებული არგუმენტების არარსებობისას, რომელიც შეეხება განმცხადებლის მიერ ეჭვქვეშ დაყენებული მოწმის ჩვენებებს ან აღნიშნულ საკითხზე მხარეების მიერ მოყვანილ ნებისმიერ არგუმენტს თუ რამდენად გადამწყვეტი მტკიცებულებაა მის წინააღმდეგ, რთული გადასანწყვეტი იქნება რომელი მოწმის ჩვენება შეიძლება ჩაითვალოს გადამწყვეტ საფუძვლად განმცხადებლისთვის განაჩენის გამოტანის დროს.

197. სასამართლო შეგვახსენებს, რომ სიტყვა „გადამწყვეტი“ ვინრო გაგებით უნდა იქნეს გაგებული, რომელიც მიუთითებს ისეთ საყურადღებო და მნიშვნელოვან მტკიცებულებაზე, რომელიც შესაძლოა საქმის შედეგის განმსაზღვრელი აღმოჩნდეს.



თუ მოწმის ჩვენებას ამყარებს სხვა ფაქტობრივი მტკიცებულებები, იმის შეფასება, თუ რამდენად გადამწყვეტია იგი, დამოკიდებული იქნება მტკიცებულებათა სიძლიერეზე; რაც უფრო ძლიერი იქნება ფაქტობრივი მტკიცებულებები, მით უფრო ნაკლებად სავარაუდო იქნება მოწმეთა ჩვენებების გადამწყვეტად მიჩნევა.

198. განმცხადებლის სასამართლო პროცესზე ბევრი მოწმე დაიკითხა. თუმცა, მხოლოდ სამმა მათგანმა მისცა განმცხადებლის წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენებები, კერძოდ, მისმა თანაბრალდებულმა ბ-ნმა პ.-მ და ბრალდების მოწმეებმა ბატონებმა კ.-მ და ს.-მ. სხვა დანარჩენი მოწმეებისთვის ცნობილი არ იყო იმის შესახებ, თუ ვინ დაიქირავა მკვლელები და განმცხადებლის წინააღმდეგ ჩვენება არ მიუციათ. ბ-ნი კ. ერთადერთი მოწმე იყო, რომლის ჩვენების მიხედვითაც იგი განმცხადებელთან ერთად განიხილავდა ბატონ კლ.-ს, ქალბატონ კს.-ს და ბატონ და ქალბატონ გ.-ს მკვლელობის დეტალებს და მკვლელობის ჩადენისთვის შეპირებულ ჯილდოს.

199. ბ-ნი კ.-ს ჩვენება გაამყარა ბ-ნი პ.-ს და ბ-ნი ს.-ს ირიბმა ჩვენებებმა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ბ-ნი კლ.-ს და ქ-ნი კს.-ს მკვლელობის მცდელობაში განმცხადებლის მონაწილეობის შესახებ შეიტყვეს ბ-ნი გ.-სგან, ასევე აღნიშნეს, რომ ბ-ნი გ. შიშობდა, რომ განმცხადებელი მოკლავდა მას. წინამდებარე საქმის ვითარებაში რთული შესაფასებელია როგორი მნიშვნელობა მიანიჭა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ ბ-ნი პ.-ს და ბ-ნი ს.-ს ფაქტობრივ ჩვენებებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნი პ.-ს და ბ-ნი ს.-ს ირიბი მოწმეები იყვნენ, შესაბამისად მესამე პირისგან გაგონილ ჩვენებას ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ვიდრე ბ-ნი კ.-ს ჩვენებას, რომელიც მისსავე ცოდნას ეფუძნებოდა. რა თქმა უნდა, ბ-ნი გ.-ს ჩვენების ჭეშმარიტება და სიზუსტე, რომელიც განმცხადებლის წინააღმდეგ ფიცის ქვეშ არ განხორციელებულა და რომელიც გაიმეორეს ბ-ნმა პ.-მ და ბ-ნმა ს.-მ, ჯვარედინი დაკითხვის შედეგად ვერ შემოწმდებოდა და აღნიშნული ჩვენების მიცემისას ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას არ ჰქონდა მის ქცევაზე დაკვირვების შესაძლებლობა. რაც შეეხება ბ-ნი პ.-ს, სასამართლომ უკვე დაადგინა რომ თანაბრალდებულთა ჩვენებების შეფასება უფრო დიდი დაკვირვების საგანია, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენების მიცემისას თანაბრალდებულთა პოზიცია მოწმის პოზიციისაგან განსხვავდება. რადგანაც ბ-ნი პ. თანაბრალდებული იყო, მან ჩვენება ფიცის დადების გარეშე მისცა, ე.ი. მისი ჩვენების ჭეშმარიტების რაიმე სახით დადასტურების გარეშე მოხდა. ფიცის დადებით კი, შესაძლოა ცრუ ჩვენებისთვის პასუხისმგებლობა დაკისრებოდა. აღნიშნულ გარემოებას აუცილებლად ექნებოდა უარყოფითი გავლენა მისი ჩვენების დამატებლობაზე.

200. სასამართლო ასკვნის, რომ ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენებებიდან მხოლოდ ბ-ნი კ.-ს ჩვენება წარმოადგენდა პირველი პირის ჩვენებას განმცხადებლისთვის მონაწილეობის შესახებ აღნიშნულ მკვლელობებში. აღნიშნული ჩვენება, ცხადია, უფრო დიდი

მნიშვნელობისაა და მის გარეშე მსჯავრის დადების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. ამ მიზეზით იგი შეიძლება ჩაითვალოს გადამწყვეტ მტკიცებულებად განმცხადებლის წინააღმდეგ.

201. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-ნი ვ. სასამართლო პროცესზე მონმის სახით დაიბარეს. მან მისცა ჩვენება რის შემდეგაც ჯვარედინად დაკითხეს. თუმცა, არ გააფრთხილეს, რომ ჩვენების მიცემაზე უარის შემთხვევაში დაეკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი გაფრთხილება შიდა კანონმდებლობით სავალდებულოა. მან უარი თქვა დაცვის მხარის ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემაზე.

202. სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მონმის მიერ უარის შედეგად, ეპასუხა განსასჯელის კითხვებზე, ბრალდებულის უფლების არსი - ეჭვქვეშ დაეყენებინა და დაეკითხა აღნიშნული მონმე სავარაუდოდ დაირღვა. სასამართლო შეგვახსენებს, რომ კონვენცია მიზნად ისახავს „არა თეორიული და ილუზიური უფლებების გარანტიას, არამედ იმ უფლებების გარანტიას, რომელიც პრაქტიკული და ეფექტურია“. აღნიშნული, განსაკუთრებით ეხება მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებს, დემოკრატიულ საზოგადოებაში საქმის სამართლიანი განხილვის უფლების მნიშვნელოვანი როლის და ყველა იმ გარანტიის გათვალისწინებით, რომელიც აღნიშნულ მუხლშია მოცემული.

203. არსებობს არაერთი მიზეზი, თუ რატომ შეიძლება უარი თქვას მონმემ უპასუხოს განსასჯელის მიერ დასმულ კითხვებს, მაგალითად, საფრთხის შიში, ტკივილი, რომელიც დაზარალებულმა შეიძლება განიცადოს სექსუალური ძალადობის დეტალების მოყოლისას და აგრეთვე უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, ერთადერთი მართებული მიზეზი რომელიც ათავისუფლებს მონმეს ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან არის საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა. თუმცა, წინამდებარე საქმეში ბ-ნი ვ.-ს არ დაუსახელებია კითხვებზე პასუხის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. კერძოდ, მას არ მიუთითებია საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის უფლების შესახებ, მან უბრალოდ განაცხადა, რომ არ გააჩნდა კითხვებზე პასუხის გაცემის სურვილი.

204. სასამართლო უცნაურად მიიჩნევს სხდომის თავმჯდომარის რეაქციას მონმის არამოტივირებულ უარზე კითხვებზე პასუხის გაცემასთან დაკავშირებით. როგორც სამართალწარმოების სამართლიანობის უმაღლეს დამცველს, შიდა კანონმდებლობა მისგან მოითხოვდა ყველა საჭირო ზომის მიღებას რათა უზრუნველყო შეჭიბვითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვა. როდესაც განმცხადებლის ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა ბ-ნი ვ.-სთვის შეესხნებინათ მისი კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობის შესახებ გაეცა პასუხი კითხვებზე და

აგრეთვე მის შესაძლო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე აღნიშნულის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ბ-ნ კ.-ს უფლება ჰქონდა კითხვებზე არ ეპასუხა. მას არ განუმარტავს რატომ შეიძლებოდა ბ-ნი კ.-ს გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან - გაეცა კითხვებზე პასუხი, რაც დადგენილი იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. მან ასევე, არ მიუთითა რაიმე სამართლებრივი დებულებაზე, რომელიც იძლეოდა ამგვარი გამონაკლისის გაკეთების უფლებას.

205. ამგვარ ვითარებაში, სასამართლო ვალდებულია დაადგინოს, რომ თავმჯდომარე მოსამართლის მიერ ბატონ კ-ზე გაცემული დაუსაბუთებელი ნებართვის საფუძველზე - არ გაეცა დაცვის მხარის გარკვეულ კითხვებზე პასუხი იმ გარემოებებზე რომელშიც დანაშაული იქნა ჩადენილი, მნიშვნელოვნად შეიზღუდა განმცხადებლის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით და მეექვსე მუხლის მესამე პუნქტის (დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარანტია - ეჭვქვეშ დაეყენებინა და დაეკითხა აღნიშნული მოწმე.

206. განმცხადებლის მდგომარეობა დაამძიმა იმ ფაქტმა, რომ მას ნება არ დართეს დაეკითხა ბ-ნი კ. გარკვეულ ფაქტორებთან დაკავშირებით, რამაც მის ნდობას ჩრდილი მიაყენა.

207. სასამართლომ წარსულში დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა საქმეში, სადაც მთავარი ბრალდების მოწმე წარმოადგენდა პოლიციის ინფორმატორს ხანგრძლივი დროის მანძილზე და რომელმაც მნიშვნელოვანი ფულადი ჯილდო, პოლიციის მფარველობა და სისხლისსამართლებრივი დევნისგან იმუნიტეტი მიიღო განმცხადებლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ; აღნიშნული ინფორმაცია ბრალდების მხარემ დაცვის მხარესთან და ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობასთან დამალა. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ინფორმაციის დამალვის შედეგად, დაცვის მხარემ ვერ ისარგებლა შესაძლებლობით ჯვარედინი დაკითხვის მეშვეობით ეჭვქვეშ დაეყენებინა მთავარი მოწმის სანდოობა.

208. კიდევ ერთ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მნიშვნელოვანია დაცვის მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა გამოავლინოს მოწმის მტრული დამოკიდებულება ან არაკეთილსაიმედოობა. დადგინდა, რომ ბრალდებულის წინააღმდეგ გამამტყუნებელი მტკიცებულება შესაძლოა „განზრახ არასწორი ან უბრალოდ მცდარი“ იყოს და რომ დაცვის მხარე ფლობდეს ინფორმაციას რომელიც საშუალებას მისცემს ჯვარედინი დაკითხვის მეშვეობით შეათვასოს მისი კეთილსაიმედოობა ან ეჭვი შეიტანოს მის სანდოობაში.

209. სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ-ნი კ-ს მიერ წარმოდგენილ ჩვენებათა მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო მისი სანდოობა ჯვარედინი დაკითხვის მეშვეობით შეფასებულიყო.

210. სასამართლო აღნიშნავს, რომ თავმჯდომარე მოსამართლემ ყველა იმ კითხვის აცილება მოახდინა, რომელიც ბატონ კ-ს სასამართლობას შეეხებოდა, განმცხადებლის გამამტყუნებელი ჩვენების არმიცემა 1999 წელს პირველი დაკითხვისას და მისი მოტივაცია გამამტყუნებელი ჩვენების მიცემისას 2003 წელს, შესაძლოა, პროკურატურის ორგანოების მხრიდან ზეწოლის მიზეზი ყოფილიყო. სასამართლო აღნიშნავს, რომ ნათუც მსაჯულთა ამოცანა იყო განესაზღვრათ როგორ მნიშვნელობას მიანიჭებდნენ (ან არ მიანიჭებდნენ) ბატონ კ-ს ჩვენებას განმცხადებლის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ შესრულდეს აღნიშნული ამოცანა, მათ უნდა იცოდნენ ყველა შესაბამისი გარემოება, რაც გავლენას ახდენს ჩვენების სიზუსტესა და სანდოობაზე, მათ შორის ნებისმიერი სახის წახალისება, რაც შეიძლება მიეღო ბატონ კ-ს ფაქტების არასწორად წარმოდგენის გამო. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო დაცვის მხარისთვის, რომ გადაეწყვიტა ზემოაღნიშნული საკითხები ნათუც მსაჯულთა თანდასწრებით რათა მათ შეეფასებინათ ბატონ კ-ს კეთილსამედლობა და სანდოობა. სასამართლო გამოთქვამს შემოფოთებას სხდომის თავმჯდომარის განცხადების გამო, რომ განმცხადებლის ადვოკატს „ნება არ დართეს გამოეთქვა საკუთარი ეჭვი მოწმის ჩვენებაზე“ და რომ ნათუცი მსაჯულებისთვის „[არ იყო] საჭიროება სცოდნოდათ [ბატონ კ-ს] ჩვენების მიცემის მოტივაციის შესახებ [განმცხადებლის წინააღმდეგ]“.

211. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს ნება არ დართეს დაეკითხა ბატონი კ. იმ ფაქტორებზე, რომლებსაც შეიძლება ჩრდილი მიეყენებინა მისი ჩვენების უტყუარობისთვის რომელიც განმცხადებლის წინააღმდეგ გადამწყვეტი მტკიცებულება აღმოჩნდა, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის დაცვის უფლებები მნიშვნელოვნად შეიზღუდა.

212. სასამართლო ასკვნის, რომ ბ-ნი კ-ს მიერ უარის თქმის შედეგად, რომელსაც მხარი დაუჭირა სხდომის თავმჯდომარემაც, პასუხი გაცეა კითხვებზე იმ გარემოებების შესახებ, რომელშიც დანაშაული იქნა ჩადენილი და აკრძალვა, რომელიც მას სხდომის თავმჯდომარემ შეუფარდა ბ-ნი კ-ს დაკითხვის წინააღმდეგ ზოგიერთ ფაქტორთან დაკავშირებით, რომელსაც შეეძლო ჩრდილი მიეყენებინა მისი სანდოობისთვის, განმცხადებლის დაცვის უფლებები იმდენად შეიზღუდა, რომ შეუთავსებელი აღმოჩნდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით და მესამე პუნქტის (დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარანტიებთან. აღნიშნულ ვითარებაში, შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებელმა ვერ ისარგებლა საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით.



213. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის განჩინება განაცხადის დასაშვებად ცნობის შესახებ, რომელიც შეეხება გასაჩივრების უფლებას, როდესაც სასამართლო პროცესს წყვეტს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა. გასაჩივრების უფლების სავარაუდო დაუკმაყოფილებლობა ოქმი №7-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, სამართლებრივი საკითხების გასაჩივრების უფლების შეზღუდვის გამო: დაუშვებელია.

### **საქმე „რობერტ პლანკა ავსტრიის წინააღმდეგ“**

**CASE OF ROBERT PLANKA against AUSTRIA**

**განაცხადი №25852/94**

**განჩინება**

**დასაშვებად ცნობის შესახებ**

### **სამართალი**

3. განმცხადებელი, სხვა საკითხებთან ერთად, დავობს ოქმი №7-ის მე-2 მუხლის საფუძველზე. მისი განცხადებით, სისხლის სამართლის საქმის წარმოება მის წინააღმდეგ უსამართლო იყო და დაირღვა მისი უფლება - გადაწყვეტილება განხილული იყო ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ. განმცხადებელი ირწმუნება, რომ გადაწყვეტილება არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას და იგი ეფუძნება მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ვერდიქტს. იგი ამტკიცებს, რომ დასაბუთების არარსებობამ შეზღუდა მისი შესაძლებლობა გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება, კერძოდ კი, ბრალდება, რომელიც შეეხება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ ძარცვას.

ბ. კომისია შეისწავლის განმცხადებლის განცხადებას, რომელიც უკავშირდება მისთვის შესაძლებლობის შეზღუდვას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ ოქმი №7-ის მე-2 მუხლის საფუძველზე.

განსახილველი საქმის ნაწილში ოქმი №7-ის მე-2 მუხლი იკითხება შემდეგნაირად:

1. „ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაასინჯინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. ამ უფლების განხორციელება, იმ საფუძვლების ჩათვლით, რომლებზე დაყრდნობითაც ის შეიძლება განხორციელდეს, მოწესრიგებულია კანონით“.

კომისია შეგვახსენებს, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა შესაძლოა შეზღუდონ საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადახედვა ამ მუხლის პირველი პუნქტის ეროვნულ კანონმდებლობაზე მითითების საფუძველზე. წესები, რომლებიც არეგულირებს საქმის გადახედვას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში, ზღუდავენ საქმის გადახედვას სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებულ კონკრეტულ შემთხვევებში ან შესაძლოა მოთხოვნილ იქნას გასაჩივრების მსურველი პირისგან განცხადების წარდგენა გასაჩივრებასთან დაკავშირებით.

განმცხადებელი აცხადებს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის დასაბუთების არარსებობამ ხელი შეუშალა მისი განაჩენი გადასინჯულიყო ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. კომისია მიუთითებს დასკვნებზე, რომლებიც შეეხება ნაფიც მსაჯულთა სამართალწარმოების თავისებურებებს და რომლებიც საქმის გადახედვის ნებას იძლევა მხოლოდ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, განმცხადებელს შეეძლო და ფაქტობრივად გაასაჩივრა თავისი განაჩენი.

აღნიშნულ ვითარებაში, საქმის გადახედვის შეზღუდვა შეესაბამებოდა ტიპურ წესებს, რომლებიც არეგულირებს უზენაესი სასამართლოს პროცედურებს, რომელსაც მაკონტროლებელი ფუნქცია აკისრია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხთან მიმართებით. შესაბამისად, კომისია ასკვნის, რომ განმცხადებლის უფლება საქმის გადახედვის შესახებ აკმაყოფილებს ოქმი №7-ის მე-2 მუხლის მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე, განაცხადის აღნიშნული ნაწილი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამკარა დაუსაბუთებლობის გამო, კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება პოლიციის მიერ წინასწარი დაკითხვის დროს ადვოკატების ხელმიუწვდომლობასა და სასამართლოზე მტკიცებულების სახით ჩვენებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად სამი განმცხადებლისთვის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის დაყოვნებისა და სასამართლოზე ისეთი განცხადებების დაშვებისა, რომლებიც იურიდიული დახმარების არარსებობის პირობებში გაკეთდა, სამართალწარმოება მთლიანობაში იყო სამართლიანი: დარღვევა არ დაფიქსირებულა.

უსამართლობის პრეზუმციასთან დაკავშირებულ საქმეებში გამოსაყენებელი მაღალი „ზღვრისა“ და მეოთხე განმცხადებლის საქმეში არსებული პროცედურული ხარვეზების კუმულაციური მოქმედების გათვალისწინებით, მთავრობამ ვერ შეძლო დემონსტრირება იმისა, რატომ არ დადგა ეჭვქვეშ განხილვის სამართლიანობა იმის გამო, რომ მეოთხე განმცხადებელი არ გაათვრობილეს მისი უფლებების შესახებ და შეუზღუდეს იურიდიული დახმარების უფლება: დარღვევა.

## **დიდი პალატა**

**საქმე „იბრაჰიმი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“**

**CASE OF IBRAHIM AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM**

**განაცხადები N [50541/08](#), N[50571/08](#), N[50573/08](#) და N[40351/09](#)**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**13 სექტემბერი 2016**

## **ფაქტობრივი გარემოებები**

2005 წლის 21 ივლისს ლონდონში ტერორისტების მიერ განხორციელებული აფეთქების შედეგად 52 ადამიანის დაღუპვიდან ორი კვირის თავზე, ლონდონის საზოგადოებრივ სატრანსპორტო სისტემაში დამონტაჟებულ იქნა კიდევ რამდენიმე ბომბი, თუმცა არ აფეთქდა. დამნაშავეები მიიმაღნენ დანაშაულის ადგილიდან. პირველი სამი განმცხადებელი დააპატიმრეს და მათ უარი ეთქვათ სამართლებრივ დახმარებაზე ოთხიდან რვა საათამდე პერიოდში, რათა პოლიციას ჰქონოდა „უსათვროების მიზნებიდან გამომდინარე დაკითხვის“ განხორციელების შესაძლებლობა. დაკითხვის დროს, მათ უარყვეს თავიანთი მონაწილეობა ან რაიმე ინფორმაციის ფლობა 21 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით. სასამართლოზე ბრალდებულებმა აღიარეს აღნიშნულ მოვლენებში მონაწილეობა, თუმცა ამტკიცებდნენ, რომ ბომბები არ იყო ნამდვილი და არ აფეთქდებოდა. დაკითხვისას მიცემული ჩვენებები მიჩნეულ იქნა მათ საწინააღმდეგო მტკიცებულებად და



მსჯავრდებულ იქნენ მკვლელობის შეთქმულებაში. სააპელაციო სასამართლომ არ მისცა მათ გასაჩივრების უფლება.

მეოთხე განმცხადებელი არ იყო ეჭვმიტანილი ბომბის აფეთქებაში და თავდაპირველად დაიკითხა პოლიციის მიერ ისე, როგორც მონმე. თუმცა მან ამხილა საკუთარი თავი, როდესაც განაცხადა, რომ აღნიშნული მოვლენების შემდეგ შეხვდა ერთ-ერთ ეჭვმიტანილ თავდამსხმელს და გაუწია დახმარება. აღნიშნულ ეტაპზე პოლიციამ არ დააკავა იგი და არ განუმარტა დუმილის უფლებისა და სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფის შესაძლებლობის შესახებ, ისე განაგრძო მისი დაკითხვა მონმის სახით და ჩამოართვა წერილობითი ჩვენება. შემდეგ ბრალდებული დააკავეს და შესთავაზეს სამართლებრივი დახმარება. მომდევნო დაკითხვების დროს, ის გამუდმებით მოიხსენიებდა თავის წერილობით ჩვენებას, რომელიც მტკიცებულების სახით იქნა წარდგენილი პროცესზე. მას მსჯავრი დაედო ერთ-ერთი თავდამსხმელის დახმარებასა და დაბომბვების შესახებ ინფორმაციის დამალვაში. მისი საჩივარი მსჯავრის დადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

## გ. სასამართლოს შეფასება

### 1. ზოგადი პრინციპები

#### (ა) მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ასპექტის გამოყენება

249. მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებით უზრუნველყოფილი დაცვა ვრცელდება პირზე, რომელსაც „ბრალად ედება სისხლისსამართლებრივი დანაშაული“, ამ ტერმინის ფუნქციურად დამოუკიდებელი კონვენციისეული მნიშვნელობით. „სისხლისსამართლებრივი ბრალდება“ არსებობს იმ მომენტიდან, როდესაც პირი ოფიციალურად მიიღებს შეტყობინებას უფლებამოსილი ორგანოდან იმის თაობაზე, რომ ეჭვმიტანილია სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენაში ან იმ მომენტიდან, როდესაც მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვლება უფლებამოსილი ორგანოების მიერ მის წინააღმდეგ ეჭვის ნიადაგზე განხორციელებული ქმედებების შედეგად (იხ. *დევეერი ბელგიის წინააღმდეგ*, 27 თებერვალი 1980, §§ 42-46, სერია A, N 35; *ექლი გერმანიის წინააღმდეგ*, 15 ივლისი 1982, § 73, სერია A, N 51 და *მაქფარლანი ირლანდიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [31333/06](#), § 143, 10 სექტემბერი 2010).

#### (ბ) მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ასპექტის ზოგადი მიდგომა

250. 6.1 მუხლის ფარგლებში არსებული სამართლიანი განხილვის უფლება არის უპირობო უფლება. თუმცა სამართლიანი განხილვის არსი ვერ იქნება ერთი უცვლელი წესი, არამედ ის დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე (იხ.

ო'პალორანი და ფრანცისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა], N15809/02 და N25624/02, §53, ECHR, 2007-III). სასამართლოს მთავარი ამოცანა 6.1 მუხლის ფარგლებში არის სისხლის სამართლის მთლიანი პროცესის სამართლიანობის შეფასება (იხ. *ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N 926/05, § 84, ECHR, 2010 და *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N 9154/10, § 101, ECHR, 2015).

251. სამართლიანი სასამართლოს განხილვის მოთხოვნების დაცვა უნდა შემოწმდეს თითოეულ საქმეში მთლიანი პროცესის განვითარების გათვალისწინებით და არა ერთი კონკრეტული ასპექტის ან ერთი კონკრეტული შემთხვევის ცალკეული განხილვით. არ არის გამორიცხული, რომ სპეციფიკური ფაქტორი შეიძლება იყოს იმდენად გადამწყვეტი, რომ განხილვის სამართლიანობის შეფასება განხორციელდეს პროცესის ადრეულ ეტაპზე (იხ. *კანი ავსტრიის წინააღმდეგ*, N9300/81, კომისიის 1984 წლის 12 ივლისის ანგარიში, §48, სერია A, N96). საჭიროების შემთხვევაში, განხილვის სამართლიანობის შეფასებისას, სასამართლო გაითვალისწინებს კონვენციის 6.3 მუხლში მოცემულ მინიმალურ უფლებებს, რომლებიც ამოწმებენ სამართლიანი სასამართლო განხილვის მოთხოვნებს სისხლის სამართლის საქმეებში წარმოშობილ ტიპურ პროცესულურ შემთხვევებთან მიმართებით. შესაბამისად, აღნიშნული უფლებები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სამართლიანი განხილვის კონცეფციის სპეციფიკური ასპექტები კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის პროცესებში (იხ. *სალდუმი*, § 50; *გეფგენი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N22978/05, §169, ECHR, 2010; *დვორსკი*, § 76 და *ჭაჭაშვილი*, §100). აღნიშნული მინიმალური უფლებები არ წარმოადგენენ თვითმიზანს: მათი ნამდვილი მიზანი ყოველთვის არის სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფა (იხ. *კენი*, §48; *მაიზიტი რუსეთის წინააღმდეგ*, N63378/00, §77, 20 იანვარი 2005 და *სელეზნევი რუსეთის წინააღმდეგ*, N15591/03, § 67, 26 ივნისი 2008).

252. მე-6 მუხლში მოცემული სამართლიანობის ზოგადი მოთხოვნები ვრცელდება ყველა სისხლის სამართლის პროცესზე, მიუხედავად დანაშაულის სახისა. გამორიცხულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებების დაკნინება მხოლოდ იმ მიზნით, რომ აღნიშნული პირები ეჭვმიტანილნი არიან ტერორიზმში. ასეთ დროს, სასამართლო მიიჩნევს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ხელშემკვრელმა მხარეებმა მოახდინონ ადამიანის უფლებებისადმი და კანონის უზენაესობისადმი მათი ერთგულების დემონსტრირება, კონვენციის მე-6 მუხლის მინიმალური გარანტიების დაცვის უზრუნველყოფით. მიუხედავად ამისა, პროცესის სამართლიანობის დადგენისას, კონკრეტული დანაშაულის გამოძიებასა და დასჯაში შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული საჯარო ინტერესი (იხ. *ჯალო გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N54810/00, §97, ECHR, 2006-IX). უფრო მეტიც, მე-6 მუხლი არ უნდა იქნეს გამოყენებული ისე, რომ პოლიციას შეუქმნას სირთულეები, რომელიც იქნება არაპროპორციული ტერორიზმთან ან სხვა სერიოზულ

დანაშაულთან ბრძოლაში, მათი მოვალეობების შესრულებისას კონვენციის მე-2, მე-3 და 5.1 მუხლების შესაბამისად, რაც გულისხმობს საზოგადოების წევრების სიცოცხლისა და ფიზიკური უსაფრთხოების უფლების დაცვას (იხ. *შერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N5201/11, §149, ECHR, 2015 (ამონარიდები)). საჯარო ინტერესი ვერ გაამართლებს იმ ზომებს, რომლებიც არსობრივად არღვევენ განმცხადებლის დაცვის უფლებებს (იხ. *ჯალო*, § 97; *ბაიკოვი რუსეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N4378/02, §93, 10 მარტი 2009 და *ალექსანდრე მაიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ*, N39660/02, § 39, 18 თებერვალი 2010).

### (გ) მე-6 მუხლი და წინასასამართლო პროცესი

253. როდესაც საქმე ეხება სისხლის სამართლის დანაშაულს, მე-6 მუხლის ძირითადი მიზანია „ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ განმსაზღვრელი კომპეტენტური „სასამართლოს“ მიერ სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფა (იხ. *იმბრიოსია შვეიცარიის წინააღმდეგ*, 24 ნოემბერი 1993, § 36, სერია A, N 275; *ბრენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N 39846/98, §45, ECHR, 2001-X; *შაბელნიკი უკრაინის წინააღმდეგ*, N16404/03, §52, 19 თებერვალი 2009 და *დვორსკი*, §76). ზემოთ აღნიშნულის თანახმად, მე-6 მუხლის გარანტიები გამოიყენება „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ არსებობის მომენტიდან, ამ სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობის ფარგლებში და შეიძლება რელევანტური იყოს წინასასამართლო ეტაპზე იმდენად, რამდენადაც შეიძლება სერიოზულად დაირღვეს განხილვის სამართლიანობა მათი თავდაპირველი დაუცველობის გამო (იხ. *იმბროშა*, §36 და *დვორსკი*, §76). გამოძიების ეტაპი შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს სისხლის სამართალწარმოების მომზადებისთვის: ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულება ხშირად განსაზღვრავს იმ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ბრალად შერაცხული დანაშაული განიხილება სასამართლო პროცესზე. შიდასახელმწიფოებრივმა კანონებმა შეიძლება გაითვალისწინონ ბრალდებულის პოზიცია საწყის ეტაპებზე პოლიციის მიერ განხორციელებულ დაკითხვასთან დაკავშირებით, რომელიც გადამწყვეტია დაცვისთვის შემდგომ სისხლის სამართალწარმოებაში. შესაბამისად, ბრალდებული შეიძლება აღმოჩნდეს საკმაოდ დაუცველ პოზიციაში პროცესის იმ ეტაპზე, რომლის გავლენა შეიძლება გაძლიერდეს სისხლის სამართლის პროცესის საკმაოდ რთული კანონმდებლობის მიერ, კერძოდ, მტკიცებულების შეგროვებისა და გამოყენების მარეგულირებელ წესებთან დაკავშირებით (იხ. *სალდუში*, § 52 და §54; *დვორსკი*, § 77). კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების გამოყენების მეთოდი გამოძიების ეტაპზე, დამოკიდებულია პროცესის განსაკუთრებულ მახასიათებლებსა და საქმის გარემოებებზე (იხ. *იმბროშა*, § 38).

254. კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში საჩივრები გამოძიების ეტაპის შესახებ, როგორც წესი იღებენ კონკრეტულ ფორმას თავად სასამართლოზე, როდესაც პროკურატურა მოითხოვს წინასასამართლო ეტაპზე მიღებული მტკიცებულების

დაშვებას და დაცვა ეწინააღმდეგება მოთხოვნას. როგორც სასამართლომ არაერთხელ განმარტა, მას არ მოეთხოვება განსაზღვროს, არის თუ არა დასაშვები მტკიცებულების კონკრეტული სახეობა, მათ შორის, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით არაკანონიერად მოპოვებული მტკიცებულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, კითხვა რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი, მდგომარეობს შემდეგში - იყო თუ არა მტკიცებულებების მოპოვების ფორმა და სამართალწარმოება სამართლიანი (იხ. *ჯალო*, §95 და *ბაიკოვი*, §89). თუმცა ამ მიდგომიდან გამონაკლისია აღიარების შემთხვევები, როცა მტკიცებულება მოპოვებულია წამების ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმების შედეგად კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ: სასამართლომ განმარტა, რომ სისხლის სამართლის პროცესში შესაბამისი ფაქტების დადგენის მიზნით ასეთი ჩვენებების დაშვება მტკიცებულების სახით, ხელს უწყობს სისხლის სამართლის სამართალწარმოების მთლიანი პროცესის უსამართლობას, მიუხედავად იმისა, იყო თუ ამ მტკიცებულებების გამოყენება გადამწყვეტი ბრალდებულის მსჯავრდებისა და ჩვენებების მტკიცებულებითი მნიშვნელობისა (იხ. *გეფგენი*, § 166).

#### (დ) ადვოკატისადმი ხელმისაწვდომობა

##### (i) პოზიცია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში

255. „სისხლისსამართლებრივ დანაშაულში ბრალდებული ყველა პირის“ უფლებაა მიიღოს სამართლებრივი დახმარება, რომელიც გარანტირებულია მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და სამართლიანი განხილვის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია (იხ. *სალდუზი*, §51; *ნეჩიპორუკი* და *იონკალო უკრაინის წინააღმდეგ*, N42310/04, §262, 21 აპრილი 2011). ადვოკატის დროული ხელმისაწვდომობა წარმოადგენს მნიშვნელოვან საპირწონეს პოლიციის მიერ დაკავებული ყველა ბრალდებულის მოწყვლადობასთან მიმართებით, უზრუნველყოფს პოლიციის მიერ ბრალდებულების მიმართ იძულებისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვას, მართლმსაჯულების ხარვეზების აღკვეთას და კონვენციის მე-6 მუხლის მიზნების განხორციელებას. კერძოდ, მხარეთა თანასწორუფლებიანობას საგამოძიებო ან სამართლებრივი დევნის ორგანოებსა და ბრალდებულს შორის (იხ. *სალდუზი*, §§ 53-54 და *პისჩალნიკოვი*, §§ 68-69).

256. დიდი ხნის აღიარებულია ის ფაქტი, რომ არსებობს სამართლებრივი დახმარების შესაძლებლობა, განსაკუთრებით თუ ფერხდება (იხ. *ჯონ მურეი*; *ოქეინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება), N30550/96, 6 ივლისი 1999 და *მაგი და ბრენანი*). ამ სფეროში არსებული პრეცედენტული სამართლის მიმოხილვის შემდეგ, სასამართლომ საქმეში - *სალდუზი*, § 55, აღნიშნა:

„... სასამართლო თვალსაზრისით, იმისთვის, რომ სამართლიანი განხილვის უფლება იყოს საკმარისად „პრაქტიკული და ეფექტური“ ..., კონვენციის 6.1 მუხლის



მოთხოვნის შესაბამისად, ადვოკატის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პოლიციის მიერ ეჭვმიტანილის პირველივე დაკითხვიდან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თითოეული საქმის კონკრეტული ვითარების ფონზე არ დამტკიცდება, რომ არსებობს ამ უფლების შეზღუდვის უდავო არგუმენტები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ უდავო არგუმენტების შედეგად სამართლებრივ დახმარებაზე უარი შეიძლება გამართლდეს, ასეთმა შეზღუდვამ, არ უნდა შელახოს ბრალდებულის უფლებები მე-6 მუხლის ფარგლებში ... დაცვის უფლება გამოუსწორებლად შეილახება, თუ მამხილებელი განცხადებები, რომლებიც გაკეთდა ადვოკატის თანდასწრების გარეშე პოლიციაში დაკითხვისას, გამოყენებული იქნება მსჯავრდებისთვის.”

257. *საღმრთაობის* საქმეში განსაზღვრული ტესტი, რომლის მიზანია შეათვასოს, არის თუ არა სამართლებრივი დახმარების შეზღუდვა თავსებადი სამართლიანი განხილვის უფლებასთან, შედგება ორი ეტაპისგან. პირველ ეტაპზე სასამართლომ უნდა შეათვასოს, არსებობდა თუ არა უდავო არგუმენტები შეზღუდვისთვის. მეორე ეტაპზე, მან უნდა შეათვასოს დაცვის უფლებების შელახვა აღნიშნულ საქმეში გამოყენებული შეზღუდვით. ანუ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს შეზღუდვის გავლენა პროცესის მთლიან სამართლიანობაზე და მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, იყო თუ არა მთლიანი პროცესი სამართლიანი. ეს ტესტი არაერთხელ გამოიყენა სასამართლომ. მიუხედავად ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ *საღმრთაობის* ტესტის გამოყენება მის შემდგომ პრაქტიკაში ავლენს მისი ორი ეტაპის და მათი ურთიერთკავშირის განმარტების საჭიროებას.

## (ii) „უდავო არგუმენტების“ მნიშვნელობა

258. მთავარია იმის დადგენა, თუ რა წარმოადგენს სამართლებრივი დახმარების დაყოვნების უდავო არგუმენტს. უდავო არგუმენტების კრიტერიუმი არის მკაცრი: სამართლებრივი დახმარების ადრეულ ეტაპზე, კერძოდ, ეჭვმიტანილის პირველივე დაკითხვაზე, ხელმისაწვდომობის ფუნდამენტური ხასიათისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, წინამდებარე უფლებაზე საგამონაკლისო შეზღუდვები უნდა ატარებდნენ დროებით ხასიათს და ეფუძნებოდნენ საქმის კონკრეტული გარემოებების ინდივიდუალურ შეფასებას (იხ. *საღმრთაობის*, §54 ; §55). აღნიშნული მნიშვნელოვანია, როდესაც ხორციელდება იმის შეფასება, მოხდა თუ არა უდავო არგუმენტების დემონსტრირება, ჰქონდა თუ არა სამართლებრივი დახმარების შეზღუდვას საფუძველი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში და იყო თუ არა ნებისმიერი შეზღუდვის მოცულობა და შინაარსი საკმარისად განსაზღვრული კანონით, რათა გადანყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელ პირებს ეხელმძღვანელათ ზემოაღნიშნულით. დღესდღეობით, სასამართლომ ვერ მიუთითა, რა შეიძლება იყოს უდავო არგუმენტები *საღმრთაობის* ტესტის ამ დებულების მიხედვით. მოპასუხე მთავრობის მიერ წამოყენებული უდავო არგუმენტების სავალდებულო ხასიათი, პოლიციაში დაკითხვის დროს სამართლებრივი

დახმარების შეზღუდვების დასაბუთების მიზნით უნდა შეფასდეს თითოეული საქმისთვის ინდივიდუალურად, ზემოთ მოცემული ზოგადი კრიტერიუმის მითითებით.

259. სასამართლო აღიარებს, თუ მოპასუხე მთავრობამ დაიმოწმა სიცოცხლისთვის, თავისუფლებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობისთვის სერიოზული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების გადაუდებელი საჭიროების დამარწმუნებელი საფუძვლები, ეს შეიძლება გახდეს კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის სამართლებრივი დახმარების შეზღუდვის უდავო მიზეზი. ასეთ პირობებში, უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა დაიცვან პოტენციური ან რეალური მსხვერპლის უფლებები კონვენციის მე-2, მე-3 და მე-5.1 მუხლების შესაბამისად. სასამართლო აღნიშნავს, რომ დირექტივა 2013/48/EU, რომელიც ეხება სამართლებრივი დახმარების უფლებას, უზრუნველყოფს ამ უფლებიდან გამონაკლისს განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ არსებობს პირის სიცოცხლის, თავისუფლების ან ფიზიკური ხელშეუხებლობისთვის სერიოზული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების საჭიროება. ანალოგიურად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, *მირანდა არიზონას წინააღმდეგ* საქმის შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ მის გადაწყვეტილებაში საქმეზე - *ნიუ-იორკი ქვარლის წინააღმდეგ* განმარტა, რომ *მირანდას* წესის თანახმად, არსებობს „გამონაკლისი საზოგადოებრივი უსაფრთხოების საფუძველზე“, რომლის მიხედვითაც ნებადართულია ადვოკატის გარეშე და ბრალდებულისთვის მისი უფლებების გაცნობამდე დაკითხვა, იმ შემთხვევაში თუ არსებობს საფრთხე საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის (იხ. კანადაში და ევროპის საბჭოს რიგ წევრ ქვეყნებში არსებული მდგომარეობა, რომელთა კანონებით დაშვებულია სამართლებრივი დახმარების დროებითი შეფერხება). მიუხედავად იმისა, რომ პალატის გადაწყვეტილებით არსებობს ინფორმაციის გამჟღავნების რისკი, ეს დასკვნა უნდა იქნეს უარყოფილი: სასამართლო მიიჩნევს, რომ ინფორმაციის გამჟღავნების რისკის შესახებ ზოგადი განცხადება ვერ იქნება უდავო არგუმენტი ადვოკატის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გასამართლებლად.

### (iii) სამართალწარმოების სამართლიანობა

260. ჩნდება კითხვა, არის თუ არა სამართლებრივი დახმარების შეზღუდვის უდავო არგუმენტების არარსებობა თავისთავად საკმარისი მე-6 მუხლის დარღვევის დასაბუთებისთვის. პირველმა სამმა განმცხადებელმა მიუთითა ამ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე *სალდუმის* საქმის შემდეგ, რაც მათი აზრით, განმარტავს იმ ფაქტს, რომ *სალდუმის* საქმით მკათიო წესი უნდა დანერგილიყო, რაც გამორიცხავდა სასამართლოზე სამართლებრივი დახმარების გარეშე მიცემული რაიმე ჩვენების გამოყენებას. თუმცა, *სალდუმის* საქმეში გამოყენებული მიდგომა თავისთავად არ ამყარებს ამ არგუმენტს, ასევე დიდი პალატა *დვორსკის* საქმეში, კერძოდ, 82-ე პარაგრაფში არ განმარტავს *სალდუმის* საქმეს ამგვარად.

აღნიშნულ საქმეში გამოყენებული ზოგადი პრინციპების შეჯამებით, სასამართლომ *სალდუმის* საქმეში, §52-54, მიუთითა სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის მთლიანი შეფასების საჭიროებაზე, როცა კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისი უფლებების დარღვევის საკითხი უნდა დადგენილიყო. მან აღნიშნა, რომ დაცვის უფლებები გამოუსწორებლად შეილახებოდა, როდესაც სამართლებრივი დახმარების გარეშე პოლიციის მიერ განხორციელებული დაკითხვის დროს გაკეთებული მამხილებელი განცხადებები გამოყენებული იქნებოდა მსჯავრდებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე წესი მკაცრი იყო, თუმცა არა აბსოლუტური (§ 55). სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ საქმეში (§56) არ იყო უდავო არგუმენტები იმისა, რომ განმცხადებლისთვის უარი ეთქვათ სამართლებრივ დახმარებაზე, თუმცა განაგრძო სამართალწარმოების შესწავლა, კერძოდ, ადვოკატის გარეშე გაკეთებული განცხადებების გავლენის შეფასება პროცესის მთლიან სამართლიანობაზე (§§ 57-62).

261. ასევე, პირველმა სამმა განმცხადებელმა, მათი არგუმენტების მხარდასაჭერად, მიუთითეს დირექტივა 2013/48/EU-სა და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე - *მირანდა არიზონას წინააღმდეგ*. იმასთან დაკავშირებით, რომ საჭირო იყო გონივრული წესი. მართალია, ამერიკის შეერთებულ შტატების მიდგომა არის მკაცრი, თუმცა, 2013/48/EU დირექტივაში არათყვეა ნათქვამი იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა დირექტივის გარანტიების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაშვება სასამართლოზე. ის მხოლოდ მოითხოვს, რომ ბრალდებულებს ჰქონდეთ „შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება“ დირექტივის ფარგლებში გარანტირებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში. ევროპის საბჭოს ხელშემკვრელი მხარეების კანონებში სახეზეა არაერთგვაროვანი პრაქტიკა ამ კუთხით, სადაც ზოგიერთი მომხრე ავტომატური გამორიცხვისა და ზოგი კი უპირატესობას ანიჭებს სასამართლოს შეხედულებას. კანადაში, უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ქარტიის დარღვევით მიღებული მტკიცებულება შეიძლება დასაშვები იყოს სასამართლოზე. მსგავსი მიდგომა აქვთ ზემოთ აღნიშნულ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოებს.

262. სასამართლო კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ სამართლიანი განხილვის დარღვევის შეფასებისას, საჭიროა განვიხილოთ სამართალწარმოების პროცესი მთლიანობაში, კონვენციის 6.3 მუხლის შესაბამისი უფლებები, როგორც სამართლიანი განხილვის უფლების სპეციფიკური ასპექტები და არა მხოლოდ პროცესების შედეგები. შესაბამისად, უდავო არგუმენტების არარსებობა არ იწვევს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის გამოვლენას.

(iv) უდავო არგუმენტების არსებობის ან არარსებობის გავლენა სამართლიანი სასამართლოს შეფასებაზე

263. ის ფაქტი, რომ უდავო არგუმენტების არარსებობა არ არის თავისთავად საკმარისი კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის დასადგენად, არ ნიშნავს, რომ „უდავო არგუმენტების“ ტესტის შედეგი არარელევანტურია სამართალწარმოების მთლიანი პროცესის შეფასებასთან.

264. თუ უდავო არგუმენტები დადგენილია, სამართალწარმოების კომპლექსური შეფასება უნდა განხორციელდეს იმისთვის, რათა დადგინდეს, იყო თუ არა ის „სამართლიანი“ 6.1 მუხლის მიზნებისთვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი მიდგომა გამოყენებულია ევროკავშირის დირექტივის 2013/48/EU მე-12 მუხლში, ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლებასთან დაკავშირებით და რამდენიმე ქვეყნის იურისდიქცია განიხილავს მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გავლენას სამართლიან განხილვაზე.

265. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სამართლებრივი დახმარების შეზღუდვის უდავო არგუმენტები, სასამართლომ ძალიან მკაცრად უნდა შეისწავლოს მისი სამართლიანობის საკითხი. მოპასუხე მთავრობის მიერ უდავო არგუმენტების გამოვლენის შეუძლებლობა არღვევს უფლებებს შორის ბალანსს, როდესაც ხორციელდება პროცესის მთლიანი სამართლიანობის შეფასება. აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (c) პუნქტების დარღვევა. (იხ. მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (d) პუნქტები, *ჭაჭაშვილი*, §113). მთავრობა ვალდებულია დაარწმუნოს სასამართლო იმაში, თუ რატომ არ იყო დარღვეული განხილვის სამართლიანობა ადვოკატის დახმარების შეზღუდვით საქმის კონკრეტულ გარემოებებში.

#### **(ე) პირის უფლება - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ**

266. პირის უფლება - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ძირითადად დაკავშირებულია ბრალდებულის დუმილის უფლების პატივისცემასთან და გულისხმობს, რომ პროკურატურა სისხლის სამართლის საქმეში შეეცდება დაასაბუთოს მისი ვერსია ისეთი მტკიცებულებების გამოყენების გარეშე, რომელიც მოპოვებულია იძულების ან მუქარის მეთოდით ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ (იხ. *სანდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 17 დეკემბერი 1996, §§ 68-69, ანგარიშები 1996-VI; *ჯალო*, §§ 100, 102 და *ბაიკოვი*, §92). პოლიციაში დაკითხვისას დუმილის უფლება და პირის უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ საერთაშორისოდ აღიარებული ზოგადი სტანდარტია, რომელიც წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის სამართლიანი განხილვის ცნების საფუძველს. მისი დედააზრია ბრალდებულის დაცვა უფლებამოსილი ორგანოების არასათანადო იძულებისგან, რაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების ხარვეზების თავიდან აცილებას და კონვენციის მე-6 მუხლის მიზნების შესრულებას (იხ. *ჯონ შურეი*, §45; *ჯალო*, § 100 და *ბაიკოვი*, §92).



267. მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ პირის უფლება - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, არ იცავს მამხილებელი განცხადებისგან თავისთავად, მაგრამ გამოორიხხავს იძულების ან ზეწოლის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებას. იძულების გამოყენება იწვევს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა გათვალისწინებული ბრალდებულის უფლება - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. ამ მიზნით, სასამართლომ ჯერ უნდა გაითვალისწინოს იძულების ბუნება და ხარისხი, რომელიც გამოყენებული იყო მტკიცებულების მოსაპოვებლად (იხ. *ჰინი და მაკვინესი ირლანდიის წინააღმდეგ*, N [34720/97](#), §§54-55, ECHR, 2000-XII; *ოჰალორანი და ფრანსისი*, §55 და *ბაიკოვი*, §92). სასამართლომ, მისი პრეცედენტული სამართლის თანახმად, გამოავლინა მინიმუმ სამი შემთხვევა, რომლებიც იწვევენ შეშფოთებას იძულებასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-6 მუხლის საწინააღმდეგოდ. პირველი, როდესაც ბრალდებული ვალდებულია მისცეს ჩვენება სანქციების მუქარით და შედეგად იძლევა ჩვენებას (იხ. *სანდერსი და ბრუსკო საფრანგეთის წინააღმდეგ*, N [1466/07](#), 14 ოქტომბერი, 2010 წ.) ან მის წინააღმდეგ გამოიყენება სანქციები ჩვენების მიცემაზე უარის გამო (იხ. *ჰინი მაკვინესის წინააღმდეგ* და *ვეი ავსტრიის წინააღმდეგ*, N [38544/97](#), 8 აპრილი, 2004 წ.). მეორე, როდესაც გამოიყენება ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა, ხშირად ისეთი მოპყრობის ფორმით, რომელიც არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს, მტკიცებულების ან ჩვენების მისაღებად (იხ. *ჯალო, მაგი და გეფგენი*). მესამე, როდესაც ხდება ხერხების გამოყენება იმ ინფორმაციის მიღების მიზნით, რომელიც ვერ მოიპოვებს დაკითხვის დროს (იხ. *ალანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N [48539/99](#), ECHR, 2002-IX).

268. მოწმის ჩვენება, რომელიც მიღებულია იძულებით და არ ატარებს მამხილებელ ხასიათს, როგორცაა გამამართლებელი შენიშვნები ან ინფორმაცია ფაქტების შესახებ, შეიძლება გამოყენებული იყოს სისხლის სამართლის პროცესში ბრალდების მხარდასაჭერად, მაგალითად, ბრალდებულის სხვა განცხადებების ან მტკიცებულების ეჭვქვეშ დაყენება პროცესის დროს ან მისი ავტორიტეტის სხვაგვარად შელახვა. ბრალდებულის უფლება - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, არ შეიძლება შეიზღუდოს განცხადებებით, რომლებიც არის პირდაპირ მამხილებელი (იხ. *სანდერსი*, § 69).

269. პირის უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, არ არის აბსოლუტური (იხ. *ჰინი და მაკვინესი*, § 47; *ვეჰი*, §46 და *ოჰალორანი და ფრანსისი*, §53). გამოყენებული იძულების დონე იქნება მე-6 მუხლთან შეუთავსებელი, თუ ის არღვევს პირის უფლების არსს - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ (იხ. *ჯონ მური*, §49). თუმცა, არ არის აუცილებელი ყველა პირდაპირმა იძულებამ დაარღვიოს ბრალდებულის უფლების არსი - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ და გამოიწვიოს მე-6 მუხლის დარღვევა (იხ. *ოჰალორანი ფრანსისის წინააღმდეგ*, §53). ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი არის ის, თუ როგორ იქნება

იძულებითი წესით მიღებული მტკიცებულება გამოყენებული სასამართლოზე (იხ. *სანდერსი*, §71).

**(ვ) სამართლებრივი დახმარების მიღების უფლების შესახებ შეტყობინება და დუმილის უფლება; პირის უფლება - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ**

270. საქმეში - *ალექსანდრე ზაჩენკო*, §52, განმცხადებლის განაცხადის შემოწმებისას, როცა არ იქნა გათვალისწინებული პირის უფლება - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ და შეინარჩუნოს დუმილი, სასამართლომ განმარტა, რომ განმცხადებლის გაქურდვის ეჭვის გაჩენისთანავე, პოლიციას დაეკისრა საქმის ყველა გარემოებასთან მიმართებით განმცხადებლის ინფორმირება აღნიშნული უფლებების შესახებ. საქმეში - *შმიდტი-ლაფერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, N41269/08, §29 და §39, 16 ივნისი 2015 წ., სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის პოლიციის მიერ პირველად დაკითხვისას, საქმეში არაფერი არ იძლეოდა მისი დანაშაულში ბრალდებულის სახით განხილვის საფუძველს და მისთვის დუმილის უფლების შესახებ ინფორმირებას. მეორე დაკითხვის დროს, როდესაც მას „დაედო მსჯავრი“ მე-6 მუხლის მიზნებისთვის, პოლიცია ვალდებული იყო ბრალდებულისთვის გაეცნო მისი უფლება - არ მიეცა ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ და ესარგებლა დუმილის უფლებით.

271. დაცვის უფლების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება უზრუნველყოფილია სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით. გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტმა განმარტა, რომ სამართლიანი განხილვის უფლება, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის შესაბამისად, გულისხმობს პროცედურული უფლებების შესახებ შეტყობინების უფლებას, მათ შორის, სამართლებრივი დახმარებისა და დუმილის უფლებას. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის ტრიბუნალისა და რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალის პროცედურისა და მტკიცებულების შესახებ წესდება და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 55-ე მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ბრალდებულებს უნდა ეცნობოთ სამართლებრივი დახმარების მიღებისა და დუმილის უფლების შესახებ. ბრალდებულებისთვის მათი უფლებების შესახებ შეტყობინების მნიშვნელობა ასევე აღიარებულია 2012/13/EU დირექტივით სისხლისსამართლებრივ პროცესში ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ. დირექტივის პრეამბულა განმარტავს, რომ პროცედურული უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, რომელიც გამომდინარეობს სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან, მკაფიოდ უნდა დადგინდეს. დირექტივის მე-3 მუხლის თანახმად მოითხოვება, რომ ბრალდებულმა შეიტყოს მისი ხუთი პროცედურული უფლების შესახებ, მათ შორის, ადვოკატის მოთხოვნის უფლებისა და დუმილის უფლების შესახებ. 2013/48/EU დირექტივის 21-ე ნაწილი - ადვოკატის ხელმისაწვდომობის შესახებ, განმარტავს, რომ პოლიციის დაკითხვის

დროს, თუ მოწმე ხდება ბრალდებული, დაკითხვა შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბრალდებული შეიტყობს მისი სტატუსის შესახებ და შეიძლება ისარგებლოს სამართლებრივი დახმარების უფლებით.

272. კონვენციის მიზანია იმ უფლებების უზრუნველყოფა, რაც არის პრაქტიკული და ეფექტური და არა თეორიული და ილუზიური (იხ. *სალდუზი*, §51 და *დვორსკი*, §82). იმისთვის, რათა ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლებით, დუმილის უფლებით და პირის უფლებით - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, უზრუნველყოფილი დაცვა იყოს პრაქტიკული და ეფექტური, მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულებმა იცოდნენ აღნიშნული უფლებების შესახებ. ეს გამომდინარეობს სასამართლოს მიერ „ინფორმირებული უარის“ სტანდარტის გამოყენებიდან სამართლებრივ დახმარებაზე ნებისმიერ სავარაუდო უართან დაკავშირებით (იხ. *დვორსკი*, §101). შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ პირის უფლება - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, დუმილის უფლება და სამართლებრივი დახმარების მიღების უფლება გულისხმობს, რომ „სისხლისსამართლებრივ დანაშაულში ბრალდებული პირის“ უფლებაა, მე-6 მუხლის მიზნებისთვის მიიღოს ინფორმაცია აღნიშნული უფლებების შესახებ.

273. პირის უფლების - არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ და დუმილის უფლების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ამ უფლებების შესახებ ბრალდებულის ინფორმირების განუხორციელებლობის გამართლება. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული არ იქნა ინფორმირებული, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, იყო თუ არა ამ ხარვეზის მიუხედავად პროცესი მთლიანად სამართლიანი (იხ. *შმიდტი-ლაფერის* საქმეში აღებული მიდგომა, §§36-40). ადვოკატის სწრაფი ხელმისაწვდომობა, რომელიც ინფორმაციას მიაწვდის მხარეს მისი პროცედურული უფლებების შესახებ, სავარაუდოდ აღკვეთს იმ უსამართლობას, რომელიც გამოწვეულია ამ უფლებების შესახებ რაიმე ოფიციალური შეტყობინების არარსებობით. თუ ადვოკატის ხელმისაწვდომობა შეფერხდება, საგამოძიებო ორგანოების მიერ ბრალდებულისთვის ინფორმაციის მიწოდება ადვოკატზე უფლების, დუმილის უფლებისა და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების შესახებ, ძალიან მნიშვნელოვანია (იხ. *ბრუსკო*, §54). ასეთ შემთხვევებში, შეტყობინების წარუმატებლობა უფრო მეტად გაურთულებს მთავრობას უსამართლობის პრეზუმფციის უარყოფას, რომელიც წარმოიშვება მაშინ, თუ არ არსებობს სამართლებრივი დახმარების შეფერხების უდავო არგუმენტი მაშინაც კი, როდესაც არსებობს დაყოვნების დასაბუთებული არგუმენტები, რომ პროცესი მთლიანობაში იყო სამართლიანი.

#### **(8) სამართლიანობის შეფასების შესაბამისი ფაქტორები**

274. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართალწარმოება მოიცავს სისხლისსამართლებრივი პროცედურის სხვადასხვა ასპექტის რთულ ურთიერთქმედებას, ხშირად უადგილოა საქმის კატეგორიზაცია, რომელიც განხილულ უნდა იქნეს კონვენციის მე-6 მუხლის რომელიმე კონკრეტული უფლების პერსპექტივიდან გამომდინარე. როგორც აღვნიშნეთ, განაცხადები, რომლებიც დაკავშირებულია მე-6 მუხლის ცალსახა ან ნაგულისხმევი უფლების ვერ უზრუნველყოფასთან გამოძიების ეტაპზე, ხშირად განზოგადოებულია სასამართლო პროცესზე, როცა მოპოვებული მტკიცებულება დასაშვები ხდება. როდესაც ხდება მთლიანი პროცესის შემოწმება, რათა შეფასდეს წინასასამართლო ეტაპზე დაშვებული პროცედურული ხარვეზების გავლენა მთლიანი სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანობაზე, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორების არასრული სია, რომელიც ეფუძნება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს:

(ა) იყო თუ არა განმცხადებელი განსაკუთრებით მონყვლადი, მაგალითად, მისი ასაკიდან ან გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე;

(ბ) წინასასამართლო პროცესისა და სასამართლოზე მტკიცებულების დასაშვებობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო იყო თუ არა დაცული; იქნა თუ არა გამოყენებული საგამონაკლისო წესი;

(გ) ჰქონდა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა სადავოდ გაეხადა მტკიცებულების ნამდვილობა და შეინააღმდეგებოდა მის გამოყენებას;

(დ) მტკიცებულების ხარისხი და მისი მოპოვების გარემოებები იწვევენ თუ არა მისი სანდოობის ან სიზუსტის შესახებ ეჭვს, იძულების ხარისხისა და ბუნების გათვალისწინებით;

(ე) როდესაც მტკიცებულება მოპოვებულია უკანონოდ კონვენციის სხვა მუხლის დარღვევით, სახეზეა დარღვევა;

(ვ) განცხადების შემთხვევაში, იყო თუ არა მისი ხასიათის დროულად მოდიფიცირება ან შეცვლა;

(ზ) როგორ მოხდა მტკიცებულების გამოყენება, კერძოდ, იყო თუ არა მტკიცებულება დამამტკიცებელი მტკიცებულების განუყოფელი ნაწილი, რომელზეც ემყარებოდა მსჯავრდება და საქმეში სხვა მტკიცებულების ძალა;

(თ) შეფასდა თუ არა დანაშაული პროფესიონალი მოსამართლეების ან ნაფიცი მსაჯულების მიერ და ამ უკანასკნელის შემთხვევაში ნაფიცი მსაჯულეთა ნებისმიერი მითითების შინაარსი;



(ი) იყო თუ არა გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის გამოძიებასა და სასჯელში საჯარო ინტერესის მნიშვნელობა;

(კ) განხორციელდა თუ არა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის სხვა შესაბამისი პროცედურული გარანტიები.

## **2. ზოგადი პრინციპების გამოყენება საქმის ფაქტებთან მიმართებით**

### **(ა) პირველი სამი განმცხადებელი**

275. პირველი სამი განმცხადებელი დავობს, რომ მათი დაკითხვა განხორციელდა სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის გარეშე და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები მიჩნეულ იქნა მათ საწინააღმდეგო მტკიცებულებად. ეჭვგარეშეა, რომ დაკითხვის დროს მათ შეფარდებული ჰქონდათ „სისხლისსამართლებრივი ბრალდება“ კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. როგორც აღინიშნა, სასამართლოს მოეთხოვება მიიღოს გადანაცვლებები იმასთან დაკავშირებით, არსებობდა თუ არა განმცხადებლის სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის დროებითი შეზღუდვის უდავო მიზეზები იმის შეფასებამდე - ხელი შეუწყო თუ არა დაკითხვის დროს მიცემული ჩვენების დასაშვებობამ სისხლისსამართლებრივი პროცესის უსამართლობას.

### **(ი) უდავო არგუმენტები**

276. მთავრობამ განაცხადა, რომ უდავო არგუმენტები სამართლებრივი დახმარების გაჭიანურებისთვის წარმოიშვა ადამიანების დალუპვის საშიშროებიდან, დაგეგმილი თავდასხმების შესახებ ინფორმაციის მიღების საჭიროებიდან და იმ პრაქტიკული შეზღუდვიდან, რომლის ფარგლებშიც მუშაობდა პოლიცია. სასამართლომ გაიზიარა, რომ უდავო არგუმენტები შეიძლება არსებობდეს, როდესაც ღვას სიცოცხლისთვის, თავისუფლებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობისთვის უარყოფითი მოვლენების თავიდან აცილების საჭიროება. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი საჭიროება არსებობდა მაშინ, როდესაც ხორციელდებოდა სამი განმცხადებლის დაკითხვა. მეტროს სამ მატარებელსა და ავტობუსზე ორი კვირით ადრე განხორციელებული თავდასხმების დროს დაიღუპა 52 ადამიანი და უამრავი დაშავდა. როდესაც პირველმა სამმა განმცხადებელმა და ბატონმა ოსმანმა ააფეთქეს თავიანთი ასაფეთქებელი საშუალებები 21 ივლისს, კვლავ მეტროს სამ მატარებელსა და ავტობუსში, გარდაუვალი იყო პოლიციის დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ გაერთიანებული სამეფო გახდა ტერორისტული აქტების ტალღის სამიზნე. მათ ჰქონდათ ყველანაირი საფუძველი ევარაუდათ, რომ 7 ივლისის მოვლენის გამეორების მცდელობა იყო და ის ფაქტი, რომ ბომბები არ აფეთქებულა, მხოლოდ დამთხვევას წარმოადგენდა. ბომბების აუფეთქებლობა ნიშნავდა იმას, რომ თავდამსხმელები კვლავაც ინარჩუნებდნენ თავისუფლებას და

შეძლოთ აეფეთქებინათ სხვა ბომბები, შესაძლებელია წარმატებითაც კი. როგორც განმარტა პოლიციის ინსპექტორმა - მაქვენამ, მეხუთე აუფეთქებელი ბომბის აღმოჩენა თავდასხმებიდან ორი დღის შემდეგ, ასევე ქიმიკატების დიდი რაოდენობის აღმოჩენამ იმ მისამართზე, რომელიც დაკავშირებული იყო ბრალდებულებთან, კიდევ უფრო გაამძაფრა არსებული ვითარება. პოლიცია მუშაობდა უკიდურესი ზეწოლის ქვეშ და მათი პრიორიტეტი იყო სასწრაფოდ მიეღოთ ინფორმაცია ნებისმიერი შემდგომი დაგეგმილი თავდასხმების შესახებ და გაერკვიათ შეთქმულებაში პოტენციურ მონაწილეთა ვინაობა. სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველი სამი განმცხადებლის შემთხვევაში, მთავრობამ მოახდინა საზოგადოების სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობისთვის სერიოზული უარყოფითი შედეგების აღკვეთის აუცილებლობის დამაჯერებელი დემონსტრირება.

277. თუმცა, 258-ე პუნქტის თანახმად, განსაკუთრებული ვითარებების არსებობა, რომლებიც აკმაყოფილებენ უდავო არგუმენტების საჭიროებას, ავტომატურად არ ამართლებს ბრალდებულისთვის სამართლებრივი დახმარების წვდომის შეზღუდვას. სხვა ფაქტორები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგია: იყო თუ არა შეზღუდვის საფუძველი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, იყო თუ არა შეზღუდვა დაფუძნებული საქმის კონკრეტული გარემოებების ინდივიდუალურ შეფასებაზე და ატარებდა თუ არა შეზღუდვა დროებით ხასიათს. პირველი სამი განმცხადებლის შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა მკაფიო ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობაში და არეგულირებს გარემოებებს, რომლის დროსაც სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობა ბრალდებულისთვის შეიძლება შეზღუდულიყო და უზრუნველყოფდა მნიშვნელოვან დახმარებას საოპერაციო გადანაცვლებების მიღებისთვის. კანონმდებლობა ითვალისწინებდა, რომ სამართლებრივი დახმარების შეზღუდვები უნდა დასრულებულიყო, როგორც კი შეწყდებოდა მათი გამამართლებელი გარემოებები. შეზღუდვები შემდგომ ექვემდებარებოდა მკაცრი დროის ლიმიტს ორმოცდარვა საათის ოდენობით. ინდივიდუალური გადანაცვლებები თითოეული განმცხადებლის სამართლებრივი დახმარების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით მიიღო პოლიციის ოფიცერმა, მათი საქმეების კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე და გადანაცვლებების მიზნები დაფიქსირებულ იქნა. მოცემული საფუძვლებიდან მკაფიოდ ჩანდა, რომ ავტორიზება განხორციელდა სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისად და განმცხადებლების საპროცესო უფლებები გათვალისწინებული იყო. სამართლებრივი დახმარების შეზღუდვის გადანაცვლებები შემდეგ განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ და სააპელაციო სასამართლომ.

278. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ ბ-ნი *იბრაჰიმის* საქმეში დაადგინა, რომ შესაძლებელი იყო მისთვის საკუთარ ადვოკატთან ტელეფონით გასაუბრების ნების დართვა და მას არასწორად ეთქვა უარი ადვოკატთან

გასაუბრებაზე. მნიშვნელოვანია ამ გარემოების აღქმა შესაბამის კონტექსტში. თვრამეტი პირი დააკავეს აფეთქების მცდელობასთან დაკავშირებით და მოათავსეს იმავე პოლიციის განყოფილებაში, სადაც იყო ბ-ნი იბრაჰიმი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ ცალ-ცალკე, კომუნიკაციისა და სასამართლო ექსპერტიზის მტკიცებულების განადგურების თავიდან აცილების მიზნით. სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის შესაძლებლობა გამონაკლის გარემოებებში, როგორცაა წინამდებარე საქმეში წარმოშობილი გარემოებები, აღიარებს უნიკალურ და ძალიან რთულ პირობებს. არ არის გასაკვირი, რომ ასეთ რთულ ვითარებაში შეიძლებოდა მომხდარიყო „კომუნიკაციის დარღვევები“. გამონაკლის შემთხვევებში, როგორშიც ლონდონის პოლიცია აღმოჩნდა 2005 წლის ივლისში, მათ მაქსიმალური ყურადღება და რესურსები უნდა მიემართათ გამოძიებებსა და დაკითხვებზე. არ შეიძლება მათი გაკრიტიკება, რადგან ვერ გაითვალისწინეს, რომ ტელეფონით აღჭურვილ საკონსულტაციო ოთახში ბ-ნი იბრაჰიმი შეძლებდა ადვოკატთან დალაპარაკებას.

279. სასამართლო კმაყოფილია, რადგან მთავრობამ დამატებულად შეძლო იმის დემონსტრირება, რომ არსებობდა პირველი სამი განმცხადებლის სამართლებრივი დახმარების დროებითი შეზღუდვის უდავო არგუმენტები.

#### **(ii) საქმისწარმოების სამართლიანობა**

280. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-ნი *ომარის* საქმეში, სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობა შეფერხდა დაახლოებით რვა საათით, აქედან ის იკითხებოდა სამი საათის განმავლობაში. ბ-ნი იბრაჰიმისთვის სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობა შეფერხდა დაახლოებით შვიდი საათით, აქედან ის იკითხებოდა დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. ბ-ნი მუჰამედისთვის სამართლებრივი დახმარება შეფერხდა დაახლოებით ოთხი საათით, აქედან დაკითხვა გაგრძელდა რვა წუთის განმავლობაში. სასამართლომ უნდა იტვირთოს მთლიანი სისხლის სამართლის პროცესის შემონახვა პირველ სამ განმცხადებელთან დაკავშირებით, რათა დაადგინოს, იყო თუ არა იგი სამართლიანი მე-6 მუხლის 1 პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში, მიუხედავად სამართლებრივი დახმარების შეფერხებისა.

281. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამართლებრივი დახმარების შეზღუდვის შესაძლებლობა მოცემულია კანონმდებლობაში. მიუხედავად წინდახედულობის ზომების ხარვეზებისა და იმ ზეწოლისა, რომლის ქვეშაც მუშაობდა პოლიცია, იგი მკაცრად იცავდა იმ საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც არეგულირებდა სამართალდამცველთა ქმედებებს გამოძიების დროს. გარდა ამისა, დაკითხვების მიზანი - საზოგადოების დასაცავად საჭირო ინფორმაციის მიღება, მკაცრად იყო დაცული პირველი სამი განმცხადებლის საქმეში. როგორც მოსამართლემ აღნიშნა, ბ-ნი *ომარის* დაკითხვისას პოლიციის ოფიცრებმა ყურადღება გაამახვილეს იმ

საკითხებზე, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იყო ისეთი ინფორმაციის გამოვლენა, რაც დაეხმარებოდა მათ საზოგადოებისთვის საფრთხის გამომწვევი ადამიანების ან საგნების მოძიებაში. სასამართლოზე ბ-ნი ომარის ინტერესების დამცველ პირებს ასევე არ აღუნიშნავთ, რომ პოლიციამ გადააჭარბა საჭირო მოთხოვნებს და დაკითხვა არ იყო საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხების რელევანტური. რაც შეეხება ბ-ნ იბრაჰიმს, მოსამართლემ მიიჩნია, რომ დასმული შეკითხვები არ სცდებოდა ლეგიტიმური დაკითხვის ფარგლებს უსაფრთხოების მიზნებისთვის და ბ-ნი მოჰამედის შემთხვევაში, დაკითხვა არ სცდებოდა ლეგიტიმურ ფარგლებს ან მის მიზნებს და იყო მიზანმიმართული და სათანადო. არც ერთი დასკვნა არ გახდა სადავო სასამართლოს წინაშე. ასევე აღსანიშნავია, რომ განმცხადებლები დააკავეს ოფიციალურად და აცნობეს დუმილის უფლებისა და სამართლებრივი დახმარების უფლების შესახებ. მათ ასევე აუხსნეს სამართლებრივი დახმარების შეფერხების მიზეზები.

282. მტკიცებულების დასაშვებობა რეგულირდებოდა პოლიციისა და სისხლის სამართლებრივი მტკიცებულების აქტის 78-ე ნაწილით, რომელიც საშუალებას აძლევდა მოსამართლეს უარი ეთქვა მტკიცებულების მიღებაზე, თუ მის მიღებას ექნებოდა უარყოფითი გავლენა პროცესის სამართლიანობაზე. განმცხადებლებმა სადავოდ გახადეს დაკითხვის შედეგად მიღებული მტკიცებულების დასაშვებობა მათთვის სამართლებრივი დახმარების განევაზე უარისა და ხარვეზიანი წინდახედულობის ზომების გამოყენების გამო, პოლიციისა და სისხლის სამართლებრივი მტკიცებულების აქტის 78-ე ნაწილზე დაყრდნობით. მაშინ, როდესაც ბ-ნმა იბრაჰიმმა და ბ-ნმა მუჰამედმა სადავოდ გახადეს სამართლებრივი დახმარების შეზღუდვის სანქცირება, ბ-ნი ომარი დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ პოლიციას ჰქონდა საფუძველი მიეღო გადაწყვეტილება მის საქმეზე დაკითხვის ჩატარების შესახებ და აღნიშნული პროცესი სამართლიანად წარემართა. მოწმის წინასწარი შემონმება ან „სასამართლო სასამართლოს ფარგლებში“ განხორციელდა მოსამართლის წინაშე განმცხადებლების პრეტენზიების სათანადო შემონმების მიზნით. სასამართლო პროცესზე განმცხადებლებს ჰქონდათ შესაძლებლობა წარედგინათ დაკითხვის გარემოებების მტკიცებულება. ის ფაქტი, რომ ბ-ნმა ომარმა არ გახდა სადავოდ უშუალოდ დაკითხვები, დაკითხვის პროცესის მტკიცებულება მის საქმეში სანდოდ იქნა მიჩნეული. ზეპირი მტკიცებულება დაკითხვების სანქცირების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განხილულ იქნა ბ-ნი იბრაჰიმისა და ბ-ნი მოჰამედის საქმეებში. სამივე განმცხადებელი წარმოდგენილი იყო ადვოკატების მიერ, რომლებთანაც საშუალება ჰქონდათ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა დაკითხვის მტკიცებულების დაშვების სამართლიანობასთან დაკავშირებით. დეტალურ და ყოვლისმომცველ გადაწყვეტილებაში, პირველი ინსტანციის მოსამართლემ შეამოწმა პოლიციის განყოფილებაში არსებული გარემოებები, თითოეული განმცხადებლის დაპატიმრებისა და დაკითხვის კონკრეტული გარემოებები და სამართლებრივი დახმარების შეზღუდვის გავლენა



თითოეულ განმცხადებელზე. მოსამართლემ წარმოადგინა მისი დასკვნების მკაფიო მიზეზები იმასთან დაკავშირებით, რომ შეზღუდვები გამართლებული იყო და არ გამოუწვევიათ რაიმე უსამართლობა. მოსამართლემ ასევე დეტალურად განიხილა განმცხადებლის განცხადებები ხარვეზიანი წინდახედულობის ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით და განმარტა, რატომ მიიჩნევდა ის, რომ აღნიშნულს არ გამოუწვევია რაიმე არსებითი უსამართლობა.

283. გარდა ამისა განცხადებების დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილებამ ხელი არ შეუშალა განმცხადებლებს სადავოდ გაეხადათ განცხადებები სასამართლო პროცესზე. სამივე განმცხადებელს შეეძლო ჩვენებების მიცემა და დაკითხვის გარემოებების მტკიცებულების წარდგენა, მოწმეების გამოძახება, ადვოკატის მეშვეობით განცხადებების გაკეთება მათთვის სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის შეფერხების სავარაუდო უსამართლობასთან დაკავშირებით და ასევე, შეეძლოთ შეეთავაზებინათ ნათიცი მსაჯულებისთვის არ გაეთვალისწინებინათ მათი განცხადებები. აღსანიშნავია, რომ მათ ასევე შეეძლოთ აეხსნათ, რატომ მისცეს ცრუ ჩვენება დაკითხვების დროს; მართლაც, არც ერთმა განმცხადებელმა არ წარმოადგინა თავისი ქცევის ახსნა-განმარტება.

284. განმცხადებლებმა შემდეგ შეძლეს საბუთების წარდგენა მტკიცებულების საქმიდან ამოღებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს წინაშე, რითაც მხარს უჭერდნენ საკუთარ განცხადებას, რომ მტკიცებულების დაშვების გამო სასამართლო განილვა იყო უსამართლო და მათი განცხადებები უნდა გაუქმებულიყო. სააპელაციო სასამართლომ ყურადღებით განიხილა პირველი ინსტანციის მოსამართლის მიდგომა მტკიცებულების დაშვებასთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ მისი მოქმედება საკუთარი დისკრეციის ფარგლებში ცხადი და მოპასუხებზე ორიენტირებული იყო. სასამართლო კმაყოფილი დარჩა იმ ფაქტით, რომ მოსამართლე ყურადღებით უდგებოდა შესაბამის საკითხებს.

285. რაც შეეხება მტკიცებულების ხარისხს და იმ გარემოებებს, რომელშიც ის იქნა მოპოვებული, სამივე განმცხადებელი ამჟამად უთითებდა იმ სავარაუდო იძულებაზე, რომელიც თან სდევდა ახალი წინდახედულობის ზომის არასწორ გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ ბატონ ომარს არ გაუკეთებია მსგავსი განცხადება წინასწარ დაკითხვაზე. ამ საქმეში ასევე მნიშვნელოვანია, რომ იმ დროს, როდესაც მოხდა არასწორი წინდახედულობის ზომის გამოყენება, დ-ს დაკითხვის დასაწყისში, ის უკვე სამჯერ იყო დაკითხული შესაბამისი წინდახედულობის სწორი მიდგომის გამოყენებით. დ-ს დაკითხვის დროს, ბატონმა ომარმა გასცა ისეთი პასუხები, რომლებიც შეესაბამებოდა მის წინა პასუხებს და არაფერი არ მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ახალი ტიპის წინდახედულობის ზომა აიძულებდა მას ემოქმედა სხვაგვარად წინამდებარე დაკითხვის დროს. მისი საბოლოო დაკითხვის დროს, კვლავ იყო გამოყენებული სწორი წინდახედულობის ზომა და ბ-ნმა ომარმა უპასუხა პოლიციის კითხვებს ისევე, როგორც წინა დაკითხვის დროს. მისი განცხადება, რომ

ახალი წინდახედულობის ზომა იწვევდა იძულებას, მთლიანად უარყოფილია მისი საქმის ფაქტებით.

286. დანარჩენი ორი განმცხადებელი დაკითხულ იქნა მხოლოდ ერთხელ, არასწორად გამოყენებული ახალი წინდახედულობის ზომის შესაბამისად. პრაქტიკული კუთხით, არამართებული წინდახედულობის ზომის გამოყენების შედეგად განმცხადებლებს არასწორად აცნობეს, რომ მათ დაცვას შეიძლებოდა ზიანი მიდგომოდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაკითხვის დროს არ ახსენებდნენ იმ ფაქტებს, რომლებსაც შემდგომ სასამართლოში დაეყრდნობოდნენ. განმცხადებლებს აცნობეს, რომ მათ არ ჰქონდათ რაიმეს თქმის ვალდებულება და ყველაფერი, რასაც ისინი იტყოდნენ სასამართლოზე მტკიცებულების სახით იქნებოდა დაშვებული. ამრიგად, ორივე განმცხადებლისთვის დაკითხვის მომენტიდან გასაგები იყო, რომ მათ არ ევალდებოდათ პოლიციასთან საუბარი და ყველაფერი, რასაც ისინი იტყოდნენ გამოყენებული იქნებოდა მათ წინააღმდეგ სასამართლოში. ახლა ისინი ვერ განაცხადებენ, რომ მათ უპასუხეს პოლიციის კითხვებს იმ ფაქტის უგულებელყოფით, რომ მათი პასუხები დაშვებული იქნებოდა სასამართლოზე. რჩება კითხვა, აიძულა თუ წინდაუხედაობის ახალმა ელემენტმა, კერძოდ, გაფრთხილებამ - შესაძლოა მათ დაცვას მიაღვეს ზიანი, რომ მათ ტყუილი ეთქვათ და არ ახსენებდნენ რაიმეს დაკითხვის დროს, რასაც შემდგომ დაეყრდნობოდნენ სასამართლოში. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს არგუმენტი არის სუსტი. თუ გავითვალისწინებთ გამოყენებული წინდახედულობის ზომის დანარჩენ ორ ელემენტს, კერძოდ, შეტყობინებას იმის შესახებ, რომ მათ აქვთ დუმილის უფლება და გაფრთხილებას, რომ ყველაფერი, რასაც ბრალდებულები იტყვიან გამოყენებული იქნება მათ წინააღმდეგ მტკიცებულების სახით. განმცხადებლებმა კარგად იცოდნენ, რომ ნებისმიერი შესაძლო ზიანის თავიდან აცილება მათი დაცვისთვის დუმილის დარღვევით ვერ მიიღწეოდა, რაც გამოწვეული იქნებოდა მათი ცრუ ჩვენებების დაშვებით სასამართლოში. როგორც პირველი ინსტანციის მოსამართლემ აღნიშნა, აღნიშნული ჩვენებების დაშვების შედეგად პროცესის სამართლიანობის ანალიზი შესაძლებელია განსხვავებული ყოფილიყო, განმცხადებლებს რომ მიეცათ ჩვენებები საკუთარი თავის წინააღმდეგ და პოლიციის მიერ დასმულ კითხვებზე სიმართლე ეპასუხათ.

287. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენებები კანონიერი გზით ყოფილიყო მოპოვებული საკანონმდებლო ჩარჩოს ზედმიწევნითი გამოყენებით. არასწორი წინდახედულობის ზომის გამოყენების გარდა, რომლის შედეგი განხილულია ზემოთ, წინასასამართლო პროცესზე არ ყოფილა რაიმე სხვა ხარვეზი. სამართლებრივი დახმარების მიღების შემდეგაც, განმცხადებლებმა არ გაამულავენ ის ინფორმაცია, რაზეც მოგვიანებით საკუთარ ნამდვილ დაცვას აგებდნენ სასამართლოში, კერძოდ, რომ მათ ბომბები პოლიტიკური ნიშნის საფუძველზე აათვითქეს. მართლაც, აღნიშნული ინფორმაცია არ გამულავენებულა მათი დაცვის პოზიციის წარდგენამდე 2006 წლის სექტემბერში, ერთი წლის შემდეგ.

288. რაც შეეხება დაკითხვის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებას, პირველი ინსტანციის მოსამართლემ წინასწარი გამოკითხვის შედეგად მიღებულ გადანწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სამართალწარმოების ცენტრალური საკითხისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, სიმართლეს შეესაბამებოდა თუ არა დაცვის ხრიკები. შესაბამისად, მტკიცებულება არ იყო „მარგინალური ან უმნიშვნელო“. სააპელაციო სასამართლომ, თავის მხრივ, აღნიშნა გადანწყვეტილების დასაწყისში, რომ პოლიციის დაკითხვის ჩანაწერები საკმარისი იყო განმცხადებლების დაცვის „ხრიკების“ ძირის გამოსათხრელად. გასათვალისწინებელია ის კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც გაკეთდა კონკრეტული კომენტარები. ჩვენებების დასაშვებობის საკითხის გადაჭრისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ და სააპელაციო სასამართლომ ეს მტკიცებულება განცალკევებულად მიიღეს. სასამართლოზე ჩვენებები იყო მხოლოდ პროკურატურის ერთ-ერთი ელემენტი განმცხადებლების წინააღმდეგ. არსებობდა მამხილებელი სამეცნიერო მტკიცებულება ბომბების კონსტრუქციასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა აჩვენა, რომ ბომბები შეიცავდნენ წყალბადის პეროქსიდს ისეთი კონცენტრაციით, რომელიც უფრო მაღალია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ კონცენტრაციაზე. არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ განმცხადებლებმა და მათმა თანამშრომლებმა შეიძინეს წყალბადის პეროქსიდის დიდი რაოდენობა თავდასხმამდე სამი თვით ადრე და ხელით გაზარდეს მისი კონცენტრაცია. რამდენიმე დარჩენილ ცარიელ ბოთლზე იყო ნიშნები, რაც ბრალდებაში მიიჩნია იმის მტკიცებულებად, რომ განმცხადებლებს ეგონათ, რომ მიღწეული იყო წყალბადის პეროქსიდის ასათფეთქებლად საჭირო რაოდენობა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო განმცხადებლების მცდელობას აეხსნათ ეს „გადამწყვეტი მტკიცებულება“.

289. ამდენი მტკიცებულების წინაშე არ არის გასაკვირი პროკურატურის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ განმცხადებლებმა გაზარდეს წყალბადის პეროქსიდის კონცენტრაცია, რომელსაც დაცვა არ შედავებია. თუმცა, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათ მნიშვნელოვნად გააზავეს წყალბადის პეროქსიდი, რათა ის არ აფეთქებულიყო. როგორც აღნიშნა სააპელაციო სასამართლომ, განმცხადებლებმა არ განმარტეს, რატომ დაკავდნენ ასეთი პრომატევადი საქმით, კერძოდ, წყალბადის პეროქსიდის კონცენტრაციის გაზრდით, თუ მათ არ ჰქონდათ განზრახული მოწყობილობის აფეთქება. მათ ასევე არ განმარტეს, რატომ გაზარდეს კონცენტრაცია და შემდეგ ისევ გააზავეს ის. დაცვის განცხადების პასუხად, რომ ამგვარად კონცენტრაცია შემცირდა, პროკურატურის მეცნიერმა ექსპერტმა წარადგინა ლონდონის ონკანის წყლის იზოტოპური შემადგენლობის შესახებ მტკიცებულება, რითიც მტკიცდებოდა, რომ შეუძლებელი იყო მოწყობილობებში აღმოჩენილი წყალბადის პეროქსიდის გაზავება ასეთი მეთოდით. დაცვის ექსპერტი არ შეედავა ამ დასკვნას და დაცვის მხარემ ვერ წარმოადგინა ალტერნატიული განმარტება.

290. მტკიცებულებამ ასევე აჩვენა, რომ გარე პლასტმასის მიღზე მიმაგრებული იყო შრაპნელი, რომელიც აკავებდა წყალბადის პეროქსიდს. როგორც პროკურატურამ განაცხადა, აღნიშნულის მიზანი იყო ფრაგმენტაციის გაზრდა აფეთქებისას და შედეგად მსხვერპლის რაოდენობის მაქსიმალიზება. თუმცა ამის საჭიროება საერთოდ არ იყო, თუ არ იგეგმებოდა ნაღმების აფეთქება. როგორც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, შრაპნელის დამატების ერთადერთი გონივრული ახსნა იყო ის, რომ იგეგმებოდა ნაღმების აფეთქება.

291. გარდა მეცნიერული მტკიცებულებისა, ბ-ნი ომარისა და ბ-ნი ოსმანის სახლში აღმოაჩინეს ექსტრემისტული შინაარსის მქონე მასალების დიდი რაოდენობა. მტკიცებულება გამომდინარეობდა იმ შემთხვევებიდან, როდესაც ბ-ნი ომარი გამოხატავდა თავის ექსტრემისტულ შეხედულებებს სხვების თანდასწრებით ან საჯაროდ. ასევე არსებობდა მტკიცებულება, რომ ბ-ნმა იბრაჰიმმა ისაუბრა ჯიჰადის სწავლების შესახებ და შეუერთდა ჯიჰადს 2004 წლის ბოლოს. ამასთან, ბ-ნი მოჰამედის სახლში აღმოაჩინეს ვიდეოკამერის ზედადგარი, რომლის დანიშნულება, სავარაუდოდ, იყო მის სახლში თვითმკვლელობის ვიდეოს გადაღება, თუმცა არანაირი ვიდეო არ იქნა ნაპოვნი. ასევე მტკიცებულებას დაემატა სავარაუდო თვითმკვლელობამდე შედგენილი წერილი, რომელიც ბ-მა მოჰამედმა მისწერა მის ოჯახს. პროცესზე დაშვებულ იქნა სატელეფონო და სათვალთვალო კამერის მეშვეობით მოპოვებული მტკიცებულებათა დიდი რაოდენობა, რაც ამტკიცებდა მამაკაცებს შორის ხშირ კონტაქტს 2005 წლის მარტიდან. ასევე მოწმეებმა მისცეს ჩვენება განმცხადებლების ქმედებებთან დაკავშირებით ბომბების აფეთქების შემდგომ.

292. ნაფიც მსაჯულთა მოსამართლეთ პირველი ინსტანციის მოსამართლის შემაჯამებელ გამოსვლაში, რომელიც სააპელაციო სასამართლომ შემდგომ ახსნა, როგორც „დამახასიათებელი საფუძვლიანობისა და სიზუსტის შედეგი“, მან შეაჯამა პროკურატურისა და დაცვის მტკიცებულება დეტალურად და განუმარტა ნაფიც მსაჯულებს კანონის საკითხები. მოსამართლემ დანვრილებით განმარტა თითოეული განმცხადებლის დაკავებისა და დაკითხვის დეტალები, მათ შორის, დაკითხვების შინაარსი და განმცხადებლების განმარტებები მათ ცრუ ჩვენებებთან დაკავშირებით. მოსამართლემ ასევე შეაჯამა პროკურატურისა და დაცვის მტკიცებულება საქმეში. მოსამართლემ ურჩია ნაფიც მსაჯულებს განმცხადებლების ცრუ ჩვენებების განხილვისას მხედველობაში მიეღოთ ის ფაქტი, რომ ისინი დაიკითხნენ სამართლებრივი დახმარების მიღებამდე. მან განმარტა, რომ ეს არის ბრალდებულის ჩვეულებრივი უფლება. მოსამართლემ ასევე მოიყვანა იმ რჩევის მაგალითები, რომელიც ადვოკატს შეეძლო მიეცა განმცხადებლებისთვის, რის შედეგადაც ისინი სავარაუდოდ განსხვავებულად იმოქმედებდნენ. ამასთანავე, მოსამართლემ ურჩია მსაჯულებს გაეთვალისწინებინათ ის ფაქტი, რომ გამოყენებული იყო არასწორი წინდახედულობის ზომები და განმარტა, რომ ეს იყო პოტენციურად დამაბნეველი განმცხადებლებისთვის და შესაძლოა გამოენჯია



არასათანადო ზენოლა მათზე. მოსამართლემ აღნიშნა, რომ განმცხადებლებზე არ განხორციელებულა ზენოლა, რათა მათ გაემხილათ რაიმე, რასაც დაეყრდნობოდნენ სასამართლოში, თუმცა, მათ მისცეს ცრუ ჩვენება. მოსამართლემ განუმარტა ნაფიც მსაჯულებს, თუ ისინი არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ თითოეულმა განმცხადებლებმა განზრახ მისცა ცრუ ჩვენება, მაშინ მათ არ უნდა მიაქციონ ყურადღება ასეთ ცრუ ჩვენებებს. მეორე მხრივ, თუ ნაფიცი მსაჯულები მიიჩნევენ, რომ სიცრუე იყო წინასწარგანზრახული, მათ უნდა გაერკვიათ, რატომ მისცეს განმცხადებლებმა ცრუ ჩვენება. მოსამართლემ აუხსნა ნაფიც მსაჯულებს, რომ მოჰასუხის ცრუ ჩვენება არ იყო თავისთავად დანაშაულის მტკიცებულება, ვინაიდან განმცხადებლებს შეეძლოთ მიეწოდებინათ ცრუ ინფორმაცია მრავალი მიზეზის გამო. ასევე, მოსამართლემ შეახსენა ნაფიც მსაჯულებს, რომ განმცხადებლებმა მოიყვანეს სხვადასხვა მიზეზი იმისა, თუ რატომ იცრუეს და აუხსნა მსაჯულებს, რომ თუ მათთვის საკმარისი იყო სიცრუის თქმის მიზეზის განმარტება, ცრუ ინფორმაცია არ უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული. ცრუ ჩვენება შეიძლება გამოყენებულიყო, როგორც მტკიცებულება იმ შემთხვევაში, თუ მსაჯულები დარწმუნებულნი იქნებოდნენ, რომ განმცხადებლებმა არ მისცეს ცრუ ჩვენება უბრალო მიზეზების გამო. მოსამართლემ ასევე გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მსაჯულებს არ ჰქონდათ უფლება გამოეყენებინათ განმცხადებლის საწინააღმდეგოდ ის ფაქტი, რომ მათ არ ახსენეს დაკითხვის დროს ის საკითხები, რომელსაც დაეყრდნენ სასამართლოში. ამასთან, მოსამართლემ შეახსენა მსაჯულებს, რომ უარი ეთქვათ სამართლებრივ დახმარებაზე დაკითხვამდე. მოსამართლემ მიმართა ნაფიც მსაჯულებს თხოვნით, გაეთვალისწინებინათ ბ-ნ იბრაჰიმთან დაკავშირებით ის ფაქტი, რომ მას არასწორად ეთქვა უარი ტელეფონით სამართლებრივ დახმარებაზე დაკითხვამდე.

293. უდავოა, რომ არსებობდა ძლიერი საჯარო ინტერესი აღნიშნული დანაშაულების გამოძიებისა და დასჯისა. ტერორისტული თავდასხმების მიზანი თავისი არსით არის უდანაშაულო მოქალაქეების დაშინება, ქაოსისა და პანიკის გამოწვევა და ყოველდღიური ცხოვრების დინების დარღვევა. ასეთ გარემოებებში ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და ღირსების საფრთხე წარმოიშვება არა მხოლოდ ტერორისტების ქმედებებიდან, არამედ უფლებამოსილი ორგანოების რეაქციის შედეგად ასეთი საფრთხის ფონზე. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ბოლო წლებში ამტკიცებს ადამიანის უფლებებისა და საჯარო ინტერესის შეჭერების სირთულეებს ტერორიზმის კონტექსტში (იხ. *საადი იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N37201/06](#), ECHR, 2008; და *ა. და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N3455/05](#), ECHR, 2009 და *ნადა შეიქსარიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N10593/08](#), ECHR, 2012). ეს განცხადებები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ტერორისტულ თავდასხმაზე პოლიციის რეაგირების ასპექტებს, ადასტურებენ იმ ზენოლას, რომელსაც ასეთი თავდასხმები ინვესტ დემოკრატიული საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებაზე. ასეთი

მასშტაბის ტერორისტული აქტების აღკვეთისა და დასჯის დროს, მათ შორის, ჩვეულებრივი მოქალაქეების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი მკვლელობის შეთქმულების კუთხით, უდავოდ არსებობს საჯარო ინტერესი.

294. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სამი განმცხადებლისთვის სამართლებრივი დახმარება შეფერხდა და სასამართლოზე დაშვებულ იქნა ის ჩვენებები, რომელიც გაკეთდა ადვოკატთან კონსულტაციის გარეშე, სასამართლო კმაყოფილია იმით, რომ პროცესი თითოეული განმცხადებლის მიმართ იყო სამართლიანი. შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (c) პუნქტები.

### **(ბ) მეოთხე განმცხადებელი**

295. მეოთხე განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სასამართლოზე დაშვებული იყო თვითმამხილებელი განცხადება, რომელიც მან გააკეთა როგორც მოწმემ მაშინ, როცა არ აცნობეს მისი უფლების შესახებ, არ მიეცა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება და ჰყოლოდა ადვოკატი.

296. სასამართლომ ჯერ უნდა განსაზღვროს, როდის შევიდა ძალაში მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები მეოთხე განმცხადებლის საქმესთან მიმართებით. პირველი სამი განმცხადებლისგან განსხვავებით, რომლებიც დაუყოვნებლივ დააკავეს, პოლიციამ მიმართა მას როგორც პოტენციურ მოწმეს და მიიწვია პოლიციის განყოფილებაში გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის. სასამართლო აღიარებს, რომ ამ ეტაპზე, პოლიციას არ ჰქონდა ეჭვი სისხლის სამართლის დანაშაულში მის თანამონაწილეობასთან დაკავშირებით და იგი ვერ დაამტკიცებდა, რომ მასზე გავლენა მოახდინა ეჭვის საფუძველზე განხორციელებულმა ქმედებებმა. მოწმის დაკითხვის დროს, მეოთხე განმცხადებელმა დაიწყო თვითმამხილება და პოლიციის ოფიცრებმა, რომლებიც ატარებდნენ დაკითხვას, შეაჩერეს პროცესი, რათა მიეღოთ ინსტრუქციები მათი უფროსისგან. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე გამოიკვეთა ეჭვი, რომ მეოთხე განმცხადებელმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, ისე რომ ამ მომენტიდან მის მდგომარეობაზე გავლენას ახდენდა პოლიციის ქმედებები და ის დაექვემდებარა „სისხლის სამართლებრივ ბრალდებას“ კონვენციის მე-6 მუხლის ავტონომიური მნიშვნელობის ფარგლებში.

297. შესაბამისად, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, არსებობდა თუ არა უდავო მიზეზები მეოთხე განმცხადებლისთვის სამართლებრივი დახმარების შეზღუდვისთვის, ვიდრე მოხდებოდა იმის შეფასება, უსამართლოა თუ არა მთელი სამართალწარმოება აღნიშნული პირის ჩვენებების სასამართლო პროცესზე დაშვებით.

### **(i) უდავო არგუმენტები**

298. როგორც პირველი სამი განმცხადებლის შემთხვევაში, მთავრობა დაეყრდნო 2005 წლის ივლისის იმ განსაკუთრებულ გარემოებებს, რომლებიც უდავო მიზეზებს წარმოადგენდნენ მეოთხე განმცხადებლისთვის ადვოკატის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გამართლების მიზნით. სასამართლომ განაცხადა პირველი სამი განმცხადებლის საქმის შესწავლისას, რომ შესაბამის დროს იყო სიცოცხლისთვის, თავისუფლებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობისთვის სერიოზული უარყოფითი შედეგების აღკვეთის საჭიროება, რომელიც უტოლდებოდა მათ საქმეებში სამართლებრივი დახმარების შეზღუდვის უდავო მიზეზებს. ჩნდება კითხვა, იყო თუ არა ეს განსაკუთრებული გარემოებები საკმარისი უდავო მიზეზები მეოთხე განმცხადებლის საქმეში მისი დაკითხვის გასაგრძელებლად ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ან მისი სამართლებრივი დაცვის უფლებების შესახებ ინფორმირების გარეშე.

299. მთავრობამ არ გახადა სადავოდ ის ფაქტი, რომ მეოთხე განმცხადებელი უნდა გაეფრთხილებინათ მაშინ, როდესაც მისი გამოკითხვა დროებით შეწყდა შემდგომი ინსტრუქციების მისაღებად. მოქმედი ეთიკის კოდექსი განმარტავს, როდესაც დაკითხვის დროს გაცემული პასუხების შედეგად წარმოიშვება ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, შემდგომ დაკითხვამდე გამოჩენილი უნდა იქნეს წინდახედულობა. მნიშვნელოვანია, რომ ამ უმოქმედობის შედეგად მეოთხე განმცხადებელი შეცდომაში შეიყვანეს მის უფლებებთან დაკავშირებით. ბრალდებულისთვის კოდექსის მიერ მისთვის გარანტირებულ უფლებებზე უარი მისი ოფიციალური სტატუსის შეცვლის გარეშე, როდესაც ასეთი ცვლილება გახდა საჭირო, არ იყო მოცემული შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. შესაბამისად, არ არსებობდა სამართლებრივი დებულებები, რომლებიც გაუძღვებოდნენ საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებას და განმარტავდნენ, როგორ უნდა ყოფილიყო გამოყენებული დისკრეციული უფლებამოსილება ან როგორ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული პიროვნების უფლებები მე-6 მუხლის შესაბამისად. ასევე აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში იყო სამართლებრივი დახმარების დაყოვნების შესაძლებლობა იმ ბრალდებულებისთვის, რომლებიც ოფიციალურად იყვნენ გაფრთხილებულნი. ეს სამართლებრივი ჩარჩო გამოყენებულ იქნა პირველ სამ განმცხადებელთან დაკავშირებით და შესაძლებელი იყო მისი გამოყენება მეოთხე განმცხადებლის საქმეშიც, პოლიციის უფროსს რომ სცოდნოდა სამართლებრივი დახმარების გარეშე დაკითხვის საჭიროების შესახებ, ასეთი გადაწყვეტილება დაფიქსირდებოდა წერილობით. ამის საპირისპიროდ, გადაწყვეტილება, რომ მეოთხე განმცხადებელი არ დაეკავებინათ, არამედ გაეგრძელებინათ დაკითხვა მონმის სახით, არ დაფიქსირებულა და ამის კონკრეტული მიზეზები მისი საპროცესო უფლებების უზრუნველყოფის შესახებ, ნებისმიერი მტკიცებულების ჩათვლით, ვერ გახდებოდა გადასინჯვის საგანი შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების ან წინამდებარე სასამართლოს მიერ.

300. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობამ ვერ შეძლო, არსებული მტკიცებულების საფუძველზე, მეოთხე განმცხადებლის საქმეში უდავო მიზეზების არსებობის დამაჯერებელი დემონსტრირება, რაიმე სამართლებრივი ბაზის სრული არარსებობის გათვალისწინებით, რომელიც პოლიციას მისცემდა შესაძლებლობას ემოქმედა ისე, როგორც მან იმოქმედა. ასევე ინდივიდუალური და რეგისტრირებული დასკვნის არარსებობა ეროვნული კანონმდებლობის მოქმედი დებულებების საფუძველზე, სამართლებრივი დახმარების შეზღუდვის საჭიროების განსაზღვრა და რაც მეტად მნიშვნელოვანია, პოლიციის გადაწყვეტილების გამართლება - არ ეცნობებინა მეოთხე განმცხადებლისთვის მისი დუმილის უფლების შესახებ.

### **(ii) საქმისწარმოების სამართლიანობა**

301. სასამართლომ უნდა შეამოწმოს მთლიანი სამართალწარმოების პროცესი მეოთხე განმცხადებელთან დაკავშირებით, რათა დაადგინოს იყო თუ არა ის სამართლიანი კონვენციის 6.1 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. როგორც ზემოთ აღინიშნა, მეოთხე განმცხადებლისთვის სამართლებრივი დახმარების შეზღუდვის უდავო მიზეზების არარსებობის პირობებში, მტკიცების ტვირთი გადადის მთავრობაზე, რათა მან მოახდინოს დამაჯერებელი არგუმენტების მოყვანა იმისთვის, რატომ არ მიაღვა სასამართლო განხილვის სამართლიანობას გამოუსწორებელი ზიანი სამართლებრივი დაცვის შეზღუდვით.

302. პროცესის სამართლიანად მიჩნევით, მთავრობამ დაიმონმა პალატის მიერ ზემოთ აღნიშნული რელევანტური ფაქტორების ანალიზი. სასამართლომ თანამიმდევრულად უნდა განიხილოს იგი.

303. პირველი სამი განმცხადებლისგან განსხვავებით, რომლებიც დააკავეს და აცნობეს მათი უფლებების შესახებ სამართლებრივი დახმარების შეზღუდვამდე მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შესაბამისად, გადაწყვეტილებას მეოთხე განმცხადებლის მოწმის სახით დაკითხვასთან დაკავშირებით არ ჰქონდა საფუძველი შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში და ის ეწინააღმდეგებოდა მოქმედ ეთიკის კოდექსს. ამ უკანასკნელის ბრალდებულად მიჩნევის შეუძლებლობა გულისხმობდა იმას, რომ არ მომხდარა მისი საპროცესო უფლებების შეტყობინება, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში გამონვეულია იმით, რომ პირი ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში. აღნიშნული გარემოება იმთავითვე წარმოადგენს ხარვეზს კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილ გარანტიებთან მიმართებით, რაც სასამართლოს განმარტებით გულისხმობს ასევე თვითმხილების საწინააღმდეგო პრივილეგიის შესახებ შეტყობინების უფლებას. წინამდებარე საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხარვეზია ის, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა სამართლებრივი დახმარების შესაძლებლობა, რა



დროსაც მას შეეძლო მიეღო ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ და მთავრობამ ვერ შეძლო წარედგინა ამის დამასაბუთებელი მტკიცებულება.

304. მონმის ჩვენების დასაშვებობა რეგულირდებოდა პოლიციისა და სისხლის სამართლებრივი მტკიცებულების აქტის 76-ე და 78-ე მუხლებით. კერძოდ, 76-ე მუხლი ავალდებულებდა მოსამართლეს დარწმუნებულიყო გონივრულ ეჭვს მიღმა, რომ ჩვენება არ იყო მოპოვებული ზენოლის შედეგად. სასამართლოზე განმცხადებელმა სადავოდ გახადა ჩვენების დასაშვებობა აღნიშნული დებულებების საფუძველზე. მონმის წინასწარი დაკითხვა ჩატარდა იმისთვის, რათა მოსამართლეს შეემონებინა ის გარემოებები, რომელშიც მოპოვებული იყო ჩვენება და მიეღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, იქნებოდა თუ არა უსამართლო აღნიშნული ჩვენების დაშვება პროცესზე. სასამართლო განხილვაზე მოისმინეს იმ პოლიციის ოფიცრების ჩვენება, რომლებმაც ჩაატარეს დაკითხვა და მეოთხე განმცხადებლის ადვოკატი გამოვიდა სიტყვით. პირველი ინსტანციის მოსამართლის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ დაკითხვის დროს ადგილი ჰქონდა ზენოლას ან პოლიციელების მხრიდან განხორციელდა ან ითქვა ისეთი რამ, რის შედეგადაც განცხადება არასანდო იქნებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ მეოთხე განმცხადებელმა „თავისუფლად მიიღო“ მონმის ჩვენება მას შემდეგ, რაც გაეცნო მის პროცედურულ უფლებებს და მიიღო სამართლებრივი დახმარება. მოსამართლემ დაასკვნა, რომ დაცვა შეძლებდა ყველა იმ საკითხის წამოჭრას, რომელიც დაკავშირებული იყო მონმის ჩვენებასთან ნაფიცი მსაჯულების წინაშე და ნაფიცი მსაჯულები მიიღებდნენ სათანადო მითითებებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მიდგომოდნენ მონმის ჩვენებებს. პროკურატურის მტკიცებულების ბოლოს, მეოთხე განმცხადებელმა მოითხოვა პროცესის შეჩერება იმ საფუძველით, რომ მონმის ჩვენების დაშვება პროცესს უსამართლოდ წარმოაჩენდა. პირველი ინსტანციის მოსამართლემ კვლავ შეამონმა ის გარემოებები, რომელშიც მოპოვებულ იქნა მონმის ჩვენება. მისი თქმით, როდესაც მეოთხე განმცხადებელი გახდა ბრალდებული, მას შეეძლო უარი განეცხადებინა მანამდე მიცემულ ჩვენებებზე, თუმცა ის ასე არ მოქცეულა. ამის ნაცვლად, ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ, მან აღიარა მონმის ჩვენება; მართლაც, მისი დაცვა სასამართლოზე ეფუძნებოდა იმას, რაც მან უამბო პოლიციას აღნიშნულ ჩვენებაში. გასაკვირია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, არ გაიზიარა პოლიციის უფროსი ოფიცრის მტკიცებულება, რომელმაც სანქცირება გასცა მონმის დაკითხვის გაგრძელებაზე. ზეპირი მტკიცებულების არარსებობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნიშნავდა იმას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ მიეცა შესაძლებლობა გაერკვია გადაწყვეტილების საფუძველები და განესაზღვრა, განხორციელდა თუ არა ყველა რელევანტური ფაქტორის შეფასება. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან გადაწყვეტილების საფუძველები არ დარეგისტრირდა წერილობით ფორმაში.

305. მეოთხე განმცხადებელს შეეძლო სადავოდ გაეხადა მოწმის ჩვენება მისი უსამართლობის გამო ნათესი მსაჯულების წინაშე შესაბამისი არგუმენტების წარდგენით და მიემართა მათთვის თხოვნით, არ მიეღოთ ჩვენება მხედველობაში. მეოთხე განმცხადებელმა არჩია, არ მიეცა ჩვენება სასამართლოში, რისი უფლებაც ჰქონდა და მისი საქმე წარდგენილი იყო სხვა მოწმეების ჯვარედინი დაკითხვისას და ადვოკატის მხრიდან გაკეთებული განცხადებების დროს. მეოთხე განმცხადებელს ასევე შეეძლო წარედგინა მისი არგუმენტები მოწმის ჩვენების სააპელაციო სასამართლოში დაშვებასთან დაკავშირებით. სასამართლომ გულდასმით შეამოწმა, თუ როგორ მიუდგა პირველი ინსტანციის მოსამართლე მისი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას და დაასკვნა, რომ მას უფლება ჰქონდა გამოეცხადებინა მტკიცებულება დასაშვებად. როგორც ზემოთ აღინიშნა, გადაწყვეტილების წერილობით დაუფიქსირებლობა ან მეოთხე განმცხადებლისთვის სამართლებრივ დახმარებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზეზების ზეპირად განუხილველობა გულისხმობდა, რომ სააპელაციო სასამართლოს არ შეეძლო ამ მიზეზების გადასინჯვა და იმის დადგენა, იყო თუ არა სათანადოდ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილება.

306. მტკიცებულების ხარისხსა და მისი მოპოვების გარემოებებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლის დასკვნით, მეოთხე განმცხადებლის შევიწროება პოლიციის განყოფილებაში არ მომხდარა. მან განმარტა, რომ არათფერი გაკეთებულა ან თქმულა ისეთი, რაც ჩვენებას არასანდოს გახდიდა. აღსანიშნავია, რომ განმცხადებელმა არ მოითხოვა შემდგომ დაკითხვებში თავის ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ, რომ მისი ჩვენება იყო არასწორი ან გაკეთდა ისეთ გარემოებებში, რომლებიც უტოლდებოდა იძულებას. მას შემდეგ, რაც ადვოკატმა აცნობა განმცხადებელს შესაძლო მოქმედებების არჩევანის შესახებ, მას არ უცდია მისი ჩვენების უკან წაღება, ამის ნაცვლად განმცხადებელმა დააფუძნა მისი დაცვა სასამართლოში აღნიშნულ ჩვენებაზე. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ მეოთხე განმცხადებლის ჩვენება უტოლდებოდა აღიარებას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მნიშვნელობის ფარგლებში და მიუხედავად სხვადასხვა თვითგამამართლებელი კომენტარებისა, წარმოადგენდა თვითმამხილებელ განცხადებას წინამდებარე სასამართლო პროცესისთვის. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჩვენება მიღებულ იქნა ეთიკის კოდექსის დარღვევით - მას არ შეატყობინეს სამართლებრივი დახმარებისა ან ბრალდებულის მიერ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არ მიცემის უფლების შესახებ. პოლიციის ოფიცრების მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად განმცხადებელი შეცდომაში შევიდა დაკითხვის დროს მის ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებით.

307. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ბრალდების საქმე ძირითადად ეფუძნებოდა მოწმის ჩვენებებს. არც პირველი ინსტანციის მოსამართლეს და არც სააპელაციო სასამართლოს არ გაუკეთებია კომენტარი მოწმის ჩვენების მნიშვნელობასთან დაკავშირებით საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებასთან მიმართებით. სასამართლო ეთანხმება მეოთხე განმცხადებელს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენება წარმოადგენდა ბრალდების მხარის მნიშვნელოვან ნაწილს. ჩვენებაში განმცხადებელმა აღიარა, რომ მან შეიტყარა ბ-ნი ოსმანი რამდენიმე დღით, ბ-ნმა ოსმანმა უამბო მისი მონაწილეობის შესახებ 21 ივლისის თავდასხმაში, მიიღო ინფორმაცია სხვა თავდამსხმელების შესახებ ბ-ნი ოსმანისგან, გადასცა ბ-ნ ოსმანს ტანსაცმელი და შეიტყო ბ-ნი ოსმანის ევროსტარზე გამგზავრების შესახებ. უდავოა, რომ ეს განცხადებები იყო მთავარი განმცხადებლის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებში.

308. ბრალდება ასევე დაეყრდნო საქმის სხვა მტკიცებულებას. ის ფაქტი, რომ მეოთხე განმცხადებელი შეხვდა ბ-ნ ოსმანს, ორივე დაბრუნდნენ ერთად მეოთხე განმცხადებლის ბინაში და შემდეგ ბ-ნი ოსმანი გაჩერდა იქ სამი დღის განმავლობაში, მტკიცდება სათვალთვალო კამერების ჩანაწერით, რომელშიც ჩანს, როგორ შეხვდნენ აღნიშნული პირები და წავიდნენ მეოთხე განმცხადებლის ბინისკენ. მტკიცებულებით პოლიციის სათვალთვალო კამერიდან ჩანს, რომ სამი კაცი მიდის განმცხადებლის სახლიდან სამი დღის შემდეგ. მობილური ტელეფონის ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ბ-ნმა ოსმანმა განახორციელა სატელეფონო ზარები მეოთხე განმცხადებლის ბინაში. ბრალდება დაეყრდნო გაზეთს, რომელიც ასახავდა თავდასხმების შესახებ სტატიას, მათ შორის, ბრალდებულების სურათებს. ასევე მოცემული იყო მეოთხე განმცხადებლის თითის ანაბეჭდები იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ მან იცოდა თავდასხმებისა და ბ-ნი ოსმანის თავდასხმაში აშკარა მონაწილეობის შესახებ. ბრალდებამ ასევე განაცხადა, რომ მეოთხე განმცხადებელმა გაუწია მნიშვნელოვანი დახმარება ბ-ნ ოსმანს, იმ დახმარების გარდა, რომელიც მან აღიარა თავის ჩვენებაში. ამრიგად, ბრალდების მხარემ წარადგინა ბ-ნ ვაჰბი მოჰამედთან შეხვედრის სათვალთვალო კამერით გადაღებული კადრები, რომლის დროსაც ბ-ნმა ვაჰბმა მიანოდა მეოთხე განმცხადებელს ვიდეოკამერა ბ-ნი ოსმანისთვის გადასაცემად. ბრალდების მხარემ ასევე აღნიშნა, რომ მეოთხე განმცხადებელი შეხვდა ბ-ნ შერიფს და გამოართვა პასპორტი, რომლის მეშვეობით ბ-ნი ოსმანი შეძლებდა გაერთიანებული სამეფოს დატოვებას და წარადგინა ორ კაცს შორის სატელეფონო კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულება და სატელეკომუნიკაციო ანძის ჩანაწერი, რომელიც ადასტურებდა შეხვედრის ფაქტს. ბ-ნმა შერიფმა მისცა ჩვენება, რომ მეოთხე განმცხადებელმა გამოართვა მას პასპორტი. ბ-ნმა ოსმანმა მისცა ჩვენება იმ დროის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომელიც გაატარა მეოთხე განმცხადებლის სახლში და იმ დახმარებასთან დაკავშირებით, რომელიც მიიღო იქ ყოფნის დროს. მან აღნიშნა, რომ მეოთხე განმცხადებელი წავიდა ვატერლოოს

სადგურში მისთვის ევროსტარის ბილეთის დასაჯავშნად, რაც დაცვის მხარეს სადავოდ არ გაუხდია. და ბოლოს, არსებობდა განმცხადებლის მიერ 30 ივლისსა და 1 აგვისტოს გაკეთებული განცხადებები პოლიციის მიერ მისი დაპატიმრებისა და სამართლებრივი დახმარების მიღების შემდეგ.

309. ფაქტია, რომ მონმის ჩვენებაში ასახული იყო ის, თუ რა მოხდა მნიშვნელოვანი პერიოდის დროს. თავად ეს ჩვენება გახდა იმის საფუძველი, თუ რატომ იქცვა პოლიციამ მეოთხე განმცხადებლის ჩართულობა სისხლის სამართლის დანაშაულში. ჩვენებამ პოლიციას ის ძირითადი სურათი მისცა, რომელსაც საქმე დაეფუძნა და სხვა მამხილებელი მტკიცებულების ძიების საჭიროება დააყენა. სასამართლომ დაასკვნა, რომ ბრალდების ვერსიაში განცხადების ცენტრალური პოზიციის გათვალისწინებით, ის შეიძლება მივიჩნიოთ იმ დამაჯერებელი მტკიცებულების განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილად, რომელსაც მსჯავრდება დაეფუძნა.

310. ნაფიცო მსაჯულებისთვის გაკეთებულ შეჯამებაში, პირველი ინსტანციის მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა იმ დარღვევებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მეოთხე განმცხადებლის დაკითხვისას და მონმისთვის ჩვენების ჩამორთმევისას. მან შეაჯამა მეოთხე განმცხადებლის ჩვენების სადავოობა და განუმარტა ნაფიცო მსაჯულებს, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ არ მიეღოთ მხედველობაში ჩვენება, თუ მიიჩნევენ, რომ ის იქნა მოპოვებული ისეთი ქმედების თუ კომენტარის შედეგად, რაც მის უნდობლობას გამოიწვევდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ მიაჩნდათ, რომ განცხადება იყო ან შესაძლოა მართალი ყოფილიყო. მნიშვნელოვანია, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა მიიღონ მითითება ჩვენების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, თუ ისინი იზიარებენ იმას, რომ ჩვენება გარეშე გავლენის გარეშე იყო მიცემული, ასევე მეოთხე განმცხადებელი იტყოდა იმავეს იმ შემთხვევაშიც თუ სწორი პროცედურა იქნებოდა დაცული და ჩვენება უტყუარი იქნებოდა. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლის მითითებების შედეგად ნაფიცმა მსაჯულებმა მიიღეს გადაჭარბებული დისკრეციული უფლებამოსილება, ჩვენებისა და მისი დამაჯერებლობის გასათვალისწინებლად, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ის იყო მოპოვებული სამართლებრივი დახმარებისა და მეოთხე განმცხადებლისთვის მისი ღუმლის უფლების გაცნობის გარეშე.

311. როგორც აღნიშნა მეოთხე განმცხადებელმა, დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს საკუთარ საქმეში დანაშაულის ბუნებას. მაშინ, როდესაც დანაშაულები, რომლებისთვისაც ის იყო ბრალდებული არ იყო ისეთი მასშტაბური, როგორც პირველი სამი განმცხადებლის დანაშაულები, ტერორიზმის საფრთხის ნეიტრალიზაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ ეფექტური გამოძიებით, დევნითა და ტერორიზმში მონაწილე პირების დასჯით. თუ გავითვალისწინებთ მაღალ ზღვარს, რომელიც გამოიყენება უსამართლობის პრეზუმციის არსებობისას და



პროცედურული ხარვეზების კუმულაციურ ეფექტს მეოთხე განმცხადებლის საქმეში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობამ ვერ შეძლო დემონსტრირება, რატომ არ დარღვეულა განხილვის სამართლიანობა იმ ფაქტის გამო, რომ მას არ შეატყობინეს მისი უფლებები და შეუზღუდეს სამართლებრივი დახმარება. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1 და 3 (c) პუნქტები მეოთხე განმცხადებლის საქმეში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება სასამართლო საქმეში იმ მასალების ერთადერთი მტკიცებულების სახით გამოყენების შესახებ, რომელიც მოპოვებულ იქნა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით.

იმ შემთხვევებში, როდესაც მტკიცებულება მიჩნეულია მყარად და არ არსებობს მისი არასანდოობის რისკი, არ დგას მტკიცებულების დამატებითი განმტკიცების საჭიროება: დარღვევა არ არის.

### საქმე „ხანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“

CASE OF KHAN v. THE UNITED KINGDOM

განცხადება №35394/97

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2000 წლის 12 მაისი

### ფაქტობრივი გარემოებები

#### 1. საქმის გარემოებები

9. 1992 წლის 17 სექტემბერს განმცხადებელი ჩამოფრინდა პაკისტანიდან მანჩესტერის აეროპორტში. იმავე რეისით მგზავრობდა მისი ბიძაშვილი ნ. ორივე მამაკაცი გააჩერეს და შეამოწმეს საბაჟოს თანამშრომლებმა. ნ-ს თითქმის 100 000 ფუნტი სტერლინგის ღირებულების ჰეროინი უპოვეს. ნ. დაკითხეს, შემდგომ დააპატიმრეს და ბრალი წაუყენეს. ასევე დაკითხეს განმცხადებელ, რომელსაც ვერ აღმოუჩინეს ნარკოტიკული ნივთიერებები და დანაშაული არ აღიარა. განმცხადებელი გაათავისუფლეს ბრალის წაყენების გარეშე. 1993 წლის 26 იანვარს განმცხადებელი ესტუმრა მის მეგობარ ბ-ს შეფილდში. ბ-ს მიმართ წარმოებდა გამოძიება ჰეროინით ვაჭრობასთან დაკავშირებით. 1993 წლის 12 იანვარს ბ-ს შენობაზე მოსასმენი აპარატურის დამონტაჟება ავტორიზებულ იქნა სამხრეთ იორკშირის პოლიციის უფროსის მიერ იმ საფუძვლებით, რომ თვალთვალის კონსერვატიული მეთოდები არ გამოდგებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ იგი ნარკოტიკებით ვაჭრობდა. მოულოდნელი და არაპროგნოზირებადი იყო, რომ განმცხადებელი ესტუმრა ამ შენობას. არც ბ-მ და არც განმცხადებელმა არ იცოდნენ მოსასმენი მონყობილობის შესახებ, რომელიც პოლიციის მიერ იქნა დამონტაჟებული.

10. ამ მოსასმენი მონყობილობის საშუალებით პოლიციამ მოიპოვა საუბრის ჩანაწერი, სადაც განმცხადებელმა აღიარა, რომ 1992 წლის 17 სექტემბერს ნ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალებების იმპორტში მონაწილეობდა. 1993 წლის 11 თებერვალს განმცხადებელი

დააპატიმრეს. დაკითხვისას კვლავ არ აღიარა ბრალი, თუმცა მოგვიანებით მას და 6-ს ერთად წაუყენეს ბრალი საბაჟო და აქციზის მართვის შესახებ 1979 წლის კანონისა და ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენების შესახებ 1991 წლის აქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის და გადაცეს სასამართლოს.

11. 1993 წლის დეკემბერში ჩატარდა სასამართლო პროცესი. განმცხადებელმა თავი დამნაშავედ არ ცნო. განმცხადებელმა აღიარა, რომ შეფილდში მითითებულ მისამართზე იყო და ფირზე ჩანერილთაგან ერთ-ერთი მისი ხმა იყო. სახელმწიფო ბრალდების სახელით მიჩნეულ იქნა, რომ მოსასმენი მონყობილობის დამაგრება წარმოადგენდა სამოქალაქო სამართალდარღვევას და საკუთრების ხელშეუხებლობის უფლებას ლახავდა. აქედან გამომდინარე, მოსამართლემ დაკითხა მოწმე ფირზე ჩანერილი საუბრის მტკიცებულების სახით დასაშვებობაზე (განცხადებები სამართლის საკითხებზე ნაფიცი მსაჯულების არყოფნისას). სახელმწიფო ბრალდება დათანხმდა, რომ აღნიშნულის გარდა განმცხადებლის წინააღმდეგ სადავო საკითხი არ არსებობდა.

12. მოსამართლემ დაადგინა, რომ მტკიცებულება იყო დასაშვები. საბრალდებო აქტის შესწორების მიხედვით, განმცხადებელს ხელახლა წაუყენეს ბრალი და ცნეს დამნაშავედ, რადგან შეგნებულად მონაწილეობდა ჰეროინის იმპორტის აკრძალვისათვის თაღლითურად თავის არიდებაში. 1994 წლის 14 მარტს განმცხადებელს მიესაჯა 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

## I. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

29. განმცხადებელი ასევე ამტკიცებს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას იმ საფუძველზე, რომ მის საქმეში კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული მასალების ერთადერთი მტკიცებულების სახით გამოყენება არ შეესაბამებოდა მე-6 მუხლით გათვალისწინებული „სამართლიანი სასამართლო განხილვის“ მოთხოვნებს. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, შემდეგს:

„ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას... ყველას აქვს მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება . . .“

34. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მისი მოვალეობა კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, არის კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა. კერძოდ, მის ფუნქციებში არ შედის ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომების განხილვა, რომლებიც სავარაუდოდ დაშვებულ იქნა ეროვნული სასამართლოების მიერ, გარდა აღნიშნული შემთხვევისა,

რამდენადაც მათ შეეძლოთ დაერღვიათ კონვენციით დაცული უფლებები და თავისუფლებები. როდესაც მე-6 მუხლი იძლევა სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიებს, არ აწესებს რაიმე წესს ან მტკიცებულების დასაშვებობის წესებს, რაც ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანს წარმოადგენს (იხ. შენკის *გადანყვეტილება*, გვ. 29, §§ 45-46 და *ტეესეირა დე კასტრო პორტუგალიის წინააღმდეგ*, 1998 წლის 9 ივნისი, ანგარიშები 1998-IV, გვ. 1462, § 34). სასამართლოს ფუნქცია არ არის განსაზღვროს მტკიცებულების კონკრეტული სახეები, მაგალითად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება დასაშვებია თუ არა, ან იყო თუ არა განმცხადებელი დამნაშავე. კითხვა, რომელსაც სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს არის შემდეგი: იყო, თუ არა სასამართლო პროცესები მთლიანობაში სამართლიანი, იმ საშუალების გათვალისწინებით, რომლითაც მოპოვებულ იქნა მტკიცებულებები. აღნიშნული მოიცავს „უკანონობის“ შესწავლას და აღმოჩენილი დარღვევის ხასიათის დადგენას, როდესაც სახეზეა კონვენციით დაცული სხვა უფლების დარღვევა.

35. სასამართლო აღნიშნავს, რომ *შენკის* საქმეში განმცხადებელი ჩიოდა, რომ შვეიცარიის კანონმდებლობის დარღვევით მისი 3-სთან საუბრის ჩანერა და მტკიცებულების სახით გამოყენება საქმეში ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს. სასამართლომ თავის გადანყვეტილებაში სადავოდ არ მიიჩნია, რომ თავად ჩანანერი შვეიცარიის კანონმდებლობის დარღვევით იქნა მოპოვებული და აღნიშნული აღიარებულ იქნა შვეიცარიის სასამართლოების მიერ. სასამართლომ დაადგინა, რომ არ შეეძლო „პრინციპულად და ზოგადად გამოერიცხა, არსებული სახის უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა“ (გვ. 29, § 46) და მის ფუნქციებში შედიოდა მხოლოდ იმის დადგენა, იყო თუ არა განმცხადებლის სასამართლო პროცესი მთლიანობაში სამართლიანი. იმ დასკვნის გაკეთებისას, რომ მტკიცებულების სახით არსებული სადავო ჩანანერი არ ართმევდა განმცხადებელს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ დაცვის უფლებები არ იქნა უგულებელყოფილი: განმცხადებელს მიეცა შესაძლებლობა, რომელიც მან გამოიყენა, რათა გაეპროტესტებინა ჩანანერის ავთენტურობა და დაპირისპირებოდა მის გამოყენებას, შეემონებინა პ. და გამოეძახებინა პოლიციის ინსპექტორი, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ჩანანერის გაკეთების პროვოცირებაზე. სასამართლომ მოგვიანებით „მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ სატელეფონო საუბრის ჩანერა არ იყო ერთადერთი მტკიცებულება, რომელსაც ბრალდება დაეფუძნა“ (გვ.29-30, § 48).

36. სასამართლო დასაწყისიდანვე აღნიშნავს, რომ *შენკის* საქმეში გამოყენებული პოზიციის საწინააღმდეგოდ, მოსასმენი მოწყობილობების დამონტაჟება და განმცხადებლის საუბრის ჩანერა უკანონო არ იყო ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. განსაკუთრებით, როგორც ლორდი ნოლანი ასკვნის, ინგლისის სამართლის მიხედვით ზოგადად არაფერია უკანონო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევაში. უფრო მეტიც, როგორც შემდგომ აღინიშნა, არ



არსებობდა მითითება, რომ მოსასმენი მონყობილობების დამონტაჟებისას პოლიცია მოქმედებდა სხვაგვარად, ვიდრე აღნიშნული შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმძღვანელო პრინციპებით იყო განსაზღვრული. დამატებით, როგორც ლორდთა პალატამ დაადგინა, ბ-სთან საუბრისას განმცხადებლის მიერ გაკეთებული განცხადებები ნებაყოფლობითი ხასიათის იყო, არ მომხდარა დანაშაულის წაქეზება მისი მხილების მიზნით და არავის განუხორციელებია განმცხადებელზე ზეწოლა, რომ ამ სახის აღიარება მიეცა. მოცემულ საქმეში გათვალისწინებულია იმ საჩივრის „უკანონობაც“, რომელიც ექსკლუზიურად უკავშირდება ფაქტს, რომ არ არსებობდა კანონით დადგენილი უფლებამოსილება განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩასარეგად, შესაბამისად, ასეთი ჩარევა არ შეესაბამებოდა კანონს“, კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.

37. სასამართლო შემდეგ აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში გასაჩივრებული მასალა იყო ერთადერთი მტკიცებულება განმცხადებლის წინააღმდეგ და განმცხადებლის განცხადება ბრალის აღიარების შესახებ ეფუძნებოდა მოსამართლის გადაწყვეტილებას, რომ მტკიცებულება დასაშვებად უნდა ყოფილიყო ცნობილი. თუმცა, მტკიცებულების არსებობის შესაბამისობა, გასაჩივრებული საკითხის გარდა, ეფუძნება საქმის გარემოებებს. მოცემულ სიტუაციაში, როდესაც ფირი მიჩნეულ იქნა უტყუარ მტკიცებულებად და რამდენადაც არ არსებობდა მათი არასაიმედოდ მიჩნევის რისკი, მტკიცებულების მხარდაჭერის საჭიროება შესაბამისად სუსტია. მართალია, *შენკის* საქმეში სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ ფირზე ჩანანერი იმ საქმეში არ იყო განმცხადებლის წინააღმდეგ არსებული ერთადერთი მტკიცებულება. თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ *შენკის* საქმეში მოცემული ჩანანერი, არ ყოფილა ერთადერთი მტკიცებულება, ვაუდის კანტონის სასამართლოს სისხლის სამართლის კასაციის განყოფილების მიერ მიჩნეულ იქნა როგორც „სისხლის სამართლის პროცესის შედეგებზე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ან სულ ცოტა, მნიშვნელოვან მტკიცებულებად“ (წ 28, გვ.19-22). უფრო მეტიც, ეს ელემენტი სასამართლოს დასკვნაში გადამწყვეტი ფაქტორი არ ყოფილა.

38. ძირითადი საკითხი მოცემულ საქმეში არის ის, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი. კერძოდ, სადავო ფირზე ჩანანერის დასაშვებობაზე მითითებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ *შენკის* საქმეში, განმცხადებელს ჰქონდა საკმარისი შესაძლებლობა გაეპროტესტებინა როგორც ჩანანერის ავთენტურობა, ასევე მისი გამოყენება. მას არ გაუპროტესტებია მისი ავთენტურობა, მაგრამ გააპროტესტა მისი გამოყენება ნაფიცი მსაჯულების წინაშე და შემდეგ - სააპელაციო სასამართლოსა და ლორდთა პალატის წინაშე. სასამართლო აღნიშნავს, რომ იურისდიქციის თითოეულ დონეზე ეროვნულმა სასამართლოებმა შეაფასეს მტკიცებულების დასაშვებობის გავლენა სასამართლო პროცესის სამართლიანობაზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) 78-ე ნაწილზე მითითებით და სასამართლოებმა სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს დაკვირვების არაკანონისმიერი საფუძველი. ის ფაქტი, რომ განმცხადებელი თითოეული ნაბიჯის გადადგმისას წარუმატებელი იყო, არაფერს არ ცვლის (გვ. 29, წ 47).

39. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულ სასამართლოებს მტკიცებულების დასაშვებობა არსებითი უსამართლობის გამომწვევ მიზეზად რომ მიეჩნიათ, მათ უნდა ჰქონოდათ მისი დაუშვებლად ცნობის დისკრეცია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 78-ე ნაწილის მიხედვით.

40. ამ შემთხვევებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის სასამართლო პროცესზე ფარულად ჩანერილი მასალის გამოყენება არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანობის მოთხოვნებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის განჩინება დასაშვებობის შესახებ, ნათეც მსაჯულთა შემადგენლობის მიუკერძოებლობის თაობაზე. თხუთმეტი ნათეცი მსაჯულიდან ერთი ბრალდების ერთ-ერთი მოწმის თანამშრომელი იყო: დარღვევა არ დადგინდა

**საქმე „პულარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“**

**CASE OF PULLAR v. THE UNITED KINGDOM**

**განაცხადი № 22399/93**

**განჩინება**

**სტრასბურგი**

**1996 წლის 10 ივნისი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელი, ბრიტანთის მოქალაქე რობერტ პულარი დაიბადა 1949 წლის 9 ოქტომბერს. მსჯავრის დადებამდე, იგი შოტლანდიაში ადგილობრივ ხელისუფლებაში რეგიონული საბჭოს წევრად იყო არჩეული.

### **სამართალი**

#### **კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა**

#### **მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, ცალკე აღებული**

28. ბ-ნი პულარის განცხადებით, ბ-ნი ფორსაიტის წევრობა ნათეც მსაჯულთა შემადგენლობაში, რომელიც არის ორი ბრალდების მოწმეთაგან ერთ-ერთის დასაქმებული, ნიშნავს რომ მისი საქმე არ განიხილება „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რომელიც, განსახილველი საქმის ნაწილში ითვალისწინებს შემდეგს:

„...წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... საქმის სამართლიანი ... და ღია განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...“

29. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი - დავის საგანი არ გამხდარა, რომ წინამდებარე საქმე ეხებოდა „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ განსაზღვრას და რომელზეც შესაბამისად, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდებოდა. ანალოგიურად, საერთო საფუძველი, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ, რომელმაც მსჯავრი დასდო ბ-ნ პულარს, ჩამოყალიბდა, როგორც მხარე - „სასამართლო“, იმავე მუხლის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საჭიროა დადგინდეს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა წარმოადგენს თუ არა „დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ“ სასამართლოს. სასამართლო მიიჩნევს, რომ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის არსი ერთმანეთთან ახლო კავშირშია, მაგრამ ამ საქმეში უფრო მართებული იქნებოდა განხილულიყო განმცხადებლის განაცხადი მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

30. სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში კარგად არის ჩამოყალიბებული, რომ მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არსებობს მიუკერძოებლობის მოთხოვნის ორი ასპექტი. პირველი, სასამართლო უნდა იყოს სუბიექტურად მიუკერძოებელი, ე.ი. სასამართლოს არც ერთი წევრს არ უნდა ჰქონდეს რაიმე პირადი მიკერძოებელი აზრი ან ტენდენცია. პიროვნული მიუკერძოებლობა მოიაზრება იქამდე, სანამ ამის საპირისპირო არ დამტკიცდება. მეორე, სასამართლო ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისითაც, ე.ი. ის უნდა გვთავაზობდეს საკმარის გარანტიებს, რათა გამოირიცხოს ლეგიტიმური ეჭვი ამ კუთხით.

31. პირველ ასპექტთან დაკავშირებით, განმცხადებელმა აღიარა, რომ არ არსებობდა პიროვნული მიკერძოებულობის ხელმისაწვდომი მტკიცებულება ნაფიცი მსაჯულის, ბ-ნ ფორსაიტის მხრიდან. თუმცა, მან სთხოვა სასამართლოს უგულვებლყო სუბიექტური მიუკერძოებლობის მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით 1980 წლის სამართლის რეფორმის აქტის კომბინირებული მოქმედების გამო, რომელიც, როგორც ის ირწმუნებოდა, კრძალავს ნებისმიერ გამოძიებას იმ საქმეებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა ოთახში და ფაქტებზე, რომ გაერთიანებული სამეფოს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობები, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობები, არ იძლევიან საკუთარი ვერდიქტის დასაბუთებას. შედეგად, არ არსებობდა რაიმე რეალური ან სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემდა მოეტანა რაიმე მტკიცებულება ამ მოსაზრების უარსაყოფად.

32. პრინციპი, რომ სასამართლო უნდა მოიაზრებოდეს, როგორც პიროვნული ტენდენციურობისაგან ან მიკერძოებისაგან თავისუფალი, დიდი ხნის დამკვიდრებულია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. იგი ასახავს კანონის უზენაესობის მნიშვნელოვან ელემენტს, კერძოდ კი, იმას, რომ სასამართლოს ვერდიქტი უნდა იყოს



საბოლოო და სავალდებულო ხასიათის, თუ ზემდგომი სასამართლო არ გააუქმებს დარღვევის ან უსამართლობის საფუძველზე. აღნიშნული პრინციპი უნდა ვრცელდებოდეს სასამართლოს ყველა ფორმაზე, ნათუც მსაჯულთა შემადგენლობის ჩათვლით. თუმცა ზოგიერთ საქმეში, და გარკვეულწილად წინამდებარე საქმეშიც, შესაძლოა რთული იყოს მტკიცებულების მიღება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მოსაზრების უარყოფა, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა უზრუნველყოფს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარანტიას.

33. რაც შეეხება მეორე მოთხოვნას, განმცხადებლის მტკიცებით, რომ გარემოებები, რომელიც მის საქმეში ბ-ნ ფორსაიტის ნათუც მსაჯულად არჩევას ახლდა, ობიექტური დამკვირვებლის თვალში სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვს გამოიწვევდა. აღნიშნული მტკიცების გასამყარებლად მან მიუთითა ფაქტებზე, რომ ბ-ნ ფორსაიტი და ბ-ნ მაკლარენი საკმაოდ შენუხებულნი იყვნენ, რომ მათმა ურთიერთობამ შერიფი კლერკის ყურადღება არ მიექცია და რომ უმაღლესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ აღნიშნული კავშირის შესახებ შერიფისთვის ცნობილი რომ გამხდარიყო სასამართლო პროცესის მსვლელობისას, ბ-ნ ფორსაიტი შესაძლოა გაეთავისუფლებინათ ნათუც მსაჯულთა შემადგენლობიდან. ამგვარად, დაცვის მხარემ ვერ ისარგებლა კუთვნილი უფლებით გაეპროტესტებინა ბ-ნ ფორსაიტის მონაწილეობა შერიფი კლერკის მიერ შესაბამისი პირებისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო. აქედან გამომდინარე, საფუძვლიანი იყო ვარაუდი, რომ ბ-ნ ფორსაიტს ბ-ნ მაკლარენის ნდობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული აზრი ჰქონდა სასამართლო პროცესამდე, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი მუშაობდნენ ერთსა და იმავე ფირმაში. ამასთან ერთად, ბ-ნ მაკლარენმა თავის განცხადებაში დაამოწმა, რომ ბრალდებები ბ-ნ პულარის წინააღმდეგ „ოფისში საუბრის თემა უნდა ყოფილიყო“.

34. კომისია ასევე ემხრობოდა აზრს, რომ არსებობდა დასაბუთებული საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლო იყო სასამართლოს მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანა. მან საყურადღებოდ მიიჩნია ფაქტი, რომ ბ-ნ ფორსაიტი შესაძლოა გაეთავისუფლებინათ ნათუც მსაჯულთა სასამართლოდან, შერიფისთვის რომ ცნობილი ყოფილიყო ბ-ნ მაკლარენის და მისი კავშირის შესახებ. სასამართლო ასევე დაეთანხმა განმცხადებელს, რომ ობიექტურ დამკვირვებელს შესაძლოა ევარაუდა, რომ ბ-ნ ფორსაიტს უფრო მეტი აკავშირებდა ბ-ნ მაკლარენთან, ვიდრე შემთხვევითი ნაცნობობა, რადგან იგი იმავე პატარა ფირმაში მუშაობდა ორ წელზე მეტი ხნის მანძილზე, სადაც ბ-ნ მაკლარენი. თუმცა ბ-ნ ფორსაიტი იმ თხუთმეტ ნათუც მსაჯულთაგან ერთადერთი იყო, ვის ზეგავლენასაც შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა, და მას შეეძლო

შერიფი კლერკის უმოქმედობა მიელო, როგორც ტაქტიკური ნებართვა, რომ იგი თავის წარსულ ნაცნობობას დაყრდნობოდა.

35. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ფაქტი, რომ ბ-ნ ფორსაიტი მუშაობდა იმავე ფირმაში, სადაც ბ-ნ მაკლარენი, თავისთავად არ იყო საკმარისი საფუძველი ლეგიტიმური ეჭვის გაჩენისთვის სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელი იყო, რომ ბ-ნ ფორსაიტი იკავებდა დაბალ თანამდებობას ფირმაში, არ მუშაობდა აღნიშნულ პროექტზე და, როგორც მან განუცხადა შერიფ კლერკს, პირადად არ იცნობდა ორ ბრალდებულს და არ იცოდა საქმის გარემოებების შესახებ. გარდა ამისა, ბ-ნ ფორსაიტი თხუთმეტიდან მხოლოდ ერთი ნაფიცო მსაჯული იყო. თითოეული ნაფიცო მსაჯულს ფიცი ჰქონდა დადებული, რომ გამოეტანა ვერდიქტი სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად. სასამართლო პროცესის დამთავრებისას შერიფმა მითითება მისცა მათ, რომ ვერდიქტი გამოეტანათ მოსმენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, და რომ უნდა არსებობდეს მტკიცებულებებზე ორი ან მეტი წყარო, რაც გულისხმობდა იმას, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა დამნაშავედ ცნობის შესახებ განაჩენის გამოტანამდე, არ არსებობდა საფუძველი ვარაუდისთვის რომ ბ-ნ-მა ფორსაიტმა ან სხვა რომელიმე ნაფიცო მსაჯულმა უგულებელყო დადებული ფიცი ან შერიფის მითითებები.

36. სასამართლოს აზრით და ასევე როგორც იუსტიციის უმაღლესმა სასამართლომ აღნიშნა გადამწყვეტ ფაქტორს არ წარმოადგენდა ის, რომ შერიფი სავარაუდოდ დაითხოვდა ბ-ნ ფორსაიტს ნაფიცო მსაჯულთა შემადგენლობიდან, ბ-ნ ფორსაიტის და ბ-ნ მაკლარენის ურთიერთობის შესახებ რომ სკოდნოდა. ბუნებრივია, რომ სხდომის თავმჯდომარე უნდა ისწრაფოდეს ნაფიცო მსაჯულთა შემადგენლობა ისე უზრუნველყოს, რომ იგი ყველა ბრალდებაზე მალე იდგეს, ყოველთვის როცა ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია, სასამართლო პროცესამდეც ან მისი მსვლელობისასაც. თუმცა, რადგან სასამართლო დამთავრდა და ვერდიქტიც უკვე გამოტანილი იქნა, არსებითი განხილვის საგანი გახდა თუ რამდენად მძიმე დარღვევა იყო, ბ-ნ ფორსაიტის უწყვეტი ყოფნა ნაფიცო მსაჯულთა შემადგენლობაში იმისათვის, რომ ვერდიქტის გაუქმება გაემართლებინა. აქედან გამომდინარე, არათფერი რჩება გარდა იმისა, რომ განხილულ იქნეს ხარვეზი, რომელმაც საფუძველი დაუდო ლეგიტიმურ ეჭვს სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, გამოწვეული იყო თუ არა მისი ნაფიცო მსაჯულთა შემადგენლობის წევრობით.

37. საჭიროა იმის შეხსენებაც, რომ ბ-ნ პულარის ეჭვი სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირების დაფუძნებული იყო იმ ფაქტზე, რომ ნაფიცო მსაჯულთა ერთი წევრი, ბ-ნ ფორსაიტი დასაქმებული იყო იმავე ფირმაში, სადაც ბრალდების მოწმე, ბ-ნ მაკლარენი პარტნიორი იყო. გასაგებია, რომ ამგვარ კავშირს

შესაძლოა, საფუძველი დაედო გარკვეული მღელვარებისთვის ბრალდებულის მხრიდან. თუმცა, ბრალდებულის მოსაზრება სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირების ვერ იქნებოდა განხილული, როგორც გადამწყვეტი. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ის, შესაძლებელია თუ არა ეს საფრთხე ობიექტურად იქნეს გამართლებული.

38. მიუკერძოებლობის პრინციპი იმ ნდობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა, რასაც სასამართლოები უნდა უნერგავდნენ დემოკრატიულ საზოგადოებას. თუმცა, იგი აუცილებელი არაა გამომდინარეობდეს ფაქტიდან, რომ სასამართლოს წევრი პირადად იცნობს საქმის ერთ-ერთ მოწმეს, რომ მას ჩამოყალიბებული აქვს აზრი იმ პირის ჩვენების სასარგებლოდ. ყოველ ცალკეულ საქმეში აუცილებელია გადანყდეს, აღნიშნული ნაცნობობა არის თუ არა იმ ხასიათის და ხარისხის, რომელიც მიუთითებს მიუკერძოებლობის არარსებობაზე სასამართლოს მხრიდან.

39. წინამდებარე საქმეში, ბ-ნ ფორსაიტი - დაბალი რანგის თანამშრომელი ბ-ნ მაკლარენის ფირმაში, არ მუშაობდა პროექტზე, რომელმაც საფუძველი დაუდო ბ-ნ პულარის წინააღმდეგ ბრალდება და სამსახურიდან გათავისუფლების შეტყობინება გადაეცა სასამართლო პროცესის დაწყებამდე სამი დღით ადრე. აღნიშნული ფაქტებიდან ძნელია იმის გარკვევა, საქმის ობიექტური დამკვირვებელი დაასკვნოდა თუ არა, რომ ბ-ნ ფორსაიტი ბ-ნ მაკლარენის აზრისაკენ იხრებოდა თუ დაცვის მხარის მოწმისკენ.

40. ამასთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ სასამართლომ შესთავაზა არაერთი მნიშვნელოვანი გარანტია. საყურადღებოა, რომ ბ-ნ ფორსაიტი იყო ერთადერთი თხუთმეტ ნაფიც მსაჯულთაგან, რომელიც შეირჩა შემთხვევითობის პრინციპით ადგილობრივი მოსახლეობიდან. ასევე აუცილებელია იმის შესენება, რომ შერიფმა მისცა ნაფიც მსაჯულებს მითითება, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ მიუკერძოებლად შეეფასებინათ ყველა მოწმის სანდოობა, რომლებიც მათ წინაშე გამოვიდა, და რომ ყველა ნაფიცმა მსაჯულმა დადო თანაბარი ძალის მქონე ფიცი.

41. აღნიშნულ ფონზე, ბ-ნ პულარის ვარაუდი იმ სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რომელიც მის საქმეს განიხილავდა, ვერ მიიჩნევა როგორც ობიექტურად გამართლებული.

აქედან გამომდინარე, არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც განმცხადებლის პირველ განაცხადს შეეხება.





ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში კონვენციის მეექვსე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლება.

ეროვნულმა სასამართლოებმა მიიღეს მხოლოდ პოლიციის ვერსიები ფაქტებსა და ბრალდებებთან დაკავშირებით პოლიციის შესაბამისი ანგარიშების თანახმად და უგულებელყვეს განმცხადებლის კონკრეტული, რელევანტური და მნიშვნელოვანი არგუმენტები, რაც დარღვევას წარმოადგენს.

**საქმე „ჰუსეინლი და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ“**

CASE OF HUSEYNLI AND OTHERS v. AZERBAIJAN

განაცხადები N [67360/11](#), N [67964/11](#) და N [69379/11](#)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

11 თებერვალი, 2016 წ.

### **ფაქტობრივი გარემოებები**

2011 წელს აზერბაიჯანში, ბაქოში, ოპოზიციამ არაერთი დემონსტრაცია მოაწყო. განმცხადებლები, რომლებიც მთავარი ოპოზიციური პარტიებისა და ჯგუფების წევრები იყვნენ, მონაწილეობას იღებდნენ აღნიშნულ დემონსტრაციებში, რის გამოც ისინი რამდენჯერმე დააკავეს და სასჯელი მიუსაჯეს. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ 2011 წელს 2 აპრილს დაგეგმილ დემონსტრაციაში; ერთ-ერთი განმცხადებელი ჩართული იყო მის ორგანიზებაში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ არ გასცა დემონსტრაციის ორგანიზების ნებართვა ორგანიზატორების მიერ მითითებულ ადგილას და შესთავაზა მათ საპროტესტო აქცია სხვა ადგილას, ბაქოს გარეუბანში გაემართათ. შსს-მ ორგანიზატორები გააფრთხილა, რომ სამინისტრო აღკვეთდა საპროტესტო აქციის ჩატარების ყველა მცდელობას ბაქოს ცენტრში. მიუხედავად ამისა, მათ მაინც გადაწყვიტეს დემონსტრაციის მოწყობა ბაქოს ცენტრალურ უბანში და ინფორმაცია ამის შესახებ სოციალური ქსელის - ფეისბუქისა და პრესის მეშვეობით გაავრცელეს. დემონსტრაციამდე ორი დღით ადრე სამივე განმცხადებელი დააკავეს, დამნაშავედ ცნეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და შვიდდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს. მათ გაასაჩივრეს სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ უშედეგოდ.

### **სამართალი**

### **III. კონვენციის მეექვსე მუხლის საგარეულო დარღვევა**

102. კონვენციის მეექვსე მუხლის საფუძველზე, განმცხადებლები ასაჩივრებდნენ იმ ფაქტს, რომ საქმე მათ მიერ სავარაუდოდ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით არ იქნა სამართლიანად განხილული სასამართლოს მიერ. კონვენციის მეექვსე მუხლის შესაბამისი ნაწილების თანახმად:

„1. ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების.... განსაზღვრისას, ყველა ადამიანს აქვს საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება გონივრულ ვადაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი წესით. ...

#### ა. დასაშვებობა

103. მიუხედავად იმისა, რომ მეექვსე მუხლის გამოყენება აღნიშნული ადმინისტრაციული საქმის წარმოებასთან მიმართებით არ არის სადავო, სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს ეს საკითხი განიხილოს საკუთარი ინიციატივით. სასამართლო აღნიშნავს, რომ თითოეულ განმცხადებელს შეეფარდა შვიდდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა და სანქცია წმინდა სადამსჯელო ხასიათის იყო. აქედან გამომდინარე, პრეცედენტული სამართლის დასკვნებზე დაყრდნობით, სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართალწარმოება მოცემულ საქმეებზე განმცხადებლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმედ უნდა კლასიფიცირდეს, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული განისაზღვრება ისე, როგორც „ადმინისტრაციული“ (იხ. *ბილიბერბერგი მოლდოვას წინააღმდეგ*, N [61821/00](#), §§30-35, 1 თებერვალი, 2005 წ.; *მენშევა რუსეთის წინააღმდეგ*, N [59261/00](#), §§ 95-98, ECHR, 2006-III; *გალსტიანი სომხეთის წინააღმდეგ*, N [26986/03](#), §§ 56-60, 15 ნოემბერი, 2007 წ. და *ასადბეილი და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ*, N[3653/05](#), N[14729/05](#), N[20908/05](#), N[26242/05](#), N[36083/05](#) და N[16519/06](#), §§ 152-55, 11 დეკემბერი, 2012 წ.).

#### ბ. საქმის არსებითი გარემოებები

##### 1. მხარეთა არგუმენტები

105. განმცხადებლები.....ამტკიცებდნენ, რომ სასამართლოებმა თავიანთი დასკვნები დააფუძნეს მხოლოდ იმ ადმინისტრაციული დანაშაულების ამსახველ ანგარიშებსა და პოლიციის ოფიცრების განცხადებებს, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკითხული ერთადერთი მოწმეები იყვნენ.

##### 2. სასამართლოს შეფასება

110. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მეექვსე მუხლი უზრუნველყოფს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას და სასამართლოს ამოცანაა

დაადგინოს, საქმის წარმოება მთლიანობაში, მათ შორის ის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც მოპოვებულ და განხილულ იქნა მტკიცებულებები, სამართლიანი იყო თუ არა. კერძოდ, მიეცა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა გაესაჩივრებინა მტკიცებულებები და მათ გამოყენებას შენინააღმდეგებოდა; იყო თუ არა დაცული შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპები ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შორის (იხ. *ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [4378/02](#), §§ 88 და 90, 10 მარტი, 2009 წ. და *როუი და დევისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [28901/95](#), § 60, ECHR, 2000-II).

111. კონვენციის 6.3 მუხლის მოთხოვნები განხილულ უნდა იქნეს როგორც 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების კონკრეტული ასპექტები (იხ. *სახნოვსკი რუსეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [21272/03](#), § 94, 2 ნოემბერი, 2010 წ.). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო შეისწავლის საჩივრებს ორივე დებულების საფუძველზე (იხ. *ფ.ს.ბ. იტალიის წინააღმდეგ*, 28 აგვისტო, 1991 წ., §29, სერია A, N 208-B და *პოიტრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 23 ნოემბერი, 1993 წ., §29, სერია A, N277-A). ამასთანავე, სასამართლო შეისწავლის, წინამდებარე განაცხადის სხვადასხვა კონკრეტულ საფუძველს, რათა დაადგინოს, იყო თუ არა საქმის წარმოება მთლიანობაში სამართლიანი (იხ. *ასადბეილი და სხვები*, §130).

#### **(ბ) დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლება**

119. კონვენციის მეცხრამეტე მუხლის თანახმად, სასამართლოს მოვალეობაა უზრუნველყოს კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება. კერძოდ, მისი ფუნქცია არ არის გადაწყვეტოს ფაქტობრივ გარემოებებთან ან კანონთან დაკავშირებული შეცდომები, რომლებიც სავარაუდოდ ჩადენილ იქნა ეროვნული სასამართლოს მიერ მანამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეიძლება დარღვეულიყო კონვენციით დაცული უფლებები და თავისუფლებები (იხ. *შენკი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 12 ივლისი, 1988 წ., §§ 45-46, სერია A, N140 და *ტიეფსიერა დე კასტრო პორტუგალიის წინააღმდეგ*, 9 ივნისი, 1998 წ., §34, ანგარიშები 1998-IV). ამ კონტექსტში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტი - ჰქონდა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა გაესაჩივრებინა მტკიცებულებების ნამდვილობა და მათი გამოყენება. ასევე გასათვალისწინებელია მტკიცებულებების ხარისხი, ასევე მისი მიღების პირობები, აყენებს თუ არა მტკიცებულებების საიმედოობას ან სიზუსტეს ეჭვქვეშ (იხ. *ჯალო გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [54810/00](#), § 96, ECHR, 2006-IX).

120. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, რომელიც მართლმსაჯულების სათანადოდ აღსრულების პრინციპს ასახავს, სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიერ გამოტანილმა გადაწყვეტილებებმა ადეკვატურად უნდა ახსნან ის საფუძვლები, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან. აღნიშნული ვალდებულების უზრუნველყოფის მასშტაბი შეიძლება იცვლებოდეს გადაწყვეტილების ბუნებიდან გამომდინარე და საქმის გარემოებების მიხედვით

უნდა განისაზღვროს (იხ. *გარსია რუიზის საქმე ესპანეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N30544/96, §26, ECHR, 1999-I).

121. აღნიშნულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის შესაბამისმა სასამართლოებმა შეისწავლეს განმცხადებლების საქმეები ზეპირი მოსმენით, რომელთა დროს განმცხადებლებს საშუალება მიეცათ დაესაბუთებინათ საკუთარი არგუმენტები. მიუხედავად ამისა, სასამართლო ძირითადად დაეყრდნო პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ამსახველ ანგარიშებს და პოლიციის ოფიცრების განცხადებებს, რომლებიც ერთადერთ მონმეებად დაიკითხნენ შესაბამის სასამართლო განხილვებზე. სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული მონმეები პოლიციის ის ოფიცრები იყვნენ, რომლებმაც განმცხადებლები დააკავეს. ამასთანავე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ამსახველი ანგარიშები განმცხადებლებთან დაკავშირებით პოლიციის ოფიცრების მიერ ზემდგომი ოფიცრების სახელზე მომზადებულ ანგარიშებს დაეფუძნა. პირველი და მეორე განმცხადებლის საქმეებში პოლიციის ის ოფიცრები იყვნენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მათ ბრძანებებს განმცხადებლები არ დაექვემდებარნენ, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 310.1 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ წარმოადგინეს ადეკვატური მიზეზები, რატომ მიიჩნიეს პოლიციელ მონმეთა ჩვენებები და არა განმცხადებლების უფრო ობიექტურად და სარწმუნოდ. ასევე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ეროვნულ სასამართლოებს არ უცდიათ გაერკვიათ, არსებობდნენ თუ არა მონმეები, რომლებიც არ იყვნენ დაკავშირებული პოლიციასთან და არსებობის შემთხვევაში, მოესმინათ მათი ჩვენებები.

122. სასამართლო მხედველობაში იღებს მთავრობის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ მეორე განმცხადებელმა მოითხოვა მონმის დაკითხვა და ეს მოთხოვნა სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ქალაქ სუმგაითის სააპელაციო სასამართლო განხილვის ჩანაწერის თანახმად, მეორე განმცხადებელმა ზეპირად მოითხოვა, რომ დაკითხულიყო პოლიციის N3 განყოფილების უფროსი მ.ნ. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ ფორმალურად დააკმაყოფილა მოთხოვნა, სასამართლოში წარდგენილ მასალებში არსად არ არის დაფიქსირებული, დაიკითხა მ.ნ. თუ არა და სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ამასთან დაკავშირებით არანაირი განმარტება არ წარმოადგინა.

123. სასამართლოს მითითებით, განმცხადებლები ამტკიცებდნენ ეროვნულ სასამართლოებში, რომ მათი დაკავება უკანონო იყო და ასაჩივრებდნენ პოლიციის ოფიცრების მიერ წარმოდგენილი ფაქტების ვერსიებს დაკავებასთან მიმართებით. საქმის მასალებში არ მოიძებნება არანაირი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ცნობად მიიღეს განმცხადებლების არგუმენტები



დაკავებასთან დაკავშირებით მათი, როგორც ოპოზიციის წევრების საქმიანობის გამო. სასამართლოებმა გაიზიარეს მხოლოდ პოლიციის ვერსიები ფაქტებსა და ბრალდებებთან დაკავშირებით, როგორც ისინი აღწერილია პოლიციის შესაბამის ანგარიშებში და არ გაითვალისწინეს განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი კონკრეტული, რელევანტური და მნიშვნელოვანი არგუმენტები. სასამართლო აღნიშნავს, რადგან საქმეში არ არსებობდნენ არანაირი მონმეები, რომლებიც შესაძლოა წარდგენილიყვნენ პირველი განმცხადებლის სახელით, მეორე და მესამე განმცხადებლების მიერ ეროვნულ სასამართლოებში წარდგენილ ზეპირ და წერილობით არგუმენტებში აღნიშნული იყო, რომ არსებობდნენ ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ ფაქტების თავიანთი ვერსიების დადასტურება, კერძოდ კი, მეორე განმცხადებლის მამა და მესამე განმცხადებლის ადვოკატი. სამივე განმცხადებლის მტკიცებების არსისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, მათ წინააღმდეგ დანყებული სამართალწარმოების სისხლის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე და ეფექტური სამართლებრივი დახმარების არქონის გამო, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნულ სასამართლოებს უნდა მიეღოთ ზომები, ამ პირთაგან ჩვენებების მოსაპოვებლად ან სხვაგვარად ეცადათ სადავო ფაქტების გამორკვევა.

124. ზემოაღნიშნული მსჯელობების გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები მოკლებულია ადეკვატურ დასაბუთებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მიუკერძოებელი ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის თაობაზე. განმცხადებელი აცხადებს, რომ მის საქმეს განიხილავდა რასისტული აზროვნების ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემადგენლობა. არსებობდა ლეგიტიმური ეჭვი სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რომელიც მოსამართლემ ვერც ჯგუფური წერილის საფუძველზე და ვერც ნაფიც მსაჯულთათვის მითითების მიცემის საფუძველზე ვერ გათანტა: ადგილი ჰქონდა დარღვევას.

**საქმე „სანდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“**

**SANDER v. THE UNITED KINGDOM**

**განაცხადი №34129/96**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2000 წლის 9 მაისი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

კუდლიფ სანდერს, აზიური წარმომავლობის ბრიტანეთის მოქალაქეს, დაბადებულს 1960 წელს, მსჯავრი დაედო თაღლითობის ჩადენაში 1995 წლის 8 მარტს.

მისი სასამართლო განხილვის დროს ნაფიცმა მსაჯულმა საქმის განმხილველ მოსამართლეს გაუგზავნა ბარათი რომლითაც გამოხატავდა შიშს, იმის თაობაზე, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის სხვა წევრები, რომლებმაც ღია რასისტული რეპლიკები და ხუმრობები წარმოთქვეს, არ იყვნენ მიუკერძოებლები. ერთი ნაფიცი მსაჯული განცალკევდა სხვა დანარჩენებისაგან, ხოლო მოსამართლემ, ღია სასამართლოს წინაშე, ბარათი ხმამაღლა წაუკითხა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას, აგრეთვე შეახსენა მათი მოვალეობის შესახებ, რომ ყოფილიყვნენ მიუკერძოებლები. მომდევნო დღეს საქმის განმხილველმა მოსამართლემ მიიღო ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობის მიერ ხელმოწერილი ჯგუფური წერილი, იმ წევრის ჩათვლით, რომელმაც პირველი წერილი დაწერა, რითაც აქარწყლებდნენ ბრალდებებს და რასისტულ ტენდენციურობას. განმცხადებელმა გაასაჩივრა ვერდიქტი, აცხადებდა, რომ სხვა საკითხებთან ერთად, საქმის განმხილველი მოსამართლე შეცდა, როცა არ დაითხოვა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა. მისი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

### **სამართალი**

**კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევა**

18. განმცხადებელი პრეტენზიას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მისი საქმის განხილვა არ მოხდა მიუკერძოებელი ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიერ, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

„...წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...“

19. განმცხადებელი ირწმუნებოდა, რომ მისი საქმე განსხვავდებოდა საქმისგან *გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, რომელშიც (ევროპის) სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა (№ 22299/93, 1997 წლის 25 თებერვალი). დანარჩენმა ნაფიცმა მსაჯულებმა იცოდნენ, თუ ვინ იყო მომჩივანი ნაფიცი მსაჯული. ცხადია, ეს უკანასკნელი აიძულეს, თავისი საჩივარი უკან გამოეთხოვა. მისი ვინაობის გამჟღავნებას მისი პოზიციისთვის ზიანი უნდა მიეყენებინა და ხელი შეეშალა საქმის შემდგომ განხილვაში. გარდა ამისა, ერთ-ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა აღიარა, რომ წარმოთქვა რასისტული რეპლიკები. მეორე ნაფიცი მსაჯული, რომლის მოსამართლეთაც გაკეთდა საჩივარი, დუმდა. აღნიშნული მოვლენები მოსამართლისთვის საფრთხის ნიშანი უნდა ყოფილიყო იმის თაობაზე, რომ რაღაცა პრინციპულად არასწორი იყო ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობასთან დაკავშირებით და უნდა დაეთხოვა ისინი. მოსამართლეს ამგვარი რეაგირება არ მოუხდენია და შედეგად დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. უადგილო იყო, ის ფაქტი, რომ იმავე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ გაამართლა გ.ს, რომელიც, ასევე ამიური წარმოშობის იყო, რადგან მის წინააღმდეგ აღძრული საქმე სრულიად განსხვავებული იყო. მის წინააღმდეგ, ფაქტობრივად, არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება.

20. ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის საქმესთან დაკავშირებული ფაქტები ძალიან ჰგავდა *გრეგორის* საქმეს, რომელიც ზემოთ იქნა ციტირებული. ორივე შემთხვევაში მოსამართლემ მიიღო ბარათი რასისტული ტენდენციურობის ბრალდებით. მოსამართლემ მიმართა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას შიდასახელმწიფოებრივი პრეცედენტული სამართლის და პრაქტიკის შესაბამისად. ორივე განმცხადებლის სააპელაციო საჩივარი აცილებული იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ, ამ უკანასკნელმა გამოიყენა პრინციპები, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ანალოგიური იყო. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ არ ყოფილა მითითებული, განმცხადებლის საქმეც, ისევე როგორც *გრეგორის* საქმე, აღმოჩნდა ერთ-ერთი სავარაუდოდ ობიექტურად მიკერძოებული. ორივე საქმეში არსებობდა არაერთი ფაქტორი, როგორცაა ეჭვის გაფანტვა ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. მოსამართლემ მითითება მისცა ნაფიც

მსაჯულთა შემადგენლობას მკაფიოდ, დეტალურად და დამაჯერებლად. სასამართლო პროცესზე აღარ განმეორებულა რასისტული კომენტარები. ნაფიცო მსაჯულთა სხვა ვერდიქტები არ შეიცავდა რასისტული ტენდენციურობის ნიშნებს. მოსამართლეს საკმაოდ დრო ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა შესაფასებლად. გარდა ამისა, წინამდებარე საქმეში მოსამართლემ შეაჩერა სამართალწარმოება მას შემდეგ, რაც მიმართა ნაფიც მსაჯულებს და შეეცადა და მიიღო ცალსახა დადებითი გარანტია მათ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. მოსამართლემ ასევე მკაფიოდ მიახვედრა მათ, რომ მისთვის რთული არ იქნებოდა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დათხოვნა და საჭიროების შემთხვევაში სასამართლო პროცესის შეჩერებაც. ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებით, ხელისუფლება აცხადებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

21. ხელისუფლებამ ასევე განაცხადა, რომ სასამართლო არ უნდა წამოგებოდა სპეკულაციას, თუ როგორ იქცეოდნენ ნაფიც მსაჯულები, მოსამართლის მიერ ზომების მიღების შემდეგ. მოსამართლე ხელსაყრელ მდგომარეობაში იყო, იმის შესაფასებლად, გამოითქანდა თუ არა ნაფიც მსაჯულთა თითოეული წევრი ვერდიქტს მხოლოდ მტკიცებულებების საფუძველზე. გარდა ამისა, მოსამართლის შეფასება ყურადღებით განიხილა სააპელაციო სასამართლომ. კონვენციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ეჭვი განმცხადებლის მხრიდან საკმარისი არ იყო ობიექტური მიუკერძოებლობის დასადგენად. განმცხადებლის შიში ობიექტურად დასაბუთებული უნდა ყოფილიყო. ის ფაქტი, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ გაამართლა აზიური წარმომავლობის ბრალდებული, იმავე პრეცედენტული სამართლის მიხედვით, იყო რელევანტური მსჯელობის შედეგი.

22. სასამართლო შეგვახსენებს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში თუნდამენტური მნიშვნელობა აქვს რომ სასამართლომ რწმენა შთაუნერგოს საზოგადოებას და უპირველეს ყოვლისა, ბრალდებულს, რამდენადაც საქმე ეხება სისხლის სამართლის პროცესს. ამ მიზნით, სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ჩათვლით, უნდა იყოს მიუკერძოებელი როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური თვალსაზრისით.

23. სასამართლო ასევე შეგვახსენებს, რომ წინამდებარე საქმე ეხება მკაფიოდ და ზუსტ ბრალდებას, რომ რასისტული კომენტარები გაკეთდა ნაფიც მსაჯულთა მხრიდან, რომლებიც მონვეულნი იყვნენ აზიური წარმომავლობის ბრალდებულის საქმის განსახილველად. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს ძალიან სერიოზული საკითხია იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელ მულტიკულტურულ ევროპულ საზოგადოებაში, რასიზმის აღმოფხვრა ხელშემკვრელი სახელმწიფოების საერთო პრიორიტეტული მიზანია.



24. სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულმა ბრალდებებმა განმცხადებელი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მის საქმეს განიხილავდა რასისტული შეხედულებების ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. განმცხადებლის განაცხადი, აქედან გამომდინარე, მდგომარეობს იმაში, რომ არსებობდა სუბიექტური ტენდენცია ზოგიერთი ნაფიცი მსაჯულის მხრიდან.

25. სასამართლო შეგვახსენებს, რომ მოსამართლე მიუკერძოებლად ითვლება იქამდე, სანამ ამის საპირისპირო არ დამტკიცდება. იგივე შეეხება ნაფიც მსაჯულებსაც.

26. განმცხადებლის საქმის შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ერთ-ერთმა წევრმა წარადგინა ბარათი სადაც ბრალს სდებდა ორ ნაფიც მსაჯულს, რომ „ღიად გააკეთეს რასისტული რეპლიკები და იხუმრეს“ ამის გამო ის შიშობდა, რომ „ისინი აპირებდნენ ბრალდებულის გასამართლებას არა მტკიცებულებაზე არამედ მის აზიურ წარმომავლობაზე დაყრდნობით.“ მეორე ნაფიცმა მსაჯულმა, რომელიც აღნიშნული ბრალდების წინაშე აღმოჩნდა, აღიარა, რომ „შესაძლოა ასეც მოქცეულიყო“ და განაცხადა, რომ „წუხდა, თუ რაიმე დააშავა“. სასამართლომ დაადგინა, რომ სულ ცოტა ერთი ნაფიცი მსაჯულის მიერ გაკეთდა რასისტული კომენტარი, რომელიც შესაძლოა აზიური წარმომავლობის პირებზე ხუმრობად აღქმულიყო. სასამართლოს აზრით, აღნიშნული თავისთავად არ ამტკიცებს, იმას რომ ეს ნაფიცი მსაჯული ტენდენციური იყო განმცხადებლის მიმართ. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი მოსამართლისთვის შეუძლებელი იყო დაეკითხა ნაფიცი მსაჯულები აღნიშნული კომენტარების ჭეშმარიტი ბუნების და ზუსტი კონტექსტის თაობაზე, რა კონტექსტშიც აღნიშნული კომენტარები გაკეთდა. აქედან გამომდინარე, ვერ დადგინდა ის, რომ სასამართლომ განმცხადებლის საქმე განიხილა სუბიექტური თვალსაზრისით მიუკერძოებლობის არარსებობის პირობებში.

27. თუმცა, ეს არ არის სასამართლოს მიერ განმცხადებლის განაცხადის განხილვის დასასრული. განხილულ უნდა იქნეს იყო თუ არა სასამართლო მიუკერძოებელი ობიექტური თვალსაზრისით, ე.ი. აღნიშნულ ვითარებაში იყო თუ არა საკმარისი გარანტია, რომ გამორიცხულიყო ობიექტურად დასაბუთებული ან ლეგიტიმური ეჭვი სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის მოსაზრება მნიშვნელოვანია ამასთან დაკავშირებით, იგი ვერ იქნება გადამწყვეტი.

28. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ამგვარი გარანტიები არსებობდა. მათ მიუთითეს მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის მითითებებთან დაკავშირებით

პრინციპზე და მიუკერძოებლობის ცალსახა დადებით გარანტიაზე, რომელსაც მოსამართლე მოელოდა და მიიღო კიდევ ნათესი მსაჯულებისაგან.

29. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, სასამართლომ გაიხსენა, დილა, როდესაც მას შემდეგ, რაც რასისტული ხუმრობების შესახებ ბარათი გადაეცა, ყველა ნათესი მსაჯულმა მოაწერა ხელი წერილს, რომ აღნიშნული ბრალდებები უსაფუძვლო იყო. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული წერილი თავისთავად ვერ მოახდენდა ბრალდების დისკრედიტაციას, რომელიც თავდაპირველ ბარათში იყო, შემდეგი მიზეზების გამო:

პირველი, ერთ-ერთმა ნათესმა მსაჯულმა დაწერა ცალკე წერილი, სადაც ირიბად აღიარებდა, რომ რასისტულ ხუმრობებს ამბობდა. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს ის საკითხია, რომელსაც მარტივად ვერ მივუდგებით, რადგან ამგვარი ტიპის ხუმრობები ნათესი მსაჯულების მხრიდან სასამართლო განხილვის კონტექსტში სხვანაირ ელფერს და სხვანაირ მნიშვნელობას იძენს იმ ხუმრობისგან განსხვავებით, რომელსაც ყველანაირ უფრო ინტიმურ და არაოფიციალურ გარემოში.

მეორე, ჯგუფურ წერილს ხელს აწერდა ის ნათესი მსაჯულიც, რომელმაც წარადგინა პირველი ბარათი. სასამართლოს აზრით, აღნიშნული თავისთავად იწვევს ეჭვს წერილის სანდოობასთან დაკავშირებით. ბარათი, რომელიც ნამდვილი, სპონტანური რეაქციის შედეგი იყო, რომლის სისწორეც ეჭვს არ იწვევდა, გამოხატავდა ღელვას, რომ ბრალდებულისთვის შეიძლებოდა მსჯავრი დაედოთ იმის გამო, რომ აზიური წარმომავლობის იყო. წერილი, რომელიც ასახავდა რამდენიმე პირის საერთო პოზიციას, რომელთაც შესაძლოა სხვადასხვა ინტერესები ჰქონდათ, უარყოფდა რაიმე რასისტულ ტენდენციურობას. ეს ორი ერთმანეთთან თანხმობაში ვერ მოდის და სასამართლო ბარათს უფრო სანდოდ მიიჩნევს. ამასთან ერთად, სასამართლო აღნიშნავს, რომ ბარათის წარმდგენ ნათეს მსაჯულს ისე ექცეოდნენ, რომ სხვა ნათესმა მსაჯულებმა უდავოდ იცოდნენ, თუ ვინ იყო აღნიშნული ბრალდებების ინიციატორი. ცხადია, ამან მისი პოზიციის დათმობა გამოიწვია თავის კოლეგა ნათეს მსაჯულებთან მიმართებაში.

მესამე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ჯგუფური წერილი არ ახდენს იმ ბრალდებების დისკრედიტაციას, რომელსაც შეიცავს პირველი ბარათი, რადგან ღიად აღიარებული რასიზმი არის ის, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი უნდა გაურბოდეს. მითუმეტეს, რასიზმის ღიად აღიარება არ შეიძლება იოლად მოსალოდნელი იყოს ნათესი მსაჯულისგან, რომელიც, როგორც წესი, მნიშვნელოვან სამოქალაქო მოვალეობად ითვლება.

ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ბრალდების ჯგუფური უარყოფა, რომელიც ბარათში იყო მოცემული, თავისთავად ვერ უზრუნველყოფს პრობლემის დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტას.

30. მიმდინარე საქმეში სასამართლო მზად არ არის დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს მოსამართლის მიერ გაკეთებულ მითითებებს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მისამართით. სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში, ზოგადად საყვედური ან მითითება მოსამართლის მიერ თუმცა კი მკაფიო, დეტალური და დამატერებილი, ერთ ღამეში რასისტულ შეხედულებას ვერ შეცვლის. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საქმეში ვერ ვივარაუდებთ ამგვარი შეხედულებები ერთ ნაფიც მსაჯულს ჰქონდა თუ მეტს, დადგინდა, რომ სულ მცირე ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა მაინც გააკეთა რასისტული კომენტარი. ასეთ ვითარებაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსამართლის მიერ მიცემული მითითება ნაფიცი მსაჯულებისათვის ვერ გაფანტავდა გონივრულ შთაბეჭდილებას და შიშს მიუკერძოებლობის არარსებობის შესახებ, რომელიც ეფუძნებოდა თავდაპირველ ბრათს.

31. სასამართლო მზად არ არის დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს ფაქტს, რომ მოსამართლეს პირდაპირი ურთიერთობა ჰქონდა ნაფიც მსაჯულებთან. სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე ვერ დაკითხავდა ნაფიც მსაჯულებს იმ ბრალდებებთან მიმართებაში, რომელსაც ბრათი შეიცავდა. გ.ს-ს გამამართლებელ ვერდიქტსაც არ ექნებოდა გადაწყვეტი მნიშვნელობა, რადგანაც ამ ორ საქმეს ერთმანეთთან საერთო არაფერი ჰქონდათ და მათი შედარება უადგილოა. ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლომ მომჩივანის სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა, იმ პრინციპების გამოყენებით, რომელიც შეესაბამება კონვენციის პრევენციულ სამართალს, სასამართლოს მხოლოდ შემზღვეული დახმარება შეიძლება გაუწიოს წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით.

32. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდებებს, რომელსაც ბრათი შეიცავდა, შეეძლოთ გამოენვიათ განმცხადებლის და სხვა ნებისმიერი დამკვირვებლის თვალში ლეგიტიმური ეჭვი სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რომელიც მოსამართლემ ვერც ჯგუფური წერილის საფუძველზე და ვერც ნაფიც მსაჯულთათვის მითითების მიცემის საფუძველზე ვერ გაფანტა.

33. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საქმის გარემოებები შეიძლება განვასხვაოთ *გრეგორის* საქმისგან, რომელიც ზემოთაა მოყვანილი, და რომელშიც სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის დარღვევა. ამ უკანასკნელ საქმეში ნაფიც მსაჯულთაგან არ იყო აღიარება, რომ რასობრივი

კომენტარები გააკეთეს ხუმრობის ფორმით, ან სხვაგვარად; არ იყო მითითებული, თუ ვინ განაცხადა აღნიშნულის შესახებ და პრეტენზია იყო ბუნდოვანი და არაზუსტი. გარდა ამისა, *გრეგორის საქმის* საპირისპიროდ, წინამდებარე საქმეში განმცხადებლის ადვოკატი მთელი პროცესის განმავლობაში დაჟინებით აღნიშნავდა, რომ ნაფიც მსაჯულთა დათხოვნა ერთადერთი შესაძლო ქმედება იქნებოდა.

34. სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა დათხოვნა ყოველთვის არ არის სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფის საშუალება, არსებობს გარკვეული გარემოებები, როდესაც ამას მოითხოვს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. წინამდებარე საქმეში მოსამართლე სერიოზული ბრალდებების პირისპირ აღმოჩნდა, რადგან არსებობდა საფრთხე იმისა, რომ განმცხადებლისთვის შეიძლებოდა სასჯელი დაეკისრებინათ მისი ეთნიკური წარმომავლობის გამო. გარდა ამისა, ერთ-ერთმა ნაფიცმა მსაჯულმა ირიბად აღიარა რასისტული კომენტარების გაკეთება. რადგანაც ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რასიზმთან ბრძოლას, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსამართლეს უფრო გადამწყვეტი რეაგირება უნდა მოეხდინა, ვიდრე უბრალოდ ეძებნა ბუნდოვანი დარწმუნება იმის შესახებ, რომ ნაფიც მსაჯულებს შეეძლოთ გვერძე გადაედოთ თავისი მოსაზრებები და განეხილათ საქმე მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. აღნიშნულის შეუსრულებლობის გამო, მოსამართლემ ვერ უზრუნველყო საკმარისი გარანტია, რათა გამოერიცხა ნებისმიერი ობიექტურად დასაბუთებული ან ლეგიტიმური ეჭვი სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, სასამართლო, რომელმაც სასჯელი დააკისრა განმცხადებელს, არ იყო მიუკერძოებელი ობიექტური თვალსაზრისით.

35. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეთა თანასწორობის პრინციპის თაობაზე საქმის დასაშვებობის შესახებ.

ეროვნული სასამართლოების მიერ პოლიციის განცხადებების დასაშვებობის, ობიექტურობისა და სანდოობის შეფასებამ არ გამოავლინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის რაიმე ფაქტი: განაცხადი დაუშვებლად იქნა მიჩნეული

### საქმე „ნატალია კუზმისკაია ლიტვის წინააღმდეგ“

CASE OF NATALJA KUZMICKAJA v. LITHUANIA

განაცხადი № 27968/03

განჩინება

### ფაქტობრივი გარემოებები

#### ა. საქმის გარემოებები

განმცხადებელი იყო იმ კომპანიის აქციონერი, რომელსაც ეკუთვნოდა ის ბარი, სადაც ბარმენად მუშაობდა.

პოლიციამ მიიღო ანონიმური შეტყობინება, იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის ბარი ალკოჰოლური სასმელების უფრო მცირე რაოდენობას სთავაზობდა მომხმარებელს, ვიდრე ეს ნორმით იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, 2003 წლის 23 აპრილს, პოლიციის თანამშრომელმა - ად-მ, რომელსაც თან ახლდა კიდევ ორი პოლიციის თანამშრომელი - სპ. და არ., ბარში სასმელები გასაკონტროლებლად შეიძინა. მან თავი წარადგინა როგორც ჩვეულებრივმა კერძო მომხმარებელმა, რათა დაედგინა, მოუტანდნენ თუ არა ალკოჰოლის ნორმით განსაზღვრულ რაოდენობას, რაც მენიუს შეთავაზებაში იყო აღნიშნული. მან მოითხოვა ბრენდის 50 გრამიანი ორი პორცია, განმცხადებელმა კი მიუტანა ად-ს 40 და 44 გრამიანი პორციები.

იმავე თარიღში პოლიციის თანამშრომელმა სპ-მ წარადგინა ანგარიში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლის შესაბამისადაც განმცხადებელმა მოტყუებით მიითვისა მომხმარებლის (ად-ს) თანხა, 0.96 ლიტვური ლიტის ოდენობით ( რაც შეადგენს დაახლოებით 0.28 ევროს).

2003 წლის 11 ივნისს ვილნიუსის მეორე რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო მომხმარებლის მოტყუებაში, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს (ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 163-1). იგი დაჯარიმდა 240 ლიტვური ლიტის ოდენობის თანხით (დაახლოებით 69.50 ევრო). სასამართლოს მტკიცებულებების სახით, სხვა მტკიცებულებებთან ერთად გააჩნდა სამართალდარღვევის ოქმი, „საკონტროლო შესყიდვა“, სამი პოლიციის თანამშრომლის ად-ს, სპ-ს და არ-ს ჩვენება და განმცხადებლის ახსნა-განმარტება.

## სამართალი

განმცხადებელი კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე ჩიოდა, რომ სამართალწარმოება იყო არასამართლიანი, რადგან პოლიციის თანამშრომლებმა და სასამართლოებმა არასწორად დაადგინეს ამ საქმის ფაქტები, რომლის თანახმად, მან სათანადო წესის დაცვით გაყიდა დადგენილი რაოდენობის ალკოჰოლი.

კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამის ნაწილი ითვალისწინებს შემდეგს:

ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ..., ყველას აქვს....მისი საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ...”

სასამართლო იხსენებს, რომ მე-6 მუხლის გამოყენების მიზანშეწონილობა ზემოხსენებულ ენგელის სასამართლო გადაწყვეტილებაში გამოკვეთილი სამი კრიტერიუმის საფუძველზე უნდა იქნეს შეფასებული (§§ 82 და 83; იხ. *ჯასილა ფინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N. 73053/01, §§ 30-31, ECHR, 2006):

- სამართალდარღვევის განსაზღვრა ეროვნულ კანონში;
- მისი ბუნება;
- სასჯელის ბუნება და სიმკაცრის ხარისხი, რომელიც შეიძლება დაეკისროს შესაბამის პირს.

ამ საქმის მიმართ სასამართლომ აღნიშნა, რომ მომხმარებლის მოტყუების სამართალდარღვევა გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და არა სისხლის სამართლის კოდექსით. მიუხედავად ამისა, ეროვნულ კანონში არსებული განსაზღვრება არ არის გადაწყვეტი ( იხ. *კადუბეკი სლოვაკიის წინააღმდეგ*, 1998 წლის 2 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილება, მოხსენებები განჩინებებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1998-VI, § 51). სასამართლოს აზრით, სამართალდარღვევა აშკარად კრიმინალური ხასიათის იყო და ჯარიმას ჰქონდა შემაკავებელი და სადამსჯელო ასპექტები, განსაკუთრებით სასჯელის საბოლოო სიმძიმის გათვალისწინებით

გადაუხდელობის შესაძლო შედეგებიდან გამომდინარე. შესაბამისად სასამართლომ დაასკვნა, რომ მომხმარებლის მიზანმიმართულად მოტყუება სამართალდარღვევაა და სისხლის სამართლის დანაშაულია, ამიტომ მოცემულ საქმეზე შეიძლება მე-6 მუხლის გავრცელება.

... განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სასამართლოებმა ვერ დაიკვეს მხარეთა თანასწორობის პრინციპი მტკიცებულების შეფასების დროს და პოლიციელების სასარგებლოდ მოქმედებდნენ. ის აცხადებდა, რომ ორი სხვა პოლიციის თანამშრომლის ნაცვლად, ად-ს უნდა გამოეყენებინა მიუკერძოებელი მოწმე, რათა უზრუნველყოფილიყო პროცედურის მართლზომიერება. დამატებით, მან წარუდგინა ეროვნულ სასამართლოებს ექსპერტის მიერ მომზადებული წერილობითი მტკიცებულება, რომ ის ჭიქა, რომელსაც იგი იყენებდა ალკოჰოლის ბომის განსაზღვრისათვის შეესაბამება ნორმებს, მაშინ როდესაც პოლიციის მიერ გამოყენებული ჭიქა არ არის მსგავსად სერტიფიცირებული.

სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მიხედვით სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს, ან ეგრეთ წოდებული მეოთხე ინსტანციის სასამართლოს სახით მოქმედება ეროვნული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მიმართ. ამ უკანასკნელის ფუნქციაა, რომ მოახდინოს მატერიალური და პროცესუალური სამართლის შესაბამისი კანონების ინტერპრეტაცია და გამოყენება. ამასთანავე, ეროვნულ სასამართლოებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ მოწმეთა სანდოობისა და მტკიცებულების დასაშვებობის შეფასება (იხ. 2002 წლის 5 სექტემბრის განჩინება - *ტიმოფეევი რუსეთის წინააღმდეგ*) N58263/00). სასამართლოს ფუნქციაა დაადგინოს მთლიანობაში გასაჩივრებული სამართალწარმოების კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამისობა.

სასამართლომ განიხილა განმცხადებლის განაცხადი იმის თაობაზე, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საქმეში მხარეთა თანასწორობის პრინციპი უგულვებლყოვეს. სასამართლომ ეს სასარჩელო მოთხოვნა არ მიიჩნია დასაბუთებულად. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულ სასამართლოებს წინამდებარე საქმეში უნდა შეეფასებინათ მტკიცებულების დასაშვებობა, ობიექტურობა და სანდოობა. განმცხადებელს საშუალება ჰქონდა გაესაჩივრებინა მტკიცებულების და მათი მოპოვების გზების დასაშვებობა. მას შეეძლო ეჩივლა პოლიციის ოფიცრების მხრიდან დანაშაულის წაქეზებისა და ამ საქმეში ჩართული პოლიციის თანამშრომლების მიერ „საკონტროლო შესყიდვის“ გზით მოპოვებული მტკიცებულების სიზუსტეზე. და ბოლოს, მას საშუალება ჰქონდა გაეზიარებინა თავისი მოსაზრებები საქმის გარემოებებთან დაკავშირებით.

ზემოთ მოცემული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ საქმეში არ გამოვლინდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა და რომ კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, განაცხადი

დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, როგორც აშკარად უსაფუძვლო. შესაბამისად, მიზანშეწონილია შეწყდეს კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენება.

ამ მიზეზების გამო, სასამართლო ერთსულოვნად აცხადებს, რომ განაცხადი მიუღებელია.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანწყვეტილება ნათუც მსაჯულთა და ასევე მისი ახალი შემადგენლობის შერჩევასთან დაკავშირებით: დარღვევა

საქმე „სუტიაგინი რუსეთის წინააღმდეგ“

CASE OF SUTYAGIN v. RUSSIA

განაცხადი №30024/02

გადანწყვეტილება

სტრასბურგი

2011 წლის 3 მაისი

კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევა სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და კანონიერების ნაწილში

158. განმცხადებელი ჩიოდა, რომ სასამართლო „არ იყო კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი“, სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილებების, კერძოდ კი, მისი საქმის მოსამართლე შ-სგან მოსამართლე კ-სთვის გადაცემის და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კანდიდატების შერჩევა ნათუცი მსაჯულების შემადგენლობაში განხორციელდა ნათუც მსაჯულთა გამოქვეყნებული სიიდან მისი კანონიერების დადასტურების სავარაუდო ხელის შეშლით და ი-ს სასამართლო პროცესში ნათუცი მსაჯულის რანგში მონაწილეობით.

განმცხადებელმა მიუთითა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

„...სისხლისსამართლებრივი ბრალის წაყენებისას ნებისმიერ ადამიანს აქვს სამართლიანი... სასამართლო განხილვის უფლება... დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, რომელიც შექმნილია კანონის საფუძველზე.“

**ნათუც მსაჯულებთა შერჩევა და ბატონი ი.**

**(ა) ხელისუფლება**

166. იმ ფაქტს, რომ ნათუც მსაჯულთა შემადგენლობის სია არ გამოქვეყნებულა განმცხადებლის სასამართლო პროცესის გამართვამდე, მთავრობის აზრით, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში გავლენა არ მოუხდენია მის კანონიერებაზე და შესაბამისად, ნათუც მსაჯულთა უფლებამოსილებაზე, რომლებიც შერჩეულ იქნენ განმცხადებლის საქმის განსახილველად. შესაბამისად, ნათუც მსაჯულთა შემადგენლობის კანონიერებას ეჭვი არ გამოუწვევია. ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა დაუსაბუთებელი განცხადება გააკეთა სასამართლოს მოხელეების კეთილსინდისიერებასთან და მისი

სასამართლო პროცესისთვის ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურების დაცვასთან დაკავშირებით.

167. დაცვის მხარეს საკმარისი შესაძლებლობა ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში, შეეძლო დაესვა კითხვები კანდიდატებისთვის და ასევე, შეეძლო დაეყენებინა ნებისმიერი მათგანის მოტივირებული ან არამოტივირებული აცხილების საკითხი.

168. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით, განმცხადებელს შეეძლო დაეყენებინა მთელი ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის აცხილების საკითხი, თუ იგი თვლიდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა საქმეზე ობიექტური ვერდიქტის გამოტანა. განმცხადებელმა აღნიშნული შესაძლებლობა არ გამოიყენა.

169. მთავრობა ირწმუნებოდა, რომ კანონი არ უკრძალავს პირს ირიცხებოდეს ამა თუ იმ სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სიაში.

170. უზენაესი სასამართლოს პლენუმის №23 დადგენილების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების მიერ ინფორმაციის დაფარვა, რის შედეგადაც ისინი შეიყვანეს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში, წარმოადგენდა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს, თუ აღნიშნული ინფორმაცია გავლენას მოახდენდა საქმის შედეგებზე და მხარეებს წაართმევდა ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების აცხილების უფლებას.

171. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბატონი ი. იმავდროულად წარმოადგენდა მოსკოვის საქალაქო სასამართლოს და მოსკოვის საოლქო სამხედრო სასამართლოს ნაფიც მსაჯულს, არ არსებობდა. ასევე არ არსებობდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი მუშაობდა ფედერალური უშიშროების სამსახურში (FSB). მთავრობამ წარმოადგინა ცნობა რომელიც გაცემულია ფედერალური უშიშროების სამსახურის მიერ; ამ ცნობის თანახმად, ბატონ ი. არ ყოფილა და არ არის ფედერალური უშიშროების სამსახურის თანამშრომელი.

## **(ბ) განმცხადებელი**

172. განმცხადებელმა განაცხადა, რომ იუსტიციის მინისტრის რეკომენდაციების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სია უნდა გამოქვეყნებულიყო 2003 წლის 30 ნოემბრამდე 2 კვირით ადრე. მან აღნიშნა, რომ სიის გამოქვეყნების მოთხოვნა მიზნად ისახავდა მოქალაქეების ინფორმირებას იმის შესახებ, რომ მათ ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ წარმომადგენლების ნაფიც მსაჯულთა სიიდან ამოღება ან ნაფიც მსაჯულთა სიებში შეტანა, იგი ასევე მიზნად ისახავდა სამართალწარმოების მხარეებისთვის ოფიციალურ სიაზე ხელმისაწვდომობას, რაც შესაძლებლობას მისცემდა მათ შეემოწმებინათ კონკრეტული პირი ნამდვილად შედიოდა თუ არა

აღნიშნულ სიაში. ამგვარი უფლების გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლო ნაფიც მსაჯულთა სიას გამოაქვეყნებდა კონკრეტული საქმის განხილვის დაწყებამდე. განმცხადებლის მტკიცებით, ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იყოს ორი ნაფიც მსაჯულთა სიაში - მოსკოვის საქალაქო სასამართლოს და მოსკოვის საოლქო სამხედრო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სიებში, რადგან აღნიშნული სიები უნდა ყოფილიყო ცალ-ცალკე და მოქალაქეების გამოძახება ნაფიც მსაჯულებად შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ წელიწადში ერთხელ. მოსკოვის საოლქო სამხედრო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სია, რომელშიც შედიოდა ბატონი ი., გამოქვეყნდა მოსკოვის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სიის გამოქვეყნებამდე, სადაც ასევე შედიოდა ბატონი ი. და შესაბამისად, უფრო სარწმუნო იყო. განმცხადებლის აზრით, აქედან გამომდინარე, ბატონ ი-ს უფლება არ ჰქონდა ნაფიც მსაჯულად გამოსულიყო მის საქმეზე.

173. განმცხადებელი ასევე გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცედურა, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაა დადგენილი, ვერ უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და დაცვის მხარეს არ აძლევს შესაძლებლობას, რომ შეამოწმოს მისი სასამართლო პროცესის ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების სახელები არის თუ არა შერჩეული შემთხვევითობის პრინციპით, როგორც ამას კანონი მოითხოვს და ხელი შეუშალოს მის სასამართლო პროცესში სახელმწიფოს მიერ იმ პირების ჩართვის მცდელობას, რომლებიც მათთვის უფრო ხელსაყრელად მიიჩნეოდა ხელისუფლების მიერ.

174. განმცხადებელმა განაცხადა, რომ ბატონმა ი-მ დამალა მისი კავშირი უშიშროების ფედერალურ სამსახურთან, როდესაც აღნიშნულთან დაკავშირებით კითხვა დაუსვეს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს. განმცხადებელმა მიუთითა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის მონშეთა დაკითხვის ოფიციალურ საოქმო ჩანაწერებზე, რომელიც უძრავი ქონების უკანონო რეგისტრაციის ბრალდებებთან იყო დაკავშირებული, მონშეები მანამდე გამომძიებლის მიერ იყვნენ გაფრთხილებულები მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ცრუ ჩვენებების მიცემის გამო; აღნიშნული უძრავი ქონება ეკუთვნოდა კომპანიას, რომლის გენერალური დირექტორიც იყო ვინმე ი. აღნიშნული საოქმო ჩანაწერების თანახმად, ბატონმა გ-მ დაკითხვისას, რომელიც ჩატარდა მოსკოვის პოლიციის გამომძიებლის, ბატონ უ-ს მიერ 2004 წლის 19 თებერვალს, განაცხადა, რომ მას პირადი და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ბატონ ი-სთან და რომ ბატონი ი. მსახურობდა უშიშროების ფედერალურ სამსახურში. ბატონ გ-ს სიტყვების თანახმად, ბატონი ი. დარწმუნებული იყო, რომ იმსახურებდა თანამდებობრივ დანინაურებას უშიშროების ფედერალურ სამსახურში და მისი უფროსები მას ჯეროვნად ვერ აფასებდნენ. კიდევ ერთი მონშის, ბატონი კ-ს სიტყვების თანახმად, რომელიც გახლავთ პოლიციის ოფიცერი და რომელმაც დაკითხა ბატონი ი. 2000 წელს, ბატონმა ი-მ განაცხადა, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცერი იყო

და მას „კავშირები“ ჰქონდა. განმცხადებელმა ასევე მიუთითა წიგნზე, რომელიც 1996 წელს დაიბეჭდა პოლონეთში. ამ წიგნის თანახმად, ბატონი ი. მსახურობდა რუსეთის სადაზვერვო სამსახურში დიპლომატიური მისიის საფარქვეშ და მას პოლონეთში ბრალი წაუყენეს პოლონეთის პრემიერ-მინისტრის, იოზეფ ოლეკსის გადაბირებაში. იგი სავარაუდოდ იკავებდა პირველი მდივნის და შემდეგ პრესმდივნის თანამდებობებს პოლონეთში რუსეთის საელჩოში, 1984 წელს დაამთავრა სადაზვერვო სამსახურის სკოლა და მუშაობდა საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტის“ გდანსკის ოფისში, იგი იყო რუსეთის საგარეო სადაზვერვო სამსახურის პოდპოლკოვნიკი.

175. განმცხადებლის თქმით, ბატონი ი-ს მიერ პოლონური ენის ცოდნა, როგორც მან სასამართლოში განაცხადა, ირიბად ადასტურებდა წიგნში მოცემულ ინფორმაციას. ფედერალური უშიშროების სამსახურმა გამოიძია განმცხადებლის საქმე და საგარეო სადაზვერვო სამსახურის და მთავარი საგამოძიებო სამმართველოს შეიარაღებული ძალები ჩაერთვნენ სასამართლო განხილვაში. შესაბამისად, თუ ვინმეს დაზვერვის სამსახურთან რაიმე სახის კავშირი ექნებოდა, დაცვა გაიწვევდა მათ, ისევე როგორც ეს მოხდა ნაფიცი მსაჯულობის ოთხი კანდიდატის შემთხვევაში, რომლებმაც განაცხადეს, რომ წარსულში მსახურობდნენ უშიშროების ფედერალურ სამსახურში და მათ შუამდგომლობაზე დაცვის მხარემ უარი განაცხადა. ბატონ ი-ს რომ ელიარებინა თავისი კავშირის შესახებ უშიშროების ფედერალურ სამსახურთან, მის შუამდგომლობაზეც უარს განაცხადებდნენ.

176. განმცხადებელმა განაცხადა, რომ ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობის ცვლილება მის საქმეში უკანონო იყო. მან განმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ნაფიც მსაჯულობაზე უარის თქმის ორ საფუძველს. პირველი, როდესაც აცილებული ნაფიცი მსაჯულების რიცხვი აჭარბებს სათადარიგო ნაფიცი მსაჯულების რიცხვს და მეორე თუ ამას ითხოვს მხარე როდესაც ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობას არ შესწევს უნარი გამოიტანოს ობიექტური ვერდიქტი საქმეში. ამ ორთაგან, აღნიშნულ საქმეში არც ერთი საფუძველი არ არსებობდა. მას ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს ოფიციალური გადაწყვეტილება ნაფიცი მსაჯულების აცილებასთან დაკავშირებით არ მიუღია, რამაც დაცვის მხარეს არ მისცა აღნიშნულის გასაჩივრების შესაძლებლობა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. განმცხადებელი ასევე აცხადებდა, რომ ნაფიც მსაჯულთა თავდაპირველი შემადგენლობა, რომელიც 2003 წლის 3 ნოემბერს შეიქმნა, აცილებულ იქნა, რადგან მათი დამოკიდებულება, რომლის შესახებაც ხელისუფლებისთვის როგორღაც ცნობილი გახდა არ პასუხობდა ამ უკანასკნელის მოლოდინს. იგი შეეხო გამოძიებას, რომელიც ჩაატარა უურნალისტმა ზ. სვეტოვამ, რომელიც შეხვდა ნაფიცი მსაჯულების თავდაპირველ შემადგენლობას და ინტერვიუ ჩამოართვა მათ. უურნალისტმა განაცხადა, რომ ნაფიც მსაჯულთა თავდაპირველი შემადგენლობის აცილება რომ არ მომხდარიყო, განმცხადებელი გამართლდებოდა.



177. ხელისუფლების განცხადების პასუხად, რომელიც შეეხებოდა განმცხადებლის მიერ ნაფიც მსაჯულთა საბოლოო შემადგენლობის განწვევასთან დაკავშირებით განაცხადის გაკეთებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე, განმცხადებელი ირწმუნება, რომ „ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის შერჩევისას დაცვის მხარემ იხელმძღვანელა ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების ნდობის პრინციპით“.

## სასამართლოს შეფასება

### 1. მოსამართლე შ-ს მოსამართლე კ-თი ჩანაცვლება

#### დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო

178. სასამართლო თავდაპირველად განიხილავს განმცხადებლის საჩივარს იმის შესახებ, რომ მოსამართლე შ-ს შეცვლა მოსამართლე კ.-ით წარმოადგენდა შეუსაბამობას სასამართლოს „დამოუკიდებლობისა“ და „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნებთან.

179. სასამართლო შეგვახსენებს, რომ იმის დასადგენად შეიძლება თუ არა სასამართლო ჩაითვალოს „დამოუკიდებლად“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, სხვა დანარჩენთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი წევრების დანიშვნის მეთოდები და მათი უფლებამოსილების ვადა, გარე წნეხის წინააღმდეგ დაცვის მექანიზმების არსებობა და საკითხი თუ რამდენად დამოუკიდებელი ჩანს სასამართლო.

180. „მიუკერძოებლობის“ არსებობა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის უნდა განისაზღვროს სუბიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით, ანუ კონკრეტული მოსამართლის სუბიექტურ მოსაზრებაზე დაყრდნობით მოცემულ საქმეში და ასევე ობიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით, ანუ იმის დადგენის საფუძველზე, მოსამართლემ საკმარისი გარანტიები შესთავაზა თუ არა იმისათვის, რომ გამოირიცხულიყო ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი აღნიშნულთან მიმართებაში.

181. სუბიექტური შეფასების ნაწილში, რომელიც შეეხებოდა მოსამართლე შ-ს მოსამართლე კ-თი ჩანაცვლებას განმცხადებელი ვარაუდობს, რომ იგი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსამართლე მიუკერძოებლად ითვლება მანამ, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება და წინამდებარე საქმეში ამგვარი მტკიცებულება არ არსებობს. შესაბამისად, რჩება მხოლოდ ობიექტური შეფასების გამოყენების შესაძლებლობა.

182. მოსამართლეთა პიროვნული ქცევისაგან სრულიად დამოუკიდებლად, ობიექტური შეფასებით, უნდა გაირკვეს არსებობს თუ არა სარწმუნო ფაქტები, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მათი მიუკერძოებლობა. ასეთ შემთხვევაში,

გარეგნულმა გამოვლინებებმაც შეიძლება იქონიოს გარკვეული მნიშვნელობა. საფრთხის ქვეშაა ნდობა, რომელსაც უნდა შთააგონებდნენ მოსამართლეები დემოკრატიულ საზოგადოებას და პირველ რიგში, ბრალდებულებს, რამდენადაც საუბარია სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე. აღნიშნული გულისხმობს, რომ იმის დადგენისას არსებობს თუ არა კანონიერი მიზეზი შიშისა, რომ რომელიმე კონკრეტული ბრალდებული მიკერძოებულია, ბრალდებულის მოსაზრება მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ის, შესაძლებელია თუ არა ეს საშიშროება ობიექტურად იქნეს დასაბუთებული.

183. რადგანაც დამოუკიდებლობის მოთხოვნა და მიუკერძოებლობის მოთხოვნის ობიექტური ასპექტი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ისინი ერთ ჭრილში განიხილება.

184. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2003 წლის სექტემბერში განმცხადებელის საქმე განსახილველად გადაეცა მოსკოვის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე შ-ს, რომელმაც მყისიერად დაიწყო სამართალწარმოება, შეადგინა ნაფიც მსაჯულთა სია და საქმის განხილვა დაიწყო 2003 წლის 3 ნოემბერს. 2003 წლის 26 ნოემბერს მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნული საქმე გადასცა მოსამართლე კ-ს, რომელმაც ხელახლა დაიწყო სამართალწარმოება 2004 წლის თებერვალში, შეარჩია ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობა და 2004 წლის მარტში დაიწყო ახალი სასამართლო პროცესი. დაცვის მხარემ რამდენჯერმე წარუმატებლად გააკეთა განცხადება მოსამართლე კ-ს აცილებაზე. მათ ვერ გამოიყენეს ნაფიცი მსაჯულის აცილების უფლება. საჩივარი მოსამართლე შ-ს შეცვლის გადაწყვეტილების შესახებ სააპელაციო განაცხადის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა. უზენაესმა სასამართლომ, სხვა დანარჩენთან ერთად, შემდგომი განხილვის გარეშე მიუთითა, რომ სასამართლოს უცვლელიობის პრინციპი, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, დაცული იყო და გადანაცვლებილება ძალაში დატოვა.

185. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ დაცვის მხარეს არ მიუღია ახსნა-განმარტება, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, რაც შეეხება მოსამართლე შ-ს მოსამართლე კ-თი შეცვლის საფუძველს და მიზეზებს, ამასთან დაკავშირებით საპროცესო გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული. კანონი არ ითვალისწინებდა აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, როგორც ამას ადასტურებს ხელისუფლება თავის წერილობით ახსნა-განმარტებაში. განმცხადებლის საქმეზე სამართალწარმოებამ იხელმძღვანელა ახალი, 2001 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

186. მოსამართლეთა კოლეგიის წევრების არაერთხელ შეცვლამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა სხდომის თავმჯდომარე მოსამართლე და ორი მოსამართლე, რომელიც განხორციელდა გაურკვეველი მიზეზებით და არ იყო უზრუნველყოფილი პროცესუალური გარანტიები, აიძულა სასამართლო

ელიარებინა, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს გარანტიები დაირღვა რუსეთის წინააღმდეგ აღძრულ წინა სასამართლო საქმეზე.

187. სასამართლო შეგვახსენებს, რომ ეროვნული სასამართლოს ვალია სამართალწარმოება წარმართოს იმგვარად, რომ უზრუნველყოს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელება. საქმის განხილვის გადაცემა რომელიმე კონკრეტული მოსამართლისთვის ან სასამართლოსთვის განეკუთვნება დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომლითაც სარგებლობს ადგილობრივი ხელისუფლება ამგვარ საკითხებზე. არსებობს ფაქტორების ფართო სპექტრი, როგორცაა მაგალითად ხელმისაწვდომი რესურსები, მოსამართლეთა კვალიფიციურობა, ინტერესთა კონფლიქტი, სასამართლო სხდომის ადგილის ხელმისაწვდომობა მხარეებისთვის და ა.შ. რომელიც ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს საქმის გადაცემის დროს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მოვალეობაში არ შედის იმის შეფასება, თუ რამდენად გამართლებული საფუძველი არსებობს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ამა თუ იმ მოსამართლეს ან სასამართლოს დაავალოს (ხელახლა დაავალოს) საქმის განხილვა, სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საქმის განხილვის ამგვარი გადაცემა (ხელახლა გადაცემა) შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, კერძოდ კი, მის მოთხოვნებს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან მიმართებაში.

188. მოსამართლეთა სტატუსის შესახებ აქტის შესაბამისად, სასამართლოს თავმჯდომარე ანაწილებს მოვალეობებს მოსამართლეთა შორის ფედერალური კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. როგორც საყოველთაოდ აღიარებული პრაქტიკა გვიჩვენებს, სასამართლოში წარდგენილი საქმეები მოსამართლეთა შორის ნაწილდება სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მისი შეხედულებისამებრ.

189. მას შემდეგ, რაც საქმე განსახილველად იქნა გადაცემული და სამართალწარმოება დაიწყო, კანონმდებლობის მოთხოვნაა საქმე განსახილველად დარჩეს სასამართლოს იმავე შემადგენლობასთან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნული პრინციპი, რომელიც ცნობილია, როგორც სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობის წესი, 2001 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაა გათვალისწინებული. იგი ითვალისწინებს მოსამართლის ჩანაცვლების შესაძლებლობას სხვა მოსამართლით, იმ შემთხვევაში, თუ მას აღარ შეუძლია მონაწილეობის მიღება სასამართლო სხდომაში. არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და არც სხვა რომელიმე კანონი არ ითვალისწინებს გარემოებებს, რომელშიც ამგვარი ჩანაცვლება განხორციელდება, ასევე არ ითვალისწინებს წესებს, რის მიხედვითაც განხორციელდება ჩანაცვლება. კერძოდ, არ არსებობს მოთხოვნა, რომ სასამართლომ გამოიტანოს პროცესუალური გადაწყვეტილება ჩანაცვლების საფუძველების და მიზეზების

მითითებით, რომელიც გასაჩივრებას დაექვემდებარება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

190. სავარაუდოა, რომ კანონმდებლობა ამგვარ სიტუაციებში შესაძლოა ითვალისწინებდეს მოსამართლის თვითაცილებას, მხარის მიერ მოსამართლის აცილებას ან გარეშე მოვლენებს, რომლებიც ხელს შეუშლიდა პირს დასწრებოდა სასამართლო განხილვას, მაგალითად მისი მოსამართლის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში. თუმცა, განმცხადებლის სასამართლო პროცესზე ასეთ ვითარებას ადგილი არ ჰქონია. ხელისუფლება სასამართლოს წინაშე ამტკიცებდა, რომ სხდომის თავმჯდომარის ჩანაცვლების მიზეზს წარმოადგენდა მოსამართლე შ-ს მიერ სხვა რთული საქმეების სისხლის სამართლის საქმის წარმოება და მისი ყოველწლიური შვებულება, რომელიც დაგეგმილი იყო 2003 წლის 15 დეკემბრიდან 2004 წლის 14 იანვრამდე. სასამართლო მიიჩნევს, რომ გადატვირთული სამუშაო გრაფიკი და ყოველწლიური შვებულება, რომლის შესახებაც განაცხადა ხელისუფლებამ, შესაძლოა თან ახლდეს ნებისმიერი მოსამართლის პროფესიულ რეალობას და დამატებულად ვერ ახსნის ინ ფაქტს, რომ მოსამართლე შ. „ვეღარ მიიღებდა მონაწილეობას“ სამართალწარმოებაში. თუ საქმის გადაცემის უკან იმალებოდა განზრახვა, თავიდან აეცილებინათ საქმის განხილვის შეფერხება ისეთი კონტრარგუმენტებით, როგორცაა ნათიკ მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევა და სასამართლო განხილვის ნულიდან დაწყება, აღნიშნულიც უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. გარდა ამისა, სხდომის ახალი თავმჯდომარე ვერ დაიწყებდა სასამართლო განხილვას 2004 წლის მარტამდე, ანუ მისთვის საქმის გადაცემიდან 3.5 თვის შემდეგ. როგორც ჩანს, რადგანაც მოხდა ნათიკ მსაჯულთა შემადგენლობის ფორმირება და დაიწყო სასამართლო განხილვა, ხელისუფლების მიერ მოყვანილი საფუძველი მოცემულ ვითარებაში ვერ იქნება დამატებელი განმარტება იმის შესახებ, რომ მთლიანი სასამართლოს შემადგენლობის შეცვლა აუცილებლობას წარმოადგენდა და სასამართლო პროცესის ხელმეორედ დაწყება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მართლმსაჯულების ინტერესები - სასამართლოს თავდაპირველი შემადგენლობის მიერ საქმის უწყვეტი განხილვა. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს უფლებამოსილებას არ წარმოადგენდა იმ გარემოებების დადგენა, რომელიც გამოიწვევდა მოსამართლის შეცვლას. აღნიშნულის შესახებ, დაცვის მხარეს უნდა სკოდნოდა შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოების ფარგლებში. თუმცა, არც ერთი საპროცესო გადაწყვეტილება არ ყოფილა გამოტანილი, რომელშიც მითითებული იქნებოდა მოსამართლის შეცვლის საფუძველები და მიზეზები ასევე, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, დაცვის მხარე არ იყო ინფორმირებული სასამართლო პროცესის დამთავრებამდე. აქედან გამომდინარე, დაცვის მხარეს არ ჰქონდა შესაძლებლობა აეცილებინა მოსამართლის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება.

191. უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ანალოგიურ ვითარებაში სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ ხარვეზები, რომელსაც



ადგილი ჰქონდა პირველი ინსტანციის სამართალწარმოებაში არ გამოსწორდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, რომელმაც საბრალდებო განაჩენი და სასჯელი ძალაში დატოვა. მიმდინარე საქმეში უზენაესმა სასამართლომ ხარვეზები არ გამოასწორა.

192. ზემოთქმულის საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის ეჭვი პირველი ინსტანციის სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით მის სისხლის სამართლის საქმეში შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურად საფუძვლიანად სხდომის თავმჯდომარის შეცვლასთან დაკავშირებით, რაც მოხდა გაურკვეველი მიზეზების გამო და არ იყო შეზღუდული რაიმე პროცედურული გარანტიებით.

193. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას პირველი ინსტანციის სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ობიექტური შეფასების თანახმად.

## **2. დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნები**

194. აღნიშნული დასკვნა არ საჭიროებს განმცხადებლის სხვა მოსაზრებების ცალკეულ განხილვას მოსკოვის საქალაქო სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის შერჩევასთან დაკავშირებით. ასევე, აუცილებლობას არ წარმოადგენს განმცხადებლის ბრალდებების ცალ-ცალკე განხილვას ერთსა და იმავე ფაქტებზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო არ იყო „შექმნილი კანონის შესაბამისად“, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სხვა სამართლებრივ კონტექსტს მიეკუთვნება, იგი არსებითად ემთხვევა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებულ საჩივარს.

განმცხადებლის სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლების არაპროპორციული შეზღუდვა: დარღვევა.

საქმე „ილბეი ქემალოღლუსა და მერიე ქემალოღლუს თურქეთის წინააღმდეგ“

CASE OF İLBEYİ KEMALOĞLU AND MERİYE KEMALOĞLU v. TURKEY

განაცხადი № 19986/06

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2012 წლის 10 აპრილი

## ა. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლები, თურქეთის მოქალაქეები, ბატონი ილბეი ქემალოღლუ და ქალბატონი მერიე ქემალოღლუ, დაიბადნენ 1965 და 1974 წლებში; ცხოვრობენ სტამბოლში. 2004 წელს, როდესაც სკოლაში გაკვეთილები ქარბუქის გამო ადრე დასრულდა, მათი ვაჟიშვილი - ათალაი შეეცადა ფეხით მისულიყო სახლში, რომელიც 4 კმ-ით იყო დაშორებული სკოლას. როდესაც სკოლა დაიხურა, მუნიციპალიტეტის ავტობუსი არ მოვიდა, რადგან მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო მომსახურების სააგენტოს არ აცნობეს გაკვეთილების ადრე დასრულების შესახებ. ნაშუადღევს, როდესაც ათალაი არ დაბრუნდა სკოლიდან, მისმა მშობლებმა პოლიცია გამოიძახეს. ბავშვი ვერსად იპოვეს. მისი ცხედარი მომდევნო დღეს, გაყინული ნახეს მდინარის კალაპოტთან ახლოს.

გამოძიების დასკვნის მიხედვით, რომელიც ინიცირებული იყო სტამბოლის საგანმანათლებლო თავმჯდომარეობის დაწყებითი სკოლის ინსპექტორთა ხელმძღვანელობის მიერ, სკოლის დირექტორის მოადგილე დამნაშავე იყო იმაში, რადგან მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო მომსახურების სააგენტოს არ აცნობა კლასების ადრეული გათავისუფლების შესახებ. შესაბამისად, დირექტორის მოადგილემ მიიღო გაფრთხილება, როგორც დისციპლინური სანქცია.

2004 წლის აგვისტოს განმცხადებლებმა, რომელმაც თავისი შვილის გარდაცვალებაში დაადანაშაულეს თურქეთის ხელისუფლება, სარჩელი შეიტანეს განათლების სამინისტროს, იენიდოგანის მუნიციპალიტეტისა და სტამბოლის მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ, არათულადი და ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით. მათი იურიდიული დახმარების განვებისა და სასამართლო ხარჯების დაფარვის შესახებ თხოვნა, რომელსაც თან ერთვოდა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა მათი ხელმოკლეობა, არ დაკმაყოფილდა, უარის კონკრეტული მიზეზიც არ იყო მითითებული. 2005 წლის დეკემბერში, სტამბოლის ადმინისტრაციულმა სასამართლომ შეწყვიტა

სამართალწარმოება, რადგან განმცხადებლებმა ვერ გადაიხადეს სასამართლო მოსაკრებელი.

## II. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

49. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ იურიდიული დახმარების განწევის შესახებ მათი თხოვნის უგულებელყოფის შედეგად დაირღვა კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული უფლება სამართლიან სასამართლოზე, რომლის შესაბამისადაც:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება...დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“

50. მთავრობამ აღნიშნული არგუმენტის გასაქარწყლებლად განაცხადა, რომ განმცხადებლებმა ეროვნული სასამართლოს წინაშე ვერ წარადგინეს მათი უსახსრობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

### **ბ. საქმის არსებითი გარემოებები**

52. სასამართლო კიდევ ერთხელ ადასტურებს პრეცედენტულ სამართალში ასახულ ძირითად პრინციპებს იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით (იხ. *კრეუზი პოლონეთის წინააღმდეგ*, N28249/95, §52-57, ECHR, 2001-VI, *ბაკანი თურქეთის წინააღმდეგ* N50939/99, §§ 66-68, 2007 წლის 12 ივნისი და *მეჰმეტი და სუნა იგიტი*, § 33-34). მოცემულ საქმეში სასამართლო მოსაკრებელი, რომელიც განმცხადებლებს უნდა გადაეხადათ, სამართალწარმოების ღირებულების საფუძველზე იყო გათვლილი და 5.072.600.000 და 4.384.100.000 თურქულ ლირას შეადგენდა, ხოლო ყოველთვიური საარსებო მინიმუმი იმ დროს იყო 444.150.000 თურქული ლირა. მიუხედავად მთავრობის მტკიცების, რომ განმცხადებლებმა ვერ წარადგინეს მათი ხელმოკლეობის დამადასტურებელი დოკუმენტები, სასამართლო აღნიშნავს, რომ ორივე განმცხადებელს ჰქონდა შესაბამისი ცნობები, რომლებიც ადასტურებდნენ მათ მძიმე ფინანსურ მდგომარეობას, რის საფუძველზეც მიმართეს სტამბოლის ადმინისტრაციულ სასამართლოს მათთვის იურიდიული დახმარების განწევის თხოვნით. სათაო ოფისის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ნათელია, რომ განმცხადებლებს არ ჰქონდათ შემოსავალი და ისინი იყვნენ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციულმა სასამართლომ მათი იურიდიული დახმარების განწევის შესახებ მოთხოვნა არ

დააკმაყოფილა გადანყვეტილებაში კონკრეტული მიზნის დასაბუთების გარეშე, მხოლოდ შესაბამის კანონმდებლობაზე მიუთითა.

53. სასამართლო აღნიშნავს, რომ მას წარსულში უკვე ჰქონდა განხილული მსგავსი საჩივრები და დაადგინა კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა. სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთის იურიდიული დახმარების სისტემა ფიზიკურ პირებს თვითნებობისაგან დასაცავად ვერ სთავაზობს არსებით გარანტიას (იხ. ბაკანი, წგ 74-78; მეჰმეტი და სუნა იგითი, წგ 31-39; ეიუპ კაია თურქეთის წინააღმდეგ, N17582/04, წგ 22-26, 2008 წლის 23 სექტემბერი; კაბა თურქეთის წინააღმდეგ, N1236/05, წგ 19-25, 2011 წლის 1 მარტი). სასამართლომ ასევე შეისწავლა მოცემული საქმე და ვერ გამოავლინა განსაკუთრებული გარემოებები, რომელთა გამო მის მიერ ზემოაღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით მიღებული გადანყვეტილებისგან განსხვავებული გადანყვეტილება უნდა იქნეს მიღებული. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლებისთვის იურიდიული დახმარების განწევაზე უარის თქმამ მოუსპო მათ თავისი საჩივრის სასამართლოსთვის წარდგენის შესაძლებლობა და მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა განმცხადებლების სასამართლოსადმი ხელმისაწვდომი უფლების არათანაბომიერ შეზღუდვას.

54. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის 6.1 მუხლი.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მიუკერძოებელ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის თაობაზე. ვიდეოაპარატურის მუშაობაზე პასუხისმგებელი პოლიციის ოფიცერს ნება დართეს მარტო დარჩენილიყო ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობასთან ერთად იმ დროს, როდესაც მნიშვნელოვან ვიდეომტკიცებულებას ეცნობოდნენ: დარღვევა არ დადგინდა

**საქმე „სზიპუსზი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“**

**CASE OF SZYPUSZ v. THE UNITED KINGDOM**

**განაცხადი №8400/07**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2010 წლის 21 სექტემბერი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელს ბრალი წაუყენეს მკვლელობის მცდელობასა და მკვლელობის მუქარის განხორციელებაში. მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სატელევიზიო სათვალთვალო სისტემიდან (CCTV) ამოღებული ვიდეოჩანაწერი, რომელიც დამონტაჟებული იყო დანაშაულის ჩადენის ადგილთან ახლოს. CCTV ვიდეომასალის კრებული რამდენჯერმე აჩვენებს სასამართლო პროცესზე ციფრული მონაცემების საშუალებით. მონაცემილობას ამუშავებდა პოლიციის დეტექტივი, რომელიც როგორც საგამოძიებო გუნდის წევრი ოფიციალურად საქმის მონმე იყო. მას შემდეგ, რაც ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა სათათბიროდ გავიდა, მათ სურვილი გამოთქვეს კიდევ ერთხელ ენახათ მტკიცებულება. მოსამართლემ დაცვის მხარის ადვოკატისგან მათ შორის, უმცროსი ადვოკატისგანაც რჩევა ითხოვა, რომლებიც არ შენინააღმდეგებიან ჩანაწერის ხელახლა ჩვენებას. მოსამართლემ მითითება მისცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, რომ პოლიციის ოფიცერთან, რომელსაც ვიდეომონაცემილობის მართვა ევალებოდა, არ დაემყარებინათ კონტაქტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვიდეომასალის კონკრეტული ნაწილის ნახვა სურდათ. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა მარტო დარჩა სასამართლოს ოთახში პოლიციის ოფიცერთან ერთად, თითქმის ორი საათის განმავლობაში. იმ მომენტში განმცხადებლის მთავარი ადვოკატი შეეცადა ხელახლა მოეწვია სასამართლო პროტესტის ნიშნად, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა

პირისპირ იმყოფებოდა პოლიციის ოფიცერთან. განმცხადებელი საბოლოოდ ცნეს დამნაშავედ და მიუსაჯეს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. მისი სააპელაციო განაცხადი, რომლითაც ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას ტენდენციურობაში აღანაშულებდა, აცილებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ.

## სამართალი

### სასამართლოს შეფასება

#### ა. ზოგადი პრინციპები

79. სასამართლო შეგვახსენებს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სასამართლომ რწმენა შთაუწერგოს საზოგადოებას და უპირველეს ყოვლისა, ბრალდებულს, რამდენადაც საქმე ეხება სისხლის სამართლის პროცესს. ამ მიზნით, სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ჩათვლით უნდა იყოს მიუკერძოებელი როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური თვალსაზრისით.

80. სასამართლო შეგვახსენებს, რომ მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად ითვლება მანამ, სანამ ამის საპირისპირო არ დამტკიცდება, იგივე შეეხება ნაფიც მსაჯულებსაც. წინამდებარე საქმეში სადავო არ გამხდარა, რომ არ არსებობდა რაიმე ფაქტობრივი და სუბიექტური მიკერძოების მტკიცებულება არც ერთი ნაფიცი მსაჯულის მხრიდან. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, მიმდინარე საქმის შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულთა ნებისმიერი შეკითხვა უადგილო იქნებოდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა იმ მომენტში, როდესაც უყურებდნენ CCTV-დან ამოღებულ ვიდეომასალებს ოფიცერი მ-ს თანდასწრებით. სასამართლომ წინა საქმეების განხილვისას დაადასტურა, რომ წესი, რომელიც არეგულირებს ნაფიც მსაჯულთა სხდომის ფარულობას, გადამწყვეტია და სამართლებრივი ფუნქცია ინგლისის სასამართლო კანონმდებლობისთვის, რომლის ვალია გააძლიეროს ნაფიც მსაჯულთა, როგორც უმაღლესი მსაჯულის როლი და უზრუნველყოს ღია და გულწრფელი განხილვა ნაფიც მსაჯულთა შორის იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც მოისმინეს.

81. სამართლიანი სასამართლო პროცესის უზრუნველყოფა, შესაძლოა გარკვეულ გარემოებებში მოითხოვდეს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დათხოვნას, მაგრამ ასევე უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნული ყოველთვის არ წარმოადგენს მიზნის მიღწევის საშუალებას. სხვა ვითარებაში, დამატებითი გარანტიების არსებობა

საკმარისია. აქედან გამომდინარე, სასამართლომ უნდა განიხილოს მოცემულ ვითარებაში იყო თუ არა საკმარისი გარანტიები რათა გამოერიცხათ ობიექტურად დასაბუთებული ან ლეგიტიმური ეჭვი ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულის მღელვარება, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია, არ შეიძლება გადამწყვეტი იყოს აღნიშნულის განსაზღვრისას.

## **ბ. წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიზნებისთვის ზოგადი პრინციპების გამოყენება**

82. განმცხადებლის მღელვარება წინამდებარე საქმეში დაკავშირებულია ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაზე სავარაუდო ზეგავლენის მოხდენასთან, რომელიც გამონეულია ოფიცერ მ-ს თითქმის ორსაათიანი პირისპირ ყოფნით ნაფიც მსაჯულებთან, მას შემდეგ, რაც ისინი საქმის განსახილველად გავიდნენ. მიუხედავად იმისა, თუ რა ფაქტობრივი როლი ეკისრებოდა ოფიცერ მ-ს აღნიშნულ საქმეში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მისმა, როგორც პოლიციის ოფიცრის პოზიციამ და მისმა შედეგობრივმა კავშირმა ბრალდების მხარესთან, შეიძლება საფუძველი დაუდოს გასაგებ მღელვარებას ბრალდებულის მხრიდან ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, სასამართლოსთვის აუცილებელი არ არის განიხილოს ნაფიც მსაჯულთა გასვლის შემდგომი ურთიერთობის დამყარების საკითხი ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის არანეგრ პირთან, რომელიც არ იყო დაკავშირებული ბრალდების მხარესთან. სასამართლომ გამოთქვა ეჭვი, გასაგები უნდობლობა ავტომატურად აღმოცენდებოდა თუ არა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ნაფიც მსაჯულთა წევრები აღარ იქნებოდნენ იზოლირებული სასამართლო პროცესის განმავლობაში და ყოველდღიურად ურთიერთობა ექნებოდათ მრავალ ადამიანთან.

83. წინამდებარე საქმეში, განმცხადებლის გასაგები უნდობლობის გათვალისწინებით სასამართლომ, მოქმედი გარანტიების გათვალისწინებით, უნდა განიხილოს მისი შეშფოთება ობიექტურად რამდენად საფუძველიანია. სასამართლო აღნიშნავს, რომ ის წარსულში განხილულ სხვა საქმეებში, ითხოვდა უტყუარ მტკიცებულებას, რათა ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობა ობიექტურად ყოფილიყო გამართლებული მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის დადგენამდე. ასე მაგალითად, *პულარის* საქმეში (№22399/93, 1996 წლის 10 ივნისი), დარღვევა არ დადგინდა, როდესაც ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში იყო პიროვნება, რომელიც მუშაობდა თირმაში, სადაც ბრალდების მოწმე პარტნიორი იყო. საქმეში *ჰარდიმანი* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (№25935/94, 1996 წლის 28 თებერვლის კომისიის გადაწყვეტილება) კომისიამ მიუღებლად გამოაცხადა განაცხადი, რომელიც შეეხებოდა სასამართლო პროცესს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, რომელშიც ნაფიცმა მსაჯულმა გადააწოდა

ბარათი ადვოკატს და თხოვდა შეხვედროდა სადმე დასალევად, იმ მოქმედი გარანტიების საფუძველზე, რომელიც საკმარისი იყო შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში, რათა გაეთანტათ გონივრული ეჭვი მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ანალოგიურად, დარღვევა არ დადგინდა *გრეგორის* საქმეში (№22299/93, 1997 წლის 25 თებერვალი) როდესაც ნაფიცმა მსაჯულმა მოსამართლეს ბარათი გადაანოდა, რომელშიც ეწერა: „ნაფიცი მსაჯულთა შემადგენლობაში შეინიშნება რასობრივი მინიშნებები. ერთი წევრი ვალდებულია ბოდიში მოიხადოს.“

84. წინამდებარე საქმეში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის წევრად შერჩევისას, თითოეულ ნაფიც მსაჯულს მოეთხოვება ფიცი დადოს ან ხელწერილი დაწეროს და ამგვარად, სამართლიანად განიხილოს განმცხადებლის საქმე და გამოიტანოს სამართლიანი ვერდიქტი სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. გარდა ამისა, ნაფიცი მსაჯულებისთვის ზოგადი მიცემისას, სასამართლო განიხილვის დასაწყისში და თუ შესაძლებელია სასამართლო პროცესის მსვლელობისასაც, ნაფიცი მსაჯულებისთვის ნათელი უნდა იყოს რომ არ შეიძლება საქმის განხილვა არავისთან, გარდა ნაფიცი მსაჯულებისა. სასამართლოს აზრით, აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას ნებისმიერი საფუძვლიანი ეჭვის გასაფანტად ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, აღნიშნული პუნქტი სააპელაციო სასამართლოსაც წინა პლანზე აქვს წამოწეული.

85. როდესაც ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვიტეს, ოფიცერი მ-ს დახმარებით სასამართლოს დარბაზში CCTV-დან ამოღებული ვიდეომასალის ნახვა, საქმის განმხილველმა მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს მკაფიო მითითება მისცა, რომლითაც ყურადღება გაამახვილა, იმ ფაქტზე, რომ ოფიცერ მ-ს ერთადერთი მოვალეობაა ვიდეოაპარატურის მუშაობა და მასთან ყოველგვარი კომუნიკაცია აკრძალულია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაფიცმსაჯულები მას თხოვნით მიმართავენ ვიდეომასალების კადრების გაშვებასთან დაკავშირებით. მოსამართლემ შემდომში მითითება მისცა ნაფიც მსაჯულებს, რომ ერთმანეთთან მხოლოდ იმის განხილვა იყო დასაშვები, თუ რისი ნახვა სურდათ, საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი განხილვა ნაფიც მსაჯულთა ოთახში უნდა განხორციელდებოდა. სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითების მიზანი იყო, ნაფიცი მსაჯულებისთვის ეჭვი არ დაეთოვა ოფიცერ მ-ს წმინდა ტექნიკურ როლთან და მისი დისკუსიაში ჩართვის მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით, გარდა მითითებისა, თუ ვიდეომასალის რა ნაწილის ნახვა სურდათ მათ. საქმის გარემოებებში არ იყო ისეთი ფაქტორი, რის გამოც შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა არ დაეყრდნობოდა მოსამართლის დავალებებს და საქმის განმხილველ მოსამართლეს, აქედან გამომდინარე, უფლება



ჰქონდა ევარაუდა, რომ ნათიცი მსაჯულთა შემადგენლობა დაიცავდა მის მიერ მიცემულ მითითებებს.

86. მესამე, სასამართლო აღნიშნავს, რომ ნათიცი მსაჯულთა შემადგენლობას რჩევას მისცემდნენ სასამართლო პროცესის დანწყებამდე, რომ ყურადღება მიექციათ სხვა ნათიცი მსაჯულებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემისთვის და პრობლემის წამოჭრისთანავე ეცნობებინათ საქმის განმხილველი მოსამართლისათვის. აქედან გამომდინარე, საყურადღებოა, რომ წინამდებარე საქმეში არც ერთ ნათიცი მსაჯულს არ გაუგზავნია რაიმე სახის შეტყობინება საქმის განმხილველი მოსამართლისთვის, რომელიც გამოხატავდა შიშს CCTV -დან ამოღებული ვიდეომასალის ნახვის შემდეგ.

87. მეოთხე, ნათელი იყო, რომ ოფიცერ მ-ს მოვალეობა ნათიცი მსაჯულთა მითითებების შესაბამისად ვიდეომასალის ჩვენებით შემოიფარგლებოდა. მას საკუთარი სურვილით არ უხელმძღვანელია ნათიცი მსაჯულთათვის ვიდეომასალის შესაბამისი ნაწილის ჩვენებისას. აღნიშნულ გარემოებებში სასამართლო მიიჩნევს, რომ ოფიცერ მ-ს წინადადებას, ეჩვენებინა მის მიერ შერჩეული კონკრეტული კადრები, შეიძლება უნებურად ხელი შეეწყოს მტკიცებულების არაერთგვაროვან აღქმაში.

88. მეხუთე, სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველ მოსამართლეს ადვოკატის აზრი აინტერესებდა შეთავაზებულ საკითხთან დაკავშირებით. ორი ბრალდებულის ადვოკატი პირდაპირ დაეთანხმა ხოლო განმცხადებლის უმცროს ადვოკატს პროტესტი არ გამოუთქვამს აღნიშნულთან დაკავშირებით. როგორც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, არ არსებობდა არავითარი ეჭვი იმის შესახებ, რომ თანხმობა ოფიცერ მ.-ს დასწრების შესახებ ნათიცი მსაჯულთა მიერ ვიდეომასალის ნახვას, ყველა ადვოკატის მიერ იყო გაცემული. სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული შეთანხმება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ საკითხის განხილვისას, შიში ნათიცი მსაჯულთა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით რამდენად კანონიერი და ობიექტურად გამართლებული იყო.

89. დაბოლოს, რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მტკიცე შეთავაზებებს, რომ მეთოდი თავდაპირველად განმცხადებლის საქმეზე იქნა მიღებული, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალ საქმეებში, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა თანხმობა, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სასამართლოსთვის ბუნებრივია ესწრაფოდეს უზრუნველყოს მომავალში სამართალწარმოებების იმგვარად წარმართვა, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი ხარვეზები. ამგვარად, დრო და დრო, სააპელაციო სასამართლოებმა შეიძლება მითითებები მისცენ პირველი ინსტანციის სასამართლოებს, რათა თავიდან აიცილონ პროცესუალური ხარვეზები, რომელიც შეიძლება ჩრდილს არ აყენებდეს მთელი სასამართლო პროცესის სამართლიანობას,

მაგრამ მაინც არასასურველადაა მიჩნეული, რადგან ყველა პროცესუალურ ხარვეზს არ მივყავართ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევამდე. ის ფაქტი, რომ კრიტიკა გამოითქვა პროცედურის მიმართ, რომელიც თავდაპირველად მიიღეს განმცხადებლის საქმეზე, თავისთავად არ ადასტურებს დასკვნას, რომ მისი მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები დაირღვა.

90. ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ არსებობდა საკმარისი გარანტიები, რათა გამორიცხულიყო ობიექტურად დასაბუთებული ან ლეგიტიმური ეჭვი ნათეს მსაჯულთა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ოჯახის გაერთიანებაზე უარის თქმის შესახებ.

პირები, რომლებიც მინიმუმ 28 წლის განმავლობაში არიან დანიის მოქალაქეები, ოჯახის გაერთიანებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობები გააჩნიათ: დარღვევა.

**დიდი პალატა**

**საქმე „ბიאו დანიის წინააღმდეგ“**

CASE OF BIAO v. DENMARK

განაცხადი N. [38590/10](#)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2016 წლის 24 მაისი

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებლები არიან ცოლ-ქმარი. პირველი განმცხადებელი არის ნატურალიზებული დანიის მოქალაქე, წარმოშობით ტოგოდან, რომელიც ცხოვრობდა განაში 6-დან 21 წლამდე, დანიაში საცხოვრებლად გადავიდა 1993 წელს - 22 წლის ასაკში, 2002 წელს მიიღო დანიის მოქალაქეობა. იგი მეორე განმცხადებელთან დაქორწინდა 2003 წელს, განაში. მეორე განმცხადებელი არის ეროვნებით განელი, დაიბადა და გაიზარდა განაში. ქორწინებამდე იგი ნამყოფი არ იყო დანიაში და არ ფლობდა დანიურ ენას. ქორწინების შემდეგ მეორე განმცხადებელმა მოითხოვა დანიაში ბინადრობის ნებართვა, რაზეც უარი ეთქვა უცხოელთა საქმეების მართვის ორგანოს მიერ იმ მიზეზით, რომ განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებდა სხვა ქვეყნის მოქალაქეების შესახებ კანონის მოთხოვნებს (ცნობილია, როგორც „ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნა“), რომლის თანახმადაც, წყვილს, რომელიც ითხოვს ოჯახის გაერთიანებას, არ უნდა გააჩნდეს უფრო ძლიერი კავშირები სხვა ქვეყანასთან - განმცხადებლის შემთხვევაში განასთან. ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნის შეზღუდვა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც სულ მცირე 28 წლის განმავლობაში არიან დანიის მოქალაქეები, ასევე იმ პირებზე, რომლებიც არ არიან ეროვნებით დანიელები, მაგრამ დაიბადნენ და კანონიერად ცხოვრობენ დანიაში 28 წლის განმავლობაში (ე.წ. სხვა ქვეყნის მოქალაქეების შესახებ კანონის 28-წლიანი წესი). განმცხადებლებმა დანიის სასამართლოში უშედეგოდ გაასაჩივრეს ოჯახის გაერთიანების მოთხოვნაზე უარი. განმცხადებლების საჩივრის მიხედვით, 28-წლიანი წესი განსხვავებულ შედეგს იწვევს დანიის მოქალაქეების ორი ჯგუფის მიმართ, კერძოდ, დანიის მოქალაქეების მიმართ, რომლებიც დანიაში არიან დაბადებულნი და დანიის მოქალაქეობა მოგვიანებით მოიპოვეს. აღნიშნული წესის თანახმად, პირველი განმცხადებელი ვერ

აკმაყოფილებს ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნას 2030 წლამდე, სანამ მას 59 წელი შეუსრულდება.

მეორე განმცხადებელი დანიას ეწვია ტურისტის სტატუსით. რამდენიმე თვის შემდეგ, წყვილი საცხოვრებლად გადავიდა შვედეთში, სადაც 2004 წელს შეეძინათ შვილი. შვილმა დანიის მოქალაქეობა მიიღო მამის მხრიდან.

## **სამართალი**

### **I. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში**

62. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათთვის ოჯახის გაერთიანების უფლების მინიჭების შესახებ დანიის ხელისუფლების უარით დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი ცალკე აღებული მე-14 მუხლთან კომბინაციაში. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, განმცხადებლებმა გაასაჩივრეს 2004 წლის 1 იანვარს სხვა ქვეყნის მოქალაქეების შესახებ აქტი შეტანილი ცვლილებები, რომელიც აუქმებდა ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნას მათთვის, ვინც დანიის მოქალაქეობას ფლობდა სულ მცირე 28 წლის განმავლობაში (ცნობილია, როგორც 28-წლიანი წესი), რაც განაპირობებს არასამართლიან განსხვავებულ მოპყრობას დანიის მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფების მიმართ: კერძოდ, დანიაში დაბადებულ ეროვნებით დანიელ მოქალაქეებსა და იმ მოქალაქეებს შორის, მსგავსად ბატონი ბიაოსა, რომლებმაც დანიის მოქალაქეობა მოიპოვეს მოგვიანებით, ასევე ეთნიკურად დანიელი დანიის მოქალაქეებსა და სხვა ეთნიკური წარმოშობის დანიელ მოქალაქეებს შორის.

### **63. კონვენციის მე-8 მუხლი შემდეგნაირად იკითხება:**

„1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“

კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად:

ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების,



ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად.

### გ. სასამართლოს შეფასება

#### 1. ზოგადი პრინციპები

88. სასამართლო არაერთგზის აღნიშნავს, რომ მე-14 მუხლი ავსებს კონვენციისა და მისი ოქმების სხვა არსებით დებულებებს. აღნიშნული მუხლი ვერ იარსებებს დამოუკიდებლად, რადგან ის მოქმედებს მხოლოდ ზემოხსენებული დებულებებით განმტკიცებულ „პირის უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობასთან“ კავშირში. მე-14 მუხლის გამოყენება აუცილებლად არ გულისხმობს კონვენციით გარანტირებული არსებითი უფლების დარღვევას. ამდენად, მე-14 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვა სცდება კონვენციითა და მისი ოქმებით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის უფლებას, რაც უზრუნველყოფილია წევრი სახელმწიფოების მხრიდან. იგი შეეხება ასევე იმ დამატებით უფლებებს, რომლებიც ექცევა კონვენციის ნებისმიერი მუხლის მოქმედების სფეროში, რომლებსაც წევრი სახელმწიფოები ნებაყოფლობით უზრუნველყოფენ. მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებები საკმარისია იმისთვის, რომ ის მოექცეს კონვენციის ერთ-ერთი მუხლის მოქმედების სფეროში (იხ. *სტეკი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება) [დიდი პალატა], N [65731/01](#) და N[65900/01](#), §§ 39-40, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2005-X; ი.ბ. *საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N[43546/02](#), §§ 47-48, 2008 წლის იანვარი; *ვალიანატოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N[29381/09](#) და N[32684/09](#), §72, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2013).

89. სასამართლომ პრეცედენტული სამართლით დაადგინა, რომ კონვენციის მე-14 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, დისკრიმინაციად ჩაითვლება მხოლოდ განსხვავებული მოპყრობა, რომელსაც გააჩნია იდენტიფიცირებადი მახასიათებლები ან „სტატუსი“. ამასთან, მე-14 მუხლის საფუძველზე სარჩელის აღძვრა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ანალოგიურ ან მსგავს გარემოებაში პირის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას (იხ. *კარსონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N[42184/05](#), § 61, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2010; *ბურდენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა] N[13378/05](#), § 60, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2008 დ.ჰ. და *სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის* [დიდი პალატა], [57325/00](#), § 175, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2007-IV; და *კჯელდსენი, ბასკ მადსენი და პედერსენი დანიის წინააღმდეგ*, დეკემბერი 1976, § 56, სერია A, N 23). მე-14 მუხლში ჩამოთვლილია კონკრეტული საფუძვლები, რომლებიც განსაზღვრავს „სტატუსს“, მათ შორისაა, რასა, ეროვნება ან სოციალური

წარმომავლობა და დაბადება. თუმცა სია არის საილუსტრაციო და არ არის ამომწურავი (იხ. *ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*, 1976 წლის 8 ივნისი, § 72, სერიები A, N 22 და *კარსონი და სხვები*, §70). „ნებისმიერი სხვა სტატუსი“- ჩანაწერის მიხედვით, საილუსტრაციოა და არა ამომწურავი. „სხვა სტატუსი“ ზოგადად ფართოდ განიმარტება (იხ. *კარსონი და სხვები* §70); აღნიშნული ჩანაწერის ინტერპრეტაცია არ შემოიფარგლება თანდაყოლილი პერსონალური მახასიათებლებით (იხ. *კლიფტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, [7205/07](#), §§ 56-58, 2010 წლის 13 ივლისი).

90. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია ობიექტური და გონივრული დასაბუთების გარეშე, კერძოდ, თუ ამგვარი მოპყრობა არ ემსახურება კანონიერ მიზნებს ან გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი. დისკრიმინაციის ცნება მე-14 მუხლის მნიშვნელობით ასევე მოიცავს შემთხვევებს, როდესაც პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ სხვა პირისა თუ პირთა ჯგუფისგან განსხვავებით, დაუსაბუთებლად ხორციელდება არათანაბარი მოპყრობა, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციით არ არის გათვალისწინებული უკეთესი მოპყრობის უზრუნველყოფა (იხ. *აბდულაზის, კაბალეს და ბალკანდალი*, § 82).

91. ზოგადი პოლიტიკა ან ღონისძიება, რომელსაც კონკრეტული ჯგუფის მიმართ აქვს არაპროპორციული საზიანო გავლენა, შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციულად, მიუხედავად იმისა, არის თუ არა აღნიშნული პოლიტიკა ან ღონისძიება კონკრეტულად ამ ჯგუფზე მიმართული, თუნდაც არ ხასიათდებოდეს დისკრიმინაციული განზრახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარ პოლიტიკასა თუ ღონისძიებას აქვს „ობიექტური და გონივრული“ დასაბუთება (იხ. *ს.ა.ს. საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N43835/11](#), §161, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2014 (ამონაწერი) და *დ.ჰ. და სხვები*, §§ 175 და 184-185).

92. რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, კონვენციის მე-14 მუხლთან მიმართებაში, სასამართლომ დაადგინა, რომ მას შემდეგ, რაც განმცხადებელი დაამტკიცებს მის მიმართ განსხვავებული მოპყრობის ფაქტს, მთავრობამ უნდა დაამტკიცოს, რომ ამგვარი მიდგომა გამართლებული იყო (იხ. *დ.ჰ. და სხვები* §177 ).

93. ხელშემკვრელი მხარეები სარგებლობენ გარკვეული დისკრეციული უფლებით, შეათვასონ მსგავს სიტუაციაში განსხვავებული მოპყრობის მართებულობა (იხ. *ჰემელაინენი ფინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N37359/09](#), §108, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2014; *იესი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N19010/07](#), §98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2013 და *ვალიანატოსი და სხვები*, §76). შეფასების დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები განსხვავდება გარემოებების, განსახილველი საკითხისა და მისი საფუძვლების მიხედვით, მაგრამ კონვენციის მოთხოვნების

დაცვის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ეკისრება სასამართლოს. ჩვეულებრივ, შეფასების თავისუფლების ფართო არე აქვთ სახელმწიფოებს, როდესაც საქმე შეეხება ეკონომიკური ან სოციალური სტრატეგიის შესახებ ზოგადი გადაწყვეტილებების მიღებას (იხ. ბურდენი §60; კარსონი და სხვები, §61; შერიფი იითი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], [N3976/05](#), §70, 2010 წლის 2 ნოემბერი და სტამერი ავსტრიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], [N37452/02](#), §89, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო). სასამართლოს წინაშე საფუძვლიანი მიზეზების წარდგენის შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება ეროვნების საფუძველზე განსხვავებული მოპყრობა განიხილოს კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად (იხ. გაიგუსუი ავსტრიის წინააღმდეგ 1996 წლის 16 სექტემბერი, §42, განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ანგარიში 1996-IV; კოუა პოირემი საფრანგეთის წინააღმდეგ, [N40892/98](#), §46, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2003-X; ანდრეევა ლატვიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], [N55707/00](#), §87, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2009 და პონომარიოვი ბულგარეთის წინააღმდეგ [N5335/05](#), §52, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2011).

94. თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში დაუშვებელია პირის მიმართ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით განსხვავებული მოპყრობის გამართლება. სხვათა შორის, პირის ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით დისკრიმინაცია წარმოადგენს რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას (იხ. დ.ჰ. და სხვები §176; ტიმიშევი რუსეთის წინააღმდეგ [N55762/00](#) და [55974/00](#), §56, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2005-XII; და ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], [N43577/98](#) და [N43579/98](#), §145, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2005-VII).

## 2. ზემოაღნიშნული პრინციპების მოცემულ საქმეში გამოყენება

### (ა) კონვენციის მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში

95. მხარეები სადავოდ არ ხდიან, რომ მოცემულ საქმეში წარმოდგენილი ფაქტები, კერძოდ, ოჯახის გაერთიანების მოთხოვნაზე უარი და განმცხადებლების მიმართ 28 წლის წესის გამოყენებლობა, ექცევა მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში. სასამართლოც ეთანხმება მოცემულ გარემოებას. აღნიშნულისა და 88-ე თავში განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად, მოცემულ საქმეში წარმოდგენილ ფაქტებთან მიმართებაში მე-14 მუხლი გამოყენებულ უნდა იქნეს მე-8 მუხლთან ერთობლიობაში (იხ. ჰოდი და აბდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [N22341/09](#), §43, 2012 წლის ნოემბერი).

### (ბ) მე-14 მუხლის შესაბამისობა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში

(i) დგინდება თუ არა დისკრიმინაციის ფაქტი საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან

96. უდავოა, რომ განმცხადებლები იყვნენ იმ წყვილის მსგავს სიტუაციაში, რომელთაგან ერთი იყო ეროვნებით დანიელი და მეორე კი უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ითხოვდა ოჯახის გაერთიანებას დანიაში. ამასთან, მთავრობა და ეროვნული სასამართლო აღიარებდნენ, რომ 28-წლიანი წესი დანიის მოქალაქეების მიმართ განსხვავებულ მიდგომას უზრუნველყოფდა, იმის მიხედვით, თუ რამდენი ხანი იყვნენ პირები დანიის მოქალაქეები. თუ პირი დანიის მოქალაქე იყო 28 წლის განმავლობაში, „ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნიდან“ გამონაკლისი წესი მოქმედებდა. თუ პირი 28 წლის განმავლობაში არ იყო დანიის მოქალაქე, აღნიშნული გამონაკლისი არ მოქმედებდა.

ამდენად, განმცხადებლების მოსაზრებით, საქმის სირთულე მდგომარეობდა იმაში, რომ 28-წლიანი წესი უზრუნველყოფდა განსხვავებულ მიდგომას დაბადებით დანიელ მოქალაქეებსა და იმ მოქალაქეებს შორის, რომლებმაც მოგვიანებით მიიღეს დანიის მოქალაქეობა, რაც წარმოადგენს რასისა ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით არაპირდაპირ დისკრიმინაციას.

97. უნდა გვახსოვდეს, რომ 2003 წლის 1 ივლისს, უცხოელთა საქმეების მართვის ორგანომ არ დააკმაყოფილა მეორე განმცხადებლის მოთხოვნა ბინადრობის ნებართვის მიღების შესახებ, რადგან განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებდა ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნებს. 2004 წლის 27 აგვისტოს ლტოლვილთა, იმიგრაციისა და ინტეგრაციის სამინისტრომ, იგივე საფუძვლით არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი. განმცხადებლებმა ვერ ისარგებლეს ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნიდან, კერძოდ, 28-წლიანი წესიდან გამონაკლისით, რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 იანვარს, რადგან პირველი განმცხადებელი 28 წლის განმავლობაში არ იყო დანიის მოქალაქე.

98. სასამართლო აღნიშნავს, რომ 28-წლიანი წესიდან გამონაკლისი მიღებულ იქნა 2003 წლის 27 დეკემბერის N1204 აქტით, რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 იანვარს, ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნის მოქმედების შესამსუბუქებლად დანიის იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც 28 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში იყვნენ დანიის მოქალაქეები. ამდენად, უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ აქტის მე-9 თავის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„თუ 1(i)(a) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვის გაცემა არ შესაბამეა გამონაკლისს, როდესაც პირი 28 წლის განმავლობაში არ არის დანიის მოქალაქე, თუმცა 1(i)(b)-(d) ქვეპუნქტების შესაბამისად, ბინადრობის ნებართვის გაცემა შესაძლებელია მაშინ, როდესაც მეუღლის ან თანამცხოვრები პირის კავშირი დანიასთან უფრო მჭიდროა, ვიდრე სხვა ქვეყანასთან. დანიის რეზიდენტი მოქალაქეები, რომლებიც აყვანილ იქნენ საზღვარგარეთ ექვს წლამდე ასაკში და რომლებმაც დანიის მოქალაქეობა მოიპოვეს არა უგვიანეს აყვანისა, დაბადებიდან დანიის მოქალაქეებად ითვლებიან“



ზემოაღნიშნული დებულების ფორმულირება განასხვავებს მხოლოდ რეზიდენტ პირებს, რომლებიც 28 წლის განმავლობაში იყვნენ დანიის მოქალაქეები და რეზიდენტ პირებს, რომლებიც 28 წლის განმავლობაში არ იყვნენ დანიის მოქალაქეები.

99. მოსამზადებელი სამუშაოების თანახმად, შემოთავაზებული დებულების მიზანია უზრუნველყოს, რომ დანიელმა ექსპატრიატებმა, რომლებიც სულ მცირე 28 წლის განმავლობაში იყვნენ დანიის მოქალაქეები, დანიაში შეძლონ ოჯახის გაერთიანება. შემოთავაზებული დებულების მიზნობრივ ჯგუფში ერთიანდებიან პირები, რომლებსაც დანიის მოქალაქეებისა და დანიაში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მსგავსად ზემოთ ხსენებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ აქტის მე-9 თავის მე-7 პუნქტის თანახმად, არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ოჯახის გაერთიანების უფლება. ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნის შემოთავაზებული ცვლილების მიზანია „დანიელ ექსპატრიატებს მიეცეთ დანიაში დაბრუნების რეალური შესაძლებლობა უცხოელ მეუღლესთან ან თანამცხოვრებ პირთან ერთად და ასევე ახალგაზრდა დანიელებს მიეცეთ შესაძლებლობა იცხოვრონ საზღვრებს გარეთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გარანტიით, რომ მეუღლესთან ან თანამცხოვრებ პირთან ერთად დაბრუნება არ აეკრძალებათ ქვეყანასთან მჭიდრო კავშირის მოთხოვნის დაუცველობის გამო“.

100. ამასთან, მოსამზადებელი სამუშაოების თანახმად, „განსაკუთრებული მიზნების გამო“ ვალდებულებისგან გათავისუფლება დასაშვებია დანიის მიერ სახელმეკრულებო ვალდებულებების შესაბამისი დებულებებით გათვალისწინებულ სიტუაციებში. უფრო კონკრეტულად, მე-9 თავის მე-7 ქვეპუნქტში მითითებულია, რომ ადრეული ბავშვობიდან 28 წლის განმავლობაში კანონიერი ბინადრობა მოექცევა „განსაკუთრებული მიზნების“ მოქმედების სფეროში არა დანიური წარმოშობის დანიის მოქალაქეებისათვის. შესაბამისად, პირები, რომლებიც არ არიან დანიური წარმოშობის მოქალაქეები, მაგრამ დაიბადნენ და გაიზარდნენ დანიაში, ან დანიაში საცხოვრებლად ჩავიდნენ ადრეულ ბავშვობაში, თავისუფლდებიან ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნის შესრულებისგან, რადგან ისინი კანონიერად ცხოვრობდნენ დანიაში 28 წლის განმავლობაში.

101. ქვემოთ მოყვანილი მიზნების გამო, სასამართლო არ არის მზად დააკმაყოფილოს მთავრობის სარჩელი, რომ განსხვავებული მოპყრობა უკავშირდება მხოლოდ მოქალაქეობის ხანგრძლივობას, რამაც გამოიწვია განმცხადებლების მიმართ იმ წყვილისგან განსხვავებული მოპყრობა, რომელიც ითხოვდა ოჯახის გაერთიანებას და სადაც ერთ-ერთი მეუღლე იყო დანიის მოქალაქე 28 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ბატონი ბაიო კი დანიის მოქალაქე უფრო მოკლე ხნის განმავლობაში იყო.

102. განმცხადებლის განცხადებით, 28-წლიანმა წესმა პრაქტიკაში გამოიწვია განსხვავებული მოპყრობა დანიაში დაბადებულ მოქალაქეებსა და დანიის იმ



მოქალაქეებს შორის, რომლებმაც მოქალაქეობა მოგვიანებით მოიპოვეს. ამასთან, დანიაში დაბადებული მოქალაქეების უმრავლესობა ეთნიკურად დანიელია, ხოლო პირები, რომლებმაც მოქალაქეობა მიიღეს მოგვიანებით, ძირითადად სხვა ეთნიკური წარმომავლობის არიან და არა დანიური, აქედან განსხვავებული მოპყრობა გულისხმობს რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით არაპირდაპირ დისკრიმინაციას. განმცხადებლებმა, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითეს უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის უმცირესობის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომლის თანახმადაც, 28-წლიანი წესის საფუძველზე ხდება განსხვავებული მოპყრობა ეთნიკურად დანიელი მოქალაქეებისა და სხვა ეთნიკური წარმომავლობის დანიის მოქალაქეების მიმართ ოჯახის გაერთიანების უფლებით სარგებლობისას.

103. სასამართლომ წინა საქმეებში დაუშვა, რომ განსხვავებული მოპყრობა შესაძლოა განხორციელდეს ზოგადი პოლიტიკის ან ღონისძიებების არაპროპორციული საზიანო ზემოქმედების ფორმით, მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრალური თვალსაზრისით, აღნიშნული წარმოადგენს გარკვეული ჯგუფის დისკრიმინაციას (იხ. *ჰუგ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ N24746/94*, §154, 2001 წლის 4 მაისი). ასეთი სიტუაცია შესაძლოა გაუთანაბრდეს „არაპირდაპირ დისკრიმინაციას“, რაც აუცილებლად არ მოითხოვს დისკრიმინაციის განზრახვის არსებობას (იხ. *დ.ჰ. და სხვები*, §184)

104. აქედან გამომდინარე, მოცემულ საქმეში მართებულია გამოკვლეულ იქნეს, 28-წლიანი წესის პრაქტიკაში გამოყენების მეთოდმა იქონია თუ არა არაპროპორციული საზიანო ეფექტი იმ პირებზე, რომლებმაც პირველი განმცხადებლის მსგავსად, დანიის მოქალაქეობა მიიღეს მოგვიანებით და ასევე განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის მქონე დანიის მოქალაქეებზე (იხ. *დ.ჰ. და სხვები*, §185).

105. ამ მიზნით, სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს შეამოწმოს უცხოელთა შესახებ აქტის შესაბამისი დებულება ისტორიულ კონტექსტში. იგი აღნიშნავს, რომ ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნა დანიის კანონმდებლობით განისაზღვრა 2000 წლის 3 ივნისს, როგორც ოჯახის გაერთიანების ერთ-ერთი პირობა დანიის რეზიდენტი პირებისთვის, რომლებიც არ იყვნენ დანიის მოქალაქეები.

106. 2002 წლის 1 ივლისს, ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნა გავრცელდა ასევე დანიის მოქალაქეებზე შემდეგი მიზეზით:

„... გამოცდილებამ აჩვენა, რომ ინტეგრაცია განსაკუთრებით რთულია ოჯახებში, სადაც თაობებს დანიაში მოჰყავთ მეუღლეები თავიანთი ან მშობლების ქვეყნებიდან. უცხოელ რეზიდენტ პირებსა და უცხოური წარმოშობის დანიელ მოქალაქეებში გავრცელებულია თავიანთი ქვეყნის წარმომადგენელთან ქორწინება, სხვა მიზეზებს შორის მშობლების ზეგავლენის გამო. აღნიშნული

მოდელი ხელს უწყობს იმ პირების შეკავებას იმ სიტუაციაში, სადაც ისინი, სხვებზე უფრო მეტად, განიცდიან დანიური საზოგადოებისგან იზოლაციისა და შეუთავსებლობის პრობლემებს. ამდენად, აღნიშნული მოდელი ხელს უშლის დანიაში ახლად ჩამოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეების ინტეგრაციას. მთავრობამ დაადგინა, რომ ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნა, როგორც თვითმუშაობის მას აქვს დღეს, საკმარისად არ ითვალისწინებს რეზიდენტ უცხოელებსა და უცხოური წარმოშობის რეზიდენტ დანიის მოქალაქეებს შორის ქორწინების მოდელს. აქვე უნდა აღინიშნოს დანიის მოქალაქეები, რომლებიც კარგად არ არიან ინტეგრირებულნი დანიურ საზოგადოებაში, შეიძლება დადგინდეს დიდი პრობლემის წინაშე დანიაში ახლად ჩამოსული მეუღლის ინტეგრაციის პროცესში“.

107. ზემოაღნიშნულის თანახმად, აღმოჩნდა, რომ ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნის დანიის მოქალაქეებზე გავრცელებამ იმოქმედა დანიელ ექსპატრიატებზე, რომლებსაც შეექმნათ დანიაში თავიანთ უცხოელ მეუღლეებთან ერთად დაბრუნების პრობლემები.

108. დიდ პალატაში სამართალწარმოებისას, სასამართლომ მიიწვია დანიის მთავრობის წარმომადგენლები იმისათვის, რომ განემარტა, რამდენმა ადამიანმა მიიღო სარგებელი 28-წლიანი წესის მოქმედებით უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ აქტის მე-9 თავის მე-7 პუნქტის შესაბამისად და რამდენი იყო მათ შორის დანიური წარმოშობის დანიის მოქალაქე.

109. როგორც უკვე აღინიშნა, მთავრობამ სამწუხაროდ ვერ შეძლო სასამართლოს მიერ დასმულ კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემა. მთავრობამ წარმოადგინა 2015 წლის 1 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმი - ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნის გამოყენებასთან დაკავშირებით ოჯახის გაერთიანების საქმეში უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ აქტის მე-9 თავის მე-7 პუნქტის შესაბამისად და დანიაში ოჯახის გაერთიანების შესახებ სტატისტიკა.

110. ამდენად, სასამართლომ ზუსტად ვერ დაადგინა, რამდენ პირზე იმოქმედა დადებითად უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ აქტის მე-9 თავის მე-7 პუნქტის მოქმედებამ და რამდენი იყო აქედან დანიური წარმოშობის დანიის მოქალაქე და სხვა წარმომავლობის მქონე დანიის მოქალაქე.

111. მიუხედავად ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში მას შეუძლია დაადგინოს შემდეგი:

ა) როგორც მოსალოდნელი იყო, დანიაში დაბადებული ყველა ექსპატრიატი, რომელსაც უცხოელ მეუღლესთან ერთად დანიაში დაბრუნებისას შეექმნებოდა პრობლემები ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, ისარგებლებდნენ მოცემული 28-წლიანი წესით 28 წლის ასაკიდან.

ბ) ყველა სხვა დანიაში დაბადებული რეზიდენტი მოქალაქე ასევე ისარგებლებდა 28-წლიანი წესით 28 წლის ასაკიდან.

გ) ამასთან, მოსამზადებელი სამუშაოების თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც არ არიან დანიის მოქალაქეები და დაიბადნენ და გაიზარდნენ დანიაში ან დანიაში ჩავიდნენ ბავშვობაში, ან პირები, რომლებიც დანიაში კანონიერად ცხოვრობენ 28 წლის განმავლობაში, ასევე ისარგებლებდნენ 28-წლიანი წესით, როდესაც ისინი მიაღწევდნენ 28 წლის ასაკს ან ამ ასაკის მიღწევის შემდეგ.

დ) უმეტესობა, ბატონი ბიოს მსგავსად, რომლებმაც დანიის მოქალაქეობა მიიღეს მოგვიანებით, ვერ ისარგებლებს 28-წლიანი წესის მოქმედებით, რადგან ეს გამონაკლისი იმოქმედებს მხოლოდ ამ პირის მიერ მოქალაქეობის მიღებიდან 28 წლის შემდეგ. მთავრობის განმარტებით, როგორც განმცხადებელმა განაცხადა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნულ კატეგორიაში მოხვედრილ პირებს მოუწევთ 28 წელი ლოდინი ოჯახის გაერთიანების უფლების მინიჭებისთვის, რადგან განმცხადებლის სიტუაციაში მყოფ წყვილს, რომელიც გაიზარდა იმავე ქვეყანაში და იმ შემთხვევაში, თუ წყვილიდან ერთ-ერთი მოგვიანებით მიიღებს დანიის მოქალაქეობას, ზოგადად დააკმაყოფილებს ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნას დანიის მოქალაქეობის მიღებიდან სამი წლის განმავლობაში ან 12 წლის განმავლობაში ქვეყანაში კანონიერი ცხოვრების შემდეგ. სასამართლო აღნიშნავს, რომ 28-წლიანი წესის განმარტებით ბარათში არ არის ნახსენები, რომ 28-წლიან წესს არ ექნება არაპროპორციული საზიანო მოქმედება პირებზე, რომლებმაც დანიის მოქალაქეობა მიიღეს მოგვიანებით, რადგან ეს პირები ნებისმიერ შემთხვევაში დააკმაყოფილებენ ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნების კრიტერიუმებს უფრო მალე. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ამ საკითხზე არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები.

გარდა ამისა, ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნა ავტომატურად შესრულებულად არ ჩაითვლება მოქალაქეობის მიღებიდან 3 წლის შემდეგ ან 12 წლის განმავლობაში ქვეყანაში კანონიერი ცხოვრების შემდეგ. ამასთან, აღნიშვნის ღირსია, რომ თუ პირი მიიღებს დანიის მოქალაქეობას (დ კატეგორია), მაგალითად, 28 წლის ასაკში (შესაბამისად, დანიაში 9 წლის განმავლობაში კანონიერი ცხოვრების შემდეგ, იხ. მე-14 და 30-ე პუნქტები) ზოგადად, მას კვლავ მოუწევს დაიცადოს სამი წელი იმისთვის, რომ ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნა დააკმაყოფილებულად ჩაითვალოს. 28 წლის დანიაში დაბადებული მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს დანიაში (ბ კატეგორია) დაუყოვნებლივ გათავისუფლდება ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნის შესრულებისგან 28 წლის ასაკში და 28 წლის დანიაში დაბადებული ექსპატრიანიტი (ა კატეგორია) ასევე გათავისუფლდება ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნის შესრულებისგან, 28 წლის ასაკის მიღწევისას, მიუხედავად იმისა, რომ ექსპატრიანიტი დანიაში მხოლოდ მცირე პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდა. შესაბამისად, პირებმა, რომლებმაც დანიის მოქალაქეობა მოიპოვეს მოგვიანებით, მართალია, 28

წელი არ უნდა იყადონ ოჯახის გაერთიანებისთვის, მაგრამ მათ უნდა დაიცადონ 3 ან მეტი წელი, რაც სასამართლოს თვალსაზრისით, ვერ აბათილებს იმ ფაქტს, რომ 28-წლიანი წესის გამოყენებას არ აქვს საზიანო გავლენა დანიის მოქალაქეზე განმცხადებლის შემთხვევაში.

112. სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ გონივრულ ფარგლებში შესაძლოა ივარაუდებოდეს, რომ ა კატეგორიის დანიის ექსპატრიატების უმრავლესობა ბ კატეგორიის დანიაში დაბადებული და მცხოვრები დანიის მოქალაქეებისა, რომლებზეც 28 -წლიანი წესის მოქმედების გავრცელება დადებით შედეგს იძლევა, ჩვეულებრივ არიან დანიური ეთნიკური წარმომავლობის, როდესაც დ კატეგორიის პირები, რომლებმაც მოქალაქეობა მოგვიანებით მიიღეს, წესის თანახმად, უცხო ეთნიკური წარმომავლობის არიან.

113. შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს გარემოება, რომ გ კატეგორიის უცხოელებმა და უცხოური ეთნიკური წარმოშობის პირებმა შეიძლება სარგებელი ნახონ 28-წლიანი წესის მოქმედებით, მაგრამ ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ 28-წლიანი წესი ირიბად უპირატეს მდგომარეობაში აყენებს დანიური წარმოშობის დანიის მოქალაქეებს და არახელსაყრელ პირობებს უქმნის ან არაპროპორციული საზიანო გავლენა აქვს პირებზე, რომლებმაც განმცხადებლის მსგავსად, დანიის მოქალაქეობა მოიპოვეს მოგვიანებით, არიან უცხო ეთნიკური წარმომავლობის და არა დანიური წარმომავლობის.

114. მტკიცების ტვირთი უნდა გადავიდეს მთავრობაზე, რომელმაც უნდა დაასაბუთოს, რომ კანონმდებლობის განსხვავებული მოქმედება ემსახურება კანონიერ მიზნებს და წარმოადგენს ობიექტური ფაქტორების შედეგს, რომელიც არ უკავშირდება ეთნიკურ წარმომავლობას. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განსხვავებული მოპყრობა ეფუძნება პირის მხოლოდ ეთნიკურ წარმომავლობას, უნდა დასაბუთდეს თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, ასევე ეროვნების ნიადაგზე პირის მიმართ განსხვავებული მოპყრობა დასაშვებია მხოლოდ მყარი და საფუძვლიანი მიზეზით. მთავრობამ უნდა წარმოადგინოს ეთნიკურ წარმომავლობასთან კავშირში არმყოფი მყარი და საფუძვლიანი მიზეზი, რათა ამგვარი არაპირდაპირი დისკრიმინაცია შესაბამისობაში მოვიდეს კონვენციის მე-14 მუხლის მოთხოვნებთან მე- 8 მუხლთან ერთობლიობაში.

#### **(ii) მისალწვეი მიზნის ლეგიტიმურობა**

115. მთავრობამ განაცხადა, რომ 28-წლიანი წესი დანესდა ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნისგან გამონაკლისების დასაშვებად მათთვის, ვისაც გააჩნდა მყარი და ხანგრძლივი კავშირი დანიასთან. წესის არსი მდგომარეობდა ამგვარ სიტუაციაში მყოფი პირებისთვის უცხოელ მეუღლესთან ოჯახის გაერთიანების უფლების უპრობლემოდ მინიჭებაში, რადგან ეს უკანასკნელი უპრობლემოდ ინტეგრირდებოდა დანიურ საზოგადოებაში. კერძოდ, წესის შემოღების მიზანს



წარმოდგენდა დანიელ ექსპატრიატებს საშუალება მისცემოდათ დანიაში მოეპოვებინათ ოჯახის გაერთიანების უფლება, რადგან აღნიშნული ჯგუფი უნებლიედ და უსამართლოდ მოექცა 2002 წელს დანესებულ ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნის მოქმედების სფეროში. 28-წლიანი წესი, რომელიც წარმოდგენს ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნიდან გამონაკლისს, ემსახურებოდა იმიგრაციის კონტროლისა და ინტეგრაციისათვის პირობების გაუმჯობესების ლეგიტიმურ მიზანს.

116. განმცხადებლების მტკიცებით, სადავო კანონმდებლობა არ იქნა მიღებული დანიური ეთნიკური ან ეროვნული წარმოშობის მოქალაქეებისათვის და ამდენად არ ემსახურება კანონიერ მიზნებს. განმცხადებლებმა მიუთითეს უზენაესი სასამართლოს უმცირესობის დასკვნაზე.

117. სასამართლოს თვალსაზრისით, როდესაც საქმე შეეხება იმიგრაციას, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მე-8 მუხლი - სახელმწიფოზე ვალდებულების დასაკისრებლად პატივი სცეს დაქორწინებული წყვილის მიერ საცხოვრებელი ქვეყნის არჩევანს ან გასცეს მისი ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის უფლება. მიუხედავად ამისა, საქმე, რომელიც შეეხება წყვილის ცხოვრებას და ასევე იმიგრაციას, სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლები ქვეყანაში შემოუშვას მის ტერიტორიაზე მცხოვრები პირების ნათესავები, განსხვავდება ყოველი კონკრეტული პირის გარემოებებისა და ზოგადი ინტერესის მიხედვით (იხ. *იენესე ნიდერლანდების წინააღმდეგ*, § 107).—სასამართლო ხშირ შემთხვევაში ადგენს, რომ იმიგრაციის კონტროლი, რომელიც ემსახურება ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის საერთო ინტერესს, ემსახურება კანონიერ მიზნებს კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (იხ. *ბაკაიევი და საფანოვა რუსეთის წინააღმდეგ* N11870/03, §40, 2010 წლის 11 თებერვალი; *ოსმანი დანიის წინააღმდეგ*, N38058/09, § 58, 2011 წლის 14 ივნისი; *ჯ.მ. შვედეთის წინააღმდეგ* (განჩინება) N47509/13, §40, 2014 წლის 8 აპრილი და *ფ.ნ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება) N3202/09, §37, 2013 წლის 17 სექტემბერი).

118. როგორც აღინიშნა, წინამდებარე საქმე შეეხება კონვენციის მე-14 მუხლის მე-8 მუხლთან ერთობლიობაში გამოყენებას, რის შედეგადაც იმიგრაციის კონტროლის ღონისძიებები, რომლებიც ექცევა კონვენციის 8.2 მუხლის მოქმედებაში, მათ შორის, კანონიერი მიზნის არსებობის მოთხოვნა, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დაუსაბუთებელი დისკრიმინაცია, რაც შეუსაბამობაში მოდის კონვენციის მე-14 მუხლისა და მე-8 მუხლის მოთხოვნებთან. როგორც ჩანს, მოცემულ საკითხზე პრეცედენტული სამართლის საქმეები მწირია. *ჰუდისა და აბდის* საქმეში (§53) სასამართლომ მიიჩნია, რომ ემიგრანტთა გარკვეული ჯგუფის მიმართ შეღავათების შეთავაზება შეიძლება მიიჩნიოს კანონიერ მიზნად კონვენციის მე-14 მუხლის მიზნებისთვის. *აბდულაზისის, კააბალესა და ბალკანდალის* საქმეების შემთხვევაში (§ 87) სასამართლომ ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია მთავრობის მიერ განსხვავებული მოპყრობა დაბადების ნიშნით, კერძოდ, „გაერთიანებულ სამეფოსთან მჭიდრო

კავშირის მქონე ქალის წინაშე არსებული სირთულეების თავიდან ასაცილებლად, როდესაც ის, ქორწინებისას, იძულებულია საცხოვრებლად საზღვარგარეთ წავიდეს ქმართან“ ანუ მოქალაქეთა ჯგუფის განსაზღვრა, რომელთაც ხანგრძლივი და მჭიდრო კავშირი აქვთ ქვეყანასთან.

119. უზენაესი სასამართლოს უმრავლესობამ დაადგინა, რომ 28-წლიან წესს აქვს იგივე მიზანი, როგორც გაერთიანებულ სამეფოში დაბადების მოთხოვნას, რაც დადგინდა *აბდულაზიზი, კაბალესა და ბალკანდალის* შემთხვევებში, კერძოდ, გამოიყო მოქალაქეების ჯგუფი, რომელსაც აქვს ხანგრძლივი და მჭიდრო კავშირი ქვეყანასთან.

120. უზენაესი სასამართლოს უმცირესობამ, კანონიერ მიზნებზე ყურადღების მიპყრობის გარეშე გამოხატა მკაფიო მოსაზრება, რომ ეთნიკური წარმოშობის დანიის მოქალაქეებისა და სხვა ეთნიკური წარმოშობის დანიის მოქალაქეების მიმართ ირიბად განსხვავებული მოპყრობა 28-წლიანი წესის გამოყენების საფუძველზე იწვევს განზრახულ შედეგებს.

121. სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არის საჭირო სასამართლოს წინაშე დასაბუთდეს, იყო თუ არა არაპირდაპირი დისკრიმინაცია, რასაც ადგილი ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში, როგორც ამას განმცხადებელი ამტკიცებს ან შეესაბამებოდა თუ არა მთავრობის მიერ შემოღებული 28-წლიანი წესის მიზნები კონვენციის კანონიერ მიზნებს. სასამართლოს მოცემულ საქმეში მიაჩნია, რომ საქმის განხილვა უნდა შემოიფარგლოს იმ გარემოების დადგენით, არსებობდა თუ არა გარემოება, რომელიც არ არის კავშირში ეთნიკურ წარმომავლობასთან და ჰქონდა თუ არა განსხვავებულ მოპყრობას საფუძვლიანი მიზეზი.

### **(iii) მისალწვევი მიზნების დასაბუთება**

122. სასამართლო აღნიშნავს, რომ 28-წლიანი წესის შემოღების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა გარემოება, რომ 2002 წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესახებ აქტში განხორციელებული ცვლილებით ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნა უნებლიედ გავრცელდა ასევე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საზღვრებს გარეთ მცხოვრებ დანიის მოქალაქეებზე, რომლებმაც ოჯახი შექმნეს დანიის საზღვრებს გარეთ და შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებდნენ ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნებს ქვეყანაში დაბრუნებისას. გამოირკვა, რომ აღნიშნული წესი ხელს შეუწყობდა დანიელი ექსპატრიატების ოჯახის წევრების დანიურ საზოგადოებაში წარმატებულ ინტეგრაციას, რადგან მათ დამყარებული აქვთ მჭიდრო კავშირები დანიასთან, რაც ასევე ვრცელდება მათ მეუღლეებზე ან თანამცხოვრებ პირებსა და ბავშვებზე.

123. საყურადღებოა, რომ 28-წლიანი წესის შემოღებისთვის განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოების დროს ხაზგასმულ იქნა „2002 წელს შემოღებული

ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნის გამკაცრების ფუნდამენტური მიზანი“, კერძოდ, უცხოელებისთვის უკეთესი ინტეგრაციის პირობების უზრუნველყოფას ხელი არ შეეშლებოდა გამონაკლისის დადგენით. 2002 წელს ქვეყანასთან კავშირის წესის გამკაცრების „ფუნდამენტური მიზანი“ განიმარტა ცვლილების მოსამზადებელი სამუშაოების დროს.

124. სასამართლოს შეხედულებით, საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებული მასალის მიხედვით, მთავრობის სურვილი იყო, ერთი მხრივ, გაეკონტროლებინა იმიგრაცია და გაეუმჯობესებინა ინტეგრაციის პროცესი „ორივე ჯგუფისთვის, რეზიდენტი უცხოელებისა და უცხოური წარმოშობის რეზიდენტი დანიელი მოქალაქეებისათვის“, რომელთა „ფართოდ გავრცელებული ქორწინების მოდელი“ იყო „თავიანთი წარმოშობის ქვეყნის წარმომადგენელთან ქორწინება“ და მეორე მხრივ, ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნას გაუთვალისწინებლად არ ემოქმედა „დანის მოქალაქეებზე, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდნენ საზღვრებს გარეთ და ოჯახები შექმნეს დანის საზღვრებს გარეთ“.

125. სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ 28-წლიანი წესის შემოღების დასაბუთება მეტწილად ეფუძნება საკმაოდ ჰიპოთეტურ არგუმენტებს, კერძოდ, როდესაც დანის მოქალაქემ მჭიდრო კავშირი დაამყარა დანიასთან, მას პესპექტივა ჰქონდა უცხოელ მეუღლესთან ოჯახის გაერთიანების წარმატებული ინტეგრაციის თვალსაზრისით. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ მოქალაქეობის 28 წელზე ან ნაკლებ ხანგრძლივობაზე. ამდენად, სასამართლო არ იზიარებს მთავრობის არგუმენტაციას იმის შესახებ, რომ პირველი განმცხადებელი დანის მოქალაქე იყო მხოლოდ ორი წლის განმავლობაში, ამიტომ ეთქვა უარი ოჯახის გაერთიანებაზე. მოცემულ სიტუაციაში 28-წლიანი წესის შედეგი არ შეიძლება მივიჩნიოთ არაპროპორციულად. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამგვარი მსჯელობით მხედველობაში არ მიიღება ფაქტი, რომ დანის მოქალაქეობის მოპოვებისთვის, პირველი განმცხადებელი დანიაში ცხოვრობდა 9 წლის განმავლობაში, სრულყოფილად იცოდა დანიური ენა და იცნობდა დანიურ საზოგადოებას, ასევე დამოუკიდებლად ინახავდა საკუთარ თავს.

უფრო კონკრეტულად, 2004 წლის აგვისტოში, როდესაც ბატონ ბიას უარი ეთქვა ოჯახის გაერთიანებაზე, იგი არა მარტო დანის მოქალაქე იყო ორი წლის განმავლობაში, არამედ ის დანიაში ცხოვრობდა ათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, ოთხი წლის განმავლობაში ქორწინებაში იყო დანის მოქალაქესთან, ესწრებოდა სხვადასხვა კურსებს, ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა და ჰყავდა 6 წლის ვაჟიშვილი, რომელიც დაიბადა 2004 წლის 6 მაისს და იყო დანის მოქალაქე მამის მოქალაქეობის გამო. 28-წლიანი წესის განმცხადებელზე გავრცელებისას მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული

ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი ელემენტი. სასამართლოს აზრით, აღნიშნული ელემენტები მნიშვნელოვანია შეფასების დროს - ჰქონდა თუ არა ბატონ ბიას მჭიდრო კავშირი დანიასთან იმისათვის, რომ მას წარმატებული ინტეგრაციის თვალსაზრისით უცხოელ მეუღლესთან ოჯახის გაერთიანების პერსპექტივა ჰქონოდა.

126. სასამართლოს მიაჩნია, რომ მთავრობის მიერ წამოყენებული არგუმენტები 2002 წლის 1 ივლისს შემოღებულ აქტთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, ქვეყანასთან კავშირის მოთხოვნა გავრცელდა ეროვნებით დანიელ მოქალაქეებზე, უარყოფით გავლენას ახდენს სხვა ეთნიკური წარმოშობის დანიის მოქალაქეებზე. მაგალითად, „ქორწინების მოდელთან“ დაკავშირებით, რომელიც მთავრობის წარმომადგენლების მოსაზრებით „ხელს უწყობს იმ პირების შეჩერებას ისეთ სიტუაციაში, სადაც ისინი განიცდიან დანიურ საზოგადოებაში იზოლაციისა და ადაპტაციის პრობლემას“. აღნიშნული მოდელი „ხელს უწყობს დანიაში ახლად ჩამოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეების ინტეგრაციას“. ამასთან კავშირში სასამართლო მიუთითებს *კონსტანტინე მარკინის რუსეთის წინააღმდეგ საქმეზე*, N30078/06, §§142-143, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012 წელი (ამონაწერი)), სადაც სასამართლო აღნიშნავს, რომ მიკერძოებული ვარაუდები ან კონკრეტულ ქვეყანაში გაბატონებული სოციალური სტერეოტიპები არ წარმოადგენს სქესობრივ ნიადაგზე განსხვავებული მოპყრობის გასამართლებლად საკმარის დასაბუთებას. სასამართლო ადგენს, რომ მსგავსი მსჯელობა უნდა იქნეს გამოყენებული ნატურალიზებულ მოქალაქეთა მიმართ.

127. ამდენად, მთავრობის მიერ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი არგუმენტები და მასალა ვერ ადასტურებს, რომ სადავო კანონმდებლობის გამოყენება, რამაც განსხვავებული მოპყრობა გამოიწვია, ეფუძნება ეთნიკურ წარმომავლობასთან კავშირში არმყოფ ობიექტურ ფაქტორებს.

128. 28-წლიანი წესის განმცხადებლებზე გავრცელების შესახებ სასამართლო განხილვისას, დანიის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობამ დაადგინა, რომ გამონაკლისი ეფუძნებოდა ობიექტურ კრიტერიუმებს და ზოგადად, ობიექტურად გამართლებული იყო მოქალაქეთა ჯგუფის შერჩევა, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დანიასთან და ამ ჯგუფისთვის ოჯახის გაერთიანების უფლების მინიჭება არ წარმოადგენდა პრობლემას, რისი არსიც მდგომარეობდა იმაში, რომ ამგვარი პირის უცხოელი მეუღლე ან თანამცხოვრები პირი წარმატებით ინტეგრირდებოდა დანიურ საზოგადოებაში. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ 28-წლიანი წესის პირველ განმცხადებელთან მიმართებით გამოყენება არ შეიძლება ჩათვლილიყო არაპროპორციულად.

129. უმრავლესობა ეყრდნობოდა *აბდულაზიზის, კაბალესა და ბალკანდალის* გადაწყვეტილებებს, რადგან მიიჩნევდა, რომ მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებები მატერიალური ასპექტებით იდენტური იყო *ბალკანდალის* შემთხვევისა.



ორივე, ეს უკანასკნელი და ბატონი ბიაო, ქვეყანაში საცხოვრებლად გადმოვიდნენ ზრდასრულ ასაკში. ბატონი ბიაოს უარი ეთქვა ოჯახის გაერთიანების შესახებ განაცხადზე, მაშინ როდესაც ის დანიაში 11 წლის განმავლობაში ცხოვრობდა, მათ შორის, ორი წელიწადი როგორც დანიის მოქალაქე. ქალბატონ ბალკნდალის უარი ეთქვა განცხადებაზე მაშინ, როდესაც იგი გაერთიანებულ სამეფოში ცხოვრობდა რვა წლის განმავლობაში - ორი წელიწადი როგორც ბრიტანეთის მოქალაქე. ამასთან, იმ განცხადებაზე დაყრდნობით (§ 88), რომ „ზოგადად არსებობს დამატებითი სოციალური მიზეზები იმ პირების მიმართ სპეციალური მოპყრობისთვის, რომელთაც ქვეყანასთან კავშირი დაბადებიდან აქვთ“, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „28 წლის განმავლობაში დანიის მოქალაქეობის ქონის კრიტერიუმს გააჩნია იგივე მიზანი, როგორც დაბადების მოთხოვნას გაერთიანებულ სამეფოში“, რაც სასამართლოს მიერ 1985 წელს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე არ იქნა მიჩნეული კონვენციის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, კერძოდ, მოქალაქეთა ჯგუფების განსაზღვრა, რომელთაც გააჩნიათ ხანგრძლივი და მჭიდრო კავშირი ქვეყანასთან“.

130. სასამართლო მიუთითებს მის დასკვნაზე, რომ 28 წლის წესს გააჩნია არაპირდაპირი დისკრიმინაციული ეფექტი, რომელიც უკეთეს პირობებში აყენებს დანიური წარმოშობის დანიის მოქალაქეებს და არახელსაყრელ პირობებს სთავაზობს ან არაპირდაპირი დისკრიმინაციული გავლენა აქვს პირებზე, ვინც დანიის მოქალაქეობა მოგვიანებით მოიპოვა და სხვა ეთნიკური წარმომავლობისაა. უზენაესი სასამართლო აღგენს, რომ სადავო დისკრიმინაციის საკითხი ეფუძნება მოქალაქეობის ხანგრძლივობას, რაც ექცევა „სხვა სტატუსის“ მოქმედების ქვეშ კონვენციის მე-14 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყენებული პროპორციულობის ტესტი განსხვავდება სასამართლოს მიერ გამოყენებული ტესტისგან, რომელიც მოითხოვს საფუძვლიანი მიზეზის არსებობას, რომელიც არ არის ეთნიკურ წარმოშობასთან კავშირში, 28-წლიანი წესის არაპირდაპირი დისკრიმინაციული მოქმედების დასასაბუთებლად.

131. ეთნიკური წარმომავლობის ნიადაგზე სახელმწიფოს მხრიდან თავისი მოქალაქეების არაპირდაპირი დისკრიმინაციის სფეროში ძალზედ რთულია განსხვავებული მოპყრობის საკითხის საერთაშორისო სტანდარტებსა და განვითარებებთან შესაბამისობაში მოყვანა. იმდენად რამდენადაც, კონვენცია წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის პირველ და უმთავრეს სისტემას, ყურადღება უნდა მიექცეს ხელშემკვრელ სახელმწიფოებში შეცვლილ პირობებს და სასამართლომ, უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი საკითხის სტანდარტებთან შესაბამისობა (იხ. *დჰაჰბი იტალიის წინააღმდეგ* N17120/09, §47, 2014 წლის 8 აპრილი; *კონსტანტინე მარკინი*, § 126 და *ფაბრიზი საფრანკეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N16574/08, §56, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2013 (ამონაწერი)).

132. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ განმცხადებელი დაეყრდნო ეროვნების შესახებ ევროპული კონვენციის 5.2 მუხლს. აღნიშვნის ღირსია გარემოება, რომ ამ კონვენციის რატიფიცირება მოხდა ევროპის საბჭოს 20 წევრი სახელმწიფოს მიერ, მათ შორის, დანიის. ამასთან, ეროვნების შესახებ ევროპული კონვენციის 5.2 მუხლთან დაკავშირებული განმარტებითი ბარათის თანახმად, მიუხედავად არასავალდებულო ხასიათისა, აღნიშნული თავი წარმოადგენს დეკლარაციას, რომელიც მიმართულია დაბადები<sup>თ</sup> მოქალაქეებსა და სხვა მოქალაქეების, მათ შორის, ნატურალიზებული პირების ეროვნების საკითხთან დაკავშირებული წესების გამოყენების დისკრიმინაციული ხასიათის აღმოფხვრისაკენ. აღნიშნული წარმოადგენს ევროპული სტანდარტის ერთგვარ ტენდენციას, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს მოცემული საქმის განხილვისას.

133. გარდა ამისა, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში დამკვიდრებულია სხვადასხვა მიდგომა ოჯახის გაერთიანების უფლების მინიჭების საკითხში. 29 ქვეყნის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არ არსებობს ქვეყანა, დანიის მსგავსად, სადაც განსხვავებულად ეპყრობიან თავიანთ მოქალაქეებს ოჯახის გაერთიანების უფლების მინიჭების საკითხში.

134. ევროკავშირის სამართალთან მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს სასამართლოს დასკვნები, *inter alia*, საქმეებზე - *პონომარიოვი* (§ 54) და *ს.გ. ბელგისის წინააღმდეგ* (1996 წლის 7 აგვისტო §38, ანგარიში 1996-III), სადაც სასამართლო მიუთითებს, რომ „ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებისადმი პრეფერენციული მოპყრობა... ეფუძნება ობიექტურ და გონივრულ გამართლებას, რადგან კავშირი აწესებს სპეციალურ სამართლებრივ წესრიგს, უფრო მეტიც, აწესებს უპირატეს მიდგომებს ევროკავშირის მოქალაქეების მიმართ ეროვნული ნიშნით და არა „დაბადებით მოქალაქეობისა“ და „ნატურალიზაციით მიღებული მოქალაქეობის“ განსხვავებით, ან მოქალაქეების ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით არაპირდაპირი დისკრიმინაციით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებული ევროკავშირის სამართალი არ განასხვავებს პირებს, რომლებმაც მოქალაქეობა მიიღეს დაბადებით იმ პირებისგან, რომელთაც მოქალაქეობა მოიპოვეს რეგისტრაციით ან ნატურალიზაციით.

135. ევროკავშირის სამართლის მიხედვით, ოჯახის გაერთიანების შესახებ წესები არ ვრცელდება განმცხადებლის საქმეზე 2004 წლის აგვისტოში. სასარგებლო იქნება სადავო დანიური კანონმდებლობის შედარება ევროკავშირის სამართალთან. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პირველი განმცხადებელი საცხოვრებლად შვედეთში გადავიდა, ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/38/EC დირექტივის ძალით, რომელიც შეეხება ევროკავშირის მოქალაქისა და მისი ოჯახის წევრების უფლებას, შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი და თავისუფლად იცხოვროს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე. ასევე,

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს იუსტიციის, თანასწორობისა და სამართლებრივი რეფორმის მინისტრის წინააღმდეგ საქმეზე 2008 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე, განმცხადებელს და მის შვილს უფლება აქვთ შვედეთიდან მოითხოვონ დანიაში ცხოვრების ნებართვა.

136. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დამოუკიდებელმა ორგანომ გამოთქვა წუხილი, რომ 28 -წლიანი წესი შეიცავს არაპირდაპირი დისკრიმინაციის ნიშნებს. მითითება კეთდება ევროპული კომისიის ანგარიშზე რასიზმისა და შეუწყნარებლობის შესახებ, რომელშიც მითითებულია, რომ „რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია შეშფოთებულია ფაქტით, რომ დანიასთან კავშირის 28-წლიანი წესი უტოლდება არაპირდაპირ დისკრიმინაციულ მოპყრობას იმ პირების მიმართ, რომლებიც დაბადებულნი არ არიან დანიაში და იმ პირებს, რომლებმაც დანიის მოქალაქეობა მოგვიანებით მოიპოვეს“. დისკრიმინაციულია ასევე „წესი, რომლის მოთხოვნებიც არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც დანიის მოქალაქეობას ფლობენ 28 თუ 26 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ან პირებზე, რომლებიც დაიბადნენ დანიაში, ან დანიაში საცხოვრებლად ბავშვობაში გადმოვიდნენ, ან ქვეყანაში კანონიერად ცხოვრობდნენ 28 თუ 26 წლის განმავლობაში და არაპროპორციულ შედეგს იწვევს არა ეთნიკური წარმომავლობის დანიის მოქალაქეებზე. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა იგივე მოსაზრება გამოთქვა.

137. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა ასევე გამოხატა თავისი დამოუკიდებულება 28-წლიანი წესის მოქმედებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წესი დანიაში დაბადებულ მოქალაქეებს მეტ უპირატესობას ანიჭებს ნატურალიზებულ დანიის მოქალაქეებთან შედარებით.

#### (iv) სასამართლოს დასკვნა

138. მოცემულ საქმეში, თავისუფლების ძალიან დაბალი შეფასების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ მთავრობამ ვერ შეძლო წარმოედგინა მყარი და საფუძვლიანი მიზეზები, რომლებიც არ უკავშირდება ეთნიკურ წარმომავლობას 28-წლიანი წესის არაპირდაპირი დისკრიმინაციის ეფექტის დასასაბუთებლად. აღნიშნული წესი დადებით შედეგს იწვევს მხოლოდ დანიური წარმოშობის დანიის მოქალაქეებისათვის და არახელსაყრელ პირობებს უქმნის ან არაპროპორციული საზიანო ეფექტი აქვს პირებზე, რომლებმაც მოქალაქეობა მოიპოვეს მოგვიანებით ან სხვა ეთნიკური წარმომავლობის არიან.

139. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეში სახეგვა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება ირანში დეპორტაციის საქმესთან დაკავშირებით კონვენციის მეორე და მესამე მუხლების საგარაუდო დარღვევის შესახებ.

ცნობადი პოლიტიკური აქტივისტისთვის ირანში გაძევების შეთავაზება: დეპორტაცია არ წარმოადგენს დარღვევას.

შეთავაზებული გაძევება ირანში არსებული რეალური მდგომარეობისა და ევროპაში ჩასვლისას ქრისტიანობის მიღებით გამოწვეული შედეგების ადეკვატურად შესწავლის გარეშე: დეპორტაცია წარმოადგენს დარღვევას.

## **დიდი პალატა**

**საქმე „ფ.ჯ. შვედეთის წინააღმდეგ“**

**CASE OF F.G v. SWEDEN**

**განაცხადი N. [43611/11](#)**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**23 მარტი, 2016 წ.**

## **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელმა, ირანის მოქალაქემ, თავშესაფრის თხოვნით მიმართა შვედეთს იმ მოტივით, რომ ის თანამშრომლობდა ირანის რეჟიმის ცნობილ ოპონენტებთან და სულ მცირე სამჯერ მაინც იყო დაკავებული და დაპატიმრებული ხელისუფლების მიერ სხვადასხვა დროს 2007-2009 წლების მანძილზე, კერძოდ, მისი საქმიანობის გამო ვებგამოცემებთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა მას შემდეგ, რაც მისი ოფისი, სადაც იგი ინახავდა პოლიტიკურად სენსიტიურ მასალებს, უცნობმა პირებმა გაჩხრიკეს, რის შედეგადაც გარკვეული დოკუმენტები დაიკარგა. შვედეთში ჩასვლისას, მან ქრისტიანობა მიიღო. მისი თქმით, ისლამისგან განდგომილობისა და ქრისტიანულ რჯულზე გადასვლისთვის ირანში დაბრუნებისთანავე სიკვდილით დასჯის რისკის ქვეშ იყო. შვედეთის ხელისუფლებამ უარი უთხრა თავშესაფრის მინიჭებაზე და ქვეყნიდან მისი დეპორტაციის ბრძანება გასცა.

## **II. კონვენციის მეორე და მესამე მუხლების საგარაუდო დარღვევა**

85. განმცხადებელი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ ირანში მისი პოლიტიკური წარსულისა და შვედეთში ჩასვლისას ქრისტიანობის მიღების გამო მისი გაძევება ირანში არღვევს კონვენციის მეორე და მესამე მუხლებს. აღნიშნული დებულებები ითვალისწინებს შემდეგს:



## მუხლი 2

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისთვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს;

2. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

ა) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისგან;

ბ) კანონიერი დაკავებისთვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად“.

## მუხლი 3

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას და დასჯას.“

### გ. სასამართლოს შეფასება

#### 1. შესავალი

110. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, თუ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი იმისა, რომ აღნიშნულ პიროვნებას, მისი გაძევების შემთხვევაში დაემუქრება სიკვდილით დასჯა, წამება, არაადამიანური ანდა ღირსების შემლახველი მოპყრობა იმ ქვეყანაში, რომელშიც პირს აძევებენ, მეორე და მესამე მუხლის თანახმად, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ქვეყნიდან არ უნდა გააძევიონ. შესაბამისად, სასამართლო ასევე შეისწავლის ორივე მუხლს ერთობლიობაში (იხ. სხვა პრეცედენტულ საქმეებთან ერთად, შესაბამისი ცვლილებებით, *მოკანუსი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა] N10865/09, 45886/07 და 32431/08, § 314, ECHR, 2014; *ტ.ა. შვედეთის წინააღმდეგ*, N 48866/10, § 37, 19 დეკემბერი, 2013 წ.; *კ.ა.ბ. შვედეთის წინააღმდეგ*, N886/11, § 67, 5 სექტემბერი, 2013 წ.; *კაბულოვი უკრაინის წინააღმდეგ*, N 41015/04, § 99, 19 ნოემბერი, 2009 წ. და *ფ.ჰ. შვედეთის წინააღმდეგ*, N 32621/06, § 72, 20 იანვარი, 2009 წ.).

## 2. თავშესაფრის მინიჭების შესახებ განაცხადების შეფასების ზოგადი პრინციპები კონვენციის მეორე და მესამე მუხლების თანახმად

### (ა) რისკების შეფასება

111. სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უფლება აქვთ კარგად დამკვიდრებული საერთაშორისო სამართლისა და ხელშეკრულების ფარგლებში მათი ვალდებულებების გათვალისწინებით, მათ შორის, კონვენციისა, კონტროლი გაუწიონ ქვეყანაში უცხოელების შესვლას, ცხოვრებასა და გაძევებას (იხ. *ჰირსი ჯამასი და სხვები იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N27765/09, § 113, ECHR, 2012; *იუნერის საქმე ნიდერლანდების წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N46410/99, § 54, ECHR, 2006-XII; *აბდულაზიზი, კაბალესი და ბალკანდალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 28 მაისი, 1985 წ., § 67, სერია A, N94 და *ბოლიფა საფრანგეთის წინააღმდეგ*, 21 ოქტომბერი, 1997 წ., § 42, 1997-VI). უცხოელის გაძევებამ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ შეიძლება წარმოშვას პრობლემა მესამე მუხლთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, შესაძლოა დადგეს მოცემული სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი კონვენციის შესაბამისად, როდესაც მნიშვნელოვანი საფუძვლები იყო წარმოდგენილი იმის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული პირი, მისი დეპორტაციის შემთხვევაში, ისეთი მოპყრობის რეალური საფრთხის წინაშე დადგებოდა მიმღებ ქვეყანაში, რომელიც ეწინააღმდეგება მესამე მუხლით განსაზღვრულ დებულებებს. ამ ვითარებაში, მესამე მუხლი გულისხმობს ვალდებულებას, არ განხორციელდეს აღნიშნული პირის დეპორტაცია ხსენებულ ქვეყანაში (იხ. *საადი იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N 37201/06, §§ 124-125, ECHR, 2008).

112. იმის დასამტკიცებლად არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი საფუძვლები, რომ განმცხადებელი რეალურად დადგება ასეთი რისკის ქვეშ, სასამართლომ უნდა შეისწავლოს მიმღებ ქვეყანაში არსებული პირობები კონვენციის მესამე მუხლით განსაზღვრულ სტანდარტებთან მიმართებით (იხ. *მამათკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N46827/99 და N46951/99, § 67, ECHR, 2005-I). სტანდარტების თანახმად, არასათანადო მოპყრობა, რომლის წინაშე დადგება განმცხადებელი დაბრუნების შემთხვევაში, უნდა აღწევდეს სისასტიკის მინიმალურ დონეს, რომ მოხვდეს მესამე მუხლის რეგულაციის ფარგლებში. მოცემული დონის შეფასება შედარებითია და დამოკიდებულია საქმის ყველა არსებულ გარემოებაზე (იხ. *ჰილალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N45276/99, § 60, ECHR, 2001-II).

113. რეალური რისკის არსებობის შეფასება აუცილებლად დეტალური უნდა იყოს (იხ. *ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 15 ნოემბერი, 1996 წ., § 96, ანგარიშები 1996-V და *საადი იტალიის წინააღმდეგ*, ზემოთ ხსენებული, § 128). პრინციპულად მნიშვნელოვანია განმცხადებელმა წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობას.

გასაჩივრებელი ღონისძიება განხორციელდება მაშინ, როდესაც მისი გაძევების შემთხვევაში დანიშნულების ქვეყანაში მას იმგვარი მოპყრობის რეალური საფრთხე შეექმნება, რომელიც ეწინააღმდეგება მესამე მუხლით განსაზღვრულ დებულებებს (იხ. *საადი იტალიის წინააღმდეგ*, ზემოთ ნახსენები, § 129 და *ნ. ფინეთის წინააღმდეგ*, N [38885/02](#), § 167, 26 ივლისი, 2005 წ.). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ადასტურებს, რომ განსაკუთრებული სიტუაციის გამო, თავშესაფრის მაძიებელთათვის საჭიროა ნდობის მოპოვება, რადგან საქმე ეხება მათ მიერ საკუთარი თავის დასაცავად წარმოდგენილი განაცხადებისა და დოკუმენტების სანდოობის შეფასებას. როდესაც წარმოდგენილი ინფორმაცია თავშესაფრის მაძიებლის არგუმენტების ეჭვქვეშ დაყენების ძლიერ საფუძველს იძლევა, პირმა უნდა წარმოადგინოს სავარაუდო შეუსაბამობების დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება ( იხ. *ნ. საქმე შვედეთის წინააღმდეგ*, N[23505/09](#), 20 ივლისი, 2010 წ.; *ჰაკიზიმანა შვედეთის წინააღმდეგ* (განჩინება), N[37913/05](#), 27 მარტი, 2008 წ. და *კოლინზი და აკაზიები შვედეთის წინააღმდეგ* (განჩინება), N [23944/05](#), 8 მარტი, 2007 წ.).

114. შეფასება ფოკუსირებული უნდა იყოს განმცხადებლის მიმღებ ქვეყანაში გაძევების პროგნოზირებად შედეგებზე ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობისა და მისი პირადი გარემოებების გათვალისწინებით (იხ. *ვილვარაჯა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 30 ოქტომბერი, 1991 წ., §108, სერია A, N215). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო გაითვალისწინებს იმ ფაქტს, იყო ეს ძალადობის მხრივ ზოგადად არსებული სიტუაცია მიმღებ ქვეყანაში თუ არა (იხ. *სუფი და ელმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N[8319/07](#) და N[11449/07](#), § 216, 28 ივნისი, 2011 წ.).

115. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის დეპორტირება ჯერ არ მომხდარა, შეფასების გაკეთებისას არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სასამართლოს მიერ საქმის განხილვას (იხ. *ჩაჰალი*, § 86). საქმის სრული და მოცემული მომენტისთვის არსებული ვითარების შეფასების გაკეთება აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ მოგვიანებით მოპოვებული იქნება დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მას შემდეგ უნდა იქნეს გათვალისწინებული, როცა გამოითანენ ეროვნული სასამართლოები გადანაცვლებას (იხ. *მასლოვი ავსტრიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N[1638/03](#), §§ 87-95, ECHR, 2008 და *სუფი და ელმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 215). ასეთ შედეგს ინვესტ დეპორტაციის გაჭიანურება, სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიების გატარების მოთხოვნის შედეგად სასამართლოს რეკლამენტის 39-ე წესის საფუძველზე. ხელშემკვრელი სახელმწიფოების პასუხისმგებლობა კონვენციის მესამე მუხლის თანახმად, ამ ტიპის საქმეებში გულისხმობს შესაძლებლობას - ადამიანი დაექვემდებაროს არასათანადო მოპყრობას, ამასთან, საფრთხის არსებობა უპირველეს ყოვლისა უნდა შეფასდეს იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებიც იყო ანდა უნდა ყოფილიყო ცნობილი ხელშემკვრელი სახელმწიფოდან პირის გაძევების მომენტში. შეფასება უნდა

დაეყრდნოს განმცხადებლის მიმღებ ქვეყანაში დეპორტაციის მოსალოდნელ შედეგებს იქ არსებული ზოგადი სიტუაციისა და იმ ადამიანის პირადი გარემოებების გათვალისწინებით (იხ. *სალაჰ შიიხი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, N1948/04, § 136, 11 იანვარი, 2007 წ. და *ვილგარაჯა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§ 107 და 108).

116. ქვეყნიდან გაძევების საქმეში სასამართლომ უნდა გადანყვიტოს, არსებული ყველა გარემოების გათვალისწინებით, იყო თუ არა წარმოდგენილი არსებითი საფუძვლები იმის დასადგენად, რომ აღნიშნულ პიროვნებას, მისი დაბრუნების შემთხვევაში, კონვენციის მესამე მუხლით განსაზღვრული საპირისპირო მოპყრობის რეალური საფრთხე დაემუქრებოდა. თუკი ასეთი რისკის არსებობა დამტკიცდება, განმცხადებლის ქვეყნიდან გაძევებით აუცილებლად დაირღვევა მესამე მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ ეს საფრთხე ძალადობასთან დაკავშირებული ზოგადი სიტუაციითაა გამოწვეული, განმცხადებლის პირადი გარემოებებით ან ორივე ფაქტორით ერთობლიობაში. ცხადია, რომ ძალადობასთან დაკავშირებული ყველა სიტუაცია ვერ იქნება ასეთი რისკის ხელშემწყობი. პირიქით, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ზოგადი სიტუაცია ძალადობასთან დაკავშირებით საკმარისი ინტენსივობის უნდა იყოს, რათა შეიქმნას ასეთი საფრთხე „ყველაზე უკიდურეს შემთხვევებში“. (იხ. *სუფი და ელმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, ზემოთ ხსენებული, §§ 216 და 218; *ლ.მ. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*, N [40081/14](#), [40088/14](#) და [40127/14](#), § 108, 15 ოქტომბერი, 2015 წ. და *მამაჟონოვი რუსეთის წინააღმდეგ*, N [17239/13](#), §§ 132-133, 23 ოქტომბერი, 2014 წ.).

#### **(ბ) სასამართლოს მოკვლევის ხასიათი**

117. თავშესაფრის მაძიებელ პირთა გაძევების საქმეებში, სასამართლო თავად არ განიხილავს უშუალოდ თავშესაფრის განაცხადებს და არ ამოწმებს რამდენად ასრულებენ სახელმწიფოები ჟენევის კონვენციით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. სასამართლოს მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს ეფექტური გარანტიების არსებობა, რომლებიც განმცხადებელს, პირდაპირ თუ ირიბად, დაიცავენ თვითნებური იძულებითი დაბრუნებისაგან იმ ქვეყანაში, საიდანაც გამოიქცა. კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, გარანტირებული უფლებების და თავისუფლებების განხორციელებისა და აღსრულების პირველადი პასუხისმგებლობა ეკისრება ეროვნულ ხელისუფლებას. შესაბამისად, სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმი ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სისტემების მომდევნო ეტაპია. მოცემული დამატებითი ინსტრუმენტი ჩამოყალიბებულია კონვენციის მეცამეტე და ოცდამეთხუთმეტე მუხლების პირველ პარაგრაფში (იხ. *მ.ს.ს. ბელგიის და საბერძნეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა, N. [30696/09](#), §§ 286-287, ECHR, 2011). სასამართლომ დამაკმაყოფილებლად უნდა მიიჩნიოს ის ფაქტი, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს შეფასება ადეკვატურად და საკმარისად გამყარებულია როგორც ადგილობრივ დონეზე მოპოვებული, ისე სხვა



სანდო და ობიექტური წყაროებიდან მიღებული მასალებით, როგორცაა მაგალითად, სხვა ხელშემკვრელი ან მესამე სახელმწიფო, გაეროს სააგენტოები და ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციები (იხ. *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N25904/07, § 119, 17 ივლისი, 2008 წ.).

118. გარდა ამისა, როდესაც შიდა პროცედურები უკვე ჩატარებულია, სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების მიერ ფაქტების შეფასების საკუთრივ შეცვლა; ეს როგორც წესი, ევალეზა იმ სასამართლოებს, რომლებიც მათ წინაშე წარმოდგენილ მტკიცებულებებს აფასებენ (იხ. *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N 23458/02, §§ 179-80, 24 მარტი, 2011 წ.; *ნიზომპონ ჯურაევი რუსეთის წინააღმდეგ*, N31890/11, § 113, 3 ოქტომბერი, 2013 წ. და *სავრიდინ ჯურაევი რუსეთის წინააღმდეგ*, N71386/10, § 155, ECHR, 2013 წ. (ამონარიდები). ზოგადად, ეროვნული სასამართლოები მზად არიან არა მხოლოდ ფაქტები შეაფასონ, არამედ მოწმეების სანდოობაც, რამდენადაც მათ აქვთ საშუალება შეხვდნენ, მოუსმინონ და შეაფასონ შესაბამისი პიროვნების ქცევა (იხ. *რ.სი. შვედეთის წინააღმდეგ*, N 41827/07, § 52, 9 მარტი, 2010 წ.).

### **(გ) პროცედურული მოვალეობები თავმესაფრის მინიჭების შესახებ განაცხადების განხილვის პროცესში**

119. დეპორტაციის საქმეებზე, სასამართლოს დანესებული აქვს ვალდებულებები, რომლებიც სახელმწიფოებს ეკისრებათ სხვადასხვა შემთხვევაში კონვენციის მეორე და მესამე მუხლების პროცედურულ ასპექტთან დაკავშირებით (იხ. *ჰირსი ჯამაა და სხვები იტალიის წინააღმდეგ*, §198; *მ.ე.-ს დანიის წინააღმდეგ*, N. 58363/10, § 51, 8 ივლისი, 2014 წ. და *სუფი და ელმი*, § 214).

120. რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, საქმეში *საადი იტალიის წინააღმდეგ* (§§ 129-32; ასევე იხ. *ოაბური ბელგიის წინააღმდეგ*, N 26417/10, § 65, 2 ივნისი, 2015 წ. და *ოთმანი (აბუ ქათადა) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N8139/09, § 261, ECHR, 2012 ), სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლისთვის პრინციპული იყო იმ მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლებიც დაადასტურებდნენ არსებითი საფუძვლების არსებობას და ღონისძიების გატარების შედეგად, რომელსაც იგი ასაჩივრებდა, ისეთი მოპყრობის რეალური საფრთხის ქვეშ დადგებოდა, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მესამე მუხლს; როდესაც ასეთი მტკიცებულებები წარმოდგენილი იქნებოდა, მთავრობას ამასთან დაკავშირებით ნებისმიერი ეჭვები უნდა გაექარწყლებინა (§129). იმისათვის, რომ დადგინდეს, არსებობს თუ არა არასათანადო მოპყრობის რისკი, სასამართლომ უნდა შეისწავლოს მიმღებ ქვეყანაში განმცხადებლის გაძევების მოსალოდნელი შედეგები ქვეყანაში არსებული ზოგადი სიტუაციისა და განმცხადებლის პირადი გარემოებების გათვალისწინებით (§ 130). თუკი ხელმისაწვდომ წყაროებს აქვთ ინფორმაცია ზოგადი სიტუაციის შესახებ, განმცხადებლის კონკრეტული მტკიცებები, აღნიშნულ შემთხვევაში, აუცილებელია გამყარდეს სხვა მტკიცებულებებით (§ 131). მაშინ,

როდესაც განმცხადებელი აცხადებს, რომ ის შედის ადამიანთა იმ ჯგუფში, რომელიც სისტემატურად ექვემდებარება არასათანადო მოპყრობის პრაქტიკას, სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს კონვენციის მესამე მუხლის ამოქმედება, თუკი განმცხადებელის მტკიცებით და წყაროებზე დაყრდნობით არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოცემული პირი მიეკუთვნება ზემოთ ხსენებულ ჯგუფს (§ 132).

121. რაც შეეხება თავშესაფრის მინიჭების პროცედურებს, სასამართლო მიიჩნევს, რომ 4.1 მუხლი, საკვალიფიკაციო ღირეფტივის შესახებ, განმარტავს შემდეგს: ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მიიჩნიონ განმცხადებლის მოვალეობად, რაც შეიძლება მალე წარმოადგინოს ყველა საჭირო მონაცემები, რომლებიც აუცილებელია საერთაშორისო დაცვის თაობაზე განაცხადის დასაბუთებისთვის. UNHCR (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი) სახელმძღვანელოს 67-ე პუნქტი განმარტავს შემდეგს:

„საქმის შემსწავლელმა პირმა, საქმესთან დაკავშირებული ფაქტების განალიზებისას, უნდა დაადგინოს შესაძლო დევნის მიზეზი ან მიზეზები და გადანწყიტოს ეთანხმება თუ არა გადანწყვეტილება მოცემულ საქმეზე 1951 წლის კონვენციის განსაზღვრებას ამ კუთხით. აშკარაა ის ფაქტი, რომ დევნის მიზეზები მოცემული სხვადასხვა სათაურით ხშირად ფარავს ერთმანეთს. როგორც წესი, ყოველთვის იქნება რამდენიმე ელემენტი, რომელიც ერთ ადამიანში იქნება გაერთიანებული, მაგალითად, პოლიტიკური ოპონენტი, რომელიც მიეკუთვნება რომელიმე რელიგიურ ან ეროვნულ ჯგუფს, ან ორივეს ერთად. ასეთი მიზეზების კომბინაცია მისი პიროვნების გათვალისწინებით, შეიძლება რელევანტური იყოს, რათა შევაფასოთ მისი საფუძვლიანი შიში“.

122. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა, მესამე მხარის მიერ გაკეთებული დაკვირვებებიდან გამომდინარე განაცხადა, რომ მტკიცების ტვირთი ზოგადად იმ პირს აწევს, რომელიც მტკიცებას წარადგენს. განმცხადებელსა და საქმის შემსწავლელ პირს საერთო მოვალეობა ჰქონდათ, დაედგინათ და შეეთვასებინათ ყველა შესაბამისი ფაქტი; აღნიშნული საერთო მოვალეობის შესრულებისას შემომონმებელს შეეძლო, ზოგიერთ შემთხვევაში გამოეყენებინა მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება განაცხადის გამყარებისთვის აუცილებელი მტკიცებულებების წარმოსადგენად.

123. მიმღებ ქვეყანაში ე.წ. „ადგილზე ლტოლვილებად გამხდარი პირების“ (sur place) საქმიანობასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ძალიან რთულია შეაფასო, დაინტერესებულია თუ არა სინამდვილეში პირი აღნიშნული აქტივობით, ექნება მას პოლიტიკური თუ რელიგიური კონტექსტი, თუ პირი მასში მხოლოდ იმისათვის ჩაერთო, რომ ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ საკმარისი საფუძველი ჰქონოდა (იხ. ა.ა. *შეიცარიის წინააღმდეგ*, N58802/12, §41, 7 იანვარი, 2014 წ.). აღნიშნული მსჯელობა UNCHR-ის სახელმძღვანელო პრინციპების

თანახმად, რელიგიურ საფუძველზე ლტოლვილთა მოთხოვნების (28 აპრილი, 2004 წ.) საერთაშორისო დაცვის თაობაზე შემდეგს გულისხმობს: „კონკრეტული საკითხები სანდოობასთან დაკავშირებით როგორც წესი წარმოიქმნება მიმღები ქვეყნის sur place პირების პრეტენზიებთან მიმართებით. ამიტომ აუცილებელი იქნება მტკიცებულებების და სარწმუნოების შეცვლის უტყუარობის დეტალური და სიღრმისეული მოკვლევის ჩატარება... ე.წ. „სათავისო“ ქმედება არ წარმოადგენს განმცხადებლის მიმღებ ქვეყანაში კონვენციის საფუძველზე დევნის აღძვრისათვის კარგად დასაბუთებულ შიშს; თუკი ასეთი ქმედებების ოპორტუნისტული ხასიათი ყველასათვის, მათ შორის, იმ ქვეყნის ხელისუფლებისთვისაც აშკარა გახდება და ადამიანის დაბრუნების შემთხვევაში არ გამოიწვევს სერიოზულ უარყოფით შედეგებს....., იხ. საქმე *ალი მურადი და სელმა ალიევა შევდეთის წინააღმდეგ* ((განჩინება), N [11243/13](#), §§ 44-45, 25 ივნისი, 2013 წ.) ამ საკითხთან დაკავშირებით.

124. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის მიერ საერთაშორისო დაცვის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში (იხ. *ა.,ბ.,სი. უსაფრთხოების და იუსტიციის საკითხებში სახელმწიფო მდივნის წინააღმდეგ*) დირექტივის [2004/83](#) 4.3 მუხლი და დირექტივის [2005/85](#) 13.3 მუხლი გაგებული უნდა იქნეს, როგორც ეროვნული კომპეტენტური ორგანოების დამაბრკოლებელი მოცემული შეფასების თვალსაზრისით, რათა მათ მიიჩნიონ, რომ განმცხადებლის მოთხოვნას თავშესაფრის მინიჭების შესახებ აკლდა სარწმუნოება მხოლოდ იმიტომ, რომ განმცხადებელმა არ დაასაბუთა მის მიერ გაცხადებული სექსუალური ორიენტაცია პირველ შემთხვევაში, როდესაც მას საშუალება მისცეს წარმოედგინა საკუთარი თავის წინააღმდეგ დევნისთვის არსებული საფუძვლები.

125. პირისთვის, რომელიც მოითხოვს საერთაშორისო დაცვას ხელშემკვრელ სახელმწიფოში, პრინციპულად მნიშვნელოვანია წარმოადგინოს, რაც შეიძლება მოკლე დროში, თავშესაფრის მინიჭების თაობაზე მისი მოთხოვნის მხარდაჭერი მიზეზები და მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ საკმარისი საფუძვლების არსებობას, რომ მისი დეპორტაციის შემდგომ მშობლიურ ქვეყანაში ის აღმოჩნდება სიცოცხლისათვის რეალური და კონკრეტული რისკის შემცველ მდგომარეობაში, რომელიც გათვალისწინებულია მეორე მუხლით ან მას მოეპყრობიან მესამე მუხლით განსაზღვრული ნორმების დარღვევით.

126ზოგად რისკზე დაფუძნებული თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადებთან დაკავშირებით, როდესაც ინფორმაციის დადგენა ასეთი რისკის შესახებ თავისუფლად შესაძლებელია ბევრი სხვადასხვა წყაროდან, ვალდებულებები, რომლებიც ეკისრება სახელმწიფოებს კონვენციის მეორე და მესამე მუხლების თანახმად გაძევების შემთხვევებში, გულისხმობს სახელისუფლებო ორგანოების მიერ ამ რისკის შეფასების გაკეთებას საკუთარი ინიციატივით (იხ. *ჰირსი ჯამასი და*

*სხვები იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], ზემოთ ხსენებული, §§ 131-133 და მ.ს.ს. ბელგიის და საბერძნეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], § 366).*

127. ინდივიდუალურ რისკზე დაფუძნებული თავშესაფრის მინიჭების თაობაზე განცხადებებისგან განსხვავებით, მოცემული განაცხადი უნდა იყო იმ პირის, რომელიც სანდო თავშესაფარს ეძებს და დაასაბუთებს ასეთი რისკის არსებობას. შესაბამისად, თუ განმცხადებელი არ მიიჩნევს საჭიროდ, მიენდოს ან გაამჟღავნოს თავშესაფრის მოთხოვნის კონკრეტული პირადი მიზეზი და შეგნებულად თავს შეიკავებს მისი დასახელებისაგან, იქნება ეს რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსი, სექსუალური ორიენტაცია ან სხვა მიზეზები, დაუშვებელია შესაბამისმა სახელმწიფომ დაადგინოს ეს მიზეზი თავისი ინიციატივით. კონვენციის მეორე და მესამე მუხლებით გარანტირებული უფლებების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე და თავშესაფრის მაძიებელთა მონყვლადი მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც ისინი ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის ცნობილია კონკრეტულ პირთან დაკავშირებული ფაქტები, რომლებიც დაადასტურებენ არასათანადო მოპყრობის რისკს მის მიმართ დანიშნულების ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ, რაც გამოიწვევს ზემოხსენებული დებულებების დარღვევას, სახელმწიფოების ვალდებულებები კონვენციის მეორე და მესამე მუხლების ფარგლებში გულისხმობს, რომ ეროვნულმა ორგანოებმა უნდა შეათვასონ აღნიშნული რისკი თავისი ინიციატივით. კერძოდ, ეს ეხება სიტუაციებს, როდესაც ეროვნული სახელისუფლებო ორგანოებისთვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ თავშესაფრის მაძიებელი შესაძლოა, იმ ჯგუფის წევრი იყოს, რომელიც სისტემატურად ექვემდებარება არასათანადო მოპყრობის პრაქტიკას. ასეთი პრაქტიკის არსებობის და მისი ამ ჯგუფის წევრობის დაჯერების სერიოზული მიზეზები სახეგა.

### **3. აღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმესთან მიმართებით**

128. მოცემულ საქმეში ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენებისას, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია ამ საქმის შესწავლის პროცესის ორ ნაწილად დაყოფა: პირველი, განმცხადებლის პოლიტიკური საქმიანობა ირანში და მეორე, მისი გაქრისტიანება შვედეთში.

#### **(ა) განმცხადებლის პოლიტიკური საქმიანობა**

##### **i. ზოგადი მდგომარეობა ირანში**

129. განმცხადებელი არ ამტკიცებდა, რომ ირანში შექმნილი ზოგადი ვითარება გამორიცხავს მის დაბრუნებას აღნიშნულ ქვეყანაში. მეტიც, სასამართლო აღნიშნავს, რომ ძალადობასთან დაკავშირებული ზოგადი მდგომარეობა ჩვეულებრივ არ



ინვესტ მესამე მუხლის დარღვევას აღნიშნულ ქვეყანაში გაქვების შემთხვევაში (იხ. *კ.ლ.რ. საფრანგეთის წინააღმდეგ*, 29 აპრილი, 1997 წ., §41, ანგარიშები 1997-III). თუმცა სასამართლო არასდროს გამორიცხავდა იმ შესაძლებლობას, რომ დანიშნულების ქვეყანაში ძალადობასთან დაკავშირებული მდგომარეობა საკმარისად დაძაბული იყოს იმისთვის, რომ გამოიწვიოს კონვენციის მესამე მუხლის დარღვევა. მიუხედავად ამისა, სასამართლო გამოიყენებს ასეთ მიდგომას ძალადობასთან დაკავშირებულ მხოლოდ ყველაზე უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც არსებობს არასათანადო მოპყრობის რეალური რისკი უბრალოდ იმიტომ, რომ აღნიშნული პირი დაექვემდებარება ამგვარ ძალადობას მოცემულ ქვეყანაში (იხ. *სუფი და ელმი*, § 218 და *ნა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 115).

130. მოცემულ საქმეში, სასამართლოსთვის ცნობილი ირანში ადამიანის უფლებების დარღვევების ამსახველი ანგარიშების საფუძველზე, განმცხადებელმა არ მიიჩნია, რომ ისინი მიანიშნებდნენ კონვენციის დარღვევაზე მომავალში, თუკი განმცხადებელი დაბრუნდებოდა აღნიშნულ ქვეყანაში (იხ. *ს.ფ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ*, N [52077/10](#), § 64, 15 მაისი, 2012 წ.). შესაბამისად, სასამართლო განაგრძობს პროცესს, რათა დარწმუნდეს არის თუ არა განმცხადებლის პირადი მდგომარეობა ისეთი, რომ მისმა დაბრუნებამ ირანში კონვენციის მეორე და მესამე მუხლების დარღვევა გამოიწვიოს.

## ii. განმცხადებლის მდგომარეობის კონკრეტული გარემოებანი

131. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა ჩვენება მისცა მისი ადვოკატის და თარჯიმნის თანდასწრებით ორსაათიანი ინტერვიუს დროს, მიგრაციის საბჭოს წინაშე 2010 წლის 24 მარტს და მიგრაციის სასამართლოში 2011 წლის 16 თებერვალს. მისი საქმე არსებითად განიხილა ორივე ორგანომ და მიგრაციის სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა გასაჩივრების უფლებაზე.

132. ჩანაწერების თანახმად, როგორც მიგრაციის საბჭომ, ისე მიგრაციის სასამართლომ მხედველობაში მიიღეს ის ფაქტი, რომ 2007 წლიდან განმცხადებელი თანამშრომლობდა პირებთან, რომელთაც კავშირი ჰქონდათ სხვადასხვა უნივერსიტეტთან და ცნობილი იყვნენ როგორც არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგენი. იგი ძირითადად მუშაობდა ვებგვერდების შექმნასა და გამოცემაზე, მისი პერსონალური კომპიუტერი წაიღეს ოფისიდან, როდესაც ის ციხეში იყო 2009 წლის სექტემბერ/ოქტომბერში. რეჟიმის კრიტიკის შემცველი მასალა მის კომპიუტერში ინახებოდა. მართალია, განმცხადებელი პირადად არ აკრიტიკებდა არსებულ რეჟიმს, პრეზიდენტს აჰმადინეჯადს ან სხვა წამყვან ხელმძღვანელ პირებს, მაგრამ ის სხვადასხვა დროს შედიოდა სხვადასხვა ვებსაიტზე და ელექტრონული ფოსტით მიღებული ჰქონდა პოლიტიკური ხასიათის კარიკატურები. აქედან გამომდინარე, განმცხადებლის აზრით, მის როგორც სისტემის მოწინააღმდეგის მიმართ, საკმარისი მტკიცებულება არსებობდა. ბევრი რამ ამ მასალისგან იგივე იყო, რაც მას შენახული ჰქონდა კომპიუტერში 2007 წელს.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ ინფორმაცია განმცხადებლის პოლიტიკური საქმიანობის შესახებ ბუნდოვანი და დეტალურს მოკლებული იყო. მეტიც, მას არ უხსენებია და არ დაუსაბუთებია სავარაუდოდ მის მიერ ორი წლის მანძილზე რომელიმე ვებგვერდის შექმნის ფაქტი. მათ ასევე მიიჩნიეს ნიშანდობლივად ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა შეძლო გაეგრძელებინა რეჟიმის კრიტიკის შემცველი მასალის გამოქვეყნება 2007 წლიდან 2009 წლის არჩევნებამდე მაშინ, როდესაც ირანის ხელისუფლებამ რეალურად იცოდა მისი საქმიანობის შესახებ 2007 წელს.

133. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ასევე გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ განმცხადებელი დააპატიმრეს 24 საათის განმავლობაში 2007 წლის აპრილში.

134. მათ ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ ის ფაქტი, რომ არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, 2009 წლის 12 ივნისს განმცხადებელი და მისი მეგობრები დააკავეს, დაკითხეს და დააპატიმრეს პოლიციის განყოფილებაში მთელი ღამის განმავლობაში.

135. ასევე დაადგინეს, რომ განმცხადებელმა მონაწილეობა მიიღო დემონსტრაციაში, ამიტომ კვლავ დააკავეს და დააპატიმრეს 2009 წელს, სექტემბერში, 20 დღის განმავლობაში, სადაც მას არასათანადოდ ეპყრობოდნენ. განმცხადებელი 2009 წლის ოქტომბერს წარსდგა რევოლუციური სასამართლოს წინაშე, რომელმაც გაათავისუფლა.

136. ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა შემდგომ მხედველობაში მიიღეს ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა წარმოადგინა რევოლუციურ სასამართლოში 2009 წელს 2 ნოემბერს გამოძახების უწყების დედანი. თუმცა, მათ მიიჩნიეს, რომ უწყება არ ასაბუთებს დაცვის საჭიროებას. ის უბრალოდ გამოძახების უწყება იყო და არ არსებობდა არანაირი მიზეზი იმისა, რომ განმცხადებელი წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე.

137. საერთო შეფასების გაკეთებისას, ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა მიიჩნიეს, რომ პოლიტიკური საქმიანობა, რომელსაც განმცხადებელი ეწეოდა ირანში, შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც დაბალი დონის აქტივობა, რაც დადასტურდა იმ ფაქტით, რომ 2009 წლიდან განმცხადებელს არ მიუღია რევოლუციურ სასამართლოში გამოძახების არც ერთი უწყება და განმცხადებლის ირანში დარჩენილი ოჯახის არც ერთ წევრზე არ განხორციელებულა რეპრესიული ღონისძიებები ირანის ხელისუფლების მხრიდან.

138. ამ გარემოებების გათვალისწინებით, განმცხადებლის სარჩელმა ვერ დაარწმუნა სასამართლო, რომ შვედეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო სათანადოდ შეეფასებინა მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტი - 24-საათიანი დაკავება 2009 წლის სექტემბერში, მის მიერ წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია საქმის

განხილვის შესახებ 2009 წლის ოქტომბერში ან ის ფაქტი, რომ მან წარმოადგინა სასამართლოში ხელმეორედ 2009 წლის 2 ნოემბერს გამოცხადების უწყების დედანი.

139. აგრეთვე, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ შვედეთის ხელისუფლებამ სათანადოდ არ გაითვალისწინა განმცხადებლის აეროპორტში დაკავების რისკი, როდესაც აფასებდა რისკს გლობალური მასშტაბით.

140. სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასკვნის გაკეთების მიზეზი, რომ შვედეთის ხელისუფლების მიერ საქმის განხილვა არაადეკვატური და არასაკმარისად გამყარებული იყო როგორც ადგილობრივი მასალებით, ისე სხვა სანდო და ობიექტური წყაროებიდან მიღებული მასალებით.

141. გარდა ამისა, არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, რომელიც დაადასტურებდა შვედეთის ხელისუფლების არამართებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, მათ დაასკვნეს, რომ განმცხადებელი არ იყო არც ცნობადი სახე ან ცნობილი აქტივისტი და არც პოლიტიკური ოპონენტი. შესაბამისად, მოცემული საქმე განსხვავდება საქმეებისაგან - *ს.ფ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ*, რომელშიც განმცხადებელი ჩართული იყო ფართო პოლიტიკურ საქმიანობაში და მოექცა ირანის რეჟიმის დაკვირვების ქვეშ; *კ.კ.-ს საფრანგეთის წინააღმდეგ* (N18913/11, 10 ოქტომბერი, 2013 წ.), განმცხადებელი ირანის სპეცსამსახურების ყოფილი წევრი იყო და *რ.ს.-ის შვედეთის წინააღმდეგ* (ზემოთ ხსენებული), სხვა რისკებთან ერთად ეხებოდა განმცხადებლის აეროპორტში დაკავების რისკს მისი დაბრუნებისთანავე.

142. რაც შეეხება განმცხადებლის მტკიცებას დიდ პალატაში, რომ ირანის ხელისუფლება შეძლებს მის ამოცნობას პალატის გადაწყვეტილებიდან, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს მიენიჭა ანონიმურობა, როდესაც მისი მოთხოვნა 39-ე წესის გამოყენებასთან დაკავშირებით დაკმაყოფილებულ იქნა 2011 წელს ოქტომბერში და სასამართლოში წარდგენილ მასალებზე დაყრდნობით, არ არსებობს არანაირი პირდაპირი მინიშნება იდენტიფიცირების რისკთან დაკავშირებით (იხ. *ს.ფ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ*, §§ 67-70 და *ნა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §143, რომელთა შემთხვევაში ვითარება ამის საპირისპირო იყო).

143. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ განმცხადებლის ირანში დეპორტაციის შემთხვევაში მოცემულ ქვეყანაში მისი პოლიტიკური წარსულის მიზეზით კონვენციის მეორე და მესამე მუხლები არ ირღვევა.

#### **(ბ) განმცხადებლის მიერ სარწმუნოების შეცვლა**

144. მოცემულ საქმეში, შვედეთის ხელისუფლება პირის მიერ ადგილზე (sur place) სარწმუნოების შეცვლის შემთხვევის პირისპირ აღმოჩნდა. თავდაპირველად, ისინი

იძულებული გახდნენ შეეფასებინათ, იყო თუ არა განმცხადებლის გაქრისტიანება გულწრფელი და საკმარისად დამატყრებელი, სერიოზული და მნიშვნელოვანი მიზეზებით განპირობებული (იხ. *ს.ა.ს. საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N43835/11, § 55, 1 ივლისი, 2014 წ.; *ვევიდას და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N. 48420/10, 59842/10, 51671/10 და 36516/10, § 81, ECHR, 2013 და *ბაიატიანი სომხეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N23459/03, § 110, ECHR, 2011 წ.), სანამ შეათვასებდნენ, დაემუქრებოდა თუ არა განმცხადებელს ისეთი მოპყრობა, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მეორე და მესამე მუხლებს მისი ირანში დაბრუნების შემთხვევაში.

145. სასამართლო აღნიშნავს, რომ შვედეთის მთავრობის თანახმად, თავშესაფრის მიცემის საქმეებში შვედეთის ხელისუფლება ზოგადად იცავს UNCHR სახელმძღვანელოს და UNCHR სახელმძღვანელო პრინციპებს რელიგიურ საფუძველზე ლტოლვილთა მოთხოვნების საერთაშორისო დაცვის თაობაზე და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხელისუფლება აფასებს, უცხოელის რწმენის ჭეშმარიტებას და აზუსტებს მის რელიგიურ მრწამსს. ეს მოიცავს სარწმუნოების შეცვლის გარემოებების შეფასებასა და იმის დადგენას, შეეძლება თუ არა განმცხადებელს იცხოვროს შეცვლილი სარწმუნოებით მის მშობლიურ ქვეყანაში. გარდა ამისა, 2012 წლის 12 ნოემბერს შვედეთის მიგრაციის საბჭოს გენერალურმა დირექტორმა იურიდიულ საკითხებში გამოსცა „ზოგადი სამართლებრივი პოზიცია“ რელიგიასთან, როგორც თავშესაფრის მინიჭების საფუძველთან, მათ შორისაა, რელიგიის შეცვლა მიგრაციის სააპელაციო სასამართლოს განჩინების საფუძველზე (MIG 2011:29), UNHCR სახელმძღვანელო პრინციპები და CJEU განჩინება საქმეში *გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ი-ს (C-71/11) და ს-ს (C 99/11-)* წინააღმდეგ, 5 სექტემბერი, 2012 წ.. სამართლებრივი პოზიციის თანახმად, სარწმუნოების შეცვლის სანდოობა ფრთხილ შეფასებას მოითხოვს, რათა შეფასდეს, იყო თუ არა ეს ქმედება გულწრფელი. ადამიანი, რომელმაც ნამდვილი რწმენით შეიცვალა სარწმუნოება ან რომელიც რწმენის შეცვლის რისკის ქვეშაა და დევნა ემუქრება, არ უნდა იყოს იძულებული დამალოს მისი სარწმუნოება მხოლოდ იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს დევნა. გარდა ამისა, 2013 წლის 10 ივნისს გენერალურმა დირექტორმა იურიდიულ საკითხებში გამოსცა „ზოგადი სამართლებრივი პოზიცია“ იმ განაცხადების საიმედოობისა და სანდოობის შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას, მათ შორის, UNHCR-ის შეფასების საფუძველზე, რომელიც აღწერილია 2013 წელს მათში ორგანიზაციის მიერ გამოცემულ ანგარიშში - „მტკიცების მიღმა: სანდოობის შეფასება ევროკავშირის თავშესაფრის მინიჭების სისტემებში“.

146. თავშესაფრის მინიჭების პროცედურებში თავდაპირველად, მიგრაციის საბჭოში განხილვამდე, განმცხადებელს არ სურდა მის მიერ სარწმუნოების შეცვლის ფაქტის არგუმენტად მოყვანა. საკითხის განხილვა გადაეცა მიგრაციის საბჭოს და განმცხადებელმა განმარტა, რომ რელიგიის თემა მისი პირადი საქმე იყო და „მას არ



უნდოდა გამოეყენებინა ახლად მიღებული სარწმუნოება თავშესაფრის მოპოვების მიზნით“. მოგვიანებით აღნიშნა, რომ მას არ მიუღია საკმარისი იურიდიული კონსულტაცია და დახმარება იმისათვის, რომ გაეცნობიერებინა, რა რისკთან იყო დაკავშირებული სარწმუნოების შეცვლა.

147. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი თითქმის მთელი თავისი ცხოვრება ირანში ცხოვრობდა, ის კარგად ფლობდა ინგლისურ ენას და კომპიუტერის, ვებგვერდების და ინტერნეტის გამოცდილი მომხმარებელი იყო. ის ასევე აკრიტიკებდა ქვეყანაში არსებულ რეჟიმს. აქედან გამომდინარე, რთულია იმის მტკიცება, რომ არ იცოდა, რა რისკების წინაშე დგას ირანში ის, ვინც სარწმუნოებას იცვლის, ეს ვერ შეიტყო ვერც იმ ეკლესიის მრევლისაგან, სადაც იგი მალევე მონათლა მისი შვედეთში ჩამოსვლის შემდეგ და ვერც პასტორისგან, რომელმაც გადასცა მას 2010 წლის 15 მარტით დათარიღებული დეკლარაცია მიგრაციის საბჭოში წარსადგენად. ასევე, სასამართლო ვერ დარწმუნდა იმაში, რომ განმცხადებელს არ მიაწოდეს საკმარისი იურიდიული დახმარება სარწმუნოების შეცვლასთან დაკავშირებულ რისკებზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს არასდროს არ მიუმართავს პრეტენზიით ამ საკითხებზე ადგილობრივ ორგანოებში. მეტიც, მიგრაციის საბჭოში საქმის განხილვის დროს 2010 წლის 24 მარტს საბჭოს წარმომადგენელმა შეწყვიტა სხდომა, რათა განმცხადებელს მიეღო რჩევა მისი ადვოკატისგან ამ კონკრეტულ საკითხზე. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სარწმუნოების შეცვლა მისი პირადი საქმე იყო, მაგრამ ამ ფაქტმა ხელი არ შეუშალა, რომ რელიგიაზე ესაუბრა. მეტიც, მის მიმართვაში მიგრაციის სასამართლოსადმი, განმცხადებელმა მისთვის თავშესაფრის მინიჭების არგუმენტად მოიყვანა სარწმუნოების შეცვლის გარემოება და წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა, რომ იგი მონათლა 2010 წლის 31 იანვარს, ის ფაქტი, რომ თავიდანვე არ წარმოადგინა მოცემული არგუმენტი ახსნა, რომ არ სურდა ამით დაეკნინებინა მისი რწმენა. გარდა ამისა, მიგრაციის სასამართლოში 2011 წელს 16 თებერვალს, მისი განცხადების მიუხედავად, რომ არ სურდა სარწმუნოების შეცვლით არგუმენტირება, მაინც განაცხადა, რომ „ცხადია, აღნიშნული ფაქტი დაბრუნებისთანავე პრობლემებს შეუქმნიდა“.

148. რაც შეეხება შვედეთის ხელისუფლებას, 2010 წლის 24 მარტს მათთვის ცნობილი გახდა, რომ განმცხადებელმა სარწმუნოება sur place შეიცვალა, როდესაც მიგრაციის საბჭომ მას ზეპირი ინტერვიუ ჩამოართვა ადვოკატის და თარჯიმნის თანდასწრებით. კერძოდ კი, საბჭომ შეიტყო ამის შესახებ მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა წარმოადგინა მრევლის პასტორისაგან მიღებული 2010 წლის 15 მარტით დათარიღებული დეკლარაცია, რომელიც ადასტურებდა, რომ განმცხადებელი მათი წევრი იყო 2009 წლის დეკემბრიდან და მონათლა. შესაბამისად, მიგრაციის საბჭოს წარმომადგენელმა დეტალურად გამოკითხა განმცხადებელი სარწმუნოების შეცვლის თემასთან დაკავშირებით და მოუნდა მას

და მის იურისტს შეეთანხმებინათ ეს საკითხი, ამის შემდეგ მიგრაციის საბჭოს წარმომადგენელმა შეიტყო იმ ფაქტის შესახებ, რომ განმცხადებელს არ სურდა გამოეყენებინა სარწმუნოების შეცვლა თავშესაფრის მოთხოვნის არგუმენტად.

149. 2010 წლის 29 აპრილს მიგრაციის საბჭომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა მისთვის თავშესაფრის მინიჭების თაობაზე. რაც შეეხება განმცხადებლის მიერ ქრისტიანობის მიღების ფაქტს, მიგრაციის საბჭომ დაადგინა, რომ მრევლის პასტორის მიერ გაცემული დოკუმენტი შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც თავშესაფრის თხოვნა მიგრაციის საბჭოსადმი. მან აღნიშნა, რომ განმცხადებელმა თავდაპირველად არ ისურვა საფუძვლად გამოეყენებინა მის მიერ სარწმუნოების შეცვლის გარემოება თავშესაფრის მინიჭების დასასაბუთებლად და განაცხადა, რომ მისი ახალი რწმენა პირადი საქმე იყო. სასამართლომ დაასკვნა, რომ განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ რწმენა ძალზე პირადი თემაა განმცხადებლისთვის, არ წარმოადგენდა სავარაუდო საფუძველს, რომ მის მიმართ განხორციელდებოდა დევნა თავის ქვეყანაში დაბრუნებისთანავე, მან ვერ დაასაბუთა, რომ შვედეთის მთავრობისგან სწორედ ამ მიზეზით ესაჭიროებოდა დაცვა.

150. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს არ სურდა ყურადღება გაემახვილებინა საკუთარი სარწმუნოების შეცვლაზე, მიგრაციის საბჭომ გარკვეულწილად მაინც შეათვასა რისკი, რომელიც განმცხადებელს, ირანში მისი დაბრუნების შემთხვევაში, შესაძლოა სწორედ ამ მიზეზით შეეწმინდა.

151. თავის მიმართვაში მიგრაციის სასამართლოსადმი განმცხადებელმა არგუმენტად მოიყვანა მის მიერ სარწმუნოების შეცვლის ფაქტი და ახსნა, რატომ არ უნდოდა აქამდე ამაზე აპელირება.

152. მიგრაციის სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის დროს, განმცხადებელმა გადანყვიტა, არ მოეყვანა არგუმენტად მის მიერ სარწმუნოების შეცვლა თავშესაფრის მოთხოვნის დასასაბუთებლად, მაგრამ დასძინა, რომ „ცხადია ეს [მას] დაბრუნებისთანავე პრობლემებს შეუქმნიდა“. მიგრაციის საბჭომაც წარმოადგინა თავისი დასკვნები. საბჭოს ეჭვქვეშ არ დაუყენებია ის ფაქტი, რომ განმცხადებელი, ქრისტიანული რწმენის მიმდევარი იყო, მაგრამ არ მიიჩნია, რომ ეს საკმარისი საფუძველი იყო გადანყვეტილების მისაღებად მისთვის დაცვის აუცილებლობის შესახებ. საბჭო დაეყრდნო ბრიტანეთის შსს-ს 2009 წლის ოპერატიულ სახელმძღვანელო ინსტრუქციას.

153. მიგრაციის სასამართლომ არ განიხილა განმცხადებლის მიერ სარწმუნოების შეცვლის საკითხი, როგორ აპირებდა ამის გამოვლენას ირანში, თუკი აღსრულდებოდა ბრძანება მის დეპორტაციაზე, ასევე არ გაითვალისწინა ის „პრობლემები“, რომლებიც შესაძლოა შეეწმინდა მას დაბრუნების შემდგომ. 2011 წლის 9 მარტს გადანყვეტილებაში აპელაციის უარყოფის თაობაზე, მიგრაციის სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი აღარ აპელირებდა მის რელიგიურ

შეხედულებებზე, როგორც დევნის დაწყების საფუძველზე. შესაბამისად, მიგრაციის სასამართლოს არ შეუფასებია რისკი, რომლის წინაშეც შეიძლებოდა დამდგარიყო განმცხადებელი ირანში დაბრუნებისას მის მიერ სარწმუნოების შეცვლის გამო.

154. მიგრაციის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში გასაჩივრების უფლების მიცემის თაობაზე, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მან არგუმენტად მოიყვანა მიგრაციის სასამართლოში მის მიერ სარწმუნოების შეცვლის გარემოება. მეტიც, ის ამტკიცებდა, რომ მას შემდეგ, რაც ირანის ხელისუფლებამ შეიტყო ეს ფაქტი, მისი შიში გაძლიერდა. აღნიშნული განცხადებები არ ჩაითვალა საკმარისად გასაჩივრების ნებართვის გასაცემად. აქედან გამომდინარე, მიგრაციის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის შუამდგომლობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2011 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით, რის შემდეგაც ბრძანება ქვეყნიდან გაძევებაზე შევიდა ძალაში.

155. 2011 წლის 6 ივლისს განმცხადებელმა მოითხოვა, რომ მიგრაციის საბჭოს შეეჩერებინა გაძევების ბრძანების აღსრულება. საფუძვლად განმცხადებელი მის მიერ რწმენის შეცვლას ასახელებდა. მიგრაციის საბჭომ და მიგრაციის სასამართლომ არ დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნა და დაადგინეს, რომ რწმენის შეცვლა არ შეიძლება ჩაითვალოს „ახალ გარემოებად“, რომელიც გაამართლებდა მისი საქმის ხელახალ შესწავლას. 2011 წლის 17 ნოემბერს მიგრაციის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა გასაჩივრების ნებართვის გაცემის თაობაზე.

156. მიგრაციის საბჭოსა და მიგრაციის სასამართლოსთვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა შვედეთში შეიცვალა მაჰმადიანური სარწმუნოება და გაქრისტიანდა, რის გამოც შესაძლოა, ბევრი სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე, ირანში დაბრუნების შემთხვევაში დაექვემდებაროს ისეთ მოპყრობას, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მეორე და მესამე მუხლებს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელმა არ მოისურვა თავშესაფრის მოთხოვნა სარწმუნოების შეცვლის გარემოებით დაესაბუთებინა, დეტალურად არ შეისწავლეს განმცხადებლის მიერ სარწმუნოების შეცვლის საკითხი, მისი რწმენის სერიოზულობა, თუ რა გზით გაასაჯაროვა მან ქრისტიანული სარწმუნოება შვედეთში და როგორ აპირებდა ამის გაკეთებას ირანში, თუკი აღსრულდებოდა მისი ქვეყნიდან გაძევების ბრძანება. გარდა ამისა, საქმის წარმოების განახლებისას, სარწმუნოების შეცვლა არ განიხილებოდა როგორც „ახალი გარემოება“, რომელიც გაამართლებდა მისი საქმის ხელახალ შესწავლას. შესაბამისად, შვედეთის ხელისუფლებას არ შეუფასებია რისკი, რომლის წინაშეც შეიძლებოდა განმცხადებელი დამდგარიყო ირანში დაბრუნებისას სარწმუნოების შეცვლის გამო. მიუხედავად კონვენციის მეორე და მესამე მუხლების აბსოლუტური ბუნებისა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ განმცხადებელმა უარი თქვას დაცვაზე აღნიშნული მუხლების საფუძველზე. აქედან გამომდინარეობს შემდეგი: განმცხადებლის ქცევის

მიუხედავად, კომპეტენტური ეროვნული ორგანოები ვალდებული არიან შეაფასონ, საკუთარი ინიციატივით, მათთვის მიწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია მისი ირანში გაძევების თაობაზე გადანაცვების მიღებამდე.

157. გარდა ამისა, განმცხადებელმა დიდ პალატას წარუდგინა სხვადასხვა დოკუმენტი, რომლებიც არ წარუდგენია ეროვნულ სახელისუფლებო ორგანოებში, მაგალითად, 2014 წლის 13 სექტემბრით დათარიღებული მისი წერილობითი განცხადება (მის მიერ სარწმუნოების შეცვლის შესახებ, თუ რა გზით გამოავლინა მან ქრისტიანული სარწმუნოება შვედეთში და როგორ აპირებდა ამის გაკეთებას ირანში, თუკი აღსრულდებოდა მისი ქვეყნიდან გაძევების ბრძანება) და 2014 წლის 15 სექტემბრით დათარიღებული იმ ეკლესიის ყოფილი პასტორის წერილობითი განცხადება, რომლის მრევლიც იყო განმცხადებელი (იხ. §§ 96-97). სასამართლოში და მანამდე ეროვნულ სასამართლოებში წარდგენილი მასალების საფუძველზე, სასამართლოს დასკვნით, განმცხადებელმა საკმარისად დაასაბუთა, რომ მის მიერ თავშესაფრის მოთხოვნა სარწმუნოების შეცვლის მიზნით ეროვნული ხელისუფლების მხრიდან შესწავლას იმსახურებს. ეროვნულმა სახელისუფლო ორგანოებმა უნდა მიიღონ მხედველობაში მოცემული მასალა და სხვა მომდევნო გარემოებანი ირანში ზოგად სიტუაციასა და განმცხადებლის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

158. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის დაბრუნება ირანში შვედეთის ხელისუფლების მიერ არსებული სიტუაციის შეფასების გარეშე, მის მიერ სარწმუნოების შეცვლის გამო მოსალოდნელი შედეგების თვალსაზრისით, გამოიწვევს კონვენციის მეორე და მესამე მუხლების დარღვევას.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მე-8 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით: უცხოელის დეპორტაცია და ქვეყნიდან გაძევება.

ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან გამოვლენილი თავნებობის წინააღმდეგ მინიმალური დაცვის უზრუნველყოფა: დარღვევა.

**საქმე „ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ“**

**CASE OF LUPSA v. ROMANIA**

**განაცხადი N10337/04**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2006 წლის 8 ივნისი**

**ფაქტობრივი გარემოებები**

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

5. 1989 წელს განმცხადებელი, იუგოსლავიის მოქალაქე, რუმინეთში ჩავიდა და იქ დამკვიდრდა. ის რუმინეთში 14 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და 1993 წელს რუმინული კომერციული კომპანია დააარსა, რომლის ძირითადი საქმიანობა ყავის მოხალვა და მისი მარკეტინგი იყო. მან ასევე ისწავლა რუმინული და 1994 წლიდან თანაცხოვრობდა რუმინელ მოქალაქესთან.

6. 2002 წლის 2 ოქტომბერს განმცხადებლის მეგობარმა გოგომ, რომელიც მასთან ერთად იუგოსლავიაში იყო ჩასული, შვილი გააჩინა. რამდენიმე დღის შემდეგ განმცხადებელი მეგობარ გოგოსა და ბავშვთან ერთად რუმინეთში დაბრუნდა.

7. 2003 წლის 6 აგვისტოს განმცხადებელი უცხოეთში მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა რუმინეთში და დაბრკოლების გარეშე გადალახა საზღვარი. თუმცა, მეორე დღეს სასაზღვრო პოლიციამ სახლში მიაკითხა და დეპორტაცია გაუკეთა.

8. 2003 წლის 12 აგვისტოს განმცხადებლის ადვოკატმა სარჩელი შეიტანა ბუქარესტის სააპელაციო სასამართლოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქმეებზე პასუხისმგებელი ორგანოს წინააღმდეგ და ბუქარესტის სააპელაციო სასამართლოს პროკურატურაში იმ მოთხოვნით, რომ მომხდარიყო განმცხადებლის წინააღმდეგ მიღებული დეპორტაციის ბრძანების შესახებ გადაწყვეტილების სამართლებრივი გადასინჯვა.

9. მისი განცხადებით, არ არსებობდა არანაირ დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ განმცხადებლის რუმინეთში ყოფნა რაიმე მიზეზის გამო არასასურველია. აგრეთვე განაცხადა, რომ განმცხადებელი 1989 წლიდან რუმინეთში ცხოვრობდა, 1989 წელს დაჯილდოებული იყო მედლით მისი როლისთვის ანტიკომუნისტურ მოძრაობაში, მართავდა კომერციულ კომპანიას, ინახავდა ოჯახს და არანაირად არ უქმნიდა საფრთხეს ეროვნულ უსაფრთხოებას.

10. პროცესი ბუქარესტის სააპელაციო სასამართლოში 2003 წლის 18 აგვისტოს გაიმართა. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქმეებზე პასუხისმგებელი ორგანოს წარმომადგენელმა განმცხადებლის ადვოკატს გადასცა ბუქარესტის სააპელაციო სასამართლოს პროკურატურის 2003 წლის 28 მაისის ბრძანების ასლი, სადაც ნათქვამია, რომ რუმინეთის სადაზვერვო სამსახურის მოთხოვნით და მთავრობის უსაფრთხოების შესახებ N194/2002 ბრძანების თანახმად, რომელიც შეეხება რუმინეთში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მარეგულირებელ წესებს, განმცხადებელი გამოცხადდა „არასასურველ პირად“ და ეკრძალებოდა რუმინეთში 10 წლის განმავლობაში შესვლა იმ მიზეზით, რომ „არსებობდა საკმარისი და სერიოზული სადაზვერვო მასალა, მისი ისეთ საქმიანობებში ჩართვის შესახებ, რომელიც ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის“. ბრძანების ბოლო პუნქტში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილება განმცხადებელზე უნდა გავრცელდეს და აღასრულოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქმეებზე პასუხისმგებელმა ორგანომ მთავრობის უსაფრთხოების შესახებ N194/2002 ბრძანების 81-ე თავის შესაბამისად.

11. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქმეებზე პასუხისმგებელი ორგანოს წარმომადგენლის მიერ სამართალწარმოებისას შევსებული საბუთების შესაბამისად, 2003 წლის 2 და 11 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუმინეთის სადაზვერვო სამსახურს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სასაზღვრო პოლიციას აცნობა, რომ განმცხადებელს ეკრძალება ქვეყანაში შესვლა.

12. განმცხადებლის ადვოკატმა მოითხოვა საქმის განხილვის გადავადება, რათა განმცხადებლისათვის მიეწოდებინა საზოგადოებრივი პროკურატურის ბრძანების ასლი და მისგან მიეღო მითითებები.

13. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი პროკურატურის წარმომადგენელი მხარს უჭერდა ამ მოთხოვნას იმის გამო, რომ განმცხადებელზე ბრძანების აღსრულების ვალდებულება ჯერ არ იყო დადგენილი, სააპელაციო სასამართლომ მაინც გადაწყვიტა, დაეწყო საქმის განხილვა. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი მასალები საკმარისად მიიჩნია, საოლქო სასამართლომ ასევე უკუაგდო განმცხადებლის ადვოკატის თხოვნა გადავადების შესახებ, რათა მას წარმოედგინა დოკუმენტები თავის განცხადების მხარდასაჭერად.

14. წარმოდგენილ სააპელაციო სასამართლომ არგუმენტებზე მსჯელობის შემდეგ უკუაგდო განაცხადი:

„საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და მხარეთა არგუმენტების გაანალიზების შემდეგ სასამართლო უარს ამბობს პროკურატურის ბრძანების და დეპორტაციის შესახებ ბრძანების წინააღმდეგ წარმოდგენილი განცხადების განხილვაზე, რადგან არ მიიჩნევს საკმარისად დასაბუთებულად. სასამართლოს თვალსაზრისით, მთავრობის უსაფრთხოების შესახებ N194/2002 ბრძანების 83-ე და 84(2)-ე თავების შესაბამისად, ბრძანებით გათვალისწინებული ზომები დასაბუთებული და კანონიერია....“

სადავო ადმინისტრაციული ბრძანების დასაბუთებასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი აკმაყოფილებს შესაბამისი დებულებებით მოთხოვნილ მატერიალურ და პროცესუალურ პირობებს. სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრების უფლებას გასცემს სათანადო სახელმწიფო ორგანო შესაბამის დებულებებთან თანხვედრით, ასევე ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის აუცილებლობასა და ამ შეზღუდვის გამომწვევ გარემოებებს შორის პროპორციულობის პრინციპის დაცვით. შესაბამისად, დეპორტაციის ბრძანება კანონიერად იყო გაცემული.

იგი ამტკიცებდა, რომ საზოგადოებრივი პროკურატურის 2003 წლის 28 მაისის ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შესახებ 2003 წლის 2 და 11 ივნისს ეცნობა სასაზღვრო პოლიციას, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და რუმინეთის სადაზვერვო სამსახურს, ხოლო ბრძანების აღსრულების ნაწილში ეწერა, რომ მთავრობის უსაფრთხოების შესახებ No194/2002 ბრძანების 81-ე თავის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქმეებზე პასუხისმგებელ ორგანოს ევალებოდა მისი აღსრულება და მასზე ინფორმირება; უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტისა და საცხოვრებელი ადგილის დეტალები აღნიშნულია ბრძანების პრეამბულაში.

აქედან გამომდინარე, სასამართლო არ აკმაყოფილებს ბუქარესტის სააპელაციო სასამართლოს პროკურატურის ბრძანების წინააღმდეგ საჩივარს, როგორც ყველა საფუძვლით დაუსაბუთებელს.“

## სამართალი

### I. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

19. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი დეპორტაციის ბრძანება და გაძევება რუმინეთის ტერიტორიიდან არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლით მინიჭებულ პირადი

და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“.

## **ბ. საქმის არსებითი გარემოებები**

### **1. იყო თუ არა ჩარევა**

21. მთავრობა არ დავობს იმაზე, რომ განმცხადებელს დეპორტაციამდე ჰქონდა პირადი და ოჯახური ცხოვრება რუმინეთში, მაგრამ დავობდა იმაზე, რომ დეპორტაცია და გაძევების შესახებ ბრძანება გაუტოლდა მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევას. ამასთან დაკავშირებით, მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა რუმინეთში მუდმივი ცხოვრების უფლება, არამედ რჩებოდა იქ სამუშაო ვიზის საფუძველზე, რომელსაც პერიოდულად ანახლებდა. ამასთან, ის ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის დეპორტაციის შემდეგ მისი მეგობარი გოგო ბავშვთან ერთად არაერთხელ გაემგზავრა სერბეთში სრულიად უპრობლემოდ და დარჩა იქ რამდენიმე თვის მანძილზე. აქედან გამომდინარე, მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის ოჯახური ცხოვრება არ დარღვეულა.

22. განმცხადებლის არგუმენტებით, 1999 წლიდან 2003 წლამდე მას პირადი, ოჯახური და პროფესიული ცხოვრება რუმინეთში ჰქონდა. ასევე დასძინა, რომ მიუხედავად მეგობარი გოგოსა და ბავშვის ვიზიტებისა, მათი პირადი და ოჯახური ცხოვრება შეუქცევადად დაზარალდა დეპორტაციის ბრძანებით.

23. მისი თქმით, მეგობარ გოგოსა და ბავშვს არ შეეძლოთ სერბეთსა და მონტენეგროში დასახლება, რადგან მეგობარმა გოგომ არ იცოდა სერბული და მისთვის ძალიან რთული იქნებოდა ქვეყანასთან ადაპტირება კულტურულად თუ სოციალურად. გარდა ამისა, იგი ირწმუნებოდა, რომ დეპორტაციის შემდეგ, მის მიერ რუმინეთში დაარსებულმა კომპანიამ - მათი ცხოვრების წყარომ, არსებობა შეწყვიტა, აქედან გამომდინარე, არ ჰქონდათ საკმარისი სახსრები სერბიასა და მონტენეგროში სათანადოდ ცხოვრებისათვის.



24. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ სადავო არ გამხდარა დეპორტაციამდე განმცხადებლის რუმინეთში პირადი და ოჯახური ცხოვრების ფაქტი.

25. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ კონვენცია არ იძლევა გარანტიას უცხო ქვეყნის მოქალაქის რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში შესვლისა ან ცხოვრების უფლებაზე. თუმცა, პირის ქვეყნიდან გაძევების ფაქტი, სადაც მისი ოჯახის ახლო წევრები ცხოვრობენ, შეიძლება გაუთვალისწინოს კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული ოჯახური ცხოვრების დარღვევას (იხ. ბოულთიფი შვეიცარიის წინააღმდეგ N54273/00, § 39, ECHR, 2001-IX).

26. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი რუმინეთში ჩავიდა 1989 წელს, შემდგომში იქ კანონიერად ცხოვრობდა, ისწავლა რუმინული, დააარსა კომერციული კომპანია და შექმნა ოჯახი რუმინეთის მოქალაქესთან. წყვილს ჰყავდა ბავშვი, რომელიც იყო როგორც რუმინეთის, ასევე სერბეთისა და მონტენეგროს მოქალაქე.

27. რამდენადაც განმცხადებელი ინტეგრირდა რუმინულ საზოგადოებაში და იქ ნამდვილ ოჯახურ ცხოვრებას ეწეოდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ მისმა დეპორტაციამ და რუმინეთის ტერიტორიიდან გაძევებამ ბოლო მოუღო ამ ინტეგრაციას და რადიკალურად დაარღვია მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, თანაც ამის კომპენსირება შეუძლებელია მეგობარი გოგოსა და ბავშვის რეგულარული ვიზიტებით. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა მოხდა.

## 2. იყო თუ არა ჩარევა დასაბუთებული

28. ამგვარი ჩარევა დაარღვევს კონვენციას, თუ არ აკმაყოფილებს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს. ამდენად, აუცილებელია დადგინდეს, ეს ჩარევა იყო თუ არა „კანონის შესაბამისი“, განპირობებული ამ პუნქტში დასახელებული ერთი ან მეტი კანონიერი მიზნით და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

29. მთავრობა დავობდა, რომ მიღებული ზომები აკმაყოფილებდა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის კრიტერიუმებს. მათი მტკიცებით, გადაწყვეტილება შეესაბამებოდა კანონს, კერძოდ, მთავრობის უსაფრთხოების შესახებ N194/2002 ბრძანებას, რომელიც ოფიციალურ გაზეთში იყო გამოქვეყნებული. აქედან გამომდინარე, დაკმაყოფილებულია ხელმისაწვდომობის პირობა. მთავრობამ მიიჩნია, რომ დაცული იყო აგრეთვე წინასწარ განჭვრეტადობის კრიტერიუმი. შემოხსენებული ბრძანების 83-ე თავი ითვალისწინებს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უნდა აეკრძალოთ ქვეყანაში ყოფნა მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში - თუ ისინი ჩართულები იყვნენ, ჩაერთვნენ ან განიზრახავდნენ ჩართვას ეროვნული

უსაფრთხოებისა ან საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შემცველ აქტივობებში.

30. მთავრობა დარწმუნებით აცხადებდა, რომ განსახილველი გადაწყვეტილება ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს. კერძოდ, ეროვნული უსაფრთხოების დაცვას. ასევე აუცილებელი იყო დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რადგან ეს გადაწყვეტილება გამართლებული იყო გადაუდებელი სოციალური საჭიროებით და პროპორციულად შეფარდებოდა ლეგიტიმურ მიზანს. იმის დასამტკიცებლად, რომ ჩარევა პროპორციული იყო, მთავრობამ ხაზი გაუსვა შემდეგს: გასათვალისწინებელია დანაშაულის სერიოზულობა, რომელშიც განმცხადებელია ეჭვმიტანილი; აგრეთვე მის მეგობარ გოგოსა და ბავშვს არ აქვთ შეზღუდული მასთან ვიზიტები და სურვილის შესაბამისად შეუძლიათ სერბეთსა და მონტენეგროში დასახლება.

31. განმცხადებელი ირწმუნებოდა, რომ მთავრობას არასოდეს შეუტყობინებია მისთვის, რა დანაშაულში იყო ეჭვმიტანილი. მის წინააღმდეგ არ ყოფილა არანაირი სამართალწარმოება არც რუმინეთში, არც სერბეთსა და მონტენეგროში. აქედან გამომდინარე, იგი მიიჩნევს, რომ მის წინააღმდეგ ბრძანება დაუსაბუთებელია.

32. სასამართლო კვლავ იმეორებს იმას, რასაც მუდმივად აცხადებდა: „კანონის შესაბამისად“ ფორმულირებისთვის უპირველესად საჭიროა სადავო ზომის საფუძვლის არსებობა ეროვნულ კანონმდებლობაში. მაგრამ ასევე მიაჩნდა შესაბამისი კანონის ხარისხზე და მოითხოვს, რომ იგი ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი პირებისათვის, ფორმულირებული იყოს საკმარისი სიზუსტით, რაც საშუალებას მისცემს ამ ადამიანებს განჭვრიტონ, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო კონსულტაციის შედეგად, რა შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ ქმედების ხარისხს, რაც გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში.

33. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ეროვნული უსაფრთხოების ღონისძიებებს, განჭვრეტადობის მოთხოვნა ვერ იქნება სხვა სფეროების მსგავსი (იხ. *ლენდერი შედეგის წინააღმდეგ*, 1987 წლის 26 მარტი, § 51, სერიები A, N116).

34. მიუხედავად ყველაფრისა, ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სამართლებრივი დაცვის ზომებს საჯარო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობაში თვითნებური ჩარევის საწინააღმდეგოდ. როცა საქმე ეხება ფუნდამენტური უფლებების შელახვას, აღმასრულებლისადმი მინიჭებული სამართლებრივი დისკრეციის გამოვლენა შეუზღუდავი უფლებამოსილების სახით, შეუსაბამო იქნება კანონის უზენაესობასთან, რაც დემოკრატიული საზოგადოების კონვენციაში ჩადებული ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია (იხ. *მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1984 წლის 2 აგვისტო, § 68, სერიები A, N82). არსებითი და მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს

ადეკვატური და ქმედითი დაცვის საშუალებები ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მათ შორის, სასამართლოების მხრიდან ეფექტიანი, გულდასმით განხილვის კონკრეტული პროცედურები, რადგან საიდუმლო სადაზვერვო სამსახური, შექმნილი ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მოიცავს რისკს, ძირი გამოუთხაროს ან სულაც გაანადგუროს დემოკრატია მისივე დაცვის საფუძვლით (იხ. *mutatis mutandis*, *როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N28341/95, §§ 55 და 59, ECHR, 2000-V)

35. წინამდებარე საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის უსაფრთხოების შესახებ N194/2002 ბრძანების 83-ე თავში დადგენილია სამართლებრივი დებულებები, რომელთა საფუძველზეც გაიცა ბრძანება განმცხადებლის დეპორტაციისა და გაძევების შესახებ. მამასადაამე, სადავო ღონისძიებას ეროვნულ კანონმდებლობაში აქვს საფუძველი.

36. რაც შეეხება ხელმისაწვდომობას, სასამართლო შენიშნავს, რომ ზემოხსენებული ბრძანება ოფიციალურ გაზეთში 2002 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრძანება აკმაყოფილებს ხელმისაწვდომობის კრიტერიუმს.

37. განჭვრეტადობასთან დაკავშირებით სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ მოთხოვნილი სიზუსტე ეროვნულ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ სფეროზე, რომელსაც ის შეეხება. ეროვნული უსაფრთხოების საფრთხე ცვალებადია ბუნების მიხედვითაც და დროშიც, აქედან გამომდინარე, წინასწარ განსაზღვრა ძნელია (იხ. *ალ-ნაშიფი ბულგარეთის წინააღმდეგ* N50963/99, § 121, 2002 წლის 20 ივნისი).

38. პირს, რომლის მიმართაც მიღებულ იქნა გარკვეული ზომები ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ჩამოერთვას ყველა გარანტია გამოვლენილი თავნებობისაგან თავდასაცავად. მას, სხვა რაღაცებთან ერთად, უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ სადავო საკითხი დაწვრილებით გამოიკვლიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილი იქნება ყველა შესაბამისი საკითხის ფაქტობრივ და სამართლებრივ განხილვაზე, რათა განისაზღვროს მიღებული ზომის კანონიერება და სამართლებრივად შეფასდეს შესაძლო შევიწროება ხელისუფლების ორგანოების მხრიდან. საქმის განმხილველი ორგანოს წინაშე შესაბამისმა პირმა უნდა ისარგებლოს შეჭიბრობითობის პრინციპზე დაფუძნებული სამართალწარმოებით, რათა გამოხატოს თავისი პოზიცია და უარყოს ხელისუფლების ორგანოების არგუმენტები (იხ. *ალ-ნაშიფი*, §§ 123-24).

39. წინამდებარე საქმეში სასამართლო შენიშნავს, რომ პროკურატურის გამოცემული ბრძანებით, განმცხადებლის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა

გამოცხადდა არასასურველად და მას აუკრძალეს რუმინეთში შესვლა 10 წლის განმავლობაში, ამასთან, გაუკეთეს დეპორტაცია რუმინეთის დაზვერვის სამსახურის ინფორმაციის საფუძველზე, რომ არსებობდა „საკმარისი და სერიოზული ცნობები მის ჩართულობაზე ეროვნული უსაფრთხოებისათვის საშიშ საქმიანობებში“.

40. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიმართ არ დაწყებულა არანაირი სამართალწარმოება რაიმე დანაშაულში მონაწილეობის გამო, არც რუმინეთსა და არც სხვა ქვეყანაში. ზემოთ მოყვანილი ზოგადი საფუძვლის გარდა, ხელისუფლების ორგანოებს განმცხადებლისათვის არ მიუწოდებიათ არანაირი სხვა დეტალი. ამასთანავე, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით, განმცხადებელს დეპორტაციამდე არ მიაწოდეს ბრძანება, რომლის თანახმადაც, მისი რუმინეთში ყოფნა არასასურველად გამოცხადდა.

41. სასამართლო სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ბუქარესტის სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა საზოგადოებრივი პროკურატურის ბრძანების მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური განხილვით. ამასთან დაკავშირებით სასამართლო შენიშნავს, რომ საზოგადოებრივმა პროკურატურამ არ მიაწოდა საოლქო სასამართლოს არანაირი დეტალი იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელშიც განმცხადებელი იყო ეჭვმიტანილი. გარდა ამისა, სასამართლო არ გასცდენია პროკურატურის მტკიცებებს, რათა დაედგინა, მართლა უქმნიდა თუ არა განმცხადებელი საფრთხეს ეროვნულ უსაფრთხოებას ან საზოგადოებრივ წესრიგს.

42. იმის გამო, რომ განმცხადებელმა ვერ ისარგებლა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან გამოვლენილი თვითნებობისაგან მინიმალური დაცვითაც კი, არც ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების და არც საოლქო სასამართლოს წინაშე, სასამართლო ასკვნის, რომ ჩარევა მის პირად ცხოვრებაში არ იყო „კანონის შესაბამისი“, კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად (იხ. *mutatis mutandis*, ალ-ნაშიფი, § 128).

43. ამ დასკვნის გათვალისწინებით, სასამართლო არ მიიჩნევს საჭიროდ განაგრძოს განმცხადებლის საჩივრის განხილვა იმის დასადგენად, ჩარევა ემსახურებოდა თუ არა „ლეგიტიმურ მიზანს“ და იყო თუ არა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“.

44. ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება პარლამენტში გამოხატვის თავისუფლების შესახებ.  
ოპოზიციის საპარლამენტო წევრებს დაეკისრათ ჯარიმა საპარლამენტო კენჭისყრის დროს ბილბორდების გამოფენისა და ხმის გამაძლიერებლის გამოყენების გამო: დარღვევა.

**დიდი პალატა**  
**საქმე „კარაქსონი და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ“**  
**CASE OF KARÁCSONY AND OTHERS v. HUNGARY**  
**განცხადებები N42461/13 და 44357/13**  
**გადაწყვეტილება**  
**სტრასბურგი**  
**2016 წლის 17 მაისი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

მოცემული დროისთვის შვიდივე განმცხადებელი უნგრეთის პარლამენტის ოპოზიციური პარტიის წევრი იყო. სპიკერის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე, ისინი დაჯარიმებულ იქნენ 170 ევროდან 600 ევროს ფარგლებში საპარლამენტო საქმის წარმოების უხეში დარღვევისათვის, მას შემდეგ, რაც გამოიტანეს ბილბორდები და გამოიყენეს ხმის გამაძლიერებელი, მთავრობის კორუფციაში ბრალდების მიზნით. ჯარიმა ყოველგვარი დებატების გარეშე დაკისრებულ იქნა პარლამენტის მიერ პლენარულ სხდომაზე.

## **II. კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა**

63. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ საპარლამენტოს სხდომის განმავლობაში მათი ქცევისთვის დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილებებით დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლების უფლება. დებულება შემდეგნაირად იკითხება:

„1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაეჭვმდებაროს ისეთ

წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

### **(ბ) რამდენად იყო ჩარევა კანონით დადგენილი**

122. წინამდებარე საქმეზე მხარეთა მიერ გამოთქმულ იქნა განსხვავებული მოსაზრებები, რამდენად იყო განმცხადებლების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა კანონით დადგენილი. განმცხადებლები დავობდნენ, რომ საპარლამენტო აქტის 49.4 ნაწილში (ხელისუფლების ან საპარლამენტო წესრიგის „შეურაცხმყოფელი ქმედება“) გამოყენებული ტერმინები ბუნდოვანი იყო. გარდა ამისა, წარსულში არ გამოუყენებიათ საპარლამენტო აქტის 49.4 ნაწილი, რადგან ამ დებულების შეცვლილი ვერსია ძალაში მხოლოდ 2013 წლის იანვარში შევიდა. მთავრობამ განაცხადა, რომ ჩარევა ეფუძნებოდა საპარლამენტო აქტის დებულებებს.

123. სასამართლო მიუთითებს, რომ მე-10 მუხლის მეორე აბზაცში მოცემული გამოთქმა „კანონით დადგენილი წესით“ არა მხოლოდ მოითხოვს ადგილობრივი კანონმდებლობის სახით სადავო ზომის სამართლებრივი საფუძვლის არსებობას, არამედ მიუთითებს მოცემული კანონის ხარისხზე, რომელიც უნდა იყოს დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი, ხოლო მისი შედეგი განჭვრეტადი. (იხ. *როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ* N28341/95, § 52, ECHR, 2000-V და *მესტრი იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N39748/98, § 30, ECHR, 2004-I). მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ხელისუფლების, კერძოდ, სასამართლოების პრეროგატივაა ადგილობრივი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია და გამოყენება (იხ. *უაითი და კენელი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N26083/94, § 54, ECHR, 1999-I; *კორბლი უნგრეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N9174/02, §§ 72-73, ECHR, 2008 და *ცენტრო ევროპა 7 ს.რ.ლ. და დი შტეფანო იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N38433/09, § 140, ECHR, 2012).

124. „კანონით დადგენილი წესიდან“ გამომდინარე ერთ-ერთი მოთხოვნაა განჭვრეტადობა. შესაბამისად, ნორმა ვერ ჩაითვლება „კანონად“ კონვენციის 10.2 მუხლით დადგენილი მნიშვნელობით, თუ იგი არ არის საკმარისი სიზუსტით ფორმულირებული, რაც მოქალაქეს საშუალებას მისცემს არეგულიროს მისი ქცევა; მოცემულ გარემოებებში, გონივრულ ფარგლებსა და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო კონსულტაციებით მან უნდა შეძლოს, განჭვრეტოს მოცემული ქმედების მოსალოდნელი შედეგები. არ არის აუცილებელი ხსენებული შედეგები

აბსოლუტური სიზუსტით იყოს განჭვრეტადი. მიუხედავად იმისა, რომ სიზუსტე სასურველია, მას შეიძლება მოჰყვეს გადაჭარბებული მოუქნელობა, ხოლო კანონი არ უნდა ჩამორჩეს ცვალებად გარემოებებს. შესაბამისად, ბევრი კანონი გარდაუვლად ფორმულირდება მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი ტერმინებით, ხოლო მათი ინტერპრეტაცია და გამოყენება პრაქტიკის საკითხია (იხ. *ლინდონი, ოტჩაკოვსი-ლოურენსი და ჯული საფრანგეთის წინააღმდეგ* N21279/02 და [36448/02](#), § 41, ECHR, 2007-IV; *ცენტრო ევროპა 7 ს.რ.ლ. და დი შტეფანო*, § 141 და *დელფი ას ესტონეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N64569/09](#), § 121, ECHR, 2015).

125. ადგილობრივი კანონმდებლობისადმი მოთხოვნილი სიზუსტე ვერ იქნება უზრუნველყოფილი თითოეული შემთხვევისათვის. იგი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მოცემული კანონის შინაარსზე, რომელი სფეროსთვისაა იგი შემუშავებული და იმ პირების რაოდენობასა და სტატუსზე, რომლებზეც იგი ვრცელდება (იხ. *ცენტრო ევროპა 7 ს.რ.ლ. და დი შტეფანო* § 142 და *დელფი ას*, § 122). სასამართლომ დაადგინა, რომ იმ პირების მიმართ, რომლებიც პროფესიულ საქმიანობას ეწევიან და სწვევიათ საქმიანობისას მაღალი ხარისხის სიფრთხილის გამოჩენა, შესაძლებელია არსებობდეს მოლოდინი, რომ მათი მხრიდან განსაკუთრებული სიფრთხილით მოხდება იმ რისკების შეფასება, რომელიც ასეთ საქმიანობას შეიძლება მოჰყვეს (იხ. *ლინდონი, ოტჩაკოვსი-ლოურენსი და ჯული*, § 41).

126. სასამართლო აღნიშნავს, რომ საპარლამენტო აქტის შეცვლილი 49.4 ნაწილი არეგულირებდა დეპუტატების ქცევას პარლამენტში. როგორც ჩანს განმცხადებლებმა მონაწილეობა მიიღეს ცვლილების თაობაზე საპარლამენტო განხილვაში. მათი სპეციფიკური სტატუსიდან გამომდინარე, ჩვეულებრივ დეპუტატებმა უნდა იცოდნენ ის დისციპლინური წესები, რომლებიც მიზნად ისახავს პარლამენტის მონესრიგებულ ფუნქციონირებას. ეს წესები გარდაუვლად შეიცავს ბუნდოვანების ელემენტს („შეურაცხმყოფელი ქმედება“) და საპარლამენტო პრაქტიკაში ინტერპრეტირებას ექვემდებარება. უნგრეთის მსგავსი წესები მრავალ ევროპულ სახელმწიფოში არსებობს და ყველა მათგანი ფარდობითად ბუნდოვანი ტერმინებითაა ფორმულირებული (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 56-ე აბზაცში). სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლებს, პარლამენტარების პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე, გონივრულ ფარგლებში უნდა განეჭვრიტათ მათი ქცევის შესაძლო შედეგები, სადავო დებულების წარსულში გამოყენების არარსებობის შემთხვევაშიც კი (იხ. *კუდრევიჩიუსი და სხვები ლიტვის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N37553/05](#), § 115, 2015 წლის 15 ოქტომბერი და კონვენციის მე-7 მუხლთან დაკავშირებული სათანადო ცვლილებებით, *ჰუჰტამაკი ფინეთის წინააღმდეგ*, [N54468/09](#), § 51 2012 წლის 6 მარტი).

127. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ საპარლამენტო აქტის 49.4 ნაწილი, რომელშიც შევიდა ცვლილება, აკმაყოფილებდა სიზუსტის მოთხოვნილ დონეს და ჩარევა „კანონით იყო დადგენილი“.

### **(გ) რამდენად ემსახურებოდა ჩარევა ლეგიტიმურ მიზანს**

128. მხარეებს გარკვეულწილად განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ ჩარევის მიზანთან დაკავშირებით. განმცხადებლები თანხმდებოდნენ, რომ ჩარევა ემსახურებოდა „პარლამენტის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფის“ მიზანს და შეესაბამებოდა სხვათა უფლებების დაცვის მიზანს. მთავრობა ირწმუნებოდა, რომ ჩარევა ემსახურებოდა ორ ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, სხვათა უფლებების დაცვას და უნესრიგობის აღკვეთას. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, ისინი დავობდნენ, რომ ეს მიზანი მოიცავდა პარლამენტის სხვა წევრთა უფლებებს.

129. სასამართლო დაეთანხმა, რომ ჩარევა ემსახურებოდა ორ ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც კონვენციის 10.2 მუხლით მოიაზრება. პირველ რიგში, იგი მიმართული იყო ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით პარლამენტის მუშაობის შეფერხების აღკვეთისაკენ და შესაბამისად, ემსახურებოდა „უნესრიგობის აღკვეთის“ ლეგიტიმურ მიზანს. მეორე რიგში, იგი მიმართული იყო პარლამენტის სხვა წევრთა უფლებების დაცვისაკენ და ემსახურებოდა „სხვათა უფლებების დაცვის“ მიზანს.

### **(დ) რამდენად აუცილებელი იყო ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში**

130. განმცხადებლები ირწმუნებოდნენ, რომ საკითხში ჩარევა ვერ აკმაყოფილებდა დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობის მოთხოვნას, ხოლო მთავრობა დავობდა, რომ ჩარევა ლეგიტიმური მიზნების თანაზომიერი იყო.

131. წინამდებარე საქმეზე სასამართლოს პირველად მოუწია დეპუტატებზე მათ მიერ პარლამენტში გამოხატვის გამო დაკისრებული შიდა დისციპლინური ზომების კონვენციის მე-10 მუხლთან შესაბამისობის შესწავლა. შესაბამისად, წინამდებარე საქმის შესწავლისას სასამართლო გაითვალისწინებს ზოგადად გამოხატვის თავისუფლების მმართველ პრინციპებს, ისევე როგორც პარლამენტში გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობასთან დაკავშირებულ პრინციპებს.

### **(i) ზოგადი პრინციპები**

#### **(α) გამოხატვის თავისუფლების შესახებ**

132. იმ საკითხთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები, თუ რამდენად „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა, კარგადაა დადგენილი სასამართლოს პრეცედენტული სამართლით,



რომლებიც შემდეგნაირად იქნა შეჯამებული (იხ. *ცხოველთა საერთაშორისო დამცველები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N48876/08, § 100, ECHR, 2013 (ამონარიდები); *დელოვი ას ესტონეთის წინააღმდეგ* § 131):

„(i) გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია და მისი განვითარების, ისევე როგორც თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იგი ვრცელდება არა მხოლოდ „ინფორმაციასა“ თუ „მოსაზრებებზე“, რომლებიც დადებითად ან გულგრილად მიიღება ან არ ითვლება შეურაცხყოფად, არამედ ასევე შეურაცხყოფელ, შოკის მომგვრელ ან ამაღელვებელ „ინფორმაციასა“ თუ „მოსაზრებებზე“. ასეთია პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და აზრთა სხვადასხვაობის მიმღებლობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ ვერ იარსებებს. როგორც ეს მე-10 მუხლშია ფორმულირებული, ხსენებული თავისუფლება გამონაკლისებს ექვემდებარება, რომლებიც... მკაცრად უნდა იყოს განმარტებული, ხოლო ნებისმიერი შეზღუდვის აუცილებლობა - დამატებლად დასაბუთებული...“

(ii) ზედსართავი სახელი „აუცილებელი“ 10.2 მუხლის ჭრილში გულისხმობს „გადაუდებელი სოციალური საჭიროების“ არსებობას. ასეთი საჭიროების შეფასებისას ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული თავისუფლებით, თუმცა ამას თან ახლავს ევროპული ზედამხედველობა, რაც მოიცავს როგორც კანონმდებლობას, ასევე მისი გამოყენების შესახებ ეროვნული დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსაც კი. შესაბამისად, ევროპული სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, რამდენად შეესაბამება „შეზღუდვა“ მე-10 მუხლით უზრუნველყოფილ გამოხატვის თავისუფლებას.

(iii) ზედამხედველის იურისდიქციით სარგებლობისას სასამართლო მიზნად ისახავს არა ეროვნული კომპეტენტური ხელისუფლების ჩანაცვლებას, არამედ მის მიერ თავისუფალი შეფასების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილებების მე-10 მუხლის ჭრილში განხილვას. ეს არ გულისხმობს, რომ ზედამხედველობა შემოიფარგლება იმის განსაზღვრით, რამდენად გონივრულად, ფრთხილად და კეთილსინდისიერად გამოიყენა სახელმწიფომ მისი დისკრეციული უფლება; სასამართლომ საქმის მთლიანობაში განხილვით უნდა შეაფასოს გასაჩივრებული ჩარევა და დაადგინოს, რამდენად იყო იგი „ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი“, ხოლო ეროვნული ხელისუფლების მიერ მოყვანილი გამამართლებელი საფუძვლები - „რელევანტური და საკმარისი“... ამით სასამართლომ უნდა განსაზღვროს, რომ ეროვნული ხელისუფლების მიერ გამოყენებულ იქნა მე-10 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისი სტანდარტები და უფრო მეტიც, ისინი ეყრდნობა სათანადო ფაქტების მისაღებ შეფასებას...“

**(ბ) გამოხატვის თავისუფლების პროცედურული გარანტიების შესახებ**

133. ზემოხსენებულ ფაქტორებთან ერთად, საქმის წარმოების სამართლიანობა და ხელმისაწვდომი პროცესუალური გარანტიები ის ფაქტორებია, რომლებიც გარკვეულ გარემოებებში შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის თანაზომიერების შეფასებისას (იხ. *ასოციაცია ეკინი საფრანგეთის წინააღმდეგ*, N39288/98, § 61, ECHR, 2001 VIII; *სთილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* N68416/01, § 95, ECHR, 2005 II; *კიპრიანოუ კვიპროსის წინააღმდეგ*, N73797/01, §§ 171 და 181, ECHR, 2005 XIII; *საივილი და სეიმანი თურქეთის წინააღმდეგ*, N51041/99, §§ 24-25, 2006 წლის 27 ივნისი; *კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ*, N29492/05, § 83, 2009 წლის 26 თებერვალი; *ლომბარდი ვალაური იტალიის წინააღმდეგ*, N39128/05, § 46, 2009 წლის 20 ოქტომბერი; *სანომა უიტგევერსი ბ.გ. ნიდერლანდების წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N38224/03, § 100, 2010 წლის 14 სექტემბერი; *ჩუმჰურიეთ ვაქფი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, N28255/07, § 59, 2013 წლის 8 ოქტომბერი და *მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N29369/10, § 155, 2015 წლის 23 აპრილი).

134. ასოციაცია „ეკინის“ შემთხვევაში, რომელიც „უცხოური წარმოშობის“ წიგნის დისტრიბუციასა და გაყიდვაზე ადმინისტრაციული აკრძალვის დაწესებას ეხებოდა, სასამართლომ დაადგინა, რომ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით, სხვასთან ერთად, სამართლებრივი ჩარჩო უნდა უზრუნველყოფდეს მსგავსი აკრძალვების ეფექტურ სამართლებრივ გადასინჯვას (§ 58). სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულმა სასამართლომ ასეთი აკრძალვის მიზნები შეზღუდულად განახორციელა. განმცხადებლის ასოციაციის საქმეზე სახელმწიფო საბჭომ სრულად განახორციელა გადასინჯვა, თუმცა წარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის გამო მისი პრაქტიკული ეფექტურობა იქნა შეზღუდული. სასამართლომ მიიჩნია, რომ მსგავსი არასრულფასოვანი სამართლებრივი გადასინჯვა ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ არასაკმარის გარანტიებს იძლეოდა (§ 61).

135. *ლომბარდი ვალაურის* შემთხვევაში, სადაც განმცხადებლის სავარაუდოდ არაორთოდოქსული შეხედულებების გამო მისი კანდიდატურა მასწავლებლის პოზიციაზე უარყოფილ იქნა დენომინაციური უნივერსიტეტის მიერ, სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელი არ იქნა უზრუნველყოფილი სათანადო პროცესუალური გარანტიებით საქმის წარმოებისას ფაქულტეტის საბჭოს წინაშე (§§ 46-48). სასამართლოს წესით გადასინჯვის პროცესში, სადავო გადაწყვეტილების შესწავლისას ადმინისტრაციული სასამართლო შემოიფარგლა იმ ფაქტით, რომ ფაქულტეტის საბჭომ მიუთითა კონგრეგაციის მიერ განმცხადებლის კანდიდატურის უარყოფის არსებობაზე. ის ფაქტი, რომ განმცხადებელს არ განემართა უარის თქმის ზუსტი მიზეზები, გამორიცხავდა შეჭიბრებითობის პრინციპზე დებატების ნებისმიერ შესაძლებლობას. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ სასამართლოს წესით საქმის გადასინჯვა არ იყო ადეკვატური (§§ 51 - 54).

136. საქმეზე *ჩუმპურიეთ ვაკუი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, რომელიც შეეხებოდა სამოქალაქო სამართალწარმოებისას სასამართლოს მიერ პიროვნების უფლებების დასაცავად ეროვნული გაზეთის წინააღმდეგ გამოცემულ აკრძალვას, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლები არ იქნენ უზრუნველყოფილნი დაცვის საკმარისი მექანიზმებით ( § 75). სასამართლომ გაითვალისწინა (i) განსაკუთრებით ფართო მასშტაბის აკრძალვა, (ii) მისი გადაჭარბებული ხანგრძლივობა, (iii) ადგილობრივი სასამართლოს მიერ დროებითი აკრძალვის რაიმე დასაბუთების არარსებობა და (iv) ზომის ძალაში შესვლამდე განმცხადებლების მხრიდან მისი გასაჩივრების შესაძლებლობის არარსებობა (§§ 62-74).

### (γ) პარლამენტის წევრთა გამოხატვის თავისუფლების შესახებ

137. პრეცედენტულ სამართალში სასამართლო მუდმივად ხაზგასმით აღნიშნავდა პარლამენტის წევრთა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას, განსაკუთრებით პოლიტიკური გამოსვლების შემთხვევაში. საქმეზე *კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ* (1992 წლის 23 აპრილი, სერია A, N236), რომელიც პრესაში გამოქვეყნებულ სტატიაში სენატორის მიერ მთავრობის შეურაცხყოფისთვის მსჯავრდებას შეეხებოდა, სასამართლოს გადაწყვეტილებით „გარდა იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლება ყველასთვის მნიშვნელოვანია, მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხალხის არჩეული წარმომადგენლების შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს მის ამომრჩეველს, ყურადღებას ამახვილებს მათ საზრუნავზე და იცავს მათ ინტერესებს. შესაბამისად, პარლამენტის ოპოზიციის წევრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევები... სასამართლოს მხრიდან ზედმინევით შესწავლას მოითხოვს“ (§ 42 და *პიერმონი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1995 წლის 27 აპრილი, §76 დასკვნა, სერია A, N314). ხსენებული პრინციპები დადასტურებულ იქნა მთელ რიგ საქმეებზე ეროვნული ან რეგიონალური პარლამენტების წევრთა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით (*იხ. იერუსალიმი ავსტრიის წინააღმდეგ* N26958/95, § 36, ECHR, 2001-II; *ფერეტი ბელგიის წინააღმდეგ*, N15615/07, § 65, 2009 წლის 16 ივლისი და *ოტევი მონდრაგონი ესპანეთის წინააღმდეგ* N2034/07, § 50, ECHR, 2011), ასევე საქმეებზე სასამართლოზე წვდომის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიშვა საპარლამენტო იმუნიტეტის საფუძველზე (*იხ. ა. ვ. ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N35373/97, § 79, ECHR, 2002-X; *კორდოვა იტალიის წინააღმდეგ* (N1), N40877/98, § 59, ECHR, 2003-I; *კორდოვა იტალიის წინააღმდეგ* (N2), N45649/99, § 60, ECHR, 2003-I (ამონარიდები); *ზოლმანი ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, N62902/00, ECHR, 2003-XII; *დე ჯორჯიო იტალიის წინააღმდეგ* N73936/01, § 52, 2004 წლის 3 ივნისი; *პატრონო, კასინი და სტეფანელი იტალიის წინააღმდეგ*, N10180/04, § 61, 2006 წლის 20 აპრილი და *სი.ჯი.აი.ელ. და კოფერატი იტალიის წინააღმდეგ*, N46967/07, § 71, 2009 წლის 24 თებერვალი).

## (დ) პარლამენტში გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით

138. ეჭვგარეშეა, რომ პარლამენტში სიტყვით გამოსვლა დაცვის მაღალი დონით სარგებლობს. პარლამენტი დემოკრატიულ საზოგადოებაში დებატების უნიკალური ფორუმაა, რასაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. სხვა მექანიზმებთან ერთად, სიტყვით გამოსვლის დაცვის მომატებული დონე დემონსტრირებულია საპარლამენტო იმუნიტეტის წესით. სასამართლომ აღიარა, რომ სახელმწიფოების მიერ პარლამენტარებისთვის სხვადასხვა ხარისხის იმუნიტეტის მინიჭების ხანგრძლივი პრაქტიკა პარლამენტში სიტყვის თავისუფლების დაცვის და საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურება. საპარლამენტო იმუნიტეტის სხვადასხვა ფორმები შეიძლება ემსახუროდნენ ეფექტური პოლიტიკური დემოკრატიის დაცვას, რაც კონვენციის სისტემის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს, კერძოდ, როდესაც ხდება საკანონმდებლო ორგანოსა და საპარლამენტო ოპოზიციის ავტონომიის დაცვა (იხ. *კარტი*, § 81 და *სინგელიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ*, N24895/07, § 42, 2010 წლის 11 თებერვალი). ორივე ტიპის საპარლამენტო იმუნიტეტით უზრუნველყოფილი გარანტია (პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება და ხელშეუხებლობა) ემსახურება პარლამენტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას მისი ამოცანის შესრულებისას. ნებისმიერი პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართალწარმოების შესაძლებლობის აღკვეთით ხელშეუხებლობა ხელს უწყობს პარლამენტის სრული დამოუკიდებლობის მიღწევას და შესაბამისად, იცავს ოპოზიციას უმრავლესობის მხრიდან ზეწოლის ან დარღვევებისგან (იხ. *კარტი*, § 90). პარლამენტში სიტყვის თავისუფლებისათვის მინიჭებული დაცვა ემსახურება ზოგადად პარლამენტის ინტერესების დაცვას და არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც პარლამენტის ცალკეული წევრებისათვის ხელმისაწვდომ დაცვად (იხ. *ა. ვ. გაერთიანებული სამეფო*, § 85).

139. საპარლამენტო დებატების თავისუფლება დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, იგი არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. შესაძლებელია ხელშემკვრელმა სახელმწიფომ დაუქვემდებაროს გარკვეულ „შეზღუდვებს“ ან „ჯარიმებს“. მიუხედავად ამისა, ასეთი ზომების მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასთან შესაბამისობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოს პრეროგატივაა (იხ. *კასტელსი*, § 46 და *ინქალი თურქეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 9 ივნისი, § 53, მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ 1998-IV). პარლამენტში გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა ხორციელდება 10.2 მუხლში მოცემული „მოვალეობებისა და ვალდებულებების“ მიხედვით, პარლამენტის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით. ამ დებულების თანახმად, პარლამენტი უფლებამოსილია რეაგირება მოახდინოს, როდესაც მისი წევრები არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, რომელიც აფერხებს საკანონმდებლო ორგანოს



ნორმალურ ფუნქციონირებას. ისევე როგორც საპარლამენტო იმუნიტეტის ზოგადად აღიარებული წესი უზრუნველყოფს პარლამენტში სიტყვის თავისუფლების მომატებულ, თუმცა არა შეუზღუდავ დაცვას, საპარლამენტო საქმიანობის წესრიგის დაცვით განხორციელების უზრუნველყოფის საჭიროებით მოტივირებული გარკვეული შეზღუდვები პარლამენტში სიტყვით გამოსვლაზე უნდა ჩაითვალოს გამართლებულად. რელევანტურია აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ვენეციის კომისიის დაკვირვებით, ქვეყნების უმრავლესობაში ეროვნული პარლამენტის წევრები შეიძლება დაექვემდებარონ პარლამენტის მიერ დანესებულ შიდა დისციპლინურ სანქციებს.

140. ამ კონტექსტში, სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს გაკეთდეს განსხვავება, ერთი მხრივ, საპარლამენტო გამოსვლის შინაარსსა და მეორე მხრივ, ასეთი გამოსვლის დროს, ადგილსა და მანერას შორის. ამ განსხვავებაზე მის გადანყვეტილებაში მიუთითა უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ. სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოებმა ან თავად პარლამენტებმა დამოუკიდებლად უნდა არეგულირონ პარლამენტში გამოსვლის დრო, ადგილი და მანერა, შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან საკითხის შესწავლა შეზღუდული უნდა იყოს. ამის საწინააღმდეგოდ, სახელმწიფოები ძალზედ შეზღუდული თავისუფლებით სარგებლობენ საპარლამენტო გამოსვლის შინაარსის რეგულირებისას. თუმცა გარკვეული რეგულაცია შეიძლება აუცილებლად ჩაითვალოს, რათა მოხდეს გამოხატვის ისეთი ფორმების აღკვეთა, როგორცაა ძალადობისკენ პირდაპირი ან ირიბი მოწოდება. გამოხატვის თავისუფლების დაცვის შენარჩუნების კონტექსტში სასამართლოს მიერ ზედამხედველობა უფრო მკაცრი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, საპარლამენტო იმუნიტეტის ზოგადად აღიარებული წესის საშუალებით სახელმწიფოები უზრუნველყოფენ პარლამენტში სიტყვის თავისუფლების დაცვის მომატებულ დონეს, რის შედეგადაც მოსალოდნელია სასამართლოს ჩარევის საჭიროება.

141. სასამართლო კვლავ ადასტურებს, რომ დემოკრატია „ევროპული საზოგადოებრივი წესრიგის“ ფუნდამენტური ელემენტია. 1-ლი ოქმის მე-3 მუხლით დაცული უფლებები არსებითი მნიშვნელობისაა ეფექტური და წარმომადგენლობითი დემოკრატიის დამკვიდრებისა და შენარჩუნებისათვის, რომელიც კანონის უზენაესობით იმართება (იხ. *ჟდანოკა ლატვიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N58278/00](#), §§ 98 და 103, ECHR, 2006-IV). შესაბამისად, კონვენცია ადგენს ახლო კავშირს ეფექტურ პოლიტიკურ დემოკრატიასა და პარლამენტის ეფექტურ ფუნქციონირებას შორის. ამრიგად ეჭვგარეშეა, რომ პარლამენტის ეფექტური ფუნქციონირება საკვანძო მნიშვნელობის ღირებულებაა დემოკრატიული საზოგადოებისთვის. შესაბამისად, პარლამენტში სიტყვის თავისუფლებით სარგებლობა შეიძლება გარკვეულ შემთხვევებში დათმობილ იქნეს საპარლამენტო საქმიანობის სათანადო განხორციელების ლეგიტიმური ინტერესებისა და პარლამენტის სხვა წევრების უფლებების დაცვის მიზნით. საბოლოო ჯამში,

მშვიდობიანი დებატები პოლიტიკურ და საკანონმდებლო პროცესს უზრუნველყოფს პარლამენტში. პროცესში დეპუტატების თანაბარ პირობებში მონაწილეობის დაცვით, იგი ასევე ემსახურება საკანონმდებლო ორგანოს ყველა წევრის და ზოგადად, ფართო საზოგადოების ინტერესებს. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ამ კონტექსტში მიიჩნია, რომ მთავარი ამოცანა ინდივიდუალურ დეპუტატთა უფლებებსა და საპარლამენტო საქმიანობის ეფექტურობის გარანტიას შორის სწორი ბალანსის პოვნა იყო. სასამართლო ეთანხმება ამგვარ მიდგომას და ამბობს, რომ საპარლამენტო უმცირესობის უფლებებიც განტოლების ნაწილი უნდა იყოს. უფრო ზოგად კონტექსტში, სასამართლო იმეორებს, რომ პლურალიზმი და დემოკრატია უნდა ეფუძნებოდეს დიალოგსა და კომპრომისს (იხ. *თურქეთის გაერთიანებული კომუნისტური პარტია და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 30 იანვარი, § 45, ანგარიშები 1998-I; *ლეილა საჰინი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N44774/98](#), § 108, ECHR, 2005-XI და *ტენასე მოლდოვეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N7/08](#), § 178, ECHR, 2010).

#### (ე) პარლამენტის ავტონომია

142. სასამართლო აღნიშნავს, რომ პარლამენტის შიდა ფუნქციონირებასთან დაკავშირებული წესები პარლამენტის ავტონომიის კარგად დამკვიდრებულ საკონსტიტუციო პრინციპის ილუსტრაციას წარმოადგენს. მოპასუხე სახელმწიფოში პარლამენტის ავტონომია დაცულია ფუნდამენტური კანონის 5.7 მუხლით, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ადგენს, რომ პარლამენტის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, სპიკერი სარგებლობს მაკონტროლებელი და დისციპლინური უფლებამოსილებებით. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ამ ფართოდ აღიარებული პრინციპის თანახმად, სხვა უფლებამოსილებების გამორიცხვითა და კონსტიტუციური ჩარჩოს საზღვრებში, პარლამენტი უფლებამოსილია არეგულიროს მისი შიდა საქმეები, როგორცაა სხვებთან ერთად, მისი შიდა ორგანიზაცია, მისი ორგანოების შემადგენლობა და დებატების დროს სათანადო წესრიგის შენარჩუნება. პარლამენტის ავტონომია უთუოდ ვრცელდება პარლამენტის უფლებამოსილებაზე, ადასრულოს საპარლამენტო საქმიანობის წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისაკენ მიმართული წესები. ზოგჯერ ამას უწოდებენ „პარლამენტის იურისდიქციულ ავტონომიას“. ვენეციის კომისიის თანახმად, პარლამენტების უმრავლესობას გააჩნია შიდა პროცედურული წესები, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინურ სანქციებს წევრების მიმართ.

143. პრინციპში, ეროვნული პარლამენტების შიდა ფუნქციონირებასთან დაკავშირებული წესები, როგორც საპარლამენტო ავტონომიის ასპექტი ხელშემკვრელი სახელმწიფოების თავისუფალი შეფასების სფეროში ექვევა. საერთაშორისო მოსამართლესთან შედარებით ეროვნული ხელისუფლება, პირველ რიგში - პარლამენტი (ან ხალხის არჩეული წარმომადგენლებისგან

შემდგარი მსგავსი ორგანოები) უკეთეს მდგომარეობაშია, რათა შეათვასოს მისი წევრის ქცევის შეზღუდვის საჭიროება, რომელიც აფერხებს საპარლამენტო დებატების ორგანიზებულად ჩატარებას და შესაძლოა, საზიანო იყოს პარლამენტის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფის ფუნდამენტური ინტერესისთვის (იხ. *კარტი*, §99; *კუდრევიჩიუსი და სხვები*, §§ 97 და 156)

144. რაც შეეხება მოპასუხე სახელმწიფოსთვის დაშვებულ თავისუფალი შეფასების ფარგლებს, დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. იგი განისაზღვრება გამოხატვის ტიპის მიხედვით. ამ მხრივ სასამართლო იმეორებს, რომ საჯარო ინტერესის საკითხებთან დაკავშირებით პოლიტიკურ გამოსვლებსა ან დებატებზე შეზღუდვების დანესებასთან დაკავშირებით კონვენციის 10.2 მუხლი მცირე შესაძლებლობებს იძლევა (იხ. *სურეკი თურქეთის წინააღმდეგ* (N1) [დიდი პალატა], N26682/95, §61, ECHR, 1999-IV; *სტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N69698/01, §106, ECHR, 2007-V და *პერინჩეკი შვეიცარიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N27510/08, §197, 2015 წლის 15 ოქტომბერი). ეჭვგარეშეა, რომ დემოკრატიული საზოგადოებისთვის არსებითია თავისუფალი დებატების დაცვა პარლამენტში. სასამართლომ ზემოთ აღნიშნა, რომ ერთი მხრივ, პარლამენტში სიტყვის თავისუფლების დაცვის ხელმისაწვდომობა ემსახურება მთლიანად პარლამენტის ინტერესებს, მეორე მხრივ, სიტყვის თავისუფლება არ უნდა იქნეს გამოყენებული იმგვარად, რომ შეაფერხოს პარლამენტის ეფექტური ფუნქციონირება.

145. სასამართლო ამ მხრივ აღნიშნავს ხელშემკვრელი სახელმწიფოების უმრავლესობის პოზიციას, რომელიც აწესებს სანქციებს ისეთ გამოსვლასა თუ ქცევაზე, რაც აფერხებს საპარლამენტო საქმის წარმოების ორგანიზებულად ჩატარებას. სასამართლოსთვის ხელმისაწვდომი შედარებითი სამართლის მასალებიდან ირკვევა, რომ ყველას თუ არა, წევრი სახელმწიფოების უმეტესობას დანერგული აქვთ გარკვეული დისციპლინური სისტემა პარლამენტის იმ წევრთა მიმართ, რომლებიც არღვევენ პარლამენტის წესებს შეუსაბამო გამოსვლებითა თუ ქცევით. მსგავსი წესები არსებობს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეასა და ევროპულ პარლამენტში (იხ. 42-44-ე და 50-52-ე პუნქტები). შედარებითი სამართლის კვლევიდან ჩანს, რომ პარლამენტები ფართო სპექტრის დისციპლინურ ზომებს იღებენ ორგანიზებული საპარლამენტო წარმოების უზრუნველყოფის მიზნით. სხვა ზომებთან ერთად, მოცემულია წესრიგისკენ მოწოდება ან გაფრთხილება, ასევე უფრო მკაცრი ზომები, როგორცაა გამოსვლის უფლების შეზღუდვა, სხდომის დატოვება და ფინანსური სანქციები. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად განსხვავებებისა დისციპლინური ზომების ხასიათსა და მასშტაბებში, წევრი სახელმწიფოები ზოგადად აღიარებენ ისეთი რეგულაციების საჭიროებას, რომლითაც მოხდება პარლამენტში ლანძღვასა თუ შეურაცხმყოფელ ქცევაზე სანქციების დანესება.

146. ამის მხედველობაში მიღებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს ჭარბი საზოგადოებრივი ინტერესი პარლამენტში თავისუფალი დებატების მოთხოვნების პატივისცემასთან ერთად, უზრუნველყოფილ იქნეს, მისი ეფექტური ფუნქციონირება და მისი შესრულება დემოკრატიულ საზოგადოებაში. შესაბამისად, როდესაც სათანადო დისციპლინური წესების ძირითადი მიზანია ექსკლუზიურად პარლამენტის ეფექტურობის და ამით დემოკრატიული პროცესის უზრუნველყოფა, ამ სფეროში დაშვებული თავისუფალი შეფასების არე ფართო უნდა იყოს. სასამართლომ უკვე აღიარა, რომ წევრი სახელმწიფოები საპარლამენტო იმუნიტეტის რეგულირების კონტექსტში თავისუფალი შეფასების ფართო არეალით სარგებლობენ, რაც საპარლამენტო სამართლის სფეროს მიეკუთვნება (იხ. კარტი, § 82).

147. მოცემულ ეტაპზე, სასამართლოს სურს, ხაზი გაუსვას, რომ კონვენციის 10.2 მუხლის თანახმად, გარდაუვალი ტესტის თვალსაზრისით, პარლამენტში შეურაცხმყოფელ გამოსვლასა თუ ქცევაზე სანქციების დანესების ეროვნული დისკრეცია, რომელიც საპარლამენტო ავტონომიის ცნების განუყოფელი ნაწილია, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა, არ არის შეუზღუდავი. ეს უკანასკნელი უნდა შეესაბამებოდეს „ეფექტური პოლიტიკური დემოკრატიის“ კონცეფციას, რომელზეც მიუთითებს კონვენციის პრეამბულა. სასამართლო იმეორებს, რომ პლურალიზმი, შემწყნარებლობა და აზრთა სხვადასხვაობის მიმღებლობა „დემოკრატიული საზოგადოების“ განმასხვავებელი ნიშნებია. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ შემთხვევებში ინდივიდის ინტერესები უნდა დაექვემდებაროს ჯგუფისას, დემოკრატია არ ნიშნავს, რომ უმრავლესობის შეხედულებები ყოველთვის უპირატესი უნდა იყოს: მიღწეულ უნდა იქნეს ბალანსი, რომელიც უზრუნველყოფს უმცირესობათა წარმომადგენელი ადამიანების სამართლიან და სათანადო მოპყრობას და აგვაცილებს დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენებას (იხ. *იანგი, ჯეიმსი და ვებსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1981 წლის 13 აგვისტო, § 63, სერია A, N44; *გორშელიკი და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N44158/98](#), § 90, ECHR, 2004-I და *ლეილა საჰინი*, §108). შესაბამისად, საპარლამენტო ავტონომია ბოროტად არ უნდა იქნეს გამოყენებული დეჰუტატთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური დებატების საფუძველია. საპარლამენტო ავტონომიის კონკრეტული სისტემის მიღებით ხელშემკვრელი სახელმწიფოების პარლამენტში სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით კონვენციით ნაკისრი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება კონვენციის მიზანსა და ამოცანასთან შეუსაბამობაში იქნებოდა (იხ. *კორდოვა იტალიის წინააღმდეგ* (N1), § 58). პარლამენტის შიდა მუშაობასთან დაკავშირებული წესები არ უნდა წარმოადგენდეს უმრავლესობის მიერ მისი დომინანტი მდგომარეობის ოპოზიციის საწინააღმდეგოდ გამოყენების საფუძველს. სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საპარლამენტო უმცირესობის დაცვას უმრავლესობის ზენოლისგან. შესაბამისად, იგი განსაკუთრებული სიფრთხილით შეისწავლის ნებისმიერ ზომას, რომელიც



შესაძლოა მხოლოდ ან უპირატესად ოპოზიციის საზიანოდ მოქმედებდეს (საარჩევნო უფლებებზე შეზღუდვების N1 ოქმის მე-3 მუხლთან შესაბამისობა, იხ. ტენასე, § 179). სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარლამენტის ყველა წევრს ერთნაირად უნდა მოექცნენ.

## (ii) ხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

148. როგორც ზემოთ იქნა ნახსენები ზედსართავი სახელი „აუცილებელი“ 10.2, მუხლის ჭრილში გულისხმობს გადაუდებელი სოციალური საჭიროების არსებობას. ხელშემკვრელი სახელმწიფოები ასეთი საჭიროების არსებობის შეფასებისას სარგებლობენ შეფასების თავისუფლებით. მოცემულ საქმეზე სასამართლომ შეფასების თავისუფლების ფართო არე დაადგინა (იხ. 146-ე პუნქტი). სასამართლო უპრობლემოდ აღიარებს, რომ მოცემულ საქმეზე აუცილებელი იყო პარლამენტში განმცხადებელთა ქცევაზე რეაგირება, რაც პარლამენტის მიერ მისი ავტონომიით სარგებლობის საკითხი იყო. ამასთან, სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რამდენად იყო მოცემული ჩარევა ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი, ხოლო ეროვნული ხელისუფლების მიერ მოყვანილი მისი გამამართლებელი მიზეზები რელევანტური და საკმარისი. მოცემული მოთხოვნები ქვემოთ იქნება შესწავლილი სასამართლოს მიერ.

149. მოცემულ საქმეზე განმცხადებლებმა, დებატებისა და ხმის მიცემის პროცესში პარლამენტის დარბაზში შემოიტანეს დიდი პლაკატი და ბანერები (იხ. 12-13-ე, 15-16-ე და 20-2-ე პუნქტები). ამასთან ერთ-ერთი განმცხადებელი, ქ-ნი ლენგიელი სასაუბროდ კენჭისყრის განმავლობაში ხმის გამაძლიერებელს იყენებდა. როგორც ჩანს განმცხადებლებს გაფრთხილება მისცა სპიკერმა (იხ. მე-13, მე-16 და 21-ე პუნქტები). სასამართლო მიიჩნევს, რომ პლაკატის ან ბანერის გამოტანა არ არის დეჰუტატის მიერ პარლამენტში განხილულ საკითხზე მოსაზრებების ტრადიციული გამოხატვის მეთოდი. ქცევის ამგვარი ფორმის შერჩევით, განმცხადებლებმა დაარღვიეს წესრიგი პარლამენტში. მათ თავისუფლად შეეძლოთ იგივე შეტყობინება საპარლამენტო სიტყვით გამოსვლისას გადმოეცათ, ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით და მსგავსი ქცევის შემთხვევაში მათი ქმედებების სრულიად განსხვავებულ შედეგებს მიიღებდა. ხმის გამაძლიერებლის გამოყენება პარლამენტში ასევე აშკარად არღვევს წესრიგს.

150. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელთა დაჯარიმების შესახებ, პარლამენტის მიერ დამტკიცებულ სამ წინადადებაში, სპიკერმა მიუთითა განმცხადებელთა საპარლამენტო წესრიგის უხეშ დარღვევაზე, როგორც ეს აღნიშნული იყო ოქმში (იხ. მე-14, მე-17 და 22-23-ე პუნქტები). განმცხადებლების, ქ-ნი სზილი, ქ-ნი ლენგიელი და ქ-ნი ოსტოლიკანი საქმეზე სპიკერმა აღნიშნა, რომ მათი ქცევა საპარლამენტო წესრიგს უხეშად არღვევდა, ბანერის გამოტანისა და ხმის გამაძლიერებლის გამოყენების გამო. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან

გამომდინარე, სასამართლო კმაყოფილია, რომ განმცხადებლებს სანქციები არა საპარლამენტო დებატებზე გამოთქმული მოსაზრებების გამო დაეკისრათ, არამედ გამოხატვის დროის, ადგილისა და ფორმის გამო. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ საქმის საპარლამენტო წარმოებისას არ მომხდარა განმცხადებლების გამოხატვის რეალური შინაარსის შესწავლა.

151. ამასთან, წინამდებარე საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლებზე დაკისრებული სადავო დისციპლინური სანქციების ლეგიტიმური მიზანი წესრიგის დარღვევის აღკვეთასა და პარლამენტის სხვა წევრთა უფლებების დაცვას ემსახურებოდა. –თუმცა სახელმწიფოს მხრიდან შეფასების თავისუფლების ფართო არეალის გათვალისწინებით, იგი ვერ ხედავს საბაბს გადანწყვიტოს რამდენად იყო მოყვანილი მიზეზები საკმარისი სადავო ჩარევის „აუცილებლობის“ დასასაბუთებლად. სასამართლოს უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია მის მიმოხილვაში ყურადღება გაამახვილოს, რამდენად ახლდა განმცხადებლების გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვას ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ეფექტური და სათანადო დაცვის მექანიზმები. მართლაც, როგორც ზემოთ აღინიშნა (133-ე პუნქტი), სამართალწარმოების სამართლიანობა და ხელმისაწვდომი პროცედურული გარანტიები ის ფაქტორებია, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის თანაბომიერების შეფასებისას. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა (იხ. 140-ე პუნქტი), რომ მის მიერ პარლამენტში გამოსვლების დროის, ადგილისა და წესის რეგულირების შესწავლა შეზღუდული უნდა იყოს.

152. უნდა აღინიშნოს, რომ დეპუტატის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე სანქციის დაწესების უფლებამოსილების გამოყენებისას დაცული უნდა იქნეს მე-10 მუხლით გათვალისწინებული თანაბომიერების პრინციპი, მათ შორის, მისი პროცედურული ასპექტი. თანაბომიერების პრინციპთან შესაბამისობა ასევე მოითხოვს, რომ დაწესებული სანქცია შეესაბამებოდეს დისციპლინური დარღვევის სიმძიმეს. ამავდროულად სასამართლომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს პარლამენტის ავტონომიას, რომელსაც თანაბომიერების გამოცდისას ინტერესთა დაბალანსებაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს. ზემოხსენებულისა და ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის ამ კონტექსტში მინიჭებული შეფასების თავისუფლების გათვალისწინებით (იხ. 146-ე პუნქტი) შეგვიძლია განვასხვავოთ ორი სიტუაცია.

153. თეორიულად, პირველი სიტუაცია დადგებოდა, პარლამენტის მიერ თვითნებურად, უფლებამოსილების აშკარა გადამეტების შემთხვევაში ან არაკეთილსინდისიერად ისეთი სანქციის დაწესებით, რომელიც არ არის წესებით დადგენილი ან რომელიც სავარაუდო დისციპლინური დარღვევის მკვეთრად შეუსაბამოა. ამგვარ კონტექსტში, პარლამენტს არ შეუძლია მის მიერ დაკისრებული

სანქციების დასაბუთებაში მის ავტონომიას დაეყრდნოს, რაც შესაბამისად დაექვემდებარებოდა სასამართლოს მიერ სრულ შესწავლას.

154. მეორე, მოცემული საქმის რელევანტური სიტუაციის შემთხვევა დადგებოდა, თუ დეპუტატი რომელსაც დააკისრეს სანქცია, არ ფლობს საპარლამენტო პროცედურით გათვალისწინებულ ძირითად პროცესუალურ გარანტიებს, რათა გაასაჩივროს მასზე დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (იხ. *ჭური გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება), N14832/11, 2014 წლის 13 ნოემბერი). ეს მე-10 მუხლით დადგენილი პროცედურული მოთხოვნების ჭრილში წამოჭრიდა საკითხს (იხ. 133-ე პუნქტი).

155. ამ მხრივ, მთავრობამ განასხვავა ისეთი მყისიერი სანქციები, როგორცაა, ერთი მხრივ, სიტყვით გამოსვლის უფლების უარყოფა ან სხდომის დატოვება, რაც დაუყოვნებლივ ხელს შეუშლის დეპუტატს გამოხატოს აზრი და მეორე მხრივ, სანქციები, როგორცაა წინამდებარე საქმეში არსებული ჯარიმა, რომელიც უკუძალით მოქმედია. ეს განსხვავება ევროპული პარლამენტის პროცედურულ წესებში ასახულია. სასამართლო მიიჩნევს, რომ ორი განსხვავებული ტიპის სანქციის შემთხვევაში ხელმისაწვდომი პროცესუალური გარანტიები შეიძლება განსხვავდებოდეს. მყისიერი სანქციების (რომლებიც წინამდებარე საქმეს არ ეხება) დაკისრება ხდება საპარლამენტო წესრიგის უხეში დარღვევის შემთხვევაში და მის პროცესუალურ გარანტიას გაფრთხილება წარმოადგენს. ასევე შეიძლება განხილულ იქნეს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში გაფრთხილება არ იქნება მოთხოვნილი. ამ კონტექსტში დასაბუთება იქნებოდა, რომ დეპუტატის აშკარად შეურაცხმყოფელი სიტყვით გამოსვლა ან ქცევა არღვევს მისი გამოხატვის თავისუფლების უფლებას ან შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ამ უფლების ბოროტად გამოყენება.

156. წინამდებარე საქმეში მოცემულია მხოლოდ უკუძალის მქონე დისციპლინური სანქციები. სასამართლო იმეორებს, რომ კანონის უზენაესობა, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, კონვენციის ყველა მუხლის დამახასიათებელია (იხ. *გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1975 წლის 21 თებერვალი, §34, სერია A, N18; *ამური საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1996 წლის 25 ივნისი, §50, განაჩინებისა და გადაწყვეტილებების ანგარიში 1996-III; *იატრიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N31107/96, § 58, ECHR, 1999-II). კანონის უზენაესობა ადგენს, რომ საჯარო უწყებების მიერ კონვენციით დაცულ უფლებებში თვითნებური ჩარევების წინააღმდეგ ადგილობრივ კანონმდებლობაში მოცემული უნდა იყოს სამართლებრივი დაცვის მექანიზმები (იხ. *კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ*, 1978 წლის 6 სექტემბერი, §55, სერია A, N28 და *მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1984 წლის 2 აგვისტო, სერია A, N82). სასამართლო მიიჩნევს, რომ უკუძალის მქონე დისციპლინური სანქციების ხელმისაწვდომი პროცესუალური გარანტიები უნდა მოიცავდეს სულ

მცირე, სანქციის დაკისრებამდე პარლამენტის წევრის მოსმენას საპარლამენტო პროცედურის საშუალებით. იგი აღნიშნავს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში სიტყვით გამოსვლის უფლება უმეტესწილად ძირითადი პროცედურული წესის სახითაა მოცემული, როგორც სასამართლო წარმოებისას, ასევე მის გარეთ, როგორც ეს წარმოდგენილია სხვებთან ერთად ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 41.2 (ა) მუხლით.

157. სიტყვის გამოსვლის უფლების განხორციელების ფორმა და საშუალება მორგებულ უნდა იქნეს საპარლამენტო კონტექსტისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებელია ბალანსის დაცვა, როგორც უკვე აღნიშნულ იქნა 147-ე პუნქტში, რაც უზრუნველყოფს საპარლამენტო უმცირესობის სამართლიან და სათანადო მოპყრობას და აღკვეთს უმრავლესობის მიერ დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენებას. მისი ფუნქციების შესრულებისას, სპიკერის მოქმედებები თავისუფალი უნდა იყოს წინასწარი განწყობებისა და პოლიტიკური მიკერძოებისგან. ამასთან, საპარლამენტო ავტონომიის და უფლებამოსილებათა განცალკევების ზოგადად აღიარებული პრინციპების ჭრილში, დეპუტატი რომელსაც დაეკისრა დისციპლინური სანქცია, ვერ იქნება უფლებამოსილი ისარგებლოს სანქციის პარლამენტის გარეთ გასაჩივრების სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით. მიუხედავად ამისა, პროცესუალური გარანტიების მხარდამჭერი არგუმენტი ამ კონტექსტში არანაკლებ დამაჯერებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ განხილულ ქცევასა და სანქციის რეალურად დაკისრებას შორის მოცემული დროის პერიოდს.

158. სასამართლოს მიაჩნია, რომ ნებისმიერი უკუძალის მქონე გადაწყვეტილებაში დისციპლინური სანქციის დაკისრებამ უნდა განსაზღვროს ძირითადი საფუძვლები. ამით იგი საშუალებას აძლევს პარლამენტის წევრს გაიაზროს ღონისძიების დასაბუთება და ასევე უზრუნველყოფს გარკვეული ფორმის საზოგადოებრივ კონტროლს.

159. იმ დროისათვის მოქმედი შიდა კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა დეპუტატების შესაბამის პროცედურაში ჩართვის, განსაკუთრებით კი, მათ აზრის მოსმენის რაიმე შესაძლებლობას. პროცედურა განმცხადებლების საქმეში გულისხმობდა სპიკერის წერილობით მიმართვას ჯარიმის დაკისრების შესახებ და მის შემდგომ მიღებას პლენარულ სხდომაზე დებატების გარეშე. შესაბამისად, პროცედურა განმცხადებლებს არ სთავაზობდა რაიმე პროცესუალურ გარანტიებს. 2013 წლის 6 და 24 მაისის გადაწყვეტილებები არ შეიცავდა სათანადო მიზეზებს, რატომ ჩაითვალა განმცხადებელთა ქმედებები საპარლამენტო წესრიგის უხემ დარღვევად. მთავრობა ირწმუნებოდა, რომ განმცხადებლებს შეეძლოთ სპიკერის მიერ შემოთავაზებული დისციპლინური ზომის გასაჩივრება პლენარულ სხდომაზე, წარმომადგენლობითი პალატის კომიტეტში ან საპარლამენტო წესების ინტერპრეტაციაზე პასუხისმგებელ კომიტეტში. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ არც ერთი მათგანი, განმცხადებლებს არ სთავაზობდა სპიკერის



წინადადების გასაჩივრების ეფექტურ საშუალებას. ისინი შემოიფარგლებოდნენ პარლამენტში ზოგადი განცხადების გაკეთებით ან კონკრეტულ საპარლამენტო ორგანოში პეტიციის წარდგენით ყოველგვარი გარანტიის გარეშე, რომ განმცხადებელთა არგუმენტები გათვალისწინებულ იქნებოდა შესაბამისი დისციპლინური პროცედურისას.

160. აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო აქტში ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებდა დაჯარიმებული დეპუტატისთვის სამართლებრივი დაცვის საშუალებებსა და საპარლამენტო კომიტეტის წინაშე გამოსვლის შესაძლებლობას ძალაში 2014 წლის 4 მარტს შევიდა და მოცემულ სიტუაციაში უზრუნველყოფილ იქნა აუცილებელი მინიმალური პროცესუალური გარანტიები. მიუხედავად ამისა, მოცემულ საქმეში, ცვლილებამ განმცხადებლის სიტუაციაზე გავლენა არ იქონია.

161. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, განმცხადებელთა გამოხატვის თავისუფლების უფლებაში სადავო ჩარევა არ იყო, ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი, რადგან მას არ ახლდა შესაბამისი პროცესუალური გარანტიები.

162. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელთა გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება უდანაშაულობის პრეზუმპციასთან დაკავშირებით.

პროკურატურის საჯარო განცხადებები და პრესრელიზები: დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

**საქმე „შუვალოვი ესტონეთის წინააღმდეგ“**

**CASE OF SHUVALOV v. ESTONIA**

**განაცხადები N39820/08 და 14942/09**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2012 წლის 19 მაისი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელი, არდი შუვალოვი, ესტონეთის მოქალაქე, დაიბადა 1964 წელს და ცხოვრობს ტალინში (ესტონეთში). 2006 წელს განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეს, როგორც მოსამართლე, რომელშიც ჩარეული იყო რამდენიმე ბიზნესმენი. მას ბრალი დაედო დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნაში იმის სანაცვლოდ, რომ გამოიტანდა გადაწყვეტილებას ერთ-ერთი ბრალდებულის სასარგებლოდ. მოსამართლის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების დაწყების შემდეგ, მომდევნო დღეებსა და თვეებში, პროკურატურა აქვეყნებდა პრესრელიზებსა და დიდი რაოდენობით საჯარო განცხადებებს გაზეთებსა თუ ტელევიზიაში. 2008 წლის იანვარში ბ-ნი შუვალოვი დამნაშავედ ცნეს ქრთამის აღების მცდელობაში და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა სამნახევარი წლით. ამასობაში, მან წამოიწყო სამართალწარმოება პროკურატურის წინააღმდეგ. უფრო ზუსტად, იგი ითხოვდა კომპენსაციას უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევის გამო, რაც განპირობებული იყო პროკურატურის საჯარო განცხადებებით მის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების პროცესში. სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს ბ-ნ შუვალოვის სარჩელი, რადგან დაადგინეს, რომ პროკურატურის პრესრელიზები ემსახურებოდა გამოძიებისათვის შესაძლო ზიანის არიდებას, ხოლო პროკურატურის განცხადებებში არაფერი იყო იმაზე მეტი, რაც ობიექტურად აუცილებელი გახლდათ საზოგადოების ინფორმირებისათვის განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეზე.

### **სამართალი**

#### **კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფარაულო დარღვევა**

57. განმცხადებელი ჩიოდა, რომ პროკურატურის განცხადებებითა და პროკურორის პრესისთვის მიცემული კომენტარებით (იხ. მე-18, 20-24-ე, 30-ე, 32-ე, 34-ე და 35-ე მუხლები) დაირღვა მისი უდანაშაულობის პრეზუმპცია. იგი მიიჩნევდა, რომ ამ განცხადებებმა სისხლის სამართალწარმოება არასამართლიანი გახადა. იგი დაეყრდნო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებს, სადაც ნათქვამია:

„1. ... ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს ... სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ ...

2. პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად“.

## 2. საქმის არსებითი გარემოებები

75. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია, გათვალისწინებული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, არის სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ელემენტი, რომელსაც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს. იგი დაირღვევა, თუ საჯარო მოხელის სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულთან დაკავშირებული განცხადება შეიცავს მოსაზრებას მისი ბრალეულობის შესახებ, სანამ ეს კანონის შესაბამისად დამტკიცდება. თუნდაც არ არსებობდეს რაიმე ფორმალური დასკვნა, საკმარისია მხოლოდ მცირეოდენი მიზეზიც კი იმის სავარაუდოდ, რომ მოხელე ბრალდებულს დამნაშავედ იხსენიებს (იხ. *mutatis mutandis*, *ალენეტ დე რიბემონტი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1995 წლის 10 თებერვალი, § 35, სერია A, N308 და *მინელი შვეიცარიის წინააღმდეგ*, 1983 წლის 25 მარტი, § 37, სერია A, N62). სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა საჯარო მოხელეთა მხრიდან თავიანთ განცხადებებში სიტყვების შერჩევის მნიშვნელობა მანამ, სანამ პირს გაასამართლებენ და დაადგენენ მის ბრალეულობას დანაშაულში (იხ. *დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ* N42095/98, § 41, ECHR 2000-X). გარდა ამისა, უდანაშაულობის პრეზუმფცია შეიძლება დაარღვიოს არა მარტო მოსამართლემ, არამედ სხვა საჯარო მოხელემაც, მათ შორის, პროკურორმაც (იხ. *ალენეტ დე რიბემონტი*, § 36, და *დაკტარასი*, § 42 და *კონსტასი საბერძნეთის წინააღმდეგ*, N53466/07, § 32, 2011 წლის 24 მაისი). დაირღვა თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფცია საჯარო მოხელის განცხადებით, უნდა დადგინდეს კონკრეტული გარემოებების კონტექსტში, რომელთა პირობებშიც განცხადება გაკეთდა (იხ. *დაკტარასი*, §43). გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლეთა განცხადებები უფრო კრიტიკულად განიხილება, ვიდრე საგამოძიებო ხელისუფლების ორგანოების, როგორცაა პოლიცია ან პროკურატურა (იხ. *პენდი ბელგიის წინააღმდეგ* N13583/02, § 43, 2006 წლის 21 სექტემბერი და *კამპანელისი საბერძნეთის წინააღმდეგ* N9029/05, § 27, 2007 წლის 21 ივნისი).

76. სასამართლო პირველ რიგში განიხილავს, დაირღვა თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფცია პროკურატურის 2006 წლის 9 აპრილსა და 6 ოქტომბერს გამოქვეყნებულ პრესრელიზებში გამოთქმული განცხადებებით. ამდენად, სასამართლო გაანალიზებს პროკურორის მედიაში გაკეთებულ განცხადებებს.

77. რაც შეეხება 2006 წლის 9 აპრილის პრესრელიზს, სასამართლო შენიშნავს, რომ იქ განმცხადებლის სახელი ნახსენები არ ყოფილა. აღნიშნულია მხოლოდ მოსამართლე ჰარტუს საოლქო სასამართლოდან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ელემენტი პრესრელიზში აღინიშნა, როგორც დადასტურებული ფაქტი („ქრთამის აღებაში ეჭვმიტანილმა მოსამართლემ თანხის ნაწილი მიიღო [იგი მომთხოვნი იყო]“), არ უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა, რომ სადავო ფრაზაში აშკარად ჩანს მინიშნება მხოლოდ ეჭვზე („მოსამართლე, რომელიც ეჭვმიტანილია“) (იხ. მე-18 პუნქტი).

78. 2006 წლის 6 ოქტომბრის პრესრელიზთან დაკავშირებით, სასამართლო აკვირდება, ერთი მხრივ, ფრაზებს, რომლებიც აშკარად ეხება ეჭვებსა და ბრალდებებს. გამოყენებულია შემდეგი ტიპის ფორმულირებები: „განმცხადებელს ... ბრალი ედება“, „დადგენილი ფაქტები ... იძლევა [განმცხადებლის] ბრალდების საფუძველს“, „[პოლიციის ოფიცრებმა] დააკავეს [განმცხადებელი] ... ეჭვის საფუძველზე“, „იმ შემთხვევაში, თუ მას მსჯავრს დადებენ“. მეორე მხრივ, ასევე გამოყენებულია ფრაზები, სადაც არავითარი მინიშნება არ არის განმცხადებლის, როგორც დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის სტატუსზე და არც კვალიფიკაცია ეძლევა ამ დანაშაულს: „მოსამართლეს სურდა ფულის მიღება“, „მოსამართლემ მიიღო 200,000 კრონი - ნაღდი ფული“, „[განმცხადებელმა] ... ჩაიდინა [დანაშაული], რომელიც გულისხმობს დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნას“, „[განმცხადებელმა] - მოსამართლემ გამოიყენა თავისი ოფიციალური პოზიცია და დაარღვია სახელმწიფოს უმთავრესი პრინციპი, გამომდინარე კანონის უზენაესობიდან, რომლის თანახმადაც, მართლმსაჯულებას ახორციელებს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და პატიოსანი სასამართლო“ (იხ. 30-ე პუნქტი).

79. ამ კონტექსტში, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2006 წლის 6 ოქტომბრის პრესრელიზში მოცემული ინფორმაცია და მასში გამოყენებული ფორმულირებათა უმეტესობა პირდაპირ ეფუძნებოდა პროკურატურის შედგენილ და სასამართლოში წარდგენილ საბრალდებო დასკვნას (იხ. 27-29-ე პუნქტები), რა თქმა უნდა, პრესრელიზი ემსახურებოდა საზოგადოების ინფორმირებას სასამართლოსადმი წარდგენილი საბრალდებო დასკვნის შესახებ.

80. სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთ ნიმუშებად მოყვანილი ზოგიერთი წინადადების სიტყვები - განსაკუთრებით თუ მათ დამოუკიდებლად შევაფასებთ, შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც დადგენილი ფაქტი, ისე მიაჩნდეს განმცხადებლის მიერ დანაშაულის ჩადენაზე, რისთვისაც მას ბრალი დაედო. მიუხედავად ამისა, ეს ფორმულირებები ჩამოყალიბებული და გამონათქვამებით გაჯერებულია ისე, რომ აშკარაა, განმცხადებელს ბრალი ედება დანაშაულში, რომელიც განხილვის საგანია (შდრ. *გაფაროვი რუსეთის წინააღმდეგ* N25404/09, §§ 212-13, 2010 წლის 21 ოქტომბერი). ამ ინტერპრეტაციას ამყარებს ფაქტი, რომ პრესრელიზი პროკურატურიდან მომდინარეობს, ამდენად ის შესაძლოა გაგებულ იქნეს, როგორც საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების საშუალება იმის შესახებ, რომ პროკურატურას ჰქონდა საკმარისი მასალა განმცხადებლის ბრალდებისათვის და ამჟღავნებდა ზოგიერთ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის დადასტურებაც საჭიროდ მიაჩნდა. სასამართლოს აზრით, პრესრელიზში აშკარად არ აღინიშნებოდა, რომ იგი ეფუძნებოდა საბრალდებო დასკვნას. მიუხედავად ამისა, ცხადი უნდა იყოს, რომ პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული პრესრელიზი, რომელიც იწყებოდა სიტყვებით - „სახელმწიფო პროკურორმა [ვ-მ] სასამართლოს გაუგზავნა სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც [განმცხადებელს] ... ბრალი ედება დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნაში“, გამოხატავდა პროკურატურის პოზიციას სისხლის სამართალწარმოებაში, რომელიც სასამართლო განხილვას ექვემდებარებოდა. ამდენად, მართალია, პროკურატურის პრესრელიზში გამოყენებული სიტყვები შესაძლებელია, ყოფილიყო უფრო ფრთხილად შერჩეული, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაგრამ სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, რომ მთლიანობაში წაკითხული პრესრელიზი, ტოვებდა ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს განმცხადებელი ბრალდებულად ითვლებოდა მანამდე, სანამ ეს კანონის შესაბამისად დადგინდებოდა.



81. რაც შეეხება პროკურორის მიერ პრესისთვის მიცემულ განცხადებებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი შემოიფარგლებოდა მოკლე კომენტარით ან მინიშნებით, არა უმეტეს ერთი ან ორი წინადადებით და ბევრს არათერს ამატებდა პროკურატურის პრესრელიზებში გავრცელებულ ინფორმაციას. ამდენად, 2006 წლის აპრილში გამოქვეყნებულ სტატიებსა და ინტერვიუებში მინიშნება გაკეთდა ეჭვზე, რომ განმცხადებელმა აიღო ქრთამი; სისხლის სამართლის საქმე აღიძრა იმ პირისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ვისაც განმცხადებელმა ქრთამი მოსთხოვა (როგორც ამას აღნიშნული პირი აცხადებდა). იმ ფაქტზე, რომ განხორციელდა დანაშაულის სიმულაცია, პროკურატურას შეგროვებული ჰქონდა საჭირო მტკიცებულებათა უმეტესი ნაწილი და დაცვის პოლიციის მხრიდან პროვოკაცია არ გამოვლენილა. პროკურორის განცხადება 2006 წლის 20 აპრილის გაზეთ „Eesti Ekspress-ში“, რომ განმცხადებელი ითხოვდა ფულს, შეიძლება გავიგოთ, როგორც ქრთამის „მოთხოვნაზე“ ეჭვი. გარდა ამისა, ეს განცხადება გაზეთში არ ყოფილა მოყვანილი, როგორც ციტატა (იხ. 20-24-ე პუნქტები). 2006 წლის 20 ნოემბერს, გაზეთ „Postimees-ში“ გამოქვეყნებული სტატია არსებითად იმეორებდა ინფორმაციას, რაც მანამდე, 2006 წლის 6 ოქტომბერს პრესრელიზით და საბრალდებო დასკვნით გამჟღავნდა, რომელიც პრესრელიზის საფუძველი გახდა. ხოლო პროკურორმა უბრალოდ გამოხატა თავისი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ პროვოკაციას ადგილი არ ჰქონია (იხ. 32-ე პუნქტი). სასამართლო ვერაფერს პოულობს ისეთს პროკურორის განცხადებებსა ან მის მიერ შერჩეულ სიტყვებში, რაც გაუტოლდებოდა განმცხადებლის უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევას. რაც შეეხება 2006 წლის 23 ნოემბრის სტატიას გაზეთ „Eesti Ekspress-ში“, სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, ის ეფუძნებოდა პროკურორისაგან მიღებულ ინფორმაციას, მაგრამ მასში არ ფიგურირებდა პროკურორის დასკვნა, რომ განმცხადებელი ბრალეულია (იხ. 34-ე პუნქტი). „Eesti-ს“ სატელევიზიო არხით 2006 წლის 23 ნოემბერს ნაჩვენებ ინტერვიუში პროკურორმა პირველად ჩამოთვალა ბრალდებები განმცხადებლის წინააღმდეგ, შემდეგ ჟურნალისტთან ინტერვიუს დროს დაასახელა იმ ადამიანის სახელი, ვისაც ქრთამის მიცემა მოსთხოვეს და მოთხოვნილი თანხის ოდენობა. კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს ბოლო ელემენტებიც გამჟღავნდა ბრალდებების საფუძველზე, როგორც ეს მოყვანილია საბრალდებო დასკვნაში (იხ. 35-ე პუნქტი).

82. სასამართლომ ასევე განიხილა განმცხადებლის არგუმენტები გესლიან მედიაკამპანიასთან დაკავშირებით, რომელსაც მისი შეხედულებით, პროკურორი ვ. აქეზებდა. სასამართლო აღიარებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გესლიანმა მედიაკამპანიამ შეიძლება საწინააღმდეგოდ იმოქმედოს სასამართლო განხილვის სამართლიანობაზე და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს (იხ. *ჯესპერსი ბელგიის წინააღმდეგ* N8403/78, კომისიის 1980 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება, განჩინებები და ანგარიშები 22, გვ. 100). ეს უკავშირდება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ სასამართლოს მიუკერძოებლობას, ასევე მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უდანაშაულობის პრეზუმციას (იხ. *ნინ-ჰანსენი დენმარკის წინააღმდეგ* N28972/95, ECHR 1999-V და *ანგუელოვი ბულგარეთის წინააღმდეგ* (განჩინება) N45963/99, 2004 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება). მიუხედავად ამისა, იგი არ ფიქრობს, რომ წინამდებარე საქმის მედიაგაშუქება უნდა ჩაითვალოს გესლიან მედიაკამპანიად, რომლის მიზანიც იყო სასამართლო განხილვის სამართლიანობის შებლაღვა, ასევე არანაირი მინიშნება არ არსებობს იმაზე, რომ ამ საკითხის გარშემო მედიის ინტერესი პროკურორმა გააღვივა. სასამართლოს აზრით, წინამდებარე საქმის მედიაგაშუქება არ სცდება საზოგადოების

ინფორმირების ფარგლებს მოსამართლის წინააღმდეგ ბრალდებებისა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ.

83. ზემოხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში არ დარღვეულა განმცხადებლის უდანაშაულობის პრეზუმციის უფლება.

84. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები არ დარღვეულა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება განათლების უფლებასთან დაკავშირებულ დაუსაბუთებელ უარზე.  
უნივერსიტეტის მისაღები გამოცდის ჩამბარებელი კანდიდატის წარმატებული შედეგების ანულირება, წინა წლებში მისი არადამაკმაყოფილებელი შედეგების გათვალისწინებით: დარღვევა

**საქმე „მიურსელ ერენი თურქეთის წინააღმდეგ“**

**CASE OF MÜRSEL EREN v. TURKEY**

**განაცხადი N [60856/00](#)**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**7 თებერვალი, 2006**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელმა უნივერსიტეტის მისაღები გამოცდა პირველად 1994 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა. სტუდენტთა შერჩევისა და განაწილების უმაღლესი განათლების საბჭოს ცენტრის (OSYM) მიერ ყოველწლიურად ორგანიზებული გამოცდა შედეგა ორდონიანი, მრავალვარიანტიანი გამოცდისგან. განმცხადებელმა შემდგომი ორი წლის განმავლობაშიც ვერ ჩააბარა გამოცდის პირველი ეტაპი. 1997 წელს, განმცხადებელმა გაიარა გამოცდისთვის მოსამზადებელი კერძო კურსი. იმ წელს მან ჩააბარა პირველი გამოცდა და გადავიდა მეორე ეტაპზე. მეორე გამოცდის ჩაბარების შემდეგ ის ფიქრობდა, რომ გამოცდა წარმატებით ჩააბარა. თუმცა მისი სახელი და გვარი წარმატებული სტუდენტების სიაში არ აღმოჩნდა. შემდგომ მას OSYM-მ აცნობა, რომ მეორე გამოცდის წარმატებით ჩამბარებულ სტუდენტთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა, მაგრამ სამი პროფესორისგან შემდგარი აკადემიური საბჭოს რეკომენდაციით, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ გასულ წლებში არადამაკმაყოფილებელი შედეგების გათვალისწინებით მისი მაღალი შედეგი აუხსნელი იყო და მოხდა მათი ანულირება. სახელისუფლებო ორგანოებმა განაცხადეს, რომ ანულირება OSYM-ს რეგულაციებს შეესაბამებოდა. განმცხადებელმა სამართალწარმოება ადმინისტრაციულ სასამართლოში დაიწყო და OSYM-ს გადაწყვეტილების შეჩერება და ანულირება მოითხოვა. იმის მიუხედავად, რომ უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მომხსენებელმა მოსამართლემ მიიჩნია, რომ OSYM-ს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მხოლოდ ვარაუდს, მოსამართლეთა უმრავლესობამ საჩივარი უარყო, მიიჩნია რა აუხსნელად ის გარემოება, რომ სტუდენტს, რომელმაც წინა გამოცდებზე ძალიან ცუდი შედეგები

აჩვენა, არ შეიძლება ასე წარმატებით ჩაებარებინა შემდგომი გამოცდები. განმცხადებლის შემდგომი სარჩელები აგრეთვე უგულვებელყოფილ იქნა იმ მიზეზით, რომ თავისი ცოდნითა და შესაძლებლობებით ის ვერ აჩვენებდა დაფიქსირებულ შედეგს.

## სამართალი

### I. 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

27. განმცხადებელი პრეტენზიას აცხადებს იმასთან დაკავშირებით, რომ OSYM-ს გადაწყვეტილებით, რომლითაც გაბათილდა მისი საგამოცდო შედეგები, დაირღვა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ მისი განათლების უფლებას. ამ დებულების შესაბამისი ნაწილი შემდეგნაირად იკითხება:

„არც ერთ პირს არ უნდა ეთქვას უარი განათლების უფლებაზე...“.

### ბ. სასამართლოს შეფასება

#### 1. 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის გამოყენება

40. სასამართლოს თვალსაზრისით, მხარეები არ დავობენ იმაზე, რომ მომჩივანს არ შეეძლო საუნივერსიტეტო განათლების მიღება. მან შესაბამისი მისაღები გამოცდების შემდეგ, საჭირო ნიშანი მიიღო, რაც შესაძლებლობას აძლევდა, გაეწეო მის მიერ არჩეული შესაბამისი ხარისხის მისაღები საუნივერსიტეტო კურსი.

41. სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ არ მიმდინარეობს დავა იმასთან დაკავშირებით, რომ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლში მოცემული გარანტიები ვრცელდება ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების ფარგლებში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებზე. მან ეს პრინციპი ცოტა ხნის წინ დაადასტურა საქმეში *ლეილა შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ* ([დიდი პალატა], N44774/98, §§ 134-42, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2005-XI), რომელშიც მან აღნიშნა, რომ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის უფლების მოპოვება არის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველ წინადადებაში განსაზღვრული უფლების განუყოფელი ნაწილი.

#### (გ) სასამართლო

44. სასამართლომ *ბელგიის ლინკვისტურ* საქმეში აღნიშნა, რომ განათლების უფლება - გარანტირებული 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლში მოცემული პირველი წინადადებით, „თავისი ბუნებით, მოითხოვს სახელმწიფოს მიერ რეგულირებას, რომელიც სხვადასხვა დროსა და ადგილზე შეიძლება შეიცვალოს



საზოგადოებისა და ინდივიდების საჭიროებებისა და რესურსებიდან გამომდინარე. უდავოა, რომ ამგვარმა რეგულირებამ არ უნდა დაარღვიოს განათლების უფლების არსი და არ შევიდეს კონფლიქტში კონვენციით განსაზღვრულ სხვა უფლებებთან“ (იხ. ბელგიის ლინგვისტური, გვ. 32, § 5).

45. სასამართლო მიუთითებს, რომ დასაწყისში, მომჩივანს არ გაუპროტესტებია თავად უმაღლეს სასწავლებელში მიღების კრიტერიუმები, მაგრამ ამტკიცებდა, რომ დაუსაბუთებლად უთხრეს უარი იმ უფლებებზე, რომელიც მოიპოვა ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ.

46. სასამართლოს აზრით, მთავრობამ ვერ მოახერხა მიეთითებინა კანდიდატების მაღალი შედეგების ასახსნელად, მათი უუნარობის მიზეზით, კანდიდატების გამოცდის შედეგების ანულირებისთვის OSYM-ს დისკრეციული უფლების რაიმე სამართლებრივი საფუძველი. სასამართლოს მიაჩნია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ფართო დისკრეციული უფლების ნებისმიერმა სამართლებრივმა საფუძველმა შეიძლება შექმნას ისეთი იურიდიული ხასიათის გაურკვევლობა, რომელიც შეუთავსებელია კანონის უზენაესობასთან, კონვენციაში მოცემულ დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საბაზისო პრინციპთან (იხ. *ჰასანი და ჩაუმი ბულგარეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N30985/96, § 84, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-XI) ან ზიანი მიაყენოს განათლების უფლების დედაარსს.

47. სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ კანდიდატის საგამოცდო შედეგების ანულირებაზე, რომელიც გამოცდის დროს ამხილეს თაღლითობაში, არ ვრცელდება OSYM-ის დისკრეციული უფლება, პირიქით, აღნიშნული ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მოვალეობაა. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე საქმეში ვერც აკადემიურმა საბჭომ და ვერც რომელიმე ადმინისტრაციულმა სასამართლომ ვერ აღმოაჩინა დარღვევის დამადასტურებელი რაიმე დამამტკიცებელი საბუთი.

48. სასამართლო მიიჩნევს, რომ მონაწილეთა მიერ თურქეთის საუნივერსიტეტო მისაღებ გამოცდებზე მიღებული შედეგები გამოითვლება ძალიან დეტალური მეთოდის გამოყენებით, რომელიც შესაბამის ორგანოებს არ უტოვებს შესაძლებლობას, იმ კომპიუტერული სისტემების შედეგები, რომლებიც საგამოცდო ფურცლებზე აფიქსირებენ შესაბამის ნიშანს, ჩაანაცვლოს თავისი პირადი შეხედულებებით. ცხადია, OSYM-ის რეგულაციების მკაფიო ფორმულირება კეთილსინდისიერ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, ჰქონდეთ სამართლიანი მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი შეძლებენ იმ საუნივერსიტეტო კურსის გავლას, რომლისთვისაც მათ გამოცდაზე გამსვლელი ნიშნები მიიღეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქ სადაც კანონმდებლობა ადგენს უნივერსიტეტში მიღების პირობებს და მისაღები კანდიდატები აკმაყოფილებენ ამ პირობებს, მათ აქვთ მოცემულ უნივერსიტეტში მიღების უფლება (იხ. *დე მოორი ბელგიის წინააღმდეგ*, 23 ივნისი, 1994 წ., § 43, სერია A, N 292-A).

49. სასამართლოს აზრით, OSYM-ის რეგულაციები იძლევიან სამართლებრივი დაცვის კრიტერიუმებს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან განათლების უფლებაში თვითნებური ჩარევისგან დასაცავად, იმ უფლებაში, რომელიც კონვენციითაა დაცული. აქედან გამომდინარე, თუ სახელმწიფო ორგანოები დაარღვევენ ან უგულებელყოფენ ამ რეგულაციებს, ეს სამართლებრივი დაცვა დაზიანდება.

50. განმცხადებლის მიერ თაღლითობის დამადასტურებელი საბუთის არქონის ანდა მის მიერ ამ მხრივ წაყენებული რაიმე ცალსახა ბრალდების შემთხვევაში და განმცხადებლის უდავო განცხადების გათვალისწინებით იმის შესახებ, რომ ის 1997 წლის გამოცდებისთვის მოემზადა კერძო კურსის გავლით, სასამართლო შეუფერებლად მიიჩნევს აკადემიური საბჭოს დასკვნას იმის შესახებ, რომ შეუძლებელია მისი მაღალი შედეგების ახსნა. შესაბამისად, ის ასკვნის, რომ გადაწყვეტილება, რომლითაც ანულირდა განმცხადებლის საგამოცდო შედეგები და რომელიც შემდგომში ეროვნულმა სასამართლოებმა გაიზიარეს, მოკლებულია სამართლებრივ და რაციონალურ საფუძველს, რასაც თვითნებობა მოჰყვება.

51. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ აკადემიური საბჭოს რჩევის საფუძველზე მომჩივნის საგამოცდო შედეგების გაუქმებით, OSYM-მ განმცხადებელს უარი უთხრა განათლების უფლებაზე.

52. შესაბამისად, დაირღვა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესახებ, ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მეურვეობის საკითხების გადაწყვეტისას. ლიტვის სახელისუფლებო ორგანოებმა შეძლეს მიეღოთ ადეკვატური და ეფექტური ზომები, საქმეზე რომელიც ეხებოდა განმცხადებლის თავის ქალიშვილებთან გაერთიანებას, რომლებმაც გადაწყვიტეს საკუთარ მამასთან ცხოვრება.

**საქმე „ჯ.ბ. ლიტვის წინააღმდეგ“**

**CASE OF G.B. v. LITHUANIA**

**განაცხადი N36137/13**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**19 იანვარი, 2016 წ.**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელი, ქ-ნი ჯ.ბ., არის 1975 წელს დაბადებული ლიტვის მოქალაქე, რომელიც ამჟამად ქალაქ მეკენჰაიმში (გერმანიაში) ცხოვრობს.

საქმე ეხებოდა მის ქალიშვილებზე მეურვეობის მინიჭებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოების პროცესს ლიტვაში, რომლებიც მოგვიანებით გასაზრდელად მათ გერმანელ მამას გადასცეს.

2001 წელს ქალბატონი ჯ.ბ. გერმანიის მოქალაქეზე დაქორწინდა და ორი ქალიშვილი შეეძინათ, 2002 და 2003 წლებში. ისინი ყველანი ერთად ცხოვრობდნენ ლიტვაში. 2010 წლის იანვარში ქ-ნმა ჯ.ბ. სასამართლოში შეიტანა განცხადება განქორწინებაზე და ითხოვდა უფლების მინიჭებას, რათა მის ქალიშვილებს მუდმივად ეცხოვრათ მასთან. განქორწინების და მეურვეობის პროცესის განმავლობაში, მშობლებმა, რომლებსაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, არაერთი სარჩელი და შეგვეგებული სარჩელი შეიტანეს სასამართლოში მათი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

2010 წელს მათში სასამართლოებმა დააკმაყოფილეს ქ-ნი ჯ.ბ-ს მოთხოვნა დროებით დამცავ ღონისძიებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა მეურვეობასთან დაკავშირებული სასამართლო წარმოების დასრულებამდე ქალიშვილების მასთან ცხოვრების უფლებას. 2010 წლის ივნისში ქ-ნი ჯ.ბ. პოლიციას დაუკავშირდა და განაცხადა, რომ გოგონების მამამ კაუნასში ვიზიტის შემდეგ ბავშვები მას აღარ დაუბრუნა. პოლიციამ დაადგინა, რომ გოგონები მამასთან ერთად მარიამპოლეში იყვნენ.

ერთი თვის შემდეგ, მარიამპოლეს რაიონულმა სასამართლომ მამა დაავალდებულა გოგონები დედასთან დაებრუნებინა. ამის შემდეგ, სასამართლოს აღმასრულებლებმა სამჯერ სცადეს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. მესამე ცდაზეც, 2011 წლის თებერვალში

აღმასრულებლებმა ვერ შეძლეს გოგონების წამოყვანა, ვინაიდან თვითონ გოგონებმა უარი თქვეს დედასთან ცხოვრებაზე. 2011 წელს მარტში მამას ბრალი წაუყენეს სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო ქალიშვილების დედისთვის დაბრუნებასთან დაკავშირებით და დააჯარიმეს. საბოლოოდ, ლიტვის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ განქორწინების შემდეგ, რომელიც 2011 წელს ნოემბერში შევიდა ძალაში, ორივე ქალიშვილს უნდა ეცხოვრა თავის მამასთან, ვინაიდან ეს მიჩნეულ იქნა უკეთეს პირობად ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ასევე გოგონების სურვილიც იყო, რომლებმაც ჩვენება მისცეს სასამართლოში. გარდა ამისა, სასამართლოები დაეყრდნენ ბავშვზე ზრუნვის ორგანოების, ფსიქოლოგების, ბავშვთა უფლებების ომბუდსმენისა და გოგონების სკოლის წარმომადგენლების ჩვენებებს, მხედველობაში მიიღეს ის გარემოება, რომ მამა სათანადოდ უვლიდა თავის ქალიშვილებს, ხოლო დედასთან კონტაქტი მხოლოდ ეპიზოდური ხასიათის იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ქალიშვილებთან ურთიერთობის უფლება არ იყო შეზღუდული.

## სამართალი

### I. კონვენციის მერვე მუხლის სავარაუდო დარღვევა

67. განმცხადებელი დავობდა მეურვეობასა და სასამართლოს მიერ საქმის წარმოების პროცესთან დაკავშირებით ლიტვაში, რომლის შედეგად ორივე ქალიშვილი დატოვეს მამასთან საცხოვრებლად. განმცხადებელი დაეყრდნო კონვენციის მერვე მუხლს. აღნიშნული დებულებები ითვალისწინებს შემდეგს:

„1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირად და ოჯახურ ცხოვრება...

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში... სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

### 2. სასამართლოს შეფასება

#### (ა) ჰქონდა თუ არა ჩარევას ადგილი

87. სასამართლო აცხადებს, რომ ორმხრივი მისაღები ურთიერთობა შვილებსა და მშობლებს შორის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტური ელემენტია მაშინაც კი, როდესაც ურთიერთობა მშობლებს შორის პრაქტიკულად დანგრეულია და ეროვნულ დონეზე გასატარებელი ღონისძიებები, რომლებიც ხელს უშლის ორივე მხარისთვის მისაღებ ურთიერთობებს, განაპირობებს კონვენციის მერვე მუხლით



დაცულ უფლებაში ჩარევას (იხ. *ეცჰოლცი ვერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N25735/94](#), § 43, ECHR, 2000-VIII). მოცემულ საქმეში, სასამართლომ მიიჩნია, რაც მთავრობამაც აღიარა, რომ დამცავი ღონისძიებების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებების აღუსრულებლობამ და გადაწყვეტილებამ განმცხადებლის ქალიშვილების საკუთარ მამასთან ცხოვრების შესახებ, გამოიწვიეს განმცხადებლის უფლებაში ჩარევა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ პატივი უნდა სცენ პირად და ოჯახურ ცხოვრებას, რომელიც მერვე მუხლითაა გარანტირებული.

88. ასეთი ჩარევა იწვევს მერვე მუხლის დარღვევას, თუ იგი არ იყო „კანონის შესაბამისად განხორციელებული“ მიზნის ან მიზნების მისაღწევად, რომელიც/რომლებიც ლეგიტიმურია მერვე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად და იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (იხ. *გ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 8 ივლისი, 1987 წ., § 60, სერია A, N121).

### **(ბ) „კანონის შესაბამისად“**

89. სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩარევა ეფუძნებოდა ადგილობრივ კანონმდებლობას, კერძოდ, ბავშვთა უფლებების დაცვის კანონის 4.1 მუხლს, სამოქალაქო კოდექსის 3.3 და 3.174 მუხლებსა და საერთაშორისო სამართალს, კერძოდ, ბავშვის უფლებათა კონვენციას.

### **(გ) ლეგიტიმური მიზანი**

90. სასამართლოს აზრით, შესაბამისი საკანონმდებლო აქტები ბავშვების უფლებების დაცვას ისახავს მიზნად და არანაირი საფუძველი არ არსებობს, რათა სასამართლომ ივარაუდოს, რომ ისინი მოცემულ საქმეში რაიმე სხვა მიზნით იქნა გამოყენებული. აღნიშნულ ჩარევას, რომელიც განმცხადებლების ქალიშვილების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობდა, ლეგიტიმური მიზნები გააჩნდა, მერვე მუხლის მე-2 პუნქტის მიზნების თანახმად, რომლებიც მთავრობამ მათ დააკისრა (იხ. *გიორგულუ ვერმანიის წინააღმდეგ*, [N74969/01](#), § 37, 26 თებერვალი, 2004 წ.).

91. მაშასადამე, შესასწავლი რჩება საკითხი, შეიძლება თუ არა სახელისუფლებო ორგანოების უუნარობა - გააძლიერონ დაცვითი ზომები და დაუბრუნონ გოგონები განმცხადებელს ისევე, როგორც გამოსცენ დადგენილება მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე, ჩაითვალოს, როგორც „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.“

### **(დ) „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“**

92. განმცხადებლის მტკიცებით, რადგან ლიტვის ხელისუფლებამ ვერ აღასრულა სასამართლოს განჩინებები და ვერ უბრუნველყო დაცვითი ღონისძიებების

გატარება, ამან გამოიწვია მისი დაშორება საკუთარ ქალიშვილებთან და საბოლოოდ დააკარგვინა უფლება მეურვეობაზე. აღნიშნულ საქმეში უდავოა ის ფაქტი, რომ მარიამპოლეს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 12 აპრილის დადგენილებით, რომელიც უცვლელად დატოვა კაუნასის საოლქო სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 31 მაისს განმარტებულია დაცვითი ღონისძიებები, განმცხადებლის სასარგებლოდ გოგონებზე მეურვეობის მინიჭების თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში, სახელისუფლებო ორგანოები ვალდებულნი იყვნენ მიეღოთ ზომები იმისათვის, რომ განმცხადებელთან დაბრუნებულიყვნენ თავისი ქალიშვილები. ნათელია, რომ რეალურად განხორციელებულმა ნაბიჯებმა ეფექტურად ვერ უზრუნველყო მათი გაერთიანება, საბოლოო ჯამში სასამართლოებმა გადასინჯეს შეთანხმება მეურვეობის თაობაზე და ბავშვებზე მეურვეობა განმცხადებლის ყოფილ ქმარს მიანიჭეს.

93. სახელისუფლებო ორგანოების სუსტმა ძალისხმევამ, ავტომატურად არ გამოიწვია იმის ვარაუდი, რომ მათ ვერ შეძლეს თავისი პოზიტიური ვალდებულებების შესრულება კონვენციის მერვე მუხლის თანახმად. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნული ხელისუფლების მოვალეობა - მიიღოს ზომები, რათა ხელი შეუწყოს გაერთიანებას, არ არის აბსოლუტური, რადგან მშობლისა და ბავშვების გაერთიანება, რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე ცხოვრობდნენ მეორე მშობელთან, შეიძლება შეუძლებელი იყოს დაუყოვნებლივ და მოითხოვდეს მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელებას. ამგვარი მომზადების ხასიათი და მასშტაბი დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე, მაგრამ ამ პროცესში მხარეების მხრიდან გაგებით დამოკიდებულებას და თანამშრომლობას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ეროვნულმა ხელისუფლებამ ყველა ზომა უნდა მიიღოს ამგვარი თანამშრომლობის ხელშესაწყობად, ასეთ საქმეებში უნდა შეიზღუდოს იძულების გამოყენების ნებისმიერი ვალდებულება, რადგან უნდა მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინება, კერძოდ, გადანყვეტილება უნდა გამომდინარეობდეს ბავშვების საუკეთესო ინტერესებისა და მათი უფლებებიდან კონვენციის მერვე მუხლის თანახმად (იხ. *ნუთინენი ფინეთის წინააღმდეგ*, N [32842/96](#), §128, ECHR, 2000-VIII; *კოსმოპულიუსი საბერძნეთის წინააღმდეგ*, N [60457/00](#), §45, 5 თებერვალი, 2004 წ.). გარდა ამისა, შესაბამისი გარემოებების ცვლილებამ, რამდენადაც იგი არ იყო გამოწვეული იმ მოვლენებით, რომელიც სახელმწიფოს შეერაცხება, შესაძლოა გამოწვევების შემთხვევებში გაამართლოს ბავშვის მეურვეობის თაობაზე საბოლოო გადანყვეტილების აღუსრულებლობა (იხ. *სილვესტერი ავსტრიის წინააღმდეგ*, N [36812/97](#) და [40104/98](#), § 63, 24 აპრილი, 2003 წ.).

94. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ამოცანაა დაადგინოს, მიიღეს თუ არა ეროვნულმა სახელისუფლო ორგანოებმა ყველა აუცილებელი ზომა, რათა ხელი შეეწყოს გაერთიანებისთვის, რომელიც მოცემული საქმის გარემოებებში შეიძლება ჩაითვალოს გონივრულ მოთხოვნად. ამგვარად, სასამართლოს არ ევალება

ადგილობრივი კომპეტენტური ორგანოების გადანაცვეტილების თავისით ჩანაცვლება, იმისათვის, რომ გადანაცვით დავა საქმეში მონაწილე პირებს შორის, არამედ განიხილავს ამ სახელისუფლო ორგანოების მიერ მათი დისკრეციის ფარგლებში გამოტანილ გადანაცვეტილებებს კონვენციასთან შესაბამისობის ჭრილში. სასამართლომ უნდა შეისწავლოს, თუ რამდენად რელევანტური და საკმარისია საფუძვლები, რომელთა მიზანია ნებისმიერი გატარებული ღონისძიების გამართლება და სახელმწიფოს დისკრეციის ზედა ზღვრის გათვალისწინებით იმის დადგენა, იყო თუ არა დაცული სამართლიანი ბალანსი კერძო პირისა და საზოგადოების ურთიერთსაინააღმდეგო ინტერესებს შორის, სხვა დაინტერესებული მესამე მხარეების ჩათვლით (იხ. *მიხაილოვა*, § 83)

95. განმცხადებელმა ხაზი გაუსვა მშობელთან გაუცხოვების სინდრომს, რაც გოგონებს გამოუმუშავდათ მის მიმართ, მამასთან ცხოვრების პერიოდში. სასამართლომ არ უარყო ფსიქოლოგების მიერ აღნიშნული სინდრომის დადგენის ფაქტი, მაგრამ მხედველობაში მიიღო პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ძალზე მოკლე პერიოდი, კერძოდ, შვიდ დღე, გოგონები დაშორებულნი იყვნენ განმცხადებელს და ცხოვრობდნენ ი.ბ-სთან, რის შემდეგაც გოგონებმა განაცხადეს, რომ მამასთან ერჩიათ ყოფნა. აღნიშნული დრო იყო საკმარისი იმისათვის, რომ გოგონებს კარდინალურად შეეცვალათ აზრი და აღარ მოესურვათ დედასთან დაბრუნება. თუნდაც არსებობდეს მოსაზრება, რომ შეუძლებელია ასეთ მოკლე პერიოდში გოგონებს შეეცვალათ აზრი, სასამართლოს არ შეუძლია უგულებელყოს ის ფაქტი, რომ უკვე 2010 წლის 10 ივნისს, მეექვსე დღეს, როცა ი.ბ-მ არ დააბრუნა თავისი ქალიშვილები განმცხადებელთან, მას შესთავაზეს პოლიციის დახმარება, რათა იგი წასულიყო ი.ბ-ს სახლში და ბავშვები წამოეყვანა. მიუხედავად ამისა, განმცხადებელმა არ გამოიყენა გოგონების დაბრუნების ეს შესაძლებლობა და არჩია ეს აღმასრულებელს განხორციელებინა. აღნიშნული კი მხოლოდ ადასტურებს ლიტვის სახელისუფლო ორგანოების არგუმენტს, რომ განმცხადებელმა ამ დავალების შესრულება სახელმწიფოსა და მუნიციპალურ უწყებებს მიანდო იმის მაგივრად, რომ თავად ყოფილიყო უფრო აქტიური.

96. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ აღმასრულებელმა ვერ შეძლო აღესრულებინა სასამართლოს გადანაცვეტილება დაცვითი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული. პირველ ჯერზე ვერ მოხერხდა გოგონების გადაცემა მათი ავადმყოფობის გამო, რაც დაადასტურა ეროვნულმა სასამართლომ. ხოლო მეორე ცდაზე გოგონები ვერ გადასცეს მხოლოდ და მხოლოდ განმცხადებლის მიზეზით. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ბოლო, მესამე მცდელობა არ იყო შედეგიანი, ვინაიდან განმცხადებლის ქალიშვილებმა უარი თქვეს დაეტოვებინათ საკუთარი მამის სახლი, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს მათთან პირადად დალაპარაკების საშუალება მისცეს. სახელისუფლო ორგანოებმა ერთმნიშვნელოვნად მისცეს მას საშუალება დაერწმუნებინა გოგონები მასთან

დაბრუნებულიყვნენ. სასამართლოს აღმასრულებლების მომდევნო დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ფიზიკური ძალა არ არის ის ღონისძიება, რომელიც მსგავსი სიტუაციების დროს უნდა იქნეს გამოყენებული და აღსრულების სხვა მეთოდის გამოყენება იყო საჭირო, რათა დაცული ყოფილიყო ბავშვების ინტერესები, სასამართლოს პოზიციის ტოლფასი იყო იმ თვალსაზრისით, რომ იძულების ღონისძიების განხორციელების ნებისმიერი ვალდებულება მშობლის და ბავშვების გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით შეზღუდული უნდა იყოს (იხ. *ჰოკანენი ფინეთის წინააღმდეგ*, 23 სექტემბერი, 1994 წ., § 58, სერია A, N299-ა; *გ.ჯეი. ლიტვის წინააღმდეგ*, § 98). სასამართლო ბოლოს აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია აღმასრულებლის დასკვნა.

97. სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ სახელისუფლო ორგანოები მშობლებს შორის დაძაბული ურთიერთობის ფონზე რთული ამოცანის წინაშე დადგნენ. როგორც განმცხადებელმა, ისე მისმა ყოფილმა ქმარმა არაერთი სარჩელი და შესაგებელი სარჩელი შეიტანეს ერთმანეთის წინააღმდეგ. განმცხადებელი ეცადა პროკურატურის ხელმძღვანელობაც ჩაერთო საქმეში და ადანაშაულებდა თავის ყოფილ ქმარს მათი შვილების მიმართ ძალადობაში, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ეს ამკარად გადაჭარბებული იყო. შესაბამისად, მშობლების ქცევა შორს იყო კონსტრუქციულიდან.

98. სასამართლოს შეეძლო დაედგინა, რომ განქორწინებული მშობლები არ თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, თუმცა აღნიშნული თავისთავად არ ათავისუფლებს სახელისუფლო ორგანოებს მერვე მუხლით მათზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებებისაგან. პირიქით, ის აკისრებს ხელისუფლებას ვალდებულებას, გაატაროს ზომები მხარეების ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების შეთავსების მიზნით უმთავრესად ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, რამაც შეიძლება მშობლისას გადააჭარბოს (იხ. *დიამანტე და პელლიჩიონი სან მარინოს წინააღმდეგ*, N32250/08, §176, 27 სექტემბერი, 2011 წ.).

99. უშუალოდ ამ საქმეში, სასამართლო მიიჩნევს, რომ ლიტვის სახელისუფლო ორგანოებმა შეასრულეს თავისი ვალდებულება, დახმარება გაეწიათ ასეთ მეტად კონფლიქტურ სამართალწარმოებაში. ბავშვზე ზრუნვის სამსახურებმა, ომბუდსმენმა, სკოლის წარმომადგენლებმა და ეროვნულმა სასამართლოებმა არაერთხელ გაათვრთხილეს ორივე მშობელი იმასთან დაკავშირებით, რომ მათი ინტერესები უპირატესი არ უნდა იყოს ბავშვების ინტერესებზე. მარიამპოლეს სამსახურის ფსიქოლოგები ორჯერ შეხვდნენ გოგონებს. ასევე, ბავშვზე ზრუნვის სამსახურები ეხმარებოდნენ როგორც სასამართლოს, ისე განმცხადებელს იმის გარკვევაში, თუ რა საცხოვრებელ პირობებში იყვნენ გოგონები მამის სახლში, პასუხობდნენ განმცხადებლის შეკითხვებს, თავის წინადადებებს აცნობდნენ, თუ როგორ უნდა აღასრულონ გოგონების დედასთან ცხოვრების სასარგებლოდ სასამართლოს მიერ გამოცემული დადგენილებები; (შდრ. *იგნაკოლო-გენიდე რუმინეთის წინააღმდეგ*,



[N31679/96](#), § 112, ECHR, 2000-I). განმცხადებელმა მაინც ეჭვქვეშ დააყენა მარიამპოლეს სამსახურის დასკვნების მიუკერძოებლობა და დაეთანხმა კაუნასის სამსახურის დასკვნებს, მიუხედავად ამისა, სასამართლო არ მიიჩნევს მთავრობის ახსნა-განმარტებას მარიამპოლეს სამსახურის საბოლოოდ აზრის შეცვლასთან დაკავშირებით დამატებებლად. სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო კაუნასის სამსახურის განაცხადი იმის შესახებ, რომ ვინაიდან გოგონები მარიამპოლეში ცხოვრობდნენ. სამსახურისთვის მათი ცხოვრების ყველა შესაბამისი გარემოება არ იყო ცნობილი.

100. მარიამპოლეში მდებარე სკოლაში, რომელშიც გოგონები სწავლობდნენ მშობლების განკარგულებაში იყო ფსიქოლოგის მომსახურებაც. სკოლის დირექტორმა ურჩია განმცხადებელს მისულიყო სკოლაში და კონტაქტი დაემყარებინა თავის ქალიშვილებთან, რაც განსაკუთრებულად მისასალმებელი იქნებოდა მისი მხრიდან. ომბუდსმენმაც აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო მას და შვილებს პირდაპირი კონტაქტი ჰქონოდათ.

101. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ხაზი გაუსვა ურთიერთობის საჭიროებას განმცხადებელსა და გოგონებს შორის, და საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტა იმაზე მეტი შესაძლებლობის მიცემა განმცხადებლისთვის ურთიერთობის დასამყარებლად თავის ქალიშვილებთან, ვიდრე მას მოთხოვნილი ჰქონდა თავის სამოქალაქო სარჩელში. უპირველეს ყოვლისა, განმცხადებლისთვის საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე არ აუკრძალავთ კონტაქტი თავის ქალიშვილებთან (იხ. *ელვსკოლცი*, § 49 და *კუცნერი გერმანიის წინააღმდეგ*, [N 46544/99](#), § 67, ECHR, 2002-I).

102. სასამართლო არ არის ვალდებული გამოიტანოს გადაწყვეტილება, თუ რატომ არ გამოიყენა განმცხადებელმა სათანადოდ მისთვის ლიტვის ხელისუფლების მიერ მინიჭებული შესაძლებლობები მასსა და მის ქალიშვილებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობის თვალსაზრისით. სასამართლომ მხოლოდ აღნიშნა, რომ ლიტვის სასამართლოებმა დაადგინეს მისი პასიურობა საკუთარ ქალიშვილებთან ურთიერთობაში, მათი დასკვნები დაეფუძნა გოგონების სკოლის და ბავშვზე ზრუნვის სამსახურის წარმომადგენელთა მიერ მიწოდებული ფაქტების ვრცელ გამოკვლევას.

103. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არის მართებული ლიტვის სახელისუფლებო ორგანოების დადანაშაულება, რომ მათ ვერ შეძლეს თავისი მოვალეობის შესრულება - დახმარება გაენიათ განმცხადებლისთვის მისი მხრიდან თანამშრომლობაზე უარის ფაქტის გათვალისწინების გარეშე (შდრ. *ზავრელი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, [N14044/05](#), § 53, 18 იანვარი, 2007 წ.). შესაბამისად, მთავრობის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო ეროვნულ დონეზე დაცვის ყველა საშუალების გამოყენება, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

104. გოგონებზე მეურვეობის უფლებების საკითხზე ლიტვის სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების განხილვის შედეგად, სასამართლო ასევე აღდგენს, რომ არ არსებობს არანაირი ეჭვის შეტანის საფუძველი, რომ ისინი მიღებულ იქნა ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეროვნული სასამართლოები დაეყრდნენ სხვადასხვა ექსპერტის (სოციალური სამსახურები, ფსიქოლოგები და სკოლის დირექტორი) დასკვნებსა და ჩვენებებს. განმცხადებელმა გაასაჩივრა ყოფილი ქმრის ზნეობრივი ფასეულობები, ლიტვის სასამართლოებმა უპასუხეს მის შეკითხვებს და სასამართლომ არ მიიჩნია, რომ არსებობდა მოცემული დასკვნების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე მიზეზი. გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ მეურვეობასთან დაკავშირებული პროცესის დასაწყისში განმცხადებელი ლიტვაში ცხოვრობდა, მოგვიანებით იგი საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდა. სასამართლო იზიარებს ლიტვის სასამართლოს შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილი, იქნება ეს ლიტვა, თუ გერმანია, როგორც ასეთი, არ წარმოადგენდა გადამწყვეტ ფაქტორს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იყო ის გაურკვევლობა, რომელიც მომდინარეობდა განმცხადებლისა და მისი ადვოკატის უსაფუძვლო განცხადებებიდან ლიტვის სასამართლოებსა და ევროპულ სასამართლოში იმასთან დაკავშირებით, თუ სად აპირებდა განმცხადებელი ცხოვრებას. აღნიშნული ფაქტი სავარაუდოდ არ უნდა ყოფილიყო გოგონების ინტერესებში - ჰქონოდათ სტაბილური საცხოვრებელი ადგილი. ფაქტობრივად, აღმოჩნდა, რომ განმცხადებელი არ დაბრუნდა ლიტვაში, მისი დაპირების მიუხედავად. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ითვალისწინებს განმცხადებლის მტკიცებებს, რომ 2013 წლის ოქტომბერში ი.ბ. და გოგონები საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდნენ. თუმცა, ეს საკითხი სასამართლოსთვის არ არის გადამწყვეტი, ვინაიდან ეს მოხდა მას შემდეგ, რაც სამართალწარმოება მეურვეობასთან დაკავშირებით ლიტვაში დასრულდა. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ინფორმაცია ზუსტია, განმცხადებლის ქალიშვილები ახლა უფრო ახლოს არიან მასთან, რადგან განაცხადის ფორმაში მითითებული ინფორმაციის თანახმად, ისიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს.

105. სასამართლომ ასევე თანმიმდევრულად დაადგინა, რომ მართალია, კონვენციის მერვე მუხლი არ განმარტავს კონკრეტულ პროცედურულ მოთხოვნებს ჩარევასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამართლიანი უნდა იყოს და უნდა უზრუნველყოფდეს მოცემული დებულებით გარანტირებული ინტერესების სათანადოდ პატივისცემას (იხ. ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, § 64; ბუშემი იტალიის წინააღმდეგ, N29569/95, § 58, ECHR, 1999-VI და ელსჰოლცი, §52). წინამდებარე საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი თვითონ ან თავისი ადვოკატის მეშვეობით, არაერთხელ დაესწრო საქმის განხილვებს, სადაც მარიამპოლეს რაიონული სასამართლო განიხილავდა დაცვითი ღონისძიებებისა და მისი სამოქალაქო სარჩელის უპირატესობების საკითხებს. სახელმწიფოს მიერ დანიშნული სახაზინო ადვოკატის დახმარებით, მან

შეძლო წარედგინა თავისი მოთხოვნები და მტკიცებულებები, არგუმენტები და კომენტარები სხვა მონაწილეების მიერ სასამართლოში წარდგენილ არგუმენტებზე, წერილობითი თუ ზეპირი ფორმით; მას აგრეთვე გასაჩივრების უფლებაც ჰქონდა. საბოლოოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დასასრულს, განმცხადებელმა თვითონ დაადასტურა, რომ ყველა მტკიცებულება შეგროვებულ და შესწავლილ იქნა და მიმართა სასამართლოს, დაესრულებინა მტკიცებულებების შესწავლა. მიუხედავად ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლო კვლავ მიიჩნევს განმცხადებლის მონაწილეობას აუცილებლად, რათა უკეთ დაადგინოს საქმის გარემოებანი და ამგვარად ინარჩუნებს თავის აქტიურ როლს ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში. ამ შემთხვევაში, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელი, აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როდესაც შეეძლო წარმოედგინა ყველა არგუმენტი გოგონებზე მეურვეობის მინიჭებასთან დაკავშირებით თავის სასარგებლოდ და მისთვის ასევე ხელმისაწვდომი იყო ყველა შესაბამისი ინფორმაცია, რომელსაც სასამართლოები ეყრდნობოდნენ. გარდა ამისა, სასამართლოში ჩვენებები გოგონებმაც მისცეს, რაც გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის მიერ განსაზღვრული ბავშვის შეხედულებების პატივისცემის ვალდებულების შესაბამისად შესრულდა (იხ. *კუცნერის შემთხვევა* § 77). ასეთ ვითარებაში და იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული სასამართლოების ვალდებულებაა შეათვასონ მათ წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულებები (იხ. *საჰინი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N30943/96, § 73, ECHR, 2003-VIII და *სომერფელდი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N31871/96, § 71, ECHR, 2003-VIII (ამონარიდები)), სასამართლომ დამაკმაყოფილებლად ჩათვალა პროცედურული მოთხოვნების შესრულება კონვენციის მერვე მუხლის თანახმად და ის გარემოება, რომ განმცხადებელი ჩართული იყო გადანყვეტილების მიღების პროცესში, საერთო ჯამში, საკმარის დონეზე, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილიყო განმცხადებლის ინტერესების აუცილებელი დაცვა.

106. და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ლიტვის სასამართლოებს არ გამოუტანიათ დასკვნა იმის შესახებ, რომ განმცხადებელს მუდმივად ეკრძალებოდა ეცხოვრა საკუთარ ქალიშვილებთან ერთად (იხ. *ზ.ჯ. ლიტვის წინააღმდეგ*, § 105).

107. სასამართლო ადასტურებს დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას და აცხადებს, რომ სახელმწიფოს ვალდებულებები მერვე მუხლთან მიმართებით წარმოადგენს არა კონკრეტულ შედეგს, არამედ საშუალებებს (იხ. *პასკალი*, § 69). მოცემული საქმის ფაქტებზე დაყრდნობით, სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი მიეჩნია, რომ ლიტვის სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ განახორციელეს ადეკვატური და ეფექტური ძალისხმევა განმცხადებლის საკუთარ ქალიშვილებთან გაერთიანების შემთხვევაში და ამით დაარღვიეს განმცხადებლის უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას.

შესაბამისად, არ დარღვეულა მერვე მუხლი.





ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მომლაპარაკებელი სახელმწიფოების მიერ მე-8 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შესახებ ბავშვთა საერთაშორისო გატაცებასთან მიმართებით, როგორც ეს განმარტებულია ჰააგის კონვენციისა და ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის მოთხოვნების კონტექსტში. ქვეყნის ეროვნული სასამართლოების მიერ ბავშვის დაუბრუნებლობის შესახებ ბრძანებისთვის საკმარისი საპატიო მიზეზების წარუდგენლობა, რამაც პროცედურა ცამეტი თვით გააჭიანურა: დარღვევა.

**საქმე „ფერარი რუმინეთის წინააღმდეგ“**

**CASE OF FERRARI v. ROMANIA**

**განაცხადი N1714/10**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**28 აპრილი 2015**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელი - ადრიან როდოლფო ფერარი არგენტინის მოქალაქეა, დაბადებული 1971 წელს და მცხოვრები ბუენოს აირესში. საქმე ეხება განაცხადს რუმინეთის სასამართლოს წინაშე, განმცხადებლის ბავშვის არგენტინაში დაბრუნების შესახებ სასამართლო პროცესის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.

ბ-ნ ფერარის 2005 წლის აგვისტოში რუმინეთისა და არგენტინის მოქალაქესთან შეეძინა შვილი. ოჯახის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო არგენტინა, თუმცა ბ-ნ ფერარის სამხედრო პილოტის რანგში სამსახურეობრივი დავალებების გამო ისინი ხშირად მოგზაურობდნენ. 2006 წელს კვიპროსში რამდენიმე თვის განმავლობაში ერთად ცხოვრების შემდეგ, ბ-ნ ფერარი დაეთანხმა თავის ცოლს, რომ რამდენიმე თვით წასულიყო რუმინეთში და 2007 წლის ოქტომბერში, ბ-ნ ფერარის კონტრაქტის დასრულებისას, ბუენოს აირესში დაბრუნებულიყო. ცოლმა 2007 წლის ნოემბერში მას აცნობა, რომ ის ბავშვთან ერთად არგენტინაში არ დაბრუნდებოდა. შემდგომში, მან რუმინეთის სასამართლოში განქორწინებასა და ბავშვზე მეურვეობის შესახებ განცხადება შეიტანა. რუმინეთის სასამართლომ 2008 წლის აპრილში გამოიტანა განქორწინების შესახებ გადაწყვეტილება, მაგრამ მეურვეობის შესახებ გადაწყვეტილება არ გამოიტანა, ამასობაში ბ-ნ ფერარიმ განაცხადით მოითხოვა თავისი ბავშვის დაბრუნება ბავშვთა საერთაშორისო გატაცების შესახებ ჰააგის კონვენციის სამოქალაქო ასპექტების შესაბამისად. ჰააგის სამართალწარმოება რუმინეთის სასამართლოს წინააღმდეგ გაგრძელდა 2008 წლის მარტიდან 2009 წლის მაისამდე, როცა სასამართლომ გამოსცა თავისი საბოლოო გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, დაადგინა რა, რომ ბავშვი რუმინეთში

არაკანონიერად არ იყო ჩაყვანილი, ვინაიდან ამ მგზავრობაზე ორივე მშობელმა თანხმობა განაცხადა. მამას არ შეეძლო ბავშვის სათანადოდ მოვლა, რადგან მან სამსახურიდან განმეორებით მიიღო დავალება საზღვარგარეთ. 2011 წლის სექტემბერში, რუმინეთის სასამართლომ ბავშვზე მეურვეობის უფლება დედას მიანიჭა, ხოლო ბატონ ფერარის მისცა ბავშვის მონახულების უფლება. 2009 წლის ბოლო პერიოდის შემდეგ ბატონმა ფერარიმ რუმინეთში ბავშვი სამჯერ მონახულა.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

30. განმცხადებელმა კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლების მიხედვით ბავშვის დაბრუნებაზე რუმინეთის ცენტრალური ხელისუფლების მეშვეობით შეიტანა განაცხადი სასამართლო პროცესის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. რუმინეთის სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ მოახერხეს რა სწრაფად მოქმედება, ხელი შეუწყვეს განმცხადებელსა და მის ბავშვს შორის ოჯახური კავშირების წყვეტას.

31. რადგან სასამართლო არის საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ხასიათის შემფარდებელი, იგი არ არის ვალდებული გაიზიაროს მხარეთა მიერ საქმის ფაქტებზე შეთავაზებული სამართლებრივი კვალიფიკაცია. განაცხადისთვის დამახასიათებელია მასში გამოთქმული ფაქტები და არა უბრალოდ ის იურიდიული საფუძვლები და არგუმენტები, რომლებსაც ის ეყრდნობა (იხ. *გუერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ*, 1998 წლის 19 თებერვალი § 44, ანგარიშები განჩინებებსა და გადანაცვლებებზე 1998-I; *შვიცგებელი შვეიცარიის წინააღმდეგ*, N25762/07, § 69, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2010 (ამონარიდები); ან *კარერი რუმინეთის წინააღმდეგ*, N16965/10, § 25, 2012 წლის 21 თებერვალი). წინამდებარე საქმეში, სასამართლო შენიშნავს, რომ განაცხადში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია განმცხადებლის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევაზე. შესაბამისად, ე.წ. *jura novit curia*<sup>1</sup> პრინციპით, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის საჩივრები შესწავლილ უნდა იქნეს მხოლოდ კონვენციის მე-8 მუხლით, რომელიც ასე იკითხება:

„1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების,

<sup>1</sup> „სასამართლო თვითონ ირჩევს, რა კანონები გამოიყენოს განსახილველი საკითხის გადაჭრისას“.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისთვის, უნესრიგობისა და დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა, ან მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

## **ბ. საქმის არსებითი გარემოებები**

### **1. მხარეთა განცხადებები**

#### **(ა) განმცხადებლის პოზიცია**

33. განმცხადებელმა არაერთგზის გაიმეორა, რომ ჰააგის კონვენციის მიზანია უზრუნველყოს ბავშვის სწრაფი დაბრუნება მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, რათა მუდმივად საცხოვრებელი ქვეყნის სასამართლოს მიეცეს შესაძლებლობა, გადაწყვეტილება მიიღოს მეურვეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ჰააგის კონვენციით, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სწრაფ დაბრუნებაზე, ბავშვის კეთილდღეობის მდგომარეობის სწრაფი და ეფექტიანი, სიღრმისეული შესწავლის მეშვეობით. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ბავშვის კეთილდღეობის ან „საუკეთესო ინტერესის“ საკითხის განხილვა შეესაბამება ჰააგის კონვენციის საფუძველზე ჩატარებულ გამოკითხვას. აღნიშნული გამოკითხვა არ იქნება თავისუფალი ან ფართომასშტაბიანი, რომელიც საჭირო იქნებოდა ბავშვისთვის გრძელვადიანი გეგმების შედგენის პროცესში.

34. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სასამართლო წარმოება დიდხანს გაგრძელდა და ის გაჭიანურებული ვადები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, არც სასამართლო წარმოების დროს და არც აღსრულების ეტაპზე არ იყო აუცილებელი. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დაბრუნების შესახებ ბრძანების აღსასრულებლად არ გადადგმულა რაიმე არსებითი ან ეფექტიანი ნაბიჯი. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ დაუშვს რა ასეთი გაჭიანურებული ვადები სამართალწარმოების პროცესში, შესაბამისმა ორგანოებმა ბავშვის დედას შესაძლებლობა მისცეს, მოეთხოვა ცვლილება გარემოებებში და ამგვარად, მიეღწია დაბრუნების შესახებ ბრძანების ანულირებისათვის.

35. განმცხადებლის მოსაზრებით, გათვალისწინებული დაბრუნების შესახებ თხოვნის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას, რუმინეთის სასამართლომ გაითვალისწინა და დაადგინა მეურვეობის საკითხის არსებითი გარემოება და არაპროცედურული საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი იურისდიქციით უნდა მოხდეს მეურვეობის საკითხის გადაწყვეტა. შესაბამისად, რუმინეთის სასამართლომ არასწორად განმარტა ბავშვის კეთილდღეობის ცნება ჰააგის კონვენციის კონტექსტში.

## **(ბ) მთავრობის პოზიცია**

36. მთავრობა ამტკიცებს, რომ მთელი სამართალწარმოების განმავლობაში, განმცხადებელს არ უცდია აღედგინა ბავშვზე მეურვეობა. დედას არასდროს უცდია დაემალა ბავშვი ან ხელი შეემალა მათი პირადი ურთიერთობისთვის, რადგან ბავშვს მამასთან ტელეფონით და ინტერნეტის მეშვეობით ჰქონდა კონტაქტი.

37. მთავრობა მიიჩნევს, რომ ჰააგის კონვენციის მიხედვით, სამართალწარმოების საერთო ხანგრძლივობა არ ყოფილა არაგონივრული და აღნიშნავს, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობდა უწყვეტად და საქმის გადადება აუცილებლობას წარმოადგენდა. მთავრობა აგრეთვე აღნიშნავს, რომ განმცხადებელსა და მის ვაჟიშვილს შორის ოჯახური კავშირი არასოდეს განწყვეტილა.

38. მთავრობა აგრეთვე ამტკიცებს, რომ ნაციონალურმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბავშვის საუკეთესო ინტერესები და მისი პოზიციის ცვლილება გამონვეული იყო იმ ფაქტის დადგენით, რომ ბავშვი დასახლდა თავის ახალ გარემოში, რაც არის გამონაკლისი, რომელიც ცალსახად არის მოცემული ჰააგის კონვენციის მე-12 მუხლში.

39. მთავრობამ აგრეთვე აღნიშნა, რომ დაბრუნების შესახებ ბრძანების გაუქმების გამო, რუმინეთის სასამართლომ საბოლოოდ შეძლო მეურვეობის საკითხის გადაჭრა. ამ ეტაპზე, მთავრობა აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ გაუსაჩივრებია სასამართლოს ბრძანება, ვინაიდან ის ეხებოდა მეურვეობისა და მონახულების უფლებების მიკუთვნებას და ამგვარად, დაკმაყოფილდა ამ შედეგით.

40. მთავრობის მოსაზრებით, შესაბამისმა ნაციონალურმა ორგანომ დააკმაყოფილა ჰააგის კონვენციით და კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა.

## **2. სასამართლოს შეფასება**

### **(ა) ზოგადი პრინციპები**

41. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელსა და მის ვაჟიშვილს შორის ურთიერთობა, კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, პირველ რიგში, ოჯახური ცხოვრების ტოლფასია.

42. ის აგრეთვე მიუთითებს ოჯახური ცხოვრების სფეროში იმ ზოგად პრინციპებსა და ჰააგის კონვენციის გავლენაზე სასამართლოს მუშაობაზე, როგორც იგი ცოტა ხნის წინ განისაზღვრა მე-10 თავში, §§ 92-108.



43. კერძოდ, სასამართლო იმეორებს, რომ მშობლებისა და ბავშვების ერთად ყოფნა შეადგენს ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ კომპონენტს და ის დასჯულია კონვენციის მე-8 მუხლით (იხ. *მონორი რუმინეთისა და უნგრეთის წინააღმდეგ*, N71099/01, § 70, 2005 წლის 5 აპრილი და *იოსებ კარასი რუმინეთის წინააღმდეგ*, N7198/04, §§ 28-29, 2006 წლის 27 ივლისი).

44. ოჯახური ურთიერთობები მგრძობიარე სფეროა, შესაბამისად, სახელმწიფო არა მხოლოდ ვალდებულია თავი შეიკავოს იმ ზომების მიღებისგან, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ ოჯახური ცხოვრების ეფექტიანად განხორციელებას, არამედ თითოეული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მან უნდა განახორციელოს პოზიტიური ქმედება იმისათვის, რათა უზრუნველყოს ამ უფლებების ეფექტიანი განხორციელება. ამ სფეროში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დამყარდეს სწორი ბალანსი რისკის ქვეშ მდგარ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ინტერესებს - ბავშვის, ორი მშობლისა და საზოგადოებრივ წესრიგს შორის, ამ საკითხებზე სახელმწიფოებისთვის მიცემული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში (იხ. *მამოსო და ვაშინგტონი საფრანგეთის წინააღმდეგ*, N39388/05, §62, 2007 წლის 6 დეკემბერი), თუმცა მთავარი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები (იხ. *გნაჰორი საფრანგეთის წინააღმდეგ*, N40031/98, § 59, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-IX) და თავიდან აცილებისა და დაუყოვნებლივი დაბრუნების მიზნები შეესაბამებოდნენ „ბავშვის საუკეთესო ინტერესების“ კონკრეტულ ცნებას (იხ. *იესი ლატვიის წინააღმდეგ*, §95).

45. ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სფეროსთან მიმართებით, მომლაპარაკებელი სახელმწიფოებისთვის მე-8 მუხლით დაკისრებული ვალდებულებები უნდა განიმარტოს ჰააგის კონვენციის ; 1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის; მომლაპარაკებელ მხარეებს შორის ურთიერთობებში გამოყენებული საერთაშორისო სამართლის შესაბამისი წესებისა და პრინციპების მოთხოვნების ჭრილში (იხ. *იესი ლატვიის წინააღმდეგ* § 93).

46. დაბრუნების შესახებ განაცხადის კონტექსტში, რომელიც განსხვავდება მეურვეობის შესახებ სამართალწარმოებისგან, თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ეროვნულმა ორგანოებმა, რომლებიც სხვასთან ერთად იღებენ სარგებელს დაინტერესებულ მხარეებთან უშუალო კონტაქტიდან, უნდა დაადგინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები და შეათვასონ საქმე ჰააგის კონვენციით განსაზღვრული გამონაკლის შემთხვევებთან მიმართებით. მე-8 მუხლის შესაბამისად, თავიანთი ამოცანის შესრულებისას, ნაციონალურ სასამართლოს გააჩნია დისკრეციული უფლებების ფარგლები, რომელიც, თავის მხრივ, ექვემდებარება ევროპის მხრიდან ზედამხედველობას (იხ. *იესი ლატვიის წინააღმდეგ*, §101). სახელმწიფოს დისკრეციული უფლებების ფარგლების მიუხედავად, სასამართლოს მოუწოდებენ გამოიკვლიოს, გადანყვეტილების მიღების პროცესი, იყო თუ არა ჩარევა

სამართლიანი და სრულად მისცა თუ არა შესაბამის მხარეებს თავიანთი საქმის წარმოდგენის შესაძლებლობა, ასევე დაცული იყო თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესები (იხ. *იგნაკოლო-გენიდე რუმინეთის წინააღმდეგ*, N31679/96, §99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-I და *ტიემანი საფრანგეთისა და გერმანიის წინააღმდეგ* (განჩინება), N47457/99 და N47458/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-IV).

47. ამ მიზნით, სასამართლო მიიჩნევს, რომ შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ევროპული კონვენციისა და ჰააგის კონვენციის ჰარმონიული ინტერპრეტაცია, იმ პირობით, თუ დაცული იქნება ეს ორი მომდევნო პირობა. პირველი, თხოვნის მიმღებმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტორები, რომლებიც წარმოადგენენ ბავშვის დაუყოვნებლივი დაბრუნებისთვის გამონაკლის შემთხვევას ზემოაღნიშნული კონვენციის მე-12, მე-13 და მე-20 მუხლების გამოყენებისას, კერძოდ, როცა იგი სამართალწარმოების პროცესში წამოჭრილია საქმეში მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიერ. სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით საკმარისად დასაბუთებულია, რათა დადასტურდეს, რომ ეს საკითხები ეფექტიანად იქნა შესწავლილი. მეორე, უნდა მოხდეს ამ ფაქტორების შეფასება კონვენციის მე-8 მუხლის ჭრილში (იხ. *იესი ლატვიის წინააღმდეგ*, §106 და *ნოილინგერი და შურუკი შვეიცარიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N41615/07, §133, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2010).

48. შედეგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-8 მუხლი ეროვნულ ორგანოს აკისრებს კონკრეტულ პროცედურულ ვალდებულებას: ბავშვის დაბრუნებაზე განაცხადის შეფასებისას, სასამართლომ უნდა განიხილოს არა მხოლოდ ბავშვის დაბრუნებაზე სადავო უარი, არამედ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება კონკრეტული მიზეზების დასახელებით საქმის გარემოებების მიხედვით. როგორც დაბრუნებაზე უარის გათვალისწინების უარყოფა, რომელიც შეიძლება რეგულირდებოდეს ჰააგის კონვენციის მე-12, მე-13 და მე-20 მუხლებით, გადაწყვეტილების გამოტანისას არასაკმარისი დასაბუთება, როცა ხდება ამ უარის უკუღვებელყოფა ან მასზე დათანხმება, შეენიანააღმდეგება კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს, აგრეთვე ჰააგის კონვენციის მიზანსა და დანიშნულებას. საჭიროა სათანადოდ განხილულ იქნეს ეროვნული სასამართლოს მიერ დასაბუთებით ნაჩვენები წინა სასამართლო განცხადებები. ეს განხილვა არ უნდა იყოს ავტომატური და სტერეოტიპური ხასიათის, არამედ საკმარისად დეტალური ჰააგის კონვენციაში მოცემული გამონაკლისი შემთხვევების კონტექსტში. ეს კონვენცია ინტერპრეტირებული უნდა იქნეს მკაცრად (შებლუღულად) (იხ. *იესი ლატვიის წინააღმდეგ*, § 107).

49. სასამართლო აგრეთვე იმეორებს, რომ ბავშვებისა და მშობლების ხელახლა გაერთიანებასთან დაკავშირებულ საკითხებში მისაღები ზომის შესაბამისობა უნდა

შეთვასდეს მისი განხორციელების სისწრაფით. ასეთი შემთხვევები საჭიროებენ გადაუდებელ რეაგირებას, ვინაიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბავშვებსა და იმ მშობელს შორის, რომელიც ბავშვებთან არ ცხოვრობს, ურთიერთობას შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს (იხ. *იოსებ კარასი*, § 38 და *ბლაგა*, § 72). მხოლოდ პროცედურის შეფერხებამ შეიძლება საშუალება მისცეს სამართლოს დაასკვნას, რომ შესაბამისი ორგანოები არ დაემორჩილნენ კონვენციით გათვალისწინებულ თავიანთ პოზიტიურ ვალდებულებებს (იხ. *შო უნგრეთის წინააღმდეგ*, N6457/09, § 72, 2011 წლის 26 ივლისი).

## **(ბ) ამ პრინციპების საქმის ფაქტების მიმართ გამოყენება**

50. სასამართლო შეისწავლის იმ ფორმას, რომლითაც ეროვნულმა სასამართლომ გამოიყენა ჰააგის კონვენცია განსახილველ საქმეში. ამგვარად, ის შენიშნავს, რომ ბავშვის დაბრუნების მოთხოვნა შეისწავლა ორმა ჩვეულებრივი იურისდიქციის მქონე სასამართლომ, რომლებიც საქმეში არსებული სამხილის საფუძველზე, შეთანხმდნენ იმაზე, რომ ბავშვი რუმინეთში უკანონოდ იყო შეკავებული და შესაბამისად, გამოსცეს განკარგულება მისი დაბრუნების შესახებ არგენტინაში მდებარე მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

51. მიუხედავად ამისა, ამ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა მოხდა დედის მიერ შეტანილი საგანგებო საჩივრის მეშვეობით, რომელმაც დაბრუნების შესახებ ბრძანება მიიჩნია „დაუსაბუთებლად და უკანონოდ“. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს არგუმენტები, უკავშირდება საქმის არსებით გარემოებებს და საბოლოო და სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა იმ უბრალო მიზეზით, რომ წარმოდგენილი მტკიცებულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, არაა გამართლებული და ეს არღვევს განმცხადებლის უფლებას სამართლიან (მიუკერძოებელ) განხილვაზე (მოსმენაზე) (იხ. *მიტრეა რუმინეთის წინააღმდეგ*, N26105/03, §§ 27- 30, 2008 წლის 29 ივლისი). წინამდებარე საქმეში, ქვეყნის სასამართლომ შეისწავლა წინასასამართლო განცხადებები იმის შესახებ, რომ განმცხადებელს არ შეეძლო ბავშვის მოვლა და ისინი მხედველობაში არ მიიღო; ამ კონტექსტში, იგივე საკითხის ხელახლა შესწავლა, რომელსაც ამაგრებენ სხვა არგუმენტები (განმცხადებლის სამსახურებრივი მოგზაურობები), არ არის თავსებადი სასამართლოს მიერ პრეცედენტულ სამართალში განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. გარდა ამისა, საქმეში არ არსებობს მინიშნება იმაზე, რომ მ.ტ.რ-ს არ შეეძლო დაეყენებინა ეს არგუმენტი სასამართლო წარმოების პირველ ეტაპზე (იხ. *mutatis mutandis*<sup>2</sup>, *პოპოვი მოლდოვას წინააღმდეგ* (N2), N19960/04, §§ 50 – 54, 2005 წლის 6 დეკემბერი).

<sup>2</sup> სათანადო შესწორებების შეტანით

52. გარდა ამისა, დაბრუნების შესახებ ბრძანებების ბათილად გამოცხადების შემდეგ მიღებულ თავის საბოლოო გადაწყვეტილებაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვი რუმინეთში უკანონოდ არ ჩაუყვანიათ, რადგან ორივე მშობელი თანახმა იყო ამ მოგზაურობაზე. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ ვერ შეძლო დაედგინა, შეჩერება იმ ვადაზე მეტი ხნით, რაც თავდაპირველად იყო შეთანხმებული, აკმაყოფილებს თუ არა ჰააგის კონვენციის მოთხოვნებს. გარდა ამისა, მთავარი მიზეზი, რომელიც საფუძვლად დაედო ახალ საბოლოო გადაწყვეტილებას იყო ის, რომ მამას არ შეეძლო ბავშვის მოვლა, მისი ხშირი მოგზაურობების გამო. სასამართლო არაა დარწმუნებული იმაში, რომ ეს არგუმენტები შეესაბამება ჰააგის კონვენციის სასამართლო წარმოების ფარგლებს და საკმარისია დაბრუნების შესახებ ბრძანების გასაუქმებლად.

53. სასამართლო იმეორებს, რომ ეროვნულ სასამართლოს უკეთ შეუძლია მის წინაშე საქმის გარემოებების შესწავლა. შესაბამისად, სასამართლო უშვებს იმას, რომ დროის გასვლამ გამოიწვია ცვლილება ბავშვთან მიმართებით, რომელსაც შედეგად მოჰყვა ჰააგის მე-12 მუხლის გამოყენება. თუმცა, საჭიროა დადგინდეს, ეს ცვლილება გამოწვეული ან ნებადართული იყო თუ არა შესაბამისი ორგანოების მიერ, კერძოდ, სასამართლო წარმოების საერთო ხანგრძლივობით და ორგანოების დამოკიდებულებით აღსრულების საკითხის მიმართ. სასამართლო ასევე იმეორებს, რომ ოჯახური ცხოვრების ქმედითი პატივისცემა საჭიროებს, რომ მომავალში ურთიერთობები მშობლებსა და ბავშვებს შორის არ განისაზღვრებოდეს დროის უბრალოდ ბუნებრივი გასვლით (იხ. *ჰ. დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*, 1987 წლის 8 ივლისი, § 90, სერია A, N120).

54. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ ნაციონალურ სასამართლოს დასჭირდა 13 თვე საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად (2008 წლის 30 მარტიდან 2009 წლის 4 მაისამდე). სასამართლომ ადრე მსგავსი ხანგრძლივობა გადაჭარბებულად მიიჩნია, კერძოდ, იმ სისწრაფის მოთხოვნის გათვალისწინებით, რომელიც საფუძვლად უდევს ჰააგის კონვენციის პროცედურას (იხ. *მონორი*, § 82 , 12 თვე; *კარერი*, § 54, 11 თვე; აღნიშნული საქმის საპირისპიროდ *შტრიომბლადი*, § 93 ). სასამართლო იმეორებს, რომ ნაციონალურ სასამართლოს აკისრია ვალდებულება, დაბრუნების შესახებ განცხადება სწრაფად დაამუშავოს, მათ შორის, გასაჩივრებული.

55. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ თუმცა 2008 წლის 8 ივლისს გაცემული ბრძანება დაბრუნების შესახებ საბოლოო იყო და შესაბამისად, დაუყოვნებლივ აღსასრულებელი, შესაბამის ორგანოებს აღსრულების წარმოება 2008 წლის 22 დეკემბერზე ადრე არ დაუწყიათ; უმოქმედობის თითქმის ხუთთვიანი პერიოდი არ ითვლება. გარდა ამისა, საქმეში არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ქმედებებს მიმართა სასამართლოს აღმასრულებელმა, გარდა დედის ჩართვისა განხილვებში და დაბრუნების შესახებ ბრძანების შესრულებაზე



მისი უარის დათქმის რეზიუმე. სასამართლო აღნიშნავს, რომ მანამ, სანამ დაბრუნების შესახებ ბრძანება ძალაში იყო, კერძოდ, 2009 წლის 23 თებერვლამდე, შესაბამის ორგანოებს არ ჰქონდათ მიზები, არ დაეწყათ ამ ბრძანების აღსრულება. აღნიშნული ფაქტი საეჭვოს ხდის, მისცა თუ არა მოქმედმა პროცედურულმა ჩარჩომ შესაძლებლობა განმცხადებელს, თავისი უფლებები ეფექტიანად გამოეყენებინა.

56. ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმარისია იმისათვის, რათა სასამართლომ დაასკვნას, რომ არდაბრუნების შესახებ ბრძანების არასაკმარისი მიზმების წარმოდგენლობით პროცედურის 13 თვის მანძილზე გაგრძელებით და აღსრულების წარმოების გაჭიანურებით, შესაბამისმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს დაბრუნებასთან დაკავშირებული წარმოების სწრაფი და ეფექტიანი განხორციელება. შედეგად, განმცხადებელმა ვერ მიიღო თავისი ოჯახური ცხოვრების უფლების ეფექტიანი დაცვა.

შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება განმცხადებლის, როგორც მშობლის პასუხისმგებლობასა და ვაჟიშვილთან კონტაქტის უფლებებზე.

განმცხადებელმა დროებითი ფსიქიკური აშლილობის შედეგად მოკლა თავისი ცოლი და გაიარა ფსიქიატრიული მკურნალობის კურსი.

ეროვნულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება - ბავშვის ბებიისთვის დატოვებასა და მამისთვის თავის ვაჟიშვილთან კონტაქტის ნებართვის მიცემაზე, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შეესაბამებოდა: დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

**საქმე „კრაპივინი რუსეთის წინააღმდეგ“**

CASE OF KRAPIVIN v. RUSSIA

განაცხადი N [45142/14](#)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

12 ივლისი 2016

**ფაქტობრივი გარემოებები**

განმცხადებელი, ანდრეი კრაპივინი რუსეთის მოქალაქეა, დაბადებული 1964 წელს და მცხოვრები პერმში (რუსეთი). საქმე ეხება 2005 წელს დაბადებულ ვაჟიშვილთან კონტაქტის უფლებას. 2009 წელს ბ-ნმა კრაპივინმა სასიკვდილოდ დაჭრა თავისი ცოლი. მკვლელობას შეესწრო მათი სამი წლის ვაჟიშვილი. 2010 წელს ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბ-ნ კრაპივინს, რომელიც დროებითი ფსიქიკური აშლილობის ქვეშ იყო, სტრესულ სიტუაციაზე მწვავე რეაქცია ჰქონდა, რის ფონზეც მოკლა თავისი ცოლი, სწორედ ამ მოტივით სასამართლომ გაათავისუფლა იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და გასცა ბრძანება მისი იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის შესახებ. ის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან 2011 წლის თებერვალში გამოუშვეს. ამასობაში მისი ვაჟი იყო დედის მხრიდან ბებიის - ვ-ს მზრუნველობის ქვეშ.

2011 წლის მარტში ბ-ნ კრაპივინმა განაცხადი შეიტანა ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის სამსახურში და მოითხოვა თავისი ვაჟიშვილის მისთვის გადაცემა. მას ამ მოთხოვნაზე უარი ეთქვა. ამას მოჰყვა სასამართლო საქმის წარმოება, ხოლო 2012 წლის აგვისტოში სასამართლომ უგულებელყო ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის სამსახურისა და ვ-ს განაცხადი. ბ-ნ კრაპივინისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევისა და ბ-ნ კრაპივინის შემხვედრი მოთხოვნა ვ-ს მეურვეობის დასრულებისა და ვაჟიშვილის მისთვის დაბრუნების შესახებ. რაიონულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა და დაასკვნა, რომ ბავშვის პატარა ასაკისა და ბებიაზე დამოკიდებულების გათვალისწინებით, საცხოვრებელი ადგილის

შეცვლა ტრავმული იქნებოდა. თუმცა ბ-ნ კრაპივინს შეეძლო გაეგრძელებინა კონტაქტი თავის შვილთან.

შემდეგ დაიწყო სამართალწარმოება ბავშვთან ურთიერთობის უფლების შესახებ. ბ-ნ კრაპივინმა განაცხადა, რომ ბებია ვაჟიშვილის ნახვის შესაძლებლობას არ აძლევდა. 2013 წლის მაისში ეროვნულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებში არ შედიოდა მამამისთან ურთიერთობის განახლება. სასამართლომ ეს გადაწყვეტილება იმით გაამართლა, რომ ბ-ნმა კრაპივინმა არ წარმოადგინა სამხილი, რომელიც დაადასტურებდა მისი მენტალური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ასევე იმას, რომ ბავშვისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა; ტრაგიკული მკვლელობის ფაქტი ბავშვის თვალწინ მოხდა, რამაც მას ღრმა ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა; სამი წლის ასაკიდან ბავშვს ზრდიდა და მასზე ზრუნავდა ბებია და მამა დიდი ხნის განმავლობაში არ უნახავს; ბ-ნ კრაპივინი ხშირად მიემგზავრებოდა გრძელვადიან სამსახურებრივ მივლინებებში, რის გამოც ოთხი თვიდან ორი თვე ქალაქში არ იყო. ამ გადაწყვეტილებას 2013 წლის სექტემბერში სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა.

ახალი სამართალწარმოება, რომელიც ბ-ნ კრაპივინის მშობლის უფლებასა და ბავშვთან ურთიერთობის უფლებას ეხებოდა დაიწყო 2014 წლის დეკემბერში. სასამართლომ ხელახლა შეათვასა მდგომარეობა, მაგრამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბავშვი სამი წლის ასაკიდან ბებიასთან ცხოვრობდა, მასზე იყო დამოკიდებული და სურდა მასთან ცხოვრება გაეგრძელებინა, ბ-ნ კრაპივინის სამუშაო კი მოითხოვდა მის გრძელვადიან მოგზაურობებს, ამიტომ სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის ბებიასთან დარჩენა მის განვითარებაზე უფრო დადებით გავლენას მოახდენდა. თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვს, რომელიც იმ დროისთვის თითქმის ათი წლის იყო, ჰქონდა მამასთან ურთიერთობის უფლება. კერძოდ, ბ-ნ კრაპივინმა დაამყარა ურთიერთობა და ინარჩუნებდა რეგულარულ კონტაქტებს ვაჟიშვილთან, სკოლაში, ტელეფონით და ინტერნეტით. გარდა ამისა, რეგულარულად იხდიდა თანხებს ბავშვის შესანახად და არ არსებობდა არანაირი სამხილი, რომელიც დაადასტურებდა მის მავნე ზემოქმედებას ბავშვზე, რომელმაც თავადაც გამოთქვა მამასთან ურთიერთობის სურვილი.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

60. განმცხადებელმა პრეტენზია განაცხადა 2014 წლის 13 თებერვალს დასრულებულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება დაირღვა, ვინაიდან ეროვნულმა

სასამართლომ მას უარი უთხრა ვაჟიშვილთან ურთიერთობის უფლებაზე. კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„1. ყველას აქვს უფლება დაცული იყოს მისი ... ოჯახური ცხოვრება...

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა, ან მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (ა) ზოგადი პრინციპები

64. სასამართლო იმეორებს, რომ მშობლისა და ბავშვის ერთად ყოფნა წარმოადგენს ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ კომპონენტს და ნაციონალური ორგანოს მიერ მიღებული ზომები, წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლების განხორციელებაში ხელის შეშლას. ამ უფლებაში ჩარევა წარმოადგენს ამ დებულების დარღვევას, თუკი ის „არ შეესაბამება კანონს“, ახორციელებს კანონიერ მიზანს ან მიზნად ისახავს კანონიერ შედეგს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და შეიძლება მიჩნეული იქნეს, როგორც „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (იხ. *კ.ა. ფინეთის წინააღმდეგ*, N27751/95, §92, 14 იანვარი, 2003 წ.).

65. იმის დასადგენად, ასეთი „აუცილებლობა“ არსებობდა თუ არა მოცემულ დროს შექმნილ კონკრეტულ გარემოებებში, სასამართლო იმსჯელებს, ამ ზომების გასამართლებლად წარმოდგენილი მტკიცებულებები არის თუ არა რელევანტური და საკმარისი კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნისთვის. უდავოა, რომ იმაზე მსჯელობას, რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მსგავსი შინაარსის მქონე ყველა შემთხვევისთვის. გარდა ამის, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ქვეყნის შესაბამის ორგანოს შეუძლია პირდაპირი კონტაქტი იქონიოს საქმეში მონაწილე ყველა პირთან. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ამოცანა არის არა ის, რომ ჩაენაცვლოს შესაბამის ეროვნულ ორგანოს მეურვეობასა და ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების განხორციელებისას, არამედ ის, რომ კონვენციის კონტექსტში განიხილოს ამ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება მისი დისკრეციული უფლებამოსილებების არეალს (იხ. *ჰოკანენი ფინეთის*



*წინააღმდეგ*, 23 სექტემბერი, 1994 წ., § 55, სერია A, N 299-A; *ელსპოლცი გერმანიის წინააღმდეგ*, [დიდი პალატა], N25735/94, § 48, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-VIII ; *ზომერფელდი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N31871/96, §62, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2003-VIII (ამონარიდები) ; *შეიცარიის წინააღმდეგ*, N 9929/12, § 49, 27 მაისი, 2014 წ. და *პ.კ. პოლონეთის წინააღმდეგ*, N43123/10, § 84, 10 ივნისი, 2014 წ.).

66. დისკრეციული უფლებამოსილებების არეალი, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნეს შესაბამის ეროვნულ ორგანოსთან, შეიცვლება რისკის ქვეშ მყოფი საკითხების ბუნებიდან და ინტერესების მნიშვნელობიდან გამომდინარე. ამგვარად, სასამართლო აღიარებს, რომ ამ ორგანოს გააჩნია თვითონ დისკრეციული უფლებები, კერძოდ, მეურვეობის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. თუმცა, საჭიროა უფრო დეტალური შესწავლა სხვა ნებისმიერ შემზღუდვასთან, მაგალითად, რომელსაც აწესებს მოცემული ორგანო მშობლის უფლებაზე - ნახოს ბავშვი და ნებისმიერ იმ სამართლებრივ გარანტიასთან დაკავშირებით, რომლის მიზანია უზრუნველყოს ოჯახური ცხოვრების პატივისცემასთან მიმართებაში მშობლებისა და ბავშვების უფლებების ეფექტიანი დაცვა. ასეთი დამატებითი შემზღუდვები გამოიწვევს იმის საშიშროებას, რომ ბავშვსა და ერთი ან ორივე მშობელს შორის ოჯახურ ურთიერთობას საფრთხე შეექმნება (იხ. *ელსპოლცი*, § 49; *ზომერფელდი* § 63 და *გიორგიულუ გერმანიის წინააღმდეგ*, N74969/01, § 42, 26 თებერვალი, 2004 წ.).

67. კონვენციის მე-8 მუხლი მოითხოვს, რომ უნდა დამყარდეს სამართლიანი ბალანსი ბავშვისა და მშობლის ინტერესებს შორის და ამ პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რომლებმაც მათი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება გადაფარონ მშობლის ინტერესები. კერძოდ, მე-8 მუხლის თანახმად, მშობელს არ აქვს უფლება გამოიყენოს ისეთი ზომები, რომელიც დააზიანებს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას (იხ. *ელსპოლცი*, §50; *ჰოპე გერმანიის წინააღმდეგ*, N28422/95, §49, 5 დეკემბერი, 2002 წ. და *გიორგიულუ*, §43).

68. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ თუმცა კონვენციის მე-8 მუხლი არ შეიცავს ცალსახა პროცედურულ მოთხოვნებს, ჩარევის ზომებში მონაწილე გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა იყოს სამართლიანი და ისეთი, რომლითაც მოხდება მე-8 მუხლით დაცული ინტერესების სათანადოდ დაცვა. სასამართლოს არ შეუძლია სათანადოდ შეაფასოს ის, თუ რამდენად ამართლებენ ნაციონალური სასამართლოს მიერ წარმოდგენილი სამხილები ამ ზომებს და საკმარისია კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის, ამავე დროს იმის განსაზღვრის გარეშე, მშობელი ჩართული იყო თუ არა გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმ ხარისხით, რაც საკმარისია მისი ინტერესების სათანადოდ დაცვის უზრუნველსაყოფად (იხ. *ზიუსი გერმანიის წინააღმდეგ*, N40324/98, § 89, 10 ნოემბერი, 2005 წ.).

**(ბ) ამ პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმესთან მიმართებაში**

69. სასამართლო მიიჩნევს და ეს არის საერთო პოზიცია მხარეთა შორის, რომ განმცხადებელსა და მის ვაჟიშვილს შორის ურთიერთობა წარმოადგენს „ოჯახურ ცხოვრებას“ კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით.

70. სასამართლო აგრეთვე მიიჩნევს, რომ 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებამ, რომლითაც განმცხადებელს უარი ეთქვა თავის ვაჟიშვილთან ურთიერთობის უფლებებზე, უდავოდ ხელი შეუშალა განმცხადებლისა და მისი ვაჟიშვილის მიერ ურთიერთობას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრულ განმცხადებლის უფლებაში ჩარევას.

71. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს ჩარევა „შეესაბამებოდა კანონმდებლობას“ და მიზნად ისახავდა კანონიერ შედეგს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, რაც ითვალისწინებს ბავშვის „ჯანმრთელობის ან ზნეობის“ და „უფლებებისა და თავისუფლების“ დაცვას. საჭიროა დადგინდეს, წინამდებარე საქმის ფარგლებში მშობლის მიერ კონტაქტის უარყოფა შეიძლება თუ არა ჩაითვალოს „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

72. სასამართლომ უნდა იმსჯელოს აღნიშნული საქმის მთლიან კონტექსტში, ამ ზომის გასამართლებლად წარმოდგენილი მტკიცებულებები არის თუ არა რელევანტური და საკმარისი კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მიზნებისთვის.

73. წინამდებარე საქმეში, ეროვნულმა სასამართლომ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები იმ გადაწყვეტილებების დასასაბუთებლად, რომელთა მიხედვითაც განმცხადებელს უარი ეთქვა ბავშვთან კონტაქტზე. კერძოდ, რომ განმცხადებელმა მოკლა ბავშვის დედა მისთვის დანიით მრავლობითი ჭრილობის მიყენებით, შემდეგ გათავისუფლდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და გაიარა სავალდებულო ფსიქიატრიული მკურნალობა. განმცხადებელს აგრეთვე არ წარმოუდგენია სამხილი, რომელიც დაადასტურებდა, რომ მისი მენტალური ჯანმრთელობა გაუმჯობესდა და ის აღარ წარმოადგენდა საფრთხეს ბავშვისთვის. ეროვნულმა სასამართლომ აგრეთვე გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ტრაგიკული მოვლენები მოხდა ბავშვის თვალწინ და ამან ღრმა ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა, ასევე ოთხ წელზე მეტი ხნის მანძილზე ბავშვი აღზარდა ბებიამ დედის მხრიდან და მამა დიდი ხნის განმავლობაში არ უნახავს, რადგან მამის სამუშაო განრიგი მოითხოვდა ქალაქიდან მის ხშირ გამგზავრებას (ყოველ ოთხ თვეში - ორი თვე), რაც ყოველკვირეულ შეხვედრებს შეუძლებელს ხდიდა.

74. როცა საქმე ეხება ეროვნული სასამართლოს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საკმარისობის შეფასებას მათი იმ გადაწყვეტილების დასასაბუთებლად, რომლითაც განმცხადებელს უარი ეთქვა თავის ვაჟიშვილთან

ურთიერთობაზე, სასამართლო შენიშნავს, რომ გადანყვეტილების მიღების პროცესმა მთლიანობაში უზრუნველყო განმცხადებლის ინტერესების სათანადო დაცვა. 2013 წლის 14 მაისის სასამართლო მოსმენაზე განმცხადებლის არყოფნის კომპენსაცია მოხდა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ფართომასშტაბიანი განხილვის დროს, რომელსაც ესწრებოდნენ თავად განმცხადებელი და მისი უფლებების დამცველი, რომლებმაც გააკეთეს ზეპირი განცხადებები. შესაბამისად, განმცხადებელს შეეძლო წამოეყენებინა ყველა არგუმენტი ურთიერთობის უფლების მოპოვების სასარგებლოდ და მას ხელი მიუწვდებოდა ყველა იმ შესაბამის ინფორმაციაზე, რომელსაც ეყრდნობოდა სასამართლო.

75. მტკიცებულებითი ბაზა ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებებისთვის მოიცავდა განმცხადებლისა და ბავშვის მეურვის მიერ გაკეთებულ განაცხადებს, დოკუმენტებს განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმიდან, საცხოვრებელი პირობების შესწავლის შედეგებს, ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მოსაზრებას, ანგარიშს ბავშვის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შესახებ, რომელიც ჩაატარა ბავშვთა ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სოციალური ადაპტაციის მუნიციპალურმა ცენტრმა, წერილებს ბავშვის ბავა-ბალიდან და საბავშვო ბალიდან და განმცხადებლის დამსაქმებლის სარეკომენდაციო წერილს. ამ მტკიცებულებების მხედველობაში მიღებით, ჰქონდა რა საქმეში მონაწილე ყველა პირთან პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობა, ეროვნულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ბავშვის ინტერესებში არ იქნებოდა, რომ მას განეახლებინა კონტაქტი განმცხადებელთან. ექსპერტებთან ბავშვის წაყვანის თაობაზე მეურვის უარის გამო, ვერ ჩატარდა ნ-ს სასამართლოს მიერ დანიშნული ფსიქოლოგიური გამოკვლევა განმცხადებელთან მისი კონტაქტის განახლების შესაძლებლობის დასადგენად, ბავშვის ჯანმრთელობის ან ფსიქოლოგიური განვითარებისთვის დაზიანების რისკის გარეშე. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ მას გააჩნდა საკმარისი სამხილი წინამდებარე საქმეში ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაფასებლად.

76. სასამართლომ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული და მოჰასუხე სახელმწიფოს დისკრეციული უფლებების არეალი და დაასკვნა, რომ ეროვნული სასამართლოს პროცედურული მიდგომა არსებულ გარემოებებში იყო მიზანშეწონილი და მან წარმოადგინა საკმარისი მასალა არსებული საქმის ფარგლებში ბავშვთან ურთიერთობის საკითხზე დასაბუთებული გადანყვეტილების მისაღებად. ამგვარად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ჩარევა იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით (იხ. *რიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ*, N22266/04, §§ 36-45, 20 იანვარი, 2011 წ. და *დიმიტრი რიაბოვი რუსეთის წინააღმდეგ*, N33774/08, §§ 56-62, 1 აგვისტო, 2013 წ.).

77. გარდა ამის, სასამართლო შენიშნავს, რომ შემდგომში, განმცხადებლის, როგორც მშობლის პასუხისმგებლობასა და ბავშვთან ურთიერთობის უფლებებთან

დაკავშირებული ახალი სამართალწარმოებების მიმდინარეობისას, ეროვნულმა სასამართლომ ახლად განვითარებული მოვლენების ჭრილში ხელახლა შეაფასა ვაჟიშვილთან განმცხადებლის ურთიერთობის საკითხი. კერძოდ, მან გაითვალისწინა ბავშვის ასაკი (რომელიც იმ დროისთვის იყო თითქმის ათი წლის) ის, რომ განმცხადებელმა და ბავშვმა დე-ფაქტო დაამყარეს რეგულარული კონტაქტი, ბავშვმა გამოთქვა განმცხადებელთან ურთიერთობის სურვილი, განმცხადებელი აღარ იყო ფსიქიატრიული მეთვალყურეობის ქვეშ და არ არსებობდა იმის დამადასტურებელი სამხილი, რომ განმცხადებელთან არსებული კონტაქტი ბავშვზე რაიმე მავნე ზემოქმედებას ახდენდა.

78. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.



განმცხადებელი პირადი და ოჯახური ცხოვრების, აზრის, სინდისის, რელიგიის თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებაზე მითითებით ასაჩივრებდა ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებებს მისი ქალიშვილების მამასთან ცხოვრების შესახებ. მისი მტკიცებით ხსენებული გადაწყვეტილების ნამდვილი მიზეზი მისი რელიგიური მრწამსი იყო. მშობლებისადმი მოპყრობის ნებისმიერ განსხვავებას ჰქონდა ობიექტური და გონივრული დასაბუთება: არ არის დარღვევა.

### საქმე „ჯინეიტენე ლიტვის წინააღმდეგ“

CASE OF GINEITIENĖ v. LITHUANIA

განაცხადი N20739/05

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2010 წლის 27 ივლისი

### ფაქტობრივი გარემოებები

#### I. საქმის გარემოებები

5. განმცხადებელი დაიბადა 1968 წელს და ცხოვრობს ვილნიუსში. 1990 წელს განმცხადებელი დაქორწინდა ვ.გ-ზე.

6. 2000 წელს განმცხადებელი ჩაერთო ოიას მედიტაციის ცენტრის, ახალი რელიგიური მოძრაობის - ოშოს ლიტვური ფილიალის საქმიანობებში.

7. 2001 წელს იგი გაშორდა მეუღლეს. განმცხადებლის ორი ქალიშვილის - 1995 და 1996 წლებში დაბადებული ი.გ-სა და ა.გ-ს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ იქნა განსაზღვრული და ისინი განმცხადებელსა და მის ყოფილ ქმართან ერთად კაუნასში ცხოვრობდნენ.

8. 2003 წლის ივლისში განმცხადებლის ყოფილმა ქმარმა სასარჩელო წარმოება წამოიწყო, რომლითაც ითხოვდა, რომ თავისი ქალიშვილების საცხოვრებელ ადგილად მიჩნეულიყო მამის სახლი. იგი ასევე ირწმუნებოდა, რომ განმცხადებლის ჩართვას ოშოს რელიგიურ მოძრაობაში, შესაძლოა, ბავშვებზე უარყოფითი ზეგავლენა მოეხდინა.

9. 2003 წლის 24 ივლისს კაუნასის რაიონის ბავშვთა უფლებების დაცვის სააგენტომ მამის საცხოვრებელი ადგილი მოინახულა და დაასკვნა, რომ საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელი იყო. ასევე ა.გ-სა და ი.გ-ის სურვილის

გათვალისწინებით, რეკომენდაცია გაუნია, რათა მათ საცხოვრებელ ადგილად მამის სახლი დადგენილიყო. 2003 წლის 28 აგვისტოს იმავე სააგენტომ კაუნასის რაიონულ სასამართლოს ბავშვების აზრის გათვალისწინება შესთავაზა.

10. 2003 წლის 29 სექტემბრის დადგენილებით, კაუნასის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის წარმოების განმავლობაში ა.გ-ს უნდა ეცხოვრა განმცხადებელთან, ხოლო ი.გ. დარჩენილიყო მამასთან.

11. 2003 წლის 1 ოქტომბერს განმცხადებელი და ა.გ. გადავიდნენ ვილნიუსში და დასახლდნენ ბინაში, რომელიც იმავე შენობაში მდებარეობდა, რომელშიც ოიასის სათაო ოფისი. განმცხადებელს უფლება მიეცა უფასოდ ესარგებლა ბინით. ი.გ. ცხოვრობდა მამასთან.

12. 2003 წლის 3 ოქტომბერს ვილნიუსის ბავშვთა უფლებების დაცვის სააგენტოს თანამშრომლებმა მოინახულეს განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილი. მათ აღნიშნეს, რომ განმცხადებლის განმარტებით, სარგებლობაში ჰქონდა ორი ოთახი, რომელთაგან ერთი ა.გ-სთვის იყო გამოყოფილი. განმცხადებლის არყოფნისას მას უვლიდა ძიძა. საცხოვრებელი პირობები ბავშვისთვის შესაბამისი ჩანდა. ინტერვიუს განმავლობაში ა.გ-მ განმარტა, რომ მას მამასთან დარჩენა სურდა, რომელიც უკეთ უვლიდა და არ ტოვებდა მარტო. ასევე განმარტა, რომ დედა ხშირად, დღის განმავლობაში სახლში მარტო ტოვებდა და ეშინოდა. შესაბამისად, სააგენტომ გასცა რეკომენდაცია, რომ ა.გ-ს საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრულიყო მამის საცხოვრებელი.

13. 2003 წლის 9 დეკემბერს ვილნიუსის ბავშვთა უფლებების დაცვის სააგენტოს თანამშრომლებმა მოინახულეს განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილი ვილნიუსში და დაასკვნეს, რომ იგი არ იყო უსაფრთხო ა.გ-ს საცხოვრებლად და განმცხადებელი სათანადო არ ზრუნავდა ა.გ-ს აღზრდასა და განათლებაზე. მათ აღნიშნეს, რომ განმცხადებლის საცხოვრებელი სივრცე შედგებოდა ერთი ოთახისა და სამზარეულოსგან, რომელიც საერთო იყო სახლის სხვა მაცხოვრებელთათვის. ა.გ. დედასთან ერთად ამ ოთახში ცხოვრობდა და ორივეს ერთ საწოლში ეძინათ. სხვა ოთახით, რომელიც განმცხადებლის საცხოვრებელი სივრცის ნაწილი უნდა ყოფილიყო, სხვა პირებიც სარგებლობდნენ. ა.გ-სთან ინტერვიუს დროს, ორი თინეიჯერი ბიჭი ნებართვის გარეშე შემოვიდა ოთახში. ა.გ-ს თანახმად დედამისი არ ზრუნავდა მასზე; მას არ ჰყავდა მეგობრები და დღის განმავლობაში მარტო რჩებოდა. გოგონას თავად უწევდა საჭმლის მომზადება; არ ჰქონდა ეზოსა და მის გვერდზე მდებარე შენობაში გასვლის უფლება, სადაც დედამისი მედიტირებდა. ძიძა ა.გ-ს მოსავლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში მოდიოდა, თუ განმცხადებელს რამდენიმე დღით უწევდა ბავშვის დატოვება. ა.გ-მ გამოთქვა სურვილი ეცხოვრა კაუნასში, მამასა და დასთან, ი.გ-სთან ერთად. სააგენტოს მუშაკებმა ასევე გამოკითხეს ა.გ-ს საბავშვო ბაღის მასწავლებლები. მათ აღნიშნეს, რომ ა.გ ხშირად მოწყვნილი იყო, რადგან ვერ ნახულობდა დასა და მამას. ა.გ. ბაღიდან 15 წლის

გოგონას გამოჰყავდა ხოლმე, თუმცა ხშირად იგი სახლში თავად ბრუნდებოდა. სააგენტოს მუშაკებმა ურჩიეს განმცხადებელს სხვა ადგილი მოენახა საცხოვრებლად, სადაც ა.გ. თავს უფრო უსაფრთხოდ იგრძნობდა. მაგრამ განმცხადებელმა უარი განაცხადა, რადგან არსებული ბინისთვის მას იჯარის გადახდა არ უნევდა და ახლოს იყო მის მედიტაციის ცენტრთან.

14. 2004 წლის 26 მარტს ქალაქ ვილნიუსის ბავშვთა უფლებების დაცვის სააგენტოს თანამშრომლებმა კვლავ გამოკითხეს ა.გ., რომელმაც განმეორებით გამოთქვა მამასთან ცხოვრების სურვილი. სააგენტომ ასევე აღნიშნა, რომ ა.გ-მ იგივე განუცხადა პირველი ინსტანციის სასამართლოსა და ფსიქოლოგებს.

15. 2004 წლის 25 ივნისიდან 2 ივლისამდე პერიოდში, ა.გ. ფსიქოლოგმა შეამოწმა. მან კვლავ გამოთქვა მამასა და უფროს დასთან ცხოვრების სურვილი.

16. 2004 წლის 13 აპრილს კაუნასის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და დაადგინა, რომ ი.გ-ს უნდა ეცხოვრა განმცხადებლის ყოფილ ქმართან და ა.გ-ს უნდა ეცხოვრა განმცხადებელთან. სასამართლომ აღნიშნა, რომ მშობლები განათლებული ადამიანები იყვნენ, რომელთაც საკმარისი შემოსავალი გააჩნდათ მათი ქალიშვილების უზრუნველსაყოფად. საქმის წარმოებისას, სასამართლომ, ისევე როგორც ფსიქოლოგმა ორივე გოგონას მოუსმინა. ორივემ გამოთქვა მამასთან დარჩენის სურვილი. თუმცა სასამართლო დაეთანხმა ერთ-ერთ ექსპერტს, რომ ა.გ. (იმ დროისთვის 8 წლის) არ იყო საკმარისად მოზრდილი, რომ მიეღო გონივრული გადაწყვეტილება, თუ რომელ მშობელთან უნდოდა ცხოვრება. განმცხადებლის მედიტაციის ცენტრთან კავშირთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა:

„იუსტიციის სამინისტრომ უარი განაცხადა ოიასის რელიგიურ გაერთიანებად რეგისტრაციაზე და შესთავაზა არასამთავრობო ორგანიზაციის სახით რეგისტრაცია. საქმეში არ არსებობს მინიშნება, რომ მედიტაციის ცენტრს უარყოფითი ზეგავლენა აქვს ბავშვებზე ან იგი მიუღებელი მოსაზრებების პროპაგანდას ეწევა. ასევე არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ [განმცხადებლის] ბავშვები ჩართულნი იყვნენ ცენტრის საქმიანობაში.

სასამართლო ადგენს, რომ [განმცხადებლის] აქტიური მონაწილეობა მედიტაციის ცენტრის საქმიანობებში არ ახდენს მის ბავშვებზე უარყოფით ზეგავლენას. კონსტიტუციის 26.2 მუხლის თანახმად, ნებისმიერი ადამიანი თავისუფალია აირჩიოს რელიგია თუ რწმენა... იქადაგოს და მისდიოს მის რელიგიას და აღასრულოს რელიგიური რიტუალები.“

17. 2004 წლის 16 ივლისს კაუნასის რეგიონალურმა სასამართლომ გადაწყვეტილება შეცვალა და დაადგინა, რომ ორივე ქალიშვილს მამასთან უნდა ეცხოვრა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლომ სათანადო

ყურადღება არ მიაქცია ა.გ-ს სურვილს ეცხოვრა მამასთან. სააპელაციო სასამართლოს თანახმად, აღნიშნული შეუსაბამობაში იყო ბავშვთა უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის მე-12 მუხლსა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის დებულებებთან, რომელიც სასამართლოს ავალდებულებდა მიუხედავად ბავშვის ასაკისა მხედველობაში მიეღო მისი სურვილები. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა 2003 წლის 9 დეკემბრის ექსპერტის დასკვნა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ გარემო რომელშიც განმცხადებელი ცხოვრობდა არ იყო უსაფრთხო, ხოლო განმცხადებლის მიუღწეველად ა.გ-ს კარგი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა. ასევე, გათვალისწინებულ იქნა კაუნასის რაიონის ბავშვთა უფლებების დაცვის სააგენტოს რეკომენდაცია, რომ ორივე ქალიშვილის საცხოვრებელ ადგილად დადგენილიყო მამის საცხოვრებელი. სასამართლომ ასევე მიუთითა გოგონას სურვილზე, დარჩენილიყო და ახლოს ყოფილიყო კაუნასში მცხოვრებ ოჯახის სხვა წევრებთან (ბებიასა და ბაბუასთან) და მეგობრებთან. აღნიშნული იყო არასათანადო მოვლის კონკრეტული შემთხვევები, კერძოდ, განმცხადებელმა ერთ შემთხვევაში ვერ მოახერხა ა.გ-სთვის სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა და მეორე შემთხვევაში მისი სკოლაში წაყვანა. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ შეუფასებია იუსტიციის სამინისტროში წარდგენილი მასალა, სადაც ოშოს მოძრაობა დახასიათებულია, როგორც სადავო. პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე მნიშვნელობა არ მიანიჭა იმ ფაქტს, რომ მოძრაობამ ვერ შეძლო რელიგიურ გაერთიანებად რეგისტრაცია.

18. განმცხადებელმა წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად დავობდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება იყო დისკრიმინაციული და ადგილი ჰქონდა მისი ოჯახური ცხოვრების უპატივცემულობას. მან მოითხოვა მისი უმცროსი ქალიშვილის - ა.გ-ს მასთან ერთად ცხოვრება.

19. 2004 წლის 1 დეკემბერს, უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საკასაციო საჩივარი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორივე მშობლის უფლებები თანაბარია მათი ბავშვების განათლების მხრივ, მიუხედავად მათი რწმენის, აღმსარებლობისა თუ შეხედულებებისა. მეურვეობის დავის გადაწყვეტაში აუცილებელი იყო ბავშვების საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება და ამ კონტექსტში მათი სურვილების გათვალისწინება მიუხედავად ასაკისა. მსგავსი სურვილების მნიშვნელობის შეფასებისას, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნებოდა ბავშვის უნარი - ჩამოაყალიბოს, გამოხატოს და დაასაბუთოს მისი მოსაზრებები.

20. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის წარმოების განმავლობაში ა.გ-მ დეტალურად ახსნა, რატომ ერჩივნა მამასთან დარჩენა, როგორც სასამართლოს წინაშე, ასევე ექსპერტებთან ინტერვიუების განმავლობაში. კერძოდ, მან ხაზი გაუსვა, რომ დედამისი სათანადოდ არ ზრუნავდა მასზე, ხშირად ტოვებდა მარტო და არ



უმრუნველყოფდა საჭმლით. გოგონამ ასევე გამოხატა, რომ მას ერჩივნა კაუნასში მის დასთან ერთად და სხვა ახლო ნათესავებსა და მეგობრებთან ახლოს ცხოვრება. ასევე აღნიშნა, რომ მამა მეტ დროს ატარებდა მასთან და უკეთესად უვლიდა. უზენაესმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ექსპერტების თანახმად, განმცხადებლის საცხოვრებელი პირობები არ იყო უსაფრთხო ბავშვებისათვის.

21. უზენაესმა სასამართლომ დამატებით შეაფასა ორივე მშობლის მიერ შეთავაზებული ცხოვრების მატერიალური პირობები. დადგინდა, რომ განმცხადებლის ქმარს შეეძლო ცალკე ოთახი გამოეყო მისი ქალიშვილებისათვის კაუნასის ახლოს სოფლად მდებარე კერძო სახლში.

22. უზენაესმა სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა დების ერთად აღზრდის მნიშვნელობას და მიუთითა მათ შორის არსებულ მჭიდრო კავშირზე.

23. განმცხადებლის მიერ დისკრიმინაციის ბრალდებები არ დაკმაყოფილდა დასაბუთების ნაკლებობის გამო. ამ მხრივ, უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა:

„დასაბუთებას მოკლებულია განმცხადებლის საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი განცხადება, მასზედ რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კონვენციის მე-14 მუხლით, ისევე როგორც [ლიტვის კანონმდებლობით] გათვალისწინებული დისკრიმინაციისგან დაცვის პრინციპი, ოიას მედიტაციის ცენტრის შესახებ მტკიცებულებების არასწორად შეფასებით და იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი მიეკუთვნებოდა ხსენებულს. ორი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, სააპელაციო სასამართლომ პრიორიტეტი მიანიჭა ბავშვების ინტერესებს, გაითვალისწინა მათი სურვილები, თითოეული მშობლის უნარი და ძალისხმევა ბავშვთა ძირითადი უფლებების უმრუნველყოფისათვის და თითოეული მშობლის საცხოვრებელი პირობები, ანუ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ პირობები, რომლებშიც ბავშვებს მოუწევდათ ცხოვრება მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შემდეგ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავდა რაიმე მინიშნებას, რომ დავის გადაწყვეტაზე გავლენა იქონია განმცხადებლის ოშოს/ოიასის წევრობის ფაქტმა... სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ შეაფასა მედიტაციის ცენტრთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება. თუმცა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ სააპელაციო სასამართლომ განმცხადებლის ცენტრში წევრობა მნიშვნელოვნად მიიჩნია დავის გადაწყვეტისას. ასეთ შემთხვევაში ეს მოითხოვდა შეფასებას, ჰქონდა თუ არა ადგილი რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვას. მის გადაწყვეტილებებში საქმეებზე *ჰოფმანი ავსტრიის წინააღმდეგ და პალაუ-მარტინეზი საფრანგეთის წინააღმდეგ* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-14 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვა არ იქნა დაცული საქმეებზე, სადაც სასამართლოებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს განმცხადებლის რელიგიურ კუთვნილებას. თუმცა მეურვეობის დავის

გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლომ არ მიანიჭა არსებითი მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი ოშოს/ოიასის წევრი იყო.“

24. წინამდებარე საქმესთან კავშირის არმქონე სამართალწარმოებისას, ოიასის მედიტაციის ცენტრმა მოითხოვა სასამართლოს ბრძანება, რომელიც იუსტიციის სამინისტროს ავალდებულებდა დაერეგისტრირებინა რელიგიური გაერთიანების სახით. სარჩელი დაკმაყოფილდა 2005 წლის 4 თებერვალს ადმინისტრაციულ საქმეთა უზენაესი სასამართლოს მიერ. სასამართლომ ვერ აღმოაჩინა რაიმე მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, რომ ოიასი ახდენდა მის წევრებში სადავო პრაქტიკის პროპაგანდას. ოიასი რელიგიურ გაერთიანებად 2005 წლის 12 აპრილს დარეგისტრირდა.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში

30. განმცხადებელი უკმაყოფილო იყო ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებებით, რომელთა თანახმად, მისი ორი ქალიშვილის საცხოვრებელ ადგილად მამის სახლი იქნა დადგენილი. იგი ჩიოდა, რომ ხსენებული გადაწყვეტილებები კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, რაც ითვალისწინებს შემდეგს:

#### მე-8 მუხლი

„1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება...“

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში... ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

#### მე-14 მუხლი

„ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე განურჩევლად... რელიგიის... თუ სხვა ნიშნისა.“

### (ა) რამდენად ექცევა საქმეში არსებული ფაქტები კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში

35. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეში, ორი ქალიშვილი დედასთან დაბადებიდან ცხოვრობდა, სანამ მამას 2003 წლის 29 სექტემბერს ი.გ-ზე დროებითი მეურვეობა მიენიჭებოდა. ასეთ გარემოებებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ

შესაბამისი გადაწყვეტილება ორივე გოგონას მუდმივად მასთან ცხოვრების შესახებ მოიცავს განმცხადებლის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას და ვერ განიხილება, როგორც მხოლოდ ნებისმიერი განქორწინებისას აუცილებელი სამართლებრივი ჩარევა. შესაბამისად, საქმე ექცევა კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში (იხ. *ჰოფმანი ავსტრიის წინააღმდეგ*, § 29 და *პალაუ-მარტინეზი საფრანგეთის წინააღმდეგ*, N [64927/01](#), § 30, ECHR 2003-XII).

**(ბ) იყვნენ თუ არა განმცხადებელი და მისი ყოფილი ქმარი ანალოგიურ ან არსებითად შედარებად სიტუაციაში, თუმცა განსხვავებულად მოპყრობილნი**

36. დამატებით სასამართლო შეგვახსენებს, რომ კონვენციის მე-14 მუხლი მოქმედებაში მოდის მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი აჩვენებს, რომ მას მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირისგან განსხვავებულად მოეპყრნენ კონვენციით გარანტირებულ მატერიალურ უფლებასთან მიმართებით, ყოველგვარი ობიექტური ან გონივრული დასაბუთების გარეშე (იხ. *ისმაილოვა რუსეთის წინააღმდეგ*, N [37614/02](#), § 49, 2007 წლის 29 ნოემბერი).

37. სასამართლოს დანიშნულება არ არის ლიტვის კომპეტენტური ხელისუფლების ჩანაცვლება და ლიტვაში მეურვეობისა და წვდომის საკითხების რეგულირება, არამედ ხსენებული ხელისუფლების მიერ შეფასების თავისუფლების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების კონვენციის ჭრილში მიმოხილვა. სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია თუ რამდენად რელევანტური და საკმარისი იყო განმცხადებლის კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული მიღებული ზომების გამამართლებელი მიზეზები (იხ. *ჰოკანენი ფინეთის წინააღმდეგ*, 1994 წლის 23 სექტემბერი, § 55, სერია A, N299-A; *კუცნერი გერმანიის წინააღმდეგ*, N [46544/99](#), § 65, ECHR 2002-I).

38. რაც შეეხება მოცემული საქმის ფაქტებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ი.გ-სა და ა.გ-ს საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, ლიტვის სასამართლოებმა განახორციელეს ბავშვების საუკეთესო ინტერესების სიღრმისეული ანალიზი. სასამართლომ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა უზენაესი სასამართლოს ყურადღებამ ბავშვების აზრთან დაკავშირებით (მე-19, მე-20, 22-ე პუნქტები), რომლებმაც სამართალწარმოების ყველა ეტაპზე გამოხატეს მამასთან ცხოვრების ძლიერი სურვილი. ა.გ. ირწმუნებოდა კიდევ, რომ განმცხადებელი მასზე სათანადოდ არ ზრუნავდა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბავშვთა დაცვის ექსპერტებმა განმცხადებლის მიერ მისი ქალიშვილისთვის შეთავაზებული საცხოვრებელი პირობები შეაფასეს არა უსაფრთხოდ, პირადი სივრცის ნაკლებობის და იმ ფაქტის გამო, რომ ა.გ-ს ხშირად მარტოდ ტოვებდნენ, ამიტომ მას ეპინოდა, რომ დედა მასზე სათანადოდ არ იზრუნებდა (12-13-ე პუნქტები). მამას, შეეძლო უფრო შესაფერი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა. საბოლოოდ, სასამართლო ითვალისწინებს წინამდებარე საქმეზე დების ერთად ცხოვრების

სტრატეგიას, განსაკუთრებით მათი მჭიდრო ემოციური კავშირის მხედველობაში მიღებით.

39. სასამართლოს აზრით, ლიტვის სასამართლოების ამგვარი დასაბუთება აჩვენებს, რომ უპირველეს ყოვლისა ბავშვების ინტერესები იქნა გათვალისწინებული. იგი ასკვნის, რომ ხსენებული მსჯელობა რელევანტური და შესაფერისი იყო და არ შელახულა თვითნებური გადაწყვეტილებების რაიმე ელემენტით.

40. სასამართლო უბრუნდება განმცხადებლის საჩივარს, მასზედ რომ ლიტვის სასამართლოებმა მოახდინეს მისი დისკრიმინაცია რელიგიური რწმენის საფუძველზე. თუმცა ლიტვის სასამართლოების გადაწყვეტილებების დეტალური შესწავლის შედეგად, სასამართლომ დაადგინა, *პალაუ-მარტინემის* გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, არ შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა წინამდებარე საქმე განმცხადებლის რელიგიური კუთვნილების საფუძველზე გადაწყვიტეს. სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ჩანს, რომ მათი ძირითადი საზრუნავი ბავშვების საუკეთესო ინტერესის დაცვა იყო, განსაკუთრებით გათვალისწინებულ იქნა 38-ე პუნქტში ჩამოთვლილი ფაქტორები. სიმართლეა, რომ გადაწყვეტილების რამდენიმე პუნქტში ადგილობრივი სასამართლოები შეეხნენ განმცხადებლის რელიგიურ კუთვნილებას. თუმცა, ტექსტი ცალკეული მითითება იყო და არ უკავშირდებოდა განმცხადებლის ბავშვების აღზრდის უნარს.

41. უფრო მეტიც, უზენაესმა სასამართლომ აშკარად გამოარჩია წინამდებარე საქმე სასამართლოს წარსული გადაწყვეტილებებისგან *ჰოფმანისა და პალაუ-მარტინემის* შემთხვევაში (ცითირებულია ზემოთ), სადაც დადგენილ იქნა მე-8 მუხლის დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ცხოვრების უფლებები განსაზღვრულ იქნა განმცხადებელთა რელიგიური რწმენის საფუძველზე. სასამართლო იზიარებს უზენაესი სასამართლო მოსაზრებას წინამდებარე საქმეზე და აღნიშნავს, თუ რამდენად შეიძლებოდა განმცხადებლის ქალიშვილებს მასთან ეცხოვრა, არ შეფასებულა აბსტრაქტულად (იხ. *უკუ იმპლიკაციით, პალაუ-მარტინემი*, §§42-43). *ჰოფმანის* გადაწყვეტილებისგან განსხვავებით (§ 32), ადგილობრივმა სასამართლოებმა არ მიაჩნეს განსაკუთრებული მნიშვნელობა განმცხადებლის რელიგიურ მრწამსს და არ წარმოადგინეს იგი მის წინააღმდეგ. ჯამში, მოცემულ საქმეში ლიტვის სასამართლოების მსჯელობასთან დაკავშირებით არაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ იგი შეიძლება განსხვავებულად გადაწყვეტილიყო, რომ არა განმცხადებლის რელიგია.

42. მოცემულ გარემოებებში, სასამართლოს არ შეუძლია არ მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ არსებობდა თანაბრობის გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და ლეგიტიმურ მიზანს შორის (იხ. *ჰოფმანი*, § 36, და *პალაუ-მარტინემი*, §§ 42-43).



43. ზემოხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ განსხვავებულ მოპყრობას მშობლებს შორის ობიექტური და გონივრული დასაბუთება გააჩნია. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების სავარაუდო დარღვევაზე, კერძოდ, მშობლის უფლების ჩამორთმევა, ბავშვების მზრუნველობის ქვეშ მოთავსება, ბავშვებთან კონტაქტის გადავადება და ბავშვების ისეთ თემში განთავსება, სადაც ზოგიერთი თანამშრომელი ნასამართლევი იყო პედოფილიის გამო.

ბავშვების მზრუნველობის ქვეშ მოთავსება და მშობლობის უფლების შეზღუდვა: დარღვევა არ დადგინდა.

დედის უფლების შეზღუდვა, მოენახულებინა ბავშვები: დარღვევა

ბავშვების ისეთ თემში განთავსება, სადაც ზოგიერთი თანამშრომელი ნასამართლევი პედოფილიის გამო: დარღვევა

### საქმე „სკოცარი და ჯუნტა იტალიის წინააღმდეგ“

CASE OF SCOZZARI AND GIUNTA v. ITALY

განაცხადები N39221/98 და 41963/98

გადაწყვეტილება

სტრასბურგი, 2000 წლის 13 ივლისი

### ფაქტობრივი გარემოებები

პირველი განმცხადებელი, დოლორატა სკოცარი, ბელგიისა და იტალიის მოქალაქე, დაიბადა 1960 წელს და ცხოვრობს ფილინე ვალდარნოში (იტალია). იგი წარმოადგენს თავის შვილებს - 13 წლის გ-ს, რომელსაც აქვს ბელგიისა და იტალიის ორმაგი მოქალაქეობა და 6 წლის მ-ს, რომელიც იტალიის მოქალაქეა. მეორე განმცხადებელი, კარმელა ჯუნტა, იტალიის მოქალაქე, დაიბადა 1939 წელს და ცხოვრობს ბრიუსელში. 1998 წლის ბოლოდან მას სახლი აქვს იტალიაშიც. იგი პირველი განმცხადებლის დედაა.

1997 წლის 9 სექტემბერს პირველი განმცხადებლის სახლში განვითარდა დრამატული მოვლენები, რაც განაპირობა ძალადობამ პირველი განმცხადებლის ქმრის მხრიდან მისი და მათი შვილების მიმართ. ამასთან, პირველი განმცხადებლის უფროსი შვილი გახდა პედოფილიის მსხვერპლი „სოციალური მუშაკის“ მხრიდან. ამ ორი ფაქტის გამო, ფლორენციის არასრულწლოვანთა სასამართლომ პირველ განმცხადებელს შეუზღუდა მშობლობის უფლება და გამოიტანა გადაწყვეტილება ბავშვების ფლორენციასთან ახლოს, „ილ ფორტეტოს“<sup>1</sup> საზოგადოებაში

<sup>1</sup> მთარგმნელის შენიშვნა: „ილ ფორტეტო“ - ფერმერთა კოოპერატივი იტალიაში. იგი შეიქმნა როგორც თემი, ტრადიციული ოჯახის ალტერნატივა, სადაც ადამიანები ერთად ცხოვრობენ, ეწევიან სოფლის მეურნეობას და აქტიურად არიან ჩართულნი სოციალურ აქტივობებში, როგორცაა რეკრეაციულ-სარეაბილიტაციო ღონისძიებები ბავშვებისათვის, დასაქმება სკოლის დამთავრების შემდეგ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერა. თემი იღებდა სამზრუნველოდ ძალადობის

მზრუნველობის ქვეშ მოთავსების შესახებ. „ილ ფორტეტოს“ ორი მთავარი ლიდერი 1985 წელს გასამართლებული იყო საზოგადოებაში მცხოვრები სამი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის (1 გოგო და 2 ბიჭი) მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო. ერთ-ერთი მათგანი ასევე მსჯავრდებული იყო სექსუალური ძალადობის ფაქტზე. საქმის მასალები აჩვენებს, რომ ეს ორი ადამიანი კვლავ საპასუხისმგებლო თანამდებობებს იკავებდა საზოგადოებაში და აქტიურად იყო ჩართული პირველი განმცხადებლის შვილებისა და მათზე მზრუნველობის გარშემო მიმდინარე სამართალწარმოებაში. 1997 წლის 9 სექტემბერს არასრულწლოვანთა სასამართლოს გადაწყვეტილებით, განმცხადებელს უფლება ჰქონდა, მონახულებინა მხოლოდ უმცროსი შვილი, თუმცა მას ამის შესაძლებლობა არ მიეცა. მოგვიანებით, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დედას უმცროს შვილთან შეხვედრამდე უნდა ჩატარებოდა მოსამზადებელი ფსიქოლოგიური კონსულტაცია. შეხვედრები შედგა, თუმცა 1998 წლის ივლისიდან კვლავ შეწყდა. შემდგომში, არასრულწლოვანთა სასამართლოს 1998 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით, დედას ორივე ბავშვის ნახვის უფლება მიეცა. პირველ განმცხადებელს ბავშვების ნახვის ნება პირველად 1999 წლის 29 აპრილს დართეს. მეორე ვიზიტი 1999 წლის 9 სექტემბერს შედგა, მაგრამ სოციალურმა სამსახურმა გადაწყვიტა, რომ ამის შემდეგ ყოველგვარი ვიზიტები შეწყვიტა. პირველი განმცხადებელი, რომელიც აცხადებდა, რომ საკუთარი შვილების სახელით მოქმედებდა, ჩიოდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან მას დროებით ჩამოერთვა მშობლობის უფლება, მისი შვილები მზრუნველობისთვის იქნა გადაცემული, ხელისუფლების ორგანოებმა გააჭიანურეს მისთვის ბავშვების ნახვის უფლების მიცემა, ძალიან ცოტა შეხვედრის ორგანიზება გახდა შესაძლებელი და ხელისუფლების ორგანოებმა ბავშვები „ილ ფორტეტოში“ მოათავსეს. მეორე განმცხადებელიც მე-8 მუხლის დარღვევას ასაჩივრებდა. იგი ჩიოდა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა მას წაართვეს შესაძლებლობა, ეზრუნა საკუთარ შვილიშვილებზე და გააჭიანურეს მათი მონახულების ორგანიზება.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

130. პირველი განმცხადებელი, რომელიც აცხადებდა, რომ მოქმედებდა მისი შვილების სახელით, ასაჩივრებდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას, კერძოდ, რომ მას შეუჩერდა მშობლის უფლება, მისი შვილები მზრუნველობისათვის გადასცეს თემს, ხელისუფლების ორგანოებმა გააჭიანურეს მისთვის საბოლოო ნებართვის გაცემა, ენახა თავისი შვილები, ბავშვებთან სულ რამდენიმე შეხვედრის

---

*მსხვერპლ ბავშვებს, ასევე ბავშვებს, რომელთა მშობლებს მშობლობის უფლება ჩამოართვეს. ამავე დროს, ეს თემი არის რძის პროდუქტების, ზეთისხილისა და ზეთუნის ზეთის, ბოსტნეულის თუ დეკორატიული მცენარეების ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი იტალიაში.*

ორგანიზება მოხერხდა და ხელისუფლების ორგანოებმა ბავშვები „ილ ფორტეტოში“ მოათავსეს.

131. მეორე განმცხადებელი ასევე ასაჩივრებდა მე-8 მუხლის დარღვევას, რადგან ხელისუფლების ორგანოებმა უგულვებლად შესაძლებლობა, რომ მას მოევლო თავისი შვილიშვილებისათვის და გააჭიანურეს მათთან კონტაქტის შესაძლებლობა.

132. მე-8 მუხლის თანახმად:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას;

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“.

**გ. შესაბამისობა მე-8 მუხლთან: იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“**

**1. პირველი განმცხადებლისათვის მშობლობის უფლებისა და ბავშვების ჩამორთმევა**

**(ბ) სასამართლოს შეფასება**

148. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ „...ოჯახის გაყოფა ძალიან სერიოზული ხასიათის ჩარევაა. ამგვარი ნაბიჯი საკმარისად მტკიცე და დამარწმუნებელი მოსაზრებებით უნდა იყოს გამყარებული ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე...“ (იხ. 1998 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება *ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ* (N1), სერია A, N130, გვ. 33-34, § 72). „... გასათვალისწინებელია სამართლიანი ბალანსი ინდივიდისა და მთლიანად საზოგადოების კონკურენტულ ინტერესებს შორის ; ორივე კონტექსტში სახელმწიფოს ... აქვს შეფასების გარკვეული ფარგლები...“ (იხ. 1994 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება *ჰოკანენი ფინეთის წინააღმდეგ*, სერია A, 299-A, გვ. 20, §55). ამ სფეროში „... სასამართლოს(ების) განხილვა არ შემოიფარგლება იმის დადგენით, მოჰასუხე სახელმწიფომ გამოიყენა თუ არა თავისი დისკრეცია გონივრულად, სიფრთხილით და კეთილსინდისიერად ... მეორეც, თავისი საზედამხედველო ფუნქციის შესრულებისას, სასამართლო ვერ განიხილავს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს განცალკევებულად, არამედ მათ ერთიანად, მთელი საქმის კონტექსტში უყურებს; მან უნდა განსაზღვროს, რამდენად



„სათანადო და საკმარისია“ ჩარევის დასასაბუთებლად მოყვანილი მიზეზები...“ (იხ. *ოლსონი*, გვ. 32, §68 და *mutatis mutandis* 1995 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება *ვოგტი გერმანიის წინააღმდეგ*, სერია A, N323, გვ. 25-26, § 52).

149. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი განმცხადებლის ოჯახური მდგომარეობა სერიოზულად გაუარესდა 1994 წელს. ის განსაკუთრებით გაამწვავა მისი ყოფილი ქმრის ნეგატიურმა როლმა. საქმის მასალები აჩვენებს, რომ უმეტესად სწორედ ქმრის ბრალია ოჯახში ძალადობრივი გარემოს შექმნა, გაუთავებელი თავდასხმებით ბავშვებსა და ყოფილ ცოლზე, რამაც პირველი განმცხადებელი აიძულა, სისხლის სამართლის საჩივარი აღეძრა.

150. უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილ ქმართან გაცილების შემდეგაც, პირველ განმცხადებელს უჭირდა ბავშვების მოვლა. ამასთან დაკავშირებით სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს ნეიროფსიქიატრის 1997 წლის 9 ივნისის დასკვნას, რომელშიც მან გამოთქვა მოსაზრება, რომ პირველი განმცხადებელი დაავადებული იყო პიროვნული აშლილობით და არ შეეძლო მისი ოჯახისა და შვილების კომპლექსური მდგომარეობის მართვა. პრობლემა მეტად გააღრმავა მძიმე ტრავმამ, რომელიც უფროსმა შვილმა მიიღო სოციალური მუშაკის მხრიდან პედოფილური ძალადობის შედეგად. ამ უკანასკნელმა მანამდე მოახერხა განმცხადებლის ოჯახის კეთილგანწყობის მოპოვება.

151. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლო ამ საკითხში ეთანხმება კომისიას და მიიჩნევს, რომ საფუძველი ხელისუფლების ჩარევისათვის - პირველი განმცხადებლისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევა და ბავშვების დედის მზრუნველობისაგან დროებითი ჩამოშორება - ეფუძნებოდა სათანადო და საკმარის მიზეზებს და დასაბუთებული იყო ბავშვების ინტერესების დაცვის საჭიროებით. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-8 მუხლი ამ თვალსაზრისით არ დარღვეულა.

## 2. კონტაქტი პირველ განმცხადებელსა და მის შვილებს შორის

### (ბ) სასამართლოს შეფასება

169. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ უპირველეს ყოვლისა, „ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტური ელემენტია ორმხრივი სიამოვნება, მიღებული მშობლისა და ბავშვის ერთად ყოფნით; გარდა ამისა, ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ ფაქტობრივი მიზეზით, რომ ბავშვი გადაეცემა სახელმწიფო მზრუნველობას...“ (იხ. 1989 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება *ერიქსონი შედეგის წინააღმდეგ*, სერია A, N156, გვ. 24, § 58). სასამართლომ ადრე დაადგინა, რომ „...ბავშვის სახელმწიფოს მზრუნველობაში გადაცემა, ჩვეულებრივ, უნდა ითვლებოდეს დროებით ზომად, რომელიც დაუყოვნებლივ შეწყდება, როგორც კი გარემოებები ამის საშუალებას მისცემს ... და დროებითი მზრუნველობის ნებისმიერი

ზომა უნდა ეთანადებოდეს უმთავრეს მიზანს - მშობლისა და შვილის ბუნებრივი კავშირის აღდგენას... ამასთან დაკავშირებით, სამართლიანი ბალანსი უნდა იქნეს დაცული სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვის ინტერესებსა და მშობლის ინტერესს შორის, დაიბრუნოს ბავშვი ... ამ ბალანსის შემონახვისას, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც მისი ბუნებიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება არ ითვალისწინებდეს მშობლის ინტერესებს. კერძოდ, ... შეუძლებელია კონვენციის მე-8 მუხლით მშობელს მიეცეს უფლება, მიიღოს ისეთი ზომები, რაც ზიანს მიაყენებს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას (იხ. 1996 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება *იოჰანსენი ნორვეგიის წინააღმდეგ*, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1996-III, გვ. 1008-09, § 78).

170. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ 1997 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება ნებისმიერი სახის კონტაქტის აკრძალვის შესახებ პირველ განმცხადებელსა და მის უფროს ვაჟს შორის არ ეფუძნება საკმარისად მყარ მიზეზებს. მართლაც, ბავშვმა მიიღო ძალიან მძიმე და ტრავმული გამოცდილება. მიუხედავად ამისა, როგორც ეს კომისიამ აღნიშნა მის ანგარიშში, ასეთი რადიკალური ზომის მიღება - კონტაქტის სრული აკრძალვა, შეიძლება დასაბუთდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (იხ. 1987 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება *ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, სერია A, N121, გვ. 78-79, §77). კომპლექსური გარემოებები აზიანებდა ოჯახურ ცხოვრებას და ხელს უშლიდა ბავშვების ნორმალურ განვითარებას, რაც სავსებით ასაბუთებს მათ დროებით გადაცემას სამზრუნველოდ (და არ აკნინებს დედისათვის სათანადო ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენის მნიშვნელობას). სასამართლოს აზრით, რთული სიტუაცია პირველი განმცხადებლის ოჯახში, თავისთავად არ ამართლებს კონტაქტის აკრძალვას უფროს შვილთან. გასათვალისწინებელი იყო არა მარტო ის მიჯაჭვულობა, რასაც დედა ყოველთვის განიცდიდა თავისი შვილების მიმართ, არამედ ხელისუფლების გადაწყვეტილება, ამავდროულად ნება დაერთოთ უმცროს შვილთან ურთიერთობის აღდგენაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებას არ ჰქონდა განზრახული პირველი განმცხადებლისათვის მშობლობის ყველა უფლების სამუდამოდ ჩამორთმევა, გ-სა და დედას შორის ყოველგვარი კონტაქტის აკრძალვა გამოიწვევს ნაწილობრივ ბზარს ურთიერთობებში, ძმებს შორის ურთიერთობის ჩათვლით, ეს კი სრულებით არ შეესაბამება გაცხადებულ მიზანს, რომ აღდგეს ურთიერთობა დედასთან.

171. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ 1997 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების მიუხედავად, რომელიც ითვალისწინებდა უმცროს ვაჟთან ვიზიტების ორგანიზებას, არაფერი გაკეთებულა 1998 წლის 6 მარტამდე. ამ დღეს არასრულწლოვანთა სასამართლომ საბოლოოდ გადაწყვიტა მოეთხოვა, რომ დედას გაეწეოთ მოსამზადებელი პროგრამა ბავშვის მონახულებამდე. თუმცა, მსგავსი არაფერი მომხდარა. ზუსტად ორი დღით ადრე 1998 წლის 8 ივლისს

ჩანიშნულ ვიზიტამდე (სახელმწიფო ბრალმძებლის), პროკურორის მოადგილის მოთხოვნით, არასრულწლოვანთა სასამართლომ გადაწყვიტა, გაეუქმებინა უკვე დაგეგმილი შეხვედრები. პროკურორის მოადგილემ დაიწყო გამოძიება ბავშვების მამის მიმართ. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სასამართლო ეთანხმება კომისიის დასკვნას. რთულია დაინახო, რის საფუძველზე მიიღო არასრულწლოვანთა სასამართლომ ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება, რომელსაც ძალიან ნეგატიური ფსიქოლოგიური ზეგავლენა ექნება ყველა შესაბამის პირზე მაშინ, როცა საზოგადოებრივი პროკურორის მოთხოვნა ეყრდნობოდა მხოლოდ სავარაუდო შესაძლებლობას, ობიექტური მტკიცებულებებით სრულიად დაუსაბუთებელ ვარაუდს, რომ დედის ჩართულობა გამოძიების არეალს გაზრდიდა. მართალია, ბავშვმა პირველად დედა დაადანაშაულა პროკურორისათვის 1998 წლის 19 ივნისს გაგზავნილ წერილში მასზე პედოფილური ძალადობის გამოვლენის გამო, მაგრამ არავითარი სერიოზული მცდელობა არ ყოფილა, დადგენილიყო ამ ბრალდების ჭეშმარიტება (არც არათფერი გაკეთებულა ამ კუთხით 1998 წლის 11 ნოემბრამდე, როცა აღნიშნული პედოფილი დაიკითხა და მან განაცხადა, რომ აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამებოდა, იხ. 115-ე პუნქტი). სასამართლომ დაასკვნა, რომ უპასუხისმგებლოდ მოიქცა როგორც პროკურორის მოადგილე, ასევე არასრულწლოვანთა სასამართლოც.

172. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ჯერ არ იყო დასრულებული, არასრულწლოვანთა სასამართლომ 1998 წლის 22 დეკემბერს, დაახლოებით 5 თვის თავზე, პირველ განმცხადებელს მისცა ორივე შვილის მონახულების უფლება. ეს ამკარად ეწინააღმდეგება იმავე წლის ზაფხულში მიღებულ გადაწყვეტილებებს.

173. არასრულწლოვანთა სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად 1999 წლის 15 მარტამდე ვიზიტების განახლების შესახებ პირველი შეხვედრა ვერ შედგა 1999 წლის 29 აპრილამდე. მართლაც, ეს გაჭიანურება თავად არასრულწლოვანთა სასამართლომ აღნიშნა თავის 1999 წლის 15 თებერვლის განცხადებაში. თუნდაც დაყოვნება აიხსნას ადმინისტრაციული სირთულეებით, არ უნდა დაგვაფიქვდეს მთავარი: „დაუშვებელია ისეთ ფუნდამენტურ სფეროში, როგორიცაა ოჯახური ცხოვრების პატივისცემა, ისეთმა სირთულეებმა, როგორიცაა შეხვედრის გაჭიანურება, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს“ (იხ. გადაწყვეტილება *ოლსონის* საქმეზე (N1), გვ. 37, §82). ამგვარი დაგვიანება კიდევ მეტად მიუღებელია წინამდებარე საქმეში, რადგან ამ მომენტისათვის პირველი განმცხადებელი და მისი შვილები ერთმანეთს უკვე წელიწადნახევრის განმავლობაში იყვნენ დაშორებულები.

174. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ პირველი ვიზიტი არ გახდა რეგულარული და ხშირი შეხვედრების დასაბამი, რაც ბავშვებსა და მათ დედას დაეხმარებოდა ურთიერთობების აღდგენაში. უფროსმა ვაჟმა ნამდვილად გამოხატა იმედგაცრუება პირველი შეხვედრის შემდეგ თავის 1999 წლის 6 მაისის წერილში სოციალურ

მუშაკებთან. იმ ფაქტის გათვალისწინების გარეშე, რომ უფროსი შვილის წერილები ხელისუფლების იმ ორგანოების მიმართ, რომლებიც ამ საქმეში ფიგურირებენ, განსაკუთრებული სიფრთხილითაა განსახილველი. ბავშვის საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე (იხ. 210-ე პუნქტი). სავსებით გასაგებია იმედგაცრუების განცდა ხანგრძლივი დაშორების შემდეგ, რაც ბავშვისათვის ძალიან ტრავმულ მოვლენებს მოჰყვა. ამ ვითარებას პირიქით უნდა ებიძგებინა სოციალური სამსახურებისათვის, რომ რეგულარული შეხვედრები მოეწყობა, რაც ბავშვს დაეხმარებოდა რთული პერიოდის გადატანაში. გახანგრძლივებული განცალკევება, რასაკვირველია, ვერ შეუწყობდა ხელს ისედაც მნიშვნელოვნად დარღვეული ოჯახური კავშირების განმტკიცებას. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ „ბმა ოჯახის წევრებს შორის და მათი წარმატებული განმტკიცების პერსპექტივა ძალაუვნებურად სუსტდება, თუ მარტივი და რეგულარული ურთიერთობის გზაზე დაბრკოლებები ჩნდება (იხ. *ოლსონი* (N1), გვ. 36-37, § 81).

175. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ აკნინებს მოსამზადებელი პროგრამის მნიშვნელობას. მართლაც, სასამართლომ ადრე მიუთითა, რომ „... ბიოლოგიური მშობლების ბავშვებთან დაახლოება, როცა ისინი გარკვეული პერიოდის განმავლობაში მინდობით აღმზრდელ ოჯახში არიან, გარკვეულ მომზადებას საჭიროებს. ამგვარი მომზადების ბუნება და მოცულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს თითოეული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებზე, მაგრამ ყოველთვის მოითხოვს ყველა დაკავშირებულ მხარეს შორის აქტიურ თანამშრომლობას. ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ამგვარი თანამშრომლობის დასამყარებლად, თუმცა მათი შესაძლებლობები - მიმართონ იძულებას, შეზღუდულია, რადგან გასათვალისწინებელია ყველა დაკავშირებული მხარის ინტერესი, მათი უფლებები და თავისუფლებები, განსაკუთრებით კი ბავშვების ინტერესები და უფლებები კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად. თუ ბიოლოგიურ მშობლებთან კონტაქტი აზიანებს მათ ინტერესებს ან ბლალავს მათ უფლებებს, ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ სამართლიანი ბალანსის დაცვა...“ (იხ. 1992 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება *ოლსონი შედეთის წინააღმდეგ* (N2), სერია A, N250, გვ. 35-36, §90). წინამდებარე საქმეში დასაკვირვებელია ის ფაქტი, რომ მხოლოდ ერთი ვიზიტი ვერ იქნებოდა საკმარისი ბავშვებისთვის, აღადგინონ კავშირი თავიანთ დედასთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ ვიზიტს წინ უძღოდა მოსამზადებელი ფაზა, რამაც ისედაც გაახანგრძლივა შეხვედრამდე პერიოდი, სასამართლოსათვის სრულიად გაუგებარია, რატომ არ მოჰყვა მას დაუყოვნებლივ მომდევნო შეხვედრები. სასამართლო იმასაც მიაპყრობს ყურადღებას, რომ მთავრობამ საკმარისად დამატებელი განმარტება ვერ წარმოადგინა მომდევნო მოსამზადებელი ფაზის კიდევ 4 თვით გახანგრძლივების დასასაბუთებლად და უპირველესად, 1999 წლის 9 სექტემბრის შემდეგ ვიზიტების არარსებობის შესახებ.



176. სასამართლომ ყურადღებით განიხილა პირველი ვიზიტის ვიდეოჩანაწერი და დაადგინა, რომ არც ვიზიტი და არც მისი შედეგი სულაც არ იყო იმდენად ნეგატიური, როგორც ამას სოციალური სამსახურები აღწერდნენ. მიუხედავად ამისა, სოციალურ სამსახურებს მიეცათ სრული თავისუფლება, მეორე ვიზიტი მთელი ოთხი თვის შემდეგ ჩაენიშნათ. მეტიც, მეორე შეხვედრის აუდიოჩანაწერი ადასტურებს, რომ სოციალურ სამსახურებს საგრძნობი თავისუფლება მიეცათ გადაწყვეტათ, შემდგარიყო თუ არა შეხვედრები და როდის.

177. ამ საკითხის გარშემო გასათვალისწინებელია შემდეგი: არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე, რომ ურთიერთობების ხანგრძლივმა წყვეტამ მშობელსა და ბავშვს შორის, ან ძალიან დიდმა შუალედებმა შეხვედრებს შორის საფრთვე შეუქმნას ოჯახში წარმოქმნილ სირთულეთა დაძლევაში დახმარების ნებისმიერ რეალურ შესაძლებლობას და ოჯახის წევრების კვლავ შეკავშირებას (საფრთხე კიდევ მეტად დიდია პატარა ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც მცირეწლოვანნი იყვნენ განცალკევების მომენტში).

178. აქედან გამომდინარე, წინამდებარე საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლო მიუღებლად მიიჩნევს, რომ სოციალურმა სამსახურებმა შეძლონ, როგორც აღნიშნულ შემთხვევაში, შეცვალონ სასამართლოს გადაწყვეტილებების პრაქტიკული ეფექტი, რომლებიც ადგენდნენ, რომ კონტაქტი პრინციპულად უნდა შემდგარიყო. შეხვედრების შეზღუდული რაოდენობისა და არასათანადოობის გათვალისწინებით (სულ ორი შეხვედრა თითქმის სამი წლის მანძილზე), აქამდე ორგანიზებული შეხვედრები არარეგულარული და სრულიად უმნიშვნელოა ყველა მიზნისათვის, თუ მათ განვიხილავთ მე-8 მუხლით დადგენილი პრინციპების კონტექსტში.

179. საქმის მასალებიდან ამკარაა, რომ პირველი ვიზიტის შემდეგ სოციალურმა სამსახურებმა არაორდინალური როლი ითამაშეს არასრულწლოვანთა სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაში. მათ ნეგატიური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდათ პირველი განმცხადებლის მიმართ - დამოკიდებულება, რომელსაც სასამართლო დამატებებელ გამართლებას ვერ უძებნის. სინამდვილეში, სოციალური სამსახურები სიტუაციას აქამდე მართავდნენ იმგვარად, რომ ეს ხელს უწყობდა პირველ განმცხადებელსა და მის შვილებს შორის ნაპრალის გაღრმავებას, რითაც ქმნიდნენ რისკს, რომ ეს პერმანენტული გახდებოდა. სოციალური სამსახურების უკანასკნელ ანგარიშში მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ ადასტურებს ამ ტენდენციას. არასრულწლოვანთა სასამართლოს ზედამხედველობა უნდა გაენია თავის გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის, ნაცვლად კი გაამართლა სოციალური სამსახურების ქმედებები ყოველგვარი განხილვის გარეშე.

180. 1998 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების შემდეგ მხოლოდ ორი ვიზიტი შედგა (წელიწადნახევრის გამოტოვებით), თავად ამ ფაქტს უნდა წაექვებინა

არასრულწლოვანთა სასამართლო, გამოეძიებინა პროგრამაში დაყოვნების მიზეზები, ნაცვლად სოციალური სამსახურების უარყოფითი დასკვნების თითქმის უპირობოდ მიღებისა და ფაქტების ამა თუ იმ სახით კრიტიკული გაანალიზების გარეშე. როცა პირველი განმცხადებელი ასაჩივრებდა ვიზიტების შედეგთა შეფასებას, არასრულწლოვანთა სასამართლომ არ მიიჩნია აუცილებლად ვიზიტთა აუდიო-ვიზუალური ჩანაწერების შესწავლა (მისი ჩვენების ნებართვა მნიშვნელოვანი დაყოვნებით გაიკა და ისიც მხოლოდ მას შემდეგ, როცა სასამართლომ ნახა (იხ. 109-ე პუნქტი)). ამასთან, მიუხედავად მეურვეობის თაობაზე მოსამართლის დადებითი დამოკიდებულებისა, პირველი განმცხადებლის მიერ დანიშნულ დამოუკიდებელ სპეციალისტს ნებაჲ კი არ დართეს დასწრებოდა ვიზიტებსა და მოსამზადებელ სესიებს. ამგვარი უარისათვის არა მხოლოდ სათანადო საფუძველი არ არსებობდა, არამედ ამით არასრულწლოვანთა სასამართლოს წაერთვა შესაძლებლობა, შეესწავლა სოციალური სამსახურების ქმედებები.

181. მე-8 მუხლი მოითხოვს, რომ სასამართლოს გადანყვეტილებებმა პრინციპულად გაამარტივოს მშობლებსა და მათ შვილებს შორის ვიზიტები, რათა მათ შეძლონ ურთიერთობების ხელახალი განმტკიცება ოჯახის თანდათანობით კვლავ გამთლიანების მიზნით. არავითარი ლოგიკა არ იქნებოდა იმ გადანყვეტილებაში, რომ შეხვედრა მხოლოდ იმ შემთხვევაში შემდგარიყო, თუ გადანყვეტილების აღსრულების მეთოდი მიუთითებდა, რომ ბავშვი ფაქტობრივად არის დაშორებული ბიოლოგიურ მშობელს. აქედან გამომდინარე, შესაბამისი ხელისუფლების ორგანოები, ამ შემთხვევაში არასრულწლოვანთა სასამართლო, ვალდებულნი არიან გამოიჩინონ მუდმივი სიფხიბლე, განსაკუთრებით, სოციალური სამსახურების საქმიანობასთან მიმართებით, რათა უზრუნველყონ, რომ ამ უკანასკნელის ქცევამ არ დაარღვიოს ხელისუფლების ორგანოების გადანყვეტილებები.

182. საქმის მასალებიდან გამომდინარე, სასამართლოს არ შეუძლია რაიმე მნიშვნელობა მიანიჭოს პირველი განმცხადებლის დის დაუსაბუთებელ განცხადებებს. მოჰასუხე მთავრობამ ვერ შეძლო გაემართლებინა ხელისუფლების ორგანოებისა და სოციალური სამსახურების მოქმედება ასეთი ბუნდოვანი ინფორმაციით, მით უფრო იმიტომ, რომ არც ხელისუფლების ორგანოების გადანყვეტილებები და არც სოციალური სამსახურების ანგარიშები არათერს ამბობდა ამაზე. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალები შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებს პირველ განმცხადებელსა და მის ყოფილ ქმარს შორის ურთიერთობებზე. საქმის მასალებით არ ჩანს, რომ პირველ განმცხადებელსა და მის ყოფილ ქმარს შორის ამჟამად არსებული გაურკვეველი ურთიერთობები იძლევა დასკვნის საშუალებას, თითქმის პირველ განმცხადებელს არ ძალუძს განაახლოს კავშირი საკუთარ შვილებთან. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ხელისუფლების ორგანოების გადანყვეტილებათაგან არც ერთი არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით.

183. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეძლეს პირველი განმცხადებლის ბავშვების ინტერესებსა და მის კონვენციით განსაზღვრულ უფლებებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა. ამდენად, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

### 3. გადანყვეტილება ბავშვების „ილ ფორტეტოს“ საზოგადოებაში ინტეგრაციის მოთავსების შესახებ

#### (ბ) სასამართლოს შეფასება

201. სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბოს ზოგიერთ აღრიხდელ გადანყვეტილებებში დადგენილი პრინციპი, რაც შესაძლოა მას დაეხმაროს განაცხადის ამ მონაკვეთში წამოჭრილი რთული საკითხების საერთო კონტექსტში წარმოსადგენად. კერძოდ, გადანყვეტილებაში *იოჰანსონი ნორვეგიის წინააღმდეგ* სასამართლომ თქვა (გვ. 1003-1004, § 64):

„... სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს შემდეგ ფაქტს: ნევრ სახელმწიფოებში განსხვავებულად აღიქვამენ საჯარო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ბავშვებზე ზრუნვის საკითხში ჩარევის მართებულობას. განსხვავებული აღქმა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა ოჯახის როლთან დაკავშირებული ტრადიციები, სახელმწიფოს ჩარევა ოჯახურ საქმეებში და რესურსების არსებობა ამ კონკრეტულ სფეროში ზომების მისაღებად. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა აქვს, თუ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი. გარდა ამისა, ყურადსაღებია, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს აქვთ უპირატესობა, პირდაპირი კონტაქტი ჰქონდეთ ადამიანებთან ..., ხშირად სრულიად სანყის ფაზაში, როცა მზრუნველობის ღონისძიებები წინასწარ გათვალისწინებულია ან დაუყოვნებლივ ხდება მათი აღსრულება. ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლოს საქმე არ არის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ჩანაცვლება მათ პასუხისმგებლობათა შესრულებისას, რაც გულისხმობს ბავშვებზე სახელმწიფო ზრუნვისა და იმ მშობლების უფლებათა რეგულირებას, რომელთა შვილებიც მზრუნველობის ქვეშ არიან გადაცემულნი, არამედ სასამართლოს ვალდებულებაა კონვენციის საფუძველზე განიხილოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ თავიანთი შეფასების ფარგლებში მიღებული გადანყვეტილებები...“

ეროვნული ხელისუფლების შესაბამისი ორგანოსადმი მინიჭებული შეფასების ფარგლები შეიძლება იცვლებოდეს საკითხის ბუნებიდან და ურთიერთსაინააღმდეგო ინტერესების სერიოზულობიდან გამომდინარე .... ამდენად, სასამართლო აღიარებს, რომ ხელისუფლების ორგანოები შეფასების ფართო ფარგლებით სარგებლობენ, როცა აანალიზებენ ბავშვის მზრუნველობის ქვეშ მოთავსების აუცილებლობას. მიუხედავად ამისა, ორივე ამ საკითხის მეტად გულდასმით გამოკვლევაა საჭირო, როცა საქმე ეხება ისეთ შემდგომ შემზღვევებს,

როგორცაა მშობლობის უფლების შეზღუდვა და ნებისმიერი სამართლებრივი გარანტია მშობლებისა და ბავშვების ოჯახური ცხოვრების უფლების დასაცავად. ამ ტიპის შეზღუდვები შეიცავს მშობლებსა და არასრულწლოვან შვილებს შორის ოჯახური ერთიერთობების რღვევის საფრთხეს.“

202. სასამართლო აღნიშნავს, რომ „ილ ფორტეტოს“ ორი მთავარი ლიდერი და თანადამფუძნებელი 1985 წელს ფლორენციის სააპელაციო სასამართლომ გაასამართლა მათ საზოგადოებაში მცხოვრები სამი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის მიმართ არასათანადო მოპყრობისა და სექსუალური ძალადობის გამო. ისინი ამნისტირებულები არიან კიდევ ერთი ბრალდებისათვის, რაც გულისხმობდა ბერნისა და ციურიხის უნივერსიტეტებიდან ფსიქოლოგის ყალბი დიპლომების ფლობას. ეს ბრალდებები დადასტურებულია, რამდენადაც საქმის მასალებში დევს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების ასლი, რომელიც ძალაში დატოვა საკასაციო სასამართლომ. შესაბამისად, სასამართლო მნიშვნელობას ვერ მიანიჭებს მთავრობის არგუმენტს, რომ მტკიცებულებათა შესაგროვებლად შეიქმნა კომიტეტი (რის შესახებაც დეტალები არ მოუწოდებია), რათა ხელახლა გადაესინჯათ საქმე. სასამართლო რელევანტურად ვერ მიიჩნევს ტოსკანას მთავრობის მხრიდან საზოგადოებრივი აზრის მოხმობას სასამართლო პროცესის მიმდინარეობის მომენტისათვის.

203. სასამართლო არ შეკრებილა იმისათვის, რომ გამოხატოს თავისი აზრი „ილ ფორტეტოს“ აღნიშნულის შესახებ ან ზოგადად იმსჯელოს იმ ზრუნვის ხარისხზე, რასაც ეს საზოგადოება სთავაზობს იქ მოთავსებულ ბავშვებს. არც ის არის სასამართლოს საქმე, რომ თქვას, რამდენად საფუძვლიანია ის ნდობა, რაც რიგ დაწესებულებებს აქვთ „ილ ფორტეტოს“ მიმართ. თანაც, ფლორენციის სააპელაციო სასამართლომ 1985 წლის გადანყვეტილება ამჟღავნებს ინფორმაციას „ილ ფორტეტოში“ არსებული ატმოსფეროსა და საქმიანობათა შესახებ 1970-იანი წლების ბოლოს. ეს ინფორმაცია შეეხება საზოგადოებაში არსებულ ვითარებას ოც წელიწადზე მეტი ხნის წინ. სასამართლო ვერ ფლობს ისეთ ინფორმაციას, რაც საშუალებას მისცემდა მას გამოეთქვა თავისი თვალსაზრისი „ილ ფორტეტოში“ არსებულ ვითარებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს საქმე არაა „ილ ფორტეტოს“ მხარდამჭერებსა და ოპონენტებს შორის გამართულ დებატებში ჩაბმა.

204. ის ფაქტი, რომ თემის ორი წევრი, ბრალდებული 1985 წელს, კვლავ იკავებს საპასუხისმგებლო თანამდებობებს, არ შეიძლება ჩაითვალოს უვნებელ ამბად და პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, წარმოშობს ან აუცილებელს ხდის პირველი განმცხადებლის ბავშვების კონკრეტულ გარემოებათა დეტალური განხილვის აუცილებლობას.

205. სასამართლოს აღნიშვნით, მოჰასუხე მთავრობის მტკიცების საპირისპიროდ, საქმის მასალებში მოცემული მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ ეს ორი ლიდერი



საკმარისად აქტიურ როლს ასრულებს პირველი განმცხადებლის ბავშვებთან მიმართებით.

ლ.რ.ფ. დაესწრო 1997 წლის 8 სექტემბრის შეხვედრას, სადაც სოციალურმა სამსახურებმა ფლორენციის არასრულწლოვანთა სასამართლოს რეკომენდაცია გაუწიეს ბავშვები „ილ ფორტეტოში“ მოეთავსებინათ.

1997 წლის 15 დეკემბერს უფროს ვაჟს ინტერვიუზე სხვა პირებთან ერთად ახლდა ქ-ნი მ.ს-გ. რომელიც ფაქტობრივად ლ.გ-ს ცოლია.

სწორედ ლ.გ. აწერდა ხელს 1998 წლის 7 იანვარს პროკურორისა და არასრულწლოვანთა სასამართლოს მიმართ გაგზავნილ წერილს, რომელიც შეეხებოდა ინციდენტს, რაც პირველი განმცხადებლისა და მისი ყოფილი ქმრის მხრიდან „ილ ფორტეტოში“ ბავშვების ნახვის მცდელობას მოჰყვა.

–1998 წლის 29 ივნისს ლ.რ.ფ-მ „ილ ფორტეტოს“ სახელით დეტალური წერილი დაწერა პირველი განმცხადებლის შვილებთან დაკავშირებით, რომელშიც იძლეოდა რეკომენდაციას, რომ გადაევალებინათ უმცროს შვილთან დაგეგმილი ვიზიტები.

206. სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული ფაქტები აშკარად მიუთითებს საზოგადოების ამ ორი წევრის აქტიურ როლს პირველი განმცხადებლის ბავშვების მზრუნველობის შესახებ საქმეში. სათუქვლიან ეჭვს ბადებს ის ფაქტი, რომ საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ ბავშვების მზრუნველობაში გადაცემის გადაწყვეტილების ფარგლებში, ორი ადამიანი, რომელიც ოცი წლით ადრე იყო მსჯავრდებული მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირთა არასათანადო მოპყრობასა და შეურაცხყოფაზე, ისევ აქტიურ როლს თამაშობდა იმავე თემაში.

207. სასამართლოს ეჭვებს მთავრობის აღიარებაც ამყარებს, რომ არასრულწლოვანთა სასამართლოს ჰქონდა ინფორმაცია თემის ამ ორი წევრის მსჯავრდების შესახებ, როცა მიიღო პირველი განმცხადებლის ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. ეს ეჭვი ძალაში რჩება, მიუხედავად იმისა, რომ არც ლ.რ.ფ-ს და არც ლ.გ-ს 1985 წლის შემდეგ არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ. არც არავითარი მინიშნება არ არის საქმის მასალებში, რომ მათ ან საზოგადოების სხვა წევრებმა ან იქ მცხოვრებმა სხვა პირებმა ძალა იხმარეს ან არასათანადოდ მოეპყრნენ პირველი განმცხადებლის შვილებს თუ „ილ ფორტეტოში“ მცხოვრებ სხვა ბავშვებს. კიდევ ერთი დამამძიმებელი გარემოებაა სექსუალური ძალადობა წარსულში უფროსი შვილის მიმართ. ამ ორი ფაქტორის კომბინაცია (სექსუალური ძალადობა უფროსი ვაჟის მიმართ და ლ.რ.ფ-სა და ლ.გ-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა წარსულში) სრულიად ამართლებს პირველი განმცხადებლის შიშს ბავშვის „ილ ფორტეტოში“ მოთავსების გამო და სავსებით გასაგებს ხდის ობიექტური პოზიციებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით,

თუ გავითვალისწინებთ მისი, როგორც ბავშვებს მონყვეტილი დედის მდგომარეობას.

208. ისიც აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არც ერთ ეტაპზე არ აუხსნეს სათანადოდ პირველ განმცხადებელს, რომ ბავშვების გაგზავნა „ილ ფორტეტოში“ არ წარმოადგენდა პრობლემას, მიუხედავად იმ ორი კაცის წარსულში მსჯავრდებისა. სასამართლოს თვალსაზრისით, ამგვარი კომუნიკაციის ხარვეზი არ შეესაბამება სახელმწიფოს ვალდებულებას, იმოქმედოს სამართლიანად და მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია, როცა სერიოზულ გადაწყვეტილებებს იღებს, მით უფრო, ისეთ დელიკატურ და სენსიტიურ სფეროში, როგორცაა ოჯახური ცხოვრება. თუ ხელისუფლების შესაბამის ორგანოს არ მიუცია სრული და ამომწურავი განმარტება, მშობლები არ უნდა აიძულონ - როგორც ეს წინამდებარე საქმეში მოხდა, შვილები მზრუნველობისთვის გადასცემენ თემს, რომლის ლიდერებიც წარსულში სერიოზულ დანაშაულში იყვნენ ბრალდებულნი, არასათანადო მოპყრობისა და სექსუალური ძალადობისათვის. ამ ვითარებაში გამოიკვეთა გარემოებათა ორი წყება.

209. პირველი, „ილ ფორტეტოს“ ზოგიერთი ლიდერი, მათ შორის, ერთ-ერთი იმ ორ კაცთაგან, რომლებიც 1985 წელს იყვნენ მსჯავრდებულები, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ფლორენციის არასრულწლოვანთა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებას ან დაბრკოლებას - კონტაქტს პირველ განმცხადებელსა და მის ბავშვებს შორის. ამგვარად, საქმის მასალებიდან ჩანს, რომ 1997 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით, პირველ განმცხადებელს მიეცა უმცროსი ვაჟის ნახვის ნებართვა, არასრულწლოვანთა სასამართლოს 1998 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებამდე, რომლითაც ერთმნიშვნელოვნად მიეცა დედას ურთიერთობების აღდგენის უფლება მ-სთან იმ პირობით, რომ იგი მოსამზადებელ პროგრამას გაივლიდა. „ილ ფორტეტოს“ ლიდერები - არასრულწლოვანთა სასამართლოს გადაწყვეტილების დებულებათა უგულებელყოფით, ხელს უშლიდნენ პირველ განმცხადებელს, ენახა თავისი შვილები, განსაკუთრებით უმცროსი ვაჟი. სასამართლოს აზრით, ამგვარი ქცევა მიუღებელია. გარდა ამისა, არ უნდა იყოს შემთხვევითი ლ.რ.ფ-ს წერილი პროკურორის მოადგილისადმი 1998 წლის 29 ივნისს, სადაც ის იძლეოდა რეკომენდაციას, რომ აეკრძალათ კონტაქტი და პროკურორის მოადგილის წერილი არასრულწლოვანთა სასამართლოსადმი სამი დღის შემდეგ, სადაც ის დაუინებით ითხოვდა, რომ დაგეგმილი ვიზიტები (რომელთა შესახებაც, მისივე თქმით, ინფორმაცია ჰქონდა პროკურორს) გადადებულიყო.

210. მეორე, მტკიცებულებები მიუთითებს, რომ პირველი განმცხადებლის ბავშვებზე „ილ ფორტეტოს“ ლიდერები ახორციელებდნენ ზეწოლას, მათ შორის, ერთ-ერთი იყო 1985 წელს მსჯავრდებული. ეს ზეწოლა მიზნად ისახავდა ბიჭების დისტანცირებას დედამისისგან, განსაკუთრებით კი უფროსი ვაჟის. ამასთან,

სასამართლო შენიშნავს, რომ უფროსმა ბიჭმა სპეციალისტებს განუცხადა 1999 წლის 27 თებერვალს, როგორ მონაწილეობდა პროკურატურისადმი გაგზავნილი წერილის დაწერაში პირი სახელად ლ.რ.ფ. სასამართლო ვერაფერს იტყვის იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამება ჭეშმარიტებას უფროსი ვაჟის წერილში ასახული ფაქტები. თუმცა, უფროსი ადამიანების - მათ შორის, ლ.რ.ფ.-ის, დასწრება წერილის წერის პროცესში, როცა წერილს წერს 12 წლის ბავშვი სასამართლოს თავმჯდომარეს ან პროკურორს, ობიექტურად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს. ცხადია, სასამართლო ატყობს ცვლილებას უფროსი ვაჟის დედისადმი დამოკიდებულებაში, რომელიც ამ ფაქტს განიცდის (ამ ცვლილების მაგალითია 1999 წლის 2 მარტის წერილი, იხ. 87-ე პუნქტი), რომელიც გაიგზავნა 1999 წლის 27 თებერვალს სპეციალისტთან შემდგარი დიალოგიდან 4 დღის შემდეგ, როცა ბავშვმა თქვა, რომ ძალიან გაუხარდებოდა დედამისის კვლავ ნახვა. იხ. 116-ე პუნქტი).

211. სასამართლოს აზრით, ფაქტები მეტყველებს, რომ „ილ ფორტეტოს“ ლიდერები, პასუხისმგებლები პირველი განმცხადებლის შვილების ზრუნვაზე, ხელს უწყობდნენ არასრულწლოვანთა სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობას შეხვედრების ჩაშლის გზით. გარდა ამისა, უცნობია, რეალურად ვინ უვლიდა ბავშვებს „ილ ფორტეტოში“, რადგან ბავშვებს გარეთ სხვადასხვა ადამიანები დაჰყვებოდნენ, რომლებიც, მთავრობის რწმუნებით, ეხმარებოდნენ მიმღებ მშობლებს, მაგრამ რიგ ჩანაწერებში ისინი ნახსენები არიან როგორც მიმღები მშობლები. ეს ეჭვი დაადასტურა ორი ოფიციალური ექსპერტის ჩვენებამ, რომელსაც მთავრობა არ დაეთანხმა.

212. არსებულ ვითარებასა და აღნიშნულ ლიდერთა კრიმინალურ წარსულს უნდა დაეფიქრებინა არასრულწლოვანთა სასამართლო, რომ მეტი ყურადღებით დაკვირვებოდა, როგორ უვლიან ბავშვებს „ილ ფორტეტოში“ და რა ზეგავლენა აქვთ ლიდერებს ბავშვებზე, მათსა და დედას შორის ურთიერთობაზე. თუმცა, ეს ასე არ მომხდარა. პრაქტიკულად, აღნიშნული ლიდერები მუშაობენ საზოგადოებაში, რომელიც სარგებლობს მოქმედების სრული თავისუფლებით და შესაბამისი ხელისუფლების ორგანოები ეფექტურ ზედამხედველობას არ უწევენ. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე მთავრობამ ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები რათა ეჩვენებინა, ნამდვილად განახორციელა თუ არა ექვსთვიანი შემონმებები მეურვეობის მიმნიჭებელმა მოსამართლემ, როგორც ამას მოითხოვს 1983 წლის N 184 კანონის მე-9 მუხლი. მართლაც, მოპასუხე მთავრობას არ წარმოუდგენია მეურვეობის მიმნიჭებელი მოსამართლის ინსპექტირების არც ერთი ანგარიში.

213. გარდა ამისა, „ილ ფორტეტოში“ ბავშვებზე პასუხისმგებელ პირთა - მათ შორის, 1985 წელს ბრალდებული ორი ლიდერის - დამოკიდებულებისა და ქცევის ნეგატიური ზეგავლენა დედასთან ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივაზე,

ამასთანავე, სოციალური სამსახურების ზემოთ აღწერილი ნეგატიური დამოკიდებულება, გარკვეულწილად გახდა მიზეზი იმისა, რომ პირველმა განმცხადებელმა დაკარგა თავის შვილებთან ხელახლა გაერთიანების სერიოზული პერსპექტივა.

214. რაც შეეხება „ილ ფორტეტოში“ ბავშვების დარჩენის გაურკვეველ ვადას: გამოცდილება ადასტურებს, რომ თუ ბავშვები ხანგრძლივად რჩებიან საზოგადოებაში მზრუნველობის ქვეშ, მათი უმეტესობა აღარასოდეს უბრუნდება რეალურ ოჯახურ ცხოვრებას საზოგადოების გარეთ. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ვერ მოისმინა მართებული დასაბუთება, რატომ არ დაუწესეს პირველი განმცხადებლის ბავშვებს მზრუნველობის ქვეშ ყოფნის ვადა, მით უფრო, რომ ეს ეწინააღმდეგება იტალიის კანონმდებლობის შესაბამის დებულებებს, კერძოდ, 1983 წლის N 184 კანონის მე-4 მუხლს.

215. ფაქტია, რომ მზრუნველობის შეზღუდული ვადის არარსებობა, „ილ ფორტეტოში“ ბავშვებზე პასუხისმგებელ პირთა დამოკიდებულება, სოციალური სამსახურების დამოკიდებულებასა და ქცევასთან ერთად, პირველი განმცხადებლის ბავშვებს უქადის დედისგან შეუქცევად განცალკევებას და გრძელვადიან ინტეგრაციას „ილ ფორტეტოში“. მიუხედავად იმისა, რომ რიგი ფაქტორები მიუთითებენ ბავშვების ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე იქ მოთავსების შემდეგ, დედასა და შვილებს შორის ურთიერთობებს რეალურ საფრთხეს უქმნის ეს პროცესი, რომელიც ბლალავს საქმის განმხილველი სასამართლოებისა და მათი გადაწყვეტილებების როლს.

216. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ გამოავლინეს საკმარისი წინდახედულება და სიფხიზლე, რაც საჭიროა ესოდენ დელიკატურ და სენსიტიურ ვითარებაში და ეს მოხდა არა მხოლოდ პირველი განმცხადებლის უფლებების შეზღუდვით, არამედ ბავშვების საუკეთესო ინტერესების დარღვევითაც. შესაბამისად, ზემოთ აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, „ილ ფორტეტოში“ ბავშვების განთავსება განუსაზღვრელი ვადით არ აკმაყოფილებს კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

#### **4. მეორე განმცხადებლის პოზიცია**

##### **(ბ) სასამართლოს შეფასება**

221. პირველ რიგში სასამართლო აღნიშნავს, რომ საერთო პოზიციით მეორე განმცხადებელსა და მის შვილიშვილებს შორის ურთიერთობა ექცევა კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების ქვეშ. ამასთან დაკავშირებით, იგი აღნიშნავს, რომ „ოჯახური ცხოვრება“ მე-8 მუხლის მნიშვნელობით მოიცავს კავშირებს ახლო ნათესავებს შორის, მაგალითად, ბებია-ბაბუასა და შვილიშვილებს შორის, რამდენადაც ამგვარი ნათესავები შეიძლება მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ



ოჯახურ ცხოვრებაში. ოჯახური ცხოვრების პატივისცემა გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, იმოქმედოს იმგვარად, რომ ამ კავშირებს ნორმალურად განვითარების საშუალება მისცეს“ (იხ. 1979 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება *მარკესი ბელგიის წინააღმდეგ*, სერია A, N31, გვ.21, § 45).

222. მეორე განმცხადებლის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ ბავშვებისთვის ზრუნვა მისთვის მიენდოთ, სასამართლო ამბობს: 1983 წლის N 184 კანონის მე-12 მუხლი უპირატესობას ანიჭებს ბავშვების ოჯახის ახლო წევრებთან დატოვებას, რომლებიც ცნობილ მისამართზე ცხოვრობენ. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებების თანახმად, მეორე განმცხადებელს მნიშვნელოვანი სირთულეები შეექმნებოდა ბავშვების სათანადო მოვლაში. ის ვერ გაივლიდა წინასწარ მოსამზადებელ საკონსულტაციო პროგრამას ბავშვებთან ურთიერთობამდე, რადგან ბელგიაში ცხოვრობდა. იტალიაში გადმოსვლის შემდეგ მას მაინც მოუწევდა ბელგიაში დაბრუნება 1999 წლის შემოდგომაზე ადმინისტრაციული პრობლემების მოსაგვარებლად, რაც უკავშირდებოდა მასზე დამოკიდებული შემლუდული შესაძლებლობების მქონე ვაჟის ინვალიდობის პენსიას. 2000 წლის თებერვალში ის საავადმყოფოში მოხვდა გულის პრობლემებით. გარდა ამისა, ძნელია გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ უფროსი ვაჟი ბებიასთან ცხოვრობდა 1992 წელს: ამ დროს ის ძალიან პატარა იყო, შესაბამისად, არაფერი მიუთითებს მათ შორის ახლო და უწყვეტ კავშირზე. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილება, არ მიენდოთ ბავშვებზე ზრუნვა მეორე განმცხადებლისათვის ეფუძნება მიზეზებს, რომლებიც რელევანტური რჩება მეორე განმცხადებლის იტალიაში გადმოსვლის შემდეგაც, რადგან ეს გადმოსვლა ყველა შემთხვევაში დროებითია.

223. მეორე განმცხადებელსა და ბავშვებს შორის ურთიერთობის შესახებ სასამართლო აღნიშნავს, რომ ბებიის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი თავიდანვე არათანმიმდევრული იყო. როგორც კომისიამ განაცხადა, ძნელია გაიგო, რატომ უნდა ეთქვა მეორე განმცხადებელს უარი ბავშვების ნახვამდე მოსამზადებელი პროგრამის გავლაზე იმ მიზეზით, რომ ის ძალიან შორს ცხოვრობდა, როცა მან კვირაში მხოლოდ ორი ვიზიტი მოითხოვა.

224. ფლორენციის არასრულწლოვანთა სასამართლოს 1998 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილების მიუხედავად, რომ მეორე განმცხადებელსა და ბავშვებს შორის ურთიერთობა უნდა დაწყებულიყო 1999 წლის 15 მარტიდან, მოსამზადებელი პროგრამის გავლის შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდებოდა იმ ეტაპისთვის, როცა მეორე განმცხადებელი იტალიაში გადმოვიდოდა. თუმცა იგი არ დაუკავშირდა სოციალურ სამსახურებს და მათგან პასუხს ელოდა სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გავლის შემდეგაც. არც ის მიიჩნია საჭიროდ, ეცნობებინა ხელისუფლების ორგანოებისათვის, რომ ბელგიაში გაემგზავრა. აქედან

გამომდინარე, სოციალური სამსახურების შეტყობინება შეხვედრის დანიშვნაზე, მართალია, დაგვიანებით მოვიდა, მაგრამ სრულიად უშედეგოდ.

225. სასამართლო ვერ დაარწმუნა მთავრობის განმარტებამ არასრულწლოვანთა სასამართლოს გადაწყვეტილების განხორციელების დაყოვნებაზე (სოციალურ სამსახურებს სჭირდებოდათ კონცენტრირება პირველ განმცხადებელთან შეხვედრის მოსამზადებლად). თუმცა იგი მიიჩნევს, რომ მეორე განმცხადებელს არ წარმოუდგენია დამატებელი განმარტება, რატომ არ იმოქმედა ვადის ამოწურვის შემდეგ ან რატომ არ შეატყობინა შესაბამის ორგანოებს, რომ ბელგიაში მიემგზავრებოდა.

226. სასამართლოს აზრით, მეორე განმცხადებლის ქცევით არ დგინდება შვილიშვილების ნახვის სურვილი - ფაქტორი, რომელიც ამართლებს ხელისუფლების ორგანოების დაყოვნებას.

227. ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე სასამართლო ასკვნის, რომ მეორე განმცხადებლის მიმართ არ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პოზიტიურ ვალდებულებებზე, მიიღონ აუცილებელი ზომები განმცხადებლების, საკუთრების ინტერესების დასაცავად, როცა საქმე ეხება მათი დედის მიერ დადებულ შეთანხმებას უძრავი ქონების გაცვლის შესახებ. აგრეთვე მათ ჰქონდეთ გონივრული შესაძლებლობა, ეფექტიანად იდავონ იმ ზომებზე, რომლებიც ლახავს კონვენციის დამატებითი N1 ოქმის 1-ლი მუხლით მათთვის მინიჭებულ უფლებებს.

სახელმწიფომ ვერ დაიცვა არასრულწლოვანთა საკუთრების უფლება უძრავი ქონების გაცვლის შესახებ შეთანხმებაში: დარღვევა

**საქმე „ს.ლ. და ჯ.ლ. ხორვატიის წინააღმდეგ“**

**CASE OF S.L. AND J.L. v. CROATIA**

**განაცხადი N13712/11**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**2015 წლის 7 მაისი**

### **ფაქტობრივი გარემოებები**

1997 წელს განმცხადებლებმა, ორმა მცირეწლოვანმა დამ, რომლებსაც დედა წარმოადგენდა, 60,000 ევროდ შეიძინეს ვილა. დედამ და ზ.ლ-მ, რომელიც იყოს განმცხადებელთა კანონიერი მეურვე და მეორე განმცხადებლის მამა, შეძინილი ქონების გასარემონტებლად დახარჯეს 40,000 ევრო.

2001 წლის ოქტომბერში ზ.ლ-ს 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და ოჯახს ფინანსური პრობლემები შეექმნა. ზ.ლ-ს ადვოკატმა სოციალური კეთილდღეობის ცენტრისგან გამოითხოვა ნებართვა უძრავი ქონების გაცვლის შეთანხმების გაფორმებაზე. ხელშეკრულების თანახმად, ვილა საკუთრებაში გადაეცემოდა ადვოკატის სიდედრს 55,000 ევროს ღირებულების ბინის სანაცვლოდ. განმცხადებლებს ასევე უნდა მიეღოთ 5,000 ევრო კომპენსაციის სახით, ორ ქონებას შორის ღირებულების სხვაობის გამო.

დედასთან გასაუბრების შემდეგ ცენტრმა ნებართვა გასცა - ეს ნებართვა სავალდებულო იყო იმის გამო, რომ ბინის მფლობელები ჯერ კიდევ მცირეწლოვნები იყვნენ. 2001 წლის დეკემბერში მოხდა ქონების გაცვლა. შემდგომ, განმცხადებლებმა აღძრეს სამოქალაქო სარჩელი გაცვლის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ სოციალური კეთილდღეობის ცენტრმა არ გაითვალისწინა ქონების ღირებულება და ოჯახური გარემოებები, კერძოდ ის, რომ ზ.ლ. პათიმრობაში იყო, ხოლო დედა - წამალდამოკიდებული. ეს სარჩელი და განმცხადებლების შემდგომი სარჩელები არ მიიღეს იმ მიზეზით, რომ ცენტრის

გადანყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოებით იყო შესაძლებელი.

## სამართალი

### I. კონვენციის დამატებითი N1 ოქმის 1-ლი მუხლის საფარაუდო დარღვევა

45. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა მათი ქონებრივი ინტერესები საფარაუდოდ უკანონო და არაკეთილსინდისიერ შეთანხმებაში უძრავი ქონების გაცვლის შესახებ. ისინი ეყრდნობოდნენ დამატებითი N1 ოქმის 1-ლ მუხლს, რომელიც ასე იკითხება:

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.“

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლის ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.“

## ბ. საქმის არსებითი გარემოებები

### 1. მხარეთა არგუმენტები

55. განმცხადებლები ირწმუნებოდნენ შემდეგს: აშკარა იყო, რომ მათი სახლის ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბინის ფასს, რომელიც დ.მ-სგან მიიღეს უძრავი ქონების გაცვლის შესახებ შეთანხმების საფუძველზე. მათ განმარტეს, რომ 450,000 ხორვატიული კუნა (დაახლოებით, 60,000 ევრო), რაც მათმა მშობლებმა სახლში თავის დროზე გადაიხადეს, არ შეესაბამება მის რეალურ ღირებულებას, რადგან სახლი იყიდეს 1997 წელს, ომის შემდგომ პერიოდში არეულობის დროს, მისი წინა მფლობელებისაგან, რომლებმაც დატოვეს ხორვატია და იმ მომენტისათვის ბელგრადში ცხოვრობდნენ. განმცხადებლები არ დავობდნენ შემდეგ ფაქტზე: მათმა მშობლებმა სახლში ჩადეს 80,000 გერმანული მარკის (დაახლოებით, 40,000 ევროს) ინვესტიცია, რაც თავდაპირველად გადახდილ თანხასთან ერთად მთლიანობაში 100,000 ევროს შეადგენს. ამდენად, გაუგებარია, რატომ დაეთანხმა ცენტრი გაცვლის შეთანხმებას, რომლის შესაბამისადაც, მათ მიიღეს დაახლოებით 55,000 ევროთი ნაკლები ღირებულების ბინა. გარდა ამისა, განმცხადებლები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ ცენტრმა ძალიან კარგად იყოფა იმ დროისათვის მათი მამის პატიმრობის ამბავი, ასევე დედის წამალდამოკიდებულების პრობლემები, ხოლო ადვოკატ მ.ი-ს ჰქონდა ინტერესთა



კონფლიქტი. მიუხედავად ამისა, ცენტრს არასოდეს უცდია გასაუბრება მათ მამასთან, არც განუხილავს ექსპერტის რაიმე ანგარიში, რომელშიც შეფასებული იქნებოდა ქონების ღირებულება, არც ადგილზე შემოწმება განუხორციელებიათ, რათა შეეფასებინათ ქონების გაცვლის ყველა გარემოება. ანალოგიურად, საგადასახადო ორგანოებმა ქონების ღირებულება შეაფასეს მხოლოდ გაცვლის შესახებ შეთანხმებაში აღნიშნული თანხის ოდენობით ისე, რომ არავითარი შემდგომი მოკვლევა არ ჩაუტარებიათ. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, როცა მათ მშობლებს არ შეეძლოთ საკუთარი უფლებებისა და ინტერესების სათანადო დაცვა, განმცხადებლებმა მიიჩნიეს, რომ სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებოდათ ვალდებულება, ამ საქმეს განსაკუთრებული გულისხმიერებით მოკიდებოდნენ, თანაც სახელმწიფოზე დაკისრებული ვალდებულების გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი ქმედების თავიდან არიდებას, რაც განმცხადებელთა საუკეთესო ინტერესების სანაღმდეგო შეიძლება აღმოჩნდეს.

56. სახელმწიფო დაეთანხმა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება, დაიცვან განმცხადებელთა საუკეთესო ინტერესები, რომლებიც ბავშვები იყვნენ გაცვლის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის. თუმცა, სახელმწიფომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ორგანოებმა სრულად დააკმაყოფილეს ეს ვალდებულება, ასევე აღნიშნა, რომ გაცვლის ხელშეკრულება გაფორმდა განმცხადებელთა ოჯახისათვის ძალიან რთულ ვითარებაში: იმ დროისათვის მათ მამას აღკვეთილი ჰქონდა თავისუფლება ძალიან სერიოზული ბრალდებით და ელოდა სასამართლო განხილვას, დედას კი ფინანსური პრობლემები ჰქონდა, ეს ყველაფერი ზიანს თავად განმცხადებლებს აყენებდა. აქედან გამომდინარე, გადანწყიტა, გაეცა ნებართვა გაცვლის შეთანხმებაზე, რომლის მიზანიც იყო განმცხადებელთა ნორმალური აღზრდისა და განათლების უზრუნველყოფა; ეს ერთადერთ შესაძლო გამოსავალს წარმოადგენდა. ქონების ღირებულებასთან დაკავშირებით კი სახელმწიფომ აღნიშნა: ბინა დაახლოებით 10 კვადრატული მეტრით უფრო პატარა იყო სახლზე და მისგან განსხვავებით, არ საჭიროებდა დამატებით ინვესტიციას ან გარემონტებას. გარდა ამისა, განმცხადებლებმა მიიღეს დამატებითი თანხა - 10,000 გერმანული მარკის ოდენობით ქონების ღირებულების სხვაობის სანაცვლოდ. მთავრობის აზრით, ქონების გაცვლის ღირებულების საგადასახადო შემოწმებამ აჩვენა, რომ ამ შეთანხმებით არც ერთი მხარე არ დაზარალდებულა. ასეც რომ არ ყოფილიყო, ნებისმიერ შემთხვევაში, აქ რელევანტური ფაქტორი მხოლოდ ქონების ღირებულება კი არ არის, არამედ უფრო მეტად განმცხადებელთა ოჯახური მდგომარეობა, რაც გაცვლის შეთანხმების საფუძველი გახდა და რასაც ცენტრი დაეთანხმა. მთავრობა აღიარებს, რომ ცენტრს არ დაუვალვია ექსპერტისათვის სახლის შეფასების ანგარიში წარმოედგინა, მაგრამ მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი არ არსებობდა, რადგან მას თავადაც შეეძლო შესაბამის ფაქტობრივ გარემოებათა შეფასება, საქმის მასალებში არსებული დოკუმენტების საფუძველზე. გარდა ამისა,

ცენტრს არავითარი მიზეზი არ ჰქონია, ეჭვი შეეტანა იმაში, რომ განმცხადებელთა ინტერესებს იცავდა ვ.ლ., რადგან იმ დროისათვის არაფერი მიანიშნებდა მის წამალდამოკიდებულების პრობლემებზე. ანალოგიურად, ცენტრს არ ჰქონდა მიზეზი დაეჭვებინა, რომ ადვოკატი მ.ი-ს რაიმე ინტერესთა კონფლიქტი ჰქონდა, რადგან მანამდე ის მოქმედებდა როგორც განმცხადებელთა მშობლების წარმომადგენელი.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (ა) ზოგადი პრინციპები

57. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ საკამათოდ არ მიიჩნევს განმცხადებელთა უძრავი ქონების გაცვლის შეთანხმებიდან გამომდინარე საკუთრების ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების დამატებითი N1 ოქმის 1-ლი მუხლის ფარგლებში განხილვას.

58. რამდენადაც დამატებითი N1 ოქმის 1-ლი მუხლის ძირითადი საკითხია პირის დაცვა საკუთრებით შეუფერხებელ სარგებლობაში სახელმწიფოს მხრიდან დაუსაბუთებელი ჩარევისაგან, იგი ასევე უნდა გულისხმობდეს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მიიღოს გარკვეული ზომები, რაც აუცილებელია საკუთრების უფლებების დასაცავად. ეს განსაკუთრებით, როცა არსებობს პირდაპირი ბმა იმ ზომებს შორის, რომლებსაც განმცხადებელი შესაძლოა ლეგიტიმურად ელოდოს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან და მისი საკუთრების შეუფერხებელ გამოყენებას შორის (იხ. *ჰოლდინგი სოვტრანსაკტო უკრაინის წინააღმდეგ* N48553/99, § 96, ECHR 2002-VII; *ონერილდიში თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N48939/99, §134, ECHR 2004-XII; *ბრონიოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N31443/96, §143, ECHR 2004-V; *პადურარუ რუმინეთის წინააღმდეგ*, N63252/00, §88, ECHR 2005-XII; *ბისტროვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ* N25774/05, §35, 2007 წლის 31 მაისი; და *მოლოტასი საბერძნეთის წინააღმდეგ* (N2), N66610/09, §47, CEDH 2013). კერძოდ, სავარაუდო ბრალდება სახელმწიფოს მიმართ, რომ მან ვერ შეასრულა კერძო საკუთრების დაცვის პოზიტიური ვალდებულება, უნდა განიხილებოდეს კონვენციის დამატებითი N1 ოქმის 1-ლი მუხლის პირველივე წინადადებაში მოცემული ზოგადი წესის შესაბამისად, რომელიც იძლევა საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებას (იხ. *კოლიადენკო და სხვები რუსეთის წინააღმდეგ* N17423/05, [20534/05](#), [20678/05](#), [23263/05](#), [24283/05](#) და [35673/05](#), §213, 2012 წლის 28 თებერვალი).

59. მიუხედავად იმისა, რომ ზღვარი სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის, დამატებითი N1 ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად, თავისთავად არ იძლევა უზუსტესი დეფინიციის შესაძლებლობას, გამოსაყენებელი პრინციპები მაინც ერთმანეთის მსგავსია. არ აქვს მნიშვნელობა საქმე განიხილება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებიდან გამომდინარე თუ საჯარო

ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ჩარევის კუთხით, რაც დასაბუთებას საჭიროებს, გამოსაყენებელი კრიტერიუმები არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ორივე შემთხვევაში - იქნება ეს ჩარევა საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობაში, თუ თავის შეკავება მოქმედებისაგან, საჭიროა სამართლიანი ბალანსის დაჭერა საზოგადოების ზოგად ინტერესებსა და პირის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის მოთხოვნას შორის (იხ. 1982 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება *სპორრონი და ლონროზი შვედეთის წინააღმდეგ*, §69, სერია A, N 52, და 2012 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება *კოტოვი რუსეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N54522/00, §110).

60. იმის შესაფასებლად, სახელმწიფოს ქმედება აკმაყოფილებს თუ არა დამატებითი N1 ოქმის 1-ლი მუხლის მოთხოვნებს, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტი: კონვენციის მიზანია იმ უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, რომლებიც პრაქტიკული და ქმედითია. სასამართლო უნდა გასცდეს ზედაპირულ სურათს და სიღრმისეულად განიხილოს, ჩაიხედოს ვითარების რეალობაში, ეს კი მოითხოვს საქმესთან დაკავშირებული განსხვავებული ინტერესების ყოვლისმომცველ შესწავლას; ამან შეიძლება მოითხოვოს მხარეთა ქცევის გაანალიზება სამართალწარმოებისას, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯებისა (იხ. *ბეილერი იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N33202/96, §114, ECHR 2000-I; 2005 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება *ნოვოსელეცკი უკრაინის წინააღმდეგ* N47148/99 § 102)

61. გარდა ამისა, პოზიტიური ვალდებულებები გულისხმობს, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სასამართლო პროცედურების არსებობა, რაც იძლევა აუცილებელ პროცესუალურ გარანტიებს და შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებს, ეფექტურად და სამართლიანად განიხილონ საკუთრების საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმე (იხ. *ანჰუესერ-ბუში პორტუგალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N73049/01, §83, ECHR 2007-I და *ჩადმიტასკოსი და ფრანტა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ* N7398/07, 31244/07, 11993/08 და 3957/09, §48, 2012 წლის 27 სექტემბერი). შესაბამისი სამართალწარმოება გონივრულ შესაძლებლობას უნდა აძლევდეს პირს, თავისი საქმე წარუდგინოს ხელისუფლების შესაბამის ორგანოს, რათა მან ეფექტურად განიხილოს ამ დებულებით გარანტირებული უფლებებით სარგებლობის დამაბრკოლებელი ზომები. იმის შესაფასებლად, დაკმაყოფილებულია თუ არა ეს პირობა, სასამართლო მიმართავს ყოველმხრივ განხილვას (იხ. *ჯოკელა ფინეთის წინააღმდეგ* N28856/95, § 45, ECHR 2002-IV, აგრეთვე *გეჰენტერი* §73).

62. სასამართლო ასევე ადგენს, რომ თუ საქმეში ჩართულნი არიან ბავშვები, აუცილებლად გასათვალისწინებელია მათი საუკეთესო ინტერესები (იხ. *იესი ლატვიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N27853/09, §96, ECHR 2013). ამ კონკრეტულ საკითხზე სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს: არსებობს საყოველთაო

კონსენსუსი, მათ შორის, საერთაშორისო სამართალში, იმ იდეის მხარდასაჭერად, რომ ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მათ საუკეთესო ინტერესებს. რამდენადაც თვითონ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, მათ ინტერესებს, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი წონა უნდა მიენიჭოს (იხ. *ჯეუნესი ნიდერლანდების წინააღმდეგ* [დიდი პალატა], [N12738/10](#), §109, 2014 წლის 3 ოქტომბერი). ბავშვის უფლებათა კონვენცია აძლევს ბავშვს უფლებას, რომ მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და როგორც უპირველესი არგუმენტი გათვალისწინებული იქნეს მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედებისა თუ გადაწყვეტილების მიღებისას, იქნება ეს საჯარო, თუ პირადი სფერო, ეს არის კონვენციის ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულება.

63. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აჩვენებს, რომ ეს მსჯელობა ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის საკუთრების ინტერესების დაცვის სფეროშიც, რაც კონვენციის დამატებითი დამატებითი N1 ოქმის 1-ლი მუხლის მოქმედების ფარგლებში ექცევა. ამგვარად, სასამართლომ უნდა შეაფასოს, როგორ მოქმედებდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ბავშვის საკუთრების ინტერესების დაცვისას, სხვათა მხრიდან მათ მიმართ გამოვლენილი ნებისმიერი არაკეთილმოსურნე და უგულისყურო ქმედების წინააღმდეგ, მათ შორის, იურიდიული წარმომადგენლის ან ბიოლოგიური მშობლების მხრიდან (იხ. *ლაზარევი და ლაზარევი რუსეთის წინააღმდეგ* (განჩინება), [N16153/03](#), 2005 წლის 24 ნოემბერი).

#### **(ბ) ამ პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში**

64. სასამართლო აღნიშნავს განსახილველი საქმის ძირითად საკითხს: სახელმწიფომ სავარაუდოდ სათანადოდ ვერ გაითვალისწინა განმცხადებლების საუკეთესო ინტერესები და საკმარისად ვერ დაიცვა მათი საკუთრების უფლება უძრავი ქონების სავარაუდოდ უკანონო და არაკეთილსინდისიერ გაცვლის შეთანხმების დროს. შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, ამგვარი შეთანხმების გაფორმების წინაპირობაა ცენტრის თანხმობა, რამაც შესაძლოა ასევე წარმოშვას პრობლემა სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებიდან გამომდინარე (იხ. *ლაზარევი*), რის გამოც, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ გარემოებებში მეტად შესაბამისი იქნება საქმის გაანალიზება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების კუთხით, რადგან ზღვარი სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის, დამატებითი N1 ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად, თავისთავად არ იძლევა ზუსტი დეფინიციის შესაძლებლობას და გამოსაყენებელი პრინციპები ერთმანეთის მსგავსია.

65. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეები არ დავობენ შემდეგზე: განსახილველი უძრავი ქონების გაცვლის შეთანხმების გაფორმებამდე, განმცხადებლები იყვნენ სახლის მფლობელები და ცხოვრობდნენ იქ თავიანთ დედასთან - ვ.ლ-თან და



კანონიერ მეურვესთან ზ.ლ-თან ერთად. ეს უკანასკნელი აგრეთვე იყო მეორე განმცხადებლის მამა. სახლი ვ.ლ-მ და ზ.ლ-მ 1997 წელს იყიდეს. საკუთრება იმთავითვე დარეგისტრირდა ორივე განმცხადებლის სახელზე თანაბარწილად. აქედან გამომდინარე, განმცხადებელთა საკუთრება დაცული იყო ნებისმიერი მესამე მხარის უკანონო ჩარევისა ან ქმედებისაგან, მათ შორის, მათი მშობლების მხრიდან.

66. სახლი ზღვის პირას მდებარე ორსართულიან ვილაა. მას აქვს მიმდებარე შიდა ეზო, რომელიც ზღვის სანაპიროზე გადის, 3-ს რაიონში. შესყიდვის ღროს სახლი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. ამდენად, გარდა 450,000 ხორვატიული კუნისა (დაახლოებით 60,000 ევრო), რაც სახლის ღირებულებას შეადგენდა, ვ.ლ-მ და ზ.ლ-მ კიდევ 80,000 გერმანული მარკა (დაახლოებით 40,000 ევრო) დახარჯეს მის გარემონტებაზე.

67. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელთა საკუთრებაში არსებული სახლი გაიყვალა ბინისა და გარაჟის მფლობელობაზე 3-ს რაიონში. საქმე ეხება ოთხოვნიან ბინას საცხოვრებელი სახლის მეოთხე სართულზე 3-ს რაიონში. გაცვლა განხორციელდა განმცხადებლის მშობლების სურვილით და ცენტრის თანხმობით. ცენტრი საქმეში ჩაერთო იმის გამო, რომ იმ დროისათვის პირველი განმცხადებელი იყო 14 წლის, ხოლო მეორე - 9 წლის და ამიტომ მშობლებს მათი ქონების განკარგვა მხოლოდ ცენტრის თანხმობით შეეძლოთ.

68. ამასთან დაკავშირებით სასამართლო განიხილავს რიგ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობას, რომელთა პირობებშიც უძრავი ქონების გაცვლის შეთანხმება გაფორმდა. კერძოდ, ვ.ლ. და ზ.ლ. პირველად დაუკავშირდნენ ცენტრს 2000 წელს განმცხადებელთა სახლის გაყიდვის ნებართვის თხოვნით, მაგრამ არ დაუკონკრეტებიათ, ვისთვის ან რამდენად უნდა მიეყიდათ სახლი. ამასობაში, ვ.ლ-სა და ზ.ლ-ს ფინანსური სირთულეები შეექმნათ, ზ.ლ. დააკავეს და წინასწარ პატიმრობაში მყოფი ელოდა სასამართლო განხილვას, მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ფლობის ბრალდებით, რისთვისაც მას შემდეგ 6 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

69. ამ ვითარებაში ადვოკატმა - მ.ი-მ, რომელიც მოქმედებდა როგორც ვ.ლ-ს, ზ.ლ-სა და ე.ბ-ს (პირველი განმცხადებლის მამა) წარმომადგენელი, ოფიციალური თხოვნით მიმართა ცენტრს 2001 წლის ოქტომბერში, გაეცა ნებართვა უძრავი ქონების გაცვლის შეთანხმების გაფორმებაზე. ამ შეთანხმებით, განმცხადებლები თავიანთ სახლს გადასცემდნენ ვინმე დ.მ-ს, რომელიც სანაცვლოდ განმცხადებლებს გადასცემდა მის საკუთრებაში მყოფ ბინას.

70. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბოლომდე ცხადი არ არის, რა გარემოებებში მიანიჭეს ვ.ლ-მ, ზ.ლ-მ და ე.ბ-მ უფლება მ.ი-ს, მათი სახელით ემოქმედა უძრავი ქონების გაცვლის შეთანხმების გაფორმებისას. მ.ი. იყო ზ.ლ-ს დაცვის ადვოკატი ზემოხსენებულ სისხლის სამართალწარმოებაში. დ.მ. კი - გაცვლის შეთანხმების

მეორე მხარე, გახლდათ მ.ი-ს სიდედრი. გარდა ამისა, მინდობილობა მ.ი-ს სახელზე გაიყა უძრავი ქონების გაცვლაზე შეთანხმების გაფორმებისთვის ცენტრისგან თანხმობის მოპოვების მიზნით. არ ჩანს, რომ ვ.ლ-ს, როცა მას ესაუბრებოდნენ ცენტრში მ.ი-ს მოთხოვნასთან დაკავშირებით, ოდესმე გააცნეს გაცვლის შესახებ შეთანხმების პროექტის კონკრეტული დეტალები. ამდენად, ეს ფაქტი აუხსნელს ტოვებს შეუსაბამობას ვ.ლ-ს ნათქვამში სახლისა და ბინის ღირებულებებს შორის სხვაობაზე. ეს უკანასკნელი შეფასებული იყო 100,000 გერმანული მარკით და კიდევ 10,000 გერმანული მარკით, რომელიც ცენტრმა ცნო, როგორც განმცხადებლებისათვის გადასაცემი თანხა.

71. ანალოგიურად გაუგებარია, გაცვლის შეთანხმებაზე თანხმობის გაცემისას რატომ მოიხსენია ცენტრმა ავტოფარეხი, როგორც ქონების შემადგენელი ნაწილი, როდესაც აღფოკატ მ.ი-ს წარმოდგენილ გაცვლის შეთანხმების პროექტში ავტოფარეხი ნახსენები არ არის და ვ.ლ-ს არც ერთი სიტყვა არ დაუძრავს მასზე ცენტრში გასაუბრების დროს. მეტიც, ცენტრი არ გაესაუბრა გაცვლის შეთანხმებაში პირდაპირ დაინტერესებულ არც ერთ სხვა მხარეს, კერძოდ, ზ.ლ-სა და ე.ბ-ს. ეს ფაქტი ასევე ბადებს ეჭვს, იცოდნენ თუ არა მათ გასაჩივრებული გაცვლის შეთანხმების პროექტის არსის შესახებ ან თუ იცოდნენ, რამდენად დეტალურად.

72. შემდგომში სასამართლო ყურადღებას ამახვილებს გაცვლის შესახებ შეთანხმების ერთ დებულებაზე, სადაც ნათქვამია, რომ გაცვლილი საკუთრებების ფასი თანაბარია და მხარეები უარს ამბობენ თავიანთ უფლებაზე, გააპროტესტონ ის ფაქტი, რომ მათ მიადგათ ზიანი გაცვლილი ქონების მისი რეალური ღირებულების ნახევარზე ნაკლებ ფასად გაცემით. გაცვლის შეთანხმების პროექტს თან ერთვის დოკუმენტი, რომელშიც მხარეები აღიარებდნენ, რომ ვ.ლ-მ და ზ.ლ-მ მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩადეს სახლის რემონტში და დ.მ. გადაიხდიდა ამ ინვესტიციის კომპენსაციას, რომლის ოდენობაც განსაზღვრული არ ყოფილა.

73. საბოლოოდ ეს პროექტი ფორმალურად გაფორმდა გაცვლის შესახებ შეთანხმების სახით 2001 წლის 16 დეკემბერს, რომლის თანახმადაც, განმცხადებლებმა თავიანთი საკუთრების უფლება სახლზე გადასცეს დ.მ-ს, რის სანაცვლოდაც მან განმცხადებლებს საკუთრებაში გადასცა ბინა და ავტოფარეხი. შეთანხმების ეს ვერსია შეიცავს დებულებას, რომლის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაცვლის საკუთრებების ღირებულება არ განსხვავდება და მათ არ აქვთ შემდგომი პრეტენზიები აღნიშნულთან. საკუთრების გაცვლის ღირებულება შეფასდა 400,000 ხორვატიული კუნით. ამ შეთანხმებაზე დაყრდნობით, განმცხადებლებმა მიიღეს საკუთრების უფლება ბინასა და ავტოფარეხზე მათ საკუთრებაში მყოფი სახლის სანაცვლოდ. დამატებით თითოეულმა მათგანმა მიიღო 5,000 გერმანულ მარკა ორ საკუთრებას შორის არსებული ღირებულების სხვაობის სანაცვლოდ.

74. ამ გარემოებებში, განმცხადებელთა საკუთრების უფლების დაცვის შეფასებისას კონვენციის დამატებითი N1 ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე, პირველი შემთხვევა გამოიწვია გაცვლილი საკუთრებების ფაქტობრივმა შედარებითმა ღირებულებამ (იხ. Inter alia, *ლაზარევი*). პრინციპში, სასამართლოს საქმე არ არის ეროვნული სასამართლოების ნაცვლად იმოქმედოს და ამგვარი საკითხებით დაკავდეს. სამწუხაროა, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა უკუაგდეს განმცხადებელთა ყველა მტკიცებულება სამოქალაქო საქმისწარმოებისას და ეს საკითხი გაურკვეველი დატოვეს.

75. აქედან გამომდინარე, სასამართლო იხილავს შემდეგს: მხარეებს შორის სადავო არ გამხდარა, რომ ვ.ლ-მ და ზ.ლ-მ სახლი 450,000 ხორვატიული კუნად იყიდეს (დაახლოებით 60,000 ევრო) და დამატებით 80,000 გერმანული მარკა დაახარჯეს მის რემონტს (დაახლოებით 40,000 ევრო). სრულიად აუხსნელია როგორ შეესაბამება სახლის ფასი ბინისა და ავტოფარების ღირებულებას, რაც მთლიანობაში დაახლოებით 400,000 ხორვატიული კუნას შეადგენს (დაახლოებით 55,000 ევრო; იხ. 19-ე, 55-56-ე) და დამატებით 10,000 გერმანულ მარკას (დაახლოებით 5,000 ევრო).

76. რაც შეეხება სახელმწიფოს მითითებას საკუთრებაზე გადასახადის შეფასებაზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული შეფასება ეფუძნებოდა მხოლოდ ტრანზაქციის დეკლარირებულ ღირებულებას გაცვლის შესახებ შეთანხმებიდან, ხოლო დამატებითი N1 ოქმის 1-ლი მუხლი მოითხოვს შეფასებას, რომელიც სცდება მხოლოდ გარეგულ მხარეს და რეალურ ვითარებას სიღრმისეულად იკვლევს (იხ. *ბისტროვიჩი*, § 35). ამგვარად, იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ ცენტრმა არავითარი ზომა არ მიიღო საკუთრების გაცვლის რეალურ გარემოებათა შესაფასებლად, სასამართლო ვერ მიიღებს სახელმწიფოს არგუმენტს, რომ ბინა არ საჭიროებდა შემდგომ ინვესტირებას ან გარემონტებას და უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე სახლი. ამ გარემოებათა ერთობლიობაში, იმის გათვალისწინებით, რომ მათ წინაშე არსებული უძრავი ქონების გაცვლის შეთანხმება შეიცავს გაცვლის ღირებულების საკითხს, რომელიც აუხსნელი რჩება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, ძნელია დაეთანხმო არგუმენტს გაცვლილი საკუთრებების თანაბარი ღირებულების შესახებ.

77. ზემოთ აღწერილი სტანდარტის საფუძველზე, შესაბამისი ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით, განმცხადებლებს, როგორც ბავშვებს, შეიძლებოდა ჰქონოდათ ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები მიიღებდნენ ზომებს მათი უფლებების დასაცავად. სასამართლომ უნდა შეათვასოს, მიიღეს თუ არა აუცილებელი ზომები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა მათი საკუთრების ინტერესების დასაცავად ქონების გაცვლის შემთხვევაში (იხ. *ლაზარევი*). ამდენად, იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები გათვალისწინებული უნდა იქნეს, როგორც უპირველესი არგუმენტი, სასამართლომ

უნდა შეათვასოს ცენტრის ქმედება და შესაბამისი ადგილობრივი სასამართლოების რეაგირება საკითხზე მას შემდეგ, რაც აღნიშნული საკითხის შესახებ მათთვის გახდა ცნობილი.

78. რაც შეეხება ცენტრის ქმედებას: სასამართლო აღნიშნავს, რომ მ.ი-ს მიერ გაცვლის შესახებ შეთანხმების გაფორმებაზე ნებართვის მოთხოვნის შემდეგ, ერთადერთი, რაც მან მოიმოქმედა საქმის გარემოებათა შესასწავლად, იყო ვ.ლ-სთან გასაუბრება. არ გასაუბრებია არც ერთ სხვა მეურვეს, არც ინფორმაცია მიუწოდებიათ შეთანხმების შესახებ, ასე რომ, მთავრობას არანაირი საფუძველი არ აქვს თქვას, რომ შეუძლებელი იყო მათი გამოკითხვა.

79. გარდა ამისა, ცენტრმა არანაირი ნაბიჯი არ გადადგა ამ ორი საკუთრების რეალური მდგომარეობისა თუ ღირებულების შესათვასებლად, რაც ქონების გაცვლასთან დაკავშირებულ გარემოებათა რეალურ სურათს აჩვენებდა და ხელმისაწვდომ ინფორმაციასაც მიიღებდა. კერძოდ, ცენტრმა მიიღო ინფორმაცია სახლის ყიდვის ღირებულებასა და განმცხადებელთა მშობლების მიერ რემონტზე დახარჯულ ინვესტიციაზე, რაც ზემოთ აღნიშნულის თანახმად, მთლიანობაში 100,000 ევრომდე იყო. მიუხედავად ამ ინფორმაციის ფლობისა, ცენტრმა შემდგომი შეფასების გარეშე, მაგალითად, ადგილზე შემონმების ან ექსპერტის ჩართვის გარეშე, რეალობად მიიღო, რომ სახლი მთლიანობაში შეიძლება 60,000 ევროდ (400,000 ხორვატიული კუნა და 10,000 გერმანული მარკა; იხ. ზემოთ 75-ე პუნქტი) შეფასდეს და გაცვლაც ამ თანხის შესაბამისად უნდა მოხდეს.

80. ანალოგიურად, სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ ცენტრი განმცხადებელთა კონკრეტულ ოჯახურ მდგომარეობას გულისყურით მიუდგა, გარემოებათა შეფასების თვალსაზრისით: განმცხადებელთა საკუთრების უფლება იყო თუ არა სათანადოდ დაცული მშობელთა მხრიდან გამოვლენილი არაკეთილსინდისიერი და/ან გულგრილი ქმედებებისაგან (იხ. *ლაზარევი*) კერძოდ, ცენტრმა კარგად იცოდა, რომ ზ.ლ. იყო დაკავებული და იგი სისხლის სამართალწარმოებით მძიმე დანაშაულზე გასამართლდა, ვ.ლ-ს კი ფინანსური პრობლემები ჰქონდა. ამ ყველაფერს შესაძლოა ებიძგებინა მათთვის, სწრაფად გადაედგათ წინდაუხედავი ნაბიჯი განმცხადებელთა საზიანოდ.

81. ამასთან მიმართებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ვ.ლ-მ ცენტრში გასაუბრებისას ახსენა მისი ოჯახის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც მისი მტკიცებით, ზიანს აყენებდა განმცხადებელთა აღზრდასა და სკოლაში მოსწრებას. იმის გათვალისწინებით, რომ ეს შეიძლება მნიშვნელოვანი ასპექტი გამხდარიყო უძრავი ქონების გაცვლის შესახებ შეთანხმების გარშემო არსებული ვითარების ერთიანობაში შესათვასებლად, სასამართლო აღნიშნავს, რომ ცენტრს შემდგომი ნაბიჯები არ გადაუდგამს. ვ.ლ-ს ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებული განცხადებების შესამოწმებლად ან შესათვასებლად არც ზ.ლ-ს გასაუბრებია და არც ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან უცდია კონკრეტულ ვითარებაზე



კონსულტირება. მაგალითად, მას სათანადოდ არ გამოურკვევია განმცხადებელთა მოსწრება სკოლაში, არც მათ გასაუბრებია, მიუხედავად იმისა, რომ პირველი განმცხადებელი ამ მომენტისათვის 14 წლის გახლდათ და შეეძლო სათანადო ინფორმაციის მონოდება ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

82. გარდა ამისა, ცენტრმა არ განიხილა საგანგებო მეურვის დანიშვნის საკითხი საქმის განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობის პირობებში. მას შეეძლო მიუკერძოებლად და განსახილველ შეთანხმებაში ჩართული მხარეებისაგან, მათ შორის, მათი მშობლებისაგან დამოუკიდებლად დაეცვა განმცხადებელთა ინტერესები.

83. ამ სიტუაციაში სასამართლო აღგენს, რომ ცენტრმა სათანადოდ არ შეაფასა განმცხადებელთა ოჯახური მდგომარეობა და უძრავი ქონების გაცვლის შესახებ შეთანხმების შესაძლო უარყოფითი გავლენა მათ უფლებებზე. აქედან გამომდინარე, მან ვერ შეძლო შეეფასებინა, უძრავი ქონების გაცვლის შესახებ შეთანხმების გარემოებები შეესაბამებოდა თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესს ამ განმცხადებელთა კონკრეტულ საქმეში.

84. რაც შეეხება სამოქალაქო სამართალწარმოებას უფლებამოსილ სასამართლოებში, როცა განმცხადებლები დავობდნენ უძრავი ქონების გაცვლის შესახებ შეთანხმების ნამდვილობაზე, სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს: განმცხადებელთა, როგორც მცირეწლოვანთა, პროცესუალური პოზიცია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ცენტრის წინააღმდეგ, მთლიანად მათი სამართლებრივი წარმომადგენლების ხელში იყო. ესენი იყვნენ მშობლები ვ.ლ. და ზ.ლ., რომელთაც წარმოადგენდა ადვოკატი მ.ი., მას კი ინტერესთა კონფლიქტი ჰქონდა. აქედან გამომდინარე, განმცხადებლებს არ შეეძლოთ არანაირი ავტონომიური პროცესუალური ქმედების განხორციელება, როგორცაა ცენტრის გადაწყვეტილების გასაჩივრება გაცვლის შესახებ შეთანხმების თაობაზე (შდრ. *გეჰენტერი*, §76). როგორც ზემოთ აღინიშნა, არც მეურვე დაუნიშნავთ, რომელიც ყველასაგან დამოუკიდებლად ვინც კი შეთანხმებაში იყო ჩართული, შეძლებდა განმცხადებელთა ინტერესების დაცვას.

85. ამ ვითარებაში ქონების გაცვლის გარემოებათა შესწავლის ერთადერთ საშუალებად რჩებოდა განმცხადებელთა მიერ წამოწყებული სამოქალაქო საქმისწარმოება. თუმცა, ეს ერთადერთი შესაძლებლობაც კი მათი სამართლებრივი წარმომადგენლების ხელში რჩებოდა, სულ მცირე, იმ დრომდე, სანამ ერთ-ერთი განმცხადებელი არ მიაღწევდა სრულწლოვანებას და თავად შეძლებდა სასამართლო პროცესის წამოწყებას, კერძოდ, სარჩელის შეტანას კანონმდებლობის საკითხებზე უზენაეს სასამართლოში 2007 წელს.

86. მიუხედავად ამისა, სასამართლოებმა ვერ შეაფასეს სათანადოდ საქმის განსაკუთრებული გარემოებები და განმცხადებლის სამოქალაქო სარჩელი

უკუაგდეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ცენტრის გადანაცვეტილება გაცვლის შეთანხმებაზე ნებართვის შესახებ არ ყოფილა გასაჩივრებული ადმინისტრაციული სამართალწარმოებით. მაშასადამე, სამოქალაქო სასამართლოებმა უგულებელყვეს განმცხადებელთა პოზიცია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში; მტკიცებულება მ.ი-ს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, ასევე განმცხადებელთა ოჯახური მდგომარეობა კერძოდ, სამოქალაქო სამართალწარმოების მიმდინარეობის პერიოდში, უკვე ცნობილი იყო ვ.ლ-ს წამალდამოკიდებულების ამბავი და მისი ფინანსური პრობლემები; ასევე ზ.ლ-ს სისხლისსამართლებრივი მსჯავრი გაცვლის შეთანხმების გაფორმებამდე. მათ აგრეთვე უგულებელყვეს ბრალდება ცენტრის მიმართ, რომ ცენტრმა ვერ დაიცვა განმცხადებელთა საუკეთესო ინტერესები გაცვლის შეთანხმების გაფორმებასთან მიმართებით.

87. სასამართლოს აზრით, ყველა გამოთქმული ბრალდება გაცვლის შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით, წარმოშობს სახელმწიფოს მხრიდან ბავშვთა დაცვის საკონსტიტუციო ვალდებულებასთან შესაბამისობის საკითხს. ამის შედეგად, სამოქალაქო სასამართლოებისათვის სავალდებულო იყო აღნიშნულ ბრალდებათა ყურადღებით შესწავლა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე.

88. შესაბამისად, სასამართლოს არ მიაჩნია რელევანტურად სამოქალაქო სასამართლოების არგუმენტი, რომელსაც მთავრობაც დაეყრდნო, რომ განმცხადებლებს შეეძლოთ გაესაჩივრებინათ გაცვლის შეთანხმება, რომელიც შესაძლოა ანულირებული ყოფილიყო, რადგან არასრულწლოვანი განმცხადებლები ასაკის გამო ვერ შეძლებდნენ სარჩელის დამოუკიდებლად შეტანას გაცვლის შეთანხმების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში, როგორც ამას კანონი ითვალისწინებდა. ამდენად, სასამართლო უარყოფს მთავრობის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებები ბოლომდე გამოყენებული არ ყოფილა.

89. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა ვერ მიიღეს სათანადო ზომები განმცხადებელთა, როგორც ბავშვების, საკუთრების ინტერესების დასაცავად გასაჩივრებული უძრავი ქონების გაცვლის შეთანხმების გაფორმებისას. ამავე დროს, ვერ მისცეს მათ გონივრული შესაძლებლობა, ეფექტურად ედავათ იმ ზომებზე, რომლებმაც კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება შელახა.

90. აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის დამატებითი N1 ოქმის 1-ლი მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება იმ სამშვილიანი (რომელთაგანაც ერთ-ერთი საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას) მარტოხელა დედის მიერ შეტანილ სარჩელზე, რომელიც ვადაზე ადრე დანიშნული პენსიის, რაც მისი შემოსავლის ერთადერთი წყაროა, სრულად დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას.

ეროვნულმა ორგანომ ვერ უზრუნველყო სამართლიანი ბალანსის დაცვა საზოგადოების საერთო ინტერესსა და პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის: დარღვევა

## საქმე „კურა პოლონეთის წინააღმდეგ“

CASE OF KURA v. POLAND

განაცხადი N [17318/04](#)

განჩინება

სტრასბურგი

2 ოქტომბერი 2012

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

5. განმცხადებელი დაიბადა 1962 წელს და ცხოვრობს სოკოლოვ მალოპოლსკში.

6. განმცხადებელი არის მარტოხელა დედა და მას ჰყავს სამი შვილი. ვადაზე ადრე პენსიის მისაღებად განცხადების შეტანამდე, ის ოცი წლის განმავლობაში მუშაობდა კომპანიაში და სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის გადასახადებს უხდიდა.

### ა. EWK პენსიის მინიჭებასა და გაუქმებასთან დაკავშირებული სამართალწარმოება

7. 2001 წლის 19 იანვარს განმცხადებელმა განაცხადი შეიტანა რუემოვის სოციალური უზრუნველყოფის საბჭოში. იგი ითხოვდა ვადაზე ადრე პენსიის (ე.წ. „EWK“ პენსიის) დანიშვნას იმ პირობებისთვის, რომლებიც ზრდიან ჯანმრთელობის პრობლემების გამო მუდმივი მოვლის საჭიროების მქონე ბავშვებს.

8. პენსიის მოთხოვნის განაცხადის გარდა განმცხადებელმა, თავისი ქალიშვილის ჯანმრთელობის შესახებ სხვა დოკუმენტებთან ერთად, წარმოადგინა სპეციალიზირებული სამედიცინო ცენტრის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბავშვს (დაბ. 1998 წელს) აწუხებს ქრონიკული ასთმა და მას სჭირდება მშობლის მუდმივი მეთვალყურეობა.

9. 2001 წლის 29 იანვარს რუემოვის სოციალური უზრუნველყოფის საბჭომ გამოსცა გადაწყვეტილება, რომლითაც განმცხადებელს მიეცა ვადაზე ადრე პენსიის დანიშვნის უფლება 2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 593 პოლონური ზლოტი.

10. სოციალური უზრუნველყოფის საბჭომ თავდაპირველად პენსიის გადახდა შეაჩერა 2001 წლის 1 მარტს, რადგან განმცხადებელი გადაწყვეტილების მიღების მომენტში ჯერ კიდევ მუშაობდა. განმცხადებელმა დატოვა სამუშაო.

11. დაუზუსტებელი თარიღით, რუემოვის სოციალური უზრუნველყოფის საბჭომ სთხოვა სოციალური უზრუნველყოფის მთავარი საბჭოს ექიმს მისთვის ეცნობებინა, საჭიროებდა თუ არა განმცხადებლის ქალიშვილი მშობლის მუდმივ მზრუნველობას. 2002 წლის 16 მაისს ექიმმა განაცხადა, რომ სამედიცინო დოკუმენტების თანახმად, ბავშვი არ საჭიროებდა ასეთ მზრუნველობას.

12. 2002 წლის 27 მაისს რუემოვის სოციალური უზრუნველყოფის საბჭომ განმცხადებელთან დაკავშირებით ერთდროულად ორი გადაწყვეტილება გამოსცა. პირველი გადაწყვეტილებით, განმცხადებელს დაუყოვნებლივ შეუნცდა პენსიის მიცემა. მეორე გადაწყვეტილებით, საბჭომ განაახლა სამართალწარმოება, გააუქმა პენსიის მინიჭებასთან დაკავშირებული თავდაპირველი გადაწყვეტილება და საბოლოოდ, განმცხადებელს უარი უთხრა ვადაზე ადრე პენსიის დანიშვნის უფლებაზე 1989 წლის დადგენილების შესაბამისად.

13. განმცხადებელმა გაასაჩივრა ის გადაწყვეტილებები, რომლებითაც მას ვადაზე ადრე პენსიის მიღების უფლება ჩამოერთვა. მან განაცხადა, რომ უნდა მიიღოს შემწეობა, რადგან მისი შვილი საჭიროებს მუდმივ ზრუნვას, როგორც ამას ადასტურებდა განმცხადებლის მიერ პენსიის მიღების თავდაპირველ განაცხადზე თანდართული სამედიცინო ცნობა. ამასთანავე, განმცხადებელმა გამოთქვა ვარაუდი, რომ მისი პენსიის გაუქმება ეწინააღმდეგებოდა მინიჭებული უფლებების პრინციპს.

14. 2002 წლის 1 აგვისტოს რუემოვის რეგიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და განმცხადებელს დაუნიშნა „EWK“ პენსია. რუემოვის სოციალური უზრუნველყოფის საბჭომ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა.

15. 2003 წლის 19 მარტს რუემოვის სააპელაციო სასამართლომ საჩივარი დააკმაყოფილა და საქმე ხელახლა განხილვის მიზნით უკან გადააგზავნა.

16. 2003 წლის 20 ნოემბერს რუემოვის რეგიონულმა სასამართლომ მხარი დაუჭირა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოს 2002 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებას და უგულებელყო მის წინააღმდეგ განმცხადებლის სარჩელი. მტკიცებულების საფუძველზე რეგიონულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის ბავშვი არ საჭიროებდა დედის მუდმივ „მზრუნველობას, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ ზღუდავდა მის ფუნქციებს. ეროვნულმა



სასამართლომ განაცხადა, რომ განმცხადებელს სამართლიანად ჩამოერთვა პენსიის მიღების უფლება 1989 წლის დადგენილებით, რადგან განმცხადებლის შვილი არ აკმაყოფილებდა აუცილებელი მუდმივი მზრუნველობის მოთხოვნას.

17. განმცხადებელმა დამატებით გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

18. 2004 წლის 26 მარტს რუქშოვის სააპელაციო სასამართლომ სარჩელი განსახილველად არ მიიღო.

## სამართალი

### I. კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევა

38. განმცხადებელმა გამოთქვა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ საქმის არსებულ გარემოებებში მისთვის ვადაზე ადრე პენსიის მიღების თაობაზე მოპოვებული უფლების ჩამორთმევა იყო ქონების დაუსაბუთებელი ჩამორთმევის (კონფისკაცია) ტოლფასი. განაცხადი განხილულ უნდა იქნეს კონვენციის **პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის** მიხედვით, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით.

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადების, მოსაკრებლის ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად“.

### (iii) თანაზომიერება

66. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დაკისრებული ზომის შედეგად, განმცხადებელი დადგა ვადაზე ადრე პენსიის - მისი ძირითადი შემოსავლის, სრული დაკარგვის საფრთხის წინაშე ისე, რომ მას არ ჰქონდა გარდამავალი პერიოდი იმისათვის, რომ ადაპტირება მოეხდინა ახალ სიტუაციასთან. გარდა ამისა, სასამართლოსთვის ცნობილია იმ პოტენციური რისკის შესახებ, რომელიც განმცხადებლის ასაკისა და განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებული პოდკარპატის რეგიონში არსებული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის

გათვალისწინებით, განმცხადებელს უქმნის სერიოზულ სირთულეს ახალი სამსახურის დაწყებაში. განმცხადებელს დასჭირდა ოთხ წელზე მეტი დროებითი სამუშაოს საშოვნელად.

67. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლის სრულწლოვანი შვილები 2006 ან 2009 წლიდან დასაქმებულები არიან. თუმცა, სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს ფაქტი არაა გადამწყვეტი არსებული გარემოებისთვის. კერძოდ, „EWK” პენსიის ანულირებამ ზედმეტი ტვირთი დაადო განმცხადებელს, როგორც ცალკე აღებულ პირს, მესამე მხარის ფინანსური დახმარების ან განმცხადებლის ფინანსური ტვირთის შემცირების მიუხედავად.

68. მთავრობამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ განმცხადებელი თავისი სამი შვილისთვის იღებდა ბავშვის შესანახად განკუთვნილ შემწეობას. მთავრობამ ვერ მოახერხა დაეკონკრეტებინა, რომელ წლებში იღებდა განმცხადებელი აღნიშნულ სარგებელს და როგორ მოხდა მისი დაანგარიშება. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ ბავშვის შესანახად განკუთვნილი შემწეობის მიზანია ბავშვების აღზრდის ხარჯების უზრუნველყოფა და ეს შემწეობა არ შეიძლება ჩაითვალოს ბავშვების დედის შემოსავლად.

ვინაიდან მთავრობამ წარმოადგინა პოლონეთში ხელმისაწვდომი სხვადასხვა შემწეობა, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობამ ვერ დააკონკრეტა ის სარგებელი, (მისი არსებობის შემთხვევაში) რომელიც ხელმისაწვდომი იყო განმცხადებლისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელმა განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა რომელიმე ეს შემწეობა.

69. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, რის გამოც მან უნდა გადაუხვიოს თავის ძირითად გადამწყვეტილებას „EWK” პენსიასთან დაკავშირებით საქმეზე - „მოსკალი პოლონეთის წინააღმდეგ“. იგი მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში არ დამყარდა სამართლიანი ბალანსი საზოგადოების საჯარო ინტერესის მოთხოვნებსა და პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის და განმცხადებელზე დაკისრებული ტვირთი გადამეტებული იყო.

70. აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება, იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომლის შესაბამისადაც, სააპელაციო საჩივრის საქმისწარმოების საფასური განმცხადებლისთვის იყო ძალიან მაღალი, რასაც შედეგად მოჰყვა სარჩელზე უარის თქმა ფორმალური საფუძვლით.

განმცხადებლისთვის სარჩელის შეტანისთვის საჭირო საფასურის შემცირებაზე უარი წარმოადგენდა ზემდგომი სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არათანაზომიერ შეზღუდვას: დარღვევა.

#### საქმე „კნიატი პოლონეთის წინააღმდეგ“

CASE OF KNIAT v. POLAND

განაცხადი N [71731/01](#)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

26 ივლისი, 2005

#### ფაქტობრივი გარემოებები

##### I. საქმის გარემოებები

7. განმცხადებელი დაიბადა 1956 წელს და ცხოვრობს პოზნანში (პოლონეთი).
8. 1997 წელს, დაუზუსტებელ დღეს განმცხადებლის ქმარმა განქორწინების შესახებ განცხადება შეიტანა პოზნანის რეგიონულ სასამართლოში. განმცხადებელმა განქორწინებაზე თანხმობა არ განაცხადა და სასამართლოს სთხოვა, აღნიშნული განცხადება განსახილველად არ მიეღო.
9. 1997 წლის 1 ნოემბერს, საქმის განხილვის პროცესში, სასამართლომ გამოცხადებულ ბრძანება დროებითი, პერიოდული გადასახადის შესახებ, რომელიც განმცხადებლის ქმრისგან მოითხოვდა 2,500 პოლონური ზლოტის გადახდას თავიანთი 3 შვილის შესანახად.
10. 1999 წლის 21 სექტემბერს პოზნანის რეგიონულმა სასამართლომ გასცა დადგენილება განქორწინების შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ ქორწინების შეწყვეტის პროცესის უკუქცევა შეუძლებელი იყო და მასში ბრალი ორივე მეუღლეს მიუძღვოდა. მან დაადგინა, რომ სასამართლო მოსაკრებელი, რომლის ოდენობაც 10,000 პოლონური ზლოტი იყო, მხარეებს უნდა გადაეხადათ თანაბრად (თითოეულს 5,000 პოლონური ზლოტი).
11. 1999 წლის 20 ოქტომბერს განმცხადებელმა გაასაჩივრა დადგენილება განქორწინების შესახებ. მან გაასაჩივრა რეგიონული სასამართლოს მიერ ქორწინების დარღვევასა და ამ ფაქტზე მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მოპოვებული მონაცემები. აგრეთვე მოსთხოვა სასამართლოს დაედგინა, რომ მისი მეუღლის მხრიდან ლალატი წარმოადგენდა მათი ქორწინების დასრულების მთავარ მიზეზს.
12. 1999 წლის 25 ოქტომბერს სასამართლომ განმცხადებელს დაავალა სარჩელის შეტანისთვის სასამართლო მოსაკრების გადახდა 10,000 პოლონური ზლოტის ოდენობით.

13. 1999 წლის 3 ნოემბერს, განმცხადებელმა შეიტანა განაცხადი აღნიშნული მოსაკრებლისგან გათავისუფლების მოთხოვნით. კერძოდ, მან განაცხადა, რომ სარჩელის შეტანისთვის სასამართლო მოსაკრებელი რეალურად, წარმოადგენდა შუალედურ სასამართლო მოსაკრებელს და მისი რაოდენობა უნდა განსაზღვრულიყო „სამოქალაქო საქმეებში სასამართლო მოსაკრებლების განსაზღვრის შესახებ იუსტიციის მინისტრის 1996 წლის 17 დეკემბრის ბრძანების“ მე-11 მუხლის მიხედვით. შესაბამისად, აღნიშნული მოსაკრებელი არ უნდა ყოფილიყო განქორწინების თაობაზე სამართალწარმოებაში გამოყენებული შუალედური სასამართლო მოსაკრებლის მაქსიმალურ ოდენობაზე - 600 პოლონურ ზლოტზე მეტი. განმცხადებელმა აგრეთვე განაცხადა, რომ ის იყო რთულ ფინანსურ სიტუაციაში და არ შეეძლო აღნიშნული მოსაკრებლის გადახდა. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მისგან მოთხოვნილი თანხა უჩვეულოდ მაღალი იყო და არანაირად არ შეესაბამებოდა მის მატერიალურ მდგომარეობას.

14. 1999 წლის 8 ნოემბერს სასამართლომ არ მიიღო განაცხადი წარმოებაში და დაადგინა, რომ განმცხადებელმა „ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომ მისთვის შეუძლებელი იყო მოსაკრებლის გადახდა“. მან დაადგინა, რომ განმცხადებელმა არ წარმოადგინა თავისი ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დეტალური ანგარიში.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

29. განმცხადებელმა აღნიშნული სასამართლო დადგენილება გაასაჩივრა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან მიმართებით. მან აღნიშნა, რომ განქორწინების თაობაზე დადგენილების გასაჩივრებისთვის მოსთხოვეს გადაჭარბებული გადასახადი, ამით დაკარგა შესაძლებლობა, მიემართა სასამართლოსთვის მისი სამოქალაქო უფლებების დასადგენად. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი იმ ნაწილში, რომელიც ეხება განსახილველ საკითხს, ამბობს შემდეგს:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

### ბ. სასამართლოს შეფასება

#### 1. სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე პრინციპები

38. სასამართლო შეახსენებს, რომ თავის განჩინებაში საქმეზე *კროიცი პოლონეთის წინააღმდეგ* (მე-60 პუნქტი), მან უკვე პასუხი გასცა შეკითხვას სარჩელებთან დაკავშირებით, სამოქალაქო სასამართლოსთვის გადაჭარბებული მოსაკრებლის გადახდის მოთხოვნა შეიძლება მიჩნეულ იქნეს თუ არა სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვად.

39. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ მოსაკრებლების ის ოდენობა, რომელიც შეფასდა მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების კონტექსტში, განმცხადებლის მიერ მათი გადახდის შესაძლებლობის ჩათვლით და



სამართალწარმოების ის ეტაპი, როცა დაწესდა ეს შეზღუდვა, ის ფაქტორებია, რომლებიც არსებითა იმის განსაზღვრაში, პირმა გამოიყენა თუ არა სასამართლოსთვის მიმართვის უფლება და მისი საქმე „მოისმინა თუ არა ... სასამართლომ“.

## 2. ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

40. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სასამართლო განსაზღვრავს, წინამდებარე საქმის კონკრეტულ გარემოებებში, რეალურად დაკისრებული მოსაკრებელი წარმოადგენდა თუ არა იმ შეზღუდვას, რომელმაც დაარღვია განმცხადებლის უფლება მიემართა სასამართლოსთვის.

41. პირველ რიგში, სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმე არ იყო ქონებრივი ხასიათის, არამედ ის შეეხებოდა მომჩივნის სამოქალაქო მდგომარეობას. სასამართლომ უკვე ბევრ შემთხვევასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ შესაბამის ეროვნულ ორგანოს განსაკუთრებული გულმოდგინება მართებს სამოქალაქო მდგომარეობასა და შესაძლებლობასთან დაკავშირებულ საქმეებში (იხ. განჩინება *ბოკი გერმანიის წინააღმდეგ*, 1989 წლის 29 მარტი, სერია ა, N 150, გვ. 23, § 49).

ქონებრივ დავასთან დაკავშირებულ საქმეებში შეიძლება ითქვას, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი სამართალწარმოების ობიექტსა და სასამართლო მოსაკრებელს შორის, რადგან ეს მოსაკრებელი დამოკიდებულია იმ თანხაზე, რომელზეც მოცემული პირი აცხადებს პრეტენზიას, არ არსებობს ამგვარი კავშირი იმ საქმეებში, რომლებიც მოიცავს პრეტენზიებს არაქონებრივ უფლებებზე. ამის გარდა, არ ჩანს, რომ განქორწინების საქმის სამართალწარმოებისთვის კონკრეტული გადასახადის გადახდის ვალდებულება გამართლებულია მართლმსაჯულების ინტერესით.

42. მეორე, სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო წარმოებაში განმცხადებლისთვის ბევრი რამ იყო სარისკო. ის წარმოადგენდა მოპასუხეს ამ წარმოებაში და მისი სარჩელი არსებითად მიმართული იყო თავად განქორწინებისა და სასამართლოს მოკვლევის იმ შედეგის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც, ქორწინების დარღვევის უკუქცევა შეუძლებელი იყო. მან აგრეთვე გააპროტესტა დადგენილება იმის შესახებ, რომ ქორწინების დარღვევაზე პასუხისმგებელი იყო ორივე მხარე (იხ. მე-10 და მე-11 პუნქტები).

43. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ რამდენჯერმე გამოთქმული სურვილის მიუხედავად, გადაეხადა სასამართლო მოსაკრებლის 30% ანუ 3,300 პოლონური ზლოტი (იხ. მე-17 და მე-22 პუნქტები) ეროვნულმა სასამართლომ არცკი განიხილა მისთვის შემცირებული ოდენობით მოსაკრებლის დაწესების შესაძლებლობა.

44. მართალია, რომ მტკიცებულების მოსმენა და შეფასება უმთავრესად ეროვნული სასამართლოს მიერ განსახილველი საკითხია. თუმცა, სასამართლოს ფუნქციაა იმსჯელოს იმაზე, ამ ეროვნულმა სასამართლომ, მტკიცებულების შეფასებასთან მიმართებაში თავისი შეფასების უფლების განხორციელებისას, იმოქმედა თუ არა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად (იხ. სათანადო შესწორებების შეტანით, *კროიცი პოლონეთის წინააღმდეგ*, 64 - ე პუნქტი).

წინამდებარე საქმეში, სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო ორგანოებმა უარი თქვეს განმცხადებლის იმ არგუმენტის მიღებაზე, რომ მას არ შეეძლო სასამართლო მოსაკრებლების გადახდა და მისი ფინანსური მდგომარეობა შეათუას მხოლოდ მთლიანი თანხის- 300,000 პოლონური ზლოტის ოდენობის საფუძველზე, რომელიც მიიღო ან უნდა მიეღო თავისი ყოფილი ქმრისგან ქორწინებისას თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესიდან (იხ.მე-19 პუნქტი). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებელმა თავისი ქმრისგან მხარეების ერთობლივ ფლობაში არსებული ქონების თავისი წილისთვის შესაბამისი თანხა მიიღო. თუმცა, ეს თანხა შეადგენდა მის ერთადერთ აქტივს და არაგონივრულია ცოლისგან ამ თანხის ნაწილის სასამართლო მოსაკრებლის სახით გადახდის მოთხოვნა, იმის ნაცვლად, რომ მას უზრუნველყო თავისი მომავალი ცხოვრება და საკუთარი და თავისი მცირეწლოვანი შვილების პირველადი საჭიროებები განქორწინების შემდეგ.

45. საქმის გარემოებების მთლიანობაში შეფასებისა და იმის გათვალისწინებით, განმცხადებლის რომელი უფლება იყო რისკის ქვეშ სასამართლო პროცესის დროს, სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო ორგანოებმა ვერ სათანადო ბალანსის უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, სარჩელების განხილვისთვის საჭირო სასამართლო მოსაკრებლის ამოღების თვალსაზრისით სახელმწიფო ინტერესსა და მეორე მხრივ, განმცხადებლის ინტერესს შორის, რომელიც უკავშირდებოდა განქორწინების შესახებ განჩინების წინააღმდეგ სარჩელის აღძვრას.

46. განმცხადებლისთვის მისი სარჩელის სამართალწარმოებისთვის მოთხოვნილი მოსაკრებელი გადაჭარბებული იყო, რამაც გამოიწვია მის სარჩელზე ფორმალური საფუძვლების გამო უარის თქმა. აღნიშნულმა, სასამართლოს აზრით, დააკნინა მისი უფლება, მიემართა სასამართლოსთვის.

47. ზემოაღნიშნული მიზეზებით, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის მიერ სარჩელის შეტანისთვის საჭირო მოსაკრებლის შემცირებაზე უარი წარმოადგენდა ზემდგომ სასამართლოსთვის მისი მიმართვის უფლების არათანაზომიერ შეზღუდვას. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება განაცხადზე 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან მიმართებით, რომ განმცხადებლების საკუთრების უფლებები დაირღვა ეროვნული სასამართლოს უარით წილის ამოღების შესახებ ბრძანების გაუქმებაზე ცოლის ქორწინების წილსა და ქალიშვილის საკუთრებაში არსებულ კომპიუტერთან დაკავშირებით. კონფისკაციის ღონისძიება განისაზღვრა იმ სისხლის სამართლის პროცესში, რომლის მხარეებსაც ისინი არ წარმოადგენდნენ.

განმცხადებლებს დაეკისრათ არათანაზომიერი ვალდებულება, რადგან მათ არ ჰქონდათ კონფისკაციის ღონისძიების ეფექტიანად გასაჩივრების შესაძლებლობა; შესაბამისად, დაირღვა „ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც უნდა დამყარდეს ქონებრივი უფლების დაცვასა და საჯარო ინტერესების მოთხოვნებს შორის“: დარღვევა.

### საქმე „დენისოვა და მოისეევა რუსეთის წინააღმდეგ“

CASE OF DENISOVA AND MOISEYEVA v. RUSSIA

განაცხადი N 16903/03

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

1 აპრილი, 2010

### ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლები - ნატალია დენისოვა და მისი ქალიშვილი, ნადეჟდა მოისეევა, არიან რუსეთის მოქალაქეები, დაბადებულები, 1949 და 1978 წლებში. ისინი არიან ვალენტინ მოისეევის ცოლი და ქალიშვილი, რომელსაც აგრეთვე შეტანილი ჰქონდა განაცხადი სასამართლოში (განაცხადი N 62936/00). 2010 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა დამატებითი N 1 ოქმის 1-ლი მუხლი (საკუთრების დაცვა), რადგან განმცხადებლებს არ ჰქონდათ კონფისკაციის ღონისძიების გასაჩივრების ეფექტური შესაძლებლობა - პირველი განმცხადებლის ქორწინების წილსა და მეორე განმცხადებლის მფლობელობაში არსებულ კომპიუტერთან დაკავშირებით - რაც განხილულ იქნა 1998 წელს სისხლის სამართლის პროცესის დროს. განმცხადებლების ქმრისა და მამის წინააღმდეგ ღალატის გამო, რომლის მხარეებსაც ისინი არ წარმოადგენდნენ. წინამდებარე გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმცხადებლებს ერთობლივად მიაკუთვნა 8000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის და 496.80 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

## სამართალი

### I. დამატებითი N 1 ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევა

39. განმცხადებლებმა იჩივეს დამატებითი N 1 ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე მათი ქონებრივი უფლებების დარღვევის გამო, რადგან ეროვნულმა სასამართლომ უარი განაცხადა წილის ამოღების შესახებ ბრძანების ანულირებაზე პირველი განმცხადებლის საქორწინო წილსა და მეორე განმცხადებლის საკუთრებაში არსებულ კომპიუტერთან დაკავშირებით. დამატებითი N 1 ოქმის 1-ლი მუხლის შემდეგნაირად იკითხება:

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.“

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საჯარო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.“

### 2. სასამართლოს შეფასება

(ა) **ჰქონდათ თუ არა განმცხადებლებს სამართლიანი მოთხოვნის უფლება საკუთრებაზე**

47. სასამართლო იმეორებს, რომ „საკუთრების“ ცნებას დამატებითი N 1 ოქმის 1-ლი მუხლის მიხედვით დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, რომელიც არ შემოიფარგლება ფიზიკური ნივთების ფლობით და ის დამოუკიდებელია ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ოფიციალური კლასიფიკაციისგან: „საკუთრების“ ცნება არ შემოიფარგლება „არსებული საკუთრებით“, არამედ ის შეიძლება მოიცავდეს აქტივებს, სარჩელების ჩათვლით, რომლებთან დაკავშირებითაც განმცხადებელს შეუძლია განაცხადოს, რომ მას გააჩნია, საკუთრების უფლებისა ან ქონებრივი ინტერესის ეფექტური გამოყენების გონივრული და „კანონიერი მოლოდინი“ (იხ. *იონერილდიში თურქეთის წინააღმდეგ*, [დიდი პალატა], N [48939/99](#), § 124, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2004-XII და *პრინცი ჰანს-ადამ II ლიხტენშტეინი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [42527/98](#), §



83, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-VIII). როცა საკუთრების ინტერესი მოთხოვნის სახეს ატარებს, ის შეიძლება მიჩნეულ იქნეს „აქტივად“ მხოლოდ მაშინ, როცა ამის საკმარისი საფუძველი არსებობს ეროვნულ კანონმდებლობაში, მაგალითად, იქ, სადაც არსებობს ამის დამადასტურებელი, ეროვნული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი (იხ. *კოპეცკი სლოვაკიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [44912/98](#), § 52, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2004-IX; *დრაონი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [1513/03](#), § 68, 6 ოქტომბერი 2005; *კორპორაცია ანჰოიზერ-ბუში პორტუგალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], N [73049/01](#), § 65, 11 იანვარი 2007).

48. საქმეში არსებულ ფაქტებთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბ-ნ მოისევეის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისას, გამოძიებამ ამოიღო დიდი რაოდენობით საოჯახო ნივთები, მათ შორის, ვალუტა ნაღდი ფულის სახით, მსუბუქი ავტომანქანის გასაღები და რეგისტრაციის დოკუმენტები, ავტოფარების გასაღები და კომპიუტერი და შემდეგ მოახდინა მათი კონფისკაცია მოსკოვის საქალაქო სასამართლოს მიერ 2001 წლის 14 აგვისტოს გაცემული კონფისკაციის შესახებ ბრძანების შესაბამისად. ბრძანების აღსრულება ავტოფარებთან მიმართებაში შეუძლებელი აღმოჩნდა ან შეწყდა, მანქანასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო. საბოლოოდ, კონფისკაციის ღონისძიება განხორციელდა ფულად სახსრებსა და კომპიუტერთან მიმართებაში, რომლებიც გაიყიდა სასამართლოს აღმასრულებლების მიერ.

49. რაც შეეხება ნაღდ ფულს, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ ბ-ნ მოისევეის ოფისიდან ამოღებულ იქნა 1100 აშშ დოლარის ოდენობის თანხა, ხოლო დანარჩენი - 4,467 აშშ დოლარი მოისევეების ოჯახის საცხოვრებელი სახლიდან იქნა ამოღებული. მეორე განმცხადებლის ოთახიდან ამოიღეს კომპიუტერი. მხარეები არ დავობენ იმის შესახებ, რომ ის (მეორე მომჩივანი) იყო ამ კომპიუტერის ძირითადი მომხმარებელი.

50. პირველი განმცხადებელი აცხადებს, რომ მას ჰქონდა უფლება ჩამორთმეული ფულის საქორწინო წილზე; მეორე განმცხადებელი პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ კომპიუტერი მისი საკუთრებაა. განმცხადებლების სარჩელის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ეროვნულმა სასამართლომ მათ არ მისცა ამ საკუთრების დაბრუნების მოთხოვნის შესაძლებლობა. შესაბამისად, დამატებითი N 1 ოქმის 1-ლი მუხლით გარანტირებული უფლების ჩარევის ფაქტის დადგენისას სასამართლოს მოეთხოვება, ზემოთ მოყვანილი პრეცედენტული სამართლის ჭრილში, შეამოწმოს, განმცხადებლებს ჰქონდათ თუ არა, ჩამორთმეული საკუთრების დაბრუნების გონივრული და კანონიერი მოლოდინი.

51. სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველ რიგში, რუსეთის სამოქალაქო და საოჯახო სამართლის კოდექსი განსაზღვრავს მეუღლეების მიერ ქორწინების პერიოდში შექმნილი საკუთრების ერთობლივ ფლობას. მეუღლეთა ერთობლივ

ქონებასთან დაკავშირებით პირველ განმცხადებელსა და მის ქმარს შორის რაიმე სხვა სახის გარიგების დამამტკიცებელი საბუთის არარსებობის პირობებში, მათ საქმეში გამოყენებულ იქნა აღნიშნული სამართლებრივი რეგულაცია. გარდა ამისა, საოჯახო და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებებით, ბავშვები იყვნენ იმ ნივთების კანონიერი მფლობელები, რომლებიც მათ საჩუქრად მიიღეს თავიანთი მშობლებისგან. ფლობაში ცვლილება განხორციელდა საჩუქრის გადაცემის მომენტში და არ არსებობდა წერილობითი მოთხოვნა. ამგვარად, პირველ განმცხადებელს შეეძლო კანონიერად ემტკიცებინა, რომ მას უფლება ჰქონდა ოჯახის ქონების იმ წილზე, რაც ანალოგიური იყო მისი ქმრის წილისა, მეორე განმცხადებელს კი შეეძლო ემტკიცებინა, რომ მას ჰქონდა უფლება მშობლების მიერ მიცემულ კომპიუტერზე.

52. ეროვნული პრეცედენტული სამართალი, რომელიც კოდიფიცირებულია უზენაესი სასამართლოს სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილებებში, მიუთითებს იმაზე, რომ კონფისკაციის შესახებ ბრძანებები ვერ „შეეხებოდა სხვა პირების იმ წილს, რომლებიც მსჯავრდებულთან ერთობლივად ფლობენ მოცემულ ქონებას“ და მოითხოვდა საერთო იურისდიქციის სასამართლოსგან „მასთან ერთად მცხოვრები მსჯავრდებულის ოჯახის წევრების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების“ პატივისცემას. მხოლოდ თუ მომდევნო სამოქალაქო სამართალწარმოებების დროს გაირკვეოდა - სისხლის სამართლის პროცესებში დადგენილი ფაქტების მიუხედავად, რომ მოცემული ქონება შეძენილ იქნა დანაშაულებრივი გზით, მაგრამ დარეგისტრირდა სხვა პირების სახელზე მათი კონფისკაციის თავიდან აცილების მიზნით, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. მოცემულ საქმეში, საკუთრების რეალურ ფლობასთან დაკავშირებით სასამართლოს შეცდომაში შეყვანის განზრახვის ფაქტი მისი კონფისკაციის მიზნით რომელიმე პროცესის დროს არ დადგენილა.

53. უზენაესი სასამართლოს შემდგომი დადგენილებით, სამოქალაქო სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო მეუღლეების ერთობლივ მფლობელობაში არსებული ერთიანი ქონება და მეუღლეთა წილის თანაბარი მოცულობის პრეზუმეციის გათვალისწინებით, განესაზღვრა თითოეული მეუღლის წილის რეალური მოცულობა, რომელშიც უნდა შესულიყო კონფისკაციას დაქვემდებარებული და დაუქვემდებარებელი ნივთები. შესაბამისად, როგორც ჩანს, პირველ განმცხადებელს, ამ დებულებებზე დაყრდნობით, შეეძლო კანონიერად მოეთხოვა ერთობლივ მფლობელობაში არსებული ქონების თანაბარი წილის მიღება.

54. ზემოაღნიშნულის კონტექსტში, სასამართლო ადგენს, რომ პირველი განმცხადებლის პრეტენზიას - მეუღლის კუთვნილ წილზე და მეორე განმცხადებლის პრეტენზიას - კომპიუტერზე, გააჩნია საფუძველი ისეთ საკანონმდებლო აქტებში, როგორებიცაა რუსეთის სამოქალაქო და საოჯახო სამართლის კოდექსები და

უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართალი. მათ შეეძლოთ დასაბუთებულად და კანონიერად განეცხადებინათ, რომ 2001 წლის 15 აგვისტოს ბრძანება კონფისკაციის შესახებ იყო მათი საკუთრების მშვიდობიანი ფლობის უფლების ხელის შეშლა და სასამართლოს მოეთხოვება განსაზღვროს, ეროვნულმა სასამართლომ შეისწავლა თუ არა მათი განაცხადი დამატებითი N 1 ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად.

**(ბ) მოხდა თუ არა განმცხადებლების მოთხოვნათა შესწავლა დამატებითი N 1 ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად**

55. დამატებითი N 1 ოქმის 1-ლი მუხლი შედგება სამი მკატეო წესისგან: პირველი წესი, რომელიც მოცემულია პირველი აბზაცის პირველ წინადადებაში, ზოგადი ხასიათისაა და მასში ჩამოყალიბებულია საკუთრების მშვიდობიანი ფლობის პრინციპი; მეორე წესი, რომელიც მოცემულია პირველი აბზაცის მეორე წინადადებაში, ეხება საკუთრების ჩამორთმევას და მას გარკვეულ პირობებს უქვემდებარებს; მესამე წესი, რომელიც მოცემულია მეორე აბზაცში, აღიარებს, რომ ხელმომწერ სახელმწიფოებს, სხვა უფლებებთან ერთად, აქვს უფლება გააკონტროლონ საკუთრების გამოყენება საჯარო ინტერესის შესაბამისად (იხ. *ბრონიოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ*, [დიდი პალატა], N [31443/96](#), §134, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2004-V). მხარეებს დამატებითი N 1 ოქმის 1-ლი მუხლის წესის საკითხზე, რომლითაც უნდა მოხდეს საქმის განხილვა, მკატეო პოზიცია არ დაუკავებიათ. სასამართლო მიიჩნევს, რომ არაა საჭირო ამ საკითხის გადაწყვეტა, ვინაიდან დასაბუთების საკითხზე არსებითად ერთი და იგივე პრინციპები ვრცელდება და ისინი მოიცავენ ნებისმიერი ჩარევის მიზნის კანონიერებას, აგრეთვე მის თანაბრობიერებასა და სამართლიანი ბალანსის დაცვას.

56. სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დამატებითი N 1 ოქმის 1-ლი მუხლის პირველი და უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა ის, რომ სახელმწიფო ორგანოს მხრიდან ნებისმიერი ჩარევა საკუთრების მშვიდობიან ფლობაში უნდა იყოს „კანონიერი“: მეორე აბზაცი ადგენს, რომ სახელმწიფოებს უფლება აქვთ გააკონტროლონ საკუთრების გამოყენება „კანონების“ აღსრულებით. გარდა ამისა, კონვენციის ყველა მუხლისთვის დამახასიათებელია კანონის უზენაესობა, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტალური პრინციპი. საკითხი იმის შესახებ, დამყარდა თუ არა სამართლიანი ბალანსი საჯარო ინტერესის მოთხოვნებსა და პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის, რელევანტური ხდება მხოლოდ მაშინ, როცა დადგინდება, რომ აღნიშნულმა ჩარევამ დააკმაყოფილა კანონიერების მოთხოვნა და ის არ იყო თვითნებური (იხ. *ბაკლანოვი რუსეთის წინააღმდეგ*, N [68443/01](#), § 39, 9 ივნისი, 2005 წ. და *ფრიდენი რუსეთის წინააღმდეგ*, N [58254/00](#), § 33, 24 მარტი, 2005 წ.).

57. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსკოვის სასამართლოს 2001 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებაში ან რომელიმე სხვა ეროვნულ ღონეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში არაა მოხსენიებული კონფისკაციის ღონისძიებასთან დაკავშირებული კონკრეტული სამართლებრივი ნორმები. ამის გამო სასამართლოს უნევს ვარაუდების დაშვება იმასთან დაკავშირებით, თუ რა საფუძველზე განხორციელდა უფლებაში ჩარევა. მართალია, თავად გადაწყვეტილება ცალსახად არ მიუთითებდა იმ დებულებებზე, რომლებიც მის საფუძველს ქმნიდნენ, თუმცა გასაგები შეიძლება იყოს ის, რომ კონფისკაციის შესახებ ბრძანება გაიცა, როგორც დამხმარე საჯარიმო სანქცია სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე და 275-ე მუხლის საფუძველზე და რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის მე-4 პუნქტთან კომბინაციაში. განხილვის პროცესში მყოფი ჩარევა, შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს „კანონიერად“.

58. სასამართლო მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის პროცესში კონფისკაცია ემსახურება საჯარო ინტერესს, რადგან დანაშაულებრივი ქმედებების გზით მოპოვებული ფულის ან ქონების, ან იმ ქონების კონფისკაცია, რომელიც შეძენილ იქნა დანაშაულებრივი ქმედებებიდან მიღებული შემოსავლებით, წარმოადგენს დანაშაულის აღკვეთის აუცილებელ და ეფექტურ მეთოდს (იხ. *რაიმონდო იტალიის წინააღმდეგ*, 1994 წლის 22 თებერვლის განჩინება, სერია A, N 281-A, გვ. 17, § 30). კონფისკაციის ასეთი ღონისძიებები შეესაბამება ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ კონვენციის მიზნებს, რომელიც კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოებისგან მოითხოვს სერიოზულ დანაშაულთან მიმართებაში ხელშემწყობი ორგანოებისა და დანაშაულებრივი ქმედებებიდან მიღებული შემოსავლის კონფისკაციის დაწესებას (მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი). ამგვარად, დანაშაულის გზით მოპოვებული საკუთრებასთან დაკავშირებით კონფისკაციის შესახებ ბრძანების გამოცემა ემსახურება საჯარო ინტერესებს და წარმოადგენს დანაშაულის შემაკავებელ ფაქტორს და უზრუნველყოფს, რომ დანაშაული არ იქნება მომგებიანი (იხ. *ფილიპსი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*, N41087/98, §52, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-VII და *დასას ფონდი და სხვები ლიხტენშტეინის წინააღმდეგ*, (განჩინება), N [696/05](#), 10 ივლისი, 2007 წ.

59. სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, დამატებითი N 1 ოქმის 1-ლი მუხლის მეორე აბზაცი არ შეიცავს ცალსახა პროცედურულ მოთხოვნებს, მისი მუდმივი მოთხოვნაა ის, რომ ქვეყნის შიგნით წარმოებულ პროცესებში დაზარალებულ პირს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, რათა მან თავისი საქმე დააყენოს პასუხისმგებელი ორგანოს წინაშე იმ ღონისძიებების ეფექტურად გასაჩივრების მიზნით, რომლებიც ერევიან ამ დებულებით გარანტირებულ მის უფლებაში. იმის გარკვევისას, ეს პირობა დაკმაყოფილდა თუ არა, მოქმედი პროცედურები ყველა



მხრივ უნდა იქნეს გათვალისწინებული (იხ. *ჯოკელა ფინეთის წინააღმდეგ*, N [28856/95](#), §45, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2002-IV და *ავოსტი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*, 1986 წლის 24 ოქტომბრის განჩინება, სერია A, N 108, § 55).

60. წინამდებარე საქმეში, ბრძანება ყადაღისა და შემდგომი კონფისკაციის შესახებ გაიცა და აღსრულდა ბ-ნი მოისევეის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში. განმცხადებლები ამ პროცესში მხარეებს არ წარმოადგენდნენ და არ გააჩნდათ მათში მოთხოვნის ან რაიმე განცხადების გაკეთების უფლება. კონფისკაციის შესახებ ბრძანების გამოცემისას, განაჩენის გამომტან სასამართლოს არ შეუსწავლია, ყადაღას დაქვემდებარებული საკუთრების რომელიმე ობიექტი ეკუთვნოდა თუ არა პირველ ან/და მეორე განმცხადებელს. პირველმა განმცხადებელმა სააპელაციო სასამართლოში გააკეთა განცხადება კონფისკაციის შესახებ ბრძანებიდან მისი, როგორც მეუღლის წილის და ავტოფარეხის ამოღებაზე, მაგრამ მან პასუხი არ მიიღო და არც სააპელაციო პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცა. 2003 წლის 27 თებერვლით დათარიღებულ ხოროშევსკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ პირველ განმცხადებელს ჰქონდა სისხლის სამართლის გადაწყვეტილების იმ ნაწილში გასაჩივრების შესაძლებლობა, რომელიც ეხებოდა სადავო ქონებას, მაგრამ მან არ მიუთითა ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა იმ პირს, რომელსაც არ ჰქონდა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის უფლება, შეეტანა სარჩელი. თავის მხრივ, სახელმწიფომ არ მიუთითა რუსეთის კანონმდებლობის ის დებულებები, რომელთა მიხედვითაც, მსჯავრდებულის მეუღლეს ან ქალიშვილს შესაძლებლობა მისცემოდათ, გაეკეთებინათ განცხადებები პროცესზე ან სააპელაციო სასამართლოში.

61. იმ საკუთრების ფლობა, რომელიც ექვემდებარება კონფისკაციის შესახებ ბრძანებას, გაასაჩივრეს პირებმა, რომლებიც არ წარმოადგენდნენ სისხლის სამართლის პროცესის მხარეებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 442-ე მუხლი ამ პირებს უფლებას ანიჭებს, თავიანთი საკუთრების უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოების მეშვეობით დაამტკიცონ. განმცხადებლებმა ისარგებლეს ამით და აღძრეს ორი სამოქალაქო სარჩელი; პირველი მათგანი აღიძრა აღმასრულებელთა სამსახურისა და ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის წინააღმდეგ, ეს უკანასკნელი წარმოადგენდა სახელმწიფო მბრალდებელს (პროკურატურის ორგანოს) ბ-ნ მოისევეის საქმეში და შემდგომ - ფედერალური ქონების ფონდის წინააღმდეგ. მათი საჩივრების განხილვისას, სასამართლოს ყურადღება უნდა მიექცია იმისთვის, რომ შესაძლოა, ჩამორთმეული ქონება ეკუთვნოდა ოჯახის წევრებს და არა თავად ბ-ნ მოისევეს და უნდა შეესწავლა, შეიძლება თუ არა ყოფილიყვნენ განმცხადებლები მათი მფლობელები. თუმცა, სამოქალაქო სასამართლომ უარი თქვა მხედველობაში მიეღო დაცვის

მოთხოვნების კონკრეტული გარემოებები ან ფაქტი დამოუკიდებლად შეესწავლა, მან მხოლოდ ხელახლა განსახილველად დააბრუნა გადაწყვეტილება ბ-ნი მოისევის სისხლის სამართლის საქმეში. ამგვარად, 2003 წლის 27 თებერვალს ხოროშევსკის რაიონულმა სასამართლომ განსახილველად არ მიიღო პირველი განმცხადებლის სარჩელი იმ მიზეზით, რომ მოსკოვის საქალაქო სასამართლოს უკვე დადგენილი ჰქონდა, რომ „სადავო ქონება მოპოვებულ იქნა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად“. 2005 წლის 9 აგვისტოს, იმავე რაიონულმა სასამართლომ განსახილველად არ მიიღო მისი განახლებული სარჩელი, აღნიშნა რა, რომ „წინა საქმეში სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები სასამართლოსთვის სავალდებულო ხასიათისაა“, და უარყო მეორე განმცხადებლის სარჩელი, ვინაიდან მოხდა „კომპიუტერის კონფისკაცია და გაყიდვა“.

62. ხოროშევსკის რაიონული და მოსკოვის საქალაქო სასამართლოს მიერ განმცხადებლების საკუთრების დამტკიცების მოთხოვნის კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მუდმივად მიუღებლობა წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსეთის კანონმდებლობის მოთხოვნებთან. სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებებით, უზენაესი სასამართლო პლენარულ სხდომაზე თანამიმდევრულად შეახსენებდა საერთო იურისდიქციის სასამართლოებს, რომ კონფისკაციის შესახებ ბრძანება შეიძლება მხოლოდ გამოყენებულიყო ერთობლივ მფლობელობაში არსებული საკუთრების მსჯავრდებულის წილზე და ამ ბრძანებას არ შეეძლო შეეღობა ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების საკუთრების უფლებები, თუკი არ დადგინდებოდა, რომ ქონება შექმნილ იქნა და ოჯახის წევრების სახელზე დარეგისტრირდა დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად, მათი კონფისკაციის თავიდან აცილების მიზნით. ინტერესთა სათანადო ბალანსის მისაღწევად, მეუღლეების წილის კონფისკაციისგან გათავისუფლების მოთხოვნის შემსწავლელ სასამართლოს მოეთხოვებოდა დაედგინა თითოეული მეუღლის წილი, მთლიანობაში ოჯახის საკუთრების (ქონების) მითითებით, რათა თითოეული მეუღლის წილს შეედგინა როგორც კონფისკაციით ჩამორთმეული, ისე ჩამორთმეველი ნივთები. პირველმა განმცხადებელმა მეუღლეების ერთობლივ მფლობელობაში არსებული საკუთრების ნახევარზე თავისი მოთხოვნა გაამყარა იმ დამამტკიცებელი საბუთით, რომლითაც შესაძლებელი იყო ოჯახის საკუთრების სულ მცირე გარკვეული ნაწილის კანონიერი წარმომავლობა, მაგალითად, ბ-ნი მოისევის ცნობით ხელფასის შესახებ, გაცემული საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და ავტომანქანის ავტოფარების საიჯარო ხელშეკრულებით. ეროვნული სასამართლოს ეს სამხილი დაუშვებლად არ უცვნია, თუმცა მათ განჩინებებში იგი არ იყო აღნიშნული, უფრო მეტიც, არ შეიცავდა ოჯახის საკუთრების შემადგენლობის რაიმე ანალიზს. შესაბამისად, კეთდება დასკვნა, რომ ეროვნულმა სასამართლომ არ ჩაატარა ოჯახის საკუთრებისა და ოჯახის წევრების უფლებების დაბალანსების გლობალური შეფასება; ორივე მათგანი საჭირო იყო მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დებულებებით.

63. რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საკანონმდებლო შესწორების შემდეგ ბ-ნ მოისევევის მიერ მანქანაზე საკუთრების ფლობის აღდგენისა და აღმასრულებლების მიერ იმის დადგენის შემდეგ, რომ საბანკო აქტივების, პირადი საკუთრებისა და ავტოფარების კონფისკაცია ფიზიკურად შეუძლებელი იყო, პირველმა განმცხადებელმა ხელახლა შეიტანა თავისი სარჩელი სადავო ფულად სახსრებში მეუღლის წილის მოთხოვნით, ხოლო მეორე განმცხადებელმა მოითხოვა კომპიუტერზე მისი უფლების დადასტურება. მეორე სამოქალაქო სარჩელის განხილვა მოხდა ანალოგიურად, შემატყობველი ფორმით. ეროვნულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა მომჩივნების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება და გაკეთებული განცხადებები და არ მოახდინა ოჯახის საკუთრების გლობალური შეფასება მეუღლეების წილის განსაზღვრის მიზნით. რაც შეეხება მეორე განმცხადებლის სარჩელს კომპიუტერთან დაკავშირებით, მის განხილვაზე ანალოგიურად ითქვა უარი, რაიმე დამატებითი განმარტების გარეშე იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იყო არადამაჯერებელი მისი განცხადება იმის შესახებ, რომ კომპიუტერი მას მშობლებმა საჩუქრად გადასცეს. ხოროშევსკის რაიონულ და მოსკოვის საქალაქო სასამართლოებს თავიანთ გადაწყვეტილებებში არ მოუხსენიებიათ ან მიუთითებიათ სამოქალაქო ან საოჯახო კოდექსის რაიმე დებულება.

64. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო აღგენს, რომ განმცხადებლებს დაეკისრათ არათანაბრომიერი ტვირთი, რომელიც კანონიერად ჩაითვლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მათ შესაძლებლობა ექნებოდათ ეფექტურად გაესაჩივრებინათ სისხლის სამართლის იმ პროცესში დაკისრებული კონფისკაციის ზომა, რომლის მხარეებსაც ისინი არ წარმოადგენდნენ; თუმცა, შემდგომ სამოქალაქო საქმისწარმოებისას მათ ამ შესაძლებლობაზე უარი ეთქვათ და შესაბამისად, დაირღვა „სამართლიანი ბალანსი, რომელიც უნდა დამყარებულიყო საკუთრების უფლების დაცვასა და საჯარო ინტერესებს შორის“ (იხ. *ჰენტრიხი საფრანგეთის წინააღმდეგ*, 1994 წლის 22 სექტემბრის განჩინება, სერია 1, N 296-A, § 49).

65. შესაბამისად, დაირღვა დამატებითი N 1 ოქმის 1-ლი მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 45 გადაწყვეტილებებიდან ამონარიდები და შესაბამისი სამართლებრივი შეჯამება მოგზადდა ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს შორის ერთობლივი პროექტის – „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“ – ფარგლებში. მოცემული გადაწყვეტილებები შეირჩა 2016 წელს, ამავე, პროექტის ფარგლებში განხორციელებული მოსამართლეთა სპეციალური ტარბაზი რეიდენტობრივი კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული, ყველაზე მოთხოვნადი თემების საფუძველზე.

ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს შორის ერთობლივი პროექტის – „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან“ მიზანია, ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება საქართველოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანითა და იურიზმების შესაძლებლობების გაძლიერებით ამ სისტემის ეროვნულ დონეზე სათანადოდ გამოსაყენებლად. პროექტი დაფინანსებულია ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის – პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის ფარგლებში.



ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მთავარი ორგანიზაცია. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომცხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშეკრულებას, რომელიც გაიზიარა ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებების კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

The Council of Europe is the continent's leading human rights organization. It includes 47 member states, 28 of which are members of the European Union. All Council of Europe member states have signed up to the European Convention on Human Rights, a treaty designed to protect human rights, democracy and the rule of law. The European Court of Human Rights oversees the implementation of the Convention in the member states.

[www.coe.int](http://www.coe.int)

ევროკავშირი არის ევროპის 28 დემოკრატიული სახელმწიფოს განსაკუთრებული ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის კავშირება. მისი მიზანია: მშვიდობის, კეთილდღეობის და თავისუფლების უზრუნველყოფა მისი 500 მილიონი მოქალაქისთვის უფრო სამართლიან და უსაფრთხო მსოფლიოში. აღნიშნული მიზნებისთვის, წევრი ქვეყნები აფუძნებენ ევროკავშირის მმართველობით და საკანონმდებლო ორგანოებს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ევროპარლამენტი (სადაც წარმოდგენილია ევროპის მოსახლეობა), ევროკავშირის საბჭო (სადაც წარმოდგენილია ევროპული მთავრობები) და ევროკომისია (რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის საერთო ინტერესებს).

The European Union is a unique economic and political partnership between 28 democratic European countries. Its aims are peace, prosperity and freedom for its 500 million citizens in a fairer, safer world. To make things happen, EU countries set up bodies to run the EU and adopt its legislation. The main ones are the European Parliament (representing the people of Europe), the Council of the European Union (representing national governments) and the European Commission (representing the common EU interest).

<http://europa.eu>

Partnership for Good Governance  
პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



ევროპის საბჭო